

ი. ა. კალიძი, ნ. ზ. კალისკოვი,
ს. ზ. ლოვი, ნ. ფ. პაპობრაძე

საბუნებისმეტყველო აღნიშვნა და კონსტრუქციული კავშირგაბმულობის შეფასება

პროფ. ი. ზ. პაპობრაძის რედაქციით

სსრკავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა
განყოფილების მიერ ნებადართულია როგორც სახელმძღვანელო კავშირ-
გაბმულობის ტექნიკურებისათვის

თ ა რ გ მ ნ ი ლ ი

მეორე, შესწორებული გამოცემიდან

წინასიგჷვარება

სოციალისტური საწარმოს მუშაობის ფინანსურ-სამეურნეო მხარე და მისი ეკონომიკა უნდა იცოდეს ყოველმა ოპერატიულმა მუშაკმა, რომელიც მონაწილეობს ამ საწარმოს მუშაობის დაგეგმვაში, მართვასა და კონტროლში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი მოლოტოვი ამატრახებდა რა ისეთ სამეურნეო მუშაკებს, რომლებსაც თავიანთი ღირსების შელახვად მიაჩნიათ ჩაიხედონ ბალანსში, შეისწავლონ ანგარიშგება, იზრუნონ სამეურნეო ანგარიშზე, მოითხოვედა გადაჭრით მოეღოს ბოლო ეკონომიურ უცოდინარობას, როგორც ანტისახელმწიფოებრივ და ანტიბოლშევიკურ პრაქტიკას.

მხოლოდ მას, ვინც იცის სოციალისტურ საწარმოთა აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის სისტემა, ვინც იცის აღრიცხვის მონაცემების ანალიზი და თავისუფლად ერკვევა იმაში, თუ როგორ ასახავს აღრიცხვა სამეურნეო პროცესებს, შეუძლია საწარმოს ოპერატიული მართვისათვის ხელის შეწყობა. მხოლოდ ასეთი საკითხების მცოდნეს შეუძლია აღრიცხვა გამოიყენოს როგორც სოციალისტური საკუთრების დაცვის საშუალება, როგორც აუცილებელი პირობა საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, როგორც საშუალება თვითღირებულების შემცირების, საბრუნავ საშუალებათა რაციონალურად გამოყენების, მათი ბრუნვის დაჩქარებისა და სოციალისტური მეურნეობის რენტაბელურობის გადიდებისათვის.

კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ეკონომიკის მცოდნე მუშაკების მომზადებას აწარმოებენ კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკუმების ეკონომიური განყოფილებები, რომელთა მოსწავლეებისთვისაც უმთავრესად განკუთვნილია წინამდებარე სახელმძღვანელო. ამასთანავე ეს შრომა, როგორც პრაქტიკული სასწავლო წიგნი, შეიძლება გამოყენებულ იქნას კავშირგაბმულობის სამინისტროს საკურსო სისტემის მუშაკების მიერაც.

განაყოფები: „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები“ და „ფულის ბარათების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა“ შეადგინა ი. ა. კალიკა; განაყოფები: „ძირითადი საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხ-

ხვა“, „პრესის გავრცელებისა და ექსპლოატაციის საბუღალტრო აღრიცხვა“ და „სახელმწიფო ბიუჯეტით დასაფინანსებელი დაწესებულებათა ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა“—ს. გ. ლვოვა; განაყოფი: „კაპიტალურ დაბანდებათა საბუღალტრო აღრიცხვა“—ნ. ფ. პრეობრაჟენსკიმ; განაყოფი: „საფინანსო კონტროლი და დოკუმენტალური რევიზია“—ნ. გ. კალისტოვა.

წინამდებარე მეორე გამოცემა შევსებულია ფულია ბარათების ოპერაციების აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმებით. გარდა ამისა, შეტანილია რიგი ცვლილება და დამატება იმ გამოთქმული აზრებისა და შენიშვნების მიხედვით, რომლებიც გამომცემლობას მოუვიდა ამ წიგნის პირველ გამოცემაზე.

აღნიშნული სახელმძღვანელოს შედგენისას ავტორები სარგებლობდნენ პროფესორების—ი. მ. გალპერინის, ნ. ა. კიპარისოვის, ნ. ა. ლეონტიევისა და სხვ. სასწავლო ლიტერატურით, აგრეთვე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციული მასალებით.

შენიშვნები ამ სახელმძღვანელოს შესახებ გთხოვთ გამოგზავნოთ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის გამომცემლობაში (Москва, центр-ул. Кирова, 40).

1. საბუღალტრო აღრიცხვის საუბეჭდები

1. სამეურნეო აღრიცხვის მნიშვნელობა და მისი ამოცანები

სამეურნეო აღრიცხვის ცნება

სამეურნეო აღრიცხვა წარმოადგენს მეურნეობის მართვის ერთ-ერთ ფუნქციას. მეურნეობის კარგად ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოთა სამეურნეო ცხოვრების პროცესებზე წარმოებს სისტემატური დაკვირვება, მათი შესწავლა და კონტროლი.

სამეურნეო აღრიცხვა წარმოადგენს ისტორიულად შეპირობებულ სამეურნეო ცხოვრების პროცესების, საზოგადოებრივი რეპროდუქციის პროცესების გამომანგარიშებასა და ასახვას. „როგორც უნდა იყოს წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ფორმა, იგი განუწყვეტელი უნდა იყოს, ანუ პერიოდულად მუდამ ხელახლა ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს. საზოგადოებას არ შეუძლია შესწყვიტოს წარმოება, როგორც არ შეუძლია შესწყვიტოს მოხმარება. ამიტომ ყოველი საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, განხილული მისი მუდმივი კავშირის და მისი განახლების განუწყვეტელი დენის თვალსაზრისით, არის იმავე დროს პროცესი რეპროდუქციისა“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 509, სახელგამი, 1930 წ.).

სამეურნეო ანგარიში ახორციელებს სამეურნეო საქმიანობის რაოდენობრივ გამოსახულებასა და ხარისხობრივ დახასიათებას როგორც ცალკეულ სოციალისტურ საწარმოებში, ისე მთლიანად მთელს სახალხო მეურნეობაში.

აღრიცხვა მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების დროს

სოციალისტური აღრიცხვა პრინციპულად და ძირფესვიანად განსხვავდება მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის აღრიცხვისაგან. აღრიცხვის ეს განსხვავება გამოწვეულია მეურნეობის სისტემათა განსხვავ-

გებით, რომელთა დახასიათება მოგვცა ამხანაგმა სტალინმა პარტიის XVI ყრილობაზე:

„რა არის მეურნეობის საბჭოთა სისტემა?

მეურნეობის საბჭოთა სისტემა ნიშნავს იმას, რომ:

1) კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასის ძალაუფლება დამხობილია და შეცვლილია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ძალაუფლებით;

2) წარმოების იარაღები და საშუალებანი, მიწა, ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა საკუთრებად მუშათა კლასს და გლეხობის მშრომელ მასებს;

3) წარმოების განვითარება ემორჩილება არა კონკურენციისა და კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს, არამედ გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სისტემატური ამოღების პრინციპს;

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი მრავალრიცხოვანი პარაზიტი დამქაშების გამდიდრების ინტერესებისათვის, არამედ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისა და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესებისათვის;

რა არის მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა?

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა ნიშნავს იმას, რომ:

1) ძალაუფლება ქვეყანაში ეკუთვნის კაპიტალისტებს;

2) წარმოების იარაღები და საშუალებანი თავმოყრილია ექსპლოატატორთა ხელში;

3) წარმოება ემორჩილება არა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრინციპს, არამედ დიდი კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს;

4) სახალხო შემოსავლის განაწილება ხდება არა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, არამედ ექსპლოატატორთა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

5) მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესება და მათი მოთხოვნილებების (ზეიდველობითი უნარის) შეუჩერებელი ზრდა, წარმოადგენს რა წარმოების გაფართოების განუწყვეტლივ ეზარდ წყაროს, უზრუნველყოფს მშრომელებს ქარბი წარმოების კრიზისებისაგან, უმუშევრობისა და სილატაკის ზრდისაგან;

6) მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა არიან ქვეყნის ბატონ-პატრონები, რომლებიც მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავიანთი მშრომელი ხალხისათვის.

5) კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და წარმოების სწრაფ ზრდას, რის მიზანიც არის კაპიტალისტთა დიდი მოგების უზრუნველყოფა, დაბრკოლებად ელოდება მშრომელთა მილიონიანი მასების ლატაკური მდგომარეობა და მათი მატერიალური უზუნველყოფის დაქვეითება მშრომელთა მასებისა, რომლებსაც ყოველთვის როდი აქვთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებანი უკიდურესი მინიმუმის ფარგლებშიც კი, რაც აუცილებლად უქმნის ნიადაგს ქარბი წარმოების გარდუვალ კრიზისებს, უმუშევრობის ზრდას, მასების სილატაკის ზრდას;

6) ეშუათა კლასი და მშრომელი გლეხობა ექსპლოატირებული არიან, მუშაობენ არა თავისთვის, არამედ სხვა კლასისათვის, ექსპლოატატორთა კლასისათვის“.

(ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 349—350, სახელგამი, 1950წ.

წარმოების კაპიტალისტური წესის პირობებში აღრიცხვა ექვემდებარება კაპიტალისტური მეურნეობის საქმიანობის ამოცანებს, ის ჩაყენებულია ექსპლოატატორების გაბატონებული კლასის სამსახურში, ემსახურება კაპიტალისტური მოგების წყაროებისა და სიდიდის შენიღბვის მიზნებს და, მაშასადამე, მუშების ექსპლოატაციასაც.

თითოეულ ცალკე კაპიტალისტურ საწარმოში კაპიტალისტები აღრიცხვას აწყობენ თვითნებურად, თავისი პირადი მტაცებლური ინტერესებისათვის. იქ აღრიცხვა წარმოებს უსასტიკესი კომერციული საიდუმლოების პირობებში. ეს ნებადართულია ბურჟუაზიული კანონ-

მდებლობით, რომელიც, ბუნებრივია, იცავს ექსპლოატატორების კლასობრივ ინტერესებს.

პრინციპულად სხვაგვარია და ძირფესვიანად განსხვავებული ხასიათი აქვს აღრიცხვას ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაში. ეს არის მასობრივი და საერთო სახალხო აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება სსრ კავშირში ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიის პირობებში.

აღრიცხვა მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში წარმოადგენს საყოველთაო ფართო და მასობრივ კონტროლის საშუალებას, იგი წარმოადგენს მთელი სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების საქვს; იგი მოწყობილია აღრიცხვისა და კონტროლის ერთიანი სისტემის სახით მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით; აღრიცხვა წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და მათი სამეურნეო ხელნძღვანელობასა და მმართველობაში ჩაბმის საშუალებას; აღრიცხვამ უნდა მოკვეცოს სოციალისტური მეურნეობის საქმიანობიდან სწორი მაჩვენებლები.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „არც ერთი ნაწარმი, არც ერთი გირვანქა პური არ უნდა დარჩეს აღურიცხვად, ვინაიდან სოციალიზმი — ეს პირველ ყოვლისა აღრიცხვაა“ (ვ. ი. ლენინი, ტომი XXII, გვ. 48, სახელგამი, 1938 წ.).

ამხანაგი სტალინი პარტიის XIII ყრილობაზე მიგვითითებდა: „... არავითარი სააღმშენებლო მუშაობა, არავითარი სახელწიფოებრივი მუშაობა, არავითარი გეგმიანი მუშაობა არ არის წარმოსადგენი სწორი აღრიცხვის გარეშე“ (ი. ბ. სტალინი, XIII პარტიული ყრილობა, თბზულებანი, ტ. VI, გვ. 246, სახელგამი, 1949 წ.).

სამეურნეო აღრიცხვის ამოცანება

სოციალისტურ საწარმოში სამეურნეო აღრიცხვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მატერიალური წარმოების პროცესების მაჩვენებელთა შესწავლა, მათი ანალიზი და სოციალისტური გეგმის შესრულების კონტროლი. მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში აღრიცხვა შეიცავს გეგმიანი წარმოების აუცილებელ ელემენტს. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო 1931 წ. 9 მაისს თავის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ „რეაქტიულია და აღრიცხვა სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენისა და მისი შესრულების შემოწმების უმნიშვნელოვანეს იარაღს წარმოადგენს“.

ჩვენი აღრიცხვა—ეს ერთიანი სოციალისტური აღრიცხვაა.

სოციალისტური აღრიცხვის ერთიანი სისტემის ორგანიზაციას კანონმდებლურად აწესრიგებს დიადი სტალინური კონსტიტუცია.

სსრკ აეშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლი ამბობს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას, მის სახელმწიფო ხელისუფლების უმადლეს ორგანოთა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სახით, ექვემდებარება „სახელბო-სანელბო აღრიცხვის ერთიანი სისტემის ორგანიზაცია“.

აღრიცხვას დაკისრებული აქვს აგრეთვე სოციალისტური საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარის სისტემატური შემოწმება.

საქ. კ. პ. ბ) X^{VI} III საკავშირო კონფერენციამ ამხანაგ გ. მ. მალენკოვს მოხსენების გამო აღნიშნა, რომ „იმ საწარმოთა მუშაობა, სადაც რამდენადმე ნორმალური აღრიცხვა არ არის, აღსაყვება მრავალი მოულოდნელობით. ასეთ საწარმოებში გარდუვალია წარმოების ჩაშლა იმის გამო, რომ ხელმძღვანელობისათვის მოულოდნელად აღმოჩნდება მასალების, ნახევარფაბრიკატების, ინსტრუმენტების, მოწყობილობის ნაკლებობა. ნოწყობილობისა და მსალების აღრიცხვის ჩამორჩენილობა საშუალებას უსპობს დირექტორს სწორად და მთლიანად გამოიყენოს საწარმოს რესურსები და უზრუნველყოს წარმოების შეუფერხებელი მუშაობა“ (სახელგამი—პოლიტიტერატურის სექტორი, გვ. 8, 1941 წ.).

სოციალისტური სამეურნეო ანგარიშის განხორციელების პირობებში აღრიცხვის ამოცანა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო გეგმის შესრულების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, თვითღირებულების შემცირების, არასაწარმოო დანაკარგებას ლიკვიდაციის, ზეგეგმური დაგროვების, სოციალისტური რენტაბელურობის, საბრუნავ საშუალებათა სწორად გამოყენებისა და მათი ბრუნვადობის დაჩქარების კონტროლი.

ყველა ამ ამოცანის შესრულებისათვის აღრიცხვა იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ის დროულად, ზუსტად და საკმაო სისრულით, სისწორითა და ცხადად ასახავდეს სამეურნეო პროცესებს.

საქ. კ. პ. ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ გეკვირდება „...ობიექტური ცნობები, რომლებიც თავისუფალი იქნება როგორც უნდა იყოს წინასწარი აკვიატებული აზრისაგან, ვინაიდან ამა თუ იმ წინასწარ აკვიატებული აზრისთვის ციფრის შეგუების ცდა სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულია“ (ი. ბ. სტალინი, საქ. კ. პ. ბ) XIV ყრილობა, ტ. VII, გვ. 361, სახელგამი, 1949 წ.).

2. საბუღალტრო აღრიცხვის საგანი და მეთოდი

ერთიანი სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სისტემა შეიცავს აღრიცხვის შემდეგ სახეებს: ოპერატიულ-ტექნიკურს, სტატისტიკურს და საბუღალტროს.

საბუღალტრო აღრიცხვა, რომელიც უმკაცრესი დოკუმენტაციით სარგებლობს, მოწოდებულია მოგვეცეს ობიექტური და ზუსტი ცნობები სოციალისტური საწარმოს ყველა საშუალებისა და ანგარიშსწორების მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ. სწორედ ამის გამო არის იგი მეურნეობის ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მართვის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი.

საბუღალტრო აღრიცხვა, რომელიც სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კონტროლს უწევს სოციალისტურ საწარმოებში სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის წარმოებულ მუშაობას. საბუღალტრო აღრიცხვა იყენებს ნატურალურ (კუბმეტრი, ტონა, ლიტრი, კილომეტრი და სხვ.) და ფულად მაჩვენებლებს.

საბჭოთა ფული სოციალისტური მეურნეობის პირობებში წარმოადგენს გეგმური კონტროლის, სამეურნეო ანგარიშის განხორციელებისა და მანეთით კონტროლის იარაღს. „ფული წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ იარაღს, რომელიც თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელისუფლებამ და შეუფარდა იგი სოციალიზმის ინტერესებს იმისათვის, რომ მთელი სიმძლავრით გაშალოს საბჭოთა ვაქრობა და ამით მოამზადოს პირობები პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლისათვის“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გამ. მე-10, გვ. 679).

საბჭოთა საბუღალტრო აღრიცხვის საგანს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრება და გეგმის შესრულების პროცესები განზოგადებულ ფულად გამოხატულებაში.

საბჭოთა საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდს წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის პროცესების ურთიერთდაკავშირებული გამოსახულება ფულადი შეფასებით, - ნატურალური მაჩვენებლების საფუძველზე მათი კონკრეტიზაციით სახალხო მეურნეობის ცალკე უბნების მიხედვით.

საბჭოთა საბუღალტრო აღრიცხვის საგნისა და მეთოდის დამახასიათებელ თვისებებს აპირობებენ შემდეგი მისი თავისებურებანი:

საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს ფულად აღრიცხვას; ყველა ნატურალური მაჩვენებელი ერთდროულად გამოიხატება ფულად შეფასებაში, რომელიც მათ ღირებულებითს გამოსახულებას აძლევს;

საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს მთლიან და უწყვეტ აღრიცხვას, რომელიც თანმიმდევრობით და სისტემატურად ასახავს ყველა სამეურნეო ოპერაციას;

იგი ასახავს სოციალისტური გეგმის შესრულების პროცესებს, სოციალისტური საკუთრების, ე. ი. სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების მოძრაობას; იგი ასახავს აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციასთან საანგარიშსწორებო ოპერაციებსა და სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს;

საბუღალტრო აღრიცხვა წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციათა ურთიერთკავშირის მიხედვით აღრიცხვას, რომელიც ააშკარავებს ცალკე სამეურნეო ოპერაციებს შორის ეკონომიურ დანაკიდებულებას და, ამასთან ერთად, განზოგადებულ გამოხატულებას აძლევს მეურნეობის მთელ მდგომარეობას.

3. მეთუნეობის საშუალებანი და მათი წარმოდგენის წყაროები

სოციალისტურ საწარმოს განკარგულებაში მყოფი მეურნეობის საშუალებანი შეიძლება იმყოფებოდეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში. წარმოების სფეროში მყოფი საშუალებანი განიყოფება ძირითად და საბრუნავ საშუალებებად.

ძირითადი (შრომის საშუალებანი) ეწოდება ისეთ საშუალებებს, რომლებიც წარმოების პროცესში მრავალჯერ იღებენ მონაწილეობას მიმოქცევაში, ინარჩუნებენ თავის მატერიალურ ფორმას, და თითოეულ საწარმოო ციკლში თავისი ღირებულების მხოლოდ ნაწილი გადააქვთ პროდუქტზე. ამრიგად, ძირითად საშუალებათა ღირებულება ნიწოქცევაში შედის თანდათანობით. ძირითად საშუალებებს ეკუთვნის: შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, დაზგები, სატრანსპორტო საშუალებანი, ინსტრუმენტები, სამეურნეო ინვენტარი და სხვ.

წარმოების საბრუნავი საშუალებანი (შრომის საგნები), ძირითადისაგან განსხვავებით, წარმოების ყოველ ციკლში თავის ღირებულებას მთლიანად გადასცემენ დამზადებულ პროდუქტს. ეს საშუალებანი სახეს იცვლიან ან კარგავენ თავის პირვანდელ მატერიალურ ფორმას. წარმოების სფეროში საბრუნავ საშუალებებს ეკუთვნის: ნედლეული და საწარმოო მასალები, სათბობი, ნახევარფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება და სხვ. ამასთან, საბრუნავი საშუალებები მონაწილეობას იღებს მიმოქცევის სფეროში. საბრუნავ საშუალებებს მიმოქცევის სფეროში

მიეკუთვნება: მზა პროდუქცია, რომელიც გამომუშავებულია მოცემულ საწარმოში, და ნაყიდი საქონელი (სასაქონლო საშუალებანი), ნაღდი ფული სალაროში, სახელმწიფო ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშზე მყოფი თანხები (ფულადი საშუალებანი), მოვალეები ანუ ეგრეთწოდებული დებიტორები (საშუალებანი ანგარიშსწორებაში).

მაშასადამე, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში საბრუნავი საშუალებანი შეიცავენ: საწარმოო მარაგს, სასაქონლო საშუალებებს, ფულად საშუალებებს, საშუალებებს ანგარიშსწორებაში.

დასასრულ, აქტივში უჩვენებენ „განყენებულ საშუალებებს“ (მოგებიდან ბიუჯეტში შენატანები და სხვ.).


წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში მეურნეობის საშუალებების განლაგებასთან ერთად საბუღალტრო აღრიცხვა ასახავს მათი წარმოქმნის წყაროებს. საშუალებათა წარმოქმნის წყაროები შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი.

საშუალებათა წარმოქმნის მუდმივი წყაროები საწარმოს მიემაგრება „საკუთარი ფონდების“ სახით. გარდა მუდმივი ფონდებისა, მეურნეობას დროებითი წყაროებიც აქვს (სესხები ბანკში, ვალდებულებანი სხვადასხვა ორგანიზაციისა და პირების მიმართ და სხვ.). ეს დროებითი წყაროები გვიჩვენებს საწარმოს დავალიანებას. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. 23 ივლისის დადგენილებით საწარმოთა საკუთარი საბრუნავი საშუალებანი განკუთვნილია ნედლეულის მარაგის, საწარმოო და დამხმარე მასალების, სათბობის, ნახევარფაბრიკატების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა ნაწარმის და საქონლის მინიმალური რაოდენობის უზრუნველსაყოფად, და აგრეთვე მომავალი წლების ისეთი ხარჯების გასაწევად, რომელიც აუცილებელია საწარმოო, საეკრო ან საექსპლოატაციო პროგრამის შესასრულებლად. სახელმწიფო ბანკი სახელმწიფო საწარმოებს მოკლევადიან სესხს აძლევს მხოლოდ იმ საკიროებაზე, რომელიც დაკავშირებულია გზაშიმყოფ ფასეულობათა დაფინანსებასთან, წარმოების სეზონური პროცესების ავანსირებასთან, ნედლეულის, სათბობის, საწარმოო და დამხმარე მასალების სეზონური მარაგის შექმნასთან, დროებით დაბანდებებთან დაუმთავრებელ წარმოებაში, მზა ნაწარმის და საქონლის სეზონურ მარაგთან, აგრეთვე სხვა დროებით საკიროებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ წარმოების მსვლელობიდან და საქონლის მიმოქცევიდან.

საწარმოს სახელმწიფო საზღაურებისა და მათი წარმოების წყაროების კლასიფიკაცია

საშუალებათა განლაგება

წარმოების წყაროები



მუდმივ დაბანდებებს, რომლებაც ძირითად საშუალებებს (შრომის საშუალებებს) ფარავენ, ძირითადი საშუალებების ფონდი ეწოდება (ძირითადი ფონდი), ხოლო მუდმივ დაბანდებებს, რომლებიც საბრუნავ საშუალებებს ფარავენ, საბრუნავ საშუალებათა ფონდი (საბრუნავი ფონდი) ეწოდება.

დროებით წყაროებს ეკუთვნის ბანკის სესხები (მოკლევადიანი კრედიტები), აგრეთვე დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება მიწოდებლებთან ანგარიშსწორებით მათგან მიღებული მასალებისა და საქონლისათვის, მუშა-მოსამსახურებთან დავალიანების ანგარიშსწორებით და სხვ. ამასვე მიეკუთვნება სპეციალური დანიშნულების ფონდები.

სამეურნეო მუშაობის შედეგად თითოეული საწარმო თავისი ოპერაციებისაგან ლებულობს მოგებას.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში, მაგალითად, ისეთი საწარმოები, რომელთაც აქვთ მოგება თავისი საექსპლოატაციო საქმიანობის შედეგად, არიან კავშირგაბმულობის კანტორები, ტელეგრაფები, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურები, საქალაქო ტელეფონის ქსელები და სხვ. მაგრამ კავშირგაბმულობის მეურნეობაში არიან ისეთი საწარმონი, რომლებსაც თავისი საქმიანობის ხასიათის გამო არ შეიძლება მოგება ჰქონდეთ (სახაზო-ტექნიკური კვანძები). ისინი იღებენ სახსრებს განსაკუთრებით კავშირგაბმულობის სახაზო ნაგებობათა მომსახურებისა და რემონტის ხარჯებისათვის. ასეთ საწარმოებს მათზე გაცემული სახსრების ყაირათიანად ხარჯვის შემთხვევაში თავის მუშაობის შედეგად შეიძლება ჰქონდეთ ეკონომია.

მოგება სამეურნეო საშუალებათა წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

ამრიგად, საშუალებანი, რომლებიც მიმოქცევაში იმყოფება სოციალისტურ საწარმოში, ჯგუფდება, ერთი მხრივ, მათი შემადგენლობისა და ფუნქციონალური როლის მიხედვით სამეურნეო პროცესში, და, მეორე მხრივ, ამ საშუალებათა წარმოქმნის წყაროებისა და მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით.

მე-13 გვერდზე მოყვანილია საწარმოს საშუალებათა და მათი წარმოქმნის წყაროების კლასიფიკაცია.

4. სოციალისტური საწარმოს ბალანსი

ბალანსის ცნება

ბალანსი გვიჩვენებს მეურნეობის საშუალებათა და მათი წარმოქმნის წყაროების მდგომარეობის განზოგადებულ გამოხატულებას ფულად შეფასებაში დროის გაჩვეული მომენტისათვის. ბალანსს ჩვეულებრივად გამოხატავენ ორმხრივი ცხრილის სახით. ბალანსის მარცხენა მხარეს აქტივი ეწოდება. ბალანსის აქტივი გვიჩვენებს, როგორ არის განლაგებული საშუალებანი მეურნეობაში, როგორია ამ საშუალებათა შემადგენლობა და რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი.

ბალანსის მარჯვენა მხარე გვიჩვენებს, როგორია საწარმოს საშუალებათა წარმოქმნის წყაროები, აგრეთვე, როგორია მათი მიზნობრივი დანიშნულება. ამ მხარეს პასივი ეწოდება.

ბალანსის ცხრილი შეიძლება გამოხატულ იქნას არა მხოლოდ ორმხრივ ანუ ორგვერდოვან ცხრილში, არაჩედ ცალგვერდოვან ცხრილშიც, ე. ი. ცხრილში, რომელშიაც აქტივი და პასივი ურთიერთის ვერტიკალურად იქნება განლაგებული.

მოგვეყავს სოციალისტური კავშირგაბმულობის საწარმოს საბუღალტრო ბალანსის აგების სქემა (შემოსავლის მუხლების გარეშე).

ქავეშირგაბმულობის სანძახლოათაციო საწარმოს ბალანსი ძირითადი საშენადნობის შინამღვით

აქტივი

1. საშუალებანი წარმოების სფეროში

საწარმოს დანიშნულების ძირითადი საშუალებანი:

შენობები	800 000
ნაგებობანი	385 000
მოწყობილობა	265 000
სატრანსპორტო საშუალებანი .	400 000

მთ რიცხვში:

საფლტო ვაგონები .	230 000
სამდინარო გემები	70 000
ავტომობილები . .	100 000
საკაპანე ტრანსპორტი	30 000

ინვენტარი და ინსტრუმენტები . . .	160 000
მარაგში მყოფი ძირითადი საწვავები .	140 000

საწარმოო დანიშნულების (ექსპლოატაციის) საბრუნავი საშუალებანი

მცირეფასიანი და სწრაფმცვეთარი საგნები ¹	45 000
მასალები	125 000

მათ რიცხვში:

სათბობი .	10 000
ფურაჟი .	5 000
წვეთპროდუქტები .	7 000
ბოძები	28 000
სამარაგო ნაწილები .	40 000

მომავალი პერიოდების ხარჯები .	10 000
დაუმთავრებელი წარმოება	15 000

II. საშუალებანი მიმოქცევის ხვეროში

საბრუნავი საშუალებანი მიმოქცევაში:

მზა პროდუქცია და საქონელი ¹ საწყობში	20 000
საქონელი კავშირგაბმულობის ² საწარმოებში	10 000
შემკვეთლებისათვის ჩაუბარებელი შესრულებული სამუ- შაობი	10 000
გაგზავნილი საქონელი და მასალები .	8 000
სალარო	200
ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში	86 800
ანგარიშვალდებული პირნი .	1 200
დებიტორები (მოვალეები)	2 800

III. განყენებული საშუალებანი

შენატანები სახელმწიფო ბიუჯეტში მოგებიდან ანარიცხე- ბით	85 000
შენატანები სპეცბანკებში კაპიტალური დაბანდებერათვის	15 000

ბ ა ლ ა ნ ს ი **2 584 000**

¹ შემდეგში ტექნიკური მოსაზრებებით ამ ანგარიშს შემოკლებით ვუწოდებთ „მცირეფასიანი საგნები“.

პ ა ს ი მ ი

I. მუდმივი წყაროები

შინაგანი სახსრები

ფონდი ძირითად საშუალებებში .	2 150 000
ფონდი საბრუნავ საშუალებებში .	200 000

მოხიდული სახსრები

დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური მიზნებისათვის	10 000
--	--------

II. გარეგანი წყაროები

შინაგანი სახსრები

დირექტორის ფონდი	4 000
------------------	-------

მოხიდული სახსრები

სესხები საბანკოში	40 000
მიმწოდებლები	45 000
შეშები და მოსამსახურეები ხელფასით	15 000
სხვადასხვა კრედიტორები	20 000

III. დაგროვება

მიმდინარე წლის მოგება	98 000
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება	2 000

ბ ა ლ ა ნ ს ი . 2 5 8 4 0 0 0

პასივი, რომელიც ასახავს საშუალებათა წარმოქმნის წყაროებს, გვიჩვენებს, რომ მოცემულ მეურნეობაში მოიპოვება როგორც მუდმივი სახსრები, ე. ი. მეურნეობაზე მიმაგრებული საკუთარი ძირითადი და საბრუნავი ფონდები, ისე დროებითი სახსრებიც. ამიტომ უფრო გამირტივებული სახის ბალანსის შედგენის დროს იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი ცხრილის სახით:

2. საბუღალტრო აღრიცხვა

საშუალებათა შემავგენლობა და გაძლავება. ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებენ გეამის შესრულების პროცესში	საშუალებათა წარმოქმნის წყაროები და მათი მიზნობრივი დანიშნულება
აბტივი	პასივი
ძირითადი საშუალებანი 2 150 000	ფონდი ძირითად საშუალებებში 2 1' 0 000
საბრუნავი საშუალებანი	ფონდი საბრუნავ საშუალებებში 200 000
(წარმოებაში და მიმოქცევაში) 334 000	მოხიდული წყაროები (მუდმივი და დროებითი) 134 000
განყენებული 100 000	დაგროვება 100 000
ბ ა ლ ა ნ ს ი 2 584 000	ბ ა ლ ა ნ ს ი 2 584 000

მოყვანილი ბალანსის სქემიდან ჩანს, რომ მასში თავისი გამოხატულება პპოვა საშუალებათა მდგომარეობამ როგორც შემადგენლობის, განლაგებისა და გამოყენების მიხედვით (აქტივი), ისე მათი წარმოქმნის წყაროებისა და გეგმურ-მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით (პასივი).

აქტივში ნაჩვენებ საშუალებათა საერთო ჯამი უდრის პასივში ნაჩვენებ საშუალებათა წარმოქმნის წყაროების საერთო ჯამს.

მოყვანილი ბალანსის აქტივიდან ჩანს, რომ შრომის საშუალებანი, ე. ი. ძირითადი საშუალებანი, რომელიც გამოიხატება შენობებში, ნაგებობებში, მოწყობილობაში, სატრანსპორტო საშუალებებში, სამეურნეო ინვენტარში, ინსტრუმენტებსა და მარაგადნყოფ ძირითად საშუალებებში, არის სულ 2 150 000 მანეთის. ხოლო, რადგანაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ საშუალებათა წარმოქმნას თან სდევს მათი წყაროების ფორმირება, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ პასივში საშუალებათა მუდმივი წყაროების ფორმირების ნუხლების ჯგუფში უნდა იყოს სწორედ ასეთი წყარო. ბალანსის პასივში ჩვენ ვხედავთ მუხლს, რომელსაც ეწოდება ფონდი ძირითად საშუალებებში 2 150 000 მანეთის ჯამით. შემდეგ აქტივში ჩვენ ვხედავთ რიგ მუხლებს საბრუნავ საშუალებათა სახელწოდებით, სულ 334 000 მანეთის საერთო ჯამით, მათ რიცხვში:

წარმოების სფეროში	. — 195 000 მან.
მიმოქცევის სფეროში — 139 000 "
გარდა ამისა, აქტივშია აგრეთვე განყენებული საშუალებანი — 100 000 "

პასივში ვლინდება მაჩვენებლები (მუხლები), რომლებიც ახასიათებენ სახეზეყოფ იმ წყაროებს, რომლებიც ფარავენ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, მათ რიცხვში მოზიდულ საშუალებებსაც. ამრიგად, მოყვანილი მონაცემებიდან ბალანსის პასივში ჩანს, რომ საწარმოს აქვს:

ა) ფონდი ძირითად საშუალებებში 2 150 000 მან., რომელიც მოცემულ საწარმოს ძირითად საშუალებათა ფორმირების წყაროს წარმოადგენს;

ბ) ფონდი საბრუნავ საშუალებებში; ეს მუხლი ახასიათებს მიმაგრებულ (მუდმივ) საკუთარ საშუალებებს 200 000 მანეთის ჯამით, რომელიც განკუთვნილია მოცემულ საწარმოს ნორმალური და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად;

გ) მოზიდული წყაროები, ე. ი. გეგმის შესრულებისას მოცემული საწარმოსათვის დამატებით საჭირო საშუალებათა წარმოქმნის წყაროები 134 000 მანეთის თანხით. ამას ეკუთვნის: 1) მუდმივი წყაროები, როგორც, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური საჭიროებებისათვის დაფინანსებული საშუალებანი და 2) დროებითი წყაროები, სახელდობრ: სესხები, რომლებსაც იღებენ სახელმწიფო ბანკიდან, მიმწოდებლების მიმართ დავალიანება, სხვადასხვა კრედიტორები და ა. შ.;

დ) დაგროვებანი, ე. ი. მოგება ამ საწარმოს საქმიანობის შედეგად 100 000 მანეთის ოდენობით.

საწარმოს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა ყოველთვის დამოკიდებულია საწარმოო პროგრამის სიდიდეზე: რაც უფრო მეტია პროგრამა, მით უფრო მეტ საშუალებებს იძლევა ზემდგომი ორგანიზაცია. ამიტომ ყოველწლიურად საწარმოს პროგრამის დამტკიცების დროს ზემდგომი ორგანიზაცია ამტკიცებს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობას.

საბრუნავ საშუალებათა ოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე მათი ბრუნვის სიჩქარეზე: რაც უფრო სწრაფად იბრუნება ეს საშუალებანი წარმოების ერთ ციკლში, მით უფრო ნაკლებად არის საჭირო ის საწარმოო პროგრამის შესრულებისას.

ძირითადი საშუალებების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუ რომელინე საწარმო ფართოვდება,—აშენებს ახალ შენობას, იძენს და დგამს ახალ მოწყობილობას,—ამის შესაბამისად იზრდება ფონდი ძირითად საშუალებებში იმ თანხით, რა თანხაც კაპიტალური დაბანდებებისათვის არის გამოყენებული.

გასაგებია, რომ ამასთან გათვალისწინებულია ძირითად საშუალებათა უკეთესად გამოყენების ეფექტი.

სოციალისტურ სახელმწიფოში საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ბალანსები დგება განსაზღვრული სქემით, რომელიც სავალდებულოა სახალხო მეურნეობის მოცემული დარგისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა საწარმოთა დიდძალი რაოდენობა. ყველა ამ საწარმოთა ბალანსები ერთობლივად იძლევიან ნაერთ ანუ კრებისთვის ბალანსს. ასეთი ბალანსების კრების და განზოგადება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ეს ბალანსი აგებული იქნება ერთი პრინციპის მიხედვით.

ცვლილებანი საშუალებებსა და წყაროების შემადგენლობაში სამეურნეო ოპერაციების გავლენით

როგორც უკვე ვიცით, საბუღალტრო ბალანსი წარმოადგენს მეურნეობის საშუალებებისა და მათი წარმოქმნის წყაროების მდგომარეობის განზოგადებულ გამოსახულებას ფულად გამოხატულებაში განსაზღვრული მომენტისათვის — ჩვეულებრივად თვის პირველი რიცხვისათვის. მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვასა და ბალანსს შორის კავშირი ვლინდება შემდეგში: ყოველი შესრულებული სამეურნეო ოპერაცია ცვლის საშუალებებს ან მათი წარმოქმნის წყაროებს. ასე, მაგალითად, მასალების წვრილი თანხებით ყიდვა ნაღდ ანგარიშზე მეურნეობაში აღიღებს მასალების ლირებულებათა ჯამს, მაგრამ იმავე დროს ამცირებს ფულად საშუალებათა ნაშთს, მზა პროდუქციის ცალობით გაყიდვა ნაღდ ანგარიშზე ამცირებს მეურნეობაში საქონლის ნაშთს და აღიღებს ფულის ნაშთს, მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის დარიცხვა აღიღებს მეურნეობის ხარჯებს ერთდროულად მუშა-მოსამსახურეებისადმი დავალიანების გადიდებასთან ერთად; ხელფასის გაცემა ამცირებს ნაღდი ფულის რაოდენობას მეურნეობაში და იმავედროულად ამცირებს მეურნეობის დავალიანებას მუშა-მოსამსახურეებისადმი და ა. შ. მაშასადამე, ყოველი ცალკე სამეურნეო ოპერაციის შემდეგ იცვლება საშუალებათა მდგომარეობა, იცვლება მათი წარმოქმნის წყაროების მდგომარეობა.

სამეურნეო ოპერაციების საშუალებებსა და წყაროებზე გავლენის ავალსაზრისით საჭიროა აღინიშნოს ოპერაციების შემდეგი ჯგუფები:

საშუალებათა შემადგენლობის შეცვლა, ე. ი. ერთი სახის საშუალების გადიდება და იმავედროულად მეორე სახის საშუალებათა შემცირება იმავე თანხით;

საშუალებათა წარმოქმნის წყაროების შემადგენლობის შეცვლა, ე. ი. ერთი სახის წყაროს გადიდება და მეორე სახის წყაროს შემცირება იმავე თანხით;

საშუალებების მოზიდვა მეურნეობაში ან ახალი საშუალებების წარმოქმნა, რაც იწვევს საშუალებათა გადიდებას და იმავედროულად მათი წარმოქმნის წყაროების გადიდებას;

მეურნეობიდან რაიმე საშუალების გასვლა, რომელიც იწვევს ამ საშუალებათა წარმოქმნის შესაბამის წყაროს ერთდროულ შენეირებას.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოგვყავს შემდეგი ნაგალითი:

საშუალებათა და მათი ფორმირების წყაროების მდგომარეობა საწარმოში რომელიმე მომენტისათვის ასეთია:

ბ ა ლ ა ნ ს ი

აბტივი

პასივი

ძირითადი საშუალებანი	400 000	ფონდი ძირითად საშუა-	
მასალები	100 000	ლებებში	400 000
საქონელი კვეშირებაზე-		ფონდი საბრუნავ საშუა-	
ლოის საწარმოებში	40 000	ლებებში	160 000
ფულადი საშუალებანი	50 000	კრედიტორები	45 000
ანგარიშვალდებულ პირნი	5 000	მოგება	20 000
დებიტორები	30 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000

პირობითი ასო „ა“-თ აღვნიშნოთ აქტივის საერთო ჯამი, ხოლო ასო „ბ“-თ—პასივის საერთო ჯამი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა პირობაში აქტივის საერთო ჯამი ყოველთვის ტოლია პასივის საერთო ჯამისა, მაშასადამე, ა=ბ.

განვიხილოთ ასეთი შემთხვევა. შეძენილია და მიღებული 20 000 მანეთის სხვადასხვა მასალა, რომელთა ფასი გადახდილია ანგარიშსწორების ანგარიშიდან. ცხადია, რომ საწარმოს მასალების ღირებულება, რომელიც ირიცხება ჩვენს ბალანსზე და 100 000 მანეთს შეადგენს, 20 000 მანეთით გაიზარდება და სულ მასალები უკვე იქნება 120 000

მანეთის¹. იმავე დროს საწარმოს ფულადი საშუალებანი შემცირდება 20 000 მანეთით და, ამრიგად, ფულად დაგვირგება 30 000 მანეთი, რადგან ჩვენს განკარგულებაში მყოფი 50 000 მანეთიდან 20 000 მანეთი გამოყენებულ იქნა მასალების ღირებულების გადასახდელად. რამდენადაც ამ მაგალითში სამეურნეო ოპერაცია შეეხო მხოლოდ საშუალებებს და უმოძრაოდ დატოვა მათი წყაროები, ამიტომ ბალანსის საერთო ჯამი-დარჩება უცვლელად და ბალანსი მიიღებს შემდეგ სახეს:

აქტივი	ბალანსი		პასივი
ძირითადი საშუალებანი	400 000	ფონდი ძირითად საშუალებებში	400 000
მასალები	120 000	ფონდი საბრუნავ საშუალებებში	160 000
საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოებში	40 000	კრედიტორები	45 000
ფულადი საშუალებანი	30 000	მოგება	20 000
ანგარიშვალდებულ პირნი	5 000		
დებიტორები	30 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000

თუ ჩვენ საშუალებებისა და მათი წყაროების მუხლებს ასო „X“-ით აღვნიშნავთ, ჩვენი წინა ფორმულა $a = b$ მიიღებს შემდეგ სახეს: $a + X - X = b$, ე. ი. აქტივის საერთო ჯამი პლუს 20 000 მან. მასალები მინუს ფულად საშუალებათა შემცირება 20 000 მან. ტოლია პასივის საერთო ჯამის.

განვიხილოთ მეორე შემთხვევა. ვთქვათ, სათანადო ორგანოების დადგენილებით მოგების მთელი თანხა დატოვებულია მუდმივ საკუთარ საბრუნავ საშუალებად. ამრიგად, მოგება უკვე აღარ იქნება, ხოლო ფონდი საბრუნავ საშუალებებში გაიზრდება 20 000 მანეთით. ეს ნიშ-

¹ საწარმოო და საექსპლოატაციო საქმიანობის პროცესში მეურნეობაში უნდა იყოს მატერიალურ ღირებულებათა ისეთი ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს შეუფერხებელ მუშაობას. ამიტომ საწარმოსათვის საბრუნავი საშუალებების განსახლვრისას წესდება აგრეთვე ამ ფასეულობათა მუდმივი მარაგის ნორმა.

ნავს, რომ ამ შემთხვევაში სამეურნეო ოპერაცია შეეხო მხოლოდ საშუალებათა ფორმირების წყაროებს და უცვლელად დატოვა თვითონ საშუალებათა შემადგენლობა და მდგომარეობა. ამ შემთხვევაში საშუალებათა საერთო ჯამი მეურნეობაში, აგრეთვე ამ საშუალებათა წარმოქმნის წყაროების საერთო ჯამიც, უცვლელი დარჩა. ფორმულა $a = b$ საშუალებათა წარმოქმნის წყაროების შეცვლის აღრიცხვისას შემდეგ სახეს მიიღებს $a = b + X - X$, ხოლო ბალანსი შემდეგ თანხებში გამოიხატება:

აქტივი	ბალანსი		პასივი
ძირითადი საშუალებანი	400 000	ფონდი ძირითად საშუალებებში	400 000
მასალები	120 000	ფონდი საბრუნავ საშუალებებში	180 000
საქონელი კაპიტალის საწარმოებში	40 000	კრედიტორები	45 000
ფულადი საშუალებანი	30 000		
ანგარიშვალდებული პირნი	5 000		
დებიტორები	30 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	625 000

განვიხილოთ მესამე მაგალითი. ჩვენი დავალიანების დასაფარავად გადახდილია 25 000 მან. ამ შემთხვევაში ფულადი საშუალებანი შემცირდება და იმავე თანხით მცირდება აგრეთვე კრედიტორებისაღმი დავალიანება. ეს ოპერაცია შეეხება არა მარტო საშუალებებს და მათი წარმოქმნის წყაროებს, არამედ ერთდროულად საშუალებათა ჯამს და წყაროების ჯამსაც ცვლის, აზრივად, გავლენას ახდენს როგორც აქტივის, ისე პასივის მდგომარეობაზე, ამცირებს რა მათ საერთო ჯამს. მართლაც, რას გვიჩვენებს ეს ოპერაცია? იგი გვიჩვენებს, რომ კრედიტორებისაღმი დავალიანების სახით მიზიდული წყაროები შემცირდა საშუალებათა შემცირების ხარჯზე, ამ შემთხვევაში ფორმულა $a = b$ ასე გამოისახება:

$a - X = b - X$, ხოლო ბალანსი შემდეგ სახეს მიიღებს:

ბალანსი

აბტვიზი

პასივი

ძირითადი საშუალებანი	400 000	ფონდი ძირითად საშუა-	400 000
მასალები	120 000	ლებებში	
საქონელი კავშირგაბმულო-		ფონდი საბრუნავ საშუა-	180 000
ბის საწარმოებში	40 000	ლებებში	
ფულადი საშუალებანი	5 000	კრედიტორები	20 000
ანგარიშვალდებული პირნი	5 000		
დებიტორები	30 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	600 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	600 000

განვიხილოთ შემთხვევაში მდგომარეობა. დამზადებულია ადგილებზე და მიღებული 32 000 მანეთის არამარკირებული კონვერტი (საქონელი), ამასთან მათი ღირებულება გადაუხდელია. ეს ნიშნავს, რომ 32 000 მან. საქონლის შენოსვლამ გაზარდა ნეურნეობაში საშუალებათა საერთო ჯამი კრედიტორების დავალიანების სახით წყაროების მიზიდვის ხარჯზე. ამრიგად, საშუალებებისა და მათი წყაროების საერთო ჯამი შეურუნეობაში გაიზარდა, ე. ი. $ა + X = ბ + X$.

ბალანსი ამ შემთხვევაში შემდეგ სახეს მიიღებს:

ბალანსი

აბტვიზი

პასივი

ძირით.დი საშუალებანი	400 000	ფონდი ძირითად საშუა-	400 000
მასალები	120 000	ლებებში	
საქონელი კავშირგაბმულო-		ფონდი საბრუნავ საშუა-	180 000
ბის საწარმოებში	72 000	ლებებში	
ფულადი საშუალებანი	5 000	კრედიტორები	52 000
ანგარიშვალდებული პირნი	5 000		
დებიტორები	30 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	632 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	632 000

ჩვენ მოვიყვანეთ საშუალებებისა და მათი შეურუნეობაში წარმოქმნის წყაროების მოძრაობის ოთხი ძირითადი ფორმა.

მაგრამ ყველა შესრულებული სამეურნეო პროცესი და მათთან დაკავშირებული ოპერაციები მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვაში დასახება არა ბალანსში, არამედ ანგარიშებში, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს საბუღალტრო ბალანსების შესადგენად.

5. მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები

სამეურნეო ოპერაციების მიმდინარეობაზე სისტემატური კონტროლის უზრუნველყოფად საბუღალტრო აღრიცხვაში ბალანსთან ერთად გამოიყენება მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშები. ანგარიშები ემსახურებიან სამეურნეო ოპერაციების, საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობის გამოხატვას. ანგარიში გამოიხატება ცხრილის სახით, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად; მარცხენა ნაწილს დებეტი ეწოდება, მარჯვენას — კრედიტი. რადგან ბალანსი შედგება აქტივისა და პასივის ორი ჯგუფის მუხლებისაგან, ანტიომ საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები, რომლებიც განიხილავენ საშუალებებისა და მათი წარმოქმნის წყაროების მოძრაობას, აგრეთვე ორი სახის არის:

ა) აქტიური ანგარიშები, ე. ი. ისეთი ანგარიშები, რომლებიც განიხილავენ მოძრაობას და ამასთან დაკავშირებით მეურნეობაში საშუალებათა ჯანის გადიდებას ან შემცირებას;

ბ) პასიური ანგარიშები, ე. ი. ისეთი ანგარიშები, რომლებიც განიხილავენ ბალანსის აქტივი განლაგებულ საშუალებათა ფორმირების წყაროების მოძრაობას, სახეზეყოფობას და ამასთან ერთად მათ გადიდებას ან შემცირებას. „დებეტს“ და „კრედიტს“ მოპირდაპირე მნიშვნელობა აქვს აქტიურ და პასიურ ანგარიშებში. იმ დროს, როცა აქტიური ანგარიშების დებეტში ჩაწერა აღიღებს საშუალებათა ჯამს, ხოლო აქტიური ანგარიშების კრედიტში ჩაწერა ამცირებს ამ საშუალებებს, პასიური ანგარიშების დებეტში ჩაწერა, პირიქით, ამცირებს საშუალებათა წარმოქმნის წყაროების ჯამს, ხოლო კრედიტში ჩაწერა მათი გადიდებას აღნიშნავს ემსახურება.

აქტიურ ანგარიშებში პირველდაწყებითი ჩაწერა წარმოებს დებეტში, ხოლო პასიურ ანგარიშებში — კრედიტში.

დავუშვათ, რომ სალაროში შემოვიდა 1000 მან. ანგარიშის მდგომარეობა: სტემატურად შემდეგნაირად გამოვსახავთ:

სალაროს ანგარიში

დებეტი	კრედიტი
შემოვიდა 1000	
" 600	
" 300	

იმის მიხედვით, თუ შევძევთ სალაროში როგორ შემოვა ფული, 1000 მან. თანხა გაიზრდება 600 და 300 მანეთით. თუ სალაროდან ფულის

გაცემას დავიწყებთ, მაშინ თანხა თანდათან შემცირდება. სალაროს ანგარიშის სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

დებეტი	კრედიტი
1 900	გაცემულია 750 „ 350 „ 800

თავდაპირველად 750 მანეთის გაცემის დროს სალაროში ნაშთი იქნება 1150 მან., მაგრამ თუ კიდევ გაცემულ იქნა 350 მან., სალაროში დარჩება 800 მან. და ა. შ. მანამდე, სანამ სალაროდან ნაწილ-ნაწილად ან ერთბაშად გაცემული არ იქნება დანარჩენი 800 მან., რომლის შემდეგ სალაროში არ იქნება ფულის არავითარი ნაშთი. ანგარიშის დებეტში ჩაწერისას ჩვენ ვამბობთ „ვადებეტეთ ანგარიში“, ხოლო ანგარიშის კრედიტში ჩაწერის დროს „ვაკრედიტეთ ანგარიში“, მაშასადამე, სალაროს ანგარიში ჩვენ სულ 1900 მანეთით ვადებეტეთ. ფულის გაცემისას ჩვენ თანდათან ვაკრედიტებდით სალაროს ანგარიშს პირველად 750 მან., შემდეგ 350 მან., და დასასრულ, კიდევ 800 მან., სანამ სალაროში ფულის არავითარი ნაშთი არ დარჩა. რასაკვირველია, არ შეიძლება ისეთი მდგომარეობა, რომლის დროს სალაროს ანგარიშის კრედიტში თანხა მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე დებეტში, რადგან სალაროდან შეუძლებელია იმაზე მეტი ფულის გაცემა, ვიდრე მასში იყო. მაშასადამე, თუ სალაროდან ფული მთლიანად გაცემულია, მასში ნაშთი არ იქნება და ამ შემთხვევაში დებეტის თანხა კრედიტის თანხის ტოლი იქნება. თუ ფული მთლიანად არ არის გაცემული სალაროდან, მაშინ სალაროში იქნება რაიმე ნაშთი (ჩვენს მაგალითში უკანასკნელი გაცემის წინ იქ რჩებოდა 800 მან.) და ამ შემთხვევაშიც იგი ტოლი იქნება დებეტის საერთო თანხისა კრედიტის საერთო თანხის გამოკლებით, ე. ი. მივიღებთ დებეტის ნაშთს¹.

¹ სხვათა' ა' დებეტის ჯამსა და კრედიტის ჯამს შორის აქტიურ ანგარიშში და კრედიტის ჯამსა და დებეტის ჯამს შორის პასიურ ანგარიშში, ჩვენ ვუწოდებთ ნაშთს ანუ სალდოს.

განვიხილოთ კიდევ აქტიური ანგარიშის ერთი მაგალითი. დავეუშვათ, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა მივლინებისათვის აუანსად მიიღო 1000 მან. მაშინ პირველი ჩანაწერი ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშზე იქნება დებეტში, ხოლო ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში მიიღებს ასეთ სახეს:

ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში

ა. ა. ივანოვი

დებეტი

კრედიტი

გაცემულია 1000

შემდეგ დავეუშვათ, რომ ივანოვი დაბრუნდა მივლინებიდან და წარმოადგინა სააუანსო ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია 845 მანეთის ხარჯები. ეს ნიშნავს, რომ ხარჯები იმ საწარმოსი, რომელმაც მიავლინა ივანოვი, 845 მანეთით გაიზარდა, ხოლო ივანოვის ვალი შემცირდა ამავე თანხის რაოდენობით. ამასთან დაკავშირებით ივანოვის ანგარიში შემდეგ სახეს მიიღებს:

ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში

ა. ა. ივანოვი

დებეტი

კრედიტი

გაცემულია 1000

მიღებულია საავ. ანგ. 845

რაგორც ჩანს, დებეტში მეტი თანხა გვაქვს, ვიდრე კრედიტში, სხვაობა შეადგენს 155 მან., ამასთან, ეს სხვაობა სადებეტოა. თუ ივანოვი სალაროში შეიტანს ვალის ნაშოს, მაშინ მისი ანგარიშის კრედიტში ჩაიწერება დარჩენილი 155 მანეთი და ნაშთი მასზე არ იქნება.

აქტიური ანგარიშების ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასეთ ანგარიშებში ნაშთი შეიძლება იყოს მხოლოდ დებეტის ან შეიძლება ნაშთი სრულიად არ იქნეს.

პირიქით, პასიურ ანგარიშში ნაშთი, თუ იგი არის, შეიძლება იყოს მხოლოდ კრედიტისა ანდა სრულიად არ იქნება ნაშთი. მაგალითისათვის ავიღოთ კრედიტორების ანგარიში, რომელშიც გამოხატულია მეურნეობის დაეალიანება. ვთქვათ, მეურნეობამ

შეიძინა 40 000 მანეთის საქონელი და მიმწოდებლისათვის ჯერ არ გაუსწორებია ანგარიში. მიღებული საქონლის თანხის ოდენობით იზრდება მეურნეობის საშუალებანი და, ამასთან ერთად, იზრდება კრედიტორებისადმი დავალიანება. კრედიტორებისადმი დავალიანება შეიძლება ასე ვუჩვენოთ:

მიმწოდებლების ანბარიში

მთავარმომარაგება¹

დ ე ბ ე ტ ი	კ რ ე დ ი ტ ი
გადახდილია დავალიანების დასაფარავად 25 000	დავალიანება საქონლი-სათვის 40 000

თუ მეურნეობა გაისტუმრებს თავისი დავალიანების ნაწილს, ვთქვათ 25 000 მან., მაშინ ვალის ნაშთი დარჩება 15 000 მან. ამრიგად, კრედიტში მეტი თანხაა, დებეტში ნაკლები—საკრედიტო სხვაობა 15 000 მანეთს უდრის. თუ მეურნეობა გადაიხდის ყველა 40 000 ნან., მაშინ არავითარი დავალიანება არ იქნება. პასიურ ანგარიშში ნაშთი, თუ იგი არის, ყოველთვის კრედიტისაა. ამგვარად:

ანგარიშები არის აქტიური და პასიური; -

ყოველ ანგარიშს აქვს ორი მხარე: დებეტი და კრედიტი;

• აქტიურ ანგარიშში პირველდაწყებითი ჩაწერა ხდება დებეტში, პასიურ ანგარიშში—კრედიტში;

• აქტიურ ანგარიშს ან არ ექნება ნაშთი, ან შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დებეტის ნაშთი;

• პასიურ ანგარიშსაც ან არ ექნება ნაშთი, ან ექნება მხოლოდ კრედიტის ნაშთი;

• აქტიური ანგარიშის ყოველი დებეტობა ანუ დებეტში თანხის ჩაწერა აღიღებს მეურნეობის საშუალებებს, ხოლო კრედიტობით ან კრედიტში თანხის ჩაწერით მცირდება მისი საშუალებანი; პასიურ ანგარიშში, პირიქით, მისი დებეტობა ამცირებს მეურნეობის საშუალებათა ფორმირების წყაროებს, ხოლო კრედიტობა აღიღებს მას.

საბუღალტრო აღრიცხვის პრაქტიკაში, როცა ადგილი აქვს დებიტორებთან და კრედიტორებთან საანგარიშსწორებო ოპერაციების დიდ

¹ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო. რმდ.

რაოდენობას, შესაძლებელია ცალკე შემთხვევები, როცა დროის რაიმე მცირე პერიოდში დებიტორი გახდეს კრედიტორად და, პირიქით, კრედიტორი — დებიტორად: ეს იქნება აქტიურ-პასიური ანგარიშების ჯგუფი.

ასე, მაგალითად, თუ ანგარიშვალდებულმა პირმა მივლინებისათვის მიიღო 1000 მან., ხოლო ფაქტიურად მისმა ხარჯებმა შეადგინა 1050 მან., მაშინ დროებით, სანამ ეს პირი მიიღებდეს 50 მან., იგი ხდება კრედიტორად, და ამასთან დაკავშირებით ანგარიში ანგარიშვალდებული პირებისა — ივანოვის, რომელიც მოყვანილია 27 გვ., შემდეგ სახეს მიიღებს:

ანბარიში ანბარიშვალდებული პირებისა
ა. ა. ივანოვი

დებიტო	კრედიტო
გაცემულია 1000	მიღებულია საავ. ანგ. 1050

მაგრამ წესით ანგარიშვალდებულ პირს ნება არა აქვს დახარჯოს იმაზე მეტი ფული, ვიდრე მან მიიღო ანგარიშქვეშ, და კრედიტის დებეტზე გადაქარბების შემთხვევები გამონაკლის წარმოადგენენ.

განვიხილოთ მეორე მაგალითი. დაეუშვათ, რომ სათბობის დამზადების დროს სახბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ჩვენ სატყეო მეურნეობის ანგარიშზე ხელწერულების თანახმად წინასწარი გადახდის ანგარიშში გადავირიცხეთ 1000 მან. ამ შემთხვევაში აკრედიტებენ საანგარიშსწორებო ანგარიშს სახბანკში და ადებეტებენ (სატყეო მეურნეობის) დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშს. ამ ანგარიშს სათბობის ფაქტიურად შემოსვლანდე ექნება დებეტის ნაშთი (საღლო).

სატყეო მეურნეობიდან სათბობის მიღების შემდეგ, დაეუშვათ, 1200 მანეთისა, საჭიროა 1200 მან. ჩაიწეროს სათბობის ანგარიშის დებეტში და (სატყეო მეურნეობის) დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშის კრედიტში.

ამრიგად, წარმოებული ჩანაწერების შემდეგ სატყეო მეურნეობის ანგარიში ასეთ სახეს მიიღებს:

ანბარიში დებიტორებისა და კრედიტორების
სატყეო მეურნეობა

დებიტო	კრედიტო
გადირიცხა სათბობის დამზადების დროს 1000	შემოვიდა სათბობი 1200

მაშასადამე, სატყეო მეურნეობის ანგარიში, რომელსაც უკანასკნელ ოპერაციამდე სალდო (ნაშთი) ჰქონდა 1000 მან. თანხით და ირიცხებოდა დებიტორად, ახლა მას ექნება კრედიტის ნაშთი (სალდო) 200 მანეთის თანხით და იქნება კრედიტორი.

6. ანგარიშთა შორის ურთიერთდამოკიდებულება

ანგარიშში თითოეული ცალკე ჩანაწერით არ ვლინდება სამეურნეო ოპერაციის ელემენტების სრული ურთიერთკავშირი, თითოეული სამეურნეო ოპერაცია უნდა გამოიხატოს ერთი ანგარიშის დებიტში და მეორე ანგარიშის კრედიტში. ანგარიშთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას ანგარიშების კორესპონდენცია ეწოდება.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

1. ფინანსთა სამინისტროს მითითებით, საწარმოს საკუთარი საბრუნავი საშუალებების შესაქმნელად ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაერიცხა 500 000 მან. საკუთარი საბრუნავი საშუალებანი მეურნეობაში შეიძლება გვექონდეს მასალების, საქონლის, წარმოების დანახარჯების, ანგარიშსწორებათა და აგრეთვე ნაღდი ფულის სახით. მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია, რომ საბრუნავი ფონდის შესაქმნელად ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაირიცხა ფულადი საშუალებანი 500 000 მან. ჩვენ უკვე ვიცით, რომ საკუთარ საბრუნავ საშუალებათა წყაროს წარმოადგენს ფონდი საბრუნავ საშუალებებში. მეურნეობის საშუალებებს უჩვენებენ ბალანსის აქტივში, ხოლო მათი წარმოქმნის წყაროებს—ბალანსის პასივში. მეურნეობის საშუალებანი, რომელთა აღრიცხვა წარმოებს აქტიურ ანგარიშში (ამ შემთხვევაში ფულადი საშუალებანი), თავდაპირველად ჩაიწერება დებიტში, ხოლო ფონდს საბრუნავ საშუალებებში, როგორც პასიურ ანგარიშს, პირველდაწყებითი თანხა ჩაიწერება კრედიტში.

მაშასადამე, ჩანაწერი ჩვენი მაგალითის მიხედვით ასეთი იქნება:

ანგარიშსწორების ანგარიში
სახსბანკში

ფონდი საბრუნავ საშუა-
ლებებში

ანგარიშსწორების ანგარიში		ფონდი საბრუნავ საშუა- ლებებში	
დებიტო	კრედიტო	დებიტო	კრედიტო
(1) 800 000			500 000 (1)

ე. ი. სახბანკოში ანგარიშსწორების ანგარიშის დებეტი და კრედიტი ფონდისა საბრუნავ საშუალებებში.

2. სახბანკოში ანგარიშსწორების ანგარიშიდან სალაროში სხვადასხვა ხარჯებისათვის მიღებულია 4000 მან. ბანკიდან, სადაც ინახება ჩენი ფული, სალაროში წაღებულია 4000 მან. ამ ოპერაციაში ორი ანგარიში მონაწილეობს—ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკოში, რომელზედაც ფულის საერთო ჯამი შემცირდა, და სალაროს ანგარიში, რომელშიც რიცხული თანხა იზრდება. ჩანაწერი ასეთი იქნება:

სალაროს ანგარიში		ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკოში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
(2) 4 000		500 000	4 000 (2)

ე. ი. სალაროს ანგარიშის დებეტი

ანგარიშსწორების ანგარიშის კრედიტი სახბანკოში 4 000 მან.

3. შექმნილია 25 000 მან. მასალა, მიწოდებისათვის კუთვნილი თანხის გადარიცხვით ანგარიშსწორების ანგარიშიდან. ამ შემთხვევაში წარმოებს მასალების გადიდება და თანხების შემცირება ბანკოში ჩენს ანგარიშსწორების ანგარიშზე. ეს ოპერაცია ანგარიშებში აისახება შემდეგნაირად (მიწოდებლების ანგარიშის ჩანაწერები არ არის მოყვანილი):

მასალების ანგარიში		ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკოში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
(3) 25 000		500 000	4 000 25 000 (3)

4. მეურნეობის გამგეს სამეურნეო ხარჯებისათვის საქვეანგარიშოდ მიეცა 500 მანეთი. ამ ოპერაციით მცირდება ფული სალაროში (აკრედიტებენ სალაროს ანგარიშს) და იქმნება ანგარიშვალდებული პირის დავალიანება (აღებებენ ანგარიშვალდებული პირის ანგარიშს). ანგარიშის ჩანაწერი ასეთი იქნება:

ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშის დებეტი

სალაროს ანგარიშის კრედიტი 500.

ანგარიშვალდებულ პირთა
ანგარიში

სალაროს ანგარიში

დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
40.0	500 (1)	(4) 500	

ამრიგად, ყოველი სამეურნეო ოპერაცია გამოიხატება ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში, თანაბარი თანხით. ისეთ ჩანაწერებს, რომლებშიაც ერთ ანგარიშს აღებებებენ და მეორეს აკრედიტებენ, მარტივი ეწოდება.

5. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ოპერაციით აღებებენ ერთ ანგარიშს, ხოლო აკრედიტებენ რამდენიმე ანგარიშს, ან პირიქით. ამ შემთხვევაში საანგარიშო ფორმულებს უწოდებენ რთულს. მაგალითი: ანგარიშვალდებულმა პირმა, რომელსაც მიცემული ჰქონდა ავანსი 500 მანეთი (იხილე მე-4 მაგალითი), წარმოადგინა ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ მან დახარჯა:

საკანცელარიო ნივთების შესაძენად .	220 მან.
სამი ცალი მაგიდის მინის „	180 „
ნაყიდი საგნების გადასატანად .	20 „
	<hr/>
სულ	420 მან.

ამ ოპერაციის მიხედვით სამი ცალკე მარტივი ჩანაწერის ნაცვლად შეიძლება გავაკეთოთ ერთი რთული ჩანაწერი, რომლის დროს ანგარიშვალდებულ პირის ანგარიშს ვაკრედიტებთ 420 მან., და იმავედროულად მასალების ანგარიშის დებეტში ვწერთ 220 მან. (საკანცელარიო ნივთები), მკირეფასიანი საგნების ანგარიშის დებეტში — 180 მან. (მაგიდის მინები) და ექსპლოატაციის ხარჯების ანგარიშის დებეტში — 20 მან. (ნაყიდი საგნების გადატანისათვის).

საანგარიშო ჩანაწერი ასე იქნება გაფორმებული:

მასალების ანგარიშის დებეტი	220 მან.
მკირეფასიანი საგნების „	180 „
ექსპლოატაციის ხარჯების „	20 „
ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშის კრედიტი	420 „

ანგარიშებში იქნება შემდეგი ჩანაწერი:

ანგარიშვალდებულ პირთა
ანგარიში

დებეტი	კრედიტი
500	420 (5)

მცირეფასიანი საბნების
ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(5) 180	

მასალების ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(5) 220	

საექსპლოატაციო ხარჯების
ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(5) 20	

აქედან ცხადია, რომ ანგარიშვალდებულ პირზე რჩება 80 მან.
ანგარიშვალდებულ პირისაგან მის მიერ გამოუყენებელ 80 მანეთის დაბრუნებისას სალაროში, ოპერაცია გატარდება შემდეგი მუხლით: სალაროს ანგარიშის დებეტი
ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშის კრედიტი 80 მან.

ანგარიშვალდებულ პირთა
ანგარიში

დებეტი	კრედიტი
500	420 80 (6)

სალაროს ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(5) 80	

ამის შემდეგ ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში დაიხურება, ე. ი. არ ექნება ნაშთი.

ამ მაგალითით ნაჩვენებია, რომ გადატანის ღირებულება გატარებულია პირდაპირ ხარჯებში ნაყიდ საგნების ღირებულების გაუღიდებლად. მაგრამ, ჩვეულებრივად, მასალების, საქონლისა და ყოველგვარი ფასეულობის შექმნისას მათი გადატანის ხარჯები ტარდება უშუალოდ გადატანილ ფასეულობათა ღირებულების გადიდებით.

ამ შემთხვევაში მოყვანილი ანგარიშის ჩანაწერი მიიღებს შემდეგ სახეს:

მასალების ანგარიშის დებეტი (მასალების ღირებულება)	220	
" " " მათი გადატანა	<u>11</u>	231
მცირეფასიანი საგნების " (საგნების ღირებულება)	180	
" " მათი გადატანა	<u>9</u>	<u>189</u>
ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშების კრედიტი	420	420

ყველა ეს ჩანაწერი გვიჩვენებს, რომ თითოეული სამეურნეო ოპერაციის და, მაშასადამე, ერთად აღებულ ყველა ოპერაციის მიხედვითაც სხვადასხვა ანგარიშების დებეტისა და კრედიტის საერთო ჯამის თანასწორობა დაცულია.

ჩვენ აქ ვუჩვენებთ მარტივი და რთული საანგარიშო ჩანაწერთა შედგენის წესი. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ არ უნდა დავეშვათ ისეთ ჩანაწერთა შედგენა, რომლის დროს ერთდროულად წარმოება რამდენიმე ანგარიშის დებეტობა და კრედიტობა. ასეთ ჩანაწერთა შედგენა აძნელებს კონტროლს და ხლართავს თვით ოპერაციის შინაარსს. გარდა ამისა, ასეთი ჩანაწერები შესაძლებლობას გვართმევს სწორი ურთიერთკავშირი დავამყაროთ ოპერაციებს შორის, საშუალებას არ გვაძლევს ანალიზი გავუკეთოთ გეგმის შესრულების მიმდინარეობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს:

საბუღალტრო ჩანაწერი ააშკარავებს ოპერაციებს შორის ურთიერთკავშირს ორმაგი ჩაწერის მეთოდით ანგარიშთა დაწესებული კორესპონდენციის საფუძველზე;

ორმხრივ ჩანაწერს საბუღალტრო აღრიცხვაში დიდი საკონტროლო მნიშვნელობა აქვს;

ყოველი სამეურნეო ოპერაცია თანაბარი თანხით გამოიხატება ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში (მარტივი ჩაწერა), ან ერთი ანგარიშის დებეტში და ორი ან მეტი ანგარიშის კრედიტში, ან ერთი ანგარიშის კრედიტში და ორი ან მეტი ანგარიშის დებეტში (რთული ჩაწერა).

თითოეული სამეურნეო ოპერაციის მიხედვით, და, მაშასადამე, განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელიწადი) შესრულებული

ყველა ოპერაციის მიხედვითაც, აუცილებლად დაცულია სხვადასხვა ანგარიშების დებეტსა და კრედიტში ჩაწერილი თანხების საერთო ჯამის ტოლობა.

7. საერთო და დეტალური ანგარიშები

წინა მაგალითებში ჩვენ ვსარგებლობდით მხოლოდ განზოგადებული მაჩვენებლებით. ჩვენ ვლაპარაკობდით მასალების ანგარიშზე, ამასთან ლაპარაკი იყო რიგ მასალაზე განზოგადებულ ფულად გამოხატულებასში.

სწორედ ასევე კრედიტორების ანგარიშში ჩვენ გამოვხატეთ საერთო დავალიანება სხვადასხვა კრედიტორებისადმი. ისეთ აღრიცხვას, რონელიც განზოგადებულ მაჩვენებლებში გამოხატავს სამეურნეო პროცესებს, საშუალებებსა, ან მათი წარმოქმნის წყაროების ერთგვარი ჯგუფების მიხედვით, გაერთიანებული (სინთეზური) აღრიცხვა ეწოდება, ხოლო ანგარიშებს, რომლებშიც წარმოებს ასეთი აღრიცხვა, — საერთო (სინთეზური) ანგარიშები. ნაშასადამე, მასალების საერთო ანგარიში გამოხატავს ყველა სახის ნასალის მოძრაობასა და ნაშთებს, ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში გვიჩვენებს საქვეანგარიშო თანხების მოძრაობასა და ნაშთებს იმ პირებისას, რომელთაც მაიღეს ავანსი ამა თუ იმ სამეურნეო საქიროებისათვის. სწორედ ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქონლის, დებიტორების, კრედიტორების, ხარჯების, შენოსავლის ანგარიშებზე და ა. შ. ყველა ეს ანგარიში საერთოა. მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობისას და ვგელა სამეურნეო ოპერაციის მაგვლელობაზე კონტროლის დაწესებისას მხოლოდ საერთო (სინთეზური) აღრიცხვას მიიღიანად არ შეუძლია უზრუნველყოს საქარო ცნობების მიღება. ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა, რომლებიც პასუხს აგებენ მეურნეობის ამა თუ იმ უზნის საქმიანობისათვის, აუცილებლად უნდა იცოდნენ არა მარტო, მაგალითად, რა თანხის ყველა მასალა ან ყველა საქონელი მოიპოვება მეურნეობაში, არამედ მათ უნდა იცოდნენ, სახილდობრ, რა სახის მასალები მოიპოვება, რა რაოდენობისა და რა ფასიანი, აგრეთვე აუცილებელია იცოდნენ მეურნეობის კრედიტორებისადმი დავალიანების არა მარტო საერთო თანხა, არამედ როგორია დავალიანება თითოეული კრედიტორისადმი, როდას დგება ამ დავალიანების დაფარვის ვადები და ა. შ. აღრიცხვას, რომელიც იძლევა ასეთ დაწვრილებითს, კერძო

მაჩვენებლებს, დეტალური (ანალიზური) ეწოდება, ხოლო ანგარიშებს, რომლებშიაც წარმოებს ასეთი აღრიცხვა, დეტალური (ანალიზური) ანგარიშები ეწოდება. განმარტოთ ეს მაგალითით:

მასალების ანგარიში	
დებეტი	კრედიტი
შემოვიდა მასალები 102 000	დახარჯულია მასალები 42 000

მოყვანილი საერთო (სინთეზური) ანგარიში გვიჩვენებს, რომ სულ საწარმოში შემოვიდა 102 000 მან. მასალა და დახარჯულია 42 000 ზან. მაგრამ ამ ანგარიშიდან არ ჩანს, სახელდობრ, რა მასალები შემოვიდა, რა ფასიანი, რამდენი და რა მასალებია დახარჯული და როგორია ცალკეული სახის მასალების წაშთი. ამისთვის ზოგად ანგარიშთან ერთად შემოღებულია დეტალური აღრიცხვა.

მავთულის ანგარიში		ლურსმნის ანგარიში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
შემოვიდა 25 ტ ტონა 1800 მან. 45 000	დახარჯულია 14 ტ ტონა 1800 მან. 25 200	შემოვიდა 10 ტ ტონა 1700 მან. 17 000	დახარჯულია 4,5 ტ ტონა 1700 მან. 7 650

ბანხსოლოებლის ანგარიში

დებეტი	კრედიტი
შემოვიდა 40 000 ცალი ცალი 1 მან. 40 000	დახარჯულია 9150 ცალი ცალი 1 მან. 91-0

ამ ანგარიშებიდან ჩანს, რომ ყველა დეტალური ანგარიშის დებეტში ჩაწერილი თანხების საერთო ჯამი უდრის საერთო ანგარიშის დებეტის ჯამს. მსგავს ტოლობას ადვილი აქვს დეტალური ანგარიშების კრედიტების ჩანაწერთა მიხედვითაც, რომელთა საერთო ჯამი ტოლია საერთო ანგარიშის კრედიტის ჯამისა. პრაქტიკაში საერთო ანგარიშები ცნობილია პირველი რიგის ანგარიშების სახელწოდებით. სწორედ ამ ანგარიშების სახელწოდებით განისაზღვრება ბალანსის მუხლების

დასახელება. პირველი რიგის ანგარიშები განიყოფება სუბანგარიშებად (ქვეანგარიშებად), ანუ მეორე რიგის ანგარიშებად, მაგალითად, მცირეფასიანი საგნების ანგარიში (საერთო ანგარიში) განიყოფება ორ ქვეანგარიშად: 1) ანგარიში მცირეფასიანი საგნებისა ექსპლოატაციაში; 2) ანგარიში მცირეფასიანი საგნებისა მარაგში.

დეტალური ანგარიშები ეწოდება ანგარიშებს, რომლებიც იხსნება საერთო ანგარიშების ან ქვეანგარიშების განსავითარებლად. მაგალითად, მასალების ანგარიში არის საერთო ანგარიში, ხოლო მავთულის ანგარიში, სპილენძის ანგარიში და ა. შ.—დეტალური ანგარიშები.

ზოგიერთ საერთო ანგარიშს დეტალური ანგარიშები არა აქვს.

ამრიგად, თუ საერთო ანგარიშები განკუთვნილია გეგმის შესრულების საერთო მიმდინარეობის გამოსახატავად, სამაგიეროდ დეტალური ანგარიშების მიზანს შეადგენს დაწვრილებითი კონტროლი დააწესოს ყველა ცალკეულ სამეურნეო ოპერაციაზე.

8. ანგარიშებში სანიმუშო ჩანაწერები და ბრუნვებათა უწყისის შედგენა

მოვიყვანოთ ანგარიშებში ჩანაწერები ცალკეული სანიმუშო ოპერაციების მიხედვით და ამ ჩანაწერების საფუძველზე შევადგინოთ ბრუნვათა უწყისი.

დავუშვათ, რომ მეურნეობაში არის:

1. ძირითადი საშუალებანი (შენობები, მოწყობილობა, ავტოტრანსპორტი, ხაზის ნაგებობანი და სხვ.) სულ	500 000 მან.
2. საბრუნავი საშუალებანი:	
ფულადი სახსრები ანგარიშსწორების ანგარიშზე	40 000 "
მასალები	30 000 "
მცირეფასიანი საგნები	5 000 "
სულ საბრუნავი საშუალებანი	75 000 მან.
სულ	575 000 მან.

თავისი მუშაობის დასაწყისში მეურნეობამ უნდა აღნიშნოს საშუალებათა და მათი წყაროების მდგომარეობა. ამის დოკუმენტალურ საფუძველს წარმოადგენს ეგრეთწოდებული ინვენტარული ბალან-

სი, ე. ი. ბალანსი, რომელიც შედგენილია ყველა ფასეულობათა ნა-
ტურაში ფაქტიური შემოწმების საფუძველზე. სხვანაირად ასეთ ბალანსს
შესავალი ბალანსი ეწოდება. რამდენადაც მეურნეობას მოეპოვება
საშუალებანი, ბალანსის შესადგენად საჭიროა გამოვავლინოთ მათი
წარმოქმნის წყაროები. როგორც უკვე ვიცით, ძირითადი საშუა-
ლებების წყაროა ფონდი ძირითად საშუალებებში, ხოლო საკუთარ
საბრუნავ საშუალებათა წყარო კი არის ფონდი საბრუნავ საშუალებებ-
ში. მაშასადამე, შესავალ ბალანსს ასეთი სახე ექნება:

შესავალი ბალანსი 1950 წ. 1 იანვარისათვის

აქტივი

პასივი

ძირითადი საშუალებანი	500 000	ფონდი ძირითად საშუა- ლებებში	500 000
მასალები	30 000	ფონდი საბრუნავ საშუა- ლებებში	75 000
მცირეფასიანი საგნები	5 000		
ანგარიშსწორების ანგა- რიში სახბანკში	40 000		
ბ ა ლ ა ნ ს ი	575 000	ბ ა ლ ა ნ ს ი	575 000

მოვიყვანოთ რიგი ოპერაციები და გამოვხატოთ ისინი მიმდინარე
აღრიცხვაში:

1. შენობების მ-მდინ.რე რემონტისათვის დახარჯულია 4 000 მანეთის მასალა
ჩანაწერი იქნება:
დებეტი ექსპლუატაციის ხარჯების ანგარიში
კრედიტი მასალების ანგარიში 4 000
2. სადგომების რემონტზე მომუშავე მუშების:თვის და სხვა ხარჯებისათვის
ბანკიდან ჩეკით მიღებულია 2 000 მან.
ბანკიდან ფულის მისაღებად გამოწერილია შემოსავლის ორდერი, რომლის
მიხედვით ჩანაწერი იქნება:
ა) დებეტი სალაროს ანგარიში
კრედიტი ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში 2000
მუშებისათვის მიცემულ ხელფასის თანხაზე შედგენილია გასავლის ორდერი,
რომლის მიხედვით ჩანაწერი იქნება:
ბ) დებეტი ექსპლუატაციის ხარჯების ანგარიში
კრედიტი სალაროს ანგარიში 1 700
(შეუღედი ჩანაწერი მუშა-მოსამსახურეთა ანგარიშით მოყვანილი არ არის)

1 პრაქტიკაში შემოღებულია ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით ფონდის
საერთო ანგარიში.

3. მოკუმულ საწარმოს მოსამსახურეებს დაერიცხათ ხელფასი თვეში 8400 მანეთი.
 დებეტი ექსპლუატაციის ხარჯების ანგარიში
 კრედიტი მუშა-მოსამსახურეების ანგარიში ხელფასით 8400
4. სათანადო ანგარიშებში გადარიცხულია ხელფასიდან დაქვითვანი:
 სესხი 790 მან.
 სამემოსავლო გადასახადი 410 მან.
 დებეტი მუშებია და მოსამსახურეების ხელფასის ანგარიში
 კრედიტი დებიტორ-კრედიტორებს ანგარიში (ანგარიშსწორება
 საფინანსო ორგანოებთან) 1200
5. ხელფასის გასაცემად ბანკიდან ჩეკით მიღებულია 7200 მან. ჩანაწერი ასეთი იქნება:
 დებეტი სალაროს ანგარიში
 კრედიტი ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში 7200
6. გადაერიცხა საფინანსო განყოფილებას და შენახველ სალაროს სამემოსავლო გადასახადისა და სესხის 1200 მან. ბანკისათვის მიცემული დავალებით:
 დებეტი დებიტორ-კრედიტორების ანგარიში
 კრედიტი ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში 1200
7. მიეცა საქვანგარიშოდ მკუბუნავე ივანოვს საკანცელარიო ნივთების საყიდლად 200 მან.
 დებეტი ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში
 კრედიტი სალაროს ანგარიში 200
8. ხელფასი ორგანიზაციიდან მიღებულია 20000 მან. ღირებულების ძირითად საშუალებანი
 დებეტი ძირითად საშუალებათა ანგარიში
 კრედიტი ფონდი ძირითად საშუალებებში 20000
9. მცირეფასიანი საგნების შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წვრილმანი საგანი, სულ 30 მან. ღირებულების, სრველის გამო უვარგისია
 დებეტი ექსპლუატაციის ხარჯების ანგარიში
 კრედიტი მცირეფასიანი საგნების ანგარიში 20
10. მიეცა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი 7000 მანეთი
 დებეტი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ანგარიში
 კრედიტი სალაროს ანგარიში 7000
11. მიღებულია მასალები 20 ტ მ-ვთული 34000 მან. და 100 აკ ქალაღი 4000 მან. ანგარიშის მოღებამდე მასალა შეფასებულია 38000 მან.
 დებეტი მასალების ანგარიში
 კრედიტი მიმწოდებლების ანგარიში დაუფაქტურებული მიწოდებებით 38000
12. ანგარიშვალდებული ივანოვის მიერ წარმოდგენილია საფანსო ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ შეუძენია მცირეფასიანი ინვენტარი 176 მან., ხოლო 24 მანეთი დაუბრუნებია სალაროში
 ა) დებეტი მცირეფასიანი საგნების ანგარიში
 კრედიტი ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში

- ბ) დებეტი სალაროს ანგარიში
კრედიტი ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიში 24
13. დარიცხულია სოცდაზღვევის 512 მან.
დებეტი ექსპლუატაციის ხარჯები
კრედიტი დებიტორ-კრედიტორების ანგარიში 512
14. მოუკითხავი ხელფასის ნაშთი 200 მანეთი გადარიცხულია დეპონენტების ანგარიშში.
დებეტი მუშა მოსამსახურეთა ხელფასის ანგარიში
კრედიტი დებიტორ-კრედიტორების—დეპონენტების ანგარიში. 200
15. კავშირგაბმულობის სხვა კანტორის მუშაკს, აშხ. სიდოროვს, რომელიც მიგ-ლინებაში იმყოფება, კავშირგაბმულობის სამმართველოს თხოვნით მიეცა 75 მანეთი, ჩანაწერი იქნება:
დებეტი დებიტორ კრედიტორების ანგარიში
კრედიტი სალაროს ანგარიში 75
- სქემატურად ყველა მოყვანილი ჩანაწერი შემდეგ ს.ხეს მიიღებს:

ძირითად საშუალებათა ანგარიში

ფონდი ძირითად საშუა-
ლებებში

დებეტი		კრედიტი
ნაშთი	500 000	
(8)	20 000	

დებეტი		კრედიტი
		ნაშთი 500 000
		20 000 (8)

მასალების ანგარიში

მცირეფასიანი საგნების ანგარიში

დებეტი		კრედიტი
ნაშთი	30 000	4 000 (1)
(11)	38 000	

დებეტი		კრედიტი
ნაშთი	5 000	30 (9)
(12)	176	

ანგარიშსწორების ანგარიში სახბანაში

ფონდი საბრუნავ საშუა-
ლებებში

დებეტი		კრედიტი
ნაშთი	40 000	2 000 (2ა)
		7 200 (5)
		1 200 (6)

დებეტი		კრედიტი
		ნაშთი 75 000

**ემსკლოტაციის ხარჯების
ანგარიში**

დებეტი	კრედიტი
(1) 4 000	
(2ბ) 1 700	
(3) 8 400	
(9) 30	
(13) 512	

**მუშა-მოსაღსახურეთა
ხელფასის ანგარიში**

დებეტი	კრედიტი
(4) 1 200	8 400 (3)
(10) 7 000	
(14) 200	

**ანგარიშვალდებულ პირთა
ანგარიში**

დებეტი	კრედიტი
(7) 200	00 12

სალაროს ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(2ა) 2 000	1 700 (2ბ)
(5) 7 200	200 (7)
(12) 24	7 000 (10)
	75 (15)

დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში

დებეტი	კრედიტი
(6) 1 200	1 200 (4)
(15) 75	512 (13)
	200 (14)

**მიმწოდებლების ანგარიში
დაუფაქტურებელი
მიწოდებებით**

დებეტი	კრედიტი
	38 000 (11)

მოყვანილი ოპერაციები გვიჩვენებენ თითოეულ ანგარიშში ცალ-ცალკე საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობასა და მდგომარეობას. მაგრამ იმისათვის, რომ, ერთი მხრით, განვაზოგადოთ ყველა ოპერაციის მონაცემი, და, მეორე მხრით, შევამოწმოთ რამდენად სწორად არის ყველა ოპერაცია გამოსატული მიმდინარე აღრიცხვაში, ანგარიშების მიხედვით ადგენენ ბრუნვათა უწყისს (ბრუნვათა ბალანსს). ბრუნვათა ბალანსი წარმოადგენს კრედიტის უწყისს, რომელიც გვიჩვენებს თითოეული ანგარიშის მიხედვით ცალკე დაწყებითს ნაშთებს და თითოეული ანგარიშის დებეტ-კრედიტის ბრუნ-

ვებს და ამ ბრუნვათა საერთო ჯამს განსაზღვრულ პერიოდში და შემდეგ თითოეული ანგარიშის მიხედვით განსაზღვრული პერიოდის ბოლოსათვის გამოყვანილი დებეტ-კრედიტის ნაშთებსა და ამ ნაშთების საერთო ჯანს.

საერთო ანგარიშების ბრუნვათა უწყისი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

№ რიგზე	საერთო ანგარიშების დასახელება	დაწყებითი ნაშთები		ბრუნვები თვეში		ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი

ბრუნვათა უწყისი დგება პერიოდულად—ჩვეულებრივად ყოველთვიე, და ამრიგად, იგი შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ ბალანსების თვის დასაწყისისა და ბოლოსათვის; უწყისი დგება მიმდინარე აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე და ამიტომ გვიჩვენებს სამეურნეო პროცესების მოძრაობას; იგი წარმოადგენს საკონტროლო დოკუმენტს, რადგან შესაძლებლობას იძლევა შევამოწმოთ ანგარიშებში ნოახდარი ჩანაწერების სისწორე.

როგორც ჩანს, ბრუნვათა უწყისს აქვს სამი წყვილი ურთიერთის ტოლი ჯამი, სახელდობრ:

1. დებეტის დაწყებითი ნაშთების ჯამი ტოლია კრედიტის დაწყებითი ნაშთების ჯამისა, რადგან მეურნეობაში ყოველთვის იმდენი საშუალებანი მოიპოვება, რამდენიც მათი წარმოქმნის წყაროა.
2. დებეტის ბრუნვათა ჯამი ტოლია კრედიტის ბრუნვათა ჯამისა მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ეს იმიტომ, რომ ყველა ჩაწერა წარმოებს ორმაგი ჩაწერის მეთოდით.

თვის ბრუნვათა უწყისი

№ № რიგზე	საერთო ანგარიშების დასახელება	ნაშთი თვის დასაწყისისათვის		ბრუნვები თვის განმავლობაში		ნაშთი თვის ბოლოსათვის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
1	ძირითადი საშუალებები	500 000	—	20 000	—	520 000	—
2	მასალები	30 000	—	38 000	4 000	64 000	—
3	მცირეფასიანი საგნები	5 000	—	176	30	5 146	—
4	საღარიბო	—	—	9 224	8 975	249	—
5	ანგარიშსწორების ანგარიში სახ-ბაჟითი	40 000	—	—	10 400	29 600	—
6	ანგარიშვალდებუ-ლი პიონი	—	—	200	200	—	—
7	დებეიტორები და კრედიტორები	—	—	1 275	1 912	75	712
8	ექსპლოატაციის ხარჯები	—	—	14 642	—	14 642	—
9	ფონდი ძირითად საშუალებებში	—	500 000	—	20 000	—	520 000
10	ფონდი საბრუნავ საშუალებებში	—	75 000	—	—	—	75 000
11	მუშა-მოსამსახურე-ნი ხელფასით	—	—	8 400	8 400	—	—
12	მიმწოდებლები დაუფაქტურე აელი მიწოდებებით . . .	—	—	—	38 000	—	38 000
ს უ ლ		575 000	575 000	91 917	91 917	633 712	633 712

3. ჯამის მესამე წყვილიც ერთმანეთის თანასწორია, რამდენადაც ერთმანეთის ტოლია ახლადგამოყვანილი აქტივისა და პასივის ჯამი.

ბრუნვათა უწყისში (გვ. 43) დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში ნაჩვენებია სვეტებში „ნაშთები თვის ბოლოსათვის“—ორ ჯამად დებეტში 75 და კრედიტში 712. ეს კეთდება იმისათვის, რომ ვუჩვენოთ, ნაშთის რა დავალიანება ირიცხება ცალკე დებიტორებზე და ნაშთის რა თანხა ერგება კრედიტორებს.

მართლაც, თუ განვიხილავთ ყველა ჩანაწერს, რომელიც მოყვანილია დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშის სქემაში (გვ. 40—41), შევამჩნევთ, რომ:

დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში—ანგარიშსწორება რაიფინგანთან და შემნახველ სალაროსთან

დებეტო	კრედიტო
(6) 1 200	1 200 (4)

დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში სოცდაზღვევა

დებეტო	კრედიტო
	512 (13)

დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში ხიდროვის

დებეტო	კრედიტო
(15) 75	

დემონეტების ანგარიში

დებეტო	კრედიტო
	200 (14)

ამრიგად, რაიფინგანის და შემსალაროს ანგარიშში ნაშთი არ არის (1 200—1 200 = 0).

სოცდაზღვევის ანგარიშში საკრედიტო ნაშთი .	512
დემონეტების	200
	<hr/>
სულ	712
ხიდროვის ანგარიშში სადებეტო ნაშთი .	75

ბრუნვათა უწყისში სადებეტო ნაშთების საერთო ჯამს აჩვენებენ დებეტში, ხოლო საკრედიტო ნაშთების საერთო ჯამს კრედიტში.

ასეთ ნაშთებს ეწოდება გაულილი, და არავითარ შემთხვევაში მათ არ უჩვენებენ შეკუმშულად ერთ ადგილას არც დებეტში, არც კრედიტში, ე. ი. დიდი თანხიდან პატარა თანხის გამოკლებით.

ბრუნვათა უწყისში ჯამების დაკავშირება შემდეგნაირად ხდება: დებეტის მიხედვით—დაწყებით ნაშთებს პლუს დებეტის ბრუნვები მი-
ნუს კრედიტის ბრუნვები უდრის საბოლოო ნაშთს; კრედიტის მიხედ-
ვით—დაწყებითს ნაშთებს პლუს კრედიტის ბრუნვები მინუს დებეტის
ბრუნვები უდრის საბოლოო ნაშთს.

არსებობს რიგი შეცდომებისა, რომლებსაც ბრუნვათა უწყისი ვერ
გამოავლენს. ეს შეცდომები შემდეგია:

სამეურნეო ოპერაცია გამოტოვებულია და ჩაწერილი არ არის
არც დებეტში და არც კრედიტში;

ოპერაცია თუმცა ჩაწერილია, მაგრამ შეცდომით შეტანილია არა
იმ თანხით, რომლითაც იგი უნდა ყოფილიყო ჩაწერილი (საჭიროა, მა-
გალითად, 980 მან. ჩაწერა, ხოლო ჩაწერილია დებეტში და კრედიტ-
ში 890 მან.).

ოპერაცია ჩაწერილია დებეტში და კრედიტში სწორი თანხით,
მაგრამ გამოხატული არ არის იმ ანგარიშებში, რომლებსაც ეკუთვნის
ოპერაცია (ნაცვლად საქონლის ანგარიშისა, თანხა ჩაწერილია მასალე-
ბის ანგარიშში); ასეთი შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც
დებეტში, ისე კრედიტში.

შემცდარ ჩაწერათა ყველა მოყვანილ შემთხვევაში საერთო ანგა-
რიშების ბრუნვათა უწყისი სამი წყველი ჯანის (შედგების) ტოლო-
ბას მაინც მოგვცემს, მაგრამ ცალკე ანგარიშები ვერ გამოხატავენ
საშუალებებისა და წყაროების ფაქტიურ მდგომარეობას მეურნეობაში.

შენიშვნებისათვის ასეთივე ბრუნვათა უწყისები ღებება დეტალური
ანგარიშების მიხედვით.

დეტალური ანგარიშების ბრუნვათა უწყისის შედგენის მაგალითს
ვაჩვენებთ მასალების ანგარიშის მიხედვით.

რამდენადაც ეს ბრუნვათა უწყისი შედგენილია არა მარტო თან-
ხობრივ მაჩვენებლებში, არამედ რაოდენობრივიც, ამიტომ იგი, ნაწი-
ლობრივ, შეიძლება გამოდგეს საკონტროლო საბუთად საშუალო ფასე-
ბის გამოსარკვევად, რომელთა მიხედვით ჩამოწერილი უნდა იქნას მა-
სალების გასაყალი.

მაგრამ საშუალო ფასები, რომელთა მიხედვით დხარჯული მასა-
ლები უნდა ჩამოიწეროს კრედიტში, განისაზღვრება ან თვეში ერთხელ
შემოსულ მასალებზე საბუთების მონაცემთა შეჯამებით (რაოდენობა და
ჯამი), ან განსაზღვრული პარტიობით მიღებული მასალების მიხედვით.

სხვა დეტალური ანგარიშების მიხედვით, როგორც, მაგალითად, დებიტორების და კრედიტორების, ხარჯების რაოდენობრივ მაჩვენებლებს ბრუნვათა უწყისებში არ უჩვენებენ.

№ № რიგზე	მასალის დასახელება	ზომის ერთეული	ნაშთი თვის დასაწყისისთვის			ბ რ უ ნ ვ ე ბ ი						ნაშთი თვის ბოლოსათვის		
			რაოდენობა	ფ ა ს ი	ჯ ა მ ი	ფ ე ბ ვ ე ტ ი			კ რ ე დ ი ტ ი			რაოდენობა	ფ ა ს ი	ჯ ა მ ი
						რაოდენობა	ფ ა ს ი	ჯ ა მ ი	რაოდენობა	ფ ა ს ი	ჯ ა მ ი			
1	მავუული	ც	10	18 000	1 8000	20	1700	34 600	2	1800	3600	28	1728,87	48 400
2	ლუკ-ძინი	.	6	1 700	10 200	—	—	—	—	—	—	6	1 700	10 200
3	ვანაშლი-ვაჯნი	ც	1800	—	1 800	—	—	—	400	1 400	1400	—	—	1 1400
4	ქალაღი	კვ	—	—	—	1000	4	4 000	—	—	—	1000	4	4 000
ს უ ლ					30 000			38 000			4000			61 000

როგორც დეტალური ანგარიშების ბრუნვათა უწყისიდან ჩანს, იგი ემსახურება როგორც აღრიცხვის ჩანაწერების, ისე საერთო და დეტალური ანგარიშების ურთიერთშედარების კონტროლს, მაგრამ აქაც, ისე როგორც საერთო ანგარიშების ბრუნვათა უწყისის შედგენის დროს, შესაძლებელია ისეთი შეცდომები, რომლებიც აგრეთვე შეიძლება ვერ იქნეს გამოვლენიებული. ამისათვის საჭიროა აღრიცხვის მიმდინარე მუშაობაში დავაწესოთ გულმოდგინე ყოველდღიური კონტროლი ყველა ოპერაციის სწორად და დროულად ასახვის საქმეში.

საჭონე-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისათვის საჭიროა პირველ რიგში ჩანაწერების შეჯერება; საწყობის ბარათებისა, სადაც წარმოებს მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, ბუღალტერიის ბარათების ჩანაწერებთან, სადაც წარმოებს რაოდენობრივ-ჯამობრივი აღრიცხვა.

მ. საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშების კლასიფიკაცია

საქიროა ურთიერთისაგან განვასხვავებდეთ:

ანგარიშებს, რომლებიც აღრიცხავენ საშუალებებს და პროცესებს წარმოების სფეროში, ე. ი. ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი საგნების, მასალების, წარმოების ანგარიშებს და ა. შ;

ანგარიშებს, რომლებიც აღრიცხავენ საშუალებებს ნიშპქცევის სფეროში, ე. ი. საქონლის. დებიტორებთან ანგარიშსწორების, ფულადი სამუქალეების ანგარიშებს და ა. შ;

ანგარიშებს, რომლებიც აღრიცხავენ განყენებულ საშუალებებს, როგორც, მაგალითად, შენატანები ბიუჯეტში შოგებდან, შენატანები სპეც-ბანკში კაპიტალური დაბანდებებდსათვის და ა. შ.

საშუალებათა ფორმირებია წყაროების ანგარიშები შემდგანირად ჯგუფდება:

ანგარიშები, რომლებიც აღრიცხავენ საქუთარ ფონდებს, ე. ი. ფონდებს ძირითად და საბრუნავ საშუალებებში, აგრეთვე დანაოჩენ ფონდებსა და რეზერვებს (ამორტიზაციის ფონდი, სდაზღვევო ფონდი, უფროსის ფონდი და ა. შ.);

ანგარიშები, რომლებიც აღრიცხავენ მოზიდულ საშუალებებს, ე. ი. ბანკის სესხების ანგარიში, კრედიტორებთან ანგარიშსწორების ანგარიშები; ანგარიშები, რომლებიც აღრიცხავენ დაგროვებებს.

ზოგიერთი ანგარიშის დანიშნულებას შეადგენს ასახოს საშუალებებბა და წყაროების მოძოაობა, ზოგის — სამეურნეო პროცესების განსახლერული სტადიები.

მოვიყვანოთ მაგალითი.

საწარმომ მიიღო საქონელი. ამ რაქრაციას გავოვბ ტავთ საქონლის ანგარიშში, სადაც აღინიშნება, რადენი და რა საქონელი შემოვიდა, რა ფასიანი და რა თანისი. საქონლის ანგარიში გვქვენება ფასეულობათა მოძოაობას (მოღებს და გაცვლას), აგრეთვე სის სახეზე ყოფასს. მაკრამ, საქონლის მოძოაობა. რომელიც დაკავსოვებულია რ. აღინიშნავსთან (გააყ დ ფაად, უნდა გამოზატულ იქნას საქონლის რეალიზაციის ანგარიშში, სადაც კრედიტი იწარება ამ საქონლის გაყიდვიდან აღებული რაზა, ბოლო დებეტში თვითლივბკლვბა. გაყიდული საქონლის ღირებულების საქონლის ანგარიშის კრედიტიდან საქონლის რეალიზაციის ანგარიშის დებეტში გადაორივებს ზედგ შეიძლება გამოვარკვოთ ამ სმეურავეო პროცესის ზედგები. აქვდა, თუ საქონლი ანგარიში წარმადგენს ანგარიშს, რომელიც სმეურნეო საშუალების მოძოაობას გამოხატავს, რეალიზაციის ანგარიში აუცილებულია სამეურნეო პროცესის გამოსახატავად.

აქედან გამომდინარე, საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები თავისი სტრუქტურის მიხედვით უნდა დაიყოს ორ ჯგუფად:

ანგარიშები, რომლებიც კონტროლს უწევენ სამეურნეო საშუალებებსა და წყაროებს,

ანგარიშები, რომლებიც კონტროლს უწევენ სამეურნეო პროცესების ცალკე სტადიებს.

პირველ ჯგუფში შევხვდებით სამ სხვადასხვაგვარ ანგარიშს, როგორცაა:

1) ძირითადი ანგარიშები, ე. ი. ანგარიშები, რომლებიც აღრიცხავენ მხოლოდ საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობას;

2) მარეგულირებელი (მომწესრიგებელი) ანგარიშები, ე. ი. ანგარიშები, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო საშუალებათა შეფასებას (ღირებულებას);

3) ბალანსგარეშე ანგარიშები.

მეორე ჯგუფში შედის შემდეგი ანგარიშები:

1) საკალკულაციო, რომლებიც გამოხატავენ გეგმის შესრულების პროცესს საქონელ-მატერიალურ ფასეულობათა დანზადებისა და შეძენის, თვითღირებულების დანახარჯების მიხედვით;

2) განმანაწილებელი ანგარიშები, რომლებიც გამოხატავენ გეგმის შესრულების პროცესს და თანხების განაწილებას ცალკე ოპერაციების მიხედვით (ხელფასის, ამორტიზაციის, საამქრო და საერთო-საქარხნო ხარჯების ანგარიშები);

3) ოპერაციულ-საშედეგო ანგარიშები, რომლებიც გამოხატავენ გეგმის შესრულების პროცესს (მაგალითად, შუა პროდუქციის რეალიზაციას) და გამოაქვნიან ცალკეული სახის ოპერაციების შედეგებს.

ოპერაციულ საშედეგო ანგარიშებში ერთი და იგივე ოპერაცია ორ სხვადასხვა შეფასებაში აღრიცხება.

გავარჩიოთ ანგარიშების თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე.

ძირითადი ანგარიშების შემადგენლობაში, რომლებიც აღრიცხავენ სამეურნეო საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობას, შედის:

აქტივით — ძირითადი საშუალებების, მასალების, ფულადი საშუალებების, სხვადასხვა დებიტორების, განყენებული საშუალებების, დანაკარგების ანგარიშები.

პასივით — ფონდების, ბანკის სესხების, სხვადასხვა კრედიტორების, მოგების ანგარიშები.

მარეგულირებელი ანგარიშები აღრიცხავენ ცვლილებებს მეურნეობის საშუალებათა შეფასებაში, რომელიც გამოხატული არ არის.

ამა თუ იმ მიზეზით მიმდინარე აღრიცხვაში სათანადო ძირითად ანგარიშზე. ამ შემთხვევაში ძირითად ანგარიშებში საშუალებებს უჩვენებენ პირვანდელ შეჯახებაში. მარეგულირებელი ანგარიშები აზუსტებს პირვანდელ შეფასებას როგორც მისი გაღიდების (პირდაპირი რეგულირების), ისე შემცირების (უკურეგულირების) მხრივ.

განემართოთ აღრიცხვის წესი მარეგულირებელი ანგარიშებს მაგალითების მიხედვით:

საწარმოში შემოვიდა მასალები 50 000 მანეთის ფაქტიური ღირებულებისა, ხოლო ამ მასალების ღირებულება საგეგმო ფასებით, როცელთა მიხედვით აღირიცხება მასალები საწარმოში, 45 000 მანეთს შუადგენს. ბულალტრიაში წარმოებული იქნება შემდეგი ჩანაწერი (დამზადებათა ანგარიში სინარტივისათვის მოხსნილია).

აქტიური ანგარიში		აქტიური ანგარიში		პასიური ანგარიში	
დასაღების ანბარში (საგეგმო ფასებით)		საბანგო ფასებიდან ბაღახრების ანბარში		მიწოდებულბინს ანბარში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
45 000		5 000			50 000

ეს არის პირდაპირი რეგულირება—ძირითადი ანგარიში (მასალების) და მარეგულირებელი ანგარიში (საგეგმო ფასებიდან გადახრების) აქტივში იმყოფება.

მაგრამ, გარდა პირდაპირისა, არის კიდევ უკურეგულირებაც.

დავუშვათ, რომ საწარმომ იყიდა 1 მილ. ცალი კონვერტი, თითო ცალი 2,5 კ. სულ 25 000 მან. ღირებულების. ამ კონვერტების გასაყიდი ღირებულების მისაღებად საჭირო დარიცხვა (0,5 კაბ.) შეადგენს 5 000 მან. თუ ნაყიდი კონვერტების ღირებულება მიმწოდებელს გადაირიცხება საბანკის მეშვეობით ანგარიშსწორების ანგარიშიდან, მაშინ ან ოპერაციის ანგარიშებში ჩასაწერად აღგენენ შემდეგ მუხალს:

დებეტი საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოებში .	30 000 მან.
კრედიტი ანგარიშსწორების ანგარიში საბანკში .	25 000 „
კრედიტი საქონელზე დარიცხვა	5 000 „

4. საბულალტრო აღრიცხვა

ეს ოპერაცია ანგარიშებშია გატარდება ამგვარად:

აქტიური ანგარიში		აქტიური ანგარიში		პასიური ანგარიში	
ანბარიში სამონღლისა ჰავურიბაჰმლოზის სა- წარმოებში კონვერტები		ანბარიშსწორების ანბარიში სახბანაში		სამონღლზე დარიცხვის ანბარიში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
ნაყიდობის ფასი			25 000 (1)		5 000 (2)
25 000					
დარიცხვა					
5 000					
30 000					

ეს არის უკურეგულირება. საქონელზე დარიცხვის ანგარიში კონტრაქტივს წარმოადგენს.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, კონტრაქტივის ანგარიში აწესრიგებს აქტივს მისი თანხის შემცირების მხრით. მაშასადამე, ძირითადი ანგარიში (ამ შემთხვევაში კონვერტების ანგარიში გასასყიდი ფასით) აქტივში იმყოფება, ხოლო მარეგულირებელი (დარიცხვა) — პასივში.

რაც შეეხება ბალანსგარეშე ანგარიშებს, ისინი შეიძლება ვაწარმოოთ ერთმანეთს ან წყვილ-წყვილად. პირველ შემთხვევაში სათანადო მუხლები აღნიშნულია ნარკვევების სახით, რომლებიც თავსდება ბალანსგარეთ. მეორე შემთხვევაში ბალანსგარეშე მუხლები გამოისახება წყვილი ანგარიშების სახით, რომლებიც ყოველთვის ერთმანეთს ეკორესპონდირებიან. აქტიურ ბალანსგარეშე ანგარიშს აღდებტებენ, ხოლო მის წყვილ პასიურს — აკრედიტებენ, და პირიქით. ამიტომ ამ ანგარიშების ნაშთები ყოველთვის ერთმანეთის ტოლია. ბალანსგარეთ უჩვენებენ სხვადასხვა ფასეულობებს, რომლებიც მოცემულ მეურნეობაში იმყოფება, მაგრამ სხვა მეურნეობას ეკუთვნის.

ასე, მაგალითად, თუ საწარმო იჯარით იღებს რომელიმე შენობას, მაშინ იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებს აღნიშნავენ იჯარითღებულ ძირითად საშუალებათა აქტიურ ანგარიშში, ხოლო პასივში გვაქვს მოკორესპონდირო ანგარიში—იჯარის მიმცემთა ანგარიში. ოპერაცია გატარდება ასე:

დებეტი იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების ანგარიში
კრედიტი იჯარის მიმცემთა ანგარიში.

ანალოგიურად აღრიცხავენ მასალებს, რომლებიც მიღებულია შესაბამისად, გადასამუშაველად, საკომისიოდ და ა. შ. ბალანსს გარეთ აღრიცხავენ აგრეთვე ფასეულობას, რომელიც ეკუთვნის მოცემულ მეურნეობას, მაგრამ პირობითი შეფასება აქვს. კავშირგაბმულობის მეურნეობაში ამას მიეკუთვნებიან შაკარი ანგარიშგების ბლანკები, საფოსტო ქირის ნიშნები და სხვ.

ამჟამად პრაქტიკაში ბალანსგარეშე ანგარიშები ჩვეულებრივად გამოიხატება არა წყვილი ანგარიშების სახით, არამედ ერთმხრივი ცნობის სახით, რომელიც თავსდება ბალანსის გარეთ.

უფრო დაწერილებით განვიხილოთ ანგარიშების მეორე ჯგუფი, რომელიც შედგება სამი სახისაგან: საკალკულაციო, განმანაწილებელი და ოპერაციულ საშედგო ანგარიშებისაგან.

1. საკალკულაციო ანგარიშები. ამ ანგარიშებით სარგებლობენ, როცა აუცილებელია რომელიმე ოპერაციის მთლიანად გამოხატვა და ამ ოპერაციის ყველა პროცესის სრული თვითღირებულების დადგენა. თუ მეურნეობა ახორციელებს საწარმოო პროცესს, მაშინ ამისათვის მას გასსნილი აქვს წარმოების ანგარიში, რომლის დებეტში აისახება დანახარჯები, რომლებიც შედგება მასალებისაგან, ხელფასისა და ზედნადები ხარჯებისაგან. ხარჯების ამ სამ ელემენტს წერენ ამ ანგარიშში სხვადასხვა ანგარიშებიდან, სახელდობრ: მასალებს — მასალების ანგარიშიდან, ხელფასს — ხელფასის ანგარიშიდან, ზედნადებ ხარჯებს — საამქრო ხარჯების ანგარიშიდან და საერთო საფაბრიკო ან საერთო საქარხნო ხარჯების ანგარიშიდან. ამ ანგარიშის კრედიტში იწერება დანახადებული და გამოშვებული პროდუქციის ფაქტიური თვითღირებულება. დანახარჯები პროდუქციაზე, რომელიც კიდევ დაუმთავრებელი დარჩა, შეადგენს განსხვავებას ამ ანგარიშის დებეტსა და კრედიტს შორის. ბალანსში ამ ანგარიშს წარმოების ანგარიში კი არ ეწოდება, არამედ დაუმთავრებელი წარმოების ანგარიში. ასეთი სახის ანგარიშებს შეიძლება მივაკუთვნოთ საქონლისა და მასალების დანახადების ანგარიშიც.

ასე, მაგალითად, საწარმო უშვებს რაიმე პროდუქციას, საბუღალტრო ჩანაწერები წარმოების დანახარჯებზე შემდგენაირად ფორმდება:

ა. წარმოების დანახარჯები

- | | | |
|---|---|-------------|
| 1. წარმოებას მიეცა მასალები | დებეტი—წარმოების ანგარიში
კრედიტი მასალების ანგარიში | 25 000 მან. |
| 2. დაერიცხა ხელფასი ძირითადი საწარმოო მუშების შტატს | დებეტი—წარმოების ანგარიში
კრედიტი—მუშა-მოსამსახურეთა ანგარიში ხელფასით | 18 700 მან. |
| 3. გადაირიცხა წარმოების ანგარიშში ზედნადები ხარჯების თანხები (საამქრო, საერთო საქარხნო და სხვა ხარჯები) | დებეტი—წარმოების ანგარიში
კრედიტი—სხვადასხვა ანგარიში (სალაროს, ანგარიშსწორების ანგარიშის სახბანკში, საამქრო ხარჯების, საერთო საქარხნო ხარჯების და სხვ.) | 6 300 მან. |

ამრიგად, წარმოების ანგარიში აღნიშნული ოპერაციების შემდეგ ესეთ სახეს მიიღებს:

დე ბ ე ტ ი	წარმოების ანგარიში	კ რ ე დ ი ტ ი
(1) მასალები	25 000	50 000 (6)
(2) საწარმოო მუშების ხელფასი	18 700	
(3) ზედნადები ხარჯები	6 300	
	სულ . . . 50 000	

2. განმანაწილებელი ანგარიშები ემსახურებიან სამეურნეო პროცესის ცალკე მხარეების კონტროლს. ეს ანგარიშები აღრიცხავენ ისეთ თანხებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩაწილდება დაწესებული მაჩვენებლების შესაბამისად, სხვა ანგარიშებში გადარიცხვის გზით. ასე, მაგალითად, საამქრო ხარჯების ანგარიშში, ასევე საერთო-საქარხნო ხარჯების ანგარიშში სათანადო ხარჯები თვის განმავლობაში იწერება დებეტში, თვის ბოლოს აღნიშნული ანგარიშებიდან ხარჯებს ანაწილებენ (ამ ანგარიშების კრედიტებში გავლით) კუთვნილებისამებრ სათანადო ანგარიშთა შორის, ე. ი. ხარჯები გადაირიცხება ძირითადი წარმოების ანგარიშში, დამხმარე წარმოების ანგარიშში და ა. შ.

შეიძლება აგრეთვე მივეუთოთ ხელფასის ანგარიშებზე. დარიცხვა ხელფასისა ყველა მუშა-მოსამსახურისათვის წარმოებს შემდეგი ჩანაწერით:

დებეტი ხელფასის ანგარში;

კრედიტი მუშა-მოსამსახურეთა ანგარიში ხელფასით.

მაგრამ ხელფასის ანგარიშის დასახურავედ საქროა ჩანოვწყოთ მის დებეტში რიცხული თანხები კუთვნილებისამებრ, ე. ი. ისეთ ანგარიშებში, რომელნიც აღრიცხავენ სათანადო დანაზარჯებს, ე. ი. ან წარმოების ანგარიშში, ან საამქრო ხარჯების, ან საერთო საქარხნო ხარჯების ანგარიშში და ა. შ. ანრივად, ხელფასის ანგარიში შედის განმანაწილებელი ანგარიშების შემადგენლობაში და ისწება კონტროლის გასაძლიერებლად, რადგან ხელფასის სწორი აღრიცხვა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

(კავშირგაბმულობის საწარმოებში ხელფასის ცალკეული ანგარიშით არ საგებლობენ).

განმანაწილებელ ანგარიშებს, როგორც წესი, ყოველი თვის ბოლოს, მათში რიცხული თანხების განაწილების შემდეგ, არავითარი ნაშთი არა აქვთ, ე. ი. ეს ანგარიშები თვის ბოლოს რხურება.

3. რაც შეეხება ოპერაციულ-საშედეგო ანგარიშებს, ისინი გამოხატავენ რაიმე პროცესის შედეგს. ამ ანგარიშების ძირითადი განსხვავება სხვა ანგარიშებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ამ ანგარიშებში ერთგვარი ფასეულობანი აღირიცხება დებეტშიც და კრედიტშიც, ოღონდ სხვადასხვა ფასებში. ასე, მაგალითად, რეალიზაციის ანგარიში, რომელიც ოპერაციულ-საშედეგო ანგარიშს წარმოადგენს, დებეტში აღრიცხავს პროდუქციას თვითღირებულების მიხედვით პლუს ზედნადები ხარჯები, ხოლო კრედიტში—ამავე პროდუქციას—გასაყიდ ფასებში.

ოპერაციულ-საშედეგო ანგარიშებში ოპერაციების გამოხატვის წესის უფრო დაწვრილებით გაცნობისათვის მოგვეყავს გავრძელება მაგალითისა, რომლის დასაწყისი ნოთავსებულია 52 გვერდზე.

ბ. მზა პროდუქციის შემოსავლის გაფორმება

4. წარმოებიდან გამოშვებული მზა პროდუქცია, ჩვეულებრივად, შემოსავალში შეიტანება დამტკიცებული საგეგმო ფასით. დაუშვათ,

რომ წარმოებიდან გამოშვებულია 2 000 000 (უმარკოდ) კონვერტი; კონვერტის საგვეგმო ფასად დაწესებულია 2,75 კაპ. ერთ ცალზე.

მზაპროდუქციის გაფორმება მისი საწარმოს საწყობში გადაცემისას ბუღალტერიაში წარმოებს შემდეგნაირად (2,75 × 2 000 000 = 55 000):

დებეტი მზა პროდუქციის ანგარიში

კრედიტი გვეგმის შესრულების ანგარიში 55 000 მან.

აღნიშნული ოპერაცია ანგარიშებში შემდეგნაირად აისახება:

მზა პროდუქციის ანგარიში

დებეტი		კრედიტი	
(4)	55 000	55 000	(7)

გვეგმის შესრულების ანგარიში

დებეტი		კრედიტი	
(6)	55 000	55 000	(4)

გ. პროდუქციის რეალიზაციის გაფორმება

5. კონვერტის გასაყიდი ფასი დაწესებულია 3 კაპ. რაოდენობით. მაშასადამე, 2 000 000 კონვერტის გაყიდვის შემდეგ საწარმოში მყიდველებისგან შემოვა (3 კაპ. × 2 000 000) 60 000 მან.

მაშასადამე, ამ კონვერტების რეალიზაციასა და ფულის მიღებას ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკში ბუღალტერია ასე გააფორმებს:

დებეტი ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში

კრედიტი საქონლის რეალიზაციის ანგარიში 60 000 მან.

ანგარიშები მიიღებენ შემდეგ სახეს:

ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში

დებეტი		კრედიტი	
(5)	60 000		

საქონლის რეალიზაციის ანგარიში

დებეტი		კრედიტი	
(7)	55 000	60 000	(5)

დ. გამოსვენებული პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერა

6. რადგან გამოსვენებული 2 000 000 კონვერტის თვითღირებულება შეადგენს 50 000 მანეთს (წარმოების ანგარიშის დებიტო). ამიტომ წარმოების ანგარიშიდან ჩამოსაწერად, ე. ი. ამ ანგარიშის დაკრედიტებისათვის, აწარმოებენ შემდეგ ჩანაწერს:

დებიტი გვემის შესრულების ანგარიში
კრედიტი წარმოების ანგარიში. 50 000

(იხ. გვ. 52 წარმოების ანგარიში და გვ. 54 გვემის შესრულების ანგარიში).

ე. წარმოებისა და რეალიზაციის შედეგების გამოვლენა

7. მზა პროდუქციის ანგარიშის განხილვიდან ჩანს, რომ მის დებიტში ირიცხება 55 000 მან. მზა ნაწარმი. მაშ-ს როცა ეს პროდუქცია (კონვერტები) უკვე გაყიდულია და გაიგზავნა მყიდველს. მაშასადამე, საჭიროა ამ ანგარიშიდან ჩამოიწეროს ბუღალტრებისათვის გაგზავნილი კონვერტების ღირებულება. ეს ჩამოწერა მოხდება შემდეგნაირად:
დებიტი რეალიზაციის ანგარიში

კრედიტი მზა პროდუქციის ანგარიში . . . 55 000 მან.

ზემოთ მოყვანილი ჩანაწერების შემდეგ ასეთ შედეგს მივიღებთ:

1. წარმოების ანგარიში — დებიტში — დანახარჯებმა შეადგინა 50 000 მან., ე. ი. დამზადებული 2 000 000 კონვერტის თვითღირებულება განისაზღვრა 50 000 მანეთით ანუ ცალი — 2.5 კაპიტო. კრედიტში — თანხა ჩამოიწერა გვემის შესრულების ანგარიშიდან კორესპონდენტით.

2. გვემის შესრულების ანგარიში — კრედიტში — გვიჩვენებს, რომ 2 000 000 კონვერტის საგვემო ღირებულება შეადგენს 55 000 მან., ამრიგად, ფაქტიური ღირებულება (ამ ანგარიშის დებიტით) საგვემოზე 5 000 მან. ნაკლებია (წარმოების დროს შეიქმნა 0,25 კაპ. ეკონომია ერთეულზე).

3. რეალიზაციის ანგარიში — კრედიტში — გვიჩვენებს, რომ 2 000 000 კონვერტის დამტკიცებულ გასაყიდ თასში გაყიდვისას — ცალი 3 კაპ. — წარმოიქმნა მოგება საგვემო ფასთან შედარებით 5 000 მან. (ანგარიშის კრედიტში კონვერტების რეალიზაციიდან მიღებული 60 000 მან. მინუს მზა პროდუქციის საგვემო ფასი 55 000 მან.).

მაშასადამე, ამ ოპერაციიდან საწარმომ სულ მიიღო:
ეკონომია წარმოების გვემის შესრულებიდან . . . 5 000 მან.
მოგება რეალიზაციის გვემის შესრულებიდან . . . 5 000 „

სულ . . . 10 000 მან.

10. საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკა

სააღრიცხვო დოკუმენტაცია

საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლს უწევს რა სამეურნეო პროცესებს, გამოხატავს ყველა ოპერაციას სპეციალურად შედგენილი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გადორმებულია დადგენილი წესით, კონტროლი, რომელსაც საბუღალტრო აღრიცხვა ახორციელებს, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული ოპერაცია დასაბუთებული იქნება თავის დროზე შედგენილი დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილი იქნება იმ პასუხისმგებელი მუშაკების მიერ, რომლებიც დაადასტურებენ ოპერაციის მოხდენის ფაქტს. მოთხოვნილებანი, რომლებსაც უყენებენ საბუთს, როგორც საბუღალტრო ჩაწერის რეგისტრაციის საფუძველს, შემდეგია:

საბუთი შედგენილი უნდა იქნას თვით ოპერაციის მოხდენის თანადროულად;

საბუთი გარკვევით და ნათლად უნდა ახასიათებდეს მომხდარ ოპერაციას;

იგი ხელმოწერილი უნდა იყოს ისეთი პირების მიერ, რომლებიც პასუხს აგებენ მისი სწორად შედგენისათვის.

თითოეულ საბუთში სავალდებულოა შემდეგი აუცილებელი მონაცემები (რეკვიზიტები):

საბუთის შემდგენი საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების სახელწოდება და მისამართი;

ოპერაციის მოხდენის თარიღი და ადგილი, საბუთის შედგენის თარიღი და ნომერი;

საბუთის დასახელება (ორდერი, მოთხოვნილება, ანგარიში, საავანსო ანგარიში და ა. შ.);

მომხდარი სამეურნეო ოპერაციის შინაარსის დაწერილებითი და ზუსტი გადმოცემა, მისი საფუძველი თანხის რაოდენობის ჩვენებით, და აგრეთვე, თუ საჭიროა, რაოდენობითი (ნატურალური) მაჩვენებლების აღნიშვნით; თანხების საერთო ჯამი აღნიშნული უნდა იქნას არამართო ციფრებით, არამედ წარწერთაჲ;

ხელმოწერა პირების, რომლებიც პასუხს აგებენ დოკუმენტის სისწორისა და დასაბუთებისათვის.

მხედველობაში უნდა გვექონდეს, რომ სოციალისტურ მეურნეობაში საბუთის საკონტროლო მნიშვნელობა მეტად დიდია, რაც გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ყველა სამეურნეო ოპერაციის საბუთების დროზე და სწორად შედგენას, საბუთებით ოპერაციების დროზე და სწორად გაფორმებას.

პირველადი საბუთები შეიძლება იყოს შინა და გარე საბუთი. შინა საბუთებს მიეკუთვნება საბუთი, რომელიც დგება მეურნეობაში და განოიენება მხოლოდ ამ საწარმოს ტარგლეზში ანა თუ იმ ოპერაციის გასაფორმებლად. ასეთ საბუთად ითვლება სალაროს შემოსავალ-გასაფლის საბუთები (ორდერები), მოთხოვნილებანი საწკაბიდან მასალის მიცემის წესახეა, განცხადებანი ანგარიშქვეშ ფულის მიცემის შესახებ და ა. შ.

გარე საბუთი ეწოდება ისეთ საბუთს, რომელიც დგება ერთ საწარმოში, მაგრამ გამოიყენება სხვების მიერ იმ ანგარიშსწორებათა გასაფორმებლად, რომელიც წარმოიწება სხვადასხვა ორგანიზაციას შორის. ამას შეეკუთვნება: ანგარიშები, ხელშეკრულებები, უწყებები (ავიზო) და სხვ.

თავისი ხასიათით და დანიშნულებით საბუთები იყოფა:

განმკარგულებელ. ე. ი. საბუთებად, რომელთაც რაიმე ოპერაციის შესასრულებლად სათანადო პირების მიერ გაცემული ბრძანების, განკარგულების მნიშვნელობა აქვია, ანას ეკუთვნის სალაროს საბუთები (ორდერები, განრიგები, მოთხოვნილებანი და ა. შ.

აღმასრულებელი ანუ გასამართლებელი, ე. ი. ისეთი საბუთები, რომლებიც ანა თუ იმ მომხდარი ოპერაციის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს; ასეთ საბუთებს შეიძლება მიეკუთვნოს მასალების მიღებისა და გაცემის აქტები და სხვ.

მრავალ შემთხვევაში განკარგულებელი საბუთები ერთდროულად აღმასრულებელიც შეიძლება იყოს, ასე, მაგალითად, ორდერი სალაროში განმკარგულებელი საბუთია, მაგრამ ოპერაციის მოხდენის შემდეგ, ე. ი. მას შენდგე, რაც მოლარე ფულს მიიღებს და ფულის მიღების შესახებ ორდერზე ხელს მოაწერს, ორდერი იქცევა გასამართლებელ საბუთად.

თითოეული საბუთი, რომელიც შედის ბულალტერიაში, გულდასმით უნდა იქნას დამუშავებული, ამასთან საბუთის დამუშავება შემდეგში მდგომარეობს:

საბუთი შექოწმებული უნდა იქნას მისი გაფორმების თვალსაზრისით იმ მხრივ, რომ გამოფარკვიოთ, არის თუ არა მასში საჭირო რეკვიზიტები;

საბუთების საფუძველზე ადასტურებენ მომხდარი ოპერაციის კანონიერებას;

საბუთის მიხედვით მოწმდება ანგარიშსწორებათა წესი და მისი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1947 წ. გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა საბუთი, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ფულადი თანხებისა და ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა მიღების ან გაცემისათვის, აგრეთვე საბუთები, რომელთაც სხვა ორგანიზაციებთან საანგარიშსწორებო ვალდებულების ხასიათი აქვთ, გარდა კრედიტების განმკარგულებლისა, აგრეთვე ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მთავარი (უფროსი) ბულალტრის მიერ.

ყველა საბუთი შედგენილი უნდა იყოს სწორად, უშეცდომოდ, დაწერილი უნდა იყოს ნათლად, გარკვევით, მელნით ან ქიმიური ფანქრით. მისი რედაქცია ისეთი უნდა იყოს, რომ არ იწვევდეს უსწორო განმარტებებს: საბუთის შედგენის დროს თუ დაშვებულ იქნა შეცდომა, იგი უნდა გასწორდეს უსწოროდ დაწერილზე ხაზის გადასწორებით; ხაზგადასმულს ზევით უნდა დაეწეროს სწორი ტექსტი, ხოლო ამასთან ერთად გაუკეთდეს შესაფერი დათქმა პასუხისმგებელი პირების ხელის მოწერით. არსებობს ისეთი საბუთები, რომლებშიც არ დაიშვება შეცდომების გასწორება. ასეთი საბუთი ახლად უნდა იქნას შედგენილი (სალაროს ორდერები, ჩეკები და საბანკო დავალებანი).

მოყვანილი სახის საბუთებს გარდა, ბულალტერიაში დგება აგრეთვე საბუთები, რომლებიც აადვილებენ და აჩქარებენ ოპერაციების ჩაწერას ანგარიშებში. მათ საბულალტრო გაფორმების საბუთები ეწოდება. ამას მიეკუთვნება მემორიალური ორდერები, ნაერთი უწყისები და ა. შ. მუშაობის გასაადვილებლად ასეთ საბუთებზე წარმოება სათანადო თანხების აღნიშვნა კუთვნილი ანგარიშებისათვის, ე. ი. კეთ-

დება ანგარიშების კორესპონდენცია, რომელიც გვიჩვენებს, რომელი ანგარიში რა თანხით უნდა დადებებოდეს და რომელი ანგარიში რა თანხით უნდა დაკრედიტდეს.

ბუღალტერიაში დასამუშავებლად მიღებული საბუთებისათვის დადგენილია მათი რეგისტრაციის, ბუღალტრული გაფორმებისა და სათანადო ანგარიშებში ჩაწერის მსვლელობათა განსაზღვრული წესი. ამის (სწორი საბუთთაბრუნვის) სწორი ორგანიზაცია საბუღალტრო აღრიცხვის მოწყობის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

1949 წ. დადგენილებით ქსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დებულება საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ. ამ დებულებაში გათვალისწინებულია, გარდა საერთო დებულებისა, აგრეთვე ფულის მიღებისა და სალაროს საშემოსავლო ორდერების გაფორმების წესი, ფულის გაცემისა და ხარჯების ოპერაციების გაფორმების წესი, სალაროს დაფთვების წარმოებისა და ფულის შენახვის წესი, აგრეთვე სალაროს რევიზიისა და სალაროს დისციპლინის დაცვის კონტროლის წესი.

ამავე დადგენილებაში დამტკიცებულია ძირითადი ფორმები სალაროს ოპერაციების წარმოებისათვის, სახელდობრ: სალაროს შემოსავლის ორდერი, სალაროს გასავლის ორდერი, სალაროს ორდერების სარეგისტრაციო ჟურნალი, კვითარი და კვითრების აღრიცხვის დაფთვარი, სალაროს დაფთვარი, მოლარის ანგარიშგება, მოლარის მიერ გაცემული ფულის აღრიცხვის დაფთვარი და მოლარის ვალდებულება.

დაწვრილებით განვიხილოთ სალაროს შემოსავლის ორდერი.

სალაროს შემოსავლის ორდერი შეივსება ყველა შემთხვევაში, როცა ვინმე ფულს აბარებს სალაროში; ორდერში აღნიშნავენ ვის, როდის, რისთვის და რა რაოდენობის თანხა შეაქვს საწარმოს ან დაწესებულების სალაროში. ორდერს ხელს აწერენ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელი, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი და მოლარე, რომელიც ფულს ღებულობს. ორდერს ურთავენ საბუთს, რომელიც ადასტურებს სალაროს ოპერაციის მომხდარ ფაქტს. არის ცალკე შემთხვევები, როცა ორდერს ადგენენ რაიმე საბუთის გარეშე, მაგალითად, ბანკიდან ჩეკით ფულის მიღებაზე; მაშინ ორდერის ტექსტში აკეთებენ მითითებას ჩეკის ნომერზე და რომელი რიცხვით არის ჩეკი გამოწერილი.

შემოსავლის ორდერებში, რომლებიც შეივსება ბანკიდან ჩეკით ფულის მიღების ყველა შემთხვევისათვის, აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს, რა მიზნისათვის არის მიღებული საშუალებანი, რადგან ნაღდი ფული სალაროში მეურნეობის ხელმძღვანელისა და ბუღალტრის მუდმივ კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

ფულის მიღების დასადასტურებლად ფულის შემტან პირს აძლევენ ქვითარს (ნარჯენიდან მონაქერი, გვ. 61) მთავარი (უფროსი) ბუღალტრისა და მოლარის ხელის მოწერით.

სალაროდან ფულის გაცემის ყველა შემთხვევაში შეივსება სალაროს გასავლის ორდერი (იხ. გვ. 62).

ორდერში აგრეთვე აღნიშნავენ ვის, როდის, რისთვის და რამდენი ფული მიეცა. ორდერს აუცილებლად ერთვის საბუთი, რომელიც ადასტურებს ფულის გასავლის ოპერაციას. ფულის გაცემამდე ორდერს ხელს აწერენ დაწესებულების ან საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი. ფულის მიმღები პირი აუცილებლად ხელს აწერს და წერილობით აღნიშნავს, თუ რა თანხას ღებულობს.

ყველა თანხას, რომელიც სალაროში მიიღება ან გაიცემა სალაროდან, საწარმოს მოლარე, სალაროს ორდერების თანახმად, ყოველდღიურად წერს სალაროს იმ ფორმის დავთარში, რომელიც დადგენილია დებულებით სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ.

სახბანკოში ანგარიშსწორების ანგარიშიდან ნაღდი ფულის მისაღებად (ხელუხასისათვის, წვრილი სამეურნეო ხარჯებისათვის და სხვ.) გამოწერენ ჩეკს. ჩეკი არის ანგარიშსწორების ანგარიშის მეპატრონის ბრძანება ბანკისადმი საკურო თანხის გაცემის შესახებ.

საშუალებებისა და მათი წყაროების (გარდა სალაროს ოპერაციებისა) შეცვლის ოპერაციებისათვის ყველა შემთხვევაში დაწესებულია ქვემოთყვანილი რიგი საბუთებისა.

მიმწოდებლის ანგარიში — საბუთი, რომელიც ადასტურებს რაიმე საქონლის ან მისაღების ყიდვის (მყიდველის მიერ) და გაყიდვის (მიმწოდებლის მიერ) ოპერაციებს (გვ. 63).

მიმწოდებელი: რაიონული ბაზა

მისამართი: მოსკოვი, პესჩანაია, 127

ანგარიშსწორების ანგარიში № 10527ა სახბანკის კუთბიშევის განყოფილებასში, ქ. მოსკოვი

ტვირთის გამგზავნი და მიამართი: მაუდის ფაბრიკა

ტვირთის მიმღები და მისამართი: მომარაგების კანტორა, სმოლენსკი, კირთვის ქ. 28

შეკვეთა

№ 1873/2788 1950 წ. 6/V ანგარიში № 116, თარიღი 1950 წ. 25/V.

გადახდელი—ტვირთის მიღები—მომარაგების კანტორა, სმოლენსკი

სახბანკის განყოფილებაში	ანგარიშის თანხა	საანგარიშ-სწოლ. ფასი	81798-30
ანგარიშსწორების ანგარიში № 278396			480-06
ქ. სმოლენსკი			82 278-36

სადაური სმოლენსკი სადგურიდან მოსკოვი გავზავნის წესი ზედანდების ჯვით. № 14952 შეფუთვა—ტომრები ადგილების რიცხვი 16

დასახელება	გზონის ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
დრაფი ბ/თ 1249 I ხარ.	მ	349,5	230 00	80 385-00
II ხარ.		8,4	225-40	1 893-36
ჯამი		357,9		82 278-36
სულ				82 278-36

(ოთხმოცდაორი ათას ორას სამოცდათერთმეტი მან. 36 კაპ)

დანართი: რკინიგზის ჯიფთარი № 14952

ფაბრიკის დირექტორი ხომიაკოვი

მთავარი ბუღალტერი ვასილიევი

ანგარიშში დაწვრილებით არის აღნიშნული ამ ოპერაციაში, თუ რომელი ორგანიზაცია არის მიწოდებელი და რომელი მყიდველი, რა საქონელი, რამდენი და რა ფასში იყიდება, ბანკის რომელი განყოფილება მოახდენს ანგარიშსწორებას მყიდველსა და მიმწოდებელს შორის, რა თანხა უნდა იქნას ანგარიშით გადახდილი.

მიმწოდებელი ჩვეულებრივად ანგარიშს გამოსწერს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება უშუალოდ მყიდველს. ამ ანგარიშს უნდა დაერთოს:

- რკინიგზის ზედანდები ან სატრანსპორტო ორგანიზაციის საბჟთი (წულით, ჰაერით, ფოსტით);
- სპეციფიკაცია, ე. ი. გავზავნილი საქონლის დაწვრილებითი აღწერა (რაოდენობა, ხარისხი, მარკა და სხვ.).

<p>დოკუმენტაციის ვადა (აღიწმ. მს მიწოდების ბანკი)</p>		<p>მიწოდება. — რაიონული ბაზა მისამართი ანგარიშსწორების ანგ. № 1C8275 საბანკოს კუთვნილების გან- ყოფილებაში კ. მოსკოვი</p>		<p>გადახდის ვადა 19 — წ. — (აღიწმ. მს მიწოდების ბან- კი)</p>
4	08 %	2	08 %	<p>გადახდის ვადა № 10974 1950 წ. 3 იანვრიდან</p>
5	08 %	3	08 %	<p>გადამხდელი და მისი მისამართი: მიმზადების კანტორა, სმოლენსკი, ყაროვის ქ. 28 ანგარიშსწორების ანგ. № 278ა96 საბანკოს სმოლენ- სკის განყოფილებაში</p>

<p>ანგარიშ — ფაქტურა საბანკო</p>	<p>საბანკო საბანკო</p>	<p>საბანკო საბანკო</p>	<p>საბანკო საბანკო</p>	<p>ანგ. თანხა № 108275 მიწოდებულს ანგ. რაიონული ბანკის ანგ. რაიონული</p>	<p>მ. მ. მ.</p>
116	1950 წ. 25/V	14952	1950 წ. 23/V	82278—36	<p>გაერთიანების ქვეანგა- რების №</p> <p>საბანკ. ანგ. № — ფ. მ. მ. მ. ანგ. რაიონული</p>
<p>სულ (გასაყარი) მ. თანხმობის ვადა ათას ორას სამოცდათერთმეტი მან. 36 კაპ.</p>					<p>მ. 82278.36</p>

<p>ანგარიშ — ფაქტურა და დან. რაოდენობა გაგზავნა გადახდის 1950 წ. 28/V</p>	<p>მიწოდების ბანკის ტვიფრი</p>	<p>— — — დღის პენები — — — მან. სულ გადახდის — — — ფშბ — — — მ. ა. ავიზო № 19 — წ. — (გ. დახდის თარიღი)</p>
<p>დირექტორის ხელმოწერა მთ. ბუღალტრის ხელმოწერა</p>		

ანგარიშის მეორე ეგზემპლარს მიმწოდებელი გზავნის ბანკის იმ განყოფილებაში, სადაც მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშია. მიმწოდებელი ანგარიშს ურთავს შეესებულ გადახდის მოთხოვნის ნიშნებს (გვ. 64).

ესაა მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნილება, რომელიც სახბანკოს საშუალებით ანგარიშთან ერთად წარედგინება მყიდველს (შემკვეთს), უკანასკნელისათვის გადაგზავნილი საქონლის ან მისთვის შესრულებული სხვა სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულების მისაღებად.

გადახდის მოთხოვნილება სამი ფორმისაა. ერთი ფორმის მიხედვით (ტრიპური ფ. № 881) ის შეივსება იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ანგარიში მიმწოდებლისა და მყიდველისა ბანკის ერთ და იმავე ფილიალში არის.

თუ მიმწოდებლის ანგარიში არის ბანკის ერთ ფილიალში, ხოლო მყიდველის ანგარიში მეორეში, მაგრამ ერთ ქალაქში, მაშინ გადახდის მოთხოვნილება შეივსება სხვა ფორმით (ტრიპური ფორმა № 882).

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი და მყიდველი სხვადასხვა ქალაქში იმყოფება,—მიმწოდებელი შეავსებს გადახდის მოთხოვნილებას მესამე ფორმით (ტრიპური ფ. № 883).

გადახდის მოთხოვნილება ერთი ქალაქის შიგნით ანგარიშსწორებისას შეიძლება გამოიწეროს 250 მან. და მეტი თანხის, ხოლო სხვა ქალაქთაშორისო ანგარიშსწორების დროს—1000 მან. და მეტი თანხის.

მიმწოდებლისაგან მიღებულ ანგარიშს გადახდის მოთხოვნილებით ბანკი გზავნის იმ განყოფილებაში, სადაც იმყოფება მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიში. აქ მყიდველი ახდენს გადახდის მოთხოვნილების აქცეპტს, ე. ი. მყიდველი თანხმობას აცხადებს გადახდის მოთხოვნილების განაღდებაზე, ბანკი აქცეპტებული მოთხოვნილების თანხას ჩამოწერს მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიმწოდებლის სასარგებლოდ.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მიმწოდებელი მყიდველს უგზავნის ანგარიშს უშუალოდ, ბანკისათვის გვერდის ავლით (როცა ანგარიშის თანხა ნაკლებია ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტზე). ამ შემთხვევებში მყიდველი თვითონ ანაღდება ანგარიშს ბანკის მეშვეობით, უწერს რა ბანკს დავალებას. თუ მიმწოდებელი მყიდველთან ერთად ერთ

ქალაქში იმყოფება, მაშინ შეივსება ადგილობრივი (ერთი ქალაქის) დავალება (გვ. 66).

ადგილობრივი დავალება შეივსება აგრეთვე სხვადასხვა ფორმით იმისდა მიხედვით, ბანკის ერთ ფილიალშია თუ სხვადასხვა ფილიალში გადამხდელისა და მიმღების ანგარიშები.

იყება 4 ეგზემპლარად, როცა მიმღებისა და გადამხდელის ანგარიშები იმყოფება ბანკის ერთ და იმავე ქალაქის სხვადასხვა ფილიალში. 1 ეგზ. წარმოადგენს საფუძვლს ანგარიშის თანხის ჩამოწმისათვის და რჩება გადამხდელის ფილიალში	1 ეგზ	ადგილობრივი	ხაზბანკის განყოფილება (ეგზავნება გადამხდელის ფილიალს კ/ტ ხაზბანკის
	საანგარიშსწორებო განყ. შეშვებით		
	კავშირგაბმულობის კანტორა		
	(ვისგან — გადამხდელის დასახელება)		შეოპერაციე №
	195—წ. მართლმადიდებელი დავალება № 130		ოპერაციის გვარობა № 1
	გთხოვთ ჩამოწეროთ ანგარიშსწორების დებუთო		
	თქვენთან არსებული ჩვენი მიმღ. ახგაოიფებიდან № 141003 და გადარიცხვით		(ანგარიში გადამხდელის)
	სად აქ (აღნიშნეთ ბანკი, სადაც იყოფება მიმღების ანგარიში)		188255 კრედიტო (მიმღების ანგარიში ანგარიში) № 224
	ვის ენერგოგასალება (მიმღები: დასახელება)		214-20 (ციფრებით)
	თანხა ორას თორმეტი მანეთი 20 კაპ. (სიტყვით)		ა ბანკის შივრ გატარებულა მიმწოდებლის ანგარიშის ვებებში
რისთვის ელექტროენერგიისათვის № 2149 უწყისით		19—წ.	
ბეჭდის ადგილი	კანტორის მმართველი მთავარი ბუღალტერი	კონტროლიორი შეოპერაციე	

თუ მიმწოდებელი სხვა ქალაქში იმყოფება, მაშინ დავალება შეივსება ბლანკზე სხვაქალაქთა შორისო დავალებად.

საბუ- თების რიგი- თი №		გას, რისთვის და რა საბუთის მოხდევით მიეცა	თ ა ნ ზ ა	(უკანა გვერდი)	
				დ ე ბ ე ტ ი	ანგარიში კარტით.
15/III	1	რკინიგზის ბილეთი მოსკოვიდან ტაშკენტამდე სქარი მატარებ- ლით, ალკატრით	210	—	
2/IV	2	ბილეთი ტაშკენტი—მოსკოვი	210	—	
	3	დღიურები 18 დღე-ღამის ხელფასის 1000 მან. 3% (მაგრამ არა უმეტეს 26 მან.) ანგარიზიდან—26 მან.	468	—	
	4	ბინის ქირა 9 დღის, დღეში 7 მან. (ანგარიზის გარეშე) ს უ ლ .	63	—	
			951	—	
		იჭვითება სადაზღვევო გამოსაღები	5	—	
			946	—	
		ს უ ლ .	946	—	

ანგარიშგაღებულადი პირის ხელმოწერა გ რ უ ზ დ ე მ ი

საავანსო ანგარიშში უჩვენებენ როგორც ავანსის სახით მიღებულ თანხებს (მივლინებისთვის, წერილი სამეურნეო ხარჯებისთვის და სხვ.), ისე ფაქტიურ ხარჯებსაც, რომლებიც გაწეულია ანგარიშვალდებული პირის მიერ. ანგარიშს დაერთვის ხარჯების დამადასტურებელი საბუთები. ანგარიშს ამოწმებს დაწესებულების ან საწარმოს ბუღალტერი და ამტკიცებს მისი ხელმძღვანელი.

მიმწოდებლისაგან მასალების მიღებისას საწყობის გამგე (მეკუქნავე) ხელს აწერს სპეციფიკაციას ან მიმწოდებლის ანგარიშის მეორე გვერდზე.

მაგრამ, თუ მასალის მიღების დროს მიმწოდებლის მიმართ რაიმე პრეტენზიები გამოვლინდა (პროდუქციის ხარისხის, რაოდენობის, ფასის გამო და ა. შ.), ასეთ შემთხვევებში დგება აქტი, რომელშიც აღინიშნება ყველა პრეტენზია.

საწყობიდან მასალების მისაღებად ჩვეულებრივ შეივსება მოთხოვნილება, რომელიც საწყობიდან მასალების გასაცემ ორდერს წარმოადგენს.

ტიპური ფორმა № 13

ძალა აქვს 1950 წ. 30 მაისამდე

კავშირგაბმულობის კანტორა

(სამმართველოს განყოფილება)

მოთხოვნილება № 146

25 მაისი 1950 წ.

ვისი მეშვეობით—მინდობილობით № 28

ფასეულობათა დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა		ფ ა ს ი	თ ა ნ ხ ა
		მოთხოვნილია	გაცემულია		
უბრალო ფანქრები	ც.	100	100	—30	30—
საკანცელარო კალმისტრები	"	15	15	1—25	18—75
სამაგრები	კოლოფი	1	1	7—50	7—50
კნოაკები	"	5	5	6—	30—
საკანცელარო კალმები	ც	100	100	08	8—
ფერადი ფანქრები	"	100	100	—80	80—
საკანცელარო საშალი	"	10	10	—30	3—
დექსტრინი	კგ.	2	2	7—55	15—10
შესახვევი ქაღალდი	"	50	50	3—	130—
სამკუთხედები	ც.	4	7	3—50	14

356—35.

მომარაგების უფროსი

გ ა ს ც ა :

მ ო ი თ ხ ო ე ა :

უფროსმა

გ ა ე ც ი თ :

მთ. ბუღალტერი

მ ი ი ლ ლ :

საწყობის გამგე

ხელფასის ანგარიშსწორებისას და მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელ-
ფასის მისაცემად ღებვა ს ა ა ნ გ ა რ ი შ ს წ ო რ ე ბ ო - ს ა გ ა ღ ა ს ა ხ ა ღ ო
უ წ ყ ი ს ი .

კავშირგაბმულობის კანტორა _____

საანგარიშსწორებო-საგადასახადო

რიგითი №	გადახდის პერიოდი	დ ა რ ი ც ხ უ ლ ი ა									
		ნარდად	დროულად	პერსონალური წანამატი	საიდუმლო-საშოფო შემაღებისათვის	ენების ცოდნისათვის	ნამსახურებისათვის	ს უ ლ	მათ შორის მომავალი პერიოდისათვის		
1	1/V—15/V	600	—	—	—	—	150	—	750	—	
2	1/V—15/V	600	—	—	—	—	90	—	690	—	
3	1/V—15/V	1000	—	300	—	—	150	—	1450	—	
4	1/V—15/V	500	—	—	—	—	50	—	550	—	
5	1/V—15/V	345	—	—	69	—	51	75	465	75	
6	1/V—15/V	900	—	—	—	—	225	—	1125	—	
7	1/V—15/V	750	—	250	—	—	75	—	1075	—	
ს უ ლ . .		4695	—	550	—	69	—	791	75	6105	75

გახაცემია: ოთხი ათას ოთხას

უფროსი (ხელმოწერა)

მთ. ბუღალტერი (ხელმოწერა)

ამ უწყისში ნაჩვენებია, რომელ მუშაკს (გვარი) რამდენი ერგება ხელფასი საანგარიშო პერიოდში, რამდენი უნდა დაეჭვითოს და რა ეკუთვნის ხელზე მისაცემი, ფულის მიღებისას მომუშავე ხელს აწერს უწყისზე.

უწყისი № 530 1950 წ. 1-15 მაისის განმავლობაში გვ. 1

რ ა უ კ ა ვ რ ა							ს უ ლ	გაცემი თანა	გვარი, სახელი და მამის სახელი	ხელმოწერა
საშემოსულო გადასახადი	უშვილობის, მარტოხე- ლობისა და ოჯახის მცირე- რიცხოვან. გადასახადი	სესხი	ფორმის ტანსაცმელი	აღმასრულებელი ფურცელით	ხელფასის გადაანგა- რიშება	ს უ ლ				
147	15	100				262	488	ა. კ. სშირნოვი		
131 40	82 80	105				319 20	370 80	კ. ა. ხომუტოვი		
	29	235				264	1186	პ. ბ. ერმოლოვი		
96 95	11 15	82				190 10	359 90	ი. კ. ფინოგენოვი		
73 72	4 65	55	44			177 37	288 38	კ. დ. პეტრარუკი		
	22 50	168				190 50	934 50	ა. კ. ვერტუშვესკი		
	129	172				301	774	ტ. პ. პრახოროვი		
449 07	294 10	917	44			1704 17	4401 58			

ერთი მან. 58 კაპ.

საანგარიშსწორებო ჯგუფის ბულალტერი (ხელმოწერა)

გარდა ტიპიური საბუთებისა, თითოეულ საწარმოში, დაწესებულებასა ან ორგანიზაციაში გამოიყენება დოკუმენტაცია, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ ორგანიზაციის დამახასიათებელ სამეურნეო ოპერაციებს, მათი მუშაობისა და სხვა თავისებურების გათვალისწინებით (უწყისები, კრებსები, მოხსენებანი, აქტები, რეესტრები და სხ.).

მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშების გეგმის აგება

ყოველი საწარმო სამეურნეო გეგმის შესრულების დროს თავის ოპერაციებს წერს საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშებში.

საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშების ნუსხას, რომელიც აგებულია ანგარიშთა ეკონომიური შინაარსის მიხედვით და, რომელიც შეიცავს აგრეთვე სათანადო შიფრებს, ეწოდება მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, ანუ საანგარიშო გეგმა.

ანგარიშთა გეგმა არსებითად აუცილებელია გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის აღრიცხვის მოწყობის დროს.

ჩვენს პირობებში სახალხო მეურნეობის ცალკე დარგები ადგენენ მეურნეობის ამ დარგის გეგმის შესრულების ნაერთ ანგარიშს. ამისთვის საჭიროა, რომ წარმოების, მიმოქცევის, მოხმარებისა და განაწილების ერთგვარი პროცესები ერთნაირ გამოხატულებას პოულობდნენ საბუღალტრო აღრიცხვაში, ე. ი. სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში შემავალი ყველა საწარმონი ერთნაირად გამოხატავდნენ თავიანთ სამეურნეო-ფინანსურ ოპერაციებს. ითვისწინებდნენ რა ამას, სამინისტროებმა და ცენტრალურმა უწყებებმა შეიმუშავეს მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშების გეგმები, რომლებითაც სავალდებულო წესით სარგებლობენ შესაბამისი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები.

დიდი მოხერხებულობა და შემსუბუქება მიმდინარე აღრიცხვისას ანგარიშთა გეგმით სარგებლობის დროს იმაში მდგომარეობს, რომ თითოეულ ანგარიშს მიკუთვნებული აქვს ნომერი (შიფრი). პრაქტიკულ მუშაობაში იმის ნაცვლად, რომ ყოველთვის წერონ ანგარიშის სრული დასახელება, აღნიშნავენ მხოლოდ მის შიფრს (იმის ნაცვლად, რომ დაწერონ ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში, წერენ ანგარიში 091—კავშირგაბმულობის ორგანოებში ამ ანგარიშს მიკუთვნებული აქვს სწორედ ეს ნომერი).

ანგარიშთა გეგმისა და მისი დაშიფრვის სანიმუშო სქემა ასეთია:

ანგარიშების ჯგუფების დასახელება	ჯგუფების ნომრები	პირველი რიგის ანგარიშების დასახელება	ანგარი- შების ნომერი	მეორე რიგის ანგარიშების დასახელება	ანგარი- შების ნომერი	ანგა- რიშე- ბის შიფრ
ძირითადი საშუალებანი	0	წენობები	0	შენობები	1	001
		ნაგებობანი	0	ნახის	2	002
		მოწყობილობა	0	საფოსტო კავ- შირის	3	003

ამრიგად, ანგარიშების გეგმა აგებულია ერთგვაროვანი ანგარიშების ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, „ძირითად საშუალებათა“ ჯგუფში შედის: შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა და მანქანები, სატრანსპორტო საშუალებანი, სამეურნეო ინვენტარი.

არსებობს მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშების გეგმების შიფრის შედგენის რამდენიმე წესი: რიგითი, ათწილადი და შერეული.

რიგითი წესის დროს ანგარიშთა გეგმის ანგარიშები ღებულობენ რიგითი ნომერს პირველიდან უკანასკნელამდე, ამასთან თუ ანგარიშის უკანასკნელი ნომერი გამოხატულია ორნიშნა რიცხვით, მაშინ რიგითი ნომერი, დაწყებული პირველიდან, აღინიშნება აგრეთვე ორნიშნა რიცხვებით, ასე, მაგალითად, დაწყებული № 01, 02, 99-მდე. თუ ანგარიშის უკანასკნელი ნომერი სამნიშნა რიცხვისაგან შედგება, მაშინ ყველა რიგითი ნომერი სამნიშნა რიცხვებით აღინიშნება, ასე, მაგალითად; 001, 002, 011, 999-მდე.

ათწილადი წესის დროს ანგარიშთა გეგმის ანგარიშები გაიყოფა ათ ჯგუფად 0-დან 9-მდე; ამასთან თითოეულ ჯგუფში უნდა შედიოდეს არა უმეტეს ათი ანგარიშისა.

შერეული ანუ ჯგუფური წესის დროს მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში შემავალი ანგარიშები გაიყოფა იმდენ ჯგუფად, რამდენიც სასურველი, ან საჭიროა, ამასთან ყოველი ჯგუფი მიიღებს ორნიშნა შიფრს.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში მოქმედებს შემდეგი პრინციპით აგებული მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა:

პირველი რიგის ანგარიშების შიფრი	განაცხედებისა და ანგარიშების დასახელება	მეორე რიგის ანგარიშების შიფრი	ქვეანგარიშების დასახელება
1	2	3	4
001	<p>I. ძირითადი საშუალებანი</p> <p>ძირითადი საშუალებანი</p>		<p>საწარმოო დანიშნულების ექსპლოატაციაში მარაგში</p>
012	<p>II. კაპიტალური დანახარჯები</p> <p>კაპიტალური დანახარჯები კაპიტალურ სამუშაოთა გეგმების გარეშე (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წ. 19 სექტემბრის დადგენილების თანახმად)</p>		<p>საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების</p>
014	<p>მოწყობილობა დანადგარისათვის და მასალები ს.მენჯებლო და სამონტაჟო საშუალებებისათვის</p>		<p>1. ახალი მშენებლობა 2. გაფართოება და რეკონსტრუქცია 3. შექმნა მოწყობილობისა, რო-მელიც გადაცემული იქნება უშუალოდ ექსპლოატაციაში 4. მოცულობის გააუმჯობესება 5. კაპიტალური რემონტი</p>
015	<p>ანგარიშსწორება მოიჯარეებთან</p>		
016	<p>III. მახალები ექსპლოატაციისა და წარმოებისათვის</p> <p>მცირეფასიანი და სწრაფმცვეთარი საგნები: საწყობში ექსპლოატაციაში</p> <p>და ა. შ.</p>	<p>0 161 0 162</p>	

ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები


ბუღალტრული აღრიცხვის ფორმის ქვეშ იგულისხმება ქრონოლოგიური და სისტემატური ჩანაწერების შეხამების განსაზღვრული წესი.

ქრონოლოგიური ჩანაწერა წარმოებს ბუღალტერიაში გასაფორმებლად საბუთების ფაქტიურად შემოსვლის მიხედვით. ასეთი რე-

გისტრაცია ყველაზე ხშირად წარმოებს ეგრეთ წოდებულ დღიურებში (ჟურნალებში).

ჩვენს პირობებში საბუთების რეგისტრაცია დღიურებში საატრიცხვო მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს. დღიური, ერთი მხრით, კონტროლს უწევს საბუთების მოძრაობას და მასში ჩაწერით თითოეულ საბუთს ეძლევა რიგითი ნომერი, მეორე მხრით, საბუთების ყოველდღიური რეგისტრაცია საერთო ჯამში გვაძლევს სამეურნეო ოპერაციების თანხას. ეს აადვილებს ჩანაწერების შემოწმებას, რადგან დღიურის მიხედვით საერთო თანხა ტოლი უნდა იყოს ბრუნვათა უწყისის დებეტის ან კრედიტის თანხისა საანგარიშო პერიოდის განწავლობაში.

სისტემატური ჩაწერები ხორციელდება განსაზღვრული სისტემით ანგარიშების ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით, სისტემატურ ჩაწერას ანგარიშებში მიზნად აქვს ერთგვაროვანი პროცესები განაზოგადოს ერთ ანგარიშში, თანმიმდევრობით აწარმოოს მათი საშუალებათა წყაროების გადიდება ან შემცირება დროის რომელიმე პერიოდში. განვიხილოთ, მაგალითად, სალაროს ანგარიში. ამ ანგარიშებში სისტემატიზებულია სალაროს ყველა ოპერაცია განსაზღვრულ პერიოდში, ფულის როგორც შემოსავლის, ისე გასავლის მიხედვით. იგივე ითქმის სხვა ანგარიშებზედაც. უწყისს, რომელშიც ანგარიშები დალაგებულია სისტემატური წესით,



სურ. 1. კარტოთეკა დახურული სახით

მთავარი დავთარი ანუ საქონტროლო უწყისი ეწოდება.

ამჟამად ჩანაწერებს აწარმოებენ დავთრებში ან ბარათებში. დავთარში ჩაწერების წარმოების დროს ერთგვაროვანი ოპერაციებისათვის შემოღებულია ცალკე დავთრები (სალაროს დავთარი, საქონლის დავთარი, მასალების დავთარი, ანგარიშვალდებული პირების დავთარი, დებიტორებისა და კრედიტორების დავთარი, ხარჯების დავთარი, შემოსავლის დავთარი და ა. შ.). ძირითად დავთრად ითვლება საერთო ანგარიშების დავთარი—მთავარი

რისთვისაც დავთარი, დებიტორებისა და კრედიტორების დავთარი, ხარჯების დავთარი, შემოსავლის დავთარი და ა. შ.). ძირითად დავთრად ითვლება საერთო ანგარიშების დავთარი—მთავარი

დავთარი, რომლის ჩანაწერებს ამოწმებენ დანარჩენი დავთრების ჩანაწერებთან ცალკეული დეტალური ანგარიშების მიხედვით.

ბარათული აღრიცხვის დროს ოპერაციები იწერება სათანადო ბარათებში.


განსაკუთრებულ დავთარში წარმოებს ბარათების რეგისტრაცია, რითაც მათ იღებენ მკაცრ აღრიცხვაზე.

ნაღდი ფულის ოპერაციებს ბარათული აღრიცხვის დროსაც სალაროს დავთარში აწარმოებენ.

ბარათებს კარტოთეკაში ინახავენ (სურ. 1).

კარტოთეკა გაყოფილია განყოფილებათა განსაზღვრულ რაოდენობად, ან მათში თავმოყრილია ბარათები, რომლებიც შეესაბამება რომელიმე საერთო (სინთეზურ) ანგარიშს მისი დეტალიზაციით დეტალური (ანალიზური) ანგარიშების მიხედვით (სურ. 2).

ბარათებზე აღრიცხვის წარმოება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ ქალაქის პირის გადაღებით ჩაწერის მეთოდი. ამ შემთხვევაში ერთ სამუშაო ჯერზე ახორციელებენ სისტემატურ ჩაწერას დეტალურ ანგარიშებში და ქრონოლოგიურ ჩაწერას შესაბამის საერთო ანგარიშზე. ამასთან, პრაქტიკაში იყენებენ განსაკუთრებულ ასლის გადაღებ აპარატს (სურ. 3).




სურ. 2. კარტოთეკა ღია სახით

ბარათები კარტოთეკაში ლაგდება გარკვეული წესით ცალკე ჯგუფებად დაყოფით (სურ. 4 და 5).

კავშირგაბმულობის მეურნეობის საწარმოთა უმრავლესობაში გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი ფორმა, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშო მუშაობის ორგანიზაციის შემდეგ წესს:

1. დოკუმენტალური გაფორმება. ყოველი ოპერაცია ფორმდება აუცილებელი საბუთით უკანასკნელზე განსაკუთრებული ტვიფრის („გატარება“) დადებით, რითაც ურთიერთკავშირს (კორესპონდენციას) ამყარებენ ამ ოპერაციის ანგარიშებს შორის.

2. ქრონოლოგიური ჩანაწერი. ოპერაციებს თანმიმდევრობითი, ქრონოლოგიური რიგით აღნიშნავენ რეგისტრაციის ეურნალში (დღიურში), მასში ოპერაციის ნომრისა და თანხის ჩვენებით.



სურ. 3. პირის გადასაღები აპარატი.


3. სისტემატური ჩაწერა. რეგისტრაციის შემდეგ ოპერაციები აღირიცხება საერთო (სინთეზური) ანგარიშების მიხედვით საკონტროლო უწყისში და

სათანადო დეტალური (ანალიზური) ანგარიშების მიხედვით—დავთრებში ან ბარათებში.

4. ჩანაწერების განზოგადება. პერიოდულად, დაწესებულ ვადებში, ადგენენ ბრუნვათა ბალანსს საერთო ანგარიშების მიხედვით და ბრუნვათა უწყისებს დეტალური ანგარიშების მიხედვით, რომლის საფუძველზე გამოყავთ საწარმოს ბალანსი.

აღრიცხვის ამ ფორმის ნაკლებად მსხვილ საწარმოებში გამოიყენება ფორმა, რომელიც ცნობილია „ეურნალ-მთავარი“-ს ან „დღიურ-მთავარი“-ს სახელწოდებით (იხ. 80—81 გვ).

აღრიცხვის ეს ფორმა გამოიყენება იმ საწარმოებში, სადაც ანგარიშების რაოდენობა მცირეა (არა უმეტეს 20—25). ამასთან, აწარმოებენ საერთო ანგარიშების დავთარს „ეურნალ-მთავარს“, რომელშიც ერთდროულად წარმოებს ქრონოლოგიური და სისტემატური ჩაწერა.




სურ. 4. კარტოთეკის ბარათების დაჯგუფება საერთო ანგარიშებით.

ასე, კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოებში გზავნილებათა ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს „ეურნალ-მთავარი“-ს ფორმით. ამ დავთრის წარმოებასთან უფრო დეტალურად გაცნობის მიზნით

80—81 გვერდებზე მოგვყავს რიგი ჩანაწერებისა ჩვენს მიერ 38—40 გვ. ნაჩვენები მაგალითებიდან.

„**ეურნალ-მთავარი**“-ს მონაცემებიდან ჩანს, რომ ყველა ჩაწერა წარმოებს ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში ერთ და იმავე სტრიქონზე, გარდა ამისა, იგივე თანხა ეურნალში იწერება ეურნალის პირველ სვეტში ამავე სტრიქონზე. მაშასადამე, ერთი და იგივე თანხა იწერება სამჯერ. გარდა ამისა, ყველა ჯამის გამოანგარიშება ცალკე სვეტების მიხედვით (თუ ჩაწერა უშეცდომოდ არის გაკეთებული)



სურ. 5. დეტალური ანგარიშების ბარათების დაჯგუფება

ერთბაშად გვაძლევს ბრუნვის ჯამს, ე. ი. ყველა ანგარიშის დებეტის ჯამი ტოლია ყველა ანგარიშის კრედიტის ჯამისა, რასაც იმავედროულად გვიჩვენებს მეოთხე სვეტის ჯამი.

სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციის ტექნიკა

საბუღალტრო აღრიცხვის საწარმოებლად მუშაობა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დაკავშირებულია მთელ რიგ პროცესებთან, რომლებსაც ასრულებენ აღრიცხვის მუშაკები, სახელდობრ:

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებულ ყველა შემოსული და გასული საბუთების ყოველმხრივი შემოწმება;

გატარება (კონტირება) საბუთებზე იმ მაკორექსონდირებელ ანგარიშებისა, რომელთაც ეხება ესა თუ ის ოპერაცია;

ყველა საბუთის რეგისტრაცია სათანადო ეურნალებში შემდგომი ბუღალტრული დამუშავებისათვის;

შ უ რ ნ ა ლ -

ჩაწერის თარიღი	ოპერაციების შინაარსი	მუხლის ნომერი	საერთო ბრუნვა	მიმდინარე						
				სალარობები 088		ანგარიშ-სწორების ანგარიში სახბანკში 692		მცირე-ფასიანი საგნები 016		
				დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
1949 იანვარი										
1	შესავალი ბალანსი		575000	—	—	40000	—	5000	—	
2	დანარჯული მასალები რემონტზე მიღებულია ბანკიდან ჩეკით	1	4000	—	—	—	—	—	—	
2	მიყვა მუშებს რემონტისათვის	2	2000	2000	—	—	—	2000	—	
2	მიყვა მუშებს რემონტისათვის	3	1700	—	1700	—	—	—	—	
5	დაერიცხა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასი	4	8400	—	—	—	—	—	—	
7	დაქავა გადასახადები, სესხისათვის მიღებულია ბანკიდან ჩეკით	5	1200	—	—	—	—	—	—	
7	გადაირიცხა დაქავ. გადასახადები და სესხის თანხა	6	7200	7200	—	—	—	7200	—	
7	და სესხის თანხა	7	1200	—	—	—	—	1200	—	
10	მიყვა ანგარიშს ქვეშ შეკუპნავეს	8	200	—	200	—	—	—	—	
10	შემოვიდა ძირითად საშუალებათა მატებად	9	20000	—	—	—	—	—	—	
12	ჩამოწერილია უვარგისი მცირე-ფასიანი საგნები	10	30	—	—	—	—	—	—	30
15	მიყვა მუშა-მოსამსახურ. ხელფასი	11	7000	—	7000	—	—	—	—	
15	შემოვიდა ჯერ კიდევ ფასგადაუხდელო მასალები	12	38000	—	—	—	—	—	—	
18	ჩამოეწერა შეკუპნავეს საავანსო ანგარიში	13	176	—	—	—	—	—	176	
18	შემოვიდა ნაშთი ავანსის დაუხარჯავ საშუალებებისა	14	24	24	—	—	—	—	—	
18	დარიცხულია დახდევის	15	512	—	—	—	—	—	—	
18	გადაირიცხა დუონენტებში გადაუხდელო ხელფასი	16	200	—	—	—	—	—	—	
20	მიყვა დაქირავებული არტელის მუშებს სამუშაოს ანგარიშში ხელშეკრულებით	17	75	—	75	—	—	—	—	
	სულ თვის განმავლობაში		91917	9224	8975	—	10400	176	30	
	ბალანსი თვის დასასრულისათვის		633712	249	—	29600	—	5146	—	

¹ აქ ამ ჯამში ადგილის ეკონომიის მიზნით მოთავსებულია მუხლი 12 38000, მიწოდებებით.

შ თ ა ვ ა რ ი

აღრიცხვის ანგარიშები

მასალები 022		ანგარიშ- ვადე- ბული პირები 116		დებიტო- რები და კრედი- ტორები 117 ¹		საექსპლო- ატაციო ხარჯები 050		მუშა-მო- სამსახუ- რები ხელფასით 129		ძირითადი საშუალე- ბები 001		ძირითადი საშუალე- ბათა ფონდი 200-1		საბრუნავ საშუალე- ბათა ფონდი 200-2	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
30000										500000			500000		75000
	4000					4000									
						1700									
						8400		8400							
				1200				1200							
		200													
										20000			20000		
								30							
								7000							
38000					38000										
			176												
			24												
					512	512									
					200			200							
				75											
38000	4000	200	200	1275	1912	14642		8400	8400	20000			20000		
64000				75	38000	712	14642			520000			520000		75000
					38000										

რომელიც კრედიტით გვუთვნის ანგარიშს 122-მიმწოდებლები დაუფაქტურებელი

საბუღალტრო აღრიცხვა

ბულალტრული გაფორმების სპეციალური საბუთების შედგენა (ცნობები, ნაერთი უწყისები და სხვ.);

საანგარიშო პერიოდისათვის საერთო ანგარიშების საკონტროლო უწყისის შედგენა;

საერთო და დეტალური აღრიცხვის ყველა ანგარიშის ქრონოლოგიური და სისტემატური ჩანაწერების წარმოება (დავთრებში ან ბარაჟებში); თითოეული ანგარიშის — ცალკე დებეტის და ცალკე კრედიტის თანხის პერიოდულად (ჩვეულებრივ ყოველთვიურად) ჩამოთვლა და საერთო და დეტალური აღრიცხვის ბრუნვათა უწყისების შედგენა;

საერთო აღრიცხვის შედეგების შემოწმება და დაპირისპირება ამა თუ იმ საერთო ანგარიშის ანალიზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისებთან და მათი თანასწორობის დადგენა;

შემჩნეული შეცდომების გასწორება.

სწორად მოწყობილი აღრიცხვა ყოველთვის გამოხატავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას საწარმოებში. ერთნაირი ოპერაციების ერთგვარად გამოხატვის მიზნით აღრიცხვაში დაწესებულია ბლანკებისა და დავთრების სპეციალური ფორმები, რომლებსაც იყენებენ სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში. ამ ფორმებს ეწოდება ტიპიური (სტანდარტული) ფორმები; გარდა ამისა, ამა თუ იმ საწარმოს მუშაობის სპეციფიკამ შეიძლება მოითხოვოს სპეციალიზებული ფორმების დაწესება.

შემდეგში თანმიმდევრულად გავეცნობით ბულალტრული საბუთების დამუშავების დანარჩენ პროცესებს და საერთო და დეტალური ანგარიშების წარმოების წესს.

საწარმოს ბულალტერიში მიღებული საბუთები (სალაროს — მოლარისაგან, ხოლო დანარჩენი — სხვადასხვა დაწესებულებისა და პირისაგან) ყოველდღიურად ინომრება რიგითი ნომრის მიხედვით და რეგისტრაციაში ტარდება შემდეგი ფორმის ჟურნალში:

ჟურნალი

საბუთების რეგისტრაციისა _____ რიცხვი _____ თვე 19 ____ წ.

საბუთის რიგითი ნომერი	თ ა რ ი დ ი	ბრუნვის თანხა

ჩვეულებრივ საბუთს ნომრავენ ყოველთვიურად პირველი ნომრიდან: თვის ბოლოს რეგისტრაციის ეურნალის საერთო ჯამი მოწმდება საკონტროლო უწყისის საერთო ჯამთან, რადგან ეს ორი ჯამი ერთნაირი უნდა იყოს.

ბუღალტერიის ჩანაწერს, რომელშიაც ერთ-ერთ მაკორესპონდირებელ ანგარიშს სალაროს ანგარიში წარმოადგენს, სალაროს ჩანაწერი ეწოდება, ხოლო ჩანაწერებს ან მუხლს, რომელშიაც მაკორესპონდირებელ ანგარიშებს შორის არ არის სალაროს ანგარიში, მემორიალური ჩანაწერი, ანუ მემორიალური მუხლი ეწოდება.

მემორიალური ჩანაწერების¹ გაფორმების დროს (ისინი კი ბევრია საბუღალტრო მუშაობაში) საბუთების გულდასმით შემოწმების შემდეგ, რომლებიც საფუძველს წარმოადგენენ ჩანაწერების შესადგენად, აუცილებელია შევსებულ იქნას (გატარება) შემდეგი ფორმის ფურცელი:

ბატარება № 1 და № 2. 31 იანვარი, 1950 წ.

გატარება	დებეტი	კრედიტი	თანხა	ტექსტი
	ანგარიში	ანგარიში		
1	050	129	8 400 —	დაერიცხა მუშა-მოსამსახურეებს 1950 წ. იანვრის ხელფასი, თანხმად თანდართული უწყისისა № 1
2	129	133	1210	დაკაეებულია გადასახადები და სესხი

ბუღალტერი

(ხელმოწერა)

შევსებული ფურცელი გვიჩვენებს ორი ოპერაციის გაფორმებას, რომელთაგან პირველი ნიშნავს ჩანაწერს:

დებეტი ანგარიში 050 ექსპლოატაციის ხარჯები

კრედიტი ანგარიში 129 მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, ხოლო მეორე:

დებეტი ანგარიში 129 მუშა-მოსამსახურეები ხელფასით

კრედიტი ანგარიში 133 ფინორგანოები და შემნახველი სალაროები გადასახადებისა და მასობრივი სესხებით.

¹ სალაროს ჩანაწერთა გაფორმების წესი ნაჩვენებია 61—62 გვ.

გაფორმდება თუ არა როგორც სალაროს, ისე მემორიალური ორდერები, მაშინვე უნდა ჩაიწეროს ჯერ საერთო, ხოლო შემდეგ დეტალური აღრიცხვის მიხედვით შემდეგი წესით:

ყველა საბუთი დალაგდება რიგითი ნომრით. ამასთან სასურველია საბუთების ისე დაჯგუფება, რომ საბუთების რეგისტრაციის ეურნალის ნომერი ემთხვეოდეს გატარების ნომერს. ასეთი წესი მოხერხებულია იმით, რომ ადვილად შეიძლება საჭირო საბუთის მოძებნა იმავე რიგით საბუთები ჩაიწერება საკონტროლო უწყისში. სიცხადისათვის ავიღებთ იმავე მაგალითებს, რომლებიც ჩვენს მიერ მოყვანილია 80—81 გვ. და დავიმახსოვრებთ, რომ ანგარიშების შეფრები, რომელთა შესახებ ჩვენ მოხსენებული გვაქვს ჩვენ მაგალითში, საანგარიშო გეგმის თანახმად მიღებულია კავშირგაბმულობის საწარმოებში:

ძირითად საშუალება-თა ანგარიში	001
ფონდის ანგარიში ძირითად საშუალებებში .	200-1
ფონდის ანგარიში საბრუნავ საშუალებებში .	200-2
მასალების ანგარიში	022
მცირეფასიანი საგნების ანგარიში	016
ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში	092
ექსპლუატაციის ხარჯების ანგარიში	050
სალაროს ანგარიში	088
მუშებისა და მოსამსახურეების ანგარიში ხელფასით	129
დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში	117
ანგარიშვალდებული პირების ანგარიში	115
მიმწოდებლების ანგარიში დაუფაქტურებელი მიწოდებებით	122

სამართო ანგარიშების საკონტროლო უწყისი

ანგარიში 080 (დებუტი)

მუხლის ნომერი 1	ანგარიში 022 (კრედიტი)	ანგარიში 088 (კრედიტი)	ანგარიში 120 (კრედიტი)	ანგარიში 016 (კრედიტი)	ანგარიში 117 (კრედიტი)	სულ დებუტი
1	4000					
3		1700				
4			8400			
10				30		
15					512	14642
	4000	1700	8400	30	512	14642

1 იხ. 80—81 გვ. ჩვეულებრივ, მუხლის ნომერი იწერება სათანადო ანგარიშზე სვეტში ოპერაციის ჯამის აღნიშვნის მარცხნივ. აქ ეს არ არის გაკეთებული ტექნიკური მოსახრებით.

ანგარიში 083 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 092 (კრედიტი)	ანგარიში 115 (კრედიტი)		სულ დებეტი
2	2 007			
6	7 210			
13		24		
	9 200	24		9 224

ანგარიში 120 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 117 (კრედიტი)	ანგარიში 088 (კრედიტი)		სულ დებეტი
5	1200			
11		7000		
16	200			
	1400	7000		8400

ანგარიში 117 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 092 (კრედიტი)	ანგარიში 088 (კრედიტი)		სულ დებეტი
7	1200			
17		75		
	1200	75		1275

ანგარიში 118 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 088 (კრედიტი)		სულ დებეტი
8	200		
	200		200

გაგრძელება

ანგარიში 016 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 115 (კრედიტი)		სულ დებეტი
13	176		176

ანგარიში 001 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 200-1 (კრედიტი)		სულ დებეტი
9	20 000		
	20 000		20 000

ანგარიში 022 (დებეტი)

მუხლის ნომერი	ანგარიში 122 (კრედიტი)		სულ დებეტი
12	38 000		
	38 000		38 000
ს უ ლ			91 917

ასეთია საბუთების საკონტროლო უწყისში ჩანაწერის წესი. როგორც მოყვანილი ფორმიდან ჩანს, თითოეულ ანგარიშს მიჩენილი აქვს ადგილი დებეტის თანხების ჩასაწერად მათი კრედიტების ერთდროულად ცალკე სვეტებში გამოხატვით. ჩვენ მაგალითში მოყვანილია ასეთი მაჩვენებლები: 050 ანგარიშს ყველა მოყვანილი ჩანაწერით 5 მაკორესპონდირებელი ანგარიში აქვს, 088-2 ანგარიში, 129 2 ანგარიში, 117-2 ანგარიში, ხოლო ანგარიშებს 115, 016, 001, 022—თითო-თითო. ნამდვილად ყოველთვის გაცილებით მეტი იქნება მაკორესპონდირებელი ანგარიშები, ვიდრე ჩვენ მაგალითშია.

საკონტროლო უწყისში დებეტის საერთო თანხებს აჯამებენ ჰორიზონტალურად, ხოლო კრედიტისას— ვერტიკალურად. ეს ფორმა, რო-

შელსაც კაღრაკული ეწოდება, გვიჩვენებს ანგარიშებს შორის ურთიერთკავშირს და ბრუნვებს ცალკე ანგარიშების დებეტისა და კრედიტის მიხედვით. ვაჩვენოთ ეს ჩვენს მაგალითზე:

სულ დებეტი		სულ კრედიტი	
საექსპლოატაციო ხარჯების ანგარიში	050 14 642		
საღაროს ანგარიში	098 9 224	1 700 + 7 000 + 75 + 200 =	8 975
მუშა მოს. მსახურების ხელფასის ანგარიში	129 8 400	8 400	= 8 400
დანარჩენ დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში	117 1275	512 + 1 400	= 1 912
ანგარიშვალდებული პიონების ანგარიში	115 200	24 + 176	= 200
ნაკლებფასიანი საგნების ანგარიში	016 176	30	= 30
ძირითად საშუალებათა ანგარიში	001 20 000		
მასალების ანგარიში	022 38 000	4 000	= 4 000
ძირითად საშუალებათა ფონდის ანგარიში	200-1 —	20 000	= 20 000
უფაქტუროდ გამოჯავნილი საგნების მოწოდებულ ანგარიში	122 —	38 000	= 38 000
სახბანკო საანგარიშსწორებო ანგარიში	092 —	10 400	= 10 400
ს უ ლ 91 917		91 917	

თუ აქტივისა და პასივის ამ ჯამებს მივუმატებთ დაწყების ნაშთებს, შეიძლება გამოსავალი ბალანსიც მივიღოთ. მაშასადამე, ამ პირობებში შესაძლებელია მეურნეობაში ყოველდღიურად გვქონდეს ბალანსი.

მაგრამ, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, საერთო (სინთეზური) აღრიცხვას დეტალურის (ანალიზურის) გარეშე არ შეუძლია უზრუნველყოს წარმოების ყველა პროცესის ჯეროვანი კონტროლი, აგრეთვე არ შეუძლია მოგვცეს ყველა ის ცნობა, რომლებიც აუცილებელია პრაქტიკულ მუშაობაში მეურნეობის სწორად ხელმძღვანელობისათვის.

დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ დავთრებში, ხოლო უფრო ხშირად ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის ბარათებში:

1) მასალების ბარათები იხსნება ყოველი სახელწოდების მასალაზე, მისი ზომისა და მოცულობის ჩვენებით (გვ. 88).

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოში ერთი და იგივე მასალა შემოდის სხვადასხვა ფასით, მათი ხარჯებში გაწერისას ჩვეულებრივად სარგებლობენ პარტიობითი ჩამოწერის, ან საშუალო ფასის განსაზღვრის მეთოდით.

პირველ შემთხვევაში მასალები ხარჯში გაიწერება ცალკეულ შემოსულათა (პარტიების) ფასების მიხედვით თანმიმდევრობითი წესით, ე. ი. ერთი პარტიის მასალები სრულად გაიხარჯება, ამის შემდეგ გასაცემი მასალები ჩამოიწეება შემდეგი პარტიის ფასად და ა. შ.

მეორე შემთხვევაში ერთნაირი მასალების ჩამოწერას აწარმოებენ საშუალო ფასების მიხედვით, რომელსაც არკვევენ თვის ბოლოს. საშუალო ფასა განსაზღვრავენ მასალების ნაშთების ღირებულებისა და შემოსული მასალების ღირებულების გაყოფით მასალების რაოდენობაზე.

მაააღმების აღრიცხვის ბარათი

1950 წ.	კალენდარი		1	მეტრი	12 20	150	2125	1	022	
	(ანგარიშის დასახელება)	ზომა								ხარისხი
გატარება					შემოსავალი		გასავალი	ნაშთი		საკონტოლო ანგარიში
თარიღი №	ტექსტი		ფასი	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	
3/1	133	ნაშთი 1950 წ. 1 ლ იანვრისთვის შემოვიდა მთავარმომარაგებიდან, ანგარიშით 248	10	—	—	—	—	10	100	
18/1	389	სტამბას, მოთხოვნილებით 18 I-დან № 105	12	20	150	1830	—	160	1930	
		ბრუნვა იანვარში	12	20	150	1830	50	610	110	1320
20/1	538	შენებლობის კანტორიდან, ხედნადებით 937	12	10	30	363	40	480	140	1683
28/11	642	სტამბას, მოთხოვნილებით 273	12	—	—	—	—	100	1203	
		ბრუნვა თებერვალში	12	03	30	363	40	480	100	1203

გაგრძელება

1950 წ.	კალენდარი	ზომა	1 მეტრი'		12-20	150	2125	1	022
	(ანგარიშის დასახელება)		ხარის- ხი	ზომის ერა.	საგვე- მო ფასი	მარა- გის ნორმა	ნომენ- კლატ. №	გვერ- დი	ანგა- რიშის ციფრა
გატარება	ტექსტი	ფასი	შემოსა- ვალი		გასავალი		ნაშთი		V ანგარიში
თარი- ლი			რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	
18/III 796	შემოვიდა მთავარმობა- რაგებიდან. ანგარი- შით № 497	12 11 100 1211					200 2414		
30/III 892	სტამბას. მოთხოვნილე- ბით 488	12 03			160 1924 80	40	489 20		
	ბრუნვა მარტში	12 23 100 1211			160 1924 80	40	489 20		

მასალების რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით აღრიცხვის ასეთი წესი შესაძლებლობას გვაძლევს:

შევამოწმოთ ნაშთი, რომელიც საბუღალტრო აღრიცხვაში ირიცხება, ამ მასალების ნაშთთან ნატურით;

გამოვარკვიოთ მასალის ნაშთის საშუალო ფასი ღირებულების რაოდენობაზე გაყოფის გზით;

შევამოწმოთ რამდენად სწორად ფასდებოდა თვის განმავლობაში დახარჯული მასალები.

2) ანგარიშვალდებული პირების, დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიში იხსნება თითოეულ დებიტორსა და კრედიტორზე ცალკე.

საკონტრაქტო ბარათი

ორგანიზაცია

1950 წ.		ანგარიშვალდებულ პირების ანგარიში— მნე ა. კონსტანტინოვის (ანგარიშის დასახელება)	1	1	115
გატარება		ჩანაწერის შინაარსი	ბარათის ნომერი		
თარიღი	№		დებეტი	კრედიტი	V
5/I	127	მიეცა ანგარიშქვეშ წვრილი სამეურნეო საგნების საყიდლად	400	—	088
9/I	172	წარმოდგენილია სააგანსო ანგარიში № 1		372	016
9/I	173	შემოტანილია ავანსის დაუბარჯავი ნაშთი		28	088
სულ იანვარში			400	400	088
5/II	209	მიეცა ანგარიშქვეშ წვრილი სამეურნეო ხარჯებისათვის	150	—	088
11/II	218	წარმოდგენილია სააგანსო ანგარიში № 2		144	050
11/II	219	შეტანილია ავანსის დაუბარჯავი ნაშთი		6	088
სულ თებერვალში			150	150	

ასეთი დეტალური ანგარიშების ჩანაწერები შესაძლებლობას გვაძლევს სისტემატურად ვადევნოთ თვალყური დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა მოძრაობას, იგი უზრუნველყოფს იმის კონტროლს, რათა დროულად დაიფაროს კრედიტორების ვალი და დროზევე იქნეს დებიტორებისაგან მიღებული დავალიანება.

3) მუშა - მოსამსახურეთა ხელფასის ანგარიში იხსნება მოცემული საწარმოს დაწესებულების თითოეულ მუშასა და მოსამსახურეზე.

მუშა-მოსამსახურეთა

1950

გვარი, სახელი და მამის სახელი ელადიმიროვი პეტრე

მოძრაობა სამსახურში

თარიღი	ბრძანების №	განყოფილების დასახელება	თანამდებობა	ჩარიცხვის თარიღი	ბ ე ლ ე ვ ა ს ი		
					ბ რ ი თ ვ ი	ნ ა მ ა ხ ე რ ი	ს უ ლ
3/I 1950 წ.	326	რადიოგანყოფილება	უფროსი ინჟინერი	1947 წ. 1/I	1300	325	1625

1950 წ. 1/I კავშირგაბმულობის ორგანოებში მუშაობის სტაჟი 15 წ. 6 თვე და 29 დღე

თარიღი	უწყისის №	რაოდენობა	საკლასიკაციო პერიოდი	ეკუთვნის მისაღებად					ს უ ლ
				დ რ . უ ლ ა დ	პ ე რ ს ო ნ - ლ უ რ ი	ს ა ი დ ე ლ ო პ ი ზ ი	გ ე ნ ი ბ ის ო ლ ნ ა	ნ ა მ ა ხ ე რ ი ბ ის	
15/I	66	12	1—15/I	650	—	—	—	—	650
30/I	150	12	16—31/I	650	—	—	—	—	650
31/I	161	24	1—31/I	—	—	—	—	325	325
სულ იანვარში				1300	—	—	—	325	1625
15/II	200	13	1—15/II	650	—	—	—	—	650
28/II	249	11	16—28/II	650	—	—	—	—	650
29/II	281	24	1—28/II	—	—	—	—	325	325
შეთავსებისათვის 2-დან 17/II				328—15	—	—	—	109—40	437—55
სულ თებერვალში				1628—15	—	—	—	434—40	2062—55
15/III	307	13	1—15/III	650	—	—	—	162—50	812—50
31/III	363	14	16—31/III	650	—	—	—	162—50	812—50
სულ მარტში				1300	—	—	—	325	1625—

ბელუჯის ბარათი

ნიკოლოზისძე დაბადებული 1915 წ.

378	1	129
ბარათი	გვ.	ანგარიშის მიწი

გადასახადის შედეგათები		ვალდებულებანი										
საშემოსავლო	ოჯახის მცირე-რიცხვიანობის	სესხე ხელისმომწერის 1949 წ.					აღმასრულებელი ფურცლებით					
	6%	ს მ ა გ ¹ მე-4 1500					ს მ ა გ მე-5 2500					
დაუკავდა ფორმის ტანსაცმლისათვის	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII

საშემოსავლო გადასახადი	შემოსავლის მარცხე ლობის და ოჯახის მცირე რიცხვიან გადასახადი	სესხის	ფორმის ტანსაცმლის	აღმასრულებელი ფურცლებით ხელდასმული გადასახადით	ს	შ	გ	გასაცემი თანხა
121	78	75	—	—	—	—	274	376
—	—	75	—	—	—	—	75	575
—	—	—	—	—	—	—	—	325
121	78	150	—	—	—	—	349	1275
121	78	75	—	—	—	—	274	376
—	—	75	—	—	—	—	75	576
42—25	19—50	—	—	—	—	—	61—75	263—25
—	—	—	—	—	—	—	—	437—55
163—25	97—50	150	—	—	—	—	410—75	1651—80
220—11	123—72	—	—	—	—	—	343—83	468—67
—	—	—	—	—	—	—	—	812—50
220—11	123—72	—	—	—	—	—	343—83	1281—17

¹ ს მ ა გ — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების.

19 80 წ.		სამსახურის დასახელება										1	1	270	
		ანგარიშის დასახელება										ბარათი	86	ანგ. შიფრი	
ვატარება	მ. ა. მ.	კ რ ე დ ი ტ ი										მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	
		რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები	რეზერვები				რეზერვები
სამსახური	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.	მ. ა. მ.
2/1	10	შემოვიდა შემოსავალი	128 40	—	274 20	193 25	6 80	11	—	—	—	—	—	613 65	088, 105
20/1	102		193 60	—	239 80	208 40	11 20	16	—	—	—	—	669	—	—
3/1	185	დარიცხულია	—	274 90	—	—	—	—	—	—	—	—	—	274 90	105, 088
31/1	187	შემოვიდა	174 90	—	282 40	211 20	16 40	16	—	—	—	—	702 90	—	—
		სულ იანგარიში . . .	496 90	274 90	796 40	612 85	34 40	45	—	—	—	—	2260 46	—	—

სამსახურის დასახელება

ანგარიშის დასახელება

1950 წ.		საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი		1	1	050	
		ანგარიშის დასახელება		ბარათები	გვ.	ანგარიშის კოფი	
გატარება	№	დ ა ბ ა ბ ი					
		ფონდის გადახედვა	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი
		საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი	საქსკულტობრივი განსაკუთრებული ფონდი
		მ. კ. მ.	მ. კ. მ.	მ. კ. მ.	მ. კ. მ.	მ. კ. მ.	მ. კ. მ.
3/1	18	სატრანსპორტო კატორის ანგარიში № 11	873 95				
8/1	37	საბჭოთა ფონდის სამმართველოს ანგარიში № 139	398 65			873 95	117
15/1	45	დაბარჯულია მასალები	417 50			417 50	117
31/1	71	გამოღების დაბრუნება მტკიში დამატებაში		237 90		237 90	022
				1192 70		1192 70	129
		ს უ ლ ინფორმ	873 95 398 65 417 50	237 90 1192 70		3120 70	

ანიღვანდობა

5) ექსპლოატაციის შემოსავლისა და ხარჯების ანგარიში იხსნება ცალკე შემოსავლისა და ცალკე ხარჯების მიხედვით.

ამ ანგარიშებში ჩანაწერების წარმოება მრავალსვეტიან ბარათებზე საშუალებას გვაძლევს შემოსავლისა და ხარჯების აღრიცხვა ვაწარმოოთ ცალკე დარგებისა და თითოეულ დარგში მუხლების მიხედვით.

ეს აუცილებელია შემოსავლისა და ხარჯების გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე სისტემატური კონტროლის დაწესებისათვის არა მარტო მთლიანად, არამედ დეტალურადაც დარგებისა და მუხლების მიხედვით.

როგორც ვიცით, ყოველი საბუთი საერთო ანგარიშებში ჩაწერის შემდეგ იწერება სათანადო დეტალურ ანგარიშებში, ამასთან ეს ჩაწერა წარმოებს არა მარტო ფულად გამობატულებაში, როგორც საერთო ანგარიშებში, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში. ნატურალურ (რაოდენობრივ) მაჩვენებლებშიაც.

დეტალური აღრიცხვის ყველა ანგარიშის მიხედვით ყოველთვიურად დგება ბრუნვათა უწყისები, რომელთა ჯამი ტოლი უნდა იყოს სათანადო საერთო ანგარიშის მიხედვით ბრუნვათა უწყისის შენაჯამისა.

შედგენილი ბალანსი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, როცა მის შედგენამდე საერთო აღრიცხვის აქტივისა და პასივის ყველა მუხლი შემოწმებულია დეტალური ანგარიშის ყველა საბუთთან. თუ საერთო აღრიცხვის მონაცემების შემოწმება-შედარებისას დეტალური აღრიცხვის მონაცემებთან აღმოჩნდა რაიმე შეცდომა, იგი უნდა გასწორდეს სათანადო წესით. შეცდომების გასწორების წესების ანუ ხერხების განხილვა გადმოცემულია შემდეგ თავში.

შეცდომათა გასწორების ხერხები

საბუღალტრო საბუთების რეგისტრაციისა და დამუშავების პროცესში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი შეცდომა ჩანაწერებში, სახელდობრ:

თანხების უსწოროდ ჩაწერა, როცა ნაცვლად ერთი და იმავე თანხის ჩაწერისა ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში ჩაწერილია არაერთნაირი თანხა, ან გადიდებულია, ან შემცირებული;

სხვადასხვა ანგარიშების დებეტსა და კრედიტში თანხა ჩაწერილია ერთნაირი, მაგრამ უსწორო;

უსწოროდ არის საბუთი მონიშნული, ე. ი. თანხა მიკუთვნებულია არა იმ ანგარიშზე, რომელსაც იგი ეკუთვნის (უსწორო კორესპონდენცია).

პრაქტიკაში შეცდომები ხშირად აშკარავდება მიზდენარე აღრიცხვის წარმოების პროცესში საანგარიშო თვის განმავლობაში, მანამდე, ვიდრე ბალანსი შედგებოდეს და გამოყვანილი იქნებოდეს თვიური ჯამი. მაგრამ ხანდახან შეცდომები უფრო გვიან ვლინდება.

არსებობს შეცდომათა გასწორების სხვადასხვა ხერხი. მოვიყვანოთ ორი მათგანი.

1) მარტივი (კორექტურული) ხერხი, რომელიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა შეცდომა გამოაშკარავებულია საანგარიშო პერიოდის ვანავლობაში თვის შედეგების შეჯამებამდე. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ უსწოროდ დაწერილი ციფრი ისე გადაიხაზება, რომ ჩანდეს გადახაზული თანხა რა იყო, და რამდენინედ მაღლა დაწერება სწორი ციფრი. დაუშვათ შემთხვევა, როცა თანხა 4585 მან. ერთი ანგარიშის დებეტში ჩაწერილია სწორად, ხოლო მეორეს კრედიტში—უსწოროდ (4855), მაშინ ანგარიშებში ჩანაწერებს ასეთი სახე ექნება:

მასალების ანბარიში		მიმწოდებლების ანბარიში	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
4585			4855 ¹

თუ შეცდომა გამოაშკარავებულია ჩანაწერთა თვიურ შეჯამებამდე, ხოლო მონიშენა სწორად არის შედგენილი, მაშინ მართებული იქნება შეცდომის კორექტურული წესით გასწორება; ამასთან, ციფრის გასწორების ფაქტი დატკმული უნდა იქნას იმ პირის მიერ, ვინც ციფრს ასწორებს.

2) წითელი შემსწორებელი ჩანაწერის ხერხი, ეგრეთწოდებული „წითელი სტორნო“. იგი იმაში მდგომარეობს, რომ უსწორო ჩანაწერი უქმდება ასეთივე უსწორო მუხლის შედგენის გზით. ეს გაუქმება წარმოებს შემცდარი ჩანაწერის გამეორებით, ოღონდ ხელმეორედ ოპერაცია უნდა ჩაიწეროს წითელი მელნით.

ვთქვათ, ნაცვლად იმისა, რომ ოპერაცია მასალების ანგარიშის დებეტში და მიმწოდებლების ანგარიშის კრედიტში ყოფილიყო ჩაწერილი, ჩანაწერი გაკეთებულია კრედიტორების ანგარიშის კრედიტში. ამრიგად, ანგარიშებს აქვთ შემდეგი სახე:

¹ სახეებში მოთავსებული რიცხვი „4855“ ნიშნავს დაშვებული უსწორობის გადახაზვას, ნაცვლად ამ რიცხვისა უნდა იყოს „4585“.

მასალის ანბარი		კრედიტორების ანბარი	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
36 000			36 000

რადგან კრედიტორების ანგარიშის მაგივრად აუცილებელია მიმწოდებლების ანგარიშის დაკრედიტება, წითელი მელნით დგება მუსლი

დებეტი მასალის ანგარიში

კრედიტი კრედიტორების ანგარიში 36 000
და მაშინვე დგება სწორი ჩანაწერი შავი მელნით
დებეტი მასალის ანგარიში
კრედიტი მიმწოდებლების ანგარიში 36 000

თანხების ჩამოთვლის დროს წითელი ციფრები მხედველობაში არ მიიღება და, პირიქით, მიღებული საერთო ჯამიდანაც გამოირიცხება. ამიტომ მასალის ანგარიშის დებეტში მიიღება თანხა 36 000 (36 000 — 36 000 + 36 000 = 36 000), კრედიტორების ანგარიშში იქნება ნაშთი ნული (36 000 — 36 000), ხოლო მიმწოდებლების ანგარიშში იქნება კრედიტის ნაშთი 36 000, რაც ჩანს შემდეგი სქემიდან¹.

მასალის ანბარი		კრედიტორების ანბარი		მიმწოდებლების ანბარი	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
36 000			36 000		36 000
<u>36 000</u>			<u>36 000</u>		
36 000					

ყველა შეცდომა მათი გასწორებისას უნდა გაჟორმდეს სპეციალური შენიშვნით. შენიშვნაში აღინიშნება რომელი ჩანაწერი რა მიზეზით სწორდება.

წითელი შემსწორებელი ჩანაწერის (წითელი სტორნო) ხერხი გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა ჩანაწერი გაკეთებულია შესაბამ ანგარიშებში, მაგრამ მეტი თანხით. ამ შემთხვევაში წითელი სტორნო მოწოდებულია შეამციროს ჩაწერილი თანხა.

¹ რიცხები, რომლებიც დაწერილი უნდა იქნას წითელი მელნით, პირობით მოთავსებულია ჩარხში.

ამას გარდა, წითელ სტორნოს იყენებენ პრაქტიკაში დამატებითი ზაწერების მოხდენისას, რომლებიც აზუსტებენ ამა თუ იმ ოპერაციებს.

პერიოდული და წლიური ანგარიშების შედგენა

იმისათვის, რომ შევაჯამოთ საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგები როპელიმე საანგარიშო პერიოდში, აუცილებელია მიმდინარე ბუღალტრული, სტატისტიკური და ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის მონაცემების განზოგადება და სისტემაში მოყვანა.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ასეთ განზოგადებულ ანგარიშგებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

ჯერ კიდევ 1921 წ. ვ. ი. ლენინი წერდა: „ვიმეორებ, საკითხი ანგარიშგების დაყენების შესახებ არის ძირითადი საკითხი... ამოცანას შეადგენს: თვალყური ვადევნოთ ანგარიშგების დაყენებას, უნდა ვეცადოთ და მივალწიოთ მის გაუმჯობესებას“ (Соч. В. И. Ленина, т. XXVII, стр. 19).

ანგარიშგება, რომელიც დგება ჩვენს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მთლიანად უნდა ახასიათებდეს სამეურნეო საქმიანობას, მან უნდა გვიჩვენოს, როგორ სრულდება დამტკიცებული გეგმა ყველა მისი მაჩვენებლებით.

სოციალისტური ანგარიშგება თავისი ძირითადი მაჩვენებლებით დასაწყისში შეჯამდება დარგების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთელი სახალხო მეურნეობის მიხედვით. ეს ნაერთი მონაცემები გამოიყენება სოციალისტური მეურნეობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების გეგმების შედგენისას.

ამიტომ ჩვენი ანგარიშგების თითოეული ციფრი გულდასმით შემოწმებული, დაზუსტებული და დასაბუთებული უნდა იყოს.

დაქვემდებარებული საწარმოს ანგარიშგების მონაცემების დეტალური განხილვისა და ანალიზის გზით ზემდგომი ორგანიზაცია ახორციელებს ამ საწარმოს მუშაობაზე კონტროლს და საჭირო ზომებს ღებულობს მისი შემდგომი მუშაობის გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის.

შედგენის დროის მიხედვით ასხვავებენ ანგარიშგებას:

მიმდინარე ანუ პერიოდულს, ე. ი. ისეთს, რომელიც ანზოგადებს და აჯამებს მეურნეობის მუშაობის შედეგებს მიმდინარე წლის ამა თუ იმ დროის შუალედში (თვიური, კვარტალური);

წლიურს ანუ დასკვნითს, ე. ი. ისეთს, რომელიც ანზოგადებს მეურნეობის მუშაობის მონაცემებს საანგარიშო წლის განმავლობაში.

რომელიმე მეურნეობის საქმიანობის შესახებ სრული და ამომწურავი ანგარიშგების შედგენის დროს აუცილებელია ვისარგებლოთ როგორც ბუღალტრული, ისე სტატისტიკური და ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის მონაცემებით.

წლიური ანგარიშის შედგენისას აუცილებელია:

1. ჩავატაროთ ინვენტარიზაცია, ე. ი. გამოვავლინოთ მეურნეობის საშუალებათა და მათი წარმოქმნის წყაროების ფაქტიური მდგომარეობა მათი ნატურაში შემოწმების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ უნდა შემოწმდეს ყველა ქონებრივ-მატერიალური ფასეულობანი ფაქტიური ნაშთების მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან შედარების გზით, გამოვლინდეს ყველა განსხვავებანი და სათანადოდ მოწესრიგდეს. სწორედ ასევე უნდა შემოწმდეს ყველა ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან და დაზუსტდეს დავალიანების ნაშთები.

2. შევადგინოთ ყველა დასკვნითი მუხლები, ე. ი. მუხლები, რომლებითაც ყველა სახის შემოსავალი და მოგება, ხარჯები და ზარალი გადაირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშში. ბუღალტერიაში ამას ეწოდება საშედეგო ანგარიშების დახურვა.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში ყველა შემოსავლისა და მოგების, აგრეთვე ყველა გასავლისა და ზარალის ცენტრალიზება ხდება და მხოლოდ სამინისტროს ნაერთ ბალანსში მოგება-ზარალის ანგარიშში გამოისახება.

კავშირგაბმულობის ძირითადი საქმიანობის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში შემოსავალი და მოგება, აგრეთვე გასავალი და ზარალი მიეკუთვნება თავის ზემდგომ ორგანიზაციასთან ანგარიშსწორებას.

3. შეივსოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმათა ცხრილები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს, აგრეთვე საშუალებათა მოძრაობასა და გეგმის შესრულების პროცესებს.

4. წლიური ანგარიშის ძირითადი საბუთის სახით შევადგინოთ დასკვნითი ბალანსი საანგარიშო წელში საქმიანობის შედეგის გამოყვანით (მოგება თუ ზარალი).

5. დავურთოთ ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც დაწვრილებით გააშუქებს მოცემული მეურნეობის მუშაობის ყველა მხარეს დამტკიცებული გეგმიდან გადახრათა მიზეზების ანალიზით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბალანსი სარწმუნოდ და სწორად შედგენილად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როცა მისი დეტალური (ანალიზური) აღრიცხვის ყველა ანგარიში შემოწმებული იქნება საერთო (სინთეზური) აღრიცხვის ანგარიშებთან.

ეს ნიშნავს, რომ წლიური ანგარიშის შედგენისას უნდა შედგეს ბრუნვათა უწყისები დეტალური და საერთო აღრიცხვის ყველა ანგარიშის მიხედვით.

რაც შეეხება თვიურ ანგარიშებას, მისი მოცულობა გაცილებით ნაკლებია; ამასთან, ყოველთვე საკირო არ არის ბალანსის ყველა მუხლის ინვენტარიზაციის ჩატარება (გარდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა), ნხოლოდ საკიროა გულდასმით შემოწმდეს სალაროს თანხა აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, აგრეთვე სახბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშების მოძრაობა და ნაშთები საწარმოს ბუღალტერიის მონაცემებთან.

II. ძირითადი საქმიანობის რეკავიზიტების საბუღალტრო აღრიცხვა

1. ქავეშიგაბმულობის სამინისტროს საბუღალტრო საწარმოთა სტატუსტა

ქავეშიგაბმულობის საწარმოები ახორციელებენ საფოსტო, სატელეფონო, სატელეფონო და რადიოქავეშირის, რადიომაუწყებლობას, პრესის გაერცელებას და ფულბარათების მიღება-განაღდებას.

ქავეშიგაბმულობის საწარმოთა მოქმედებას ხელმძღვანელობს სსრ ქავეშირის ქავეშიგაბმულობის სამინისტრო თავისი ცენტრალური და მთავარი დარგობრივი სამმართველოების საშუალებით, აგრეთვე ქავეშიგაბმულობის ადგილობრივი ორგანოების რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და რაიონული ცენტრების საშუალებით.

სსრ ქავეშირის ქავეშიგაბმულობის სამინისტროს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ:

1) მოქავეშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრ ქავეშირის ქავეშიგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოები;

2) ქავეშიგაბმულობის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამმართველოები;

3) ქავეშიგაბმულობის საოლქო, სამხარეო, საქალაქო და რაიონული კანტორები;

4) რადიოქავეშირის, რადიომაუწყებლობის, საკაბელო და რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციები.

ქავეშიგაბმულობის სამინისტროს ამ ადგილობრივი ორგანოების ამოცანას შეადგენს ხელმძღვანელობა გაუწიოს მათთვის დაქვემდებარებულ საწარმოებს.

ქავეშიგაბმულობის სამხარეო, საქალაქო და რაიონული კანტორები არა მარტო ხელმძღვანელობენ მათ ქვემდებარე ქავეშიგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებს, არამედ თვითონაც ახორციელებენ საწარმოო (საექსპლოატაციო) საქმიანობას.

კავშირგაბმულობის სამინისტროს უშუალოდ ექვემდებარებიან მოსკოვისა და ლენინგრადის ისეთი მსხვილი საექსპლოატაციო საწარმოები, რომელთაც საერთო საკავშირო მნიშვნელობა აქვთ: ცენტრალური ტელეგრაფი, ფოსტანტები, რადიოკავშირისა და რადიომაუწყებლობის დირექციები, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, საქალაქო სატელეფონო და რადიომაუწყებლობათა ქსელები, რკინიგზებით საფოსტო გადაზიდვების სამმართველო, „სოიუზჰეჩაჰის“ ცენტრალური საცალო და ხელის მოწერის კანტორები და ზოგიერთი სხვა.

ამ წამოწყებათა საწარმოო საქმიანობა იააში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოსა და მშრომელებს გაუწიოს მომსახურება კავშირგაბმულობით, ყველა სახის საფოსტო და ელექტრული კავშირის საშუალებით ცნობების გადაცემის საქმეში.

კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების განხორციელებას ძირითადი საქმიანობა ეწოდება.

საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ ძირითად საქმიანობას, ორ სახედ იყოფიან. ერთნი მათგანი წარმოადგენენ სპეციალიზებულს და ახორციელებენ კავშირგაბმულობის მხოლოდ ერთ რკინიგზისა და ხეს, მაგალითად: ტელეგრაფები, სატელეფონო სადგურები და რადიოსატრანსლაციო ქსელი, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურები, სამუწყებლო და მაგისტრალური რადიოსადგურები, ფოსტანტები. სხვა საწარმოებში თავმოყრილია კავშირგაბმულობის რამდენიმე სახე — საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო, რადიომაუწყებლობა სადენებით. აგრეთვე ეს საწარმოები ასრულებენ კლიენტების დათვლებებს ფულის ბარათების გადაგზავნაზე (გზავნილებათა ოპერაციები). ასეთ საწარმოებს მიეკუთვნებიან კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და სააგენტოები.

ზოგიერთი საწარმო არ ეწევა უშუალოდ კავშირგაბმულობის მომსახურებას. მათ ძირითად ფუნქციას შეადგენს საქალაქთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის სახაზო ნაგებობათა შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა კავშირგაბმულობის ამ საწარმოებთან დროულად და ხარისხიანად რემონტის გზით. ასეთ საწარმოებს წარმოადგენენ სახაზო-ტექნიკური კვანძები და საკაბელო ქსელის სამმართველოები.

ცალკეულ საწარმოთა ამოცანას შეადგენს კონტროლის განხორციელება; მაგალითად, გზავნილებათა საოლქო, სახაზო და რესპუბლიკური საკონტროლო ბიუროები (НКП).

კავშირგაბმულობის საწარმოთა მატერიალური რესურსებზე უზრუნველყოფის ამოცანა ევალდება კავშირგაბმულობის სამინისტროს განსაკუთრებულ ორგანოს — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სანპართელოს („Г.И.АВТЕХНИЧЕСКАЯ“), რომელსაც თავისი დამამზადებელ-ნომმარაგებელი ორგანოები აქვს პერიფერიებში.

გარდა ამისა, კავშირგაბმულობის მეურნეობაში სამრეწველო საწარმოებიც არის (ქარხნები, ფაბრიკები), არის ისეთი საწარმოებიც, რომელთაც დამზადრე ხასიათი აქვთ. ამას მიეკუთვნება სარემონტო სახელოსნოები, სატრანსპორტო კანტორები, გარაჟი, საცხენო პარკები და სხვა დამზადრე მეურნეობანი.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში განსაკუთრებულ ჯვუფს წარმოადგენენ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და სასწავლებლები.

კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოების, დაწესებულებებსა და ორგანიზაციების ტიპების ასეთმა სხვადასხვაობამ და მათ წინაშე დასმულმა ამოცანებმა მოითხოვეს დაფინანსების სხვადასხვა წესი და მეურნეობის ცალკეული ნაწილების ბუჯალტრული აღრიცხვისა და ანგარიშებათა სხვადასხვაგვარი წყობა.

2. კავშირგაბმულობის საწარმოთა დაფინანსების წესი

კავშირგაბმულობის ყველა საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია დაფინანსების წესის მიხედვით შეიძლება დაჯყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური და მთავარი დარგობლივი სამმართველოები და განყოფილებები, კავშირგაბმულობის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო სამმართველოები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სასწავლებლები და საპროექტო ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება წარმოებს უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კავშირგაბმულობის საშუალებათა მშენებლობას; მათი დაფინანსება ხდება სამრეწველო ბანკის მეშვეობით.

3. სამრეწველო საწარმოები, ბექდვითი სიტყვის გავრცელებისა და ექსპედიციის საწარმოები, დამზადრე წარმოებანი და მეურნეობანი, რომლებიც მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, თანახმად განსაკუთრებული წესდებებისა და დებულებებისა.

4. კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოები, რომლებიც ფინანსდებიან ხარჯთაღრიცხვის წესით.

დაფინანსების წესსა და ნოქმეუების ხასიათის მიხედვით საწარმოთა თითოეული ამ ჯგუფის სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა თავს იყრის ერთ-ერთი შემდეგი სახის ბალანსის ანგარიშებზე:

1. კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთა ძირითადი საქმიანობის ბალანსი.

2. კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოების გზავნილებათა ოპერაციების ბალანსი.

3. სანეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ბალანსი.

4. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბალანსი.

5. სანქსენებლო ორგანიზაციების ბალანსი.

6. კაპიტალდაბანდებათა ბალანსი.

პირველ რიგში განვიხილოთ დაფინანსების წესი, რომელიც დადგენილია კავშირგაბმულობის წარმოებების საექსპლოატაციო საწარმოებისათვის ძირითადი საქმიანობის ოპერაციების მიხედვით.

კავშირგაბმულობის თითოეულ საექსპლოატაციო საწარმოს მისი მოწყობისას განიუყოფა მისთვის აუცილებელი ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი, რომელთაც საწარმო დაიბოკვიდებლად განაგებს. ამასთან, საწარმოს ექვება ინიციაციის გამორჩენის სრული უფლება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების ეფექტურად გამოყენების საქმეში სახელმწიფო გეგმების აუცილებლად დაცვის პირობით.

კავშირგაბმულობის წარწყმებათა საწარმოს საქმიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ფოსტით, ტელეგრაფით, ტელეფონითა და რადიოთი ცნობების გადაცემით გაგვიწიოს მომსახურება.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებში „პროდუქციას“ წარმოადგენს კავშირგაბმულობის მომსახურება, რომელსაც ისინი უწევენ კლიენტებს ტარიფით დაწესებული საფასურით.

გაწეული მომსახურების ქირა მთლიანად შედის მხოლოდ ერთ საწარმოში და ითვლება კავშირგაბმულობის მიერ გაწეული მომსახურების, რეალიზაციიდან ამონაგებად, მის საექსპლოატაციო შემოსავლად, მაშინ როცა ამ მომსახურებას ცალკეული დარგების მიხედვით ასრულებს კავშირგაბმულობის ორი ან რამდენიმე საწარმო. მაგალითად, მოსკოვიდან ვლადიკოსტოკში ტელეგრაფის გადაგზავნისა და ადრესატისათვის სახლში მიჯანის სამუშაოში მონაწილეობს არა მარტო მოსკოვის, არამედ ვლადიკოსტოკის

ტელეგრაფიც, ხოლო ამანათების, წერილებისა და გაზეთების მიწოდებაში ლენინგრადიდან სტალინგრადში მონაწილეობს კავშირგაბმულობის რამდენიმე საწარმო, იმავე დროს ამონაგები (ქირა) გადაგზავნის პირვანდელ პუნქტებში დარჩა. მაგრამ საფოსტო და სატელეგრაფო საწარმოში კავშირგაბმულობის მომსახურების გაწევის სფეროს შეტანის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ სწორედ ამ საწარმოებში მთლიანად თვითონ განახორციელეს ეს მომსახურება, რომ შემოსავალმა მხოლოდ მოცემული საწარმოს მიერ გაწეული შრომა აანაზღაურა.

მხოლოდ ზოგიერთ საწარმოში, მაგალითად, რადიოსატრანსლაციო კვანძებსა და საქალაქო სატელეფონო ქსელში კლიენტებისაგან კუთვნილი ქირა წარმოადგენს უშუალოდ ამ საწარმოთა შემოსავალს და მათი ხარჯები მიღებული შემოსავლით მთლიანად ნაზღაურდება.

კავშირგაბმულობის მომსახურებაში ფაქტიურად მონაწილე საწარმოთა შორის საექსპლოატაციო შემოსავალთა განაწილებაში ასეთი შეუსაბამობა წინასწარ განსაზღვრავს დაფინანსების იმ წესს, რომელიც დადგენილია კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლოატაციო საწარმოებისათვის.

კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლოატაციო საწარმოთათვის დაფინანსების მოქმედი ძირითადი დებულებანი ასეთია:

1. კავშირგაბმულობის ყოველი საწარმოს საექსპლოატაციო შემოსავლის თანხები ინახება სახბანკში ცალკე ანგარიშსწორების ანგარიშზე № 0, საიდანაც ხარჯვის უფლება არა აქვთ საექსპლოატაციო მიზნებისათვის თვითონ საწარმოებს უშუალოდ ან თავიანთი სალაროების საშუალებით.

კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის კლიენტებისაგან მიღებული საავანსო თანხები და სააბონემენტო გადასახადები მთლიანად ჩარიცხული უნდა იქნას სახბანკში ანგარიშზე № 0. ეს სახსრები შემდეგში თვეში ერთხელ, პირველ რიცხვში, გადაირიცხება სახბანკში კავშირგაბმულობის სამმართველოს ცენტრალიზებულ ანგარიშზე № 0, ხოლო ეს უკანასკნელი მას რიცხავს კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალიზებულ ანგარიშზე № 0 სსრ კავშირის სახბანკის გამგეობაში.

2. კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში შემოსული საექსპლოატაციო შემოსავალი ამ საწარმოებში წინასწარ ირიცხება ფულბარათების თანხებში და იხარჯება ფულბარათების გადახდაზე.

კავშირგაბმულობის კანტორების მიერ ეს თანხები შემდგომ გადაი-
რიცხება სახბანკში № 0 ანგარიშსწორების ანგარიშზე № 3 ანგარიშ-
სწორების ანგარიშიდან, რომელიც სახბანკში გახსნილია ფულბარათების
თანხების შესანახად.

3. კავშირგაბმულობის იმ საწარმოთათვის, რომლებშიც კავშირ-
გაბმულობის მომსახურებისათვის ქირა არ შემოდის, მაგალითად, სახაზო-
ტექნიკური კვანძებისათვის, სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიში № 0
სრულიად არ იხსნება.

4. სახბანკის ერთი ქალაქის ფილიალში კავშირგაბმულობის საწარ-
მოთათვის № 0 ანგარიშსწორების ანგარიშს გარდა კიდევ შემდეგი ანგა-
რიშები იხსნება:

ანგარიშსწორების ანგარიში № 1—იმ თანხების შესანახად, რომლე-
ბიც დანიშნულია საექსპლოატაციო ხარჯებისათვის, არაცენტრალიზებუ-
ლი, ლიმიტსგარეშე კაპიტალდაბანდებათათვის, კაპიტალური რემონტისა-
თვის და საბრუნავ საშუალებათა შესავსებად;

ანგარიშსწორების ანგარიში № 2—ბიუჯეტსგარეშე და დეკონირე-
ბული საშუალებათა, აგრეთვე სპეციალური ფონდების საშუალებათა
შესანახად;

ანგარიშსწორების ანგარიში № 3—მხოლოდ ფულბარათების თან-
ხების შესანახად.

5. კავშირგაბმულობის საწარმოები თავიანთი ფუნქციების შესრუ-
ლების დროს ხელმძღვანელობენ ზემდგომი ორგანიზაციების მიერ
დამტკიცებული საწარმოო და საფინანსო გეგმებით, რომლებიც განსა-
ზღვრავენ საწარმოს საქმიანობის საწარმოო და საფინანსო მოცულობასა
და მიმართულებას.

კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიურ
საფინანსო გეგმის საფუძველზე კავშირგაბმულობის სამმართველო ყოვე-
ლი საწარმოსათვის ამუშაებს წლიურ საფინანსო გეგმას კვარტალების
მიხედვით, რომლითაც უსაზღვრავს საექსპლოატაციო დაბანდებათა
თანხებს კავშირგაბმულობის ყოველი დარგის მიხედვით, საექსპლოატა-
ციო შემოსავლის თანხებს, არაცენტრალიზებულ, ლიმიტსგარეშე
კაპიტალდაბანდებათა და კაპიტალური რემონტის თანხებს.

გარდა ამისა, კავშირგაბმულობის სამინისტროდან მიღებული დაფინან-
სების კვარტალური გეგმების საფუძველზე სამმართველო თითოეული
საწარმოსათვის ამტკიცებს დაფინანსების კვარტალურ გეგმას თვეების
მიხედვით. რომლითაც განსაზღვრავს საექსპლოატაციო ხარჯებისა, ლი-
მიტსგარეშე დაბანდებათა და კაპიტალური რემონტისათვის აუცილებ-
ლად საჭირო თანხებს — თვეების მიხედვით.

კავშირგაბმულობის სამმართველოზე დაქვემდებარებულ საწარმოთა
დაფინანსების თანხების შესახებ სამმართველო ყოველთვიურად ცნობას

აძლევენ სახბანკ-ს საოლქო (სამხარეო) კანტორას. ეს უკანასკნელი კი თვეში ერთხელ სახბანკის თითოეულ ფილიალს უგზავნის ცნობას, ხოლო ასევე კავშირგაბმულობის საწარმოს დაფინანსების დადგენილი თანხის შენახებში.

სახბანკის ის ფილიალები, რომლებიც მომსახურებას უწევენ კავშირგაბმულობის სათანადო საწარმოებს ამ ცნობების შესაბამისად, თვეში ერთხელ, 1-ლ რიცხვში, ხარჯებისათვის აუცილებელ თანხებს ურიცხავენ № 0 ანგარიშსწორების ანგარიშიდან № 1 ანგარიშსწორების ანგარიშზე.

თვის დასაწყისში № 0 ანგარიშით სახბანკისადმი შექმნილი დავალიანება მომავალში იჯარება ამონაგები და კლიენტების მიერ შემოტანილი საივანსო თანხებიდან, რომლებიც მთლიანად ბარდება სახბანკს № 0 ანგარიშზე.

კავშირგაბმულობის საწარმოებს უფლება ეძლევათ სახბანკში № 0 ანგარიშზე რიცხული თანხიდან აწარმოონ საექსპლოატაციო ხარჯების, ლიმიტსგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალურ რემონტის დაფინანსება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ საშუალებათა საერთო ჯამი გადააჭარბებს № 0 ანგარიშზე ჩარიცხულ საექსპლოატაციო შემოსავლისა და კლიენტებისაგან შემოტანილი ავანსების საერთო ჯამს. ეს შესაძლებელია იმისათვის, რომ მთლიანად კავშირგაბმულობის მეურნეობაში საექსპლოატაციო შემოსავლისა და კლიენტების მიერ შემოტანილი ავანსების შემოსავალი ყოველთვის მეტია ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხების საერთო რაოდენობაზე.

კავშირგაბმულობის ყოველ საექსპლოატაციო საწარმოში შემდეგი თვის ყოველ პირველ რიცხვში სახბანკის ფილიალი თავის განკარგულებით № 0 ანგარიშის ნაშთს (დებეტისას თუ კრედიტისას) რიცხავს ტელეგრაფით სახბანკის საოლქო (სამხარეო) კანტორაში კავშირგაბმულობის სამმართველოს ცენტრალიზებულ № 0 ანგარიშზე.

თავის მხრივ კავშირგაბმულობის სამმართველოს თანხების ნაშთი ცენტრალიზებულ № 0 ანგარიშიდან ყოველთვიურად ირიცხება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალიზებულ № 0 ანგარიშზე. წლის ბოლოს 1 ლი იანვრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ეს ნაშთები ირიცხება 31 დეკემბრის ჩანაწერებით.

ამრიგად, კავშირგაბმულობის საწარმოებსა და სამმართველოებში 1-ლ იანვრისათვის თანხების ნაშთი სახბანკის № 0 ანგარიშზე არ შეიძლება იყოს.

6. კავშირგაბმულობის საწარმოები № 1 ანგარიშსწორების ანგარიშიდან ლეზულობენ ამ ანგარიშში რიცხულ საშუალებათა ფარგლებში იმ-

დენს, რაც აუცილებელია საფინანსო გეგმით გათვალისწინებული ხარჯებისათვის. № 1 ანგარიშსწორების ანგარიშის გაუხარჯავი თანხების ნაშთი შემდეგ საანგარიშო წელში გადადის.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო წარმოებების № 1 ანგარიშსწორების ანგარიშის დანიშნულება გახარჯვის წესის მხრივ არაფრით არ განსხვავდება იმ ანგარიშებიდან, რომლებიც განხნილია სანტურნეო ანგარიშზე მყოფ წარმოებებისათვის.

7. კავშირგაბმულობის სამმართველოებს უფლება აქვთ თავიანთ განკარგულებაში დაიტოვონ საექსპლოატაციო ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხების ნაწილი. ამ თანხების ანგარიშზე ისინი აწარმოებენ მატერიალურ ფასეულობათა ცენტრალიზებულ დანაჯდებას და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს ორგანოებთან საფოსტო ვაგონების შეკეთებისათვის ცენტრალიზებულ ანგარიშსწორებას, აგრეთვე რადიონდფორმაციის კომიტეტთან რადიოს მოსმენისათვის ანარციხების ჩარციხვას, თავიანთი საწარმოთა დამატებითი დაფინანსების ჩატარებას. გარდა ამისა, თანხების ნაწილი რჩება საოლქო საწყობის შენახვის ხარჯების დასაფარავად.

კავშირგაბმულობის სამმართველოები ამ თანხებს ლებულობენ ცენტრალიზებული წესით № 0 ანგარიშიდან სახბანკის (სამხარეო, რესპუბლიკურ) ფილიალში კავშირგაბმულობის საწარმოებისათვის შემოღებული წესით, ე. ი. მოცემული სამმართველოსათვის გახსნილი ანგარიშის № 0-დან № 1-ზე გადარიცხვის გზით.

კავშირგაბმულობის სამმართველოების მიერ დამზადებული მატერიალური ფასეულობანი საწარმოებს ეგზავნებათ მომარაგების წესის შესაბამისად დამატებითი დაფინანსების წესით; ამ ფასეულობებისათვის სამმართველოებსა და მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის ფულადი ანგარიშსწორება სახბანკის საშუალებით არ წარმოებს.

8. კავშირგაბმულობის ის საწარმოები, რომელთათვის გეგმით გათვალისწინებული არ არის საექსპლოატაციო შემოსავალი, მაგალითად, სახაზო-ტექნიკური კვანძები (ЛТУ), საექსპლოატაციო ხარჯების თანხებს ლებულობენ უშუალოდ თავიანთ სამმართველოდან, ამ უკანასკნელის ანგარიში № 1-დან სახბანკის საოლქო ფილიალში.

9. კავშირგაბმულობის საწარმოებსა და სამმართველოებს უფლება არა აქვთ შესცვალონ დამტკიცებული საწარმოო და საფინანსო გეგმები.

10. კავშირგაბმულობის სამმართველოებსა და საწარმოებთან არსებული დამხმარე საწარმოები (სატრანსპორტო კანტორები და სახელოს-

ნოები, გარაეები, საცხენო პარკები და სხვ.) მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოთა უფლებების საფუძველზე.

**3. სამეცხოვრო საკრედიტო და საწარმოთა
და საწარმოთა საწარმოთა
ანგარიშსწორებათა აღრიცხვა**

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთათვის დადგენილ დაფინანსებათა თავისებურებებმა განსაზღვრეს კავშირგაბმულობის ანგარიშთა გეგმაში ზოგიერთი ანგარიშის შემოღება, რომლებიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოთა ოპერაციების აღრიცხვისათვის ჩვეულებრივ არ გამოიყენება.

ასეთ ანგარიშებს მიეკუთვნებიან:

091 ანგარიში № 0 სახბანკში საექსპლოატაციო შემოსავლის, მიხედვით.

0881 საშემოსავლო საშუალებათა სალარო,

142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო შემოსავლის მიხედვით.

270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

ანგარიშების ეს ჯგუფი გათვალისწინებულია სახეზე არსებული თანხისა და საშემოსავლო საშუალებათა მოძრაობის აღრიცხვისათვის სალაროსა და სახბანკში, აგრეთვე კავშირგაბმულობის იმ საშემოსავლო თანხების აღრიცხვისათვის, რომლებიც მას ეკუთვნის ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის (ანგარიში 270) და ანგარიშსწორებათათვის, რაც წარმოიქმნება კავშირგაბმულობის საწარმოებსა და კავშირგაბმულობის სამმართველოს (სამინისტროს) შორის მხოლოდ და მხოლოდ საშემოსავლო საშუალებათა მიხედვით (ანგარიში 142).

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ანგარიშები:

092 ანგარიში № 1 საექსპლოატაციო სახსრებისა სახბანკში,

0882 საექსპლოატაციო სახსრების სალარო,

050 საექსპლოატაციო ხარჯები,

143 საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსების ანგარიშსწორებანი.

ამ ანგარიშებზე თავმოყრილია საექსპლოატაციო ხარჯებისათვის, ლიმიტსგარეშე კაპიტალდაბანდებისა და კაპიტალური რემონტისათვის დანიშნული ფულადი სახსრების აღრიცხვა, აგრეთვე კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლოატაციისათვის ფაქტიურად წარმოებული დანახარჯები.

ანგარიშში 143 საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსების ანგარიშსწორებანი აღრიცხავენ ანგარიშსწორებებს, რომლებიც წარმოიშობა კავშირგაბმულობის სამმართველოსა და საწარმოებს შორის კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლოატაციის დანახარჯების დაფინანსების მიხედვით.

კავშირგაბმულობის საწარმოებში დაფინანსებისა და ანგარიშსწორებათა სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის აგებულება, იმ ანგარიშსწორებათა, რომლებიც წარმოიშობა კავშირგაბმულობის სამმართველოსა და საწარმოებს შორის, მოკლედ ასე შეიძლება გადმოვეცეთ:

სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიში № 0-დან ანგარიშსწორების ანგარიშზე № 1 საექსპლოატაციო ხარჯებისათვის, კაპიტალური რემონტისა და ლიმიტსგარეშე კაპიტალური დაბანდებებისათვის სახსრების გადარიცხვისას თვის ყოველ 1 და 16 რიცხვებში, დაფინანსების გეგმის შესაბამისად, სახბანკის საკონტოკორენტო ამონაწერის თანახმად აღდებებენ ანგარიშს 142 საექსპლოატაციო შემოსავლის ანგარიშსწორებანი და აკრედიტებენ საექსპლოატაციო შემოსავლის ანგარიშს 091 ანგარიში № 0 სახბანკში.

ეს ნიშნავს იმას, რომ კავშირგაბმულობის საწარმომ სახბანკში № 0 ანგარიშიდან მოხსნილი თანხისათვის (რომელზედაც ჯერ არავითარი შემოსავალი არ ყოფილა) ავენსად ანგარიში ჩააბარა კავშირგაბმულობის სამმართველოს შემოსავლის იმ ნაწილში, რომელიც შემდგომ შევა სახბანკში ამ ანგარიშზე.

სახბანკში № 1 ანგარიშზე ფულის შემოსვლის ერთდროულად მათი საექსპლოატაციო საქროებაზე გახარჯებისათვის წარმოიშობა საწარმოს დავალიანება კავშირგაბმულობის სამმართველოსადმი, რადგან ამ საექსპლოატაციო სახსრებისათვის საწარმოს კიდევ მოუხდება ანგარიშის ჩაბარება.

ამ ოპერაციის მიხედვით ანგარიშების კორესპონდენცია იქნება შემდეგი:

ღებეტი ანგარიში 092 ანგარიში № 1 სახბანკში საექსპლოატაციო სახსრებისა,

კრედიტი ანგარიში 143 საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსების ანგარიშსწორებანი.

შემდეგში საექსპლოატაციო შემოსავალს კავშირგაბმულობის ფაქტურად გაწეული მომსახურებისათვის აღრიცხავენ წლის ბოლომდე

შპარდი თანხებით ერთმოსახელე 270 საექსპლოატაციო ხარჯების-
ანგარიში ჩანაწერებით:

1. დებეტი ანგარიში 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსა-
ხურებით.

კრედიტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი,
რომელიც ეკუთვნის მისაღებად აბონენტებისა და კლიენტებისაგან კავ-
შირგაბმულობის მიერ გაწეული მომსახურებისათვის

ანუ
2. დებეტი ანგარიშები 088 საშემოსავლო სახსრების სალარო
091 ანგარიში № 0 სახბანკში,

კრედიტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი
მომსახურებისათვის, რომელიც გაწეულია ნაღდ ანგარიშზე (დებეშების
გაგზავნის გამოსაღები, საფოსტო ნიშნების გაცედა და ა. შ.).

ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი წლის ბოლოს დაი-
ხურება შემოსავლის მთელი თანხის კავშირგაბმულობის თავის სამმართ-
ველოსთან ანგარიშსწორებაზე გადატანის გზით.

ამასთან, ანგარიშების კორესპონდენცია იქნება შემდეგი:

დებეტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი

კრედიტი ანგარიში 142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო
შემოსავლით.

სახბანკში ანგარიში № 0 აქტიური ნაშთის კავშირგაბმულობის
სამმართველოს ცენტრალიზებულ ანგარიშზე № 0 გადარიცხვისას საწარ-
მოებში აღდებებენ ანგარიშს 142 საექსპლოატაციო შემოსავლის ანგა-
რიშსწორებანი და აკრედიტებენ ანგარიშს 091 ანგარიში № 0 სახ-
ბანკში.

თუ თვის განმავლობაში ანგარიშზე № 0 სახბანკში იმაზე ნაკლები
თანხა შემოვიდა, ვიდრე გადარიცხული იყო საექსპლოატაციო ხარჯები-
სათვის (ანგარიშზე № 1 სახბანკში), მაშინ ბანკში ანგარიში № 0 ნაშთი
პასიური იქნება. ამ შემთხვევაში ნაშთის კავშირგაბმულობის სამმართვე-
ლოს ცენტრალიზებულ № 0 ანგარიშზე გადარიცხვისას ანგარიშების
კორესპონდენცია იქნება პირველის მოპირდაპირე, ე. ი.

დებეტი ანგარიში 091 ანგარიში № 0 სახბანკში

კრედიტი ანგარიში 142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო
შემოსავლით.

რადგან წლის ბოლოს ასეთ ჩანაწერს ახდენენ 31 დეკემბრის თარიღით, ამიტომ პირველი იანვრისათვის № 0 ანგარიშს სახბანკში არც აქტიური, არც პასიური ნაშთი არ ექნება.

თუ კავშირგაბმულობის მიერ გაწეული მონსახურებისათვის კლიენტებზე დავალიანება არ არის და სალაროდან ყველა შემოსავლის სახსრები თავის დროზე და მთლიანად შეტანილი იყო ბანკში № 0 ანგარიშზე, მაშინ პირველი იანვრისათვის 142 ანგარიშს საექსპლოატაციო შემოსავლის ანგარიშსწორებანი უნდა პქონდეს დებეტის წაშთი, ე. ი. ამ შემთხვევაში საწარმომ არა მარტო მთლიანად ჩააბარა საექსპლოატაციო შემოსავლის თანხების ანგარიში კავშირგაბმულობას სამმართველოს, არამედ, გარდა ამისა, ცენტრალიზებულ ანგარიშზე გადაიტება კავშირგაბმულობის კლიენტებისაგან მიღებული ავანსის თანხები იმ მონსახურებათა ანგარიშში, რაც მათ გაეწევა მომავალ წელს.

სახბანკში № 1 ანგარიშზე შესული თანხები ხარჯება პირდაპირი დანიშნულებით: შტატის პერსონალის ხელფასზე, დროებითი ნუშების ხელფასზე, გარეშე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებათა გასტუმრებაზე, მასალების შეძენაზე და ა. შ.

კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლოატაციის დანახარჯები როგორც ფულადი, ისე მატერიალურიც, აღირიცხება 050 ანგარიშზე საექსპლოატაციო ხარჯები წლის ბოლომდე მზარდი თანხებით.

წლის ბოლოს დანახარჯების საერთო თანხა გადააქვთ კავშირგაბმულობის თავის სამმართველოსთან ანგარიშსწორებაზე ანგარიშების შემდეგი კორესპონდენციით:

დებეტი ანგარიში 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებათა დაჟინანსებით.

კრედიტი ანგარიში 050 ექსპლოატაციის ხარჯები.

ამ ჩანაწერით გაირკვევა საექსპლოატაციო ხარჯებისათვის მიღებული თანხების რა ნაწილის ანგარიშგება მოახდინა საწარმომ კავშირგაბმულობის სამმართველოს წინაშე.

ამასთან, თუ ექსპლოატაციაზე ფაქტიურად დახარჯული კავშირგაბმულობის საშუალებათა საერთო თანხა ნაკლები იქნება, ვიდრე ამ მიზნისათვის (143 ანგარიშის კრედიტი) კავშირგაბმულობის სამმართველოდან მიღებული საერთო თანხაა, მაშინ 143 ანგარიშის ნაშთი იქნება კრედიტის, ე. ი. კავშირგაბმულობის სამმართველოდან მიღებული დაფინანსების ნაწილი გამოუყენებელი დარჩა და შემდგომ წელში გადადის.

ეს ნაშთი იქნება საშუალებათა სახით სახბანკოში № 1 ანგარიშზე, სალაროში, მატერიალური მარაგისა და სხვა აქტივებში.

4. ფულადი ოპერაციების აღრიცხვა

ფულადი საშუალებების საბუღალტრო აღრიცხვა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მან უზრუნველყოს კონტროლი ფულადი საშუალებების დაცვისა და შენახვის, რომელიც სოციალისტურ საკუთრებას წარმოადგენს, და ხელი შეუწყოს მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების მეთვალყურეობას.

იგი უნდა უზრუნველყოფდეს ფულადი საშუალებების სახეზე მყოფობის და მოძრაობის შესახებ ცნობების თავის დროზე მიღებას მათი შენახვის ადგილების მიხედვით ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკოში და საწარმოთა სალაროში.

ძირითად დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფულადი საშუალებების შენახვისა და აღრიცხვის წესებს, წარმოადგენენ დებულებანი ანგარიშსწორების ანგარიშების შესახებ სახბანკოში და დებულება სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ კავშირგაბმულობის საწარმოებში.

ეს დებულებანი მოკლედ შემდეგში მდგომარეობენ:

კავშირგაბმულობის საწარმოები ვალდებული არიან თავიანთი ფულადი საშუალებანი შეინახონ სახბანკოს ადგილობრივ ფილიალში თავიანთ ანგარიშსწორების ანგარიშებზე.

სახბანკოში ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფულის მიღება სალაროში, აგრეთვე მოცემული საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფულის გადარიცხვა სხვა საწარმოთა — მიმღებთა — ანგარიშსწორების ანგარიშებზე, ხდება სპეციალური დოკუმენტებით: ჩეკებით, საგადასახადო დავალებით, საგადასახადო მოთხოვნილებით და სხვა, რომელთა ფორმები და აღწერილობა მოყვანილია ამ სახელმძღვანელოს პირველ განყოფილებაში.

მოგაგონებთ, რომ სახბანკოში შენახული ფულადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს 091, 092, 093 ანგარიშებზე, რომლებიც იხსნება სახბანკოთა ანგარიშსწორებისათვის. სახბანკოში ანგარიშსწორების ანგარიშებზე შენახული საშუალებების მოძრაობის ჩაწერის საფუძველს წარმოადგენს სახბანკოს საკონტოკორენტო ამონაწერები, რომლებსაც სახბანკო ოპერაციების მოხდენის კვალობაზე უგზავნის საწარმოს — ანგარიშსწორების ანგარიშის მფლობელს — იმ საბუთების თანდართვით, რომ-

ლებიც ანგარიშსწორებას ადასტურებენ: საგადასახადო და ვალე-
ბები, საგადასახადო მოთხოვნილებები და სახბანკის ქვით-
რები ფულის მიღებაზე, რომელიც ჩაბარებულია სალაროდან.

საკონტოკორენტო ამონაწერს და მასზე დართულ საბუთებს შეაჯე-
რებენ საწარმოს ბუღალტერიაში მყოფ საბუთებთან: სახბანკში ანგარიშ-
სწორების ანგარიშზე ფულის მიღების ქვითრებთან, საგადასახადო და-
ვალეების ასლთან და სხვ. შემდეგ ამოწმებენ იმ ანგარიშის ნაშთის
სისწორეს, რომელიც ნაჩვენებია ამონაწერში.

სახბანკის ანგარიშების ამონაწერების შემოწმებისას ნხედველობაში
უნდა გვექონდეს, რომ ანგარიშების კორესპონდენცია, რომელიც ამონა-
წერშია მითითებული, თავისი ნნიშვნელობით მოპირისპირეა კავშირგაბმუ-
ლობის საწარმოების ანგარიშების ჩანაწერებისა.

მაგალითად, თუ კავშირგაბმულობის საწარმომ 2000 მანეთი ჩააბა-
რა თავის ანგარიშზე სახბანკში, მაშინ იგი აღდეგტებს ამ ანგარიშს,
ხოლო ბანკის ამონაწერში თანხა ნაჩვენები იქნება ბანკში ფულის ჩამბა-
რებელი საწარმოს ანგარიშის კრედიტში.

სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიშიდან ჩეკით მიღებულ თანხას
კავშირგაბმულობის საწარმო შეიტანს ანგარიშის კრედიტში, ხოლო სახ-
ბანკის ამონაწერში ეს თანხა ნაჩვენები იქნება საწარმოს ანგარიშის
დებეტში.

არის შემთხვევები, როცა სახბანკი რაიმე თანხას შეცდომით ჩა-
რიცხავს კავშირგაბმულობის საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე ან
შეცდომით ჩამოსწერს მისი ანგარიშსწორების ანგარიშიდან. კავშირ-
გაბმულობის საწარმო, მიიღებს რა სახბანკის ამონაწერს, გამოავლენს ამ
შეცდომებს და სახბანკს წარუდგენს პრეტენზიას, რომელშიც მოითხოვს
დაშვებული შეცდომის გასწორებას.

ასეთ თანხებს აღრიცხავენ სახბანკში 112 ანგარიშზე პრეტენზიები-
თა და შეცდომით ჩარიცხული თანხები.

ამავე ანგარიშზე აღრიცხავენ თანხებს, რომლებიც კავშირგაბმუ-
ლობის საწარმომ შეიტანა თავის ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკში
თვის უკანასკნელ დღეს, მაგრამ ბანკმა ის ჩარიცხა შემდეგი თვის პირვე-
ლი დღით.

კავშირგაბმულობის საწარმოების ანგარიშსწორების ანგარიშებში
უსწოროდ ჩარიცხული თანხებით აკრედიტებენ 112 ანგარიშს.

ამ ანგარიშს აღებეტებენ ანგარიშსწორების ანგარიშებზე დროზე
ჩაურციხავი თანხებით, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან შეცდომით ჩამოწე-

რილი თანხებით. ამ ანგარიშში ჩანაწერების საფუძველს წარმოადგენს სახბანკის ამონაწერები.

ანგარიში იხურება სახბანკის შემდგომი ჩანაწერების საფუძველზე: სახბანკის ჩანაწერებში უსწორობის აღმოჩენის ყველა შემთხვევაში კავშირგაბმულობის საწარმო ვალდებულია ბანკიდან ამონაწერის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში განუცხადოს ბანკს, რომ მის ჩანაწერს არ ეთანხმება. თუ აღნიშნულ ვადაში ანგარიშის მფლობელი ბანკს არაფერს განუცხადებს, მაშინ სახბანკის მიერ გამოყვანილი ნაშთი დადასტურებულად ითვლება.

კავშირგაბმულობის საწარმოების ყველა ჩანაწერში შეცდომებს აწარმოებენ ცნობების, შედგენის გზით, რომლებსაც ხელს აწერენ საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

საწარმოს სალაროში მყოფი ფულადი საშუალებების ოპერაციებს სალაროს ოპერაციები ეწოდება, ხოლო მათი გაფორმების საბუთებს—სალაროს საბუთები.

თანახმად სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ დებულებისა, კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებს შეუძლიათ თავის სალაროში კპონდეთ ნაღდი ფული ექსპლოატაციის საკიროებისათვის, კაპიტალური რემონტისა და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებებისათვის.

სალაროს ნაღდი ფულის ლიმიტს (რაოდენობას) აწესებს სახბანკის ადგილობრივი დაწესებულება კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსთან ერთად, სახელდობრ:

დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებისათვის, ცალკე ძირითადი საქმიანობის სალაროსა და ცალკე ფულბარათების ოპერაციების სალაროს მიხედვით, მათში იმ ფულადი ნაშთის ჩათვლით, რომელიც მიღებულ იქნა განყოფილებებიდან და სააგენტოებიდან;

კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და სააგენტოებისათვის—საერთო სალაროს მიხედვით, გარეშე ძირითადი საქმიანობისა და ფულბარათების ოპერაციების სალაროებად დაყოფისა.

ლიმიტების ოდენობას განსაზღვრავენ შესაბამისად კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ ნაღდი ფულის შენახვის და გაცემის შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესებისა; ამასთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული:

თანხა, რომელიც საჭიროა ფულის ბარათების გასანაღდებლად შემდეგი დღის დილიდან ბანკის გაღებამდე;

დრო, რომელიც საჭიროა კავშირგაბმულობის საწარმოების ნო-
თხოვნილებათა და ფულადი დახმარების გაფორმებისათვის, აგრეთვე დრო,
რომელიც საჭიროა ამ დახმარების მისაღებად;

დრო, რომელიც დაწესებულა ლიმიტსზევით ნაღდი ფულის ნამე-
ტის შესატანად სახბანკოში ან კავშირგაბმულობის ზემდგომ საწარმოში.

დაშოუვიდებულ ბალანსზე მყოფი კავშირგაბმულობის საწარმოები
საექსპლოატაციო შემოსავალს (ანონაგებს) მიღების დოესეგ მთლიანად
აბარებენ სახბანკოს ადგილობრივ დაწესებულებას სათანადო ანგარიშზე.

ანონაგების ნაშთი საოპერაციო დღის ბოლოსათვის, ანონაგების
ბანკში ჩასაბარებლად დაწესებულ დროის შემდეგ, საწარმოს საღაროში არ
შეიძლება იყოს ინაზე მეტი თანხა, ვიდრე ლიმიტით არის დაწესებული.

კავშირგაბმულობის ამ საწარმოებში საექსპლოატაციო შემოსავლი-
დან ნაღდი ფულის გახარჯვა ექსპლოატაციის ხარჯებისათვის ან ფულის
ბარათების გასანაღდებლად აკრძალულია.

კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში საექსპლოა-
ტაციო შენიშვადი, ფულის ბათითა თანხები, პეროდულ განოცენებზე
ხელის ნოწერიდან შემოსული თანხები, ასოტხპეჩატის- საქონლის
გაყიდვიდან წემოსული ანონაგები მთლიანად ჩაოცხული უნდა იქნას
ფულბარათების სამჯალბებში. მათი გახარჯვა შეიძლება ფულის ბარა-
თების გასანაღდებლად.

ანონაგები თანხების ნიბუვით, რომლბაც ჩარიცხულია ფულბარა-
თების სამჯალბებში, კავშირგაბმულობის კანტორა ვალდებულია დაუ-
ყოვნებლივ მიადინოს ანგარიშყოება სახბანკის საწაღლებით საწარ-
მოს ძირითადი საქმიანობისა და ფულბარათების ოპერაციების ბალან-
სებს შორის.

კავშირგაბმულობის საწარმოები, გარდა სააგენტოებისა და განყო-
ფილებებისა, მთელ ნაღდ ფულს აბარებენ სახბანკის მიერ კავშირგაბმუ-
ლობის საწარმოების უფროსებთან შეთანხმებით დაწესებულ დროში:
დღისა და საღამოს სახბანკის საღაროებში, სახბანკის ინკასატორებსა და
სახბანკის მიერ მოწყობილ საინკასატორო პუნქტებში.

კავშირგაბმულობის საწარმოებს უფლება აქვთ თავიანთ საღაროებში
დაწესებული ლიმიტსზევით ნაღდი ფული შეინახონ ნილოდ ხელფასის
გასაცემად არა უმეტეს, სამი დღის განმავლობაში ამ ფულის სახბანკოში
მიღებიდან.

ფულის მიღებაზე გასაცემ ქვითრებში და არც ქვითრის ასლებში არავითარი წაშლა, ამოფხეკა ან გასწორება არ დაიშვება, თუნდაც დათქმული.

ქვითრები, რომლებშიც დაშვებულ იქნა შეცდომები, უნდა გაუქმდეს პირველ ეგზემპლარსა და ასლზე მელნით ხაზის გადასმით, რაც ხელმოწერილი უნდა იყოს ფულის მიმღების მიერ; გაუქმებული ქვითრებისა და მათი ასლების მოცილება ქვითრების წიგნიდან არ შეიძლება.

ქვითრის წიგნაკებისა და რვეულების აღრიცხვა წარმოებს ბალანს-გარეშე ანგარიშზე 315 „მკაცრი ანგარიშგების ბლანკები“.

საოპერაციო სალაროების მოლარეები ფულს აბარებენ საწარმოს მთავარ სალაროში.

ფულის მთავარ სალაროში ჩაბარების დროს კლიენტებიდან ფულის მიმღები პირი მელნით ავსებს ცნობას 42ა ფორმის მიხედვით ერთ ცალად და ხელს აწერს მასზე; ამ ცნობებში არ დაიშვება არავითარი გადაშლა, გადაფხეკა, გადასწორება, თუნდაც ეს დათქმულიც იყოს.

ეს ცნობა მთავარ სალაროში ფულის ჩაბარებამდე გადაეცემა საწარმოს მთავარ (უფროს) ბუღალტერს ან, მისი დავალებით, რომელიმე პირს საშემოსავლო სალაროს ორდერის შესადგენად.

მთავარ სალაროში ფულის მიღებისას ყველა შემთხვევაში გაიცემა ქვითარი მთავარი (უფროსი) ბუღალტრისა და მთავარი მოლარის ხელმოწერით (საშემოსავლო სალაროს ორდერის მარჯვენა ნაწილი).

სალაროს ორდერებში არავითარი გადაფხეკა, წაშლა ან გადასწორება, თუნდაც ეს დათქმულიც იყოს, არ დაიშვება.

საშემოსავლო სალაროს ორდერს, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა ფული, მოლარე ხელს აწერს, ხოლო ამ ორდერებზე დართულ დოკუმენტებს ადებს შტამპს ან ხელით აწერს „მიღებულია“, თარიღის ჩვენებით.

ყველა საშემოსავლო სალაროს ორდერს, მათ სალაროში გადაცემამდე შესასრულებლად, ბუღალტერია ატარებს საშემოსავლო და საგასავლო სალაროს ორდერების რეგისტრაციის ქურნალში.

დამუშავებული ქვითრების წიგნები და რვეულები, რომელთა მიხედვით წინათ სალაროში მიღებულ იქნა ფული, ჩაბარდება ბუღალტერიას.

ნაღდ ფულს კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოების მთავარ სალაროებიდან იძლევიან მხოლოდ საგასავლო სალაროს.

ორდერებით, რომელთაც ხელს აწერენ საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ან საამისოდ სხვა რწმუნებული პირი.

არავითარი გადაფხეკა, წაშლა ან გადასწორება, თუნდაც ეს დათქმულიც იყოს, ამ დოკუმენტებში არ დაიშვება.

ხელფასს, დახმარებას დროებით შრომის უუნარობის გამო, პენსიებს, პრემიებს, დღიურების ნაცვლად მტკიცე დანამატებს მოლარეები იძლევიან საგადასახადო უწყისებით თითოეულ მიმღებზე საგასავლო სალაროს ორდერის გარეშე.

საგადასახადო უწყისის თავფურცელზე კეთდება განმკარგულებელი წარწერა საწარმოს უფროსისა და მთავარ (უფროსი) ბუღალტრის ან საამისოდ სხვა რწმუნებული პირის ხელმოწერით.

„სალაროში გასანაღდებლად 195 . . წ.

195 . წ.

. მღე თანხით (სიტყვებით)

მსგავსივე წესით ფორმდება ერთჯერადი ანგარიშსწორება ხელფასისა (შეებულებაში წასვლის დროს, ავადმყოფობისას და სხვ.), აგრეთვე დეპონირებული თანხების გადახდისა.

ხელფასის, დროებით შრომის უუნარობისათვის დახმარების, დღიურების ნაცვლად მტკიცე დანამატის, პენსიებისა და პრემიების გასაცემად ბანკიდან ფულის გამოტანის სამი დღის განმავლობაში მოლარე ვალდებულია:

ა) საგადასახდლო უწყისში იმ პირის გვარის პირდაპირ, რომელსაც მიუღებელი დარჩა ხელფასი, დროებით შრომის უუნარობის გამო დახმარება, პენსია და პრემია, მოლარემ უნდა დაარტყას შტამპი ან ხელით წააწეროს „დეპონირებულია“;

ბ) შეადგინოს დეპონირებული თანხების რეესტრი;

გ) თითოეული საგადასახდლო უწყისის თავფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა ფაქტიურად გაცემული თანხის შესახებ და იმ გაუცემელი ხელფასის, დროებით შრომის უუნარობის გამო დახმარების, დღიურების ნაცვლად მტკიცე დანამატის, პენსიების ან პრემიებისა, რომელიც დეპონირებული უნდა იქნას, შეადაროს ეს ჯამი საგადასახდლო უწყისის საერთო ჯამს და დაამოწმოს თავისი ხელმოწერით.

მას შემდეგ, რაც მოლარე გულდასმით შეამოწმებს საგადასახდლო უწყისს, გააკეთებს მასზე აღნიშვნას გაცემულ და მის მიხედვით დეპონირებულ თანხაზე, ბუღალტერია იმავე დღეს გამოსწერს საგასავლო სალა-

როს ორდერს ფაქტიურად გაცემულ თანხაზე და ამ ორდერს გადასცემს სალაროში.

სავსავლო სალაროს ორდერებს, ისე როგორც საშემოსავლო ორდერებს, სალაროში გადაცემამდე ბუღალტერია ატარებს მათ სარეგისტრაციო ჟურნალში.

კავშირგაბმულობის საწარმოები ნაღდი ფულის ყველა შემოსავალს და გასვალს აღრიცხავენ სალაროს წიგნებში.

კავშირგაბმულობის იმ განყოფილებებში, რომელთაც ანგარიშვალდებული საწარმოები აქვთ, სალაროში შემოსული საშემოსავლო და თუღბარათის თანხების ჩასაწერად აწარმოებენ ერთ სალაროს წიგნს და ყოველდღიურ ანგარიშს შეავსებენ 131 ფორმის მიხედვით.

კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში, რომელთაც არა აქვთ კავშირგაბმულობის ანგარიშვალდებული საწარმოები, ფულადი თანხების ოდენობას და მოძრაობას ყოველდღიურად წერენ ფულადს ანგარიშში ფ. 131-ა. კავშირგაბმულობის ამ საწარმოებში სალაროს წიგნს არ აწარმოებენ.

სალაროს წიგნებს, სანამ მათ მოლარეებს გადასცემდნენ, ამოწმებენ ბუღალტერიაში, ზონარს გაუყრიან და ლუქის ბეჭდით დაამოწმებენ, ამასთან წიგნებში ფურცლების რაოდენობას ამოწმებენ მოცემული საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

ჩაწერას სალაროს წიგნში აწარმოებენ მხოლოდ მეღნიით.

წაშლა და დაუთქმელი გასწორებანი სალაროს წიგნში აკრძალულია. გასწორებებს ამოწმებენ თავიანთი ხელმოწერით მოლარე (აა მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ან პირი, რომელიც მას სცვლის.

სალაროს წიგნში ჩაწერას აწარმოებს მთავარი მოლარე მაშინვე, როცა ფულს იღობს ან გასცემა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მოლარე ანგარიშობს სალაროს წიგნში ოპერაციების შედეგებს დღის განმავლობაში, გამოყავს ფულის ნაშთი სალაროში შემდეგი რიცხვისათვის, ადგენს სალაროს ოპერაციების ანგარიშს და საშემოსავლო და სავსავლო სალაროს ორდერებთან და მათში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად იმავე დღეს აბარებს ბუღალტერიას, რომლის წარმომადგენელი საბუთების მიღების დასტურად ხელს აწერს სალაროს წიგნში.

სალაროს წიგნის სწორად წარმოებაზე კონტროლი დაკისრებული აქვს საწარმოს მთავარ (უფროს) ბუღალტერს და მისი მითითებანი სალაროს წიგნის წარმოების წესების შესახებ მოლარისათვის სავალდებულოა.

ბელალტრებს და საანგარიშო დარგის სხვა მეშავეებს, რომლებიც სარგებლობენ სალაროს დოკუმენტებზე ხელის მოწერის უფლებით, არ შეუძლიათ მოლარეების ვალდებულების შესრულება.

საწარმოებში ყველა ნაღდი ფული და ფასიანი ქაღალდები ინახება ცეცხლგამძლე კარადაში, ოკინის სკივრებში, რომელთაც სალაროს მუშაობის დამთავრების შემდეგ მოლარეები ჰქვიავენ კლიტით და ბეჭდავენ თავისი ლეჭის ბეჭდით.

სალაროებში ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების შენახვა, რონელიც არ ეკუთვნის მოცემულ საწარმოს, აკრძალულია.

საკულებნაოს (ხოლო როცა ის არ არის, ცეცხლგამძლე კარადებს და რკინის სკივრებს) ბოქლონა ადებენ და ბეჭდავენ ორი ბეჭდით:— დაზღვევისა და საკონტროლო ბეჭდით.

სალაროს სადგომისა და ცეცხლგამძლე კარადის ან ფულის სკივრის ვადების წინ მოლარე ვალდებულია შეამოწმოს ბოქლომების, კარების, ფანჯრის ჩარჩოებისა და ბეჭდების დაცულობა.

ამ შემთხვევებში, როცა მოლარე შენიშნავს ბეჭდის ნიხნას ან დაზიანებას, ბოქლომის, კარკის ან ფანჯრებზე ჩარჩოების გატეხვას, იგი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საწარმოს უფროსს. ამ შემთხვევაში სალაროს ოფერაციების დაწყებამდე ამოწმებენ სალაროში დაცული ფულადი საშუალებებისა და სხვა ფასეულობათა ოდენობას: შემოხუშების შედეგზე ადგენენ აქტს, რომელსაც ხელს აწერს შემოწმებელს ყველა ცონაწილე.

მასალები შემოსუვის შსახებ ეგზავნება ნილიციას განოსარკვევად და დანაშაულის ჩამოყენი პირების აღმოსაჩენად. ამის შესახებ ავრთვე დაუყოვნებლივ ცნობება კავშირგამბულობის სამინისტროს ზენდგონ ორგანოა.

მოლარეებს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ მიერ მიღებულ ფასეულობათა დაცვისა და ყველა იმ ზარალისათვის, რომელიც შეიძლება მოუვიდეს საწარმოს მათი ვულგარილი, დაუდგარი, გაუფრთხილებელი ან ზინანწარ განზრახულ მოქმედებათა გამო.

მსხვილ საწარმოებში ხელუასი, დროებითი შრომის უუნარობის გამო დახმარება, დღიურების ნაცვლად მტკიცე დანაშატები, პენსიები და პრემიები საწარმოს უფროსის წერილობითი განკარგულებით შეიძლება გასცენ არა მარტო მოლარეებზე, არამედ სხვა პირებზეც, ნაგრამ ფულის გაცემა არ შეიძლება დაეკისროს იმ პირებს, რომლებიც დაკავ-

შირებული არიან ამ გაცემების ანგარიშგებასთან (ბუღალტრებს, მონაგარიშეებს, მეტაბელეებს და ა. შ.).

ყოველდღე საწარმოს ოპერაციების დამთავრების შემდეგ საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ან პირები, რომელთაც საამისო რწმუნება აქვთ, მთავარი მოლარის თანდასწრებით ამოწმებენ სალაროში ნაღდ ფულს მისი აუცილებლად დათვლით; ასევე ამოწმებენ სალაროში მყოფ ყველა ფასეულობას. შეძომების შედეგებს ისინი აღნიშნავენ სალაროს წიგნში და ამოწმებენ თავიანთი ხელმოწერით.

სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ არსებული დებულების დაცვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ კავშირგაბმულობის საწარმოთა უფროსებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებსა და მოლარეებს.

საწარმოები ვალდებული არიან სალაროში მიღებული საექსპლოატაციო შემოსავლისა და კლიენტების ავანსების მთელი თანხები ყოველდღიურად და აუცილებლად დღის განმავლობაში ჩააბარონ სახბანკოში № 0 ანგარიშზე.

ამ ფულის დახარჯვა ექსპლოატაციის საჭიროებაზე და ფულბარათების გასანაღდებლად აკრძალულია.

კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში საექსპლოატაციო შემოსავალი, პერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერის თანხები, „სოიუზბეჩატის“ საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული მთლიანად ჩაირიცხება ფულის ბარათის საშუალებებში და შეიძლება გახარჯულ იქნას ფულის ბარათების გასანაღდებლად, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორება საწარმოს ძირითადი საქმიანობის, ფულბარათების ოპერაციებისა და ЦУРП-ის ბალანსებს შორის.

სალაროში საოპერაციო დღის ბოლოსათვის შეიძლება დარჩეს მხოლოდ ის თანხა, რომელიც შემოვიდა სახბანკის საღამოს სალაროს დაკეტვის შემდეგ.

სახბანკიდან მიღებულ ფულს მკაცრად მიზნობრივი დანიშნულება აქვს, ამიტომ მისი დახარჯვა შეიძლება მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც გამოტანილია ბანკიდან. მაგალითად, გაუსტუმრებელი ხელფასის თანხა არ შეიძლება გაცემულ იქნას საქვეანგარიშოდ მივლინებისათვის; ასეთი თანხები აუცილებლად უკანვე შეტანილი უნდა იქნას ბანკში.

ფულის მიღება სალაროში და ფულის გაცემა სალაროდან ფორმდება სპეციალური საბუთებით—სალაროს საშემოსავლო და საგასავლო

ორდერებით, რომელთა ფორმები და გამოყენების წესი მოყვანილია ამ წიგნის პირველ განაყოფში.

ფულადი თანხების მოძრაობა სალაროში, ე. ი. მიღება და გაცემა, ყოველდღიურად იწერება სალაროს დავთარში მელნით.

სალაროში შენახული ნაღდი ფულისათვის პასუხისმგებელია მოლარე.

მოლარის მიერ ხელმოწერილი ვალდებულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ინახება ბუღალტერიის საქმეებში.

თვეში ერთხელ მაინც, მთავარი მოლარის თანდასწრებით ხდება სალაროს და მასში შენახულ ყველა ფასეულობათა სრული რევიზია, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ბალანსზე (ძირითადი საქმიანობის, ფულბარათის ოპერაციების, II, V, PII-ს აღირიცხებიან ეს ფასეულობანი.

რევიზიას აწარმოებს სპეციალურად დანიშნული კომისია მოცემული აპარატის 2—3 მუშაკის შემადგენლობით, მასში საანგარიშო დარგის მუშაკის სავალდებულო მონაწილეობით.

რევიზიის შედეგებზე დგება აქტი.

რევიზიის მიერ სალაროში აღმოჩენილ ფასეულობათა დანაკლისისა ან ნაშატის შემთხვევაში, აქტიში უზენებენ ამ დანაკლისისა და ნაშატის თანხას, მათი წარმოშობის პირობებს და დამნაშავე პირებს. .

როგორც კავშირგაბმულობის დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოებში, ისე მის სააგენტოებსა და განყოფილებებში კავშირგაბმულობის მომსახურების ყველა ოპერაციას, გარდა უბრალო საფოსტო გზაწერილობათა გაგზავნისა და მიტანისა, საფოსტო ნიშნებისა და ბლანკეტების გაყიდვისა, აუცილებლად აფორმებენ ქვითრების გაცემით, რომელიც დაწესებულია თითოეული სახის და ფორმის ოპერაციისათვის.

კავშირგაბმულობის საწარმოები, მათ შორის სააგენტოებიც და განყოფილებებიც, ქვითრის რვეულების ბლანკეტს ლეზულობენ ზემდგომი საწარმოსაგან. ისინი მკაცრი აღრიცხვის საბუთებს წარმოადგენენ—ინახება დაცულ ადგილას და სამუშაო ადგილებზე გადაცემა წარმოებს ხელწერილის ქვეშ. ქვითრის რვეულები აღირიცხება ბალანსგარეშე 315 ანგარიშზე მკაცრი აღრიცხვის ბლანკეტი. ამ ბლანკეტის აღრიცხვა წარმოებს პირობით შეფასებაში 1 კაპ. თითოეული ქვითრისათვის.

ქვითრის რვეულების მიღებისას 315 ანგარიშს „მკაცრი აღრიცხვის ბლანკეტი“ ადებეტებენ, ხოლო გამოყენებული ან გაუქმებული ქვითრებით—აკრედიტებენ.

საფოსტო ნიშნებს, აგრეთვე გასაყიდად დანიშნულ სხვადასხვაგვარ ბლანკებს (ფულის გზავნილებათა, თანხლები მისამართების, ტელეგრაფის ბლანკები და ა. შ.) პირობითი ფასეულობანი ეწოდება, რადგან მათი რეალიზაცია ხდება არა მათი თვითღირებულების მიხედვით, არამედ კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ დაწესებული და მთავრობის მიერ დატყვიცებული შეფასების მიხედვით.

საფოსტო ნიშნების—მარკების ექსპედიციაში შემოსული ანგარიშის განაღდების მომენტში დანახარჯები ჩამოიწერება უშუალოდ 050 ანგარიშში საექსპლოატაციო ხარჯები და ერთდროულად შეიტანება შენოსავალი ბალანსგარეშე ანგარიშში 303 საფოსტო ნიშნები და ბლანკები პირობითი შეფასებით.

პირობითი ფასეულობების კავშირგაბმულობის საწარმოებში გაგზავნისას ამ ანგარიშს საფოსტო ნიშნების ექსპედიციაში აკრედიტებენ.

კავშირგაბმულობის საწარმოებში ამ პირობითი ფასეულობების ოდენობა და მოძრაობა აღირიცხება აგრეთვე ბალანსგარეშე ანგარიშზე 303 საფოსტო გადახდის ნიშნები და ბლანკები; მარკები—მათზე აღნიშნული ნომინალური ღირებულებით, ხოლო საეციალური ბლანკები კი—გასაყიდ ფასებში.

საბუღალტრო აღრიცხვაში სალაროში ფულადი საშეკლებების ოდენობა და მოძრაობა განიხილება ანგარიშზე 088 სალარო შემდეგი სუბანგარიშების (ქვეანგარიშების) მიხედვით:

- 088-1. საბუნოსავლო სახსრების სალარო,
- 088-2. საექსპლოატაციო სახსრებს სალარო,
- 088-4. დანარჩენი სახსრების სალარო.

სალაროს ანგარიშს აღებეტებენ სალაროში შემოსული თანხებით, ხოლო აკრედიტებენ გაცემული თანხებით.

ბალანსის საანგარიშგებო ცხრილში 088 სალაროს ანგარიშის ნაწილს წყრენ აქტივში, ცალკე თითოეული ქვეანგარიშის მიხედვით.

ფულბარათებს კავშირგაბმულობის საწარმოთა სახელზე მისაღებ ფასდებულებებს, აგრეთვე კლიენტებისაგან მიღებულ აქციპტებულ ჩეკებს, თუმცა ინახავენ სალაროში, მაგრამ აღრიცხავენ ცალკე ანგარიშზე 090 „ფულადი საბუთები“. სალაროს წიგნს ამ ფასეულობათა აღსაღრიცხავად აწარმოებენ ცალკე დეტალურ (ანალიზურ) აღრიცხვას, აწარმოებენ ტიპიური ფორმის კონტოკორენ-

ტულ ბარათებზე, რომელთაც აჯგუფებენ შემდეგი ქვეანგარიშების მიხედვით: ა) აქცეპტებული ჩეკები, ბ) დანარჩენი ფულადი საბუთები.

5. აღრიცხვა კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში

კავშირგაბმულობის სააგენტოები და განყოფილებები წარმოადგენენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც ექვემდებარებიან კავშირგაბმულობის კანტორას.

მათი ძირითადი საქმიანობაა ვაუჭიოს კლიენტებს საფოსტო, ხოლო ხანდახან სატელეფონო-სატელეგრაფო მომსახურება. გარდა ამისა, მათ უფლება ეძლევათ მიიღონ ფულის ბარათები აღრესატებისათვის გადასაგზავნად. აგრეთვე აღრესატებს გაუნაღდონ კავშირგაბმულობის სხვა საწარმოებიდან მიღებული ფულბარათები.

ყველა განოსაღებს კავშირგაბმულობის მონსატრებიანათვის, აგრეთვე ამონაგებს საფოსტო საზღაურის ნიშნებისა და ბლანკების გაყიდვიდან, კავშირგაბმულობის განყოფილებები და სააგენტოები ხარჯავენ ფულბარათების გასანაღდებლად ან მას გზავნიან კავშირგაბმულობის ზენდგომ განყოფილებანი ან კანტორაში, როგორც ფულბარათების ნამეტ თანხას, რომელიც არ სჭირდება განყოფილებას ან სააგენტოს ფულბარათების გასანაღდებლად.

კავშირგაბმულობის სააგენტოებისა და განყოფილებების შესანახად საექსპლოატაციო ხარჯებს (ხელფასი, სადგომებისა და შენობების შენახვა და რემონტი) კავშირგაბმულობის კანტორები ეწვევიან თავიანთი საექსპლოატაციო სახსრებიდან და მათ გამოსახავენ თავის ბალანსში როგორც საკუთარ ოპერაციებს.

ამ მიზნით კავშირგაბმულობის კანტორა კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს საქვეანგარიშოდ უგზავნის სათანადო თანხას; ფულის მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა, კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი ადგენს სააგენტოს ანგარიშს ყველა გასამართლებელი საბუთის თანდართვით.

ხელფასის გაცემის უწყისი დგება კავშირგაბმულობის კანტორაში.

კავშირგაბმულობის სააგენტოები და განყოფილებანი არ აწარმოებენ საბალანსო აღრიცხვას არც ძირითადი საქმიანობის მიხედვით, არც ფულის ბარათის ოპერაციების მიხედვით.

სალაროს წიგნს¹ აწარმოებენ კავშირგაბმულობის მხოლოდ ის განყოფილებები, რომლებსაც აქვთ მათდამი ანგარიშვალდებული საწარმოები.

კავშირგაბმულობის სააგენტოების ან განყოფილებების სალაროში შემოსული ყველა თანხა ყოველდღიურად იწერება დაწესებული ფორმის № 131 ან № 131 ფულად ანგარიშებში. ჩაწერა წარმოებს თვის ბოლომდე მზარდი თანხებით.

წინა დღის ანგარიში ყოველდღიურად იგზავნება თავის ზემდგომ საწარმოში (კავშირგაბმულობის განყოფილებაში ან კანტორაში) არა უგვიანეს მეორე დღისა, კონტროლისა და ფულის მოძრაობის გამოსახატავად კავშირგაბმულობის კანტორის საბუღალტრო აღრიცხვაში.

საფოსტო გადახდის ნიშნებსა და ბლანკებს, უმარკო კონვერტებს, ქვითრის რვეულებს კავშირგაბმულობის სააგენტოები და განყოფილებები ღებულობენ კავშირგაბმულობის ზემდგომი საწარმოსაგან მოთხოვნის მიხედვით. ყოველთვიურად საექსპლოატაციო შემოსავლის მიღების ყველა გამოყენებული საქვითრო წიგნი და რვეული იგზავნება კავშირგაბმულობის კანტორაში იმ ჩანაწერების სისწორის გულდასმით შესამოწმებლად, რომელიც შესრულებულია ფულად საშუალებათა ანგარიშებში კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებების მიერ.

გარდა ნაღდ ანგარიშზე კავშირგაბმულობის მომსახურებისა, კავშირგაბმულობის განყოფილებები სამსახურს ასრულებენ აგრეთვე იმ ავანსის ანგარიშშიც, რომელიც შეტანილია კლიენტების მიერ კავშირგაბმულობის განყოფილებაში ან კანტორაში. კლიენტის მიერ კავშირგაბმულობის კანტორაში შეტანილი ავანსის თანხის შესახებ განყოფილებას აცნობებენ წერილით, რომელსაც ხელს აწერენ კავშირგაბმულობის კანტორის უფროსი და უფროსი ბუღალტერი.

ავანსის გამოყენებასა და შევსებაზე კონტროლისა და მეთვალყურეობის გასაწევად კავშირგაბმულობის განყოფილებაში აწარმოებენ კლიენტების პირად ანგარიშებს, რომლებშიც წერენ შეტანილი ავანსის თანხას და კლიენტებისათვის გაწეული სამსახურის ღირებულებას. ყოველდღიურად ირკვევა ავანსის ნაშთი.

ნებისად მომსახურების გაწევა ნებადართული არ არის.

კავშირგაბმულობის ანგარიშგება ფ. 131 ოთხი ტაბულისაგან შედგება: პირველი დანიშნულია ნაღდი თანხისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩასაწერად, ამასთან არა მარტო ფულის ბარათის ოპერაციების მიხედვით, არამედ ძირითადი საქმიანობის მიხედვითაც.

ამ ტაბულის პირველ სვეტში ქვეთრის წიგნებისა, რვეულებისა და ცნობების შედგენების საფუძველზე წერენ თანხების მოძრაობას მოცემულ დღეში, ხოლო მეორეში—თანხების მოძრაობას თვის დასაწყისიდან.

რადგან კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში საშემოსავლო სახსრებს რიცხავენ ფულბარათების ანგარიშზე, ამიტომ ანგარიშებით ნაჩვენები ფულის ნაშთი განსაზღვრავს მხოლოდ ფულბარათების სახსრების თანხას.

კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის შემოსული ავანსების თანხები გამოიყოფა ცალკე მაჩვენებლით.

ავანსების ანგარიშში ანგარიშგების საგასაკლო ნაწილში ცალკე სტრიქონით წერენ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას, ამასთან იმავედროულად ასეთივე თანხა ემატება შემოსავალში გამოსაღებთა თანხას კავშირგაბმულობის სათანადო მომსახურებისათვის, რომელიც გაწეულია ნაღდანგარიშზე.

ავანსების მოძრაობას კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის ყოველდღიურად წერენ ანგარიშგების მეორე ტაბულაში.

ფულადი ანგარიშგების მესამე ტაბულა განკუთვნილია დღის ბოლოსათვის საფოსტო ნიშნების, ბლანკებისა და საქონლის ნაშთების თანხის ჩასაწერად.

ფულად საშუალებათა ანგარიშგების ფორმა 131 ა, რომელსაც ადგენენ კავშირგაბმულობის სააგენტოები და განყოფილებები, რომლებსაც არა აქვთ საკონტროლო-საღერბო ბეჭედი, განსხვავდება ფორმა 131-დან მხოლოდ ნაკლები რაოდენობის მაჩვენებლებით.

რადგან საექსპლოატაციო შემოსავლის მთელი თანხა ირიცხება ფულის ბარათის სახსრებში, რომლებიც ცალკე ბალანსზე აღირიცხება, და საშემოსავლო სახსრების სალაროში არ შედის, ამიტომ იმისათვის, რომ ყველა შემოსავალმა თავი მოიყაროს სახბანკო № 0 ანგარიშზე, კავშირგაბმულობის კანტორის ბუღალტერია სახბანკს აძლევს დავალებას ფულბარათის თანხების ანგარიშიდან № 3 გადარიცხოს № 0 ანგარიშზე კავშირგაბმულობის ყველა სააგენტოსა და განყოფილებაში შემოსული სახსრების თანხა.

კავშირგაბმულობის კანტორისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ყველა განყოფილებისა და სააგენტოს საანგარიშგებო მონაცემების კრების თანხმად, საექსპლოატაციო შემოსავლის მოძრაობას თვის უკანასკნელი დღისათვის გამოხატავენ კავშირგაბმულობის კანტორაში შემდეგი ჩანაწერებით (თანხები აღებულია სანიმუშო):

1. დებეტი ანგარიში 140-4 ბალანსთშორისო ანგარიშსწორებანი ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან ჩაბარებული ამონაგებებით 1735
- კრედიტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავლები 1383
- კრედიტი ანგარიში 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით 200
- კრედიტი ანგარიში 076 საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებზე და საწარმოებში 40
- კრედიტი ანგარიში 117-8 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (რადიოინფორმაციის კომიტეტი) 97
- კრედიტი ანგარიში 133-3 ფინორგანოები გადასახადების, გამოსალღებებისა და სხვა ანგარიშსწორებათა მიხედვით 15

საექსპლოატაციო შემოსავლის, სააბონემენტო, დალაპარაკებისა და კლონტრობრივი გადასახადის თანხები; გაყიდული საქონლის ღირებულება, სააბონემენტო გადასახადის თანხები, რომელიც ეკუთვნის რადიოინფორმაციის კომიტეტს (97^{0/ა}); ჯარიმები, რომელიც შემოვიდა კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში და უნდა ჩაბარდეს ბიუჯეტს, გატარდება შემდეგნაირად:

2. დებეტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი 1
- დებეტი ანგარიში 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით 120

კრედიტი ანგარიში 140-4 ბალანსთშორისო ანგარიშსწორებანი ფულის ბარათების ოპერაციების ბალანსთან ჩაბარებული ამონაღებით 121

დაბრუნებული გამოსალღებების თანხები და კლიენტებისათვის ავანსების ანგარიშიში გაწეული კავშირგაბმულობის მომსახურებაზე.

3. კრედიტი ანგარიში 303 საფოსტო გადახდის ნიშნები და ბლანკები 500

რეალიზებული საფოსტო გადახდის ნიშნებისა და ბლანკების თანხა.

4. კრედიტი ანგარიში 315 შკაცი აღრიცხვის ანგარიშგების ბლანკები 1

გამოყენებული ქვითრების პირობითი ღირებულება.

კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში შემოსული და ფულის ბარათების თანხებში ჩარიცხული საშემოსავლო სახსრების ანაზღაურების დროს ანგარიშების კორესპონდენცია ასეთი იქნება:

დებეტი ანგარიში 091 № 0 საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკში

კრედიტი ანგარიში 140-4 ბალანსშორისო ანგარიშსწორებანი ფულბარათის ოპერაციების ბალანსთან ჩაბარებული ამონაგებით

1614

6. მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა

თავიანთი საქმიანობის პროცესში კავშირგაბმულობის საწარმოები მნიშვნელოვანი რაოდენობის მასალებს ხარჯავენ.

მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლის დაწესება მასალების მოძრაობასა და სწორად გამოყენებაზე; ზუსტი ცნობების მიღება საწარმოს საწყობში მყოფი მასალების რაოდენობაზე.

გარდა ამისა, აღრიცხვამ შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს განესაზღვროთ მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური მარაგის გადახრა დაწესებული ნორმატივებიდან, ე. ი. ფასეულობათა იმ რაოდენობიდან და ღირებულებიდან, რაც მლდამ უნდა იყოს საწყობში საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

აღრიცხვის სწორად მოწყობისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მიღებისას და ხარჯვისას მატერიალური ფასეულობანი საბუთებსა და აღრიცხვაში ერთ და იმავე სახელწოდებით და ზომის ერთი და იმავე ერთეულში იყოს აღნიშნული. ამას ხელს უწყობს მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურა.

მასალების ნომენკლატურის ქვეშ გულისხმობენ მატერიალურ ფასეულობათა განსაკუთრებული წესით სისტემატიზებულ ნუსხას, ამ მასალების ინდივიდუალურ განსხვავებათა აღწერით, ზომის ერთეულისა და პირობითი ნიშნის — შიფრის (ნომენკლატურის ნომრის) აღნიშვნით. ნუსხაში თითოეული სახის მასალას წინასწარ მიაკუთვნებენ განსაზღვრულ ნომერს (შიფრს) და ზუსტ სახელწოდებას. მასალების ამ შიფრითა და სახელწოდებით ვალდებულია ისარგებლოს საწარმოს ყველა მუშაკმა როგორც საანგარიშო დარგის, ისე იმანაც,

ვინც მატერიალურ ფასეულობებს განაგებს. შემოსავლის და გასავლის საბუთებზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს მასალის ნომენკლატურის ნომერი (შიფრი) და მისი სახელწოდება. დეტალური აღრიცხვაც აგრეთვე წარმოებს მიღებული ნომენკლატურის შესაბამისად.

საწყობში არსებული მატერიალურ ფასეულობათა ყველა მარაგის შენახვაზე საწყობის გამგე ან მეკუქნავეა პასუხისმგებელი. როცა შტატში მეკუქნავე არ არის, მატერიალურ ფასეულობათა დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელსაც ბრძანებით გამოყოფს საწარმოს უფროსი.

აღრიცხვის მხრით საწყობის გამგე და მეკუქნავეები უფროს ბუღალტერს ემორჩილებიან.

მასალები გაიცემა მხოლოდ მოთხოვნილების მიხედვით, რომელსაც ხელს აწერს საწარმოს უფროსი ან პირი, ვისაც ეს დავალებული აქვს ბრძანებით, აგრეთვე მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

სხვა საწარმოებზე და დაწესებულებებზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაცემა წარმოებს მხოლოდ მინდობილობით.

თუ მასალები საწყობში გაფუჭდა, უვარგისი გახდა, ამაზე აღდგენენ აქტს, გაფუჭების მიზეზის აუცილებლად აღნიშენით. საწარმოს უფროსი ამტკიცებს ამ აქტს და სათანადო შემთხვევებში ზარალის მთელ თანხას ან მის ნაწილს აკისრებს დამნაშავე პირებს, ამასთან უჩვენებს გადახდევინების ვადებს და წესს.

მხედველობაში უნდა გვექონდეს, რომ დანაკლისი მასალების ღირებულება, რომელიც გადასახდელად დაკისრებული არა აქვს დამნაშავე პირებს, შეიძლება ჩამოიწეროს ზარალში მხოლოდ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის ან მისი მოადგილის ნებართვით.

მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისს აკისრებენ დამნაშავეებს, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წ. ბრძანებულებისა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წ. დადგენილებისა. დანაკლისს აფორმებენ აქტით. გარდა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემისა, დამნაშავე პირებს უდგენენ სამოქალაქო სარჩელს დატაცებულ და დანაკლის ფასეულობათა ანაზღაურებაზე სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით.

ზედმეტი და არასაკირო ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვა, გადაცემა ან გაცემა აკრძალულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის ბრძანებულებით

ეს ფასეულობანი შეიძლება გადანაწილდეს გეგმიანად.

საწყობებში მასალების აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ ხარისხის მიხედვით ნატურალურ ერთეულებში, ღირებულების გარეშე. მასალების თითოეულ ხარისხზე საწყობში იხსნება ცალკე ბარათი.

ძვირფასი ლითონები ინახება ცეცხლგამძლე კარადაში.

ბუღალტერიაში მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას აწარმოებენ რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით. ყოველთვიურად საწყობში მასალების ნაშთის სისწორეს ამოწმებენ ბუღალტერიაში ბარათების მაჩვენებლებთან შედარებით და დეტალური ანგარიშების ბრუნვათა შემოწმებას სათანადო საერთო (სინთეზური) ანგარიშის ბრუნვასთან შედარებით აწარმოებენ.

დეტალური ანგარიშების მიხედვით ბრუნვა ვლინდება ბრუნვათა უწყისის შედგენის გზით.

ვისარგებლებთ რა მასალებისა და მარაგის ნაწილების ანგარიშების მიხედვით შედგენილ ბრუნვათა უწყისის მანაცხევებით შეიძლება გამოვარკვიოთ ამ ფასეულობათა ბრუნვის სიჩქარე მათი თითოეული სახისა და მთლიანად ჯგუფის მიხედვით.

საქონლის ჩაწოლის ფაქტი შეიძლება გამოვლინებულ იქნას მასალების ნაშთის ნორმატივთან შედარების გზით.

ზენორმატიული მარაგის ლიკვიდაციას ჩვეულებრივად ახდენენ ზედმეტი მასალების საწარმოებს შორის გადანაწილებით, აგრეთვე ახალ დამზადებათა მოცულობის შემცირებით, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ზედმეტი ფასეულობანი მეტად უარყოფითად მოქმედებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

წელიწადში ერთხელ მაინც წარმოებს ყველა მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

ინვენტარიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს შეამოწმოს ბალანსის მაჩვენებელთა სისწორე, ბუღალტრული აღრიცხვისა და საშუალებათა ფაქტიური გადათვლის შედეგად მიღებულ მონაცემთა ურთიერთთან შედარებით.

ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა და სხვა საშუალებათა ინვენტარიზაცია სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ბრძანებით ტარდება შემდეგ ვადებში:

1 ნოემბრისათვის ხდება ძირითად საშუალებათა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია,

1 დეკემბრისათვის—ყველა ანგარიშსწორების მუხლებისა (ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან),

1 იანვრისათვის—ბალანსის ყველა დანარჩენი მუხლებისა.

ლირებულება მასალებისა, რომელიც გაიცემა ან იგზავნება კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებების მიერ, კავშირგაბმულობის კანტორაში ჩამოიწერება უშუალოდ შესაბამის საექსპლოატაციო ხარჯებში.

მასალების რაოდენობაზე, რომელიც რჩება კავშირგაბმულობის განყოფილებაში შემდეგი წლის 1 იანვრისათვის, დგება ცნობა; ეს ცნობა ანგარიშგებასთან ერთად იგზავნება კავშირგაბმულობის საწარმოში და წარმოადგენს საბუთს, რომლის საფუძველზე ბუღალტერია ამცირებს მასალების გასაყვას (დგება მუხლი: დებიტი სათანადო მატერიალურ ფასეულობათა ანგარიში, კრედიტი ანგარიში 050 საექსპლოატაციო ხარჯები). ახალ წელს, 2 იანვარს, ამ მასალების ლირებულებას კვლავ ჩამოწერენ გასაყვალში.

მატერიალურ ფასეულობათა მარაგსა და მოძრაობას აღრიცხავენ ანგარიშებში 022 მასალები და 031 მარაგანაწილები. მატერიალურ ფასეულობათა სახეზემყოფობას და შემოსავალს ასახავენ ამ ანგარიშების დებიტში, ხოლო გასაყვალს—კრედიტში.

იმ შემთხვევაში, თუ მასალებს აღრიცხავენ ფაქტიური თვითღირებულებით, მაშინ თითოეული ამ ანგარიშის ნაშთს მიმდინარე აღრიცხვაში და ბალანსში განსაზღვრავს ჯერ კიდევ დაუხარჯავ ფასეულობათა თვითღირებულება.

მასალების ან მარაგანაწილების თავის სამმართველოსაგან მიღებისას აღდებიტებენ ანგარიშებს 022 მასალები და 031 მარაგანაწილები და აკრედიტებენ ანგარიშს 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით.

მასალების ან მარაგანაწილების საექსპლოატაციო საქიროებისათვის დახარჯვისას მათ ლირებულებას ჩამოწერენ გატარებით: დებიტი ანგარიში 050 საექსპლოატაციო ხარჯები, კრედიტი ანგარიში 022 მასალები ან 031 მარაგანაწილები.

ფასგადახდილ, მაგრამ საწკობში ჯერ კიდევ გაუღებელ მასალებს და მარაგანაწილებს აღრიცხავენ ცალკე ქვეანგარიშებზე მასალები

და მარაგანაწილები გზაში, ამასთან მხოლოდ ფულად გამოხატულებათში.

ამ ფასეულობების მიღების შემდეგ მათ რაოდენობასა და ღირებულებას წერენ სათანადო ანგარიშებში.

გარდა მატერიალური ფასეულობებისა, რომელიც აუცილებელია ექსპლოატაციის საქმიანობისათვის, კავშირგაბმულობის საწარმოებში არის აგრეთვე გასაყიდად: უმარკო კონვერტები, ქალაღი წერილები-სათვის, კარის საფოსტო ყუთები, რეპროდუქტორები, სხვა რადიო საქონელი და ა. შ. ამ საქონელთა აღსარიცხავად იხსნება ანგარიში 076 საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებსა და საწარმოებში. დეტალურ აღრიცხვას ახორციელებენ საქონლის სახეებისა და მათი ადგილმყოფობის მიხედვით.

თავის სანმართველოსაგან საწარმოები ღებულობენ საქონელს მათი შექმნის ღირებულების მიხედვით, დაფინანსების წესით, ე. ი. ბანკის მეშვეობით გადახდის გარეშე.

მიღებული საქონლის ღირებულებით აღებეტებენ ანგარიშს 076 საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებსა და საწარმოებში და აკრედიტებენ ანგარიშს 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით, ე. ი.—კავშირგაბმულობის თავის სამმართველოს. ერთდროულად მიღებული საქონლის ფასს აღიღებენ დაწესებულ გასაყიდ ღირებულებამდე. მაგალითად, უმარკო კონვერტებს—ცალს 4 კაპიკამდე, საფოსტო ქალაღდს—ორმაგ ფურცელს 5 კაპ. (ფასები დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წ. დადგენილებით). განსხეავებას საქონლის დასაწადებელ და გასაყიდ ღირებულებას შორის აღრიცხავენ ანგარიშში 212-3 საქონელზე წანამატი, რომელიც კონტრაქტიურ ანგარიშს წარმოადგენს ანგარიშისადმი 076 საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებსა და საწარმოებში. ცნობას ფასის გადიღებაზე ხელს აწერენ უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

საქონლის გაყიდვიდან თანხების შემოსულისას აღებეტებენ ანგარიშს 088 სალარო და აკრედიტებენ ანგარიშს 076 საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებსა და საწარმოებში; ერთდროულად წანამატის თანხებით, რომელიც მოღის გაყიდულ საქონელზე, აღებეტებენ ანგარიშს 212-3 წანამატი საქონელზე და აკრედიტებენ ანგარიშს 270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

ამის შედეგად საქონელზე წანამატის ანგარიშის ნაშთი ყოველთვის გვიჩვენებს არარეალიზებულ საქონელზე წანამატის თანხას.

ბალანსში 076 ანგარიშის ნაშთს საქონელი კავშირგაბმულობის კიოსკებსა და საწარმოებში უჩვენებენ არარეალიზებული წანამატების თანხის გამოკლებით (გატარების გარეშე).

264 ანგარიში საქონლის, მასალებისა და მომსახურების რეალიზაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქონელი მიმდინარე აღრიცხვაში შეფასებულია დამზადების თვითღირებულების მიხედვით. მაგალითად, რეპროდუქტორები, რომელთა რეალიზაცია ხდება ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასებით.

გარდა ამისა, კავშირგაბმულობის საწარმოები შეიძლება ასრულებდნენ სხვადასხვა სამუშაოებს და ეწეოდნენ მომსახურებას. ამ შემთხვევებში მათი რეალიზებული საქონლის ან მომსახურების თვითღირებულებას ჩამოწრენ 264 ანგარიშის დებეტში საქონლის, მასალებისა და მომსახურების რეალიზაცია. აკრედიტებენ კი ამ ანგარიშს იმ გასაყიდი თანხით, რომელიც ანგარიშით წარედგინება მყიდველს ან შემკვეთს.

საქონლის რეალიზაციის 264 ანგარიშის ნაშთი, როგორც წესი, უნდა იყოს კრედიტის (მოგება), და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იგი იყოს დებეტის (ზარალი).

დამოუკიდებლად იმისა, თუ აღრიცხვის როგორი წესი გამოიყენება კავშირგაბმულობის საწარმოებში,—მოგება (წანამატი) საქონლის გაყიდვიდან ყოველთვის მიეკუთვნება საექსპლუატაციო შემოსავლის ანგარიშს, თანხის № 0 ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკში ჩარიცხვით.

საქონელი, რომელიც იგზავნება კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში, ბალანსიდან არ ჩამოიწერება. მათი გასაყიდი ღირებულება გადაიტანება მხოლოდ ცალკე ბარათზე იმ ანგარიშისა, რომელსაც ეწოდება საქონელი ანგარიშვალდებულ საწარმოებში. ამ ბარათიდან ჩამოწერას აწარმოებენ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ანგარიში ამ საქონლის რეალიზაციის შესახებ.

კავშირგაბმულობის საწარმოებში არის რიგი საგნებისა, რომლებიც თავიანთი დანიშნულებით, გამოყენების მცირე ვადითა და მცირე ღირებულებით არ შეიძლება მიეკუთვნოს პირდაპირ არც ძირითად საშუალებათა ჯგუფს, არც მასალების ჯგუფს. ასეთ საგნებს მიეკუთვნება საგნები, რომელთა გამძლეობის ვადა, მიუხედავად მათი ღირებულებისა, ერთ წელზე ნაკლებია ან ერთი ცალის ღირებულება 200 მანეთზე ნაკლები, მიუხედავად მათი გამძლეობის ვადისა. ასეთი საგნებია სახელდობრ:

ა) ავეჯი და მსხვილი სამეურნეო ინვენტარი ერთი ცალის 200 მანეთამდე ღირებულებით;

ბ) ავტოტრანსპორტის აკუმულატორები დამოუკიდებლად მათი ღირებულებისა (ყველა დანარჩენი აკუმულატორები ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება);

გ) ავტოტრანსპორტის კამერები და საბურავები, დამოუკიდებლად მათი ღირებულებისა;

დ) სპეცტანსაცმელი, დამოუკიდებლად მათი ღირებულებისა და ტარების ვადისა, მათ რიცხვში ფასად გაცემულიც;

ე) მცირეფასიანი ინსტრუმენტები და საზომი ხელსაწყოები 200 მანეთზე ნაკლები ღირებულებისა 1 წელიწადზე მეტი სამსახურის ვადით, აგრეთვე ტომრები საფოსტო კორესპონდენციის გადასაგზავნად, გარდა მიმწოდებლებისათვის დასაბრუნებელი რბილი ტარისა, რომელიც აღირიცხება ბალანსგარეშე პირობით შეფასებაში ერთეულზე 10 მან.;

ვ) წვრილი სამეურნეო ინვენტარის საგნები, საჭაპანო ტრანსპორტის შებმის ცალკე (არაკომპლექტური) საგნები;

ზ) მცირეფასიანი ინსტრუმენტები და საზომი მოწყობილობანი 1 წელიწადზე ნაკლები სანსახურის ვადით.

ამ საგნებს მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი ეწოდება.

მათ აღრიცხავენ განსაკუთრებულ ანგარიშზე 016 მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები, რომელიც განიყოფება ორ ქვეანგარიშად: 1) 016-1 საწყობში და 2) 016-2 ექსპლოატაციაში.

პირველ ქვეანგარიშში აღრიცხავენ საწყობში მყოფ საგნებს. აღნიშნული საგნების საწყობიდან ექსპლოატაციაში გაცემისას ბუღალტრული გატარებით მათი ღირებულება პირველი ქვეანგარიშიდან გადაირიცხება მეორეში.

საწყობიდან გაცემისას მხოლოდ ზოგიერთი მცირეფასიანი საგნები (კალათები ქალაღებისათვის, იატაკის ჯაგარისები, აბრები და განცხადებანი სამუშაო ადგილების დასახელებითა და ა. შ.) უნდა ჩამოიწეროს ერთბაშად სათანადო ხარჯების ანგარიშებში.

მეორე ქვეანგარიშში (016-2) აღრიცხავენ ექსპლოატაციაში მყოფ საგნებს.

მცირეფასიან და სწრაფცვეთარ საგნებს ორივე ქვეანგარიშში აღრიცხავენ პირველდაწყებითი ღირებულებით, ე. ი. მათი შეძენის ანუ დამზადების ღირებულებით.

ექსპლოატაციის პროცესში მცირეფასიანი საგნები თანდათან ცვლებიან და ამასთან კარგავენ თავიანთ პირვანდელ ღირებულებას. ამ საგნების გაცვეთის თანხას ანგარიშობენ თანაბრად, ყოველთვიურად თვის დასაწყისიდან მათი პირვანდელი ღირებულებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

მცირეფასიანი საგნების გაცვეთას ჩამოწერენ საქსპლოატაციო ხარჯებში ან სხვა სათანადო ხარჯებში. ამასთან საგნების პირვანდელი ღირებულება მიმდინარე აღრიცხვაში არ მცირდება.

სამორიგო სპექტანსაცმელის გაცვეთის თანხას, რომელიც უნდა მიეკუთვნოს ხარჯებს, განსაზღვრავენ სპექტანსაცმელის პირველდაწყებითი ღირებულების გაყოფით ტარების ვადის თვეების რიცხვზე. მაგალითად, დროებითი სარგებლობისათვის, ტარების 2 წლის ვადით, გაცემული სპექტანსაცმელის 1 ივლისისათვის პირვანდელი ღირებულებაა 960 მან; ყოველთვიური გაცვეთის თანხა იქნება $960 : 24 = 40$ მან.

ავტორტანსპორტის კამერებისა და საბურავების გაცვეთის თანხას განსაზღვრავენ რეზინის პირვანდელი ღირებულების გამრავლებით მოცემული მანქანის მიერ ამ თვეში გავლილი კილომეტრების რაოდენობაზე და მიღებული თანხის გაყოფით გარბენის ნორმაზე კილომეტრებში (30 ათასი კილომეტრი რეზინისათვის „გიგანტი“ და 21 ათასი კილომეტრი სხვა მარკების რეზინისათვის).

სამეურნეო ინვენტარის წვრილი საგნების, აგრეთვე ინსტრუმენტების მიმართ, რომელთა სამსახურის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, გაცვეთის დარიცხვის ასეთი წესი არ გამოიყენება. ასეთი საგნები, როდესაც სრულიად უვარგისად იქცევიან, მაშინ მათ ღირებულებას ჩამოწერენ უშუალოდ საქსპლოატაციო ხარჯების ანგარიშში ან კუთვნილებისამებრ სხვა ანგარიშებში.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთის აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმაში არის პასიური ანგარიში 216 მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა.

გაცვეთის დარიცხვა აღრიცხვაში ასე ტარდება:

დებეტი ანგარიში 050 საქსპლოატაციო ხარჯები ან სხვა შესაბამისი ხარჯების ანგარიშები.

კრედიტი ანგარიში 216 მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა.

ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველს წარმოადგენს მცირეფასიანი საგნების გაცვეთის დარიცხვის ის უწყისი ან ცნობა სპექტან-

საცემლის, ავტომანქანებზე მყოფი აკუმულატორების, კაშკარების, ინვენტარისა და საბურავების გაცვეთისთვის დარიცხული თანხის შესახებ, რომელსაც ყოველთვიურად ადგენენ აღრიცხვის ბარათების საფუძველზე. ნარკვევს ან უწყისს ხელს აწერს მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

ექსპლოატაციის პროცესში უვარგისად ქცეული მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები, რომელზედაც დარიცხულია გაცვეთა, აქტის თანახმად ჩამოიწერება 216 ანგარიშის დებეტში მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა მათი პირვანდელი ღირებულებით და 016 ანგარიშის კრედიტში მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები.

ღირებულება ნარჩენებისა, რომელიც ეიილება მცირეფასიანი საგნების გაცვეთის შედეგად და რომელიც საწყობში ჩაბარდა შესაძლო რეალიზაციის ფასად, ჩაიწერება 022 ანგარიშის დებეტში მასალები და 050 ანგარიშის საექსპლოატაციო ხარჯები ან სხვა ანგარიშის კრედიტში.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების რემონტის ხარჯებს ჩამოწერენ უშუალოდ კუთვნილებისამებრ სათანადო ხარჯების ანგარიშებში.

მცირეფასიანი საგნების გაცვეთა შეაქვთ კავშირგაბმულობის თითოეული დარგის საექსპლოატაციო ხარჯების იმ მუხლებში, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ დანახარჯებს სამუშაოსათვის, რომლებიც ნოითხოვენ ამ საგნების გამოყენებას: მაგალითად, § 2, მუხ. 8 „სადგურის მოწყობილობის შენახვა და რემონტი“. სპექტანსაცემლის გაცვეთა მიეკუთვნება § 9, მუხ. 5; ოპერაციულ-სამეურნეო ხარჯები—§ 9, მუხ. 21 (იხ. „საექსპლოატაციო შემოსავლისა და ხარჯების ნომენკლატურა“).

იმ შემთხვევებში, როცა მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები ნაადრევად გაიცვეთა, გაფუქდა ან დაიკარგა მომუშავეის ბრალით, ამ საგნების ღირებულება დაეკავება დამნაშავეებს.

ფასეულობათა დატაცებისა და განზრახ გაფუქების შემთხვევებში დამნაშავეებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ.

216 ანგარიშის ნაშთი მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გვიჩვენებს გაცვეთის თანხას საგნებისას, რომლებიც სრული პირვანდელი ღირებულებით ირიცხებოდნენ 016 ანგარიშში მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები.

პერიოდული ანგარიშგების ბალანსის ცხრილში ნაშთი ანგარიშისა 216 მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა გამოირიცხება, ამასთან ამავე თანხის ოდენობით მცირდება ბალანსის აქტივში 016 ანგარიშის თანხა მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები.

იმავდროულად მცირეფასიანი საგნების გაცვეთის თანხას უჩვენებენ ბალანსგარეთ ცნობის სახით.

7. ანგარიშსწორებათა აღრიცხვა

სამეურნეო საქმიანობის განხორციელების დროს საწარმოებსა, დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და ცალკე პირებს შორის წარმოიშობა საანგარიშსწორებო ურთიერთობა.

კავშირგაბმულობის საწარმოებში საანგარიშსწორებო ურთიერთობა წარმოიშობა კლიენტებთან ავანსების ანგარიშში გაწეული სამსახურისათვის, მიმწოდებლებთან—მათგან მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის, საიჯარო ორგანიზაციებთან—მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის, საფინანსო ორგანოებთან—გადასახადებებისათვის, გაცმოსაღებებისათვის, სოციალური დაზღვევის ორგანოებთან—ხელფასის ანარიცხებისათვის, ავადმყოფობის დღეების ანაზღაურებისათვის, კავშირგაბმულობის მუშაკებთან—ხელფასისათვის, ფორმის ტანსაცმლისათვის, რომელიც მათ ეძლევათ განაწილვადებით ანგარიშს ქვეშ მიცემულ თანხაში, და ა. შ.

საანგარიშსწორებო ურთიერთობებს ყოველთვის ორმხრივი ხასიათი აქვთ.

იმ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც ვალდებული არიან გადაუხადონ განსაზღვრული თანხა მოცემულ საწარმოს, დებიტორები ეწოდება. მათი დავალიანება დებიტორულ დავალიანებას წარმოადგენს.

მაგალითად, მუშაკი, რომელმაც მიიღო ავანსი მივლინებისათვის, დებიტორია; ეს ანგარიშვალდებული პირი მოვალეა მიღებულ ავანსზე ანგარიშში ჩააბაროს საბუთებით.

იმ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთაც უფლება აქვთ მოითხოვონ მოცემული საწარმოსაგან მის მიერ თავის თავზე აღებული საანგარიშსწორებო ვალდებულებათა შესრულება, კრედიტორები ეწოდება.

მოცემული საწარმოს დავალიანება სხვებისადმი ყოველთვის კრედიტორულ დავალიანებას წარმოადგენს.

მაგალითად, კლიენტი, რომელმაც კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის კავშირგაბმულობის მოცემულ საწარმოში ავანსი შეიტანა, მისთვის კრედიტორს წარმოადგენს, მიმწოდებელი, რომლისაგან შემო-

ვიდა მასალები, მაგრამ ანგარიში ჯერ არ განაღდებულა, აგრეთვე კრედიტორს წარმოადგენს.

სამეურნეო ოპერაციების ხასიათის მიხედვით დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშწორებისათვის შემდეგ ანგარიშებს აწარმოებენ:

დებიტორებთან ანგარიშწორებისათვის

105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით

106-1, 2, 3 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაებთან

115 ანგარიშვალდებული პირები

117-2, 3 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი მყიდველებთან, შემკვეთლებთან და მოიჯარეებთან)

117-6 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი შეკვეთების ნაწილობრივი მზადყოფნის ანაზღაურებით)

117-9 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან)

130 დებიტორები მასალების დანაკლისებითა და დატაცებით

138 ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხებით.

კრედიტორებთან ანგარიშწორებისათვის

105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით

117-1 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი დემონეტრებთან)

117-4 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (კრედიტორები დაკარგული და დატაცებული კორესპონდენციის ანგარიშსწორებით)

117-5 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი სოცდაზღვევის ორგანიზაციებთან ანარიცხებით)

117-9 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ანგარიშსწორებანი დანარჩენ კრედიტორებთან)

120 მიმწოდებლები

122 მიმწოდებლები დაუთქტურებელი მიწოდებებით

129 მუშა-მოსამსახურეები ხელფასის მიხედვით

133 ფინორგანოები გადასახადების, გამოსაღებებისა და სხვა ანგარიშსწორებებით

137 სასოფლო-სამეურნეო ბანკის სესხები დანხმარე მეურნეობების მოსაწყობად

139 სესხები, მიღებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაფინანსებისათვის

დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა საბუღალტრო აღრიცხვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ამ ანგარიშსწორებათა მდგომარეობის დროული და ზუსტი გამოვლენა თითოეული დებიტორისა და კრედიტორის მიხედვით ცალ-ცალკე.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის კონტროლმა უნდა უზრუნველყოს დებიტორების მიერ თავიანთ ვალდებულებათა დროულად და მთლიანად შესრულება; გარდა ამისა, მან არ უნდა დაუშვას მიმდინარე დავალიანების გადასვლა უიმედოში, ვადების გაშვების გამო, იმ ვადებისა, რომლებიც დაწესებულია სასამართლოში ან არბიტრაჟში პრეტენზიების წარდგენისათვის და ა. შ.

დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა ბუღალტრული აღრიცხვის აგება ხასიათდება ყველა ანგარიშსწორებისათვის საერთო წესებით.

1. საკონტროლო უწყისების ან მთავარ ქურნალის საერთო (სინთეზურ) ანგარიშებში ჩანაწერების გარდა თითოეულ დებიტორთან ან კრედიტორთან ანგარიშსწორებათა აღრიცხვისათვის თითოეული მათგანისათვის იხსნება ცალკე პირადი ანგარიში — დეტალური (ანალიზური) აღრიცხვის ბარათი.

მაგალითად, საერთო ანგარიშს კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით, რომლის მიხედვითაც აწარმოებენ მეთვალყურეობას კლიენტებთან ანგარიშსწორებათა მდგომარეობაზე გაერთიანებული სახით, ყოველთვის უხსნიან პირად ანგარიშებს თითოეულ კლიენტთან ცალკე ანგარიშსწორებათა ჩასაწერად.

სწორედ ასევე, საერთო ანგარიშის — ანგარიშვალდებული პირნი აღრიცხვისათვის ხსნიან პირად ანგარიშებს თითოეულ ანგარიშვალდებულ პირებთან ცალკე ანგარიშსწორებათა აღსარიცხვად.

2. ჩანაწერების საფუძველს წარმოადგენს საბუთი, რომელიც ადასტურებს დავალიანების წარმოშობისა და გასტუმრების ფაქტს.

3. დებიტორული დავალიანების არსებობისა და ვადილების ჩაწერას ყოველთვის აწარმოებენ დებიტორებთან ანგარიშსწორებისათვის გახსნილი ანგარიშის დებეტში. დებიტორებიდან მათი დავალიანების დასაფარავად შემოსულ თანხებს წერენ ანგარიშის კრედიტში. დებიტორებთან ანგარიშსწორებათა ნაშთს აღნიშნავენ ანგარიშის დებეტში, ხოლო საანგარიშგებო საბალანსო ცხრილში — ბალანსის აქტივში.

4. კრედიტორებისადმი საწარმოების დავალიანებისა და მის ვადილების ჩანაწერებს ყოველთვის აკეთებენ იმ ანგარიშის კრედიტში, რომელიც

მელიც გახსნილია კრედიტორებთან ანგარიშსწორებისათვის. კრედიტორებისათვის გადახდილ თანხებს წერენ ანგარიშის დებეტში. აღრიცხვაში კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა ნაშთს აღნიშნავენ ანგარიშის კრედიტში, ხოლო საანგარიშგებო საბალანსო ცხრილში — ბალანსის პასივში.

5. თვის ბოლოს ანგარიშსწორებათა ოპერაციების ჩაწერის დამთავრების შემდეგ ადგენენ ბრუნვათა უწყისს ყველა პირად ანგარიშების მიხედვით და გამოიყვანენ ანგარიშის ნაშთს ახალი თვის დასაწყისისათვის, ცალკე დებეტისა და ცალკე კრედიტისთვის.

დებეტისა და კრედიტის ნაშთის შეკუმშვა, ე. ი. ამ თანხებს შორის მარტო განსხვავების ჩვენება, აკრძალულია. მაგალითად, ერთ კლიენტთან ანგარიშსწორებათა ჩაწერის შედეგად კრედიტის ნაშთი 1000 მან. (გამოუყენებელი ავანსის ნაშთი), ხოლო სხვებთან—დებეტის—280 მან., მაშინ აქტივში წერენ დებეტის ნაშთს 280 მან., ხოლო პასივში—კრედიტის ნაშთს. შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ ბალანსის მხოლოდ პასივში ჩაგვეწერა შეკუმშული ნაშთი 720 მანეთის თანხით (1000—280) და ამით დაგვეფარა დებიტორული დავალიანება.

6. ყველა საწარმოსათვის დადგენილია დებიტორული დავალიანების გადახდევინებისა და უიმედო ვალების ჩამოწერის საერთო წესი.

იმ შემთხვევაში, როცა დებიტორისაგან დროზე არ შემოვიდა გადასახდელი, ან მან უარი განაცხადა ვალის გადახდაზე, დებიტორს წერილობით წინადადება ეძლევა უმოკლეს ვადაში (დებიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით) დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება ვადებში, რომელიც აღნიშნულია გაფრთხილებაში; საქმეს იძულებით გადახდევინების შესახებ დაუყოვნებლივ გადაცემენ სათანადო ორგანოებს.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვების ან აღრიცხვის ცუდად დაყენების შედეგად უიმედო დავალიანების წარმოშობისას, ამ საქმეში უშუალო დამნაშავეებს აძლევენ პასუხისგებაში.

დებიტორებიდან დავალიანების გადახდევინებისათვის დაწესებულია ხანდაზმულობის შემდეგი ვადები:

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის:

საერთო პრეტენზიებზე—წელიწადნახევარი, მოთხოვნის უფლების წარმოშობის დღიდან;

პროდუქციის ხარისხის შესახებ პრეტენზიებზე—6 თვე, პროდუქციის უვარგისობის შესახებ აქტის შედგენის დღიდან;

ხელშეკრულებათა შეუსრულებლობის ან დარღვევის სანქციებზე (ჯარიმები, საურავები, პირგასამტეხლო და ა. შ.)—ნ თვე დღიდან მოთხოვნის უფლების წარმოშობისა;

სატრანსპორტო ორგანიზაციებისადმი პრეტენზიებზე ტვირთის დაკარგვისათვის, დაზიანებისა და მეტანაღებისათვის—ნ თვე პრეტენზიების წარმოშობის დღიდან, ხოლო შერეული საკინიგზო გადაზიდვებზე—1 წელიწადი.

კერძო პირებისათვის — 3 წელიწადი პრეტენზიების ყველა სახის მიხედვით.

სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე ნოტარიალური ორგანოების აღმასრულებელ წარწერათა შესრულებაში მოსაყვანად დაწესებულია შემდეგი ვადები:

სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის—ერთი წელიწადი, სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების მომენტიდან;

კერძო პირებისათვის—3 წელიწადი.

ვალები, რომელთა გადახდევინებაზე არბიტრაჟმა ან სასამართლომ უარი თქვა, აგრეთვე დებიტორული დავალიანების თანხები, რომელთა სასარჩლო ხანდაზმულობის ვადა გავიდა, ბალანსში არ შეიტანება. მათ ჩამოწერენ ზარალში საწარმოს უფროსის განკარგულებით და ერთდროულად ცნობას აწვდიან კავშირგაბმულობის სასამართლოს ჩამოწერის თითოეული შემთხვევის შესახებ.

სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით უიმედო დავალიანებას ზარალში ჩამოწერენ მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლო საქმემ გაიარა ყველა დაწესებული ინსტანციები ან საქმის მსვლელობით გამოირკვევა პირველ ინსტანციაში გადაწყვეტილი საქმეების გასაჩივრების სრული მიზანშეუწონლობა.

ვალები, რომელთა უიმედობა მტკიცდება სასამართლოს არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გარეშე, სათანადო საბუთების არსებობისა შეიძლება ჩამოიწეროს ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ამაზე თითოეულ ცალკე შემთხვევაში იქნება კავშირგაბმულობის სამმართველოს ნებართვა. ამ უიმედო ვალების ჩამოწერაზე ნებართვის მიცემის უფლება მიკუთვნებული აქვთ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსებს დავალიანების დარგში, რომელიც წარმოიშვა კავშირგაბმულობის ანგარიშვალდებულ საწარმოებში არა უმეტეს 3000 მანეთის თანხისა თითოეულ დებიტორზე; თვით სამმართველოს ოპერაციებზე, თანხის ოდე-

ნობის მიუხედავად, დავალიანება ბალანსიდან შეიძლება ჩამოწერილ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის ან მისი მოადგილეების ნებართვით.

დავალიანება, რომელიც უიმედოდ არ არის ცნობილი კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ, რჩება საწარმოს ბალანსზე და მისი გადახდევინებისათვის საჭირო ზომებს იღებულობენ.

დებიტორის ქონებრივი მდგომარეობის შეცვლისას ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის დროს დებიტორული დავალიანება გადახდევინებულ უნდა იქნას, თუმცა იგი წინათ ჩამოწერილი იყო ზარალში როგორც უიმედო. ასეთ ჩამოწერილ დავალიანებებზე მეთვალყურეობისათვის კავშირგაბმულობის საწარმოში აწარმოებენ განსაკუთრებულ სისტემის გარეშე დავთარს, რომელსაც ეწოდება „უიმედო ვალების აღრიცხვის დავთარი“.

თუ თანხა, რომელიც გადახდევინებული უნდა იქნეს სასამართლოს ან არბიტრაჟის წესით, იმდენად მცირეა, რომ არ შეუძლია აანაზღაუროს მისი გადახდის ხარჯები, მაშინ იგი მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ცნობის საფუძველზე კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის განკარგულებით შეიძლება ჩამოწერილ იქნას ზარალში. თუ ასეთი დავალიანება კავშირგაბმულობის მუშაკზე ირიცხება, მაშინ იგი შეიძლება ჩამოწერილ იქნას ნხოლოდ კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის განკარგულებით.

შინაარსი ანგარიშებისა, რომლებზედაც აღირიცხება ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან, მოგვყავს ქვემოთ.

ანგარიშსწორებანი კლიენტებთან კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის

კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურების სასყიდელს უხდიან ან ამ მომსახურების მომენტში ანდა (კავშირგაბმულობის საწარმოსთან მოლაპარაკებით) მომსახურების გაწევამდე, ე. ი. ავანსად. ავანსის შეტანა კლიენტს ანთავისუფლებს თითოეული მიცემული ტელეგრამის, ქაღალაქთაშორისო ტელეფონის დალაპარაკების ან კავშირგაბმულობის სხვა სამსახურის სასყიდლის ნაღდი ფულით გასტუმრებისაგან.

კავშირგაბმულობის მიერ სამსახურის გაწევა ნისიად აკრძალულია. გამონაკლისს წარმოადგენს საქალაქთაშორისო სატელეფონო დალაპარაკება, რომელიც წარმოებს ინდივიდუალური აბონენტების ბინიდან, და

ტელეგრამები, მიღებული ქალაქის სატელეფონო ქსელის აბონენტებისაგან მათი საბინაო ტელეფონით.

კავშირგაბმულობის საწარმოები თვალყურს ადევნებენ აენსის ნაშთს, აფრთხილებენ სამეურნეო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მისი შეევების საქიროებაზე, ხოლო აენსის მთლიანად გამოყენებისას სწყვეტენ ფასგადაუხდელად კავშირგაბმულობის მიერ მომსახურების გაწევას.

105 ანგარიშში კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით გამოხატავენ შემდეგ ანგარიშსწორებებს:

აბონენტებთან რადიოსატრანსლაციო კვანძების რადიოწერტებით სარგებლობისათვის;

აბონენტებთან ქალაქის სატელეფონო ქსელის ტელეფონის აპარატებით სარგებლობისათვის;

კავშირგაბმულობის კლიენტებთან საქალაქთაშორისო ტელეფონით დალაპარაკებისათვის და ტელეგრამების გადაცემისათვის, რომელსაც ისინი აწარმოებენ შეტანილი ავანსების ანგარიშზე.

დაწესებულებებთან ავანსების ანგარიშში გაწეული მომსახურებისათვის;

ჰიდრომეტერეოლოგიური სამსახურის ორგანოებთან მათი მიცემული მეტროტელეგრამებისათვის.

ანგარიშს კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით აკრედიტებენ კლიენტებისაგან მიღებული სააბონემენტო ქირისა და ავანსების თანხებით. ამ ანგარიშს ადებეტებენ სააბონემენტო ქირის თანხით, რომელიც ეკუთვნით მისაღებად აბონენტებისაგან საანგარიშო თვეში, და კავშირგაბმულობის სამსახურის სასყიდლის თანხით, რომელიც გაეწია კლიენტებს ავანსების ანგარიშში.

ანგარიშის ნაშთი უნდა იყოს კრედიტისა. თუ დაშვებული იყო კლიენტების დავლიანება, მაშინ გამოიყვანენ პირადი ანგარიშების მიხედვით ცალკე სადებეტო და ცალკე საკრედიტო ნაშთებს. ამ თანხების შეკუმშული ნაშთით ჩვენება აკრძალულია.

მოგვეყავს მაგალითი.

კავშირგაბმულობის კანტორაში თებერვლიდან მოკიდებული აბონენტებთან ადგილი ჰქონდა შემდეგ ანგარიშსწორებებს:

1 თებერვლისათვის აბონენტებზე ირიცხებოდა დებიტორული დავლიანება 12000 მან. ოდენობით. იმავე დროს აბონენტებისაგან შემოსული ავანსების თანხა შეადგინა 32000 მანეთი (კრედიტორული დავლიანება);

თებერვლის განმავლობაში სალაროში და ანგარიშში 16 0 სახბანკო შემოვიდა 50000 მანეთი.

ბულალტერიის მიერ შედგენილი ანგარიშის თანახმად, აბონენტებისაგან თებერვლისათვის მისაღები იყო 36000 მან. ანგარიშში კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით ეს ბრუნვა ასე იქნება ჩაწერილი:

ანგარიში კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით

დებეტი		კრედიტი	
ნაშთი I/II-თვის .	. 12000	ნაშთი I/II-თვის . .	31000
დაეწერა.	. 36000	შემოვიდა .	50000

შეკუმშული კრედიტის ნაშთი 1 მარტისათვის ამ ანგარიშით იქნება 31000 მან.

ანგარიშის კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით ნაშთს ბალანსში ყოველთვის გასლილად უჩვენებენ. ე. ი. დავალიანებას აბონენტებზე—აქტივში, ხოლო აბონენტებისადმი კანტორის დავალიანებას (აქსივებს)—პასივში.

დავეშვათ, რომ კლიენტებია დავალიანებებს საერთო თანხა 1 მარტისათვის შეადგენს 6000 მანეთს, ეს თანხა უნდა ავიღოთ ბრუნვათა უწყისიდან დეტალური ანგარიშების მიხედვით, რომლებიც გახსნილია თითოეულ აბონენტთან ანგარიშწორების აღრიცხვისათვის. მაშინ ანგარიშგების საბალანსო ცხრილში ჩვენ უნდა ვუჩვენოთ 1 მარტისათვის ანგარიშით. კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით აქტივში 6000 მან. და პასივში უკვე არა 34000 მან., არამედ 40000 მან. ბალანსის საერთო ანგარიშების ბრუნვათა უწყისში ამ შემთხვევაში ჩანაწერები ასეთი იქნება:

ანგარიშების დასახელება	ნაშთი 1 თებერვლისათვის		ბრუნვა თებერვალში		ნაშთი 1 მარტისათვის	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით	12 000	32 000	36 000	50 000	6 000	40 000

ანგარიშწორებანი დაკარგული და დატაცებული კორესპონდენციისათვის, მატერიალურ ფახეულობათა და ფულადი ხაზბრები მითაცებისა და გაფლანგვისათვის

კავშირგაბმულობის ცალკეულ კანტორებში კონტროლისა და დაცვის სისუსტის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს რეგისტრირებულ ფასიან საფოსტო გზავნილებათა (ამანათების, ფასიანი ან დაზღვეული

წერილებისა და ბანდეროლების) დატაცებას, დაკარგვას და არა დანიშნულებისამებრ გაცეზას; კავშირგაბმულობის ცალკეული მუშაკების დანაშაულით გამორიცხული არ არის ამანათებისა და სხვა საფოსტო გზავნილებათა დაზიანების შემთხვევები. ყველა ასეთ შემთხვევაში კავშირგაბმულობის საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან აუნაზღაურონ კლიენტებს მიყენებული ზარალი, ხოლო დამნაშავენი მისცენ პასუხისგებაში მათთვის სარჩელის წაყენებით იმ თანხის ოდენობით, რომელიც მიეცა კლიენტს, სასამართლოში საქმეების წარმოების ხარჯების ჩათვლით.

დადგენილია კომპენსაციების გადახდის, ამ ოპერაციების ანგარიშსწორებათა და აღრიცხვის შემდეგი წესი:

კომპენსაციას უხდიან კავშირგაბმულობის მოცემული კანტორის საექსპლოატაციო სახსრებიდან გამოცხადებული ფასეულობის თანხის რაოდენობით ან დაწესებული ტარიფის მიხედვით. გადახდა შეიძლება წარმოებულ იქნას დაკარგულ კორესპონდენციის როგორც მიღების ადგილზე, ისე მისი მიტანის ადგილზედაც დაწესებულ ფორმის აქტის საფუძველზე.

გადახდილ თანხას აწერენ დამნაშავე მუშაკს და მას ახდევინებენ დადგენილი წესით.

კავშირგაბმულობის სამმართველოდან კანტორაში ფულს დახარჯული თანხების შესავსებად თითოეული ცალკე შემთხვევის გამო არ გზავნიან. მეორე საწარმოში მოტაცებული კორესპონდენციისათვის კომპენსაციის თავისი დაქვემდებარებული ან კავშირგაბმულობის სხვა სამმართველოსათვის გადახდისას, გადახდილ თანხას აკუთვნებენ კავშირგაბმულობის თავის სამმართველოს ანგარიშით 143 ანგარიშსწორებანი დაფინანსებითა და საბრუნავ საშუალებებით.

კავშირგაბმულობის სამმართველო ამ ანგარიშსწორებებს აკუთვნებს 144 ანგარიშით ანგარიშსწორებანი დაკარგული, მოტაცებული კორესპონდენციისათვის კავშირგაბმულობის სათანადო სამმართველოს, რომლის საწარმოც პასუხისმგებელია კორესპონდენციის დაკარგვისათვის. უკანასკნელი ვალდებულია ეს თანხა გადაახდევინოს დამნაშავე მუშაკს.

იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია დამნაშავეისათვის დაკარგული ან მოტაცებული კორესპონდენციის დავალიანების გადახდევინება (მომუშავის სიკვდილი და სათანადო ქონების უქონლობა) კავშირგაბმულობის კანტორა ზარალის თანხას ჩამოწერს 143 ანგარიშში ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფი-

ნანსებით კავშირგაბმულობის თავის სამმართველოზე, ხოლო უკანასკნელი კავშირგაბმულობის მინისტრის ნებართვით ამ თანხით სადაზღვევო ფონდს შეამკირებენ (აღებულებენ ანგარიშს 206-1 სადაზღვევო ფონდი და აკრედიტებენ ანგარიშს 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით).

კავშირგაბმულობის კანტორაში ამ ოპერაციის მიხედვით აღებულებენ ანგარიშს 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით და აკრედიტებენ ანგარიშს 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან.

როგორც ვხედავთ, ანგარიში 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან დაკარგული და მოტაცებული კორესპონდენციებისათვის—აქტურია. ამ ანგარიშის ღებუტში წერენ ფასიანი საფოსტო კორესპონდენციის დატაცებასა და დაკარგვაში დამნაშავეთა დავალიანებას. ამ ანგარიშს აკრედიტებენ ხსენებული დავალიანების დაფარვის თანხებით, ანდა კავშირგაბმულობის თავის სამმართველოზე ჩაწერილი თანხით.

თითოეულ დამნაშავე მუშაკთან ანგარიშსწორებათა აღრიცხვისათვის ხსნიან კონტოკორენტული ფორმის ცალკე ბარათს.

თუ დატაცება გამოვლენილ იქნა თვით საწარმოში კლიენტის განცხადებამდე, მაშინ კომპენსაციას, რომელიც კლიენტს ეკუთვნის, ჩაწერენ ანგარიშის კრედიტში 117-4 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები.

კლიენტისათვის კომპენსაციის მიცემის შეუძლებლობის დროს თანხა შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში სადეპოზიტო თანხების შენახვის ვადის გასვლის შემდეგ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციებს, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ახდევინებენ დამნაშავეებს მათი დავალიანების დასაფარავად, აღრიცხავენ ანგარიშზე 160 შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი. მიღების შემდეგ ამ ობლიგაციებს აბარებენ შემნახველ სალაროს სახელმწიფო საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ჩასარიცხად¹.

¹ სახელმწიფო სესხების ობლიგაციების, რომლებიც აღმოჩენილ იქნა დაუარიგებელ გაუცემელ გზავნილებებში, აღრიცხავენ ბალანსგარეშე ანგარიშში „სახელმწიფო სესხების ობლიგაციები“ შენახვის ვადის გასვლამდე (ერთი წელიწადი გზავნილების ფოსტაში ჩაბარების დღიდან), ამის შემდეგ მათ გადასცემენ შემნახველ სალაროს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ჩასარიცხად.

ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა დატაცების ან დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავენი აგრეთვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უნდა იქნან მიცემული ერთდროულად სამოქალაქო სარჩელის წარდგენით მოტაცებულ და დანაკლის ფასეულობათა ღირებულების ანაზღაურებაზე სახელმწიფო საცალო ფასებით, ხოლო იმ ფასეულობათა მიმართ, რომლებზედაც საცალო ფასები არ არის დაწესებული, — თვითღირებულების მიხედვით.

ვალის გადახდევინების უზრუნველსაყოფად დამნაშავეთა ქონებას ადებენ ყადაღას (მინისტრთა საბჭოს 1948 წ. 10 თებერვლის № 248 დადგენილება). ეს ანგარიშსწორებანი აღირიცხება აქტიურ ანგარიშზე 130 დებიტორები მასალების დანაკლისებითა და დატაცებით.

ფულადი სახსრების დანაკლისის ან დატაცების შემთხვევაში დამნაშავეებთან ანგარიშსწორებას აღირიცხავენ აქტიურ ანგარიშზე 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან დატაცებისა, გაფლანგვების და დარიცხვებისათვის.

ანგარიშსწორებას თითოეულ დამნაშავე პირთან აწარმოებენ ცალკე ბარათებზე.

ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან გაცემული ფორმის ტანსაცმელისათვის

კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის დაწესებულია ფორმის ტანსაცმელი. ტანსაცმელის გაცემისას აღირიცხვას საწარმო აწარმოებს არმატურის ბარათებში ხელფასის გაცემის ადგილას. მუშაკის გადაყვანისას კავშირგაბმულობის მეორე საწარმოში მას ეძლევა საწარმოს ხელმძღვანელების მიერ შემოწმებული არმატურის ბარათის დუბლიკატი. მუშაკის მუშაობის ახალ ადგილზე ჩარიცხვისას არმატურის ბარათის დუბლიკატს ჩამოართმევენ და ხსნიან ახალ არმატურის ბარათს, რომელშიც დუბლიკატიდან გადაიტანენ ყველა ჩანაწერს.

ფორმის ტანსაცმელი ეძლევა ფასით განაწილვადებით ტარების იმ ვადით, რომელიც დაწესებულია ამა თუ იმ სახის ტანსაცმელისათვის, ამასთან ფოსტალიონებსა და ტელეგრაფების დამტარებლებს ეძლევათ ფასდაკლება 30% ოდენობით. ფოსტალიონებისა და ტელეგრაფების დამტარებლების ფორმის ტანსაცმელის ღირებულების 30% თანხა ეწერება ზემდგომ დაწესებულებას, ამასთან აღდებებენ ანგარიშს 050 სა-

ექსპლოატაციო ხარჯები, § 9, მუხ. 33 და აკრედიტებენ ანგარიშს 070 მზა პროდუქცია და საქონელი საწყობში.

კავშირგაბმულობის საწარმოები ფორმის ტანსაცმელს ღებულობენ თავიანთ სამმართველოდან დაფინანსების ანგარიშსწორებათა წესით და მათი ანაზღაურება სახბანკოს მეშვეობით არ წარმოებს. ამასთან აღებუ-ტებენ ანგარიშს 070 მზა პროდუქცია და საქონელი საწყობში და აკრე-დიტებენ ანგარიშს 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯების და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით.

ფორმის ტანსაცმელის გაწილვადებით გაცემისას აღებუტებენ ანგა-რიშს 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან ფორმის ტანსაცმელისათვის და აკრედიტებენ ანგარიშს 070 მზა პროდუქცია და საქონელი საწყობში.

ხელფასიდან ფორმის ტანსაცმელს დავალიანების დაკავებისას აღებუტებენ ანგარიშს 129 მუშა-მოსამსახურენი ხელფასით და აკრედი-ტებენ ანგარიშს 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაკებთან ფორმის ტანსაცმელისათვის.

ფორმის ტანსაცმელისათვის ანგარიშსწორებათა ანალიზურ აღრი-ცხვას აწარმოებენ ბარათებზე, რომლებიც იხსნება ფორმის ტანსაცმე-ლის მიმღებ თითოეულ პირზე.

კავშირგაბმულობის სამმართველოში მიმწოდებლიდან ფორმის ტან-საცმელზე მიღებული ფასდაკლება კრედიტდება ანგარიშით 050, § 10, ე. ი. მცირდება საწყობის ხარჯები.

ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან

ანგარიშსწორებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის, რომელიც შემოვიდა მიმწოდებლებისაგან, თანახმად მათგან მიღებული და აქცეპტებული ანგარიშ-ფაქტურებისა, აღრიცხავენ ანგარიშ-ში 120-1 მიმწოდებლები აქცეპტებული გადახდის მოთხოვნებით.

მიმწოდებლების ანგარიშების განაღებისათვის ზღვრულ ვადად დაწესებულია სხვაქალაქთაშორისო ანგარიშსწორებათა მიხედვით 10 დღე ბანკის მიერ ანგარიშის (გადახდის მოთხოვნის) მიღების შემდეგ, მიმწო-დებლის ადგილსამყოფლით სამი დღის ვადის ჩათვლით ანგარიში აქცეპ-ტისათვის და 4 დღე—იმავე ქალაქში ანგარიშსწორებისათვის.

ანგარიშის აქცეპტი ნიშნავს ბანკისათვის მის გადახდაზე თანხპობის მიცემას. მიმწოდებლის მიერ სახბანკის მეშვეობით ინკასოზე

ჩაბარებული გადახდის მოთხოვნილებათა აქცეპტის წესი გადამხდელის მიერ ასეთია:

ცნობები გადახდის მოთხოვნათა აქცეპტის შესახებ ბანკს არ უდგინება;

მყიდველი ბანკს განცხადებას უკეთებს იმ შემთხვევაში, თუ უარს ამბობს გადახდის მოთხოვნის აქცეპტზე მთლიანად, ანუ თუ მის აქცეპტს ახდენს ნაწილობრივად; თუ მყიდველი დაწესებულ ვადაში არ განუცხადებს ბანკს უარს ან ნაწილობრივ აქცეპტის შესახებ, გადახდის მოთხოვნა აქცეპტებულად ითვლება;

განცხადება გადახდის მოთხოვნის აქცეპტიდან სრულ უარზე ან ნაწილობრივ აქცეპტზე მყიდველის მიერ შეიძლება გაკეთებულ იქნას სამი სამუშაო დღის განმავლობაში დღიდან გადახდის მოთხოვნის მიღებისა ფილიალის მიერ, მიღების დღის ჩათვლელად;

სამი დღის გასვლის შემდეგ და ამ დღეების განმავლობაში აქცეპტიდან სრული ან ნაწილობრივი უარის თქმის მიუღებლობისას, გადახდის მოთხოვნა აქცეპტებულად ითვლება და ბანკის მიერ განაღდებული იქნება 10 დღის შემდეგ, ბანკში გადახდის მოთხოვნის მიღების დღის ჩათვლელად.

მყიდველს უფლება აქვს გადახდის მოთხოვნის აქცეპტზე უარი თქვას სრული თანხით შემდეგ შემთხვევებში:

როცა გადახდის მოთხოვნა წარდგენილია შეუკვეთელ საქონელზე; ყველა შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით მიმწოდებელსა და მყიდველს შორის.

გადახდის მოთხოვნის ნაწილობრივი აქცეპტი დაიშვება, თუ:

გადახდის მოთხოვნაში დაშვებულია არითმეტიკული შეცდომა;

გადახდის მოთხოვნაში გადამეტებულია ფასები, წანამატები ან დარიცხვები, გათვალისწინებული ხელშეკრულებებით და პრეისკურანტებით ან დაწესებული სხვა კანონიერი წესით;

მიმწოდებელმა საქონელი გაგზავნა იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება გეგმით ან ხელშეკრულებით მოცემული კვარტალისათვის ან თვისათვის გათვალისწინებულს (თუ თვიური რაოდენობა გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში).

მიმწოდებელმა ერთ პარტიაში შეკვეთილ საქონელთან ერთად გაგზავნა ისეთი ასორტიმენტის საქონელი, რომელიც მყიდველს არ შეუკვეთია.

მყიდველს არ შეუძლია უარი თქვას მთლიანად ან ნაწილობრივად აქცეპტისაგან ბანკის მიერ გადახდის მოთხოვნის მიღებიდან სამი დღის ვადის გასვლის შემდეგ.

გადამხდელი ვალდებულია თვითონ ადევნოს თვალყურს გადახდის მოთხოვნათა შემოსვლას ბანკში.

ბანკის მიერ გადახდის მოთხოვნათა განაღდება წარმოებს გადახდებულების მიერ ბრძანება-რეესტრების აქცეპტებულ გადახდის მოთხოვნებთან ერთად წარდგენის გარეშე; ბანკი ანგარიშსწორების ანგარიშიდან გადახდის მოთხოვნათა განაღდებას აწარმოებს ერთი საერთო თანხით ყველა გადახდის მოთხოვნათა მიხედვით, რონლებიც განაღდებას იქნა მოცემულ დღეს.

წარმოებული ჩამოწერის გასაშიფრავად მიზნობრივ საანგარიშსწორებო ანგარიშების ამონაწერებს ბანკი ვალდებულია დაურთოს განაღდებას მოთხოვნათა დაწერილებითი აღწერა.

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების უქონლობის გამო დაწესებულ ვადაში არ იქნა განაღდებას გადახდის მოთხოვნა, ბანკი იმავე დღეს ანრს შესახებ ცნობას უგზავნის ფილიალს, რომელიც ნომსახურებას უწყევს მიმწოდებელს.

გადახდის მოთხოვნას ბანკის წარწერით აღმასრულებელი საბუთის ძალა აქვს. ეს დავალიანება მიმწოდებლისადმი უნდა გადაირიცხოს ანგარიშის 120-2 კრედიტში მიმწოდებლები ვადაგადაცილებული გადახდის მოთხოვნით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. დადგენილების შესაბამისად საქონელი წყიდველის განკარგულებაში გადადის გადახდის მოთხოვნის აქცეპტის მომენტიდან.

როცა მყიდველი უარს ამბობს აქცეპტზე, მაშინ იგი ვალდებულია საქონელი მიიღოს საპასუხისმგებლო შესანახად. ნაწილობრივი აქცეპტის დროს საქონელი რჩება მყიდველის საპასუხისმგებლო შესანახად იმ ნაწილში, რომლის აქცეპტზე უარი თქვა მყიდველმა. ამ შემთხვევაში საქონელი იმყოფება მყიდველის საპასუხისმგებლო შესანახად მის განაღდებამდე ან მიმწოდებლის განკარგულების მიღებამდე საქონლის შენდგომი მიმართულების შესახებ.

თუ ანგარიშის ნაწილობრივი აქცეპტი გამოწვეულია ფასების აწევით ან გადახდის მოთხოვნაში არითმეტიკული შეცდომით, საქონელი მყიდველის განკარგულებაში გადადის მთლიანად.

დავალიანებას საწყობში ანგარიშის გარეშე შემოსული მასალები-სათვის აღრიცხავენ ანგარიშზე 122 მიწოდებლები დაუფაქტურებელი მიწოდებებით.

ამ შემთხვევაში შემოსულ ფასეულობათა ღირებულებას აქტის საფუძველზე წერენ შესაბამ ნატერიალური ანგარიშის დებეტში ხელშეკრულების ფასით. მიმწოდებლისაგან ანგარიშის მიღების შემდეგ წინათ შეაოსავალში გატარებულ ფასეულობებს სათანადო კორექტურას უკეთებენ. ამისთვის აღგენენ ცალკე ცნობას, რომელშიც უჩვენებენ მასალების შემოსვლის თარიღს, მათი შემოსავალში გატარების აქტის თარიღსა და ნომერს, ღირებულებას ხელშეკრულების ფასით და თანხას მიწოდებლის ანგარიშის მიხედვით.

თუ შემოსული მასალები გახარჯულია, მაშინ განსხვავებას მიაკუთვნებენ უშუალოდ შესაბამ ანგარიშებს. იმ შემთხვევაში, როცა მასალები კიდე საწყობში იმყოფება, სათანადოდ ცვლიან და შეფასებას.

ანგარიშს 120 „მიმწოდებლები“ აკრედიტებენ იმ თანხებით, რომელიც გადასახდელია და აღებეტებენ გადახდილი თანხით. ნაშთი ანგარიშებისა 120 მიმწოდებლები, 122 მიწოდებლები დაუფაქტურებელი მიწოდებებით შეიძლება იყოს მხოლოდ კრედიტისა.

ბალანსის ცხრილში ეს ნაშთი თავსდება პასივში.

ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი ხესხებით

მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ან საცხოვრებელი სახლების შესაძენად მუშაკებს ეძლევათ გრძელვადიანი სესხი. ამ მიზნისათვის სახსრებს დადგენილი წესით დამტკიცებული გეგმის მიხედვით იძლევა ცენტრალური კომუნალური ბანკი ან სასოფლო-სამეურნეო ბანკი. გრძელვადიან სესხებს მშენებელ მუშაკთათვის მიცემანდე ჩარიცხავენ ანგარიშსწორების ანგარიშზე № 2 და აღრიცხავენ პასიურ ანგარიშზე 139 სესხები მიღებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დასაფინანსებლად. სესხის მიღებ კავშირგაბმულობის მუშაკთან სდებენ ხელშეკრულებას. მშენებელს უფლება არა აქვს სესხის მთლიანად გასტუმრებამდე გაყიდოს ან ვინმეს გადასცეს საცხოვრებელი სახლი.

ანგარიშსწორებას კავშირგაბმულობის მუშაკებთან მიცემული სესხების მიხედვით აღრიცხავენ აქტიურ ანგარიშში 138 ანგარიშსწორე-

ბანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხებით. ამ ანგარიშის დებეტში წერენ გაცემული სესხის თანხას. ამ ანგარიშს აკრედიტებენ სახლის მშენებელთან ხელწეკრულებაში აღნიშნული ვადების შესაბამისად სესხის დასაფარავად შემოსული თანხებით. ამავე ანგარიშზე აღრიცხავენ იმ სესხებსაც, რომლებიც სათანადო ნებართვისას გაიყემა მეურნეობის მოსაწყობად.

კავშირგაბმულობის საწარმო ვალდებულია დაწესებულ ვადებში დაფაროს ცენტრალური კომუნალური ბანკისადმი დავალიანება მიღებული სესხის მიხედვით დამოუკიდებლად მშენებლებთან ანგარიშსწორებათა მდგომარეობისა. სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიშიდან № 2 ცენტრალურ კომუნალურ ბანკში სესხების დასაფარავად ფულის გადარიცხვის დროს აღებულებან ანგარიშს 139 სესხები მიღებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დასაუქიანებლად.

იმ შემთხვევაში თუ მშენებელმა მიღებული სესხი დახარჯა არააღნიშნულებისანებრ, ცენტრალურ კომუნალურ ბანკს უფლება აქვს ვადამდე გადაახდევინოს მიცემული სესხი.

ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან

ანგარიშში დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები აღრიცხავენ: ანგარიშსწორებებს დათხოვნილ მუშებთან და მოსამსახურებებთან მათზე დარჩენილი დაუფარავი დავალიანების მიხედვით; მიწოდებლებთან და რკინიგზებთან მათთვის წარდგენილი პრეტენზიების მიხედვით; მუშებთან და მოსამსახურებებთან ბანის ქირის, ხელფასიდან დაკავებების, გაუცემელ ხელფასის მიხედვით გააყევე ორგანიზაციებთან იმ თანხების მიხედვით რომელიც მათგან მიღებულია სამუშაოთა შესრულებისათვის; რადიო ინფორმაციის კომიტეტთან რადიო-მიმღებისა და რადიო მოსმენის სააბონემენტო ქირის გადახდაზე და ა. შ. ეს ანგარიში აქტიურ-პასიურია. თითოეული პირისა, დაწესებულების ან ორგანიზაციისათვის ხსნიან ცალკე დეტალურ ანგარიშს.

თანხებს, რომლებიც ერგებათ მისაღებად, წერენ სათანადო ანგარიშის დებეტში, ხოლო თანხებს, რომლებიც გადახდილი უნდა იქნას, — კრედიტში.

დეტალური ანგარიშების ბრუნვათა უწყისის საფუძველზე არკვევენ მოცემული ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ნაშთების საერთო თანხას, რომლებსაც წერენ შესაბამისად ბალანსის აქტივსა და პასივში.

ხელშეკრულების მიხედვით სხვა უწყებათა სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზებისა და სადენების მომსახურებისათვის მიღებულ საშუალებათა ბუღალტრული აღრიცხვის წესი შემდეგია:

სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზებისა და სადენების (კაბელების მომსახურებისათვის ხელშეკრულების მიხედვით მიღებული საშუალებანი, გადაღის ტექნიკური კვანძებისა და კავშირგაბმულობის იმ სწარმოების განკარგულებაში, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ ამ მომსახურებას, და, მაშასადამე, მომსახურების ყველა ხარჯებსაც ეწევიან ამ მიზნებისათვის შემოსული საშუალებანი ინახება სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე № 2 დანარჩენი ოპერაციებით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ანგარიშსწორებანი აღირიცხება ანგარიშზე 117 დანარჩენი კრედიტორები;

როგორც კავშირგაბმულობის სამინისტროს, ისე საკუთარ საყრდენებზე ჩასაკიდებელ სხვა უწყებით სატელეგრაფო-სატელეფონო სადენების შენახვისა და შეკეთების ხარჯებს აღრიცხავენ ანგარიშზე 050 საექსპლოატაციო ხარჯები;

ყოველი კვარტალის ბოლოს ხარჯების თანხას, რომელიც მოდის აღნიშნული სადენების შენახვასა და რემონტზე, 050 ანგარიშიდან ჩამოსწერენ ანგარიშზე 264 სამუშაოთა და მომსახურებათა რეალიზაცია.

ანგარიშს 264 სამუშაოთა და მომსახურებათა რეალიზაცია შემდეგნაირად მიეკუთვნება ხარჯები:

სხვა უწყებათა ხაზის ნაგებობათა მიხედვით—გაწეული ხარჯების მთელი თანხა;

კავშირგაბმულობის სამინისტროს საყრდენებზე ჩამოკიდებული სადენების მიხედვით—ხაზის მოცემულ მაგისტრალზე ან ზბანზე სხვა უწყებების სადენებისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს სადენების სიგრძის კუთრი წონის პროპორციულად.

მაგალითად:

მოკვებულ მაგისტრალის, რომელზედაც ჩამოკიდებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს და სხვა უწყებების სადენები, კვარტალის განმავლობაში ანგარიშში 050 § 4 მიხედვით აღრიცხული ხაზის ნაგებობათა შენახვისა და რემონტის საერთო თანხა შეადგენს 200 000 მან.

სადენების მთელი სიგრძე	4000 კმ	_____	100%
მათგან კავშირგაბმულობის სამინისტროს	3600	_____	90%
სხვა უწყებების	400	_____	10%

აქედან გამოდინარე, ანგარიშიდან 050 ანგარიშ 264 უნდა ჩამოიწეროს 20 000 მან. (200 000 მანეთის 10%), ამასთან თითოეული მუხლის მიხედვით 10% შეძციობული უნდა იქნეს § 4 ხარჯები „ქალაქთაშორისო (მაგისტრალური და შინასაოლქო) სახანო-საკაბელო ნაგებობანი“, ასე, მაგალითად:

	საერთო ხარჯის თანხა ანგარიშის 050 (§ 4) მიხედვით	აქედან ანგარიშში 264 უნდა ჩამოიწეროს
მუხ. 10 ა „მიმდინარე შენახვა“	30,0	3,0
მუხ. 10 ა „ბოძების გამოცემა მიმდინარე შენახვის დროს“	4,0	0,4
მუხ. 10 ბ „ხანის ნაგებობათა საშუალო რემონტი“	70,0	7,0
მუხ. 10 გ ბოძების გამოცემა საშუალო რემონტის დროს“	96,0	9,6
სულ	200,0	20,0

ხარჯები 10 გ მუხ. მიხედვით წილადობრივი მონაწილეობა გზათა სამინისტროს ხაზების შეკეთებაში, რომელსაც დამოკიდებულება არა აქვს მოცემულ მაგისტრალთან, აგრეთვე მუხ. 19 მიხედვით, „მტკიცე დანამატები“, რომელიც იცემა კავშირგაბმულობის სამინისტროს სადენების მომსახურებისათვის, არ ნაწილდება და არც მცირდება.

იმ თანხებით, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად მისაღებია სხვა უწყებებიდან სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზებისა და სადენების მომსახურებისათვის, აღებულნი არიან ანგარიშს 117 დანარჩენი კრედიტორები და აკოდიტებენ ანგარიშს 264 საშუალებებისა და მომსახურებათა რეალიზაცია.

ამ ოპერაციების მიხედვით ანგარიშის 264 ნაშთი, ე. ი. განსხვავება ხელშეკრულებით მისაღებ და ხეზადანიშნული წესით ანგარიში 050 ჩამოწერილი ფაქტიური ხარჯების თანხებს შორის ყოველი კვარტალის დამთავრების შემდეგ გადააქვთ ანგარიშზე 280 ხარალი და მოგება.

ასე, თუ მოყვანილ მაგალითში ხელშეკრულებით სხვა უწყებებიდან მისაღები იყო 22 000 მან., მაშინ ანგარიშმა 280 ხარალი და მოგება მოგებას მიეკუთვნება 4 000 მან. (22 000—20 000).

სხვა უწყებებიდან სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზებისა და სადენების (კაბელების) მომსახურებისათვის მიღებული საშუალებანი იხარჯება მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით, სახელდობრ, იმ მისაღების შესაძენად, სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად და სეზონური მუშა ხელის დასაქირაველად, რომლებიც იხარჯება სხვა უწყებებიდან საექსპლოატაციოდ მიღებული ხაზების შესანახად და რემონტისათვის, რამდენადაც ეს ხარჯები გათვალისწინებული არ არის კავშირგაბმულობის სამინისტროს საფინანსო გეგმაში.

ამ საშუალებათა გახარჯვა აკრძალულია მეთვალყურეების შესანახად ან შეტანის გასადიდებლად, საცხოვრებელი შენობებისა და საწარმოო სადგომების კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე როგორც:

უნდა იყოს კაპიტალდაბანდებებისათვის, აგრეთვე მივლინებებისა და სხვა აღწინისტრაციულ სამმართველო ხარჯებისათვის.

ამ საშუალებათა გამოყენება არაცენტრალიზებულ (ლიმიტგარეშე) კაპიტალურ დაბანდებაზე, მათშორის საზომი აპარატებისა და სხვა ძოწულობათა შექმნაზე, დაიშვება იმ პირობებით, თუ ასეთი ხარჯები გათვალისწინებულია ხელნეკრულებაში და თუ ამ მიზნით საშუალებანი გამოყოფილია შეკვეთის ლიპიტის ანგარიშზე.

ბალანსთაშორისო და შინაანგარიშსწორებანი

საწარმოო საქმიანობის პროცესში წარმოიშობიან სამეურნეო ოპერაციები, რომლებიც გამოხატული უნდა იქნას კავშირგაბმულობის ერთ და იმავე საწარმოს ორ ბალანსში—ძირითადი საქმიანობის ბალანსში და ფულბარათების ოპერაციების ბალანსში. მაგალითად, კავშირგაბმულობის სააგენტოებისა და განყოფილებების მიერ საშემოსავლო სახსრების ფულბარათების თანხაში ჩარიცხვა იწვევს ანგარიშსწორებას ძირითადი საქმიანობის ბალანსსა და ფულბარათების ოპერაციების ბალანს შორის. ანგარიშსწორებას ადგილი აქვს ძირითადი საქმიანობისა და კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსებს შორისაც. მაგალითად, ტრანსპორტის სამსახურისათვის, რომელიც მიწოდებულ იქნა მშენებლობისათვის და ა. შ. ამ ანგარიშსწორებათა ლიკვიდაცია ხდება ფულადი ანგარიშსწორების საშუალებით.

ანგარიშსწორებებს, რომლებიც წარმოიშობა ერთ და იმავე საწარმოს შიგნით და აისახება სხვადასხვა ბალანსში ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ეწოდება.

ძირითადი საქმიანობის ბალანსზე ეს ანგარიშსწორებანი აღირიცხება ანგარიშებში:

- 140-2 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან;
- 140-3 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსთან;
- 140-4 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან ჩაბარებული გამონაღების მიხედვით.

პირველ ანგარიშს აკრედიტებენ ფულბარათების სახსრებიდან ნასესხი თანხით (აღებეტებენ ანგარიშს 088 სალარო) ან მითვისებულ და გზაში დაკარგულ გზავნილებათა სახსრების თანხით (აღებეტებენ ან-

გარიშს 106 ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაებთან დატაკებისა, დანაკლისისა და დარიცხვებისათვის). მხედველობაში უნდა გეკონდეს, რომ ექსპლოატაციისათვის ფულის ბარათების თანხების გასეხება აკრძალულია.

აგრეთვე აკრძალულია შემოსავლიდან ამონაღების ხარჯვაც ფულბარათების განაღებისათვის.

სალაროდან ან სახბანკის მეშვეობით ფულბარათების ოპერაციების ბალანსისადმი დავალიანებათა დასაფარავად სათანადო თანხის გადადარიცხვისას ანგარიშს 140-2 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან აღებუტებენ.

მეორე ანგარიშს აღებუტებენ სახელოსნოების ან ტრანსპორტის მიერ ნშენებლობისათვის გაწეული სამსახურის თვითღირებულების თანხებით (057 ანგარიშის კრედიტით დამხმარე წარწოებანი და მეურნეობანი) და აკრედიტებენ სამრეწველო ბანკიდან ანგარიშებით მიღებული თანხით (092 ანგარიშის დებუტით ანგარიშსწორების ანგარიში № 1 სახბანკში).

მესამე ანგარიშს აღებუტებენ კავშირგაბმულობის საავენტოებისა და განყოფილებების ამონაგები თანხით, რომელიც ჩარიცხულია ფულბარათების სახსრებში (აკრედიტებენ ანგარიშს 270 საექსპლოატაციო შემოსავალი ან 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით). აკრედიტებენ ამ ანგარიშის თანხით, რომელიც ანგარიშსწორების ანგარიში № 3-დან გადადარიცხულ იქნა ანგარიშსწორების ანგარიშზე № 0 სახბანკში იმ შემოსავალთა თანხის დასაბრუნებლად, რომელიც წინათ ფულბარათების სახსრებში იყო ჩარიცხული.

ბალანსშორისო ანგარიშსწორების ამსახველი ანგარიშების ნაშთები, რომლებიც აღირიცხება შესაბანიისად ძირითადი საქმიანობისა და ფულბარათების ოპერაციების ბალანსებზე, ან ძირითადი საქმიანობისა და კაპიტალდაბანდებათა ბალანსებზე, ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. თუ ამ ანგარიშების მიხედვით ბალანსებში ტოლობა არ არის, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ ჩანაწერებში დაშვებულია შეცდომა, რომელიც შემოწმების გზით უნდა გაძოვლინდეს და გასწორდეს.

როგორც გამონაკლისი ანგარიშსწორებანი, წარმოშობილი ძირითადი საქმიანობის ბალანსისა და ბეკდვითი სიტუვის გავრცელების ბალანსს შორის, აღირიცხება ანგარიშზე 117 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები.

სხვადასხვა საწარმოებს შორის წარმოშობილ ანგარიშსწორებებს, რომელთა ბალანსები ერთ ნაერთ

(მაგალითად, ძირითადი საქმიანობის) ბალანსში შედის, შინაანგარიშსწორებანი ეწოდება.

ასეთ ანგარიშსწორებებს ეკუთვნის:

1) ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის საწარმოებსა და სამმართველოს შორის გადანაცვლებული მუშაკების დავალიანებაზე ფორმის ტანსაცმელისათვის, აგრეთვე ავანსებისა და დავალიანების სხვა სახეების მიხედვით, რომლებიც დაუფარავი დარჩა გადანაცვლების ნომენტისათვის (სანამ მეორე სამმართველოდან დასტური მოვიდოდეს ამ თანხის აღრიცხვაზე მიღების შესახებ. დასტურის მიღების შემდეგ თანხა გადაიტანება ანგარიშზე ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით);

2) ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის საწარმოებსა და სამმართველოს შორის საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით;

3) ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო შემოსავლით;

4) ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის სამმართველოებს შორის თანხებზე, რომელსაც კავშირგაბმულობის საწარმოები კლიენტებს უხდიან კავშირგაბმულობის მეორე სამმართველოს საწარმოებში დაკარგული და დატაცებული კორესპონდენციისათვის.

(სანამ მოვიდოდეს დასტური ამ თანხის დამნაშავე პირისთვის დაკისრებაზე, დასტურის მიღების შემდეგ თანხას გადაიტანენ დებეტში ანგარიშისა 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით).

შინაანგარიშსწორებას ძირითადი საქმიანობის ბალანსზე აღრიცხავენ ანგარიშებში:

141-5 შინაანგარიშსწორებანი გადანაცვლებული მუშაკების დავალიანებაზე ფორმის ტანსაცმელისათვის.

141-6 შინაანგარიშსწორებანი გადანაცვლებული პირების დანარჩენ დავალიანებაზე. ამ ორ ანგარიშს იყენებენ მხოლოდ კავშირგაბმულობის სამმართველოში სხვა სამმართველოებთან ანგარიშსწორებისათვის, ხოლო კავშირგაბმულობის საწარმოებში გადანაცვლებული მუშაკების დავალიანება გადაეცემა და მიიღება № 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით ანგარიშის მეშვეობით.

142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო შემოსავლის.

143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით.

144 ანგარიშსწორებანი დაკარგული და მიტაცებული კორესპონდენციისათვის.

შინა ანგარიშსწორებას არ აკეთებენ და გამოხატავენ ანგარიშში 120 მინწოდებლები ანგარიშსწორებებს, რომელიც წარმოიშობა კავშირგაბმულობის საწარმოებსა და კავშირგაბმულობის მთავარმობარაგეის შორის, აგრეთვე კავშირგაბმულობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა მთავარ სამმართველოს ქარხნებს შორის მატერიალურ ფასეულობათა მიწოდებებით.

შინაანგარიშსწორებათათვის მიკუთვნებულ ოპერაციათა მიხედვით ზანაწერებს აწარმოებენ ბარათებში, რომლებიც საწარმოების მიერ გახსნილია კავშირგაბმულობის თავისი სამმართველოსათვის, ხოლო უკანასკნელების მიერ—კავშირგაბმულობის სხვა სამმართველოებისა და სამინისტროსათვის დაქვემდებარებული საწარმოთათვის.

საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსების შინაანგარიშსწორებათა შემოწმება, აგრეთვე საექსპლოატაციო შემოსავლის თანხებისა ც წარმოებს ყოველთვიურად კონტოკორენტული ამონაწერების (პირადი ანგარიშების ასლის) საფუძველზე, რომლებსაც კავშირგაბმულობის სამმართველოები უკავშირდებიან თითოეულ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა.

ამ ამონაწერებს მიმღებნი ამოწმებენ და აღასტურებენ მათი მიღებიდან სამი დღის ვადაში.

თუ კავშირგაბმულობის საწარმოებს ანგარიშსწორებათა ნაშთი დებეტისა აღმოაჩნდა, მაშინ კავშირგაბმულობის სამმართველოში სწორედ ასეთივე თანხა უნდა იყოს შინაანგარიშსწორების ანგარიშის კრედიტში.

კავშირგაბმულობის ნაერთ ბალანსში შინაანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ საწარმოებთან გამორიცხება ერთნაირი თანხებით როგორც აქტივში, ისე პასივში.

კავშირგაბმულობის სამმართველოს შიგნით მოუწესრიგებელ ანგარიშსწორებათა დატოვება განიხილება როგორც ბალანსის უსწოროდ შედგენა.

ზოგიყვანოთ მაგალითი ანგარიშების კორესპონდირებისა ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებათა მიხედვით.

კავშირგაბმულობის მოცემული კანტორის სააგენტოებსა და განყოფილებებში. შეზოვიდა საქსპლოტაციო შემოსავალი, რომელიც ჩარიცხულია ფულბარათების სახსრებში.

ეს თანხა ძირითადი საქმიანობის ბალანსს ანახალურებული აქვს 1x 3 ანგარიშსწორების ანგარიშიდან სახბანკში (ფულბარათების ოპერაციების ბალანსი) 1x 0 ანგარიშსწორების ანგარიშზე დადარიცხვის გზით, რომელიც აღირიცხება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე.

ამ შემთხვევაში ანგარიშების კორგსპონდენცია იქნება შემდეგი:

1. დებეტი ანგარიში 140-4 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ჩაბარებული ამონაგება ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან.

კრედიტი ანგარიში 270 საქსპლოტაციო შემოსავალი 100 მან

2. დებეტი ანგარიში 091 ანგარიშსწორების ანგარიში 1x 0 სახბანკში კრედიტი ანგარიში 140-4 ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ჩაბარებული ამონაგების ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან 100 მან.

ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან

იმ შემთხვევაში, როცა ფულადი ანგარიშსწორებანი რაიმე საჩეურნეო ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება შესრულდეს უნაღლოდ ბანკის მეშვეობით, მაშინ ასეთი ანგარიშსწორებანი ხდება ანგარიშვალდებული პირების საშუალებით, რომლებსაც ამისათვის ფული ეძლევათ სალაროდან ანგარიშქვეშ.

სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ დებულებით დადგენილია წესი ნაღდი ფულის გაცემისა საქვეანგარიშოდ, მხოლოდ საწარმოს სალაროდან. ანგარიშვალდებულ პირებს არ აძლევენ ჩეკებს ფულის სახბანკიდან მისაღებად.

ნაღდი ფული სალაროდან ანგარიშქვეშ გაიცემა შემდეგი რაოდენობით:

ოპერაციულ და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის, რომელიც გაიწევა საწარმოს მდებარეობის ადგილზე იმ რაოდენობით, რომელიც არ აღემატება ორი დღის საქიროებას, ამასთან ფული გაიცემა ვადით არა უმეტეს სამი დღისა ფულის ნიღებიდან;

თუ ხარჯები წარმოებს კავშირგაბმულობის საწარმოს მდებარეობის გარეთ, მაშინ თანხა შეიძლება გადიდებულ იქნას იმ ზომამდე, რომელიც 10 — 14 დღის საქიროებას დააკმაყოფილებს, ხოლო ანგარიშგების ვადა მიეცემა 15 დღემდე;

სასამსახურო მივლინების ხარჯებისათვის ფული გაიცემა იმ თანხის ფარგლებში, რომელიც ერგებათ მივლინებულ პირებს სამგზავრო

ხარჯების, დღიურებისა და ბინის ქირისათვის მივლინების დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კავშირგაბმულობის საწარმოს, რომელშიც ჩავიდა მივლინებული, უფლება არა აქვს მისცეს მას რაიმე სახსარი მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, თუ ამაზე არ იქნა კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის განსაკუთრებული ნებართვა.

მუშაკებზე გასაცემ საქვეანგარიშო თანხას მკაცრი მიზნობრივი დანიშნულება აქვს და უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებისათვის. საქვეანგარიშო თანხების გადაცემა ერთი ანგარიშვალდებული პირის მიერ მეორეზე ნება დართული არ არის.

შემდგომი ავანსის გაცემა ერთი და იმავე ანგარიშვალდებული პირისათვის ერთი და იმავე მიზნით შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს პირი წინა ავანსის სრულ ანგარიშს ჩააბარებს. როგორც გამონაკლისი, განმეორებითი ავანსი შეიძლება მიეცეს მივლინებაში მყოფ მუშაკს, როცა მივლინების გავრძელებას მოითხოვს აუცილებელი საჭიროება (კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის მითითებით).

უკანონო ავანსების გაცემისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსს, რომელმაც მისცა უშუალო განკარგულება ავანსის გაცემაზე და მთავარ (უფროს) ბუღალტერს, რომელმაც შეასრულა ეს განკარგულება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აკრძალულია ნაღდ ანგარიშზე სამრეწველო საქონლისა და მასალების შეძენა კერძო პირებისაგან, სახელმწიფო და კოოპერაციულ ქსელშიაც. ეს ფასეულობანი შეიძლება შეძენილ იქნას ნაღდ ანგარიშზე უმეტეს 20 მანეთისა მხოლოდ წვრილ საბითუმო ბაზებსა და სპეციალურ მაღაზიებში. საბუთებს წარმოადგენს მაღაზიებისა და წვრილი საბითუმო ბაზების ანგარიშები.

სამრეწველო საქონლისა და მასალების ყიდვა თანხით 20 მანეთამდე ერთ ცალკეულ ხარჯვის დროს შეიძლება არა მარტო წვრილ-საბითუმო ბაზებსა და სპეციალურად გამოყოფილ მაღაზიებში, არამედ სხვა სახელმწიფო მაღაზიებშიც.

წარმოებული ხარჯების გასამართლებელ საფუძვლებს წარმოადგენს მაღაზიების საქონლის ჩეკების ასლები.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის 1930 წ. 2 დეკემბერს დამტკიცებული წესებით ნებადართულია წვრილი ხარჯები, რომლებიც არ აღემატება მივლინების ავანსების მიხედვით 5 მან. და სამეურ-

ნეო ხარჯების 10 მან.; ანგარიშის მიღების შეუძლებლობისას, როგორც გამონაკლისი უნდა გაფორმდეს ცნობებით, რომლებიც დამტკიცებული იქნება საწარმოს უფროსის მიერ.

იმ შემთხვევაში, როცა მივლინებაში მყოფი იძულებულია ისარგებლოს ავტო და საქაპანო ტრანსპორტით, ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეზე გადასვლისათვის ამ ტრანსპორტისათვის ხარჯები გამართლებული უნდა იქნას სათანადო ანგარიშებით ან ხელწერილებით.

ის პირნი, რომლებმაც ანგარიშქვეშ მიიღეს ფული, მისი ხარჯვის ანგარიშს აღგენენ დაწესებულ ვადებში სააჟანსო ანგარიშების შედგენით და მასთან გაფორმებული საბუთების დართვით. სამივლინებო აჟანსის დახარჯვის ანგარიში წარდგენილი უნდა იქნას 3 დღის განაჟელობაში დღიდან მივლინებიდან დაბრუნებისა.

ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებათა აღრიცხვას ახორციელებენ აქტიურ ანგარიშში 115 ანგარიშვალდებული პირები, რომლის დებეტიში წერენ ანგარიშქვეშ გაცემულ თანხებს.

აკრედიტებენ 115 ანგარიშვალდებული პირების ანგარიშს თანხებით, რომლებიც დახარჯეს ანგარიშვალდებულმა პირებმა, აგრეთვე დაუხარჯავი ფულის ნაშთით, რომელიც ჩაბარებულ იქნა სალაროში.

ანგარიშსწორებათა დეტალური აღრიცხვა წარმოებს თითოეული ანგარიშვალდებული პირისათვის გახსნილ ცალკე ბარათში.

იმისათვის, რომ ბალანსის ცხრილში შესაძლებელი იყოს ანგარიშვალდებულ პირთა განაწილება აქტივის ცალკე განაყოფთა მიხედვით, ბარათებს აჯგუფებენ მეორე რიგის (ქვეანგარიშების) შემდეგი ანგარიშების მიხედვით: ა) სახაზო-სარემონტო, ბ) დანარჩენი ოპერაციები.

8. ხელშანისა და მუშა-მოსახმსახურებთან ანგარიშსწორებათა აღრიცხვა

ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში შრომა თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის მოვალეობასა და ღირსების საქმეს წარმოადგენს და ნაზღაურდება სოციალიზმის პრინციპის შესაბამისად, რომელიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში (მუხ. 12) „თითოეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თითოეულს — მისი შრომის მიხედვით“.

შრომის ანაზღაურების პრინციპი გამორიცხავს გათანაბრებას ხელფასში და სტიმულს აძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ხელფასის ხარჯების თანხას, რომელიც გათვალისწინებულია გეგმაში, ხელფასის გეგმიანი ფონდი ეწოდება.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში შრომის ანაზღაურების ხარჯები კავშირგაბმულობის მომსახურების თვითღირებულების შემადგენელ და უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს; კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლუატაციისათვის ყველა ხარჯის დიდი ნაწილი ხელფასზე მოდის.

შრომისა და ხელფასის ბუღალტრული აღრიცხვის წინაშე შემდეგი ძირითადი ამოცანები დგას:

სწორად და დროზე გაიანგარიშოს თითოეული მუშაკის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობა (მის ხარისხთან შეაბამისად);

დროზე და ზუსტად გაიანგარიშოს თითოეული მუშაკის კუთვნილი ხელფასი;

გამოიანგარიშოს ხელფასის საერთო თანხა როგორც საწარმოს თითოეული ნაწილის, ისე მთლიანად მთელი საწარმოს მიხედვით;

უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი ხელფასის ხარჯზე დაწესებული შტატებისა და თანამდებობრივი ჯამაგირების დაცვით;

წინასწარი განაფრთხილებელი ზომები ღიღოს ფუფადი სახსრების ბოროტი გამოყენების შესაძლებლობის წინააღმდეგ ხელფასის გაცემასთან დაკავშირებით;

უზრუნველყოს შრომისა და ხელფასის დარღვა დაწესებული ანგარიშგების სისწორე.

შრომისა და ხელფასის აღრიცხვის ორგანიზაცია მართხვს სამუშაო ძალის სახეზე მყოფობისა და მოძრაობის, ხელფასის, ზეფასებების, სამუშაოზე გამოცხადებისა და შესრულებული სამუშაოს როგორც რაოდენობის, ისე მისი ხარისხის მიხედვით დროულად და სწორად გაუორმებას საბუთებით, აგრეთვე იმ ხელფასის თანხის გამოანგარიშებას, რომელიც ერგება თითოეულ მუშაკს მის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისათვის.

სამუშაო ძალისა და ხელფასის აღრიცხვის ძირითად საბუთს წარმოადგენს ბრძანებანი მუშაკების მიღებაზე, გადანაცვლებასა და დათხოვნაზე, სამუშაოს დროის აღრიცხვის ტაბელი, შრომის სანარდო ანაზღაურების ნორმები, სანარდო და დროული სამუშაოთა განწესები, გადახდის უწყისი და ა. შ.

შრომის საზღაურის სისტემა შეიძლება გაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: დროული და სანარდო.

საზღაურს ნამუშევარი დროის რაოდენობის მიხედვით შრომის საზღაურის დროულ სისტემა ეწოდება. ამ სისტემის დროს მუშათა შრომის ანაზღაურება ხდება სატარიფო განაკვეთის საფუძველზე, ნამუშევარი დროის პროპორციულად.

სატარიფო განაკვეთი ეწოდება სათანადო თანრიგის მუშის შრომის საზღაურის ნორმას დროის ერთეულში (საათი, დღე, თვე).

იმავე ჯგუფს აკუთვნებენ შრომის საზღაურის დროულ-პრემიალურ სისტემას, რომლის დროს, გარდა დროული საზღაურისა, მომუშავეს ეძლევა აგრეთვე პრემია მუშაობის უკეთესი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, მაგალითად, საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში ასეთი სისტემა გამოიყენება მასობრივი პროდუქციის მეკავშირეთა ხუთი ძირითადი კატეგორიის შრომის ასანაზღაურებლად—ტელეგრაფისტ-მეაპარატეების, ტელეგრაფების დამტარებლების, ქალაქთა შორის მეტელეფონე ქალების, წერილების დამხარისხებლებისა და ფოსტალიონების.

გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით შრომის საზღაურს შრომის ანაზღაურების სანარდო სისტემა ეწოდება. ამ სისტემას იყენებენ ორი სახით: შრომის ანაზღაურების მარტივი სანარდო და პროგრესულ-სანარდო სისტემის სახით.

მარტივი სანარდო სისტემის გამოყენებისას შრომას ანაზღაურებენ პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის პროპორციულად, ნამუშევარი დროისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. პროდუქციის ერთეულის შეფასებათა სიდიდე არ იცვლება და დამოკიდებული არ არის გამომუშავეების ზომისა და ნორმის გადაჭარბებით შესრულებაზე.

პროგრესულ-სანარდო სისტემა მარტივი სანარდოსაგან იმით განსხვავდება, რომ მუშა ღებულობს მტკიცე შეფასებით მხოლოდ იმ სამუშაოსათვის, რომელიც შესრულებულია გამომუშავეების ნორმების ფარგლებში. ნორმების ზევით გადამუშაება ნაზღაურდება გადიდებული შეფასებებით, ამასთან რამდენად მეტია გადაჭარბებით შესრულება, იმდენად მეტად მაღალი შეფასებებით ნაზღაურდება მუშაობა.

შრომის ანაზღაურების მარტივ სანარდო სისტემას იყენებენ როგორც ინდივიდუალური სანარდო მუშაობის დროს, ისე ბრიგადული სანარდო მუშაობის დროსაც.

უკანასკნელ შემთხვევაში ხელფასის თანხა ნაწილდება ბრიგადის წევრების სამუშაო დროსთან პროპორციულად, თუ ისინი ერთ და იმავე სატარიფო თანრიგს ეკუთვნიან, ან სატარიფო თანრიგებთან და სამუშაო დროსთან პროპორციულად, თუ მათი სატარიფო თანრიგები სხვადასხვაა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შრომის ანაზღაურების სისტემისა, იყენებენ კიდევ შე რ ე უ ლ (კომბინირებულ) სისტემას, რომელიც შრომის საზღაურს ითვალისწინებს როგორც გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობას, ისე ამ სამუშაოზე დახარჯული დროის რაოდენობას, მაგალითად, სამუშაოთა აკორდად გაცემისას.

სისტემას, რომელიც ყველაზე მეტ სტიმულს აძლევს შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, შრომის პროგრესულ-სანარდო ანაზღაურება წარმოადგენს.

სანარდო სისტემა შეესაბამება შრომის ანაზღაურების სოციალისტურ პრინციპს — რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით და უზრუნველყოფს მომუშავეს პირად დაინტერესებას.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებში, როგორც წესი, გამოაყენება შრომის დროითი ანაზღაურება. კავშირგაბმულობის მუშაკების ხელფასის სიდიდე განისაზღვრება მომუშავეს კვალიფიკაციით, მის მიერ სამუშაოს შესრულების და კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში მუშაობის სტაჟის მიხედვით. გარდა ამისა, ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სატარიფო სიაზეა მიკუთვნილი ის საწარმო, რომელშიც კავშირგაბმულობის მუშაკი მუშაობს.

კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაკები კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში მუშაობის ხანგრძლივი სტაჟისათვის ღებულობენ განსაკუთრებულ სართს ნამსახურობისათვის მტკიცე დანამატის სახით, შემდეგი რაოდენობით (კავშირგაბმულობის მინისტრის 1949 წ. 13 თებერვლის ბრძანება № 93).

3 — 5 წლამდე მუშაობის დროს	10%
5 — 7 " " "	15%
7 — 10 " " "	20%
10 — 15 " " "	30%
15 ზევით " " "	40%

ნამსახურობისათვის წანამატი ნაკლები რაოდენობით დაწესებულია აგრეთვე კავშირგაბმულობის სამმართველოებისა და სამინისტროს მუშაკებისათვისაც.

ეს წანამატი ხელფასზე, აგრეთვე უპირატესობა და შეღავათი, რომელიც 1950 წლიდან დაწესებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაობის ცალკე კატეგორიებისათვის (კავშირგაბმულობის მინისტრის 1950 წ. 8 მაისის ბრძანება № 347), წარმოადგენს განსაკუთრებულ მზრუნველობას, რომელსაც იჩენს პარტია და მთავრობა კავშირგაბმულობის მუშაკების მიმართ და რაც ხელს უწყობს კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ეს წანამატები ხელფასზე წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ღონისძიებათაგანს, რომელიც ხელს უწყობს კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ხელფასი იყოფა ორ სახედ: ძირითადად და დამატებით. ხელფასიდან მუშა-მოსამსახურეებისათვის მათ მიერ ნამუშევარი დროის საზღაურს ძირითადი ხელფასი ეწოდება.

ძირითად ხელფასს აკუთვნებენ, მაგალითად:

მუშაობის ანაზღაურებას ძირითადი ტარიფების, განაკვეთების, ჯამაგირის, სანარდო შეფასებების ან საშუალო გამომუშავეების მიხედვით; ზედმეტი საათებისა და სააკორდო სამუშაოების საზღაურს;

ნამსახურობისათვის წანამატს, რომელიც დაწესებულია კანონით; ხელფასს გზაში ყოფნის დროის განმავლობაში მუშაკების გადანაცვლებისას იმ სატარიფო განაკვეთის მიხედვით, რომელსაც იღებს მუშაობის ახალადგილას;

წანამატს: მავნებელი, სახიფათო, მძიმე სამუშაოსათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

წანამატს უცხო ენების ცოდნისათვის დაწესებული მინიმუმის ფარგლებში და ყოველდღიური გამოყენება მუშაობაში უცხო ენებისა იმ ოდენობით, რომელიც დაწესებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ; ბრიგადირების წანამატს ბრიგადების მუშაობის ორგანიზაციისათვის კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

წანამატს ტელეგრაფის აპარატების დამატებითს სისტემებზე მუშაობისათვის იმ ზომით, რომელიც დაწესებულია კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ;

წანამატს ღამით და უქმე დღე მუშაობისათვის;

წანამატს შორეულ ადგილებსა და უკიდურეს ჩრდილოეთში მუშაობისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონით დადგენილ შემთხვევებში მუშა-მოსამსახურეები ი-

სათვის მათ მიერ გამოუმუშავებელ დროის ანაზღაურებას დამატებითი ხელფასი ეწოდება.

მაგალითად, დამატებით ხელფასს მიეკუთვნება:

მოზარდების შეღავათიანი საათების ანაზღაურება;

ძუძუთა ბავშვების პატრონი ქალების მუშაობაში დაწესებული დასვენებების ანაზღაურება;

სამუშაოზე გამოუსვლელობისა და მუშაობაში დასვენებათა ანაზღაურება, რომელიც შრომის კანონთა კოდექსის თანახმად დაკავშირებულია საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან:

შებულების საზღაური ან მისი კონპენსაცია;

ანაზღაურება გაცდენებისა, გამოწვეული არა მუშების მიზეზით;

საზღაური იმ მუშაკებისა, რომლებიც მივლინებულნი არიან სწავლის გასაეღლად კურსებზე და რჩებიან სიებში მყოფ მუშაკთა სიობრივ შემადგენლობაში;

ანაზღაურება საწარმოებში საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის;

ანაზღაურება დროებითი შეთავსებისათვის;

გაფორმებული ტაბელების და სამუშაოზე დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის ზღვევინების ღონისძიებათა შესახებ განკარგულებების საფუძველზე ბულატერია თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს წერს წინასწარ მომზადებულ საანგარიშსწორებო-საგადადამხდლო უწყისებში მონაცემებს ფაქტიურად ნამუშევარი დროის შესახებ და გამოყავს თითოეული მუშაკისათვის კუთვნილი ხელფასის თანხა.

ხელფასის თანხას, რომელიც ერგება მუშა-მოსამსახურეებს საანგარიშო პერიოდში, ხელფასის საანგარიშო ფონდი ეწოდება.

ხელფასიდან შეიძლება ვაწარმოოთ შემდეგი დაკავებანი: გადასახადები, სესხზე ხელის მოწერის შენატანები, დაკავებანი აღმასრულებელი ფურცლების მიხედვით, სახელმწიფო კონტროლის დარიცხვები, დაკავებანი იმ პირებისაგან, რომლებიც დაპირავების ადგილას ეწვეიან შრომითი-გამასწორებელ მუშაობას, დაკავებანი მუშაკის მიერ საწარმოოდან გამოსაყენებლად მიღებული, მაგრამ დაუბრუნებელი ინსტრუმენტებისა და საზომი ხელსაწყოებისათვის; დაკავებანი მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობის გაფუჭებისათვის; დაკავებანი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მუშამ ან მოსამსახურემ მიყუ-

ნა საწარმოს ან დაწესებულებას სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, დაკავებანი ფორმის ტანსაცმელისათვის; საქვეანგარიშო თანხების ნაშთების დაკავებანი.

დაკავებათა საერთო თანხა თვეში არ შეიძლება აღემატებოდეს ხელფასის 50⁰/₀.

საშემოსავლო და უცოლშვილობის, მარტოხელობისა და მცირე ოჯახიანობის გადასახადს მუშა-მოსამსახურეებს ახდენენებენ ყოველთვიურად, მათ მიერ წინა თვეში მიღებული ხელფასის მიხედვით.

გადასახადით დასაბეგრი მუშა-მოსამსახურეთა თვიური ხელფასის შემადგენლობაში შეაქვთ ხელფასის ყველა თანხა, რომლებიც მათ მიიღეს წასულ თვეში; ძირითადი და დამატებითი ხელფასი, პერსონალური წანანატები, პრემიები, რომლებიც ეძლევათ შრომის პრემიალურ-წამახალისებელი საზღაურის დროს, გადახდანი სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დროებითი შრომისუუნარობის დროს, გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია.

საანგარიშსწორებო - საგადაამხდელო უწყისებს ადარებენ პირველად საბუთებთან, ამოწმებენ გადასახადებისა და სხვა დაკავებათა გამოანგარიშების სისწორეს, აგრეთვე შედეგებს ცალკე სვეტებისა და მთელი უწყისის მიხედვით; შემოწმების შემდეგ უწყისზე ხელს აწერენ მთავარი (უფროსი) ბუღალტერი და საწარმოს უფროსი.

ს ა ა ნ გ ა რ ი შ ს წ ო რ ე ბ ო - ს ა გ ა დ ა მ ხ დ ე ლ ო უ წ ყ ი ს ე ბ ს ა დ გ ე ნ ე ნ ც ა ლ კ ე :

ა) კავშირგაბმულობის მოცემული საწარმოს მუშაკების ხელფასზე და მის თითოეულ ანგარიშვალდებულ საწარმოზე (სააგენტოზე, განყოფილებაზე, რადიო-სატრანსლაციო კვანძზე და ა. შ.);

ბ) დახმარებაზე, რომელიც გაიცემა ავადმყოფობის ფურცლებით სოცდაზღვევის სახსრებიდან;

გ) საწარმოს შტატგარეშე მუშაკების ხელფასზე, მაგალითად, სეზონური მუშების, რომლებსაც ქირაობენ ელექტრული კავშირგაბმულობის ხაზის ნაგებობათა რემონტისათვის.

უწყისის შიგნით მუშაკების გვარებს აჯგუფებენ კავშირგაბმულობის დარგების მიხედვით: ფოსტა, ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო ტელეფონი, ქალაქის ტელეფონი, შიგარაიონის სატელეფონო კავშირი, რადიო-კავშირი, რადიო-მაუწყებლობის სადგურები, რადიოფიკაცია, კავ-

შირგაბნელობის მოწაფეები, სარემონტო სახელოსნოები, ავტოტრანსპორტი, საჰაერო ტრანსპორტი, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტი.

კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსისა და უფროსი ბუღალტრის მიერ ხელმოწერილი გადახდის უწყისების შედეგები შეაქვე შენაკრებში, რომლის მონაცემების მიხედვით აწარმოებენ ბუღალტრულ ჩანაწერებს ანგარიშში 129 მუშა-მოსამსახურეები ხელფასით და ავსებენ საანგარიშო ფორმას 36 ხელფასის ფონდის ხარჯვის შესახებ.

თითოეულ მუშაკთან ხელფასის მიხედვით ანგარიშსწორებათა შესახებ მონაცემები იწერება ზუსტისა და მოსამსახურის პირად ანგარიშში.

პირადი ანგარიშები წარმოადგენენ 129 ანგარიშის (მუშა-მოსამსახურეები ხელფასით) დეტალურ ანგარიშებს, რომელშიც აღრიცხავენ ხელფასის ყველა ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურესთან.

129 ანგარიშს მუშა-მოსამსახურეები ხელფასით აკრედიტებენ მომუშავეებზე გადახადის უწყისების კრების ჯამის თანახმად დარიცხული ხელფასის თანხით.

ამავე ანგარიშის კრედიტში წერენ აგრეთვე ხელფასის თანხას, რომელიც ერგებათ მუშაკებს ავადმყოფობის დღეებისათვის და კუთვნილ თანხებს პრემიალურ-წამახალისებელი სისტემის მიხედვით პრემიალური ფონდიდან.

129 ანგარიშს — მუშა-მოსამსახურეები ხელფასით — ადებეტებენ საღაროდან საანგარიშსწორება-საგადახდელ უწყისების მიხედვით გაცემული თანხებით და მუშაკების ხელფასიდან დაკავებული თანხებით.

ამ ანგარიშს შეიძლება ექნეს მხოლოდ კრედიტის ნაშთი, რომელსაც პერიოდულ ანგარიშგებაში უჩვენებენ ბალანსის პასივში, როგორც დავალიანებას, რომელიც გასტუმრებული უნდა იქნეს შემდეგ თვეში.

დაკავებებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან, აგრეთვე დაკავებებს აღმასრულებელი ფურცლების ან სასამართლო ორგანოების დადგენილების მიხედვით სხვადასხვა პირებისა და დაწესებულების სასარგებლოდ, აგრეთვე რაიმე მიზეზით მიუღებელ ხელფასის თანხებს აღრიცხავენ ანგარიშში 117 — დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები.

პირებს და ორგანიზაციებს, რომელთა ფულადი სახსრები დროებით შესანახად იმყოფება მოცემულ საწარმოსთან, დეპონენტები ეწოდება, ხოლო მათ კუთვნილ ფულად სახსრებს, — დეპონენტური, ანუ დეპონიტური.

მუშა-მოსამსახურეების მიერ მოუკითხავ ხელფასს აღრიცხავენ ცალკე ბარათებზე, რომელთაც დეპონენტების ბარათები ეწოდება.

გადახდის უწყისში იმ პირის გვარის პირდაპირ, რომლის ხელფასი დარჩა მიუღებელი, სვამენ ტვიფრს, ან ხელით აკეთებენ წარწერას „დეპონირებულია“.

მუშის ან მოსამსახურის გამოცხადებისას დეპონენტური თანხების გაცემას აწარმოებენ სალაროს საგასაფლო ორდერით.

დეპონიტური თანხები, ე. ი. ისეთი თანხები, რომლებიც კავშირგაბმულობის მოცემულ საწარმოს არ ეკუთვინის, უნდა გადაერიცხოს იმ პირებს და ორგანიზაციებს, რომელთა სასარგებლოდ დარიცხულია იგი.

დეპონიტური თანხების შენახვა მიმდინარე ანგარიშებზე განისაზღვრება შემდეგი ვადებით (სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 1 ივნისის დადგენილება № 768):

ა) დეპონიტური თანხები, რომლებიც უნდა გადაეცეს მოქალაქეს, ინახება სამი წლის განმავლობაში;

ბ) დეპონიტური თანხები, რომლებიც უნდა გადაეცეს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოებს და ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ინახება 1½ წლის განმავლობაში;

გ) დეპონიტური თანხები, რომლებიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, რომელშიაც შეტანილი იყო ეს თანხები, ხოლო თანხები, რომლებიც შეტანილ იქნა დეპონიტში გადაუწყვეტი სასამართლო საქმის მიხედვით, ინახება იმ წლის 31 დეკემბრამდე, რომელშიაც გამოტანილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ა) და ბ) პარაგრაფებში აღნიშნული ვადების მიმდინარეობა იანგარიშება იმ თანხებისათვის, რომლებიც დეპონიტში შეტანილ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილი საქმეების მიხედვით, დღიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისა, დანარჩენ შემთხვევებში—პირისათვის ან ორგანიზაციისათვის, რომელთა სახელზეც შეტანილია დეპონიტის თანხები დეპონიტში შეტანის შესახებ, ცნობის გაგზავნის დღიდან.

შენახვის ზემოაღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ მოუკითხავი დეპონიტის თანხები იმ ორგანოს განკარგულებით, რომლის მიმდინარე ანგარიშზედაც იგი ინახება, უნდა გადაერიცხულ იქნას საკავშირო სახელმწიფო

ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში კუთვნილებისამებრ.

გარდა პირადი ანგარიშისა, რომელიც იხსნება ხელფასის ანგარიშსწორებისათვის, თითოეულ მუშასა და მოსამსახურეზე ავსებენ დაწესებული ფორმის შრომის წიგნაკს, შრომის წიგნაკში წერენ ცნობებს სამუშაოზე მიღების, გადანაცვლების, აგრეთვე ცნობებს წახალისებისა და დაჯილდოების შესახებ. ზღვევინებას, დასჯას შრომის წიგნაკში არ წერენ.

ეს წიგნაკები ზუსტად უნდა იყოს აღრიცხული ბალანს გარეშე 315 ანგარიშზე მკაცრი ანგარიშგების ბლანკები, პირობითი შეფასებით — წიგნაკი 50 კაპ. და ჩასართი ფურცელი — 30 კ.

მუშა-მოსამსახურეებზე გაცემული შრომის წიგნაკების გადასახდელი და ჯარიმები, მიღებული შრომის წიგნაკების დაკარგვისათვის (25 მან.), აღრიცხება ანგარიშზე 117—სხვადასხვა დებიტორები და კრედიტორები. ეს თანხები შემოსვლის მიხედვით, მაგრამ არა უგვიანეს ვიდრე თვეში ერთხელ, უნდა ჩაბარდეს რაიონების საფინანსო განყოფილებას სახელმწიფო შემოსავალში ჩასარიცხავად.

კავშირგაბმულობის საწარმოს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ანგარიშსწორების წიგნაკები, რომლებშიც ბუღალტერიას ყოველთვიურად შეაქვს ცნობა მუშაკის ხელფასისა და ხელფასიდან დაკავების შესახებ და იმ თანხის შესახებ, რომელიც მუშაკს ეძლევა ხელზე.

ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ან ანგარიშსწორების ნაწილის ბუღალტერი.

ანგარიშსწორების წიგნაკების მარაგი ინახება საწყობში; წიგნის მიღებისას მათ აღრიცხავენ 022 მასალები ანგარიშის დებეტიით.

მუშაკებისათვის ანგარიშსწორების წიგნაკების ხელზე გაცემისას მათი თვითღირებულება ჩამოიწერება 050 ანგარიშის გასავალში § 9, მუხლი 21 „ჩს“ ანდა 057. ანგარიშში დამხმარე წარმოება და მეურნეობა, თუ ეს წიგნაკები გაცემული იყო დამხმარე წარმოების ან მეურნეობის მუშაკებისათვის.

ხელფასიდან გადასახადების და სახელმწიფო სესხზე ხელისმოწერის შენატანების დაკავებანი დანიშნულებისამებრ საფინანსო ორგანოებს უნდა ჩაბარდეს. ამ თანხების შემოსავალს და დანიშნულებისამებრ ჩაბარებას აღრიცხავენ ანგარიშზე 133 ფინორგანოები გადასახადების, გამონაღებებისა და სხვა ანგარიშსწორებათა ზიხედვით.

სახელმწიფო სესხების მიღებულ ობლიგაციებს მუშაკებისათვის დარიგებამდე გამოსახავენ ბალანსგარეშე ანგარიშში 322 — მუშა-მოსამსახურეების კუთვნილი სახელმწიფო სესხების ობლიგაციები.

ანგარიშებს 117 — დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები და 133 ფინორგანოები გადასახადების, გამონაღებებისა და დანარჩენ ანგარიშსწორებათა მიხედვით — აკრედიტებენ შესაბამისად იმ თანხებით, რომლებიც დაკავებულ იქნა ხელფასიდან სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების, გადასახადებისა და სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერის სასარგებლოდ. აღებულებენ ამ ანგარიშებს დანიშულებისამებრ ჩაბარებული თანხებით. ჩაუბარებელი თანხების ნაშთს შეადგენს ამ ანგარიშების კრედიტის ნაშთი, რომელსაც ბალანსში ყოველთვის პასივში უჩვენებენ.

დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ თითოეული პირისა და დაწესებულებისათვის გახსნილ ცალკე ბარათებზე.

მორიგ შვებულებათა ანაზღაურების უფრო თანაბარზომიერად განაწილების (რეზერვირების) მიზნით დაწესებულია ამ თანხების წინასწარ გეგმიანად გადატანა პროდუქციის თვითღირებულებაზე. შვებულებათა გადასახდელი ხარჯების რეზერვირებას აწარმოებენ ასე:

საშუალო ხელფასისა და შტატის თითოეული მუშაკის კუთვნილი მორიგი შვებულების დროის სიდიდიდან გამომდინარე განსაზღვრავენ საგვემო თანხას, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში უნდა მიეცეს შვებულებისათვის ყველა მუშაკს.

ამ თანხას ყოფენ 12-ზე. შედეგადღებულობენ თანხას, რომელიც ყოველთვიურად უნდა შეტანილ იქნას კავშირგაბმულობის მომსახურებათა თვითღირებულებაში.

კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის მიერ დამტკიცებული ცნობის საფუძველზე ბუღალტერიაში ამ თანხას გაატარებენ 050 საექსპლოატაციო ხარჯები — ანგარიშის ან 057 — დამხმარე საწარმოები და მეურნეობანი ანგარიშის, დებეტში და 212-2 მომავალი გადასახდელების ანგარიშის კრედიტში.

მოცემულ თვეში ფაქტიურად მიცემული შვებულებისათვის კუთვნილი თანხის დარიცხვას ატარებენ: 212-2 მომავალი გადასახდელები ანგარიშის დებეტში და 129 მუშა-მოსამსახურეები ხელფასით ანგარიშის კრედიტში.

ამრიგად, მომავალი გადასახდელების ანგარიშის 212-2 კრედიტში წლის ბოლოსათვის ჩაწერილი იქნება გეგმური თანხა შვებულებისათვის, ხოლო ამავე ანგარიშის დებეტში — ფაქტიური. თუ ყველა მუშაკი გამოიყენებს შვებულებას საანგარიშო წელში, მაშინ ამ თანხებს შორის

შესაძლო განსხვავებას წლის ბოლოს მიაკუთვნებენ სათანადო ხარჯების ანგარიშებს, ე. ი. სათანადო ხარჯებს გაზრდიან ან შეამცირებენ. ამასთან მომავალი გადასახდელების ანგარიშს ხურავენ; ხარჯების ამსახველ ანგარიშებში გამოსახულებას პოულობს შევბუღებათა გადასახდელო ფაქტიურად დახარჯული თანხა.

კომპენსაციები გამოუყენებელი შევბუღებისათვის შეიძლება გაცემულ იქნას მუშათა საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებით, ამა თუ იმ მუშაკის სამუშაო წლის გასვლის შემდეგ.

გარდა ხელფასისა, რომელსაც უხდიან უშუალოდ მუშა-მოსამსახურეებს, ჩვენს ქვეყანაში დაწესებულია მუშაკების -სავალდებულო სოციალური დაზღვევა, რომელსაც მიზნად აქვს უზრუნველყოს ისინი სახსრებით ავადმყოფობის, ინვალიდობისა და მოხუცებულობის დროს, ხოლო კავშირგაბმულობის ნუშაკებისათვის, გარდა ამისა, დაწესებულია განსაკუთრებული უპირატესობანი და შეღავათები.

საწარმოები სოციალურ დაზღვევას აწარმოებენ თავისი სახსრებიდან სოციალური დაზღვევის ორგანოებისთვის მუშა-მოსამსახურეების (როგორც შტატის, ისე დროებითის) დარიცხული ხელფასიდან დაწესებული პროცენტის შესატანების გადარიცხვის გზით.

ფულად შენატანებს მუშა-მოსამსახურეების სოციალური დაზღვევისათვის ხელფასის დანარიცხები ეწოდება.

კავშირგაბმულობის საწარმოებისათვის სოციალური დაზღვევის შესატანები დაწესებულია 6,1% ოდენობით.

კავშირგაბმულობის წამყვან პროფესიის (ტელეგრაფისტების, ტელეფონისტი ქალების, ფოსტის აგენტების და სხვ.) ძირითადი მუშაკების წახალისების მიზნით, აგრეთვე კავშირგაბმულობის ორგანოებში სანუშაოზე მიმაგრების მიზნით იმ პირობა, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს უმაღლესი, უფროსი და საშუალო უფშემადგენლობის პერსონალური წოდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წ. 5 მაისის № 1859 დადგენილებით კავშირგაბმულობის ამ მუშაკთათვის დაწესებულია გადიდებული პენსიები, როგორც ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, აგრეთვე მოხუცებულობის შემთხვევაში.

ეს დახმარება და პენსია გაიცემა სოციალურ დაზღვევის სახსრების ხარჯზე.

კავშირგაბმულობის მუშაკის ინვალიდობის ან მარჩენა-ლის დაკარგვის შემთხვევაში ზღვრული ხელფასის ოდენობა, რომლიდანაც გამოიანგარიშება პენსია, გადიდებულია 500 მანეთამდე.

გარდა ამისა, პენსიის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ხელფასის დანარჩენი ნაწილიც 1200 მან. ფარგლებში შემდეგი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებისათვის — 20% ხელფასის დანარჩენი ნაწილის თანხიდან;

II ჯგუფის ინვალიდებისათვის — 15% " " "

III ჯგუფის ინვალიდებისათვის — 10% " " "

მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში მის ოჯახს პენსია მიეცემა შემდეგი ოდენობით;

სამ და ნეტ შრომის უნარმოკლებული ოჯახის წევრის შემთხვევაში — ინვალიდობის I ჯგუფით;

ორ შრომის უნარმოკლებული ოჯახის წევრის დროს — II ჯგუფით;

ერთი შრომის უნარმოკლებული ოჯახის წევრის დროს — III ჯგუფით.

პენსია მოხუცებულობის შემთხვევაში გაიცემა მამაკაცებზე 55 წლის, ხოლო ქალებზე 50 წლის შესრულებისას, წთელი სიცოცხლის ვადით; ამასთან, პენსიის დაწესების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში, ამა თუ იმ მუშაკის მუშაობის სტაჟი — მამაკაცთათვის — 25 წელი, ხოლო ქალთათვის — 20 წელი.

პენსიის ოდენობა მოხუცებულობის გამო შეადგენს იმ თანამდებობრივ ხელფასის (სატარიფო განაკვეთის) 50%, რომელსაც მუშაკი იღებს მისთვის პენსიის დაწესების დროისათვის.

ამავე დადგენილებით მთავრობამ უფლება მისცა კავშირგაბმულობის ზემოწამოთვლილ მუშაკებს, რომელთაც თავი გაანებეს სამუშაოს ინვალიდობისა და მოხუცებულობის გამო პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ისარგებლონ სიცოცხლის მანძილზე საუწყებო სახლებში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობით და გადაიხადონ მისი ქირა დაწესებული ტარიფის მიხედვით.

კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის გადიდებული პენსიის დაწესება წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის და პირადად ამხანაგი სტალინის მზრუნველობის აშკარა გამოხატულებას საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

ხელფასის დანარიცხები წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც შედის თვითღირებულების გამოანგარისებაში. ხელფასზე დანარიცხის თანხას ყოველთვის ატარებენ 050 ანგარიშის საექსპლოატაციო ხარჯები ან 057 დამხმარე საწარმოები და მეურნეობანი, ან შესაბამისად ბალანსის სხვა ანგარიშების დებიტში. ამასთან აკრედიტებენ ანგარიშს 117 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები (ქვეანგარიში 117-5 სოცდაზღვევა ანარიცხების მიხედვით). ამ ანგარიშს აღებუტებენ მუშა-მოსამსახურეებისათვის ავადმყოფობის განმავლობაში გადახდილი და ინვალიდობისათვის მიცემული პენაიების თანხებით.

სოციალური დაზღვევის დარიცხული თანხისა და საწარმოს მიერ დაზღვევის ანგარიშში გაცემულ თანხებს შორის განსხვავებას გადაურიცხავენ სოცდაზღვევის ორგანოებს სახბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშიდან № 1 ან № 2. ეს ხდება მაშინვე, როდესაც ხელფასის გასაცემად საწარმოს ფული გამოაქვს ბანკიდან.

ბალანსის პასივში 117 სოცდაზღვევა ანარიცხებით ანგარიშის ნაშთის არსებობა ნიშნავს საწარმოს დავალიანებას სოციალური დაზღვევით, რომელიც დარიცხულია ხელფასზე თვის მეორე ნახევრისათვის.

9. სამსახლოატაციო შემოსავლისა და ხარჯების აღრიცხვა

საექსპლოატაციო შემოსავლის აღრიცხვა

კავშირგაბმულობის საწარმოთა საექსპლოატაციო შემოსავალი არის ღირებულება კავშირგაბმულობის სამსახურისა, რომელიც ფაქტიურად გაწეულ იქნა მოცემულ საანგარიშო პერიოდში დაწესებული ტარიფების მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, მთლიანად შემოვიდა თუ არა ამ სამსახურისათვის ფული სალაროში ან სახბანკში საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე ან 0. შემოსავლად ითვლება მაშინაც, როცა ღირებულება მიღებულია მხოლოდ ნაწილობრივად, ან ჯერ სულ არ არის მიღებული.

ასეთ შემოსავალს წარმოადგენს:

გამოსაღებები ფოსტის სამსახურის ყველა სახისათვის, მათ რიცხვში გაყიდული საფოსტო გადახდის ნიშნების შემოსავალიც;

გამოსაღებები დეპუტების გადაცემისათვის საქალაქთაშორისო ტელეფონით დალაპარაკებისათვის;

ტელეფონის აპარატებით და სადენებით მაუწყებლობის რადიო-წერტებით სარგებლობის დადგმისა და სააბონემენტო გადასახდელი; რადიოსადგურების გამოყენების გადასახდელი.

საექსპლოატაციო შემოსავალს წარმოადგენს აგრეთვე სუფთა მოგება, რომელსაც ლებულობენ უმარკო კონვერტების, საფოსტო ქაღალდის, კარის საფოსტო ყუთების და სხვა საქონლის გაყიდვიდან, რომელთა რეალიზაციას აწარმოებენ კავშირგაბმულობის საწარმოები.

კავშირგაბმულობის სამსახურისათვის გადასახდელი თანხა ჩვეულებრივად მიიღება კლიენტისათვის სამსახურის გაწევისთანავე. მაგალითად, საფოსტო გადასახდელის ნიშნების გაყიდვისას, ტელეფონით დალაპარაკებისათვის, რომელიც წარმოებს საზოგადოებრივი სარგებლობის დასალაპარაკებელ პუნქტებში, ამანათების გაგზავნისათვის, ტელეგრამების გადაცემისათვის და ა. შ.

კავშირგაბმულობის ზოგიერთი სხვა სახის მომსახურების გაწევა პირობადებულია კლიენტის მიერ სავალდებულო ავანსის შეტანით, არა ნაკლებ ერთ თვეზე წინ.

ამას ეკუთვნის სააბონემენტო გადასახდელის მიღება ქალაქის სატელეფონო ქსელის, ტელეფონის აპარატებითა და სადენებით მაუწყებლობის კვანძების რადიო-წერტებით სარგებლობისათვის.

კლიენტებისაგან ავანსების მიღება წარმოებს აგრეთვე იმისათვის, რომ საქალაქთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის სამსახურით სარგებლობისას კლიენტებს არ დასჭირდეთ ყოველთვის ნაღდი ფულის გადახდა.

კავშირგაბმულობის მომსახურების ნისიად გაწევა, როგორც წესი, აკრძალულია.

ნებადართულია მხოლოდ მიღება ნისიად შეკვეთებისა ინდივიდუალური აბონენტებისაგან საქალაქთაშორისო სატელეფონო დალაპარაკებასა და ტელეგრამების გაგზავნაზე შემდეგი ორი დღის ვადაში კუთვნილი გამოსაღების აუცილებლად შეტანით.

კლიენტებისაგან შემავალი ავანსები—კავშირგაბმულობის მომსახურების წინასწარი განაღდება,—მათ შორის ტელეფონებითა და რადიო-წერტებით სარგებლობის სააბონემენტო გადასახდელიც, შემოსვლის მომენტში არ ითვლება საექსპლოატაციო შემოსავლად. მხოლოდ მომსა-

სახეების ფაქტიურად გაწევის კვალობაზე, ავანსის სათანადო ნაწილი ჩაირიცხება საექსპლოატაციო შემოსავალში.

შემოსავალს, რომელიც ეკუთვნის მისაღებად კავშირგაბმულობას ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, დამოუკიდებლად იმისა, გაწეული იყო თუ არა ეს სამსახური წინათ შეტანილი ავანსების ანგარიშზე, ნაღდ ანგარიშზე ან ნისიად, კონსტანტირებული ეწოდება.

სალაროში ან სახბანკში საწარმოს № 0 ანგარიშსწორების ანგარიშზე კავშირგაბმულობის მიერ გაწეული მომსახურებისათვის ფაქტიურად შემოსული სახსრები შემოსავალთა ინკასირებულ ნაწილს შეადგენს.

საექსპლოატაციო შემოსავლის მოცულობა კავშირგაბმულობის თითოეული დარგისა და შემოსავლის ცალკე სახეთა მიხედვით წესდება საფინანსო გეგმით.

საექსპლოატაციო შემოსავალთა სახელმწიფო გეგმის შესრულება და გადაჭარბებით შესრულება კავშირგაბმულობის თითოეული საწარმოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ მათ შემოსავალზე დროულ და ზუსტ კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; საექსპლოატაციო შემოსავლის თანხების აღზარცხებად აწარმოებენ პასიურ ანგარიშს 270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

კავშირგაბმულობის თითოეული დარგისა და მთელი ნომინკლატურის მიხედვით საექსპლოატაციო შემოსავლის გეგმის შესრულებაზე კონტროლის გაწევის მიზნით შემოსავალთა დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ მრავალსვეტიან ბარათებში, რომლებსაც ხსნიან თითოეული პარაგრაფისათვის (დარგისათვის), ხოლო პარაგრაფის შიგნით — საფინანსო გეგმით გათვალისწინებული საექსპლოატაციო შემოსავლის თითოეული სახისათვის.

270 საექსპლოატაციო შემოსავლის ანგარიშის კრედიტში ჩაწერას აწარმოებენ ყოველდღიურად წლის ბოლომდე მზარდი ჯამებით.

საექსპლოატაციო შემოსავლის თანხებზე, რომელიც შევიდა სალაროში ან სახბანკში № 0 ანგარიშსწორების ანგარიშზე კავშირგაბმულობის მიერ მომსახურების გაწევასთან ერთდროულად აღდგენენ ჩანაწერს: დებეტი ანგარიში 088 სალარო ან 091 ანგარიშსწორების ანგარიში № 0 სახბანკში, კრედიტი ანგარიში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

თუ კლიენტებისაგან სახსრები ავანსის სახით შემოვიდა, მაშინ შემოსულისას ადებეტებენ ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, ხოლო აკრედიტებენ ანგარიშს 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით.

კლიენტებისათვის ავანსების ანგარიშში კავშირგაბმულობის მიერ საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას აღრიცხვაში გამოხატავენ გატარებით: დებეტი ანგარიშში 105 კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით, კრედიტი ანგარიშში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

იშვიათ შემთხვევებში სალაროდან კავშირგაბმულობის სამსახურისთვის შეცდომით გადახდევინებული სასყიდლის დაბრუნების დროს ადებეტებენ ანგარიშს 270 საექსპლოატაციო შემოსავალი და აკრედიტებენ ანგარიშს 088 სალარო.

თუ გამოსაღები კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის შევიდა სააგენტოს ან განყოფილების სალაროში, მაშინ ზემდგომ საწარმოს (კავშირგაბმულობის კანტორა, ფოსტამტი) ბუღალტერიაში ეს ასე ჩაიწერება:

დებეტი ანგარიშში 140-4 საბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ჩაბარებული ამონაგების მიხედვით ფულბარათების ოპერაციების ბალანსთან.

კრედიტი ანგარიშში 270 საექსპლოატაციო შემოსავალი.

088 ანგარიშს „სალარო“ არ ეხებიან, რადგან კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში მთელ საშემოსავლო ამონაგებს ფულბარათების თანხებში რიცხავენ. სახბანკში საანგარიშსწორებო № 0 ანგარიშში ფულის გადარიცხვას აწარმოებენ № 3 საანგარიშსწორებო ანგარიშიდან.

270 საექსპლოატაციო შემოსავალის ანგარიშის ნაშთი ყოველთვის კრედიტისაა. წლის ბოლოს, 31 დეკემბერს, წლის მთელი საექსპლოატაციო შემოსავლის თანხას ამ ანგარიშიდან გადარიცხავენ 142 ანგარიშის ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის თავის სამმართველოსთან საექსპლოატაციო შემოსავლებით „დებეტში“.

საექსპლოატაციო შემოსავლის ანალიზურ აღრიცხვის ჩანაწერების შედეგების საფუძველზე ავსებენ კვარტალური და წლიური ანგარიშის ცხრილს „საექსპლოატაციო შემოსავალი“. ამ ცხრილის მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ, თუ როგორ არის საექსპლოატაციო შემოსავალთა გეგმა შესრულებული.

საექსპლოატაციო ხარჯების აღრიცხვა

საწარმოო გეგმის შესრულების დროს კავშირგაბმულობის თითოეული საწარმო ეწევა სხვადასხვაგვარ ხარჯებს კავშირგაბმულობის სა-

შუალებათა ექსპლოატაციისათვის. ამას ეკუთვნის საწარმოსა და აღმინისტრაციულ-სამეურნეო აპარატის შენახვის ხარჯები, ფულადი და მატერიალური ხარჯები ელექტრული კავშირგაბმულობის ხაზის ნაგებობათა და სადგურის მოწყობილობათა ექსპლოატაციისა, საფოსტო კავშირის საშუალებათა ექსპლოატაციის და აგრეთვე საწარმოს სამეურნეო მომსახურების ხარჯები.

დანახარჯებს, რომელსაც აწარმოებენ კავშირგაბმულობის ყველა სახის საშუალებათა ექსპლოატაციისათვის, საექსპლოატაციო ხარჯები ეწოდება.

საექსპლოატაციო ხარჯების მოცულობას ითვალისწინებენ საფინანსო გეგმაში.

საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანაში შედის უზრუნველყოს კონტროლი საექსპლოატაციო ხარჯების გეგმის შესრულებაზე კავშირგაბმულობის როგორც თითოეული დარგის, ისე ხარჯების ელემენტების მიხედვით, როგორც, მაგალითად, აღრიცხვა სატელეგრაფო კავშირის სადგურის მოწყობილობათა შენახვისა და რემონტის ხარჯების, აღრიცხვა ფოსტის ავტოტრანსპორტით გადაზიდვის ხარჯებისა და ა. შ.

საექსპლოატაციო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებენ დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით წლის ბოლომდე მზარდი ჯამებით აქტიურ ანგარიშში 050 საექსპლოატაციო ხარჯები.

დეტალურ (ანალიზურ) აღრიცხვას ახორციელებენ მრავალსვეტიან ბარათებზე, რომლებსაც ხსნიან კავშირგაბმულობის თითოეული დარგისათვის ცალკე (ხარჯების მუხლისათვის). თითოეული სვეტის ზემო ნაწილში აწერენ საექსპლოატაციო ხარჯების მუხლის სახელწოდებას.

ანგარიშში 050 საექსპლოატაციო ხარჯები და დეტალური აღრიცხვის ბარათებში ჩაწერას აწარმოებენ ყოველდღიურად. ჩაწერის საფუძველს წარმოადგენს კავშირგაბმულობის კანტორისა და ნისი ანგარიშვალდებული საწარმოების მუშაკებისათვის ხელფასის გასაცემი საგადასხდელი უწყისები, მასალების გაცემის მოთხოვნილებანი, საწესაო ჟურნალები, მცირეფასიანი საგნების გაცემის დარიცხვის უწყისები, ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშები, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირების ანგარიშები შესრულებული სამუშაოებისათვის და სხვ. (იხ. გან. I).

ანგარიშს 050 საექსპლოატაციო ხარჯები აღებეტიებენ ფაქტიურად გაწეული და დარიცხული (კონსტანტირებული) საექსპლოატაციო ხარჯების თანხებით.

საექსპლოატაციო ხარჯების გაწევა ნებადართულია მხოლოდ საექსპლოატაციო სახსრებიდან, რომლებსაც საფინანსო გეგმის ფარგლებში დებულობენ კაეშირკაბმულობის სამმართველოდან.

მოგვყავს საექსპლოატაციო ხარჯების აღრიცხვაში გამოხატვის მაგალითი:

- | | |
|---|-------------|
| 1. კაეშირკაბმულობის სწარმოთა პერსონალს ერგება ხელფასი | 10 000 მან. |
| 2. მუშა-პოსანსახურეთა ხელუასხე დარიცხულია სოციალური და-
ხლვევა | 610 მან. |
| 3. საბლაქთაშორისო ხაზის ნაგებობათა საშუალო რემონტისათვის
დახარჯულია მასალები | 3 000 მან. |
| ან სამუშურნეო ოპერაციების მიწვედით წარმოებს ანგარიშების ასეთი კორესპონ-
დენცია: | |
| 1. დებეტი ანგარიში 030 საექსპლოატაციო ხარჯები (§ 9, მუხ. 1)
კრედიტი ანგარიში 129 მუშა-პოსანსახურეი ხელფასით | 10 000 მან. |
| 2. დებეტი ანგარიში 020 საექსპლოატაციო ხარჯები (§ 9, მუხ. 3)
- კრედიტი ანგარიში 117 დანარჩენი დებიტორები და კრედი-
ტორები (სოცდაზღვევა ანარიცხეიო) | 610 მან. |
| 3. დებეტი ანგარიში 030 საექსპლოატაციო ხარჯები (§ 4,
მუხ 10 ბ) კრედიტი ანგარიში 022 მასალები | 3.000 მან. |

ყოველი წლის 31 დეკემბერს საექსპლოატაციო ხარჯების საერთო თანხა გადააქეთ საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით ანგარიშსწორებათა ანგარიშის დებეტში.

საექსპლოატაციო ხარჯების ანალიზური აღრიცხვის ბარათებში ჩანაწერების ჯამები წარმოადგენს საფუძველს კვარტალური და წლიური ანგარიშების ცხრილების შენავესებად „საექსპლოატაციო ხარჯები“ და „ანგარიში რეგისტრებული პერსონალის რაოდენობის შესახებ“.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაწეულ, მაგრამ მომავალ საანგარიშო პერიოდების კუთვნილ ხარჯებს ცალკე 150 მომავალი პერიოდების ხარჯების ანგარიშში აღრიცხავენ.

ასეთ ხარჯებს ეკუთვნის:

1. ხარჯები იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტისა (მაგალითად, შენობების), თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის მათი იჯარის მიმცემის ხარჯზე წარმოება.

ეს ხარჯები ნაწილ-ნაწილ და ყოველთვიურად გადაიტანება საექსპლოატაციო ხარჯებზე მუხლით „საიჯარო ქირა“. ამასთან ეს გადატანა წარმოებს სხვადასხვა თანხის რაოდენობით დროის მთელი პერიოდის განმავლობაში შემდგომ კაპიტალურ რემონტამდე (ხელშეკრულების თანახმად).

2. ხარჯები რკინიგზის ზილებების შესაძენად ტექნიკური პერსონალის სასამსახურო მგზავრობისათვის. ბიუჯეტის გამოყენების შესაბამისად მათი ღირებულება დაეწერება საექსპლოატაციო ხარჯებს.

3. ხარჯები გახეთქებზე ხელის მოწერის სასამსახურო სარგებლობისათვის.

ამ ხარჯებს ახალ საანგარიშო წელში ჩაპოწერენ ანგარიშში 050 საექსპლოატაციო ხარჯები.

10. მიწაობრივი დანიშნულების სახსრებისა და სამციალური ფონდების აღრიცხვა

გარდა საექსპლოატაციო ხარჯებისათვის დანიშნული სახსრებისა კავშირგაბმულობის საწარმოებს აქვთ კიდევ ნიჰნობრივი დანიშნულების სახსრები.

მათ მიეკუთნება: სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები მასობრივი კადრების მოსამზადებლად, საბავშვო ბაღების შესანახად, აგრეთვე საპრემიო ფონდი და საწარმოს უსუროსის ფონდი.

სახსრებს კადრების მოსამზადებლად და საბავშვო ბაღების შესანახად კავშირგაბმულობის საწარმოები ღებულობენ თავიანთ სამმართველოდან, რომელიც ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ თანხას რიცხავს № 2 ანგარიშზე სახბანკში ან კავშირგაბმულობის საწარმოს უფლებას ანიჭებს უშუალოდ ნიიღოს საშუალებანი აღვიღზე საბიუჯეტო ანგარიშიდან, რომელიც ამ ნიშნებისათვის იხსნება სახბანკის ადგილობრივ ფილიალში.

პირველ შემთხვევაში კადრების მოსამზადებლად სახსრის მიღებას აღრიცხავენ შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

ღებეტი ანგარიში C93 ანგარიშსწორების ანგარიში № 2 სახბანკში.

კრედიტი ანგარიში 233-1 მიწნობრივი დაფინანსება მასობრივი კადრების მომზადებისა.

ამრიგად, ბალანსის პასივში ელინღება მიწნობრივი დანიშნულების დიფანანსების წყარო. ამ სახსრების ანგარიშში აწარმოებენ ხარჯებს სახბანკის მეშვეობით და უშუალოდ სალაროდან ან ანგარიშვალღებული პირების საშუალებით.

მასობრივი კადრების მომზადების ხარჯების აღსარიცხავად ცალკე საბალანსო ანგარიში არ არსებობს; ამ ხარჯებს ატარებენ უშუალოდ № 233-1 ნიწნობრივი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მასობრივი კადრების მოსამზადებლად — ანგარიშის ღებეტს.

წლის ბოლოს № 2 ანგარიშსწორების ანგარიშის გამოუყენებელი სახსრების ნაშთს ურიცხავენ კავშირგაბმულობის სამმართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსების სათანადო წყაროების აღსადგენად; ამასთან აღებუტებენ მიზნობრივ დაფინანსების ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მასობრივი კადრების მომზადებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან იძლევიან აგრეთვე სახსრებს კავშირგაბმულობის საწარმოებთან არსებული საბავშვო ბაღების შესანახადაც. საბავშვო ბაღების შენახვის დაფინანსების და მისი ხარჯების აღრიცხვის წესი ბუღალტერიაში ისეთივეა, როგორც ეს აღვნიშნეთ მასობრივი კადრების მომზადების აღრიცხვის წესის განხილვის დროს. აღრიცხვას თავს უყრიან ანგარიშში 233-2 საბავშვო ბაღების მიზნობრივი დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საბავშვო ბაღისათვის კვების პროდუქტებს აღრიცხავენ ანგარიშში 022 მასალები.

გარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებისა, საბავშვო ბაღების შესანახად სახსრები შემოდის მშობლებიდან. ამ სახსრებს აღრიცხავენ (იალკე ანგარიშში 233-3 საბავშვო ბაღის მიზნობრივი დაფინანსება მშობლების ანგარიშზე).

საპრემიო ფონდი წარმოიქმნება ყოველთვიურად ხელფასის ფონდის 2% ფარგლებში. ეს თანხა გათვალისწინებულია საფინანსო გეგმის საგასავლო ნაწილის მე-9 პარაგრაფის 26-ე მუხლით.

საპრემიო ფონდის სახსრები ინახება სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე № 2. გარდა პრემიების გაცემისა ეს სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას შრომის ასანაზღაურებლად პრემიალურ-წამახალისებელი სისტემებით.

აღრიცხვაში ფონდის წარმოქმნას და მის ხარჯვას გამოსახავენ 206-4 ანგარიშში სპეციალური ფონდები (საპრემიო ფონდი).

პრემიებს აძლევენ საწარმოს უფროსის ბრძანებებისა და განკარგულებათა საფუძველზე.

ნაშთი ანგარიშისა 206-4 „საპრემიო ფონდი“ შეიძლება იყოს მხოლოდ კრედიტის და მას პერიოდულ ანგარიშგებაში უჩვენებენ ბალანსის პასივში.

წლის ბოლოს ფონდის გამოუყენებელ სახსრებს გადარიცხავენ 143 ექსპლოატაციისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსების ანგარიშსწორებათა ანგარიშის კრედიტში.

კავშირგაბმულობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სოციალისტური შედეგების დასაჯილდოებელი სახსრები გადაირიცხება კავშირგაბმულობის სამმართველოს ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკში. ამ ოპერაციების მიხედვით დაწესებულია ანგარიშების შემდეგი კორექსპონდენცია:

1. დებეტი ანგარიში 167 ანარიცხები კავშირგაბმულობის საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით დასაჯილდოებლად.

კრედიტი ანგარიში 234 შემოსავალი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე საწარმოების დასაჯილდოებლად.

2. დებეტი ანგარიში 092 ანგარიშსწორების ანგარიში № 1 სახბანკში.

კრედიტი ანგარიში 143 ანგარიშსწორებანი ექსპლოატაციისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით.

3. დებეტი ანგარიში 234 შემოსავალი კავშირგაბმულობის მუშაკების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე საწარმოთა დასაჯილდოებლად.

კრედიტი ანგარიში 088 სალარო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წ. დადგენილებით კავშირგაბმულობის დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმოებისათვის დაწესებულია საწარმოს უფროსის ფონდი. ეს ფონდი ხელს უწყობს კავშირგაბმულობის საწარმოს თითოეული უფროსის ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას საგვემო დავალებათა შესრულების საქმეში—საექსპლოატაციო შემოსავლის, კავშირგაბმულობის ყველა დარგისა და სახის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების და მომსახურების თვითღირებულების შემცირების დარგში.

საწარმოს უფროსის ფონდის წარმოქმნის წყაროს წარმოადგენს ზეგეგმური საექსპლოატაციო შემოსავალი და დაგეგმილი საექსპლოატაციო ხარჯების ეკონომია.

კავშირგაბმულობის იმ საწარმოებში, რომელთათვის გეგმაში გათვალისწინებული არ არის საექსპლოატაციო შემოსავლის მიღება (სახზო-ტექნიკური და საკაბელო კვანძები, რადიოსადგურები, ფოსტის

რკინიგზით გადაზიდვის განყოფილებები (ОИИ) და ფულბარათების საკონტროლო ბიურო (ИКИ), უფროსის ფონდი იქმნება სახსრების ეკონომიის 15 პროცენტის ანგარიშზე, რომელიც გეგმით გათვალისწინებულ საექსპლოატაციო ხარჯებიდან მიიღება.

სავალდებულო პირობას, რომელთა შეუსრულებლობისას საწარმოს უფროსის ფონდში გადარიცხვა არ შეიძლება მოხდეს, წარმოადგენს:

გადახარჯების უქონლობა საექსპლოატაციო ხარჯების წლიური ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ, მასალების იმ ხარჯების მხედველობაში მიღებით, რომელიც გამოწვეულია ტელეფონის აპარატების და რადიოსატრანსლაციო წერტილების (კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებისათვის) დადგმის გეგმის გადაქარბებით შესრულებისას;

შესრულება წერილობითი კორესპონდენციის თსიანი გაცვლის გეგმის, ფულის ბარათებით, ტელეგრაფების, ტელეფონით დალაპარაკებათა მიხედვით ქალაქის სატელეფონო ქსელებისა და რადიოსატრანსლაციო წერტილების აბონენტთა ნამატის გეგმის, მაუწყებლობის საათების გეგმის (კავშირგაბმულობის კანტორების, ქალაქის სატელეფონო ქსელების, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურებისა და რადიოსატრანსლაციო კვანძებისათვის);

შესრულება რადიოსატელეგრაფო გაცვლისა (რადიოსადგურებისათვის);

შესრულება ელექტრული კავშირის ხაზის ნაგებობათა რემონტის გეგმისა შეფასებით არანაკლებ, ვიდრე დამაკმაყოფილებელი, აგრეთვე ხაზის ნაგებობების დაზიანებათა რაოდენობის შემცირების დავალებათა შესრულება (სახზო-ტექნიკური კვანძებისათვის);

საწარმოო გეგმის შესრულება და ფოსტის გატარებათა უქონლობა (ფოსტის რკინიგზით გადაზიდვის განყოფილებებისათვის);

გზავნილებათა დოკუმენტაციის კანტორის დამაკმაყოფილებელი ხარისხი და დოკუმენტალური რევიზიების გეგმის შესრულება (ფულბარათების საკონტროლო ბიუროებისათვის).

ამ პირობების შესრულებისას უფროსის ფონდში გადარიცხება საექსპლოატაციოს შემოსავლის გეგმის გადაქარბებით შესრულების თანხის 15% და დაგეგმილი საექსპლოატაციო ხარჯების ეკონომიის 15%.

საექსპლოატაციო შემოსავალთა გეგმის გადაქარბებით შესრულების საერთო თანხის 3% (15% რიცხვიდან) გადარიცხება კავშირგაბმულობის სამინისტროს განკარგულებაში კავშირგაბმულობის იმ

საწარმოთა წასახლისებლად, რაზედღათვის გეგმით არ არის გათვალისწინებული საექსპლოატაციო შემოსავალი.

წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში გადარიცხვას უფროსის ფონდში აწარმოებენ წლიური 15% ნორმის 50% პროცენტის რაოდენობით (7,5%), აბასთან მხოლოდ შემოსავალთა გეგმის გადაკარბებით შესრულების თანხიდან, რაც შეადგენს 6% საწარმოს განკარგულებაში და 1,5% კაპიტრგაბმულობის სამინისტროს განკარგულებაში, მზარდი გეგმური და საანგარიშგებო ჩავენებლებით (სააგანსო გადარიცხვებით).

მეორე კვარტალში ანარიცხების გაანგარიშებისას, წინათ, ე. ი. პირველ კვარტალში ნახდენილ—ანარიცხებს განორიციხავენ. ნესამე კვარტალში განორიციხავენ პირველი და მეორე კვარტალის ანარიცხებს. წლის განმავლობაში ნიღებული ეკონომიის თანხიდან, აგრეევე მეოთხე კვარტალში შემოსავალთა გეგმის გადაკარბებით შესრულების თანხიდან ფონდში სააგანსო ანარიცხებს არ ახდენენ.

საანგარიშო წლის განმავლობაში ანარიცხების საბოლოო თანხას ანგარიშობენ წლიური ანგარიშის მონაცემების მიხედვით. მაგრამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად წლის განმავლობაში ანარიცხების თანხა ცოცხელი საწარმოს ძირითადი პერსონალის ხელუხასის წლიური ფონდის 5% მეტია არ უნდა იყოს. მხოლოდ ამ ფარგლების გათვალისწინებით განსაზღვრავენ თანხას, რომელიც უნდა ჩაირიციხოს უფროსის ფონდში.

თე სამი კვარტალის განმავლობაში ნიღებული სააგანსო ანარიცხების თანხა მეტი აღმოჩნდება წლის წედეგებით დადგენილ თანხაზე, მაშინ განსხვავების რაოდენობით ანცირებენ ფონდის ჯერ კიდევ დაუხარჯავ ნაწილს, ხოლო ნაწილის უქონლობის დროს დაუფარავ ნაწილს სტოვებენ ბალანსის აქტივში ანგარიშზე საწარმოთა უფროსის ფონდი.

საწარმოთა უფროსის ფონდში გადასარიცხავი თანხების საბუღალტრო აღრიცხვაში გაზოსატვის საფუძველს წარმოადგენს კაემირგაბმულობის სამინისტროს სამპარტეელოს მიერ (საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური) დამტკიცებული ანგარიშსწორებანი. დადგენილი ფორმით ამ ანგარიშსწორებებს გზავნიან სამპარტეელოში პირველი სამი კვარტალისა და წლიურ ანგარიშებთან.

უფროსის ფონდის საასრებს ინახავენ ანგარიშსწორების ანგარიშზე № 2 სახბანკში; ნათ მკაცრი მიზნობრივი დანიშნულება აქვთ: ყველა სახსრების 50% შეიძლება დაიხარჯოს საწარმოს გასათვართოებლად,

საბინაო ფონდის მშენებლობასა და რემონტზე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის ზევით, სახსრების დანარჩენი ნაწილი იხარჯება საწარმოთა მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ინდივიდუალური პრემიების გასაცემად, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების საგზურების შესაძენად, აგრეთვე მატერიალური დახმარების გასაწევად საწარმოს მუშაკებისათვის.

სახსრების განაწილებას მიზნობრივი დანიშნულებისამებრ აფორმებენ ხარჯთაღრიცხვით, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ პროფესიულ ორგანიზაციასთან, ხარჯთაღრიცხვაში განისაზღვრება აგრეთვე სახსრების საერთო თანხა, რომელიც განკუთვნილია კაპიტალური დაბანდებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

უფროსის ფონდის წარმოქმნისა და ხარჯვის ოპერაციებს გამოხატავენ ბალანსის შემდეგ ანგარიშებში:

166 საწარმოს უფროსის ფონდის ანარიცხები.

206 სპეციალური ფონდი, მეორე რიგის ანგარიშები (ქვეანგარიშები).

206-2 საწარმოს უფროსის ფონდი მეურნეობის გასაფართოებლად.

206-3 საწარმოს უფროსის ფონდი მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის.

ანგარიში 166 უფროსის ფონდის ანარიცხები—აქტიურია, ამ ანგარიშის დებეტში ყოველკვარტალურად წერენ უფროსის ფონდში გადარიცხულ თანხებს. წლის ბოლოს ანგარიში არ იხურება, მის ნაშთს უჩვენებენ ბალანსის აქტივში.

კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წლიური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ გადარიცხული თანხა ახალ წელში გადააქვთ 143 საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით ანგარიშსწორებათა ანგარიშის დებეტში, ზემოჩამოთვლილი ქვეანგარიშების ანგარიშების 206 კრედიტები სპეციალური ფონდები (პასიური ანგარიში) აღრიცხავენ საწარმოს უფროსის ფონდში გადარიცხულ თანხებს მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით.

ანგარიშს 206 სპეციალური ფონდები (ქვეანგარიშები 2 და 3) ადებეტებენ კავშირგაბმულობის სამინისტროს განკარგულებაში დაწესებული რაოდენობის თანხებით, კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტისათვის (თანახმად ხარჯთაღრიცხვისა) დანიშნული თანხებით (უფროსის ფონდის ანგარიშის), აგრეთვე ფონდში წინათ მოხდენილი გადარიცხვების შეცვლისას და დანარჩენი ხარჯების თანხებით.

კავშირგაბმულობის სამინისტროში ანარიცხი თანხების მიხედვით ფულად ანგარიშსწორებებს სახბანკის საშუალებით არ აწარმოებენ; ანარიცხ თანხებს წერენ 143 საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით ანგარიშსწორებათა ანგარიშის კრედიტში.

კაპიტალდაბანდებებისა და კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი თანხებით აკრედიტებენ ანგარიშს 232 გეგმისგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება.

კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტისათვის უფროსის ფონდის ანგარიშზე წარმოებულ ხარჯებს აღრიცხავენ ჩვეულებრივი წესით ანგარიშში 012 კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის გარეშე კაპიტალური ხარჯები.

ნაშთი ანგარიშისა 206 სპეციალური ფონდები მე-2 და მე-3 ქვეანგარიშების მიხედვით ნიშნავს უფროსის ფონდის ჯერ კიდევ გაუხარჯავ ნაწილს და გადადის შემდეგ წელში.

მე-2 და მე-3 ქვეანგარიშების ჩანაწერები შესაძლებლობას გვაძლევს შევავსოთ ცხრილი „უფროსის ფონდის მოძრაობის ანგარიში“.

განვიხილოთ კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის ფონდში გადარიცხვათა ანგარიშსწორებისა და ბალანსის ანგარიშებში ამ ფონდის ხარჯვის დარიცხვისა და აღრიცხვის მაგალითი.

დავუშვათ, რომ კავშირგაბმულობის კანტორამ საექსპლოატაციო შემოსავლის გეგმა 214000 მანეთის გადაკარბებით შეასრულა, ხოლო წლის განმავლობაში ეკონომიამ საექსპლოატაციო ხარჯებში გეგმის წინააღმდეგ შეადგინა 26 600 მანეთი. უფროსის ფონდის წარმოქმნის ყველა პირობა შესრულებულია, გეგმის წინააღმდეგ საექსპლოატაციო სახსრების გადახარჯვას ადგილი არ ჰქონია, სამუშაოთა გეგმა როგორც მოცულობის, ისე ხარისხის მიხედვით შესრულებულია. არ მომხდარა ფასების შეცვლა მასალებზე, რკინიგზის ტარიფებზე, მასალებისა და სათბობის ძირითადი სახეების გეგმიანი წესით შეცვლა, ხელფასის განაკვეთების, მათი დანარიცხების შეცვლა, კომუნალური მომსახურების გამომუშავების ნორმებისა და ტარიფების შეცვლა, ე. ი. არ ყოფილა საწარმოს საწარმოო საქმიანობაზე დამოკიდებული მიხეხვები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფაქტიურად მიღებული ეკონომიის სიდიდებზე. ამ შემთხვევაში მოცემული საწარმოს უფროსის ფონდში ჩარიცხავენ:

ა) ხეგემურ შემოსავლის თანხიდან $\frac{214\ 000 \times 15}{100} = 32\ 000$ მან.

ბ) ეკონომიის თანხიდან $\frac{26\ 600 \times 15}{100} = 4000$ მან.

ე. ი. სულ 36 000 მან.

დაეუშვათ, რომ ხელფასის წლიური ფონდის 5% შეადგინა 40 000 მან., მაშინ ჩვენს მიერ ნააჩარჩივეი უუროსის ფონდის ანარიცხების თანხის (36 000 მან.) შეცვლა საჭირო არ არის.

ამ თანხიდან კავშირგაბმულობის სამინისტროს გადავცემთ

$$\frac{214\,000 \times 3}{100} = 6\,420 \text{ მან.}$$

მაგრამ ხელფასის წლიური ფონდის 5% რომ ყოფილიყო, მაგალითად, 32 000 მან., მაშინ ჩვენ მაგვიზღებოდა უუროსის ფონდში გადაგვერიცხა არა 36 000 მან., არამედ მხოლოდ 32 000 მან.

შენდობი გადმოცემისას ვიგულისხმობ, რომ ხელფასის ფონდის 5% აღმატება უუროსის ფონდში გადასარიცხ ჩვენს მიერ გამოანგარიშებულ თანხას და, რომ ადგილი ჰქონდეს შედეგ სამეურნეო ოპერაციებს:

1. პირველი სამი კვარტალის განმავლობაში საქაჟალაოტაციო შემოსავლთა გეგმა 160 000 მან. გადაჭარბებით არის შესრულებული, მაშინ ნორპების თანახმად პირველი სამი კვარტალის განმავლობაში უუროსის ფონდში გადარიცხული იქნება

$$\frac{160\,000 \times 7,5}{100} = 12\,000 \text{ მან.}$$

2. ამ თანხიდან კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდში გადარიცხულია

$$\frac{160\,000 \times 1,5}{100} = 2\,400 \text{ მან.}$$

3. გადარიცხულია ანგარიშსწორების ანგარიშიდან № 1 ანგარიშსწორების ანგარიშზე № 2 სახბანკში 9 600 მან.

4. ხარჯთაღრიცხვის თანახმად ლიმიტკარგეჲ კაპიტალურ დაბანდებბათა დაფინანსებისათვის გადარიცხულია (9 600 მან. 50%) 4 800

5. წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის თანახმად საცხოვრებელი სახლის მიიღანაოე რეპონტისათვის (შუალედი ანგარიშები არ არის მოყვანილი) 3 000

6. გარეოსათვის შეძენილია მოწყობილობა 4 800

7. სუბანოველეს მიეცათ პრემია (შუალედი ანგარიში—სალარო არ არის მოყვანილი) 1 800

8. წლის შედეგების მიხედვით დამატებით გადაირიცხა ფონდში (36 000—12 000) 24 000

9. დამატებით ჩარიცხა კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალიზებულ ფონდში (6 420—2 400) 4 020

10. გადარიცხულია ანგარიშსწორების ანგარიშიდან № 1 ანგარიშსწორების ანგარიშზე სახბანკში 19 980

11. ხარჯთაღრიცხვის თანახმად ლიმიტკარგეჲ კაპიტალურ დაბანდებბათა დასაფინანსებლად გადარიცხულია (19 980 მან. 50%) 9 990

12. გარჯის შექმნილი მოწყობილობის ღირებულება მიეკუთვნება ლიმიტარულ კაპიტალურ დაბანდებათა შემოკრებას 4 800

13. იმავდროულად იხრითადი საშუალებანი შემოსავალში გატარებულია 4 800

14. ახალი წლის წლიური ანგარიშის დაბტკიცების შემდეგ გადარიცხვითა თანხა დაეწევა კავშირგაბმულობის ს. მ. მართველასთან ანგარიშგორებას (ანგარიში 14) 36 000

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სამეურნეო თერატიები ბალანის ანგარიშები ანუ გამიხატება (ადგილის ეკონომიის მიზნით შეღებო ანგარიშების ჩანაწერები არ მოგვყავს, ხოლო ჩანაწერები (დალე ქვე-ანგარიშების მიხედვით სპეციალური ფონდები გაერთიანებულია ერთ ანგარიშში უფროსია ფონდი:

ანგარიში 166 უზკრის ფონდის ანგარიშები

დებეტი	კრედიტი
1) 12 000	14) 36 000
8) 24 000	(ხალ წელს კავშირგაბმულობის შერე წელ უნაი ანგარიშის დაბტკიცების შემდეგ)

ანგარიში 206 უზკრის ფონდი

დებეტი	კრედიტი
2) 2 400	1) 12 000
4) 4 800	8) 24 000
5) 3 000	
7) 1 800	
9) 4 000	
11) 9 990	

ანგარიში 232 გიგანის ბარემო კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება

დებეტი	კრედიტი
11) 4 800	4) 4 800
	12) 9 990

ანგარიში 012 კაპიტალური ბარემანი კაპიტალურ საგმ-სათათა გიგანის ბარემო

დებეტი	კრედიტი
6) 4 800	12) 4 800

ანგარიში 001 ძირითადი საშუალებანი

დებეტი	კრედიტი
13) 4 800	

ანგარიში 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდი

დებეტი	კრედიტი
	13) 4 800

ანგარიში 092 ანგარიშსწორების ანგარიში № 1 სახბანკში

დებეტი	კრედიტი
	3) 9 600
	10) 19 980

ანგარიში 093 ანგარიშსწორების ანგარიში № 2 სახბანკში

დებეტი	კრედიტი
3) 9 600	5) 3 000
10) 19 980	7) 1 800

ანგარიში 143 ანგარიშსწორებანი სამსკლოატაციო
ხარჯების დაწინაანსებით

დებეტი	კრედიტი
14) 36 000 (ახალ წელს კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ წლიური ანგარი- შის დამტკიცების შემდეგ)	2) 2 400 9) 4 020

თუ კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის ფონდის სახსრების ანგარიშზე შექმნილი იყო მცირეფასიანი საგნები მაშინ ეს სამეურნეო ოპერაცია საბუღალტრო აღრიცხვაში ასე ჩაიწერება:

ანგარიშების მიხედვით მცირეფასიანი საგნების ღირებულების გა-
დახდა:

დებეტი ანგარიში 206 საწარმოს უფროსის ფონდი
კრედიტი ანგარიშისა 092 ანგარიშსწორების ანგარიში № 2
სახბანკში.

იმავედროულად მცირეფასიანი საგნების ღირებულებას ჩაწერენ
016 მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ანგარიშის დებეტში
200-2 საბრუნავ საშუალებათა ფონდის ანგარიშის კრედიტში.

11. ძირითად საშუალებათა აღრიცხვა

კავშირგაბმულობის მეურნეობაში ძირითად საშუალებებს ეკუთვ-
ნის: ელექტრული კავშირის ხაზის ნაგებობანი და სადგურის მოწყობი-
ლობა, საფოსტო კავშირის მოწყობილობა, ენერგეტიკული მოწყობილო-
ბა, სახელოსნოების მოწყობილობა, ინსტრუმენტები, საწომი ხელსა-
წყოები, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების
შენობები, ტრანსპორტი, ინვენტარი და ა. შ.

შექმნანი, ახალი მშენებლობა, ძირითად საშუალებათა გაფართოე-
ბა და რეკონსტრუქცია მეტწილად ფინანსდება გეგმიანად სახელმ-
წიფო ბიუჯეტიდან სამრეწველო ბანკის მეშვეობით.

ამ სახსრების მიღების წყაროებს და ხარჯებს ამ მიზნებისათვის
კაპიტალდაბანდებათა ცალკე ბალანსზე აღრიცხავენ.

კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსიდან ძირითადი საქმიანობის
ბალანსზე მიიღება მშენებლობის მხოლოდ დამთავრებულ ობიექტები
და შენობები.

ზოგიერთი სახის ძირითადი საშუალებანი შეიძლება აგრეთვე შეძენილ იქნას იმ სახსრების ანგარიშზედაც, რომელიც გათვალისწინებულია კავშირგაბმულობის საწარმოს ძირითადი საქმიანობის საფინანსო გეგმაში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 19 სექტემბრის დადგენილების წესით. ამ კაპიტალურ დაბანდებებს, გეგმიანიდან განსხვავებით, ლ ი მ ი ტ გ ა რ ე შ ე (არაცენტრალიზებული) ეწოდება, ფინანსდება სახბანკის საშუალებით და აღირიცხება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე.

მშაობის პროცესში ზოგიერთი სწრაფცვეთარ და მცირეფასიან ქონებრივ ფასეულობათა მიმართ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 29 ივლისის დადგენილებით დაწესებულია მათი შეძენის დაფინანსებისა და ძირითად საშუალებათა ბუღალტრული აღრიცხვიდან განსხვავებული წესი. ისინი ძირითად საშუალებებს არ მიეკუთვნება და ჩაირიცხება ბრუნვაში მყოფ საშუალებათა რიცხვში, ე. ი. ისინი მიეკუთვნება მატერიალურ ფასეულებათა ჯგუფს, რომელიც შეიძინება საბრუნავი საშუალებებიდან.

გარდა მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნებისა, ძირითად საშუალებებს არ ეკუთვნის:

დასადგმელად დანიშნული დაუმონტაჟებელი მოწყობილობა, რომელიც შეძენილია ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებიდან (მის ექსპლოატაციაში შეყვანის მომენტამდე);

გასაყიდად დანიშნული საგნები (საქონელი);

ძირითად საშუალებათა სათადარიგო ნაწილები;

მოზარდი პირუტყვი, რომელსაც არ მიუღწევია სამუშაო ასაკისათვის;

გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი შემდგომი რეალიზაციისათვის (დამზარე მეურნეობებში);

ძირითადი საშუალებანი განსაზღვრავენ საწარმოს საწარმოო შესაძლებლობებს, ხოლო ამით მნიშვნელოვნად მის საწარმოო და საფინანსო საქმიანობის მოცულობასაც.

ძირითად საშუალებათა სწორად გამოყენებისა და დაცვის ზუსტ, მკაფიო აღრიცხვას და კონტროლს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძირითადი საშუალებანი დაიყოფა:

კუთვნილების მიხედვით — საკუთარი და იჯარით აღებული;

დანიშნულების მიხედვით — საწარმოო და არასაწარმოო;

გამოყენების მიხედვით — მოქმედი და უმოქმედო;

საკუთრად ითვლება ძირითადი საშუალებანი მიღებული კავშირგაბმულობის მოცემული საწარმოს მიერ თავის სამმართველოსაგან დაარსება-ჩამოყალიბების დროს, აგრეთვე ისეთიც, რომელიც შემდგომ შეპოვიდა კაპიტალურ დაბანდებათა გზით ან უსასყიდლოდ.

იჯარის პირობებით გამოყენებული ძირითადი საშუალებანი, აღი-რიცხება საკუთარისაგან განცალკევებით ბალანსგარეშე ანგარიშში.

კავშირგაბმულობის საწარმოებში საწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებებს ეკუთვნის ნავევობანი და მოწყობილობა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კავშირის გასორციელებაში, აგრეთვე შენობები და სხვა ძირითადი საშუალებანი, რომლებიც მომსახურებას უწყვენ საწარმოო საჭიროებებს.

არასაწარმოოდ ითვლება ისეთი ძირითადი საშუალებანი რომლებიც განკუთვნილია კავშირგაბმულობის მუშაკების საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, საცხოვრებელი სახლები და მათი მოწყობილობა).

მოქმედს წარმოადგენს ძირითადი საშუალებანი, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობას ღებულობენ საწარმოო პროცესში, აგრეთვე რეზერვად გამოყენებული მოწყობილობა (მაგალითად, ტელეგრაფის აპარატები, დაღმულე ტელეგრაფზე შესაცვლელი კავშირის მოქმედების შეწყვეტისას და ა. შ.).

უმოქმედო ძირითად საშუალებებს ეკუთვნის საწყობში მარაგად მყოფი კომპლექტური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ავარიების გამო ექსპლოატაციიდან სარემონტოდ გასულ ძირითად საშუალებათა შესაცვლელად, აგრეთვე ექსპლოატაციიდან მოხსნილი მოწყობილობა, რომელიც, თუცა წოთხოვს რემონტს, მაგრამ კიდევ არ დაუკარგავს თავისი საწარმოო დანიშნულება.

უმოქმედო ძირითად საშუალებათა ჯგუფს მიეკუთვნება ის ძირითადი საშუალებანიც, რომელიც გამოგზავნა კავშირგაბმულობის სამმართველომ, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული მოცემული საწარმოს მიერ, ე. ი. გზაში მყოფი.

ძირითადი საშუალებანი, დადგმული საექსპლოატაციოდ, მაგრამ კავშირგაბმულობის სამმართველოს განკარგულებით ექსპლოატაციაში ჯერ კიდევ არყოფილი, კონსერვაციაში მყოფად ითვლება და უმოქმედოთა ჯგუფში შედის.

ძირითად საშუალებათა საინვენტარო ობიექტს (აღრიცხვის ობიექტს) წარმოადგენს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე თითოეული ცალკე საგანი, მაგალითად, ტელეფონის აპარატი, ავტომობილი; კომპლექტური მოწყობილობა, მაგალითად, ელექტრული კავშირის საპაერო ხაზი განსაზღვრული უბნის ფარგლებში, ბოლოს, სატელეგრაფო აპარატურის კომპლექტი, დაზგა საძირკველით, ნაწლებით და გამშვები რეოსტატით და ა. შ.

კავშირგაბმულობის მეურნეობას მოეპოვება სხვადასხვა სახის ძირითადი საშუალებანი.

აღრიცხვის სწორად აგების მიზნით ძირითადი საშუალებანი გაერთიანებულია ჯგუფებად მათი საწარმოო ფუნქციების ერთგვარობის პრინციპის მიხედვით.

აღრიცხვის გაადვილების მიზნით ძირითად საშუალებათა თითოეულ ობიექტს აკუთვნებენ საინვენტარო ნომერს, რომლითაც ისინი ირიცხება აღრიცხვაში. საინვენტარო ნომრების რეგისტრაცია წარმოებს სპეციალურ უწყისებში, რომელთაც საინვენტარო ნომრების რეგისტრები ეწოდება.

ნიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვაში ძირითად საშუალებებს უჩვენებენ მათი საქმიანობის მთელი ხნის განმავლობაში მათი აშენების ან შექმნის ღირებულებით, მოტანის და დადგმის ხარჯების ჩათვლით. ამ ღირებულებას პირვანდელი ეწოდება, განსხვავებით დარჩენილისაგან, რომლის ქვეშ ესმით პირველდაწყებითი ღირებულება ძირითად საშუალებათა გაცვეთის გამოკლებით.

ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულება შეიძლება შეიცვალოს ნაბოლოდ მთავრობის დადგენილების საფუძველზე ან ახალი ხარჯების გაწვევისას ძირითად საშუალებათა განეთარებისა და რეკონსტრუქციისათვის, თანახმად სამუშაოთა მიღების აქტისა, აგრეთვე ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულება, თუ შეცდომით იყო განსაზღვრული, ამ შემთხვევაში შეცვლა შეიძლება კავშირგაბმულობის სამმართველოს ნებართვით.

საპირა მხედველობაში გვეკონდეს, რომ ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის ხარჯები არ ზრდის მათ პირვანდელ ღირებულებას, არამედ ამცირებს გაცვეთის თანხას, ე. ი. აღიდებს დარჩენილ ღირებულებას.

კავშირგაბმულობის საწარმოებში ძირითადი საშუალებანი მატულობს კაპიტალურ დაბანდებათა გზით, ე. ი. ნაგებობებით, ძირითად

საშუალებათა აშენებით ან დამზადებით, სხვა საწარმოებისაგან შექმნისას, მთავრობის ორგანოების დადგენილებით. სხვა ორგანიზაციებისაგან უსასყიდლოდ მიღებისას, კავშირგაბმულობის მეურნეობაში შიგნით ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ გადანაცვლებით.

ძირითად საშუალებათა მიღებას აფორმებენ: მშენებლობის ობიექტების მიღების აქტით მათი ექსპლოატაციაში შეყვანისას; მიმწოდებლის, მალაზიის ანგარიშით; საწყობის აქტით ძირითად საშუალებათა შექმნაზე ან შეტყობინებით ძირითად საშუალებათა უსასყიდლოდ გადაცემაზე; მიღების აქტით იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებანი მიღებულია ადგილზე, თანახმად კავშირგაბმულობის საწმართველოს განკარგულებისა.

ყველა ამ საბუთში აუცილებლად აღნიშნავენ: როდის და ვისგან შემოვიდა ძირითადი საშუალებანი, მათ ტექნიკურ დახასიათებას, რაოდენობას და ღირებულებას, აგრეთვე გაცვეთის ხარისხს (ექსპლოატაციაში უკვე ყოფილ ძირითად საშუალებათა მიღებისას).

გარდა ამისა, ამ საბუთებზე უნდა იყოს იმ პირის ხელწერილი, რომელმაც მიიღო ძირითადი საშუალებანი.

ძირითად საშუალებათა სახეზე მყოფობას და მოძრაობას აღრიცხავენ აქტიურ ანგარიშში 001 ძირითადი საშუალებანი. ძირითად საშუალებათა მიღების ყველა შემთხვევაში ანგარიშს 001 ძირითადი საშუალებანი ადებეტებენ, ხოლო მოხსნისას ან ლიკვიდაციისას — აკრედიტებენ.

ძირითად საშუალებათა მიღების წყაროს აღრიცხავენ საერთო პასიურ ანგარიშზე 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდი ძირითად საშუალებათა დარჩენილი ღირებულების თანხით, რომელიც აღრიცხულია ანგარიშზე 001 ძირითადი საშუალებანი.

ექსპლოატაციაში მყოფ ძირითად საშუალებათა დეტალურ აღრიცხვას ახორციელებენ საინვენტარობათაში, რომლებიც ერთ ცალად ივსება აღრიცხვის თითოეულ ობიექტზე.

ბარათებს კარტოთეკის შიგნით აჯგუფებენ ქვეანგარიშების მიხედვით, თანახმად ძირითად საშუალებათა კლასიფიკაციისა. ჯგუფის შიგნით ბარათებს ალაგებენ შენახვის ადგილებისა და საინვენტარო ნომრების მიხედვით.

საწყობებსა და გზაში მყოფ ძირითად საშუალებათა დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ ტიპური ფორმის ბარათებში იმ წესით, რომელიც მასალების აღსარიცხავად გამოიყენება.

რთული ობიექტების მთავარი შემადგენელი ნაწილების, მაგალითად, ავტომატური ტელეფონის სადგურის სასადგურო მოწყობილობის აღსარიცხავად იყენებენ ტიპიური ფორმის დამატებითს ბარათს, რომელსაც ძირითადად ერთად ინახავენ.

იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებს აღრიცხავენ საკუთარის ანალოგიურად, მაგრამ ცალკე ბარათებში.

კავშირგაბმულობის საწარმოებიდან ძირითადი საშუალებანი შეიძლება მოიხსნას მთავრობის განკარგულების საფუძველზე უსასყიდლოდ ამოღების გზით, კავშირგაბმულობის სამინისტროს ან სამმართველოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემისას, დაძველების შედეგად ან სტიქიური უბედურების გამო¹.

ძირითად საშუალების გადანაცვლება კავშირგაბმულობის ერთი სამმართველოს საწარმოებს შორის ხდება მხოლოდ კავშირგაბმულობის სამმართველოს განკარგულებით, ხოლო სამმართველოებს შორის—კავშირგაბმულობის სამინისტროს განკარგულებით.

გადანაცვლებულ ძირითად საშუალებათა დროულად მიღებაზე კონტროლის გასაწევად დაწესებულია თავისი სამმართველოსათვის როგორც გამგზავნის, ისე მიმღების მიერ ცნობების გაგზავნა გადაგზავნილ და მიღებულ ძირითად საშუალებათა რაოდენობაზე და ღირებულებაზე.

გაგზავნილს, მაგრამ დანიშნულებისამებრ მიუღწევს საანგარიშო პერიოდის ბოლოს (თვის, კვარტალის, წლის), ძირითად საშუალებებს აღრიცხვაზე იღებენ ის საწარმოები (კავშირგაბმულობის საწარმოები), ვისი მისამართითაც გაიგზავნა საგანი. ამასთან შემოსავალში იღებენ როგორც ძირითად საშუალებებს გზაში.

ძირითად საშუალებათა გასვლას მათი ლიკვიდაციის ან დანაკლისის გამო, აფორმებენ აქტით, რომელიც უნდა დაამტკიცოს კავშირგაბმულობის სამმართველომ.

საწყობიდან ექსპლოატაციაში ძირითად საშუალებებს გადაცემენ მოთხოვნილებით, რომელსაც ხელს აწერენ უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

¹ ხედმეტი ვარგისი და არა საჭირო ძირითად საშუალებათა გაყიდვა აკრძალულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზდიუმის 1941 წ. 10 თებერვლის ბრძანებულებით. ისინი შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანიზაციებს უსასყიდლოდ მხოლოდ კავშირგაბმულობის სამინისტროს ნებართვით.

ექსპლოატაციის პროცესში ძირითადი საშუალება იცვითება. ძირითად საშუალებათა სამუშაო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად პერიოდულად წარმოებს მათი კაპიტალური რემონტი.

მაგრამ კაპიტალური რემონტის შემდეგაც ძირითადი საშუალებანი დროთა განმავლობაში სრულიად უფარგისი ხდება შემდგომი გამოყენებისათვის თავისი პირდაპირი დანიშნულებით და უნდა შეიცვალოს ახლით.

კაპიტალური რემონტისა და მთლიანად გაცეითლ ძირითად საშუალებათა შესაცვლელად ფულადი სახსრები დაერიცხება თანდათან რიგი წლების განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას. საშუალებათა პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი შეიტანება თანდათანობით პროდუქციის თვითღირებულებაში, რომელიც ტოლი იქნება ძირითადი საშუალებების გაცეითის თანხის.

ამ თანხებს საამორტიზაციო ანარიცხები ეწოდება, ხოლო მთლიანად გაცეითლ ძირითად საშუალებათა აღსადგენად დანიშნულ საშუალებათა წყაროს საამორტიზაციო ფონდი.

საამორტიზაციო ანარიცხებს, რომელიც წარმოების ხარჯების ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, ყოველთვის ძირითად საშუალებათა ერთი და იმავე პირვანდელი და არა დარჩენილი ღირებულებიდან ანგარიშობენ.

ამორტიზაციის ნორმების გაანგარიშებას ასე აწარმოებენ: ჯერ განსაზღვრვენ ყოველწლიურ საამორტიზაციო ანარიცხების თანხას ფორმულით

$$\frac{\text{პლ} + \text{კრ} - \text{დს}}{\text{ტ}} = \text{თ}^1,$$

სადაც პლ არის ძირითადი საშუალებათა პირვანდელი ღირებულება, კრ — ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის ხარჯები, რომელიც უნდა გაწეულ იქნას მათი სამსახურის ვადის განმავლობაში, დს — ღირებულება მატერიალურ ფასეულობათა, რომლებიც მიღებული იქნება ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის შემდეგ, ტ — ძირითად საშუალებათა სამსახურის საშუალო ვადა, თ — საამორტიზაციო ანარიცხების თანხა წელიწადში.

¹ ფორმულა არ არის სწორი, უნდა იყოს: $\frac{\text{პლ} + \text{კრ} + \text{ლხ} - \text{დს}}{\text{ტ}} = \text{თ}$, სადაც ლხ

ნაწინავს მოსალოდნელ ლიკვიდაციის ხარჯებს (თარგმანის რედაქტორის შენიშვნა).

მაგალითად, თუ პლ=80 000 მან., კრ=16 000 მან., ძს=1 000 მან, ხოლო სამსახურის საშუალო ვადაა 20 წელი, მაშინ ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხების თანხა იქნება 4 750 მან.

ამორტიზაციის პროცენტი (ნორმა) გაიანგარიშება ფორმულის მიხედვით

$$\frac{x \times 100}{\text{პლ}}$$

ჩვენს მაგალითში ყოველწლიურ საამორტიზაციო ანარიცხების ნორმა იქნება

$$\frac{4\,750 \times 100}{80\,000} = 5,9\%$$

ეს ნიშნავს იმას, რომ თვითღირებულებაში ყოველწლიურად 20 წ. განმავლობაში ძირითად საშუალებათა პირვ. ნდელი ღირებულების 5,9% ჩართვით, საწარმოო პროდუქციის რეალიზაციისას არა მარტო მის დამზადებაზე გაწეულ ფულად და მატერიალური ხარჯების თანხას აინახლავრებს, არამედ საამორტიზაციო ფონდის ანარიცხების თანხასაც, რომელიც ჩვენს მაგალითში 95 000 მანეთს უდრის.

საამორტიზაციო ფონდი იყოფა ორ ნაწილად; კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული ნაწილი რჩება საწარმოს განკარგულებაში და უშუალოდ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებით, მეორე ნაწილი კი, რომელიც განკუთვნილია ძირითად საშუალებათა შესამენდლად ან მშენებლობისათვის, ბარდება სამრეწველო ბანკს გეგმიან კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად.

კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლოატაციო საწარმოებში საამორტიზაციო ანარიცხებს აწარმოებენ მხოლოდ ექსპლოატაციაში მყოფ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითად საშუალებათა ღირებულებიდან. ამასთან საამორტიზაციო ანარიცხების მთელი თანხა რჩება კავშირგაბმულობის განკარგულებაში და მის მიერ გამოიყენება ამ ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტისათვის. ახალი მშენებლობა და ყველა სახის ძირითადი საშუალებათა შექმნა კი ფინანსდება სამრეწველო ბანკის საშუალებით ან და ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათათვის დადგენილი წესით.

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი საშუალებათა ღირებულებიდან საამორტიზაციო ანარიცხების წლიური ნორმები შემდგეია: ქვის, ბეტონის, რკინა-ბეტონის შენობებისათვის—მათი პირვანდელი ღირებულების 1%, შერეულისათვის—1,5%, ხის შენობებისათვის—2%, ბზის და თიხატკეპნილის—3,5%, ამ შენობებში მყოფი საწარმოთა სამეურნეო ინვენტარისათვის—10%.

საამორტიზაციო ანარიცხების ყოველთვიური თანხა მიიღება წლიური თანხის 12-ზე გაყოფით.

პრაქტიკულად საამორტიზაციო ანარიცხების თანხის გაანგარიშებას აწარმოებენ შემდეგი ფორმის უწყისის მიხედვით:

უწყისი

საამორტიზაციო ხაზრების დარიცხვისა 19 ____ წ. _____

ჯგუფის შიფრი	ძირითად საშუალებათა ჯგუფის დასახელება	ამორტიზაციის პროცენტი წელიწადში	ი ა ნ ვ ა რ ი		თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი	
			ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულების თანხა თვის დასაწყისისათვის მან.	ამორტიზაციის თანხა მან.	ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულების თანხა თვის დასაწყისისათვის მან.	ამორტიზაციის თანხა მან.
001-50	საცხოვრებელი დანიშნულების შენობები	2	60 000	1 000	60 000	100

უწყისი წარმოადგენს საბუთს საამორტიზაციო თანხების ასასახავად 204-2 საამორტიზაციო ფონდის ანგარიშში.

მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვაში ძირითადი საშუალებანი ყოველთვის აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით. პერიოდულ წლიურ ანგარიშგებაში უჩვენებენ ძირითად საშუალებათა დარჩენილ ღირებულებას, ე. ი. მათი გაცვეთის გამოკლებით.

ძირითად საშუალებათა გაცვეთას აღრიცხავენ ანგარიშში—215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა. ამ ანგარიშს აკრედიტებენ ძირითად საშუალებათა გაცვეთის თანხით. ამასთან აღდებტებენ ანგარიშს 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდს.

კაპიტალური რემონტი აღადგენს ძირითად საშუალებათა გაცვეთას. დამთავრებული კაპიტალური რემონტის ღირებულებით აღდებტებენ ანგარიშს 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა, ამასთან აკრედიტებენ ანგარიშს 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდი, ამასთან ერთად იმავე თანხას ჩაწერენ 204-2 საამორტიზაციო ფონდის ანგარიშის დებეტში და ანგარიშის კრედიტში 013-5 კაპიტალური ხარჯები კაპიტალურ რემონტზე.

მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით შეიძლება გახსნაზღვროთ ძირითადი საშუალებათა გაცვეთის თანხა და დარჩენილი ღირებულება.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვეთის თანხა გაუთანაბრდება ძირითად საშუალებათა პირვანდელ ღირებულებას ან გადააქარბებს მას, მაშინ ექსპერტის წესით უნდა განისაზღვროს ფაქტიური გაცვეთისა და გაცვეთის თანხის პროცენტი. წინათ დარიცხულ და ახლად განსაზღვრულ გაცვეთის თანხებს შორის განსხვავება დებეტდება ანგარიში 215 ძირითადი საშუალებათა გაცვეთა და კრედიტდება ანგარიში 200-1 ფონდი ძირითად საშუალებებში.

ნაშთი ანგარიშისა 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა შეიძლება იყოს მხოლოდ კრედიტის. იგი ფულად გამოხატულებაში გვიჩვენებს გაცვეთას იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც მიმდინარე აღრიცხვაში ასახულია პირვანდელი ღირებულებით. ნაშთი ანგარიშისა 204 საამორტიზაციო ფონდი კი გვიჩვენებს საამორტიზაციო ანარიცხების თანხას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

ბალანსის ცხრილში 215 ანგარიშს ძირითად საშუალებათა გაცვეთა არ აჩვენებენ. ამ ანგარიშის თანხით ბალანსის აქტივს ამცირებენ ძირითად საშუალებათა პირვანდელ ღირებულებას.

ძირითად საშუალებათა გაცვეთის თანხას აჩვენებენ ცნობის სახით ბალანსის ჯამის გარეთ — ბალანსგარეშე ანგარიშების ნაწილში.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითად საშუალებათა საამორტიზაციო ანარიცხების და გაცვეთის ოპერაციების მიხედვით დაწესებულია ანგარიშების შემდეგი კორესპონდენცია:

1. საამორტიზაციო ანარიცხების თანხით აღდებეტებენ ანგარიშს 057 დამხმარე საწარმოები და შეურნეობანი და აკრედიტებენ ანგარიშს 204 საამორტიზაციო ფონდი. იმავედროულად ამ თანხით აღდებეტებენ ანგარიშს 200-1 ძირითად და საბრუნავ საშუალებათა ფონდი და აკრედიტებენ ანგარიშს 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა.

2. საბინაო დანიშნულების ძირითად საშუალებათა დამთავრებული კაპიტალური რემონტის თანხით აღდებეტებენ ანგარიშს 204 საამორტიზაციო ფონდი და აკრედიტებენ ანგარიშს 013 — ხარჯები კაპიტალური რემონტზე.

იმავედროულად ამავე თანხით აკრედიტებენ ანგარიშს 200-1 ძირითად და საბრუნავ საშუალებათა ფონდი და აღებტებენ ანგარიშს 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა.

მას შემდეგ, რაც ძირითადი საშუალება სავსებით გაიცივებოდა, ე. ი. თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად უვარჯისი გახდება, იგი გამოდის ექსპლოატაციიდან. ამ შემთხვევაში ძირითად საშუალებებს ჩამოწერენ ძირითად საშუალებათა ანგარიშიდან.

ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირგაბმულობის მინისტრთა 1948 წლის 9 ივნისის № 348 ბრძანებით დადგენილია ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციისა და ბალანსიდან ჩამოწერის შემდეგი წესი;

კავშირგაბმულობის შეუფერხებელი მუშაობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია — ე. ი. დემონტაჟი და შემადგენელ ნაწილებად დაშლა — ელექტრული კავშირის სადგურის მოწყობილობის, რადიონაგებობის, ძალოვანი დანადგარების, საფოსტო ვაგონების, დამხმარე საწარმოთა მოწყობილობის და შენობის, შეიძლება მხოლოდ კავშირგაბმულობის სამინისტროდან ნებართვის მიღების შემდეგ.

ყველა დანარჩენი სახის ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია, ღირებულებით არა უმეტეს 25 000 მან. ერთეულზე, ხდება კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსის ნებართვით.

ასეთ ძირითად საშუალებებს ეკუთვნის მაგალითად: საფოსტო ქონება, ელექტროსახომი აპარატურა, ენერგეტიკული მანქანები და მამოძრავებლები, ტელეფონის აპარატები, დაძველებული ტიპის ტელეგრაფის აპარატები.

ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციას აფორმებენ დაწესებული ფორმის აქტით, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ამ ფასეულობათა ღირებულების ბალანსიდან ჩამოსაწერად.

შენობებისა და ნაგებობათა გადაცემა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის წარმოებს მხოლოდ კავშირგაბმულობის სამინისტროს წინასწარი ნებართვით იმ წესის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 15 თებერვლის დადგენილებაში.

სახელმწიფო ორგანოებს შენობები და ნაგებობანი გადაეცემა უსასყიდლოდ გადასაცემი ქონების ღირებულების გადაცემი საწარმოს ბალანსიდან მიმღები საწარმოს ბალანსზე ჩამოწერის გზით.

კოოპერატიულ (საზოგადოებრივ) ორგანიზაციებს ძირითადი საშუალებანი გადაეცემა სასყიდლით.

ძირითად საშუალებათა გასვლას ექსპლოატაციიდან ჩვეულებრივად თან სდევს დაშლა, მათი რაც იწვევს ხარჯებს ამ სამუშაოსათვის, რომლის თანხა გათვალასწინებული უნდა იქნას. ძირითად საშუალებათა დაშლისა და დემონტაჟის დროს მიიღება ზოგიერთი რაოდენობა მასალები, ხოლო ზოგჯერ ნაწილებისაც, რომლებიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას სარემონტო სამუშაოების ან სამეურნეო მიზნებისათვის. ეს ფასეულობანი აღებული უნდა იქნას აღრიცხვაზე. ზოგჯერ ლიკვიდაციის ხარჯები აღემატება ლიკვიდაციიდან მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებას და შედეგად მიიღება ზარალი. სხვა შემთხვევაში მიღებულ ფასეულობათა ღირებულება აღემატება ლიკვიდაციის ხარჯებს და შედეგად მიიღება საშუალებანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებისათვის (შინაგანი რესურსების მობილიზაცია).

ლიკვიდირებულ ძირითად საშუალებებს ერიცხებოდა გაცვეთა. რადგან ეს ძირითადი საშუალებანი გავიდა ექსპლოატაციიდან, ამიტომ გაცვეთის დარიცხული თანხაც გამოირიცხული უნდა იქნას. უველაფერი ეს იწვევს ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის ოპერაციების აღრიცხვის საჭიროებას განსაკუთრებულ ანგარიშზე. ამიტომ ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის აღსარიცხავად იხსნება 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის ანგარიში.

ამ ანგარიშის 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია დებეტში იწერება ლიკვიდირებულ ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულება და ლიკვიდაციაზე გაწეული ხარჯები.

ამ ანგარიშის კრედიტში ასახევენ გაცვეთის თანხას (ანგარიშიდან 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა), ძირითად საშუალებათა ნარჩენ ღირებულებას (ანგარიშიდან 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდი) და მატერიალურ ფასეულობათა ლიკვიდაციის შედეგად ღირებულებას (აღებეტებენ ანგარიშებს 022 მასალები და ან მარაგანაწილები).

კავშირგაბმულობის საწარმოებისათვის მიღებულია 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის ანგარიშის დახურვის შემდეგი წესი;

დებეტის ნაშთს (ზარალს) გადაიტანენ საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსების ანგარიშსწორებათა ანგარიშის 143 დებეტში (კავშირგაბმულობის თავის სამმართველოსთან), ხოლო კრედიტის ნაშთს — 232 გეგმის გარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშების კრედიტში.

ძირითად საშუალებათა გადანაცვლება ექსპლოატაციიდან საწყობში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი დანიშნულებისათვის გამოყენება შეუძლებელია, არ შეიძლება ჩითვალოს ლიკვიდაციად. ამ ძირითად საშუალებათა მხოლოდ ცალკე ნაწილებად დაშლის შემდეგ დგება აქტი და გაატარებენ ანგარიშში 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია.

12. არატენბრალიზებულ (ლიმიტბაკიშე) კაპიტალურ დაბანდებათა, კაპიტალური ჩემონდისა და მათი დაშინანახების აღრიცხვა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბქოს 1935 წ. დადგენილებით მცირე სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისა და წვრილი მოწყობილობის შექმნა ნებადართულია საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულ საშუალებათა ხარჯზე ან ზეგეგმური დაგროვებითა, შინაგანი რესურსების შობილიზაციისა და უფროსის ფონდის ხარჯზე, რაც სწრაფ სამეურნეო ეფექტს იძლევა.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებში ლიმიტბაკიშე კაპიტალურ დაბანდებებს ეკუთვნის:

ქონების შექმნა, მაგალითად, საწარმოო ავეჯისა და ინვენტარის; ხარჯები კავშირგაბმულობის ახალგახსნილი განყოფილების მოსაწყობად, საჯინიბოების, გარაჟების, ფარდულების, ჯიხურების, ფიცარნაგების მოსაწყობად, საკუთარი ავტონომიური განათების მოსაწყობად, მოწყობილობის შესაცვლელად და გასაახლებლად საერთო ღირებულებით წელიწადში ერთ საწარმოზე არა უმეტეს 5000 მანეთისა;

ხარჯები ახალ სატელეფონო ჯიხურების (კაბინების) მშენებლობისა და ძველის შესაცვლელად ერთეულზე 200 მან. ღირებულებით.

მოზარდ პირუტყვის გამოზრდა (მოზარდის ძირითად საშუალებებში გადაყვანა), შექმნა პროდუქტული და მუშა პირუტყვისა ცხენის-საფოსტოსადგურებისა და სარემონტო კოლონიებისათვის გაფუჭებულ ან დაწუნებულის ნაცვლად.

ტიპიური პროექტირების ხარჯები ამ მიზნისათვის საფინანსო გეგმაში გათვალისწინებულ საშუალებათა ხარჯზე.

აბონენტების არსებულ სატელეფონო ქსელთან დარ ადრო სატრანსლაციო კვანძებთან შეერთების სამუშაოები როგორც განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით აბონენტებიდან შემოსევის ანგარიშზე, ისე ექს-

პლოტაციის საფინანსო გეგმის მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა და ფინანსებიდან;

სტიქიური უბედურებისაგან დაღუპული ქონების აღდგენის ხარჯები სადაზღვევო საზღვრის რაოდენობით, ხოლო დაუზღვევეი სახელმწიფო ქონებისათვის დაღუპული ქონებით აღსადგენ ღირებულებამდე, მაგრამ არა უმეტეს 100 000 მანეთისა.

ფულადი და სხვა ფასეულობათა შესანახად საწყობების მოწყობისათვის განკუთვნილი საშუალებანი გაიცემა შემდეგ კაპიტალურ სამუშაოზე: კედლების გადაკეთებაზე, ქერის გამოცვლაზე, ფიცარნაგისა და ბარიერების მოწყობაზე და აგრეთვე მთავარი შენობის გვერდით ახალი ნაგებობათა მისადგმელად სპეციალურ საწყობებისათვის (ქვის და ხისა).

მიმდინარე რემონტისა და საწყობებისათვის დამხმარე წვრილ ნაგებობათა ხარჯები გაიღება ექსპლოატაციის საშუალებათა (§ 1, მუხლი 8) ან ფოსტის მოწყობილობის კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილ საშუალებათა ანგარიშზე.

კაპიტალურ რემონტს ეკუთვნის ექსპლოატაციის პროცესში მოწყობილობის, ნაგებობათა და შენობის ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილების შეცვლითი სამუშაოები. გეგმის მიხედვით ეს სამუშაოები წარმოებს დროის ხანგრძლივი შუალედის შემდეგ — ერთხელ რამდენიმე წელიწადში. ასეთ სამუშაოებს ეკუთვნის, მაგალითად, ელექტრული კავშირის ხაზზე გაცვეთილი ბოძების ან სადენების მთლიანად შეცვლა ასეთივე ახალი ბოძებით ან სადენებით, ამიტომ ამ სამუშაოთა შედეგად ძირითად საშუალებათა პირვანდელი ღირებულება არ იცვლება. მცირდება მხოლოდ კაპიტალურად შეკეთებულ ძირითად საშუალებათა გაცვეთა.

კაპიტალური რემონტისაგან უნდა განეასხვავოთ სარეკონსტრუქციო რემონტი ანუ სამუშაოები მოწყობილობის, ნაგებობათა ან შენობის მოდერნიზაციისათვის, რომელთა შედეგად იცვლება ამ ძირითად საშუალებათა სამუშაო თვისებები და მათი პირვანდელი ღირებულება. ასეთ სამუშაოთა ხარჯები განიხილება როგორც ახალი კაპიტალური დაბანდებიანი და გაზრდის რეკონსტრუირებულ ძირითად საშუალებათა პირვანდელ ღირებულებას. ასეთ სამუშაოებს ეკუთვნის, მაგალითად, ელექტრულ კავშირის ხაზზე რკინის სადენებით ბრინჯაოს სადენებით შეცვლის სამუშაოები; ხის რადიოანძის შეცვლა ლითონის რადიოანძით.

მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებებს აწარმოებენ მხოლოდ ხარჯთაღრიცხვების ან სახარჯთაღ-

რიცხვო - ფინანსურ გაანგარიშებათა საფუძველზე, რომლებიც დგება დადგენილი წესით და ამ მიზნისათვის არსებულ საშუალებათა ფარგლებში.

მშენებლობის მსხვილი სამუშაოების დროს, გარდა ამისა სავალდებულოა მშენებლობის ობიექტების ტექნიკური პროექტების შედგენა.

ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდების საბუღალტრო აღრიცხვის ძირითად დანიშნულებას შეადგენს კონტროლის უზრუნველყოფა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებაზე მათი დაფინანსების წყარობას, მიმართულებისა და ხარჯების ელემენტების მიხედვით.

აღრიცხვამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს კონტროლი კაპიტალურ დაბანდებისათვის მიცემული სამუშაოების სწორად გამოყენებაზე და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის შესრულებაზე.

ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის დაფინანსებას აწარმოებენ სახბანკის საშუალებით, და ეს გამოიხატება აღრიცხვაში ანგარიშზე 232 გეგმისგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება. საფუძველს წარმოადგენს კავშირგაბმულობის სამმართველოს საგეგმო - ფინანსური განყოფილების მიერ საწარმოებისთვის გაგზავნილი უწყებანი ლიმიტის დეპეშასთან ერთად დაფინანსების გაგზავნაზე. ამ ანგარიშზე აღრიცხავენ აგრეთვე საწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის დაფინანსებას, რომელიც წარმოებს ექსპლოატაციის საფინანსო გეგმით ამ მიზნისათვის გათვალისწინებულ საშუალებათა ხარჯზე.

საბინაო და კომუნალური დანიშნულების ძირითად საკუთარ საშუალებათა კაპიტალური რემონტი წარმოებს ამორტიზაციის ფონდის ხარჯზე; ამიტომ ამ ჯგუფის ძირითად საშუალებათა კაპიტალურ რემონტის დაფინანსება ზემომოყვანილ ანგარიშში 232 არ ვლინდება.

იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა, მაგალითად, შენობების, ხარჯების დაფინანსება წარმოებს საექსპლოატაციო გასავლისათვის დანიშნულ საშუალებათა ხარჯზე. ეს დაფინანსება აღირიცხება ანგარიშში 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსებით, ხოლო ხარჯები — ანგარიშში 150.

საწარმოებს, რომელთაც საცხოვრებელ სახლებთან აქვთ არასაცხოვრებელი სადგომები, ამ სადგომების იჯარით გაცემისას, შეუძლიათ საცხოვრებელი სახლებით კაპიტალური რემონტისათვის გადარიცხონ

საიჯარო გადასახდელის 95% (დანარჩენი 5% საცხოვრებელი სახლის შემოსავლად ითვლება).

ტრანსპორტის კაპიტალური რემონტის ხარჯები, მაგალითად, ავტომანქანების კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებში, აგრეთვე ფინანსდება საექსპლოატაციო ხარჯების ანგარიშზე.

როგორც იჯარით აღებული შენობების, ისე ტრანსპორტის მიმართაც, მათი კაპიტალური რემონტის ხარჯები წარმოადგენს შესაბამისად საექსპლოატაციო ხარჯებისა და დამხმარე მეურნეობის შენახვის დანახარჯების ერთ-ერთ ელემენტს, ე. ი. მათი თვითღირებულების ერთ-ერთ ელემენტს.

ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა გარდა ზემოჩამოთვლილი სახეებისა, ანგარიშზე 232 გეგმისგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე აღირიცხება აგრეთვე კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც ხდება ამ მიზნით საწარმოს უფროსის თონდიდან გადარიცხული სახსრების ანგარიშზე; სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში მასობრივი კადრების მოწოდებისა და სხვავენვა ბალების შენახვისათვის გათვალისწინებული სახსრების ანგარიშზე; სამეურნეო ანგარიშზე ნაყოფი ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრების ხარჯზე (ტელეფონის და რადიოსატრანსლაციო ქსელებთან შეერთებისათვის); კავშირგაბმულობის მუშაკების სრულიად საკაშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღებული პრემიების ანგარიშზე.

ძირითადი საქმიანობის ბალანსზე აღირიცხულ გეგმის გარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას ანგარიშის კრედიტში თანხები იწერება თითოეული ცალკე წყაროს მიხედვით სათანადო საშუალებათა მიღებისას.

ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის დაფინანსების დეტალური აღრიცხვა წარმოებს ტიპური ფორმის მრავალსვეტაან ბარათებში საშუალებათა თითოეული წყაროს მიხედვით. ანგარიშის დებეში მიღების აქტების საფუძველზე წერენ დამთავრებულ სამუშაოთა ღირებულებას ან დაფინანსების მოცემული წყაროს სახსრებიდან გაწეულ კაპიტალური რემონტის ხარჯებს და ღირებულებას.

ანგარიშის ნაშთი თითოეული წყაროს მიხედვით გვიჩვენებს გამოყენებულ ან გამოყენებული დაფინანსების თანხას, რომელიც მოთავსებულია დაუმთავრებელ კაპიტალურ დაბანდებებში, კაპიტალური შეკეთების ხარჯებში და ბალანსის აქტივის სხვა მუხლებში.

ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტის დამთავრებული ობიექტების დაფინანსების თანხებს, აგრეთვე გამოუყენებელ დაფინანსებას იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც საანგარიშო წელში არ დაწყებულა, მათ რიცხვში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ხარჯზეც, წლის ბოლოს გეგმისგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების 232 ანგარიშიდან გადარიცხავენ 143 ექსპლოატაციისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით ანგარიშსწორებათა კრედიტის ანგარიშში.

აბონენტებისაგან განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვების მიხედვით მათი ტელეფონისა და რადიოსატრანსლიაციო ქსელების შეერთების საენუშაოებისათვის მიღებული დაფინანსების ნაშთებს ხურავენ დამთავრებული ობიექტების მიხედვით საექსპლოატაციო შემოსავლების ანგარიშით; თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დაფინანსების ნაშთის დაბრუნება, მაშინ ამ თანხას რიცხავენ დანარჩენი დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშის კრედიტში.

კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის ფონდის სახსრებიდან დაფინანსებისა და აგრეთვე მოზარდი პირუტყვის გამოზრდის დაფინანსების ნაშთებს წლის ბოლოს არ ხურავენ.

ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯებს აფორმებენ სათანადო საბუთებით (მინწოდებლებისა და მოიჯარეთა ანგარიშები, ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშები თანდართული გასამართლებელი საბუთებით) და აღრიცხავენ 012 — გეგმისგარეშე კაპიტალურ სამუშაოთა კაპიტალური ხარჯების ანგარიშში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი წყაროდან წარმოებს ამ ხარჯების დაფინანსება.

კაპიტალური რემონტის ხარჯებს აღრიცხავენ ცალკე ქვეანგარიშში 013 კაპიტალური რემონტის ხარჯები.

კაპიტალური რემონტის დროს ძირითად საშუალებათა მოხსნილი ნაწილების ღირებულებით (ჩაბარებული ნარჩენების შესაძლო რეალიზაციის ფასებში) მცირდება კაპიტალური რემონტის ხარჯები.

სამუშაოთა თითოეული ობიექტის აღსარიცხავად ან თითოეული სახის ხარჯებისათვის ხსნიან მრავალსვეტიანი ფორმის ბარათს. ბარათებს აჯგუფებენ კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით და კავშირგაბმულობის დარგების მიხედვით: 1) ახალი მშენებლობა, 2) გაფართოება და რეკონსტრუქცია, 3) უშუალოდ ექსპლოატაციაში გადასაცემი მოწყობილობის შექმნა, 4) მოცულობის გარეშე სამუშაოები, 5) საბინაო დანი-

შნულების ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტი (საამორტიზაციო და საწარმოს უფროსის ფონდის საშუალებათა ხარჯზე).

სამეურნეო წესით შესრულებულ სამუშაოთა თითოეული ობიექტის მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯებს აღრიცხავენ მრავალსვეტიან ბარათებში შემდეგი ელემენტების მიხედვით: ა) ხელფასი დანარიცხებით, ბ) მასალები, გ) ზედნადები ხარჯები, დ) მოწყობილობა, ე) დანარჩენი შეძენა. თუ სამუშაოები წარმოებს იჯარის წესით, მაშინ თითოეულ ობიექტის მიხედვით ხარჯებს აღრიცხავენ ტიპური ფორმის ბარათებში.

ჩანაწერებს ბარათებში 012 — კაპიტალურ სამუშაოთა გეგმების გარეშე კაპიტალური ხარჯების ანგარიშის დებეტში ანგარიშობენ ოპერაციის დამთავრების დღეს გაფორმებული და შემოწმებული საბუთების საფუძველზე. კაპიტალურ სამუშაოთა დამთავრებისა და აქტის საფუძველზე მათი ექსპლოატაციაში გადაცემის მიხედვით, დამთავრებულ სამუშაოთა ხარჯებს გადარიცხავენ 232 ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშის შესაბამი ბარათების დებეტში, ე. ი. ამით შეამცირებენ დაფინანსების სათანადო წყაროს. იმავედროულად ექსპლოატაციაში გადაცემული ან საწყობში ჩაბარებულ ძირითად საშუალებათა ღირებულებას შემოსავალში აიღებენ შემდეგი ჩანაწერით:

დებეტი ანგარიში 001 ძირითადი საშუალებანი

კრედიტი ანგარიში 200-1 ფონდი ძირითად საშუალებებში.

ხარჯებს, რომლებიც არ აღიღებენ ძირითად საშუალებათა ღირებულებას (მაკეტების, ნიმუშების დამუშავება), ძირითად საშუალებებში არ გადარიცხავენ. დამთავრების შემდეგ ამ ხარჯების თანხას ჩამოწერენ დაფინანსების წყაროს შესაბამისად; ამ შემთხვევაში ჩანაწერს 001 ძირითად საშუალებათა ანგარიშისა და 200-1 ძირითად საშუალებათა ფონდის ანგარიშისას არ აკეთებენ.

დამთავრებული კაპიტალური რემონტის (მიღების აქტის მიხედვით) ხარჯების საერთო თანხა იმ ოდენობით, რომელიც არ აღემატება ამ მიზნისათვის გაცემულ საშუალებებს, ჩამოიწერება დაფინანსების წყაროების შესამცირებლად, ე. ი. 232 გეგმისგარეშე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ან 204 საამორტიზაციო ფონდის ანგარიშის დებეტში.

თუ კაპიტალურად შეკეთებულ ძირითად საშუალებებს დარიცხული ჰქონდა გაცვეთა, მაშინ კაპიტალური რემონტის ღირებულებით მცირდება დარიცხული გაცვეთის თანხა შემდეგი გატარებით:

დებეტი ანგარიშისა 215 ძირითად საშუალებათა გაცვეთა

კრედიტი ანგარიშისა 200-1 ფონდი ძირითად საშუალებებში.
შესაძლოა შემთხვევები, როდესაც გაცვეთის თანხა 215 ანგარიშზე იქნება ნაკლები, ვიდრე კაპიტალური შექეთებაზე დახარჯული თანხა. მაშინ ბუღალტრული გატარება მიიღებს შემდეგ სახეს:

დებეტი ანგარიშის 215 ძირითადი საშუალებათა გაცვეთა

კრედიტი ანგარიშის 200-1 ფონდი ძირითადი საშუალებებში.
ნაჩვენები სახის ძირითადი საშუალების გაცვეთის თანხით.

012 და 013 ანგარიშების ნაშთი გვიჩვენებს ჯერ ისევ დაუმთავრებელი დანახარჯების თანხას.

იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტის ხარჯებს აღრიცხავენ განცალკევებით 150 მომავალი დროის ხარჯების ანგარიშში.

ყოველთვიურად ეს ხარჯები 150 მომავალი დროის ხარჯების ანგარიშიდან გადააქვთ თანაბარ ნაწილებად 050 საექსპლოატაციო ხარჯების ან 057 დამხმარე საწარმოების ან მეურნეობაშია ანგარიშის დებეტში შექმნილი მუხლით „საიჯარო ქირა“. ამასთან ეს გადატანა წარმოებს აქედან მთელი დროის განმავლობაში შემდგომ კაპიტალურ რემონტამდე.

ადგილობრივი აღმასკომებისაგან უსასყიდლოდ სარგებლობაში მიღებულ შენობათა დამთავრებული კაპიტალური რემონტის ღირებულებას, თუ ეს ხარჯები აღირიცხებოდა კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე, აქტის თანახმად, გაატარებენ 150 მომავალი დროის ხარჯების ანგარიშის დებეტში და 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაუინანსებით ანგარიშის კრედიტში.

შემდეგში ამ ხარჯების თანხას ყოველთვიურად ვადარიცხავენ 050 საექსპლოატაციო ხარჯების ანგარიშში და დაიწერება მუხლით საიჯარო ქირა.

13. ზარალისა და მოგების აღრიცხვა

კავშირგაბმულობის საწარმოებს თავისი საქმიანობის პროცესში, გარდა საექსპლოატაციო შემოსავლისა და გასავლისა შეიძლება ჰქონდეთ კიდევ სხვა მოგებანი და სხვა ზარალი, რომლებიც არ წარმოადგენენ არც საექსპლოატაციო შემოსავალს, არც საექსპლოატაციო გასავალს.

ამ მოგებას და ზარალს არ გეგმავენ, მათ წლის განმავლობაში წინასწარ აღრიცხავენ ანგარიშში 280 ზარალი და მოგება.

ასეთ ზარალს და მოგებას წარმოადგენენ:

ზ ა რ ა ლ ი	მ თ გ ე ბ ა ნ ი
<ol style="list-style-type: none"> 1. უიმედო ვალების ჩამოწერით: <ol style="list-style-type: none"> ა) კლიენტების ბ) სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების 2. ტარის ოპერაციების მიხედვით 3. მასალების რეალიზაციიდან 4. მასალებისა და საქონლის დანაკლისი, რომელიც არ შეიძლება დაეწეროს დამნაშავე პირებს 5. საბინაო კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციიდან 6. წარსული წლების საშემოსავლო საშუალებათა ოპერაციების მიხედვით ნა. იგივე დანარჩენ საშუალებათა მიხედვით 7. გადახდილი ჯარიმები, საურაევები, საპირგამტებსლოები და სასამართლოს ხარჯები 8. სტიკიურ უბედურებათაგან 9. სხვადასხვა ხარალი 	<ol style="list-style-type: none"> 1. კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო: <ol style="list-style-type: none"> ა) კლიენტების ბ) დანარჩენი პირებისა და ორგანიზაციების გ) წინთ ჩამოწერილი უიმედო ვალების შემოსავალი 2. ტარის ოპერაციების მიხედვით 3. მასალების რეალიზაციიდან 4. ნამეტი მასალები და საქონელი 5. საბინაო - კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციიდან 6. წარსული წლების საშემოსავლო საშუალებათა ოპერაციების მიხედვით ნა. იგივე დანარჩენ საშუალებათა მიხედვით 7. მიღებული ჯარიმები, საურაევები და საპირგამტებსლოები 8. დამზარე მეურნეობების ექსპლოატაციიდან (პროდუქციისა და მომსახურების) 9. სხვადასხვა მოგებანი

ჩანაწერებს ანგარიშში 280 ზარალი და მოგებანი აწარმოებენ მრავალსვეტიან ბარათებში მზარდი თანხებით. იმაზე დამოკიდებით სახბანკში რომელ ანგარიშსწორების ანგარიშზე (№ 0 თუ № 1) შევიდა სახსრები, აგრეთვე რომელი ოპერაციების მიხედვით არის ჩამოწერილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება (საექსპლოატაციო შემოსავლის თუ გასავლის მიხედვით), ამ ანგარიშს ხურავენ წლის ბოლოს ანგარიშით 142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო შემოსავლით, ან ანგარიშით 143 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავ საშუალებათა დაფინანსებით.

საპიროა მხედველობაში გვექონდეს, რომ მოგებათა მე-4 და მე-7 მუხლებში აჩვენებენ მიღებული ნამეტი მასალების ან ჯარიმების, საურავებისა, საპირგამტებლობის მთელ თანხას. მასალების დანაკლისს კი, რომელიც შეუძლებელია დაეწეროს დამნაშავე პირებს, გამოსახავენ ზარალის მე-4 მუხლში, ხოლო ჯარიმების, საურავებისა და საპირგამტებლობის გადახდას — მე-9 მუხლში.

მე-3 მუხლში ჩაწერენ მოგებას ან ზარალს, მიღებულს საწარმოს გარეთ მასალების რეალიზაციიდან, ხოლო მუხ. 8 — მოგებას მხოლოდ დამხმარე საწარმოებისა და მეურნეობის (სახელოსნოების, სატრანსპორტო ბაზების) პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციიდან. იმ შემთხვევაში, როცა ამ ოპერაციის მიხედვით მიღებულ იქნა ზარალი, მათი თანხა მიეკუთვნება მუხ. 9 დანარჩენი ზარალი.

აკრძალულია აგრეთვე ზარალის თანხის შემცირება უიმედო დავალიანებათა ჩამოწერით კრედიტორული დავალიანების ანგარიშზე, რომელიც სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ჩაირიცხა მოგებაში.

ზარალისა და მოგების ანგარიშის ჩანაწერების საფუძველზე აესებენ ძირითადი საქმიანობის წლიური ანგარიშის მოგება-ზარალის ცხრილს.

კავშირგაბმულობის სამმართველოში ზარალის და მოგების ნაერთი ცხრილის შედგენისას ცალკე საწარმოების ზარალის და მოგების განაყოფების ერთმოსახელე მაჩვენებლების ნაშთების გამოყვანა არ ხდება (მაგალითად, მუხ. 5 საბინაო-კომუნალურ მეურნეობათა ექსპლოატაციიდან).

14. ბალანსგარეშე მუხლები

ანგარიშებს, რომლებიც განკუთვნილი არიან მოცემულ საწარმოში მყოფ, მაგრამ სხვა საწარმოებისა და პირების კუთვნილ ფასეულობათა აღსარიცხავად, აგრეთვე იმ ფასეულობათა აღსარიცხავად, რომელიც თუმცა მოცემულ საწარმოს კუთვნილებას წარმოადგენენ, მაგრამ პირობითი შეფასება აქვთ, ბალანსგარეშე უწოდებენ.

ასეთ ანგარიშებს წარმოადგენენ:

301 იჯარით აღებული ძირითადი საშუალებანი;

305 შემკვეთისაგან სარემონტოდ მიღებული მოწყობილობა;

317 გადასამუშავებლად მიღებული მასალები;

322 მუშებისა და მოსამსახურეების კუთვნილი სახელმწიფო სესხების ობლიგაციები.

როგორც ამ ანგარიშების დასახელებიდან ჩანს, მათ დანიშნულებას წარმოადგენს აღრიცხონ დროებით სარგებლობაში, შესანახად ან გადასამუშავებლად მიღებულ ფასეულობათა სახეზემყოფობა და მოძრაობა.

ასეთ ფასეულობათა შემოსვლისას ამ ანგარიშებს აღებეტებენ, ხოლო გასვლისას—აკრედიტებენ. სხვა ანგარიშებთან ისინი კორესპონდირებაში არ იმყოფებიან. ამ ანგარიშების მიმართ ორმაგი ჩაწერის მეთოდს არ იყენებენ.

მეორე ჯგუფის ანგარიშებს აკუთვნებენ ისეთ ანგარიშებს, რომლებშიც აღირიცხება პირობითი შეფასების მქონე ღირებულებანი. ასეთ ფასეულობათა თვითღირებულებას ჩამოწერენ საექსპლოატაციო ხარჯებში, მიმწოდებლის ანგარიშის განაღდებასთანავე, ხოლო პირობით ღირებულებაში მათ შემოსავალში შეიტანენ შემდეგ ბალანსგარეშე ანგარიშებში:

303 საფოსტო გადახდის ნიშნები და ბლანკები;

315 მკაცრი ანგარიშგების ბლანკები.

15. კავშირგაბმულობის საწარმოთა ანგარიშგება ძირითადი საქმიანობის მიხედვით

სოციალისტური საწარმოს მუშაობის კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს პერიოდული ანგარიშგება, რომელშიც მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე ვლინდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, საწარმოო და საფინანსო გეგმის შესრულების ხარისხი, აგრეთვე განსაზღვრული პერიოდის (თვე, კვარტალი, წელიწადი) განმავლობაში საქმიანობის შედეგები. ყველა ამას დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზუსტი, სრული და დროული გამოხატვა ეხმარება პარტიას და მთავრობას შეაფასონ საწარმოს საქმიანობის შედეგები და ხელი შეუწყონ მის შემდგომ განვითარებას.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთათვის დაწესებული თვიური, კვარტალური და წლიური საბუღალტრო ანგარიშები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მაჩვენებლების მოცულობით: წლიური საბუღალტრო ანგარიში კავშირგაბმულობის საწარმოთა ძირითადი

თად საანგარიშგებო საბუთს წარმოადგენს. იგი შეიცავს მონაცემებს წლიური საწარმოო გეგმის შესრულების და საწარმოს განკარგულებაში გადაცემულ საშუალებათა გამოყენების შესახებ სათანადო მონაცემებს.

წლიური ანგარიშის მაჩვენებლები წარმოადგენენ წლის განმავლობაში საწარმოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შესწავლისათვის ძირითად საბუთს, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს მუშაობაში არსებულ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს.

წლიური ანგარიშის შედგენის წინ უნდა შესრულდეს მთელი რიგი წინასწარი სამუშაოები, რომელთაგან ყველაზე არსებითს წარმოადგენს შემდეგი:

მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების სისწორის შემოწმება ზემოაღნიშნული მეთოდებით საერთო და დეტალური ანგარიშების ბრუნვათა უწყისების შედგენის გზით;

კავშირგაბმულობის საწარმოს და მისი ანგარიშვალდებულ საწარმოებცა და მეურნეობების ყველა საშუალებათა და ვალდებულებებათა ინვენტარიზაციის ჩატარება კანონით დაწესებულ ვადებში;

ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილ განსხვავებათა გატარება სათანადო ანგარიშებში;

ანგარიშების დასკვნა (დახურვა).

საანგარიშგებო მონაცემები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, როცა ეს მონაცემები ემყარებიან საბუღალტრო აღრიცხვაში დროულად წარმოებულ ჩანაწერებს, რომლებიც თავის მხრივ ამომწურავი სიზუსტით გამოსახავენ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, როცა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები დადასტურებულია საწარმოს ყველა საშუალებათა სახეზემყოფობის შემოწმებით. სწორედ ამიტომ წლიური ანგარიშის შედგენის დროს გულდასმით ამოწმებენ ყველა ჩანაწერს ანგარიშებში და სავალდებულო წესით ატარებენ ინვენტარიზაციას.

ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი განსხვავებანი ფაქტიურ ნაშთებსა და საბუღალტრო ჩანაწერებს შორის ბუღალტერიაში გატარდება შემდეგნაირად:

1. ძირითად საშუალებათა დანაკლისი, რომელიც დაეწერება დამნაშავე პირს:

დებეტი ანგარიშისა 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია
კრედიტი ანგარიშისა 001 ძირითადი საშუალებანი
(სრული ღირებულებით).

დებეტი ანგარიშისა. 215 ძირითად საშუალებათა გაცევათა
კრედიტი ანგარიშისა 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდაცია
(გაცვეთის თანხა).

დებეტი ანგარიშისა 200-1 ფონდი ძირითადი და საბრუნავი
საშუალებებით

კრედიტი ანგარიშისა 086 ძირითად საშუალებათა ლიკვიდა-
ცია (დანაშთი ღირებულება).

დებეტი ანგარიშისა 130 დებიტორები დანაკლისითა და დატაცე-
ბებით.

კრედიტი ანგარიშისა 086 ძირითად საშუალებათა ლიკვი-
დაცია (ასანაზღაურებელი თანხა).

2. ნამეტის გამოვლინებისას:

დებეტი ანგარიშისა 001 ძირითადი საშუალებანი

კრედიტი ანგარიშისა 200 ფონდი ძირითადი და საბრუნავი
საშუალებებით.

3. მატერიალურ-ღირებულებათა დანაკლისის გამოვლინებისას:

დებეტი ანგარიშისა 130 დებიტორები დანაკლისებითა და დატაცე-
ბებით (დანაკლისისათვის დამნაშავე პირთა არსებობისას)

კრედიტი ანგარიშისა 022 მასალები 031 მარაგ ნაწილები ან
016 მცირეფასიანი და სწრაფმცვეთარი საგნები.

4. მატერიალურ-ღირებულებათა ნამეტის გამოვლინებისას:

დებეტი ანგარიშისა 022 მასალები 031 მარაგნაწილები ან 016
მცირეფასიანი და სწრაფმცვეთარი საგნები.

კრედიტი ანგარიშისა 280 ზარალი და მოგებანი.

5. დებიტორული დავალიანების თანხებზე, რომელიც ცნობილ იქნა
უიმედოდ ან რომლის გადახდევინებაზე უარი სთქვა არბიტრაჟმა
ან სასამართლომ:

დებეტი ანგარიშისა 280 ზარალი და მოგებანი

კრედიტი დებიტორების სათანადო ანგარიშისა განაყოფი
„ანგარიშსწორებანი“.

6. კრედიტორული დავალიანების თანხებზე, რომელთა მიხედვით
განვლო სარჩელის ხანდაზმულობის ვადაჲ:

დებეტი კრედიტორების სათანადო ანგარიშისა

კრედიტი ანგარიშისა 280 ზარალი და მოგებანი ან 133
საფინანსო ორგანოები გადასახადების, გამოსაღებების

და სხვა ანგარიშების მიხედვით (გამოურკვეველი მიმწოდებლებებისადმი დავალიანების ნაწილში).

7. საფოსტო გადახდის ნიშნების და ბლანკების ნამეტი:

დებეტი ანგარიშისა 303 საფოსტო გადახდის ნიშნები და ბლანკები.

ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილ განსხვავებათა ჩანაწერისა და ყველა საშედეგო ანგარიშების დახურვის შემდეგ ყველა საერთო და დეტალურ ანგარიშებში 1 იანვრისათვის მდგომარეობის მიხედვით გამოიყვანენ თითოეული ანგარიშის ნაშთს და აღგენენ დეტალური ანგარიშების ბრუნვათა უწყისს.

კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთა საქმიანობის წლიური საბუღალტრო ანგარიშგება შედგება დასკვნითი ბალანსის ცხრილისაგან და რიგი სხვა ცხრილებისაგან, რომლებიც ყოველმხრივ ახასიათებენ საწარმოს საქმიანობას. ანგარიშს ხელს აწერენ საწარმოს უფროსი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

წლიური ანგარიშის ძირითადი ცხრილების დანიშნულება და მოკლე შინაარსი შემდეგია:

დასკვნითი ბალანსი. იგი განსაზღვრავს საწარმოში ქონებულ საშუალებათა სახეზე მყოფობას მათი შემადგენლობისა და შემოსავლის წყაროების მიხედვით. ბალანსის მაჩვენებლები შესაძლებლობას გვაძლევენ გამოვარკვიოთ მიუზღებობის ფინანსური მდგომარეობა, დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა მდგომარეობა, მოგება და ზარალი.

საექსპლოატაციო შემოსავალი. ეს ცხრილი გამოავლენს, თუ რამდენად არის საექსპლოატაციო გეგმა შესრულებული კავშირგაბმულობის თითოეული დარგის მიხედვით.

სექსპლოატაციო ხარჯები. ეს ცხრილი განკუთვნილია იმისათვის, თუ რამდენად არის საექსპლოატაციო ხარჯების გეგმა შესრულებული კავშირგაბმულობის დარგებისა და ხარჯების ელემენტების მიხედვით.

მოგება და ზარალი. ამ ცხრილში არ ვლინდება საექსპლოატაციო საწარმოს საქმიანობის შედეგი, რადგან არც საექსპლოატაციო შემოსავალი, არც საექსპლოატაციო გასავალი ანგარიშში 280 ზარალი და მოგება არ გამოისახება. მისი მაჩვენებლებით ჯამდება მხოლოდ „დანარჩენი მოგებანი და ზარალი“, რომლებიც საფინანსო გეგმაში არ შეიძლება და არც უნდა იყოს გათვალისწინებული.

კაპიტალური რემონტის ანგარიში და ლიმიტგარე-
შე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულების ან-
გარიში. ეს ცხრილები შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ
ის, თუ რამდენად არის ძირითად საშუალებათა იმ კაპიტალური რემონ-
ტისა და კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებული, რომელთა აღ-
რიცხვა წარმოებს ძირითადი საქმიანობის ბალანსზე,

პერიოდულ და წლიურ ანგარიშგებათა განმარტებით ბა-
რათში აშუქებენ: საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას; საექსპლოატა-
ციო შემოსავლის, გასავლის, კაპიტალური რემონტისა და ლიმიტგარე-
შე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულების ოდენობას; გეგმიდან
გადახვევის მიზეზებს, როგორც მთლიანად დარგის, ისე ცალკე მუხლე-
ბის მიხედვით; ფასიანი ცვლის და შესრულებული სამუშაოების ერთე-
ულზე გეგმიდან გადახრის მიზეზებს; ნორმირებულ საშუალებათა მდგო-
მარეობას; საქონლის ჩაწოლის მიზეზებს და ზომებს მისი ლიკვიდაციისა-
თვის; ინვენტარიზაციის შედეგებს.

განმარტებით ბარათში იძლევიან აგრეთვე დამხმარე საწარმოებისა
და მეურნეობათა, საბავშვო ბაღების მასობრივი კადრების მომზადები-
სათვის წარმოებული მუშაობის მოკლე დახასიათებას; ჩამოთვლიან გა-
ფლანგვის, დატაცების, დანაკლისების შემთხვევებს, საჩრევიზიო მუშაო-
ბის მდგომარეობას, საწარმოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გა-
მოსასწორებლად მიღებულ ღონისძიებებს.

I. ფულბარათების ოპერაციების შინაარსი

ფულბარათი წარმოადგენს დავალებას, რომელიც ეძლევა ბანკს, შეინახველ სალაროს ან კავშირგაბმულობის საწარმოს, რათა გადაუხადოს აღრესატს განსაზღვრული თანხა იმ პირის ან ორგანიზაციის სახელით, რომელთაც შეიტანეს სათანადო თანხა. ფულბარათების ოპერაცია შეიძლება შესრულებულ იქნას როგორც სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში მყოფ პირებსა და ორგანიზაციებს შორის, ისე ერთ დასახლებულ პუნქტში მყოფ პირებსა და ორგანიზაციებს შორისაც.

ფულბარათების ოპერაციებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საბალნო მეურნეობისათვის, რადგან იგი ხელს უწყობს ფულადი ნიშნების ბრუნვის მნიშვნელოვნად შემცირებას, მათი გადაზავნის გამარტივებას და დაჩქარებას.

დავალების შესრულების წესის მიხედვით განსხვავდება საფოსტო და სატელეგრაფო ფულბარათის გზავნილებანი.

პირები ან ორგანიზაციები, რომლებიც აძლევენ ფულბარათის გზავნილებით დავალებებს, ან კავშირგაბმულობის რაიმე სხვა მომსახურებით სარგებლობენ, კავშირგაბმულობის მომსახურების კლიენტებს წარმოადგენენ.

ფულბარათების გზავნილებათა ოპერაცია შემდეგნაირად წარმოებს. ცალკე პირი, ან ოპერაცია (კლიენტი) მიმართავს კავშირგაბმულობის საწარმოს, ავსებს ფულბარათის გზავნილების ბლანკს ან საფოსტოს, ან სატელეგრაფოს. კლიენტისაგან გადახდის პუნქტში მიღებული ფულის გადაზავნა არ ხდება. კავშირგაბმულობის საწარმო ფულის მიღებასთან და კლიენტისათვის სათანადო ქვითრის მიცემისთანავე ღებულობს ფულბარათის გზავნილების ბლანკს, რომელსაც სათანადო დამუშავების შემდეგ გზავნის კავშირგაბმულობის საწარმოში აღრესატის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სატელეგრაფო გზავნილების გაფორმების დროს ამის შესახებ დაუყოვნებლივ იგზავნება ტელეგრაფა გადახდის ადგილის პუნქტში და იმავე დღეს იგზავნება ფოსტით სატელეგრაფო ფულბარათის დასტური.

ფულბარათის გზავნილებებს ღებულობენ არა მარტო კავშირგაბმულობის კანტორებში, არამედ მისდამი დაქვემდებარებულ კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში, სადაც აღრიცხვას არ აწარმოებენ ორმაგი სისტემით, არამედ ფულადი თანხების შემოსავლისა და გასავლის მარტივ აღრიცხვას იყენებენ. ამისთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში ფულის მიღებასა ფულბარათის განაღდებას ჩაწერენ № 131 ან № 131ა ფორმის ყოველდღიურ ანგარიშში.

ამავე ანგარიშებში ჩაწერენ სხვა ფულად შემოსავლასაც, „სოიუზპეჩატისას“ და სხვ. ამ ანგარიშებებს ყოველდღიურად აგზავნიან კავშირგაბმულობის ხელმძღვანელ საწარმოში.

ფულბარათის მიმღებ კავშირგაბმულობის საწარმოთა და ამ ფულბარათის გამცემ საწარმოთა შორის არავითარი ფულადი ანგარიშსწორება არ წარმოებს.

კავშირგაბმულობის საწარმოები ნაღდ ფულს იღებენ გადასაგზავნად კერძო პირებისა, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან. იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც ანგარიშსწორების ანგარიშები აქვთ ბანკში, შეუძლიათ თანხები გადაგზავნონ ნაღდ ფულად კავშირგაბმულობის საწარმოზე აქციებზელი ჩეკებით, ე. ი. იმ ჩეკების გადაცემით, რომლებზეც აღნიშნულია ბანკის წარწერა იმის შესახებ, რომ კავშირგაბმულობის საწარმოსაგან ნაღდი ფულის ნაცვლად ამ ჩეკებს ბანკი მიიღებს დაუყოვნებლივ. ეს ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაცია ბანკში თავისი ანგარიშსწორების ანგარიშიდან ფულის მიღებისა და ფულბარათის კავშირგაბმულობის საწარმოში მისი შეტანის ნაცვლად წერს ჩეკს ბანკის სახელზე და ამ ჩეკზე ღებულობს სააქციებო წარწერას, რის შემდეგ ამ ჩეკს ფულის ნაცვლად ურდგენს კავშირგაბმულობის საწარმოს.

კავშირგაბმულობის საწარმოები ფულის მიღებასთან ერთად კლიენტებს უნაღდებენ სხვა საწარმოებიდან შემოსულ ფულბარათებს. კავშირგაბმულობის საწარმოები კლიენტებზე ფულბარათების გაცემას აწარმოებენ, როგორც მიღებული ფულბარათების თანხებიდან, აგრეთვე ფულბარათებით ბანკში № 3 ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიღებული თანხებით.

კავშირგაბმულობის სამინისტროსა და სახბანკს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად კავშირგაბმულობის ყოველ კანტორას სახბანკის ადგილობრივ ფილიალში უხსნიან № 3 ანგარიშსწორების ანგა-

რიშს (აქტიურ-პასიური), რომელზედაც უნდა ინახებოდეს ფულბარათების ოპერაციებით შემოსული მთელი ფულადი თანხები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ კავშირგაბმულობის კანტორამ განსაზღვრულ დღეში მიიღო 15000 მან., ხოლო გაანაღდა მხოლოდ ფულის ბარათით 9000 მან., დანარჩენი თანხა უნდა შეიტანოს ბანკში № 3 ანგარიშსწორების ანგარიშზე. უკეთუ რომელიმე დღეს ფულბარათებით გასაცემი თანხა აღმოჩნდება იმ დღეს შემოსული ფულბარათების თანხაზე მეტი, მაშინ კავშირგაბმულობის კანტორა № 3 ანგარიშსწორების ანგარიშიდან ჩეკით დამატებით ღებულობს საჭირო თანხას.

კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებს ანგარიშსწორების ანგარიში არა აქვთ ბანკში, ამიტომ ფულბარათებით გასაცემი თანხის დასაფარავად საკმაო თანხების უქონლობის შემთხვევაში, ისინი განსაკუთრებული მოთხოვნილებით ფორმა № 3 ბ ითხოვენ სალაროს გასაძლიერებელ თანხას (მოშველიება). ამ მოთხოვნილების საფუძველზე კავშირგაბმულობის კანტორა, დააზუსტებს რა იმას, რომ განყოფილებას ან სააგენტოს ნამდვილად ესაჭიროება თანხები, უგზავნის მათ აუცილებელ თანხას ორდერიტ ფორმა № 4. თუ კავშირგაბმულობის საწარმოს (განყოფილებას, ან სააგენტოს) აქვს ნამეტი თანხა, ისინი ამ ნამეტ თანხას დაუყოვნებლივ უგზავნიან კავშირგაბმულობის კანტორას. იმისათვის რომ კავშირგაბმულობის სალაროებში არ იყოს დარჩენილი თანხების დიდი ნაშთები, ყოველ მათგანისათვის დაწესებულია ლიმიტი—ფულადი თანხის ის ოდენობა, რომელიც ყოველთვის შეიძლება იყოს კავშირგაბმულობის საწარმოს სალაროში. თუ სალაროში დაგროვდა ლიმიტით გათვალისწინებულ თანხაზე მეტი, კავშირგაბმულობის კანტორები ვალდებული არიან ისინი შეიტანონ ბანკში, ხოლო განყოფილებები კი ვალდებული არიან გადაუგზავნონ კავშირგაბმულობის კანტორას.

სალაროს ლიმიტის დაწესებისას მასში შეაქვთ ნაღდი ფული¹.

კერძო პირებისათვის ფულბარათის განაღდება წარმოებს ნაღდად, თანხის განუსაზღვრავად. რაც შეეხება სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახელზე მიღებულ ფულბარათებს, კავშირგაბმულობის საწარმო მათ კუთვნილ თანხებს ურიცხავს დანიშნულებისამებრ—ბანკის საშუალებით ანგარიშსწორების ანგარიშებზე.

¹ იხ. მუხლი 1494 საფოსტო წესების, 1949 წ. გამოცემა.

საბჭოთა კავშირში დიდია ფულბარათის ოპერაციები როგორც ფულბარათების რაოდენობის, ისე გზავნილი თანხების ოდენობის მხრივაც. სახელმწიფო და კოოპერაციულ საკოლმეურნეო დაწესებულებათა და საწარმოებიდან, აგრეთვე კერძო პირებისაგან ფულბარათების მიღების გარდა, კავშირგაბმულობის ორგანოები ფულბარათებს იღებენ სოცუზრუნველყოფის ორგანოებისაგანაც პენსიონერთათვის პენსიისა და დახმარებათა გასაცემად.

ამრიგად, ფულბარათების ოპერაციების შესრულებისას კავშირგაბმულობის საწარმოში მუდამ ბრუნავს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები. ასეთი დიდი ბრუნვა მოითხოვს როგორც ოპერაციულ, ისე ბუღალტრულ მკაცრსა და მუდმივ კონტროლს. ფულბარათების ოპერაციები წარმოებს კავშირგაბმულობის მრავალ საწარმოში. კავშირგაბმულობის კანტორებში წინასწარ კონტროლთან ერთად შემოღებულია მუდმივად მოქმედი შემდგომი კონტროლი, რომელსაც ახორციელებს ფულბარათების საკონტროლო ბიურო და რომელსაც შემოკლებით ეწოდება—БКИ. ფულბარათების ოპერაციების მთელი პირველადი დოკუმენტაცია, მათ შორის განალღებული ფულბარათების ყველა ბლანკი, დაწესებულ ვადებში შესამოწმებლად იგზავნება ფულბარათების საკონტროლო ბიუროში. გამგზავნი და მიმღები პუნქტების დოკუმენტების შეპირისპირებით არკვევენ ჩატარებული ოპერაციების სისწორეს ან არასისწორეს. თუ БКИ აღმოაჩენს შეცდომებს, ისინი ღებულობენ საჭირო ზომებს მათს გამოსასწორებლად.

ფულბარათების ოპერაციები წარმოადგენს საფინანსო ოპერაციებს, რომლებიც ტარდება კლიენტების ფულით. ამიტომ მათი აღრიცხვა წარმოებს დამოუკიდებელ ბალანსზე. ფულბარათების თანხების ხარჯვა რაიმე საქიროებისათვის აკრძალულია. მათ ყოველთვის უნდა უზრუნველყონ გაუნაღლებელი ფულბარათების ნაშთები. ეს თანხები უნდა იყოს ბანკში № 3 ანგარიშსწორების ანგარიშზე და კავშირგაბმულობის სალაროში დაწესებული ლიმიტის ფარგლებში. კავშირგაბმულობის საწარმოებში ფულბარათების მთელს დოკუმენტაციას ინახავენ დანარჩენ დოკუმენტებიდან განცალკევებით.

იმ შემთხვევაში, როცა კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებს ზედმეტი ფულბარათების თანხები აღმოაჩნდებათ, მათ უფლება აქვთ ფული ადგილობრივ შემნახველ სალაროებს გადასცენ, ხოლო ამასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებანი წესრიგდება კავშირ-

გაბმულობის რაიონულ კანტორასა და რაიონულ შემნახველ სალაროებს შორის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წ. დადგენილებით სოფლის საფოსტო საწარმოებს ეკისრებათ კოლმეურნეობების სასალარო მომსახურების ოპერაციები. ამ მიზნით ფოსტის სასოფლო საწარმოები მათ მომსახურების ქვეშ მყოფ ყოველ კოლმეურნეობას უხსნიან სუბსიდიდნარე ანგარიშს (კოლმეურნეობის ძირითადი მიმდინარე ანგარიშია სახბანკის რაიონულ განყოფილებაში). კავშირგაბმულობის საწარმოები ამ სუბსიდიდნარე ანგარიშზე კოლმეურნეობებიდან ღებულობენ ნაღდად დარჩენილ ფულს, აგრეთვე სუბანგარიშზე ნარჩენის ნაშთის ფარგლებში კოლმეურნეობებს უხდიან აუცილებელ თანხებს.

კავშირგაბმულობის საწარმოები ატარებენ ფულბარათების ოპერაციებს, ისინი თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ არსებულ წესებს ფულბარათების ოპერაციების დროს. ამასთანავე ერთად ამ ოპერაციების ჩატარებისას აუცილებლად საჭიროა სწორად იქნას გაფორმებული ფულბარათის თანხის მიღების მთელი დოკუმენტაცია, აგრეთვე მთელი ოპერაციული და საბუღალტრო ანგარიშსწორება.

2. დოკუმენტაციის გაფორმება ფულბარათების ოპერაციების მიხედვით

ფულბარათების ოპერაციებზე სასტიკი კონტროლის გაწევისა და ამ ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვის სწორად დაყენების უზრუნველსაყოფად კავშირგაბმულობის ორგანოებში დაწესებულია ოპერატიული და საბუღალტრო აღრიცხვის მთელი რიგი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე აწარმოებენ მიღებული ფულბარათების და განაღდებული ფულბარათების თანხების ჩაწერას შემოსავალ-გასავალში, აგრეთვე გზავნილებათა ოპერაციებთან დაკავშირებულ ჩაწერებს.

მოგვყავს ამ დოკუმენტების სია:

1. საფოსტო ფულბარათის ბლანკი—ფორმა № 112.
2. პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათის ბლანკი—№ 112ა.
3. ფულბარათების დეპეშის ბლანკი—ფორმა 120.
4. შემოსული ფულბარათების დეპეშის ბლანკი—ფორმა № 115.
5. სატელეგრაფო ფულბარათების დადასტურება—ფორმა № 114.
6. ფულის საფოსტო და სატელეგრაფო ფულბარათების რეეული ქვითრებით—ფორმა № 5.

7. საფოსტო და სატელეგრაფო ფულბარათების მიღების რეგულირება—ფორმა № 5ა.

8. მოთხოვნილება ნაღდი თანხის მოშველიებაზე კავშირგაბმულობის განყოფილებისა და სააგენტოების ფულბარათების ოპერაციებისათვის—ფორმა № 3ბ.

9. ორდერი ფულბარათების ოპერაციების მიხედვით სალაროს გასაძლიერებელი თანხის გაგზავნაზე—ფორმა № 4.

10. მიღებული ფულბარათების ჩასაწერი დავთარი — ფორმა № 7ა.

11. განაღდებული ფულბარათების ჩასაწერი რეესტრი—ფორმა № 10.

12. გადაგზავნილი ფულბარათების ჩასაწერი რეესტრი—ფორმა № 11ა.

13. ტელეგრამით მიღებული ფულბარათების ჩასაწერი საკონტროლო ჟურნალი—ფორმა № 20.

14. უწყება მიმღებს სახბანკის საშუალებით მის ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულის გადარიცხვის შესახებ—ფორმა № 24.

15. დავალება ბანკს ფულბარათების თანხის, ფულბარათის მიმღების ანგარიშსწორების ანგარიშზე გადარიცხვის შესახებ—ფორმა № 25.

16. საკონტროლო ჟურნალი გამავალ ფულბარათების ტელეგრამების ჩასაწერად—ფორმა № 26.

17. საქვეთრო რეგულაციების აღრიცხვის დავთარი ფორმა № 5 და 5ა, რომელიც ეძლევათ სამუშაო ადგილებს და, რომლებიც ეგზავნებათ კავშირგაბმულობის საქვეანგარიშო საწარმოებს—ფორმა № 52.

18. ცნობა ტელეგრამით მიღებული ფულბარათის შესახებ — ფორმა № 53.

19. ფულბარათების საკონტროლო ბიუროში გადასაგზავნი ფულბარათების ანგარიშების სია—ფორმა № 57.

20. ფოსტითა და ტელეგრამით პარტიობითი მიღებული ფულბარათების სია—ფორმა № 103ა.

21. კავშირგაბმულობის განყოფილებისა და სააგენტოს ფულადი ანგარიშგება—ფორმა № 131 და 131ა.

22. ჟურნალ-მთავარი—ფულბარათების მიმდინარე ოპერაციების ჩასაწერი დავთარი.

23. კონტორების ფურცელი.

24. თვიური ბალანსი დანართებითა და განმარტებითი ბარათით.

დოკუმენტები №№ 1, 2, 4, 6, 7, 11, 19, 20, 24 იგზავნება БКП-ში. დანარჩენები აღვიღებ რჩება.

ახლა განვიხილოთ აღნიშნული დოკუმენტების შედგენისა და გამოყენების წესები ფულბარათების ოპერაციების აღრიცხვის საქმეში.

ფულის გადასაგზავნად კლიენტი ავსებს ფულბარათის დაწესებული ფორმის ბლანკს. ფულთან ერთად ფულბარათის ბლანკის ჩაბარებისას კავშირგაბმულობის საწარმოდან კლიენტიღებულობს ფორმა № 5 ან 5ა რვეულიდან სათანადო ქვითარს (პირველ პირს), რომლის ასლი რჩება ამავე რვეულში.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფულბარათების დოკუმენტაციას სრულად აფორმებენ კავშირგაბმულობის კანტორები და განყოფილებები, რომლებსაც ამისთვის ეძლევათ საკონტროლო-საღერბო ბეჭედი. თუმცა ფულბარათების მცირე ოპერაციების მქონე კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და ზოგიერთ განყოფილებას, საკონტროლო-საღერბო ბეჭედი არა აქვთ. მათ ოპერაციებს აფორმებენ კავშირგაბმულობის ის საწარმონი, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან. ასეთი განყოფილებები, აგრეთვე სააგენტოები ფულბარათების მიღებისას იძლევიან ქვითარს № 5ა. ფულბარათებს გასანაღდებლად ისინი ღებულობენ რეესტრით ფორმა № 11. განყოფილებები და სააგენტოები ყოველდღიურად ადგენენ ანგარიშგებას ფორმა № 131 ან 131ა მიხედვით და აგზავნიან მას კავშირგაბმულობის ზემდგომ საწარმოში დღის განმავლობაში შედგენილ ყველა სხვა დოკუმენტებთან ერთად (განაღდებული ფულბარათების ბლანკები, მიღებული ფულის ბარათების ბლანკები და რვეულები ფორმა № 5ა).

კავშირგაბმულობის იმ განყოფილებებში, რომლებსაც აქვთ საკონტროლო-საღერბო ბეჭედი და კავშირგაბმულობის კანტორებში რვეული ფორმა № 5 ქვითრების ასლების მიხედვით ყოველდღიურად ჯამდება შემოსული თანხები. მისი ჯამი უნდა ეთანაბრებოდეს იმ დღეს შემოსული ყველა სახის ფულბარათების თანხების ჯამს და უნდა ჩაიწეროს ქვითრის უკანასკნელ ასლზე, რომლის დედანი გაცემული იყო იმ დღეს. იქვე იწერება დღის განმავლობაში შემოსული ანაკრეფების ჯამი. ყველაფერი ეს იწერება მელნით სიტყვებით და მას ხელს აწერენ კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსი და მოლარე.

ფორმა № 5 და 5ა რვეულები წარმოადგენენ მტკიცე ანგარიშგების დოკუმენტებს. მისი მარაგი უზრუნველყოფილ პირობებში ინახება და აღრიცხება ფურცლების რაოდენობის მიხედვით, პირობითად თითო კა-

პირი ყოველი მათგანი ბალანსგარეშე ანგარიშზე—სახელწოდებით „მკაცრი ანგარიშგების ბლანკები—შიფრი 315“.

ფულბარათის ბლანკებს კავშირგაბმულობის საწარმოები ღებულობენ ფორმა № 11ა რეესტრთან ერთად. ეს ბლანკები მიღებისთანავე უნდა ჩაიწეროს და ეთარში ფორმა № 7ა, სატელეგრაფო კი, გარდა ამისა, უნდა ჩაიწეროს საკონტროლო ეურნალში ფორმა № 20.

ორ ცალად შედგენილ ყოველ განაღდებულ ფულბარათს ჩაწერენ ყოველდღიურ რეესტრში ფორმა № 10, ამასთანავე ერთად ყველა განაღდებულ ფულბარათზე აკეთებენ სათანადო აღნიშვნას და ეთარში ფორმა № 7ა. მაშასადამე, ფორმა № 7ა, დაეთარში აღუნიშნავი თანხები წარმოადგენენ გაუნაღდებელ ფულბარათების ნაშთს. ეს ნაშთი უნდა შეესაბამებოდეს იმ ჯამს, რომელიც მიიღება კარტოთეკაში არსებულ გაუნაღდებელ ფულბარათების ბლანკებზე აღნიშნული თანხების შეკრების შედეგად.

ყოველდღიურად კეთდება ჯამი ფორმა № 10 რეესტრში, რომელიც უჩვენებს განაღდებული ფულბარათების ჯამს.

სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფულბარათის თანხები ნაღდად არ ეძლევათ, ვინაიდან ფულბარათის თანხები მათ ერიცხებათ ბანკიდან კავშირგაბმულობის საწარმოს № 3 ანგარიშსწორების ანგარიშიდან მათი ანგარიშსწორების ანგარიშზე ბანკში. ამიტომ ასეთ ფულბარათებზე ყოველდღიურად დგება ცალკე რეესტრი ფორმა № 10. ბანკში იგზავნება გადარიცხვის შესახებ დავალება ფორმა № 25, ხოლო ფულბარათის მიმღებს ეგზავნება უწყება ფორმა № 24.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რომ ფულბარათების თანხების სწორი აღრიცხვისათვის აუცილებელია:

გასანაღდებლად შემოსული ყველა ბლანკი ყოველდღიურად ჩაიწეროს ფორმა № 7ა და ეთარში;

ფულბარათების განაღდებისას იგი აუცილებლად უნდა ჩაიწეროს როგორც ფორმა № 10 რეესტრში, ისევე გაკეთდეს აღნიშვნა ფორმა № 7ა და ეთარში;

ფორმა № 5 რეეულის მონაცემებისა და № 10 რეესტრის საფუძველზე უნდა შედგეს ორდერი სულ შემოსული და სულ დახარჯული თანხისა სალაროს და ეთარში ჩასაწერად. ამრიგად, ღლის განმავლობაში აღგენენ ერთს შემოსავლისა და ერთს გასავლის ორდერს;

კავშირგაბმულობის კანტორები დაწესებულ ვადებში საკონტროლოდ უგზავნიან ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ს ი ი თ ფორმა № 57:

ა) შევსებულ რეეულებს ფორმა № 5 (თუ რეეული შევსებულია მხოლოდ ნაწილობრივად, ისიც იგზავნება, ოღონდ ქვეთრის შეუვსებელი ბლანკები უნდა წაიშალოს გვარედინად);

ბ) ფორმა № 10 მიხედვით განაღდებული ფულბარათების რეესტრები განაღდებულ ფულბარათების ბლანკებთან ერთად.

კავშირგაბმულობის საწარმოში შემოსული სატელეგრაფო ფულბარათები ტარდება ფორმა № 20 საკონტროლო ქურნალში, ხოლო გამავალი სატელეგრაფო ფულბარათების ფორმა № 26 ქურნალში.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფულბარათებს ჩვეულებრივად პარტიობით აბარებენ კავშირგაბმულობას; მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებები პენსიონერებს პენსიას ყოველთვიურად საფოსტო ფულბარათებით უგზავნიან; იმისათვის, რომ უფრო მოსახერხებელი იყოს მიღება, და აკრეფეე ანგარიშსწორება ასეთი ფულბარათები იგზავნება სპეციალური ს ი ი თ ფორმა № 103ა.

ფულბარათების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაციები აღწევენ უდიდეს ოდენობას როგორც მიღებული ფულბარათების, ისე თანხის მიხედვითაც, მაინც თავსდება შედარებით მცირე რაოდენობის ანგარიშებში და მას აწარმოებენ ქურნალ - მთავარის ფორმით.

8. ფულბარათების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა

საერთო (სინთეზური) აღრიცხვა

კავშირგაბმულობის საწარმოებში (ფოსტამატსა და კანტორებში) ფულბარათების ოპერაცია ტარდება ქურნალ - მთავარის ფორმის მიხედვით, ამასთანავე სარგებლობენ შემდეგი მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით:

- შიფრი 0883 სალარო კავშირგაბმულობის კანტორაში —აქტიური
- 0893 სალარო კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში
- 0901 ფულბარათების ოპერაციების აქცეპტებული ჩეკები
- 0941 ანგარიშსწორების ანგარიში № 3 ბანკში ფულბარათების ოპერაციებისათვის —აქტიურ-პასიური
- 0942 კოლმეურნეობების სალაროს მომსახურების ოპერაციების ანგარიშსწორების ანგარიში
- 1003 ნამეტი და მაშველი ფულადი სახსრები გზაში —აქტიური
- 1062 მტაცებლობის, გაფლანგვისა და დარიცხვების მიხედვით ანგარიშსწორებანი
- 1072 ანგარიშსწორებანი კანტორებსა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროსთან არასაკმაოდ გაფორმებული ფულბარათებით
- „ 1090 ანგარიშსწორება შემნახველ სალაროებთან ფულბარათების ოპერაციებით
- 1120 სახბანკის მიერ უაეიზო ფულბარათების თანხები —აქტიურ-პასიური
- 1170 სხვადასხვა დებიტორები და კრედიტორები
- 1405 ანგარიშსწორებანი ძირითადი საქმიანობის ბალანსთან მიღებული ამონაგებით —პასიური
- 1452 ფულბარათების საკონტროლო ბიუროსთან ანგარიშსწორებანი —აქტიურ-პასიური
- 1600 ფასიანი ქაღალდები —აქტიური
- 2180 პენსიისა და დახმარების მიღებული ფულბარათები —პასიური

- შიფრი 2190 პენსიისა და დახმარებათა განა-
ლდებული ფულბარათები —აქტიური
2200 მიღებული ფულბარათები —პასიური
- 2211 საანგარიშგებო წლამდე განაღდე-
ბული ფულბარათების —აქტიური
2212 საანგარიშგებო წელს მიღებული
განაღდებული ფულბარათები
- „ 2800 მოგება და ზარალი —აქტიურ-პასიური
„ 315 მკაცრი ანგარიშგების ბლანკები —ბალანსგარეშე
„ 328 გაუნაღდებელი ინვენტარიზებუ-
ლი საერთო ფულბარათები —ბალანსგარეშე

ზოგიერთ ამ ანგარიშებს გარდა, ფულბარათების საკონტროლო
ბიუროების ბალანსში ასეთი ანგარიშებიც არის:

- შიფრი 1071 ფულბარათების საკონტროლო
ბიუროს ანგარიშსწორებანი კავ-
შირგაბმულობის *კანტორებთან
არასწორად გაფორმებული დო-
კუმენტებით —პასიური
- 1181 თანხები, რომლებსაც არკვევს
ფულბარათების საკონტროლო
ბიურო —აქტიურ-პასიური
- 1401 ბალანსთაშორისო ანგარიშსწო-
რება ძირითადი საქმიანობის ბა-
ლანსთან —აქტიური
- 1451 ფულბარათების საკონტრო-
ლო ბიუროს ანგარიშსწორება
სხვა ფულბარათების საკონ-
ტროლო ბიუროსთან —აქტიურ-პასიური
- 1453 ფულბარათების საკონტრო-
ლო ბიუროს ანგარიშსწორება
კავშირგაბმულობის სამინისტ-
როსთან

შიფრი 319 საკონტროლოდ გამოგზავნილი
განაღებული ფულბარათის
ბლანკები

—ბალანსგარეშე

321 შენახული გაუნაღებელი ფულ
ბარათების ბლანკები

ყველა ეს ანგარიში ბალანსში ასახავენ ფულბარათების თანხების ფულად მდგომარეობას საწარმოთა საღაროებსა და სახბანკოში მათი № 3 ანგარიშსწორების ანგარიშზე, ამავე ანგარიშებში აისახება აგრეთვე ამ ოპერაციებით ურთიერთ ანგარიშსწორების მდგომარეობაც.

ბუღალტრულ აღრიცხვაში ფულბარათების ყველა ოპერაციის სწორად ასახვისა და გაფორმების საკითხების უფრო სრულყოფილად შესწავლისათვის ქვემოთ (გვ. 233—237) მოგვყავს სანიწუმო ოპერაციების სია ყოველი ოპერაციის მიხედვით.

კავშირგაბმულობის საწარმოდან ფულბარათების საკონტროლო ბიუროში შემოსული ანგარიშგება ყოველხორცად უნდა შემოწმდეს და რაიმე შეცდომის, ან უსწორობის აღმოჩენის, აგრეთვე ბოროტოქმედების დადგენის შემთხვევაში, ამ დარღვევებისა და ბოროტოქმედებათა თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ, გარდა სათანადო ღონისძიებათა მიღებისა, ყოველივე ეს ურთიერთანგარიშსწორების სახით სათანადო გამოხატულებას პოულობს ფულბარათების საკონტროლო ბიუროს მიმდინარე ბუღალტრულ აღრიცხვაში ფულბარათების საკონტროლო ბიუროსა და კავშირგაბმულობის საწარმოს შორის. სწორედ ამიტომ, როგორც კავშირგაბმულობის საწარმოს ანგარიშთა გეგმაში, ისე გზავნილებათა საკონტროლო ბიუროს ანგარიშთა გეგმაში არის მთელი რიგი ანგარიშების, რომლებშიც კუთვნილებიანამებრ აისახება ყველა აღმოჩენილი შეცდომა, თვით ამ შეცდომათა ხასიათის მიხედვით. ამ მიზნით ანგარიშთა გეგმაში არის ანგარიშები 1071, 1181, 1451 და 1452.

აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ფულბარათების ოპერაციების აღრიცხვას აქვს მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მოგვყავს ქვემოთ.

1. მიღებული ფულბარათების ანგარიშა (პასიური ანგარიში) კრედიტში ასახავს ფულბარათების სახით შემოსულ მთელ იმ თანხას, რომელიც უნდა გაუნაღდეს ადრესატებს. მაშასადამე, ამ ფულბარათების განაღებისას უნდა დებეტდებოდეს მიღებული ფულბარათების ანგარიში. სინამდვილეში ეს არ კეთდება. ფულბარათების

განაღდება აღირიცხება განაღდებულ გზავნილებათა ანგარიშის დებეტში (აქტიური ანგარიში). ამგვარად, მთელი წლის განმავლობაში მიღებულ ფულბარათების ანგარიშს აქვს მხოლოდ კრედიტის ჩანაწერები თანდათან ნზარდი ჯამით. სამაგიეროდ განაღდებულ ფულბარათების ანგარიშს ამავე დროის განმავლობაში აქვს მხოლოდ დებეტის ჩანაწერები ასევე ნზარდი ჯამით. წლის ბოლოს კავშირგაბმულობის კანტორის მეერ ამ ანგარიშების ნაშთები გადაირიცხება ფულბარათების საკონტროლო ბიუროსთან ანგარიშსწორებათა ანგარიშში, უკანასკნელი კი მას გადაირცხავს სამინისტროსთან ანგარიშსწორებათა ანგარიშში. წლის ბოლოს სამინისტროში მთელი წლის დასკვნითი მუხლების შედგენისას—განაღდებული ფულბარათების ანგარიშის საერთო ჯამი გადაირიცხება მიღებული ფულბარათების ანგარიშის დებეტში. ამ ჩაწერების შემდეგ ნაშთი (საკრედიტო) მიღებული ფულბარათების ანგარიშისა აჩვენებს გაუნაღდებელ ფულბარათების თანხას.

2. ჩვეულებრივ, რაიმე სახის ფასეულობათა ან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია ტარდება ძალიან მოკლე ხნის განმავლობაში, ეს იმიტომ, რომ ადგილზე იმყოფება ყველა საბუთი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზუსტ ინვენტარიზაციას. ფულბარათების მეურნეობაში გაუნაღდებელი ფულბარათების ინვენტარიზაცია გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სახსრებისა და წყაროების ინვენტარიზაცია სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ამის მიუხედავად, კავშირგაბმულობის ორგანოები ვალდებული არიან ყოველი წლის პირველი იანვრისათვის ჩაატარონ გაუნაღდებელი ფულბარათების ინვენტარიზაცია. კავშირგაბმულობის ყველა საწარმო, რომლებიც პირველი იანვრის წინა ღამით ფულბარათების ოპერაციებს აწარმოებენ, ამოწმებენ კარტოთეკებში მათთან არსებულ გაუნაღდებელ ფულბარათების ნაშთებს; ამ დროს ყველა სახის ტრანსპორტზე ძალიან ბევრი ფულბარათი იმყოფება გზაში, ფულბარათების ჩაბარებისა და აღრესატებისათვის მათი განაღდების ადგილს შორის. ასეთი მდგომარეობა კავშირგაბმულობის ორგანოებს აიძულებს მიიღოს ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებანი. წლის დასაწყისამდე მიღებული ფულბარათების ინვენტარიზაცია ტარდება მათი განაღდების პომენტში. ამისათვის შემოღებულია წესი, რომლის მიხედვითაც პირველ იანვრიდან პირველ აპრილამდე ფულბარათების განაღდებისას სარგებლობენ რ.რ. რეესტრიზ ფორმა № 10. ერთში წერენ გასულ წელს მიღებულ და უკვე განაღდებულ გზავნილებას, მეორეში კი—მიმდინარე წელს მიღებულს. სწორედ ამიტომ არის ბალანსში შეტანილი ფულბარათების განაღდების ორი ანგარიში, სახელდობრ: ანგარიში 2211 საანგარი-

შო წლამდე მიღებული განაღდებული ფულბარათების და საანგარიშო წელს მიღებული ფულბარათების ანგარიში № 2212.

3. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან მიღებული ფულბარათების პენსიებისა და დახმარების განაღდების წესი რამდენადმე სხვაგვარია, ვიდრე საერთო ფულბარათების წესი, ვინაიდან პენსიებისა და დახმარებათა მიღებას აწარმოებენ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები და ანაღდებენ ამავე რაიონებში. ეს ფულბარათები რაიონის ფარგლებს იშვიათ შემთხვევაში სცილდებიან. ამიტომ ასეთი ფულბარათების აღრიცხვა ასევე ცალკეულ ანგარიშებზე 2180 და 2190 წარმოებს:

4. აღრიცხვაში შეცდომები შეიძლება აღმოჩენილ და გამოსწორებულ იქნას იმ საწარმოების მიერ, რომლებმაც ის დაუშვეს, ან ფულბარათის საკონტროლო ბიუროში. თუ შეცდომები აღმოჩენილ იქნა თვით საწარმოში, მისი გასწორება ხდება სტორნოს წესით, ან წითელი სტორნოთი. თუ კავშირგაბმულობის საწარმოს შეცდომები აღმოჩენილია ფულბარათის საკონტროლო ბიუროში, მაშინ სტორნოს წესით შესწორება არ შეიძლება, ვინაიდან შეცდომების გამოსასწორებელი პირველ დაწყებითი ბუღალტრული ჩანაწერები გაკეთებულია ფულბარათის საკონტროლო ბიუროში და ამ ჩანაწერების მიხედვით ზუსტდება კავშირგაბმულობის საწარმოს მიერ დაშვებული არასწორი ჩანაწერები. ამისათვის ბალანსში არის მთელი რიგი ანგარიშები, რომლებიც ახასიათებს ფულბარათების საკონტროლო ბიუროსა და კავშირგაბმულობის საწარმოს შორის ურთიერთანგარიშსწორებას აღმოჩენილი ჩანაწერების მიხედვით. ამ ანგარიშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ბოროტმოქმედებათა გამოვლინებისა და მითვისებული თანხების გადახდევინების საქმეში.

5. კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში, ფულბარათების დარგში, ადგილი აქვთ მრავალჯვარ დარღვევას, სახელდობრ:

1) ორმაგ განაღდებებს, 2) შემოსავლის დაკლებას, 3) გადახარჯვას, 4) ხარჯების დაკლებას, 5) შემოსავლის შატებას, 6) თანხების გადაყოლებას, 7) განაღდებისას დაკლებას; 8) შემოსავალში გაუტარებელ ფულბარათების არსებობას.

ყველა ეს დარღვევა მდგომარეობს შემდეგში:

1. ორმაგი განაღდება ნიშნავს იმას, რომ თანხის გაცემა ჩატარებულია ორჯერ ერთი და იმავე ფულბარათის, მაგალითად, ფულბარათების შესახებ მიღებული დეპეშის საფუძველზე, რომელიც შეცდომით გადმოცემულია ხელმეორედ პირველი დეპეშის გადმოგზავნის 2—3 დღის შემდეგ. ასეთი ფაქტები იშვიათია, მაგრამ მაინც აქვთ ადგილი. ხდება ხოლმე ორმაგად განაღდებაც სულ სხვა მიზეზების გამო. ორმაგი განაღდება შეფასებულია როგორც წუნი მუშაობაში და მეორეჯერ გაცემული თანხა უნდა გადახდეს კლიენტს, რომელმაც არასწორად მიიღო ფული, ხოლო თუ კლიენტისაგან ფულის გადახდევინება შეუძლებელია, ის უნდა დაუკავდეს მის გამცემ დამნაშავე მუშაკს.

2. შემოსავლის დაკლება ნიშნავს იმას, რომ რომელიღაც თანხა არ არის ჩაწერილი სალაროს შემოსავალში, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების მიხედვით ის შემოსულია. დაუშვათ, რომ ფულბარათის ბლანკი შევსებული იყო 895 მანეთზე, ქვითარი ფორმა № 5 გამოწერილია ამავე თანხაზე, ხოლო სალაროს დავთარში შეცდომით ჩაწერილია 859 მან. ამგვარად ადგილი აქვს 36 მანეთით ნაკლებ შემოსავალს.

3. გადახარჯვა ხდება იმ შემთხვევაში, როცა კავშირგაბმულობის საწარმო ფორმა 10 რეესტრში წერს უფრო დიდ თანხას, ვიდრე ფულბარათის მიხედვით არის გაცემული. დაუშვათ, რომ ფულბარათი განაღდებულია 300 მანეთის რაოდენობით, ხოლო ფორმა 10 რეესტრში ჩაწერილია 500 მან. და ამით სალაროს გასავალში აღნიშნულია 200 მანეთით მეტი, ვიდრე დოკუმენტებით არის ნაჩვენები, ე. ი. ადგილი აქვს გადახარჯვას.

4. ხარჯების დაკლება ნიშნავს იმას, რომ რომელიღაც თანხა გაწერილი არ არის ხარჯში სალაროთი დოკუმენტის მიხედვით. მაგალითად, ფორმა 10 სადღეღამისო ჯამის მიხედვით სალაროს დავთრიდან უნდა ჩამოწერილიყო გასავალში 675 მან., ხოლო შეცდომით ჩამოწერილია 576 მან., ე. ი. ადგილი აქვს ხარჯების 99 მან. ნაკლებად ჩვენებას.

5. შემოსავლის მატებას ადგილი აქვს მაშინ, როცა, მაგალითად, რეეულში № 5 ფულბარათის ჩანაწერების მიხედვით ჯამი უნდა შეადგენდეს 1278 მან., ხოლო ფაქტიურად გამოყვანილია (დღის განმავლობაში შევსებული უკანასკნელი ქვითრის ასლზე) 1378 მან. ამგვარად, დაშვებულია გადახარჯვა 100 მანეთით.

6. თანხების გადაყოლება ნიშნავს იმას, რომ სატელეგრაფო ფულბარათის განაღდებისას ფაქტიურად გადახდილია მეტი, ვიდრე ჩა-

წერილია № 5 რეგულში და მეტი, ვიდრე მიღებულია კლიენტისაგან მის მიერ ფულბარათის ჩაბარებისას. ასეთი შეცდომები ხდება დეპეშების დამახინჯებისას, როცა აღნიშნულ დეპეშაში უფრო მეტი თანხაა ნაჩვენები, ვიდრე ტელეგრაფით მიღებულ ფულბარათებში.

7. განაღდება და კლება ხდება მაშინ, როცა დამახინჯება დაშვებულია სატელეგრაფო ფულბარათში, თანხის შემცირების მხრით.

8. შემოსავალში გაუტარებელი ფულბარათები ჰქვია ისეთებს, რომლებიც შეცდომით, ან რაიმე მოსაზრებით არ არის ფორმა № 5 რეგულში შეტანილი.

ყველა ასეთი და მათი მსგავსი დარღვევანი, შეცდომები, გაუგებრობანი, განსაკუთრებით კი ბოროტმოქმედებანი მელაენდებიან ფულბარათის საკონტროლო ბიუროების მიერ და სათანადოდ აღირიცხება ფულბარათის საკონტროლო ბიუროსა და კავშირგაბმულობის ბალანსში, სათანადო თანხები კი ნაზღაურდება საამისოდ დადგენილი წესით.

ფულბარათების საკონტროლო ბიურო, ამოწმებს კავშირგაბმულობის კანტორების მიერ ანგარიშგებასთან ერთად გამოგზავნილ პირველად დოკუმენტაციას, აგრეთვე სხვა ოლქებიდან გამოგზავნილი ფულბარათების ბლანკებს, ეს შემოწმდება ხდება ადგილების მიხედვით ფულბარათის მიღებისა და ამავე ფულბარათების განაღდების პირველადი დოკუმენტაციის ჩანაწერების ერთმანეთთან დაპირისპირების გზით.

ყველა აღმოჩენილი შეცდომის გასწორებას მოსდევს მიწერ-მოწერა ნორმალური და სწორი ჩანაწერებიდან გადახვევათა დასაზუსტებლად. ამისათვის ფულბარათის საკონტროლო ბიურო სარგებლობს იმ დოკუმენტებით, რომელთაგან ნაწილი წარმოადგენს ოპერატულს, დანარჩენები კი წარმოადგენენ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველს მიმდინარე აღრიცხვისათვის.

ფულბარათის საკონტროლო ბიუროში არსებობს სააღრიცხვო რეესტრებისა და სააღრიცხვო შეკითხვების მთელი რიგი ფორმები.

სააღრიცხვო რეესტრი არის დოკუმენტი, რომელიც წარედგინება ფულბარათის საკონტროლო ბიუროში მხოლოდ სათანადო თანხმად გადახდევინების მიზნით და ამასთან დაკავშირებით კლიენტებისაგან (ფულბარათის გამგზავნები ან ადრესატები) დასაბრუნებელი თანხების ბალანსში ასასახავად. ეს რეესტრი დგება მაშინაც, როცა ცალკეულ შემთხვევაში ფული უნდა გადახდეს კავშირგაბმულობის იმ მუშაკებს,

რომლებიც დამნაშავენი არიან შეცდომის დაშვებაში, ან ფულბარათის ამა თუ იმ ოპერაციაში ბოროტმოქმედების ჩადენის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით სააღრიცხვო რეესტრები დგება: ორმაგი განაღდების, შემოსავლის დაკლებისა და შემოსავლის მატების შემთხვევაში, რომელთა გამოვლინება წარმოებს ფულბარათის მეშვეობით, ან თანხების გადაყოლების, შემოსავალში გაუტარებელ ფულბარათის, გაუფორმებელი ფულბარათების № 5 რვეულში სადღეღამისო ჯამის მიხედვით.

სააღრიცხვო-შეკითხვის ბარათი — არის დოკუმენტი, რომელიც დგება ფულბარათის საკონტროლო ბიუროში იმ მიზნით, რომ ბალანსში აისახოს ის თანხები, რომლებიც კავშირგაბმულობის საწარმოებმა მიღებული ფულბარათების ოპერაციის მიხედვით უნდა დაუბრუნონ კლიენტებს. სააღრიცხვო-შეკითხვის ბარათები დგება: ან ფულბარათების მიხედვით გამოვლინებულ შემოსავლის დაკლებაზე, ან ფორმა 10 რეესტრის ჯამზე. ფულბარათების ბლანკების მიხედვით გამოვლინებულ შემოსავლის მატებაზე ფორმა № 10 რეესტრის მიხედვით, ან განაღდების დაკლებაზე № 5 რვეულის სადღეღამისო ჯამის მიხედვით.

ფულბარათის ოპერაციების აღრიცხვისას ყოველდღიურად ფორმდება მთელი რიგი ერთგვარი დოკუმენტები. მოგვეყავს ქვემოთ (იხ. გვ. 233) მთელი რიგი ბუღალტრული მუხლები, რომლებიც გამოსახავენ ფულბარათების მიღებისა და განაღდების ოპერაციებს, აქვე მოგვეყავს ჩანაწერები იმ ოპერაციების მიხედვით, რომელნიც ასახავენ ფულბარათების თანხების მოძრაობას ნამეტი და მაშველი თანხების სახით. გარდა ამისა, მოყვანილია აღმოჩენილი შეცდომებისა და კავშირგაბმულობის კანტორის მიერ დაშვებული უსწორობის მიხედვით საჭირო ჩანაწერების მაგალითები.

ცხრილი

№№ რიგზე	ოპერაციების დასახელება	დებეტდება ანგარიში ¹	კრედიტდება ანგარიში
1	კანტონის მიერ ფულბარათების მიღება: ნაღდად 500 000 მან. აქცეპტებული ჩეკებით 400 000 მან.	0683 0901	2200 2200
2	განყოფილების მიერ ფულბარათების ნაღ- დად მიღება 338 000 მან.	0693	2200
3	კანტონის მიერ ფულბარათების ნაღდად გადახდა საანგარიშგებო წლამდე მიღებუ- ლის 42 000 მან. საანგარიშგებო წელში მიღებულის 76000 „ გადარიცხულია ადრესატების ანგარიშსწორე- ბის ანგარიშზე ბანკში: საანგარიშგებო წლამდე მიღებუ- ლის 94 000 მან. საანგარიშგებო წელში მიღებუ- ლის 18 000 მან.	2211 2212 2211 2212	0683 0938 0941 0941
4	ფულბარათების ფულის მიღებასთან ერთად მიღებულია გამოსაღები მათზე ჩეკე- ბით 24 000 მან.	0901	1405
5	სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისაგან მიღებულია პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათები 78 000 მან. აგრეთვე გამოსაღები მათზე . 800 „ აქცეპტებული ჩეკით: — ფულბარათების თანხა გამოსაღებისათვის	0901 0901	2180 1405
6	მიღებულია ბანკიდან ჩეკით ფულბარათების გასანაღდებლად 125 000 მან.	0683	0941
7	სალაროდან გადაეგზავნა კავშირგაბმულობის განყოფილებებს მაშველად . . . 100 000 მან.	1003	0883
8	კავშირგაბმულობის განყოფილებებიდან მიღე- ბულია ნამეტი თანხა ნაღდად . 140 000 მან. აქცეპტებული ჩეკით 70 000 მან.	0683 0901	1003 1003
9	განყოფილებებში ჩაწერილია შემოსავალში, თა- ნახმად მათი ანგარიშებისა, მაშველად მი- ღებული თანხები 100 000 მან.	0693	1003

¹ ტექნიკური მიხედვის გამო მოკვყავს მხოლოდ ანგარიშების შიფრები, არ ვა-
სახელებთ მხო სახელწოდებებს, რომლებიც ჩამოთვლილია საანგარიშო გეგმაში.

№№ რიგზე	ოპერაციების დასახელება	დებეტდება ანგარიში	კრედიტდება ანგარიში
10	გადარიცხულია სახბანკო № 0 ანგარიშზე ფულპარათების გამოსაღები სულ 88 600 მან.	1405	0941
11	განყოფილების მიერ შემნახველ სალაროზე მაშველად გაცემულია ნაღდი თანხა 60 000 მან.	1090	0893
12	ბანკში ჩაბარებულია აქცეპტებული ჩეკები 460 400 მან.	0941	0901
18	კავშირგაბმულობის სააგენტოებისა და განყოფილებების ამონაგები ჩათვლილია ფულბარათების თანხაში 64 000 მან.	0893	1405
14	კავშირგაბმულობის განყოფილებებმა საანგარიშგებო წლამდე მიღებული ფულბარათები გაანაღდეს 57 000 მან.	2211	0893
15	კავშირგაბმულობის განყოფილებებმა გაანაღდეს საანგარიშო წელს მიღებული ფულბარათები 32 000 მან.	2212	0893
16	კავშირგაბმულობის განყოფილებებმა და სააგენტოებმა გაანაღდეს პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათები 23 400 მან.	2190	0893
17	კავშირგაბმულობის განყოფილებებმა გადაუგზავნეს კავშირგაბმულობის კანტორას ნამეტი თანხები 220 000 მან.	1003	0893
18	შემოვიდა რაიონულ შემნახველ სალაროდან სახბანკო № 3 ანგარიშზე დავალიანების დასაფარავად 60 000 მან.	0911	1090
19	კავშირგაბმულობის კანტორის მიერ სახბანკო № 3 ანგარიშზე შეტანილია ნაღდად 520 000 მან.	0941	0893
20	მაშველი თანხის სახით მიღებულია კავშირგაბმულობის საწარმოს სხვა კანტორებიდან 70 000 მან.	0893	1452
21	კავშირგაბმულობის სხვა ოლქის საწარმოებს მაშველ თანხად გაეგზავნა 65 000 მან.	1452	0983
22	სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს დაუბრუნდა საანგარიშგებო წლამდე მიღებული პენსიებისა და დახმარებათა გაუნაღდებელი ფულბარათების თანხები 10 000 მან.	2190	0941

გაგრაძელება

№№ რიგზე	ოპერაციების დასახელება	დებეტიდება ანგარიში	კრედიტიდება ანგარიში
23	დაუბრუნდა სოც. უზრუნველყოფის ორგანოებს საანგარიშგებო წესს მიღებული გაუნაღდე-ბელი ფულბარათის თანხები . . . 6000 მან.	2180	0841
24	კავშირგაბმულობის განყოფილებაში შემნახველ სალაროზე მაშველ თანხად გაკემუ-ლია 30 000 მან.	1090	0898
25	კავშირგაბმულობის განყოფილებაში შემნახველ სალაროდან მაშველი თანხის სახით მიღე-ბულია 15 000 მან.	0893	1090
26	ეურნალ-გახეთებზე ხელის მონწერ სხვადასხვა პირებისა და დაწესებულებებიდან კავშირგა-ბმულობის განყოფილებაში შემო-ვიდა 7500 მან.	0893	1173 (OP3H)
27	გამორკვეულია, რომ ორი ფულბარათით ორმაგად განაღდება 7500 მან., იმავე დროს ფულბარათის საკონტროლო ბიუ-როში ოპერატიული ანგარიშგება ჯერ კი-დევე არ არის გაგზავნილი ფულბარათების საკონტროლო ბიუროში	1062	2212
28	გამოვლინებულია ფორმა №5 რეგულით გაუ-ტარებელი ფულბარათები ჯა-მით 400 მან.	1062	2200
29	კავშირგაბმულობის კანტორის სალაროს შე-მოწმებისს აღმოჩნდა დანაკლისი ჯამით 650 მან.	1062	0883
30	კავშირგაბმულობის კანტორის სალაროში აღ-მოჩნდა № 5 რეგულის ჯამის წინააღმდეგ გაუტარებელი თანხა 200 მან.	1062	2200
31	კავშირგაბმულობის კანტორის მოლარემ შეც-დომით უჩვენა სალაროში ფულბარათე-ბის განაღდება უფრო მეტი, ვიდრე ჩაწერი-ლია რეესტრში ფორმა № 10 (გადახარჯვა) 300 მან. რაოდენობით საანგარიშგებო წლა-მდე მიღებული ფულბარათებით	1062	2211
32	ფულბარათის საკონტროლო ბიუროში მი-ღებულია სააღრიცხვო რეესტრე-ბი 9000 მან.	1062	1452
33	დამნაშავეებს გადახდათ ნაღდად მათზე დარი-ცხული 2800 მან., რომელიც შეტანილია კავ-შირგაბმულობის სალაროში	0883	1062

გაგრძელება

№№ -რიგზე	ობერაციების დასახელება	დებეტდება ანგარიში	კრედიტდება ანგარიში
34	დამნაშავეებს გადახდათ მათზე დარიცხული 450 მან., რომელიც ჩაწერილია კავშირგაბმულობის განყოფილების სალაროს შემოსავალში	0893	1062
35	გასაუქმებლად დაბრუნებულია ფულბარათების საკონტროლო ბიუროში 1200 მან რეესტრები	1452	1062
36	შემოსულია სახბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე დარიცხვების დასაფარავად . 2100 მან.	0941	1062
37	დარიცხვების დასაფარავად სასამართლოს დადგენილებით შემოსულია სახელმწიფო სესაების ობლიგაციები 800 მან.	1600	1062
38	სახელმწიფო სესხების ობლიგაციები ჩაბარებულია რაიონულ შემნახველ სალაროში მათი ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხავად 800 მან.	1452	1600
39	სასამართლოს დადგენილებით მიღებულია აღმასრულებელი ფურცელი, რომლის საფუძველზე გადახდებიანებულია დავალიანება დარიცხვების სახით 3000 მან.	0941	1062
40	ჩამოწერილია ხარალში დავალიანება, რომლის ამოღება უიმედოა 500 მან.	2800	1062
41	სალაროს შემოწმებისას აღმოჩნდა ნამეტო თანხა 120 მან. რაოდენობით, იმავე დროს გამოთურკვეველია ამ ნამეტის შექმნის მიზეზები	0883	133
42	გამოვლინებულია, რომ გასულ წელს მოგებაში ჩარიცხული 180 მან. შეცდომით არ არის გაცემული კლიენტზე, რომელიც მოითხოვს ამ თანხის განაღდებას ეს ფული ეძლევა მას კანტონის სალაროდან	2800	0883
43	ბანკმა გამოგზავნა ავიზო, საიდანაც ჩანს, რომ შეცდომით ჩაუწერია ჩვენი № 3 ანგარიშსწორების ანგარიშის კრედიტში . . . 2250 მან.	0941	1170
44	ბანკმა დადგინა თავისი შეცდომა და ეს თანხა ჩვენი ანგარიშიდან ჩამოწერა	1170	0941

გაგრაძელება

№№ რიგზე	თაქრაციების დასახელება	დებეტდება ანგარიში	კრედიტდება ანგარიში
45	კავშირგაბმულობის კანტორაში აღმოჩენილია, რომ კანტორის მუშაკმა ჩაწერა ფორმა № 10 რეესტრში წლის დასაწყისამდე განადღებული ფულბარათები 630 მანეთით მეტი, ვიდრე ფაქტიურად გან.ღდებულა	1062	2211
46	ასეთივე თაქრაციით, მაგრამ სანგარიშგებო წელს მიღებული ფულბარათით მუშაკმა ფორმა № 10 რეესტრში ჩაწერა 375 მანეთით მეტი, ვიდრე უნდა ჩ.წერილიყო	1062	2212
47	მიღებული გზავნ.ლებით თ.ვის დროზე სალაროში ჩაწერილია 185 მან. ნაკლები (თაქრაციული ანგარიშგება უკვე გადაგზავნილია ფულბარათების საკონტროლო ბიუროში)	1062	1170
48	კავშირგაბმულობის კანტორაში ფულბარათების საკონტროლო ბიუროში დოკუმენტების გადაგზავნის წინ მათი შემოწმებისას გამოვლინებულია ხარჯების. დაკლება და შემოსავლის გადამეტება: ა) მიღებული ფულბარათებით . 275 მან. ბ) სანგარიშგებო წლამდე მიღებული განადღებული ფულბარათებით . . . 527 მან. გ) იგივე, სანგარიშგებო წლის 100 მან.	2200	2211 1170 1170
49	შემოვიდა კავშირგაბმულობის კანტორის სალაროში წინათ ჩამოწერილი ხარალის თანხა 1000 მან.	0853	2600
50	შემოვიდა კავშირგაბმულობის განყოფილების სალაროში ვალი გასულ წელს ხარალია სხით ჩამოწერილი თანხა 500 მან.	0553	2800
51	ფულბარათების საკონტროლო ბიუროდან მიღებულია აღრიცხვის რეესტრი გამოვლენილ შემოსავლის დაკლებაზე 835 მან.	1062	1452
52	ფულბარათების საკონტროლო ბიუროდან მიღებულია სააღრიცხვო რეესტრეში სანგარიშო წლამდე ფულბარათების 495 მან. და სანგარიშო წელს მიღებული ფულბარათების 594 მან. გადახარჯვის	1062	1452

თვის ან კვარტალის განმავლობაში მიმდინარე აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე ღებვა ბ რ უ ნ ვ ა თ ა უ წ ყ ს ი , ბოლოს კი , ბ ა - ლ ა ნ ს ი .

იმისათვის, რომ ფულბარათების ოპერაციების დარგში კავშირგაბმულობის ორგანოების საქმიანობა საბოლოოდ იქნას გამორკვეული, ე. ი. იმისათვის, რომ დადგენილ იქნას წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის რამდენი და რა თანხის გაუნაღდებელი ფულბარათები არის დარჩენილი, გაუნაღდებელი ფულბარათების დამახასიათებელი ყველა მაჩვენებელი სათანადო ანგარიშგების მიხედვით ცენტრალიზებული უნდა იქნას და აისახოს იგი ფულბარათების ოპერაციების კავშირგაბმულობის სამინისტროს ბალანსზე, რისთვისაც კავშირგაბმულობის კანტორების მთელი რიგი ანგარიშების ნაშთები გადაირიცხება ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ბალანსზე, ხოლო შემდეგ კი ამ უკანასკნელის ბალანსიდან კავშირგაბმულობის სამინისტროს ბალანსზე.

კავშირგაბმულობის კანტორა ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ბალანსზე რიცხავს ანგარიშების: 2200, 2211, 2212, 0941 და 2800 ნაშთებს¹.

ვინაიდან ფულბარათის საკონტროლო ბიუროსა და კანტორას შორის ყველა ანგარიშსწორება აისახება 1452 ანგარიშში, ამიტომ ამ ბალანსის მიხედვით სადებეტო ნაშთები უნდა გადაირიცხოს 1452 ანგარიშის დებეტში. ამასთან, ყველა ეს თანხები უნდა გატარდეს აქტიურ ნაშთების კრედიტში, საკრედიტო ნაშთები კი ჩაიწერება 1452 ანგარიშის კრედიტში და პასიურ ნაშთების დებეტში. იმისათვის, რომ ეს ჩანაწერები დაემთხვეს ფულბარათის საკონტროლო ბიუროს ბალანსის სათანადო მონაცემებს, ამ უკანასკნელმა თვის ბალანსში უნდა ჩაატაროს შემხვედრი ჩანაწერები. ამ გატარების შემდეგ ანგარიში 1452 ორივე ბალანსში აჩვენებს ერთსა და იმავე ჯამს, ერთი ბალანსის აქტივში და მეორე ბალანსის პასივში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ როგორც უკვე ვიცით პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათები განაღდებული უნდა იქნას ერთი რაიონის ფარგლებში. ამიტომ გაუნაღდებელი პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათების ნარჩენები ცენტრის ბალანსში მთლიანად კი არ გადაეცემა, არამედ გადაირიცხება საერთო ანგარიშის (2180—2190) ბრუნვა 1 იანვრისათვის მხოლოდ განაღდებული თანხით.

¹ იმის შემდეგ, რაც ისინი იქნებიან გამოვლინებულნი ჟურნალ-მთავარის მიხედვით.

დასკვნითი მუხლების შედგენამდე გაუნაღდებელი პენსიებისა და დახმარებათა ნაშთები აუცილებლად ინვენტარიზებული უნდა იქნას, ე. ი. უნდა შემოწმდეს სახეზე არსებულ ფულბარათებთან.

აუცილებელია ბანკთან შედარდეს პირველი იანვრისათვის ჩანაწერების და ნაშთების სისწორე. 0901 ანგარიშზე, რომელიც გვიჩვენებს აქცეპტებულ ჩეკებზე თანხების მდგომარეობას, უნდა იყოს მცირედი ნაშთი, რასაც აღწევნენ ყველა აქცეპტებული ჩეკების წინასწარ (არა უგვიანეს 29—30 დეკემბრისა) ბანკში ჩაბარებით და ამ თანხების ურთიერთანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაწერის მოთხოვნით. აუცილებლად საჭიროა, რომ იმავე დროს ანგარიში 1003 გულდასმით იქნას შემოწმებული იმ ვარაუდით, რომ გზაში იყოს მხოლოდ პირველი იანვრისათვის გადაგზავნილი თანხები.

განსაკუთრებით დგას სადებიტორო და საკრედიტორო დავალიანებათა საკითხი. უნდა მოვთხოვოთ მოვალეს დაფაროს თავისი დავალიანება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დავალიანების გადახდევინების შესახებ სარჩელი უნდა გადაეცეს სასამართლო ორგანოებს.

ასევე უნდა იქნას განსაზღვრული დავალიანება კრედიტორების მიმართ. ბალანსში აუცილებლად უნდა ვუჩვენოთ დებიტორების დავალიანება აქტივში, ხოლო კრედიტორების დავალიანება პასივში.

დეტალური (ანალიზური) აღრიცხვა

როგორც ცნობილია, აღრიცხვის დეტალიზაციისათვის ბუღალტრულ აღრიცხვაში საერთო ანგარიშების განსავეითარებლად წარმოებს დეტალური ანგარიშები.

ასე, მაგალითად:

1. კავშირგაბმულობის კანტორაში სალაროს ანგარიშის 0883 მიხედვით აწარმოებს სალაროს დაეთარს მთავარი მოლარე, ან კავშირგაბმულობის კანტორის უფროსის თანაშემწე. ჩანაწერები წარმოებს აუცილებლად მელნით. ჩანაწერის საფუძველს წარმოადგენს:

ა) შემოსავლისათვის — სალაროს ორჯერი რეგული ფ. № 5 მიხედვით შედგენილი ცნობის საფუძველზე დღის განმავლობაში, ყველა სხვა ორდერი ყოველი ოპერაციის მიხედვით ცალკე (ფულის მიღება ჩეკებით და სხვ.), აგრეთვე პირველადი დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფულის შემოსავალში გატარების საფუძველს.

ბ) გასაგლისათვის — სალაროს ორდერი რეესტრი ფორმა № 10 საფუძველზე დღის განმავლობაში, ყველა სხვა ორდერი ბანკში ფულის შეტანისა, შემნახველ სალაროსთან ურთიერთანგარიშსწორებისა და სხვ.

დღის ბოლოს ჯამდება სალაროს დავთრის შემოსავალი და გასავალი და გამოყვანილი უნდა იქნას ნაშთი მეორე დღისათვის; ეს ნაშთი უნდა ეთანაბრებოდეს სალაროში ფაქტიურად სახეზე არსებულ ფულს. რაიმე სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში დგება აქტი, რომლის ასლი იგზავნება ფულბარათების საკონტროლო ბიუროში, იმავე დროს ზედმეტი ტარდება შემოსავალში ფინანსთა სამინისტროსთან ურთიერთანგარიშსწორების კრედიტის ანგარიშში (ანგარიში 133), ხოლო დანაკლისი დაეწერება დამნაშავეს.

2. კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში სალაროს ანგარიშზე ყოველ განყოფილებაში არის საქალაქო, სადაც ინახება განყოფილებათა ანგარიშგებანი ფორმა № 131 და 131ა, რომლებიც ყოველდღიურად გულდასმით მოწმდება მათი სწორად შედგენის თვალსაზრისით, ხოლო რაც მთავარია კონტროლის გაწევის თვალსაზრისით იმაზე, რომ განყოფილებებმა არ დააკაონ დიდი რაოდენობის თანხები, რომ თავის დროზე გაანაღდონ ფულბარათები და სწორად გააფორმონ ყველა ოპერაცია, აგრეთვე კავშირგაბმულობის კანტორაში გამოუგზავნონ ყველა ნამეტი თანხა.

ამ ანგარიშგებათა საფუძველზე ფ. № 5 რვეულებისა და რეესტრების ფ. № 10, აგრეთვე ამ ანგარიშგებებში ყველა ნამეტი და მაშველი თანხების მოძრაობის სწორად ასახვის საფუძველზე, წარმოებს ჩანაწერები ანგარიში 0893 ბარათებზე.

3. 0901 ანგარიშისათვის აწარმოებენ სალაროს სპეციალურ დავთარს, რომელშიც შემოსავლად წერენ კლიენტებისაგან მიღებულ ყველა აქციებტებულ ჩეკს, ხოლო გასავალში კი მათ შეტანას სახბანკში თანხის ანგარიშსწორების ანგარიში № 3 ჩასარიცხავად.

4. 0941 ანგარიშზე წარმოებს ერთი ბარათი, რომელშიც ბანკიდან ფულის მიღებისა და ბანკში ფულის შეტანის საფუძველზე წარმოებს სათანადო ჩანაწერები. ბანკი პერიოდულად, ბევრ შემთხვევაში ყოველდღიურადაც კი, აგზავნის ამონაწერს მის მიერ ანგარიშში № 3 ჩატარებული ჩანაწერის შესახებ. ეს ამონაწერი აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა შედარდეს მიმდინარე ანგარიშის მონაცემებთან კავშირგაბმულობის კანტორაში, როგორც ბრუნვათა მიხედვით (დებეტსა და კრე-

დიტს), ისე დღის შემოწმების შემდეგ დარჩენილ ნაშთთან და რაიმე სახის სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ უნდა დაზუსტდეს და სათანადოდ გასწორდეს. ასეთივე ბარათი წარმოებს კოლმეურნეობათა სალაროების მომსახურების მხრივაც, იმავე დროს ყოველ კოლმეურნისათვის იხსნება ცალკე ბარათი.

5. 1003 ანგარიშის მიხედვით ყოველი განყოფილებისა და სააგენტოსათვის წარმოებს ორი ბარათი, რომლიდან ერთი განკუთვნილია გაგზავნილი მაშველი თანხების აღრიცხვისათვის, მეორე კი ნამეტების აღრიცხვისათვის. მათში ჩაწერას აწარმოებენ აუცილებლად მაშველი თანხის მიღებისა და ნამეტების გადაგზავნის დღეს. ამ ჩანაწერების საფუძველზე აწარმოებენ ყოველდღიურ კონტროლს გზაში ფულის მოძრაობაზე. მიშველიების სახით ფულის გაგზავნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა კანტორის უფროსი დააზუსტებს მის საჭიროების აუცილებლობას. მაშასადამე, აუცილებლად უნდა შემოწმდეს, უკანასკნელად როდის იყო გაგზავნილი მაშველი თანხა, შემოვიდა თუ არა ის და, როგორ არის გამოყენებული, ხომ არ არის იქ ფული იმაზე მეტი, რაც საჭიროა, რა სახის განაღდებათა საჭიროა და სხვ.

6. 1062 ანგარიშის მიხედვით ყოველ მოვალეზე იხსნება ცალკე ბარათი. მასში, როგორც ანალიზური აღრიცხვის ბარათში, დაწვრილებით უნდა იყოს ჩაწერილი, როდის და რისთვის შეიქმნა დავალიანება, და რა დოკუმენტით (აქტით, სააღრიცხვო რეესტრით და სხვ.) და როდის იქნება ის დაფარული. ბუღალტერიის მუშაკი, რომელიც ამ ბარათებს აწარმოებს, თვალყურს უნდა ადევნებდეს იმას, რომ ვალი დანიშნულ ვადებში იქნას დაფარული.

თუ შემოწმების პროცესში გამოირკვევა, რომ კავშირგაბმულობის კანტორაში რომელიმე მუშაკმა, რომელსაც მინდობილი აქვს ფულბარათების ოპერაციის წარმოება, ორჯერ გაანაღდა რომელიმე ფულბარათი, სალაროს შემოსავალში ჩაწერა ფულბარათით მიღებული თანხა არამთლიანად, სალაროს გასავალში ჩაწერა იმაზე მეტი თანხა, რაც განაღდებულია რომელიმე ფულბარათით, ან ფულბარათით შემოსული რაიმე თანხა გაფლანგა, — ყველაფერმა ამან, — გამოვლინებისთანავე თავისი გამოსახულება უნდა პოვოს ბუღალტრულ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების სახით. ეს დავალიანება პოულობს თავის გამოხატულებას ურთიერთანგარიშსწორების ანგარიშზე დატაცების, გაფლანგვისა და დარიცხვებისათვის. ასეთი ანგარიშსწორებანი შეიძლება გაეყოს ორ კატეგორიად:

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ანგარიშსწორებანი ბოროტ-მოქმედებათა ჩადენის, დანაკლისის აღმოჩენისა და შეცდომების დაშვების ხაზით, რომელიც გამოვლინდება თვით კავშირგაბმულობის კანტორაშივე ანგარიშგების შედგენის, ან მიმდინარე აღრიცხვის ლოკუმენტების შემოწმებისას;

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ანგარიშსწორებანი ყველა სახის სხვა დანარიცხების მიხედვით, რომლებსაც გამოავლენს უკვე ფულბარათების საკონტროლო ბიურო. ამასთან დაკავშირებით ანგარიშსწორების ანგარიში დატაცების, გაფლანგვისა და დაორიციებისა დებეტდება იმ თანხებით, რომლებიც დაკისრებული აქვთ დანაშაულებს და კრედიტდება ამ დანაშაულებსაგან გადასდევინებული თანხებით, ამავე დროს:

ა) ფულბარათების საკონტროლო ბიუროსაგან სააღრიცხვო რეესტრის სახით მიღებულ დანარიცხს კავშირგაბმულობის კანტორა ასახავს 1062 ანგარიშის დებეტში და 1452 ანგარიშის კრედიტში.

ბ) დანარიცხები, აღმოჩენილი თვით კანტორაში, ფორმდება აქტის შედგენით დანარიცხის თანხის 1062 ანგარიშის დებეტზე მიკუთვნებით, დატაცების, გაფლანგვების შემთხვევაში 0883 ანგარიშის კრედიტში ან 2211 ანგარიშის კრედიტში ორჯერ განადღებისას, ან ჩამოწერილი ზედმეტი ხარჯებისას და, ბოლოს, 2200 ანგარიშის კრედიტში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება გაუტარებელი ფულბარათები ან არასრულად გატარება ფორმა № 5 რვეულის მიხედვით.

7. 1181, 1451, 1452 ანგარიშების მიხედვით ბარათები იხსნება კავშირგაბმულობის ყოველი საწარმოსათვის ცალკე, ამავე დროს:

ა) ფულბარათების საკონტროლო ბიურო 1181 ანგარიშზე ცალკე ბარათში აღრიცხავს ყოველი კანტორისათვის იმ თანხებს, რომლებიც ვადამეტებით არის შემოსავალში გატარებული ფორმა № 5 რვეულში და ნაკლებ ხარჯებს რეესტრი ფორმა № 10, ფულბარათების საკონტროლო ბიუროში კონტროლის დროს ოპერატიული განყოფილებების, ან ბუღალტერიის მიერ ოპერატიული კონტროლის მონაცემების კავშირგაბმულობის კანტორების ბუღალტრულ ანგარიშგებასთან შედარების დროს გამოვლინილი, რომელთა აქტი სალაროს დანაკლისის შესახებ არ არის გამოგზავნილი ფულბარათების საკონტროლო ბიუროში. ფულბარათების საკონტროლო ბიუროში ყოველგვარის სახის ზედმეტი გატარების, ან ნაკლები ხარჯების დროს დგება და იგზავნება კავშირგაბმულობის კანტორაში სააღრიცხვო-შეკითხვითი ბარათი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, თუ ვის უნდა მიეცეს აქტის საფუძ.

ველზე დაყრდნობით ამ ბარათში ნაჩვენებები თანხები. ამ ანგარიშზე ფულბარათების საკონტროლო ბიურო აღრიცხავს აგრეთვე ნაკლულ შემოსავალს და გადახარჯვებს და აწარმოებს მათ გამოკვლევას კავშირგაბმულობის კანტორებში გამოგზავნილი სააღრიცხვო ბარათების შედგენის გზით. ამ ანგარიშზე ასეთი ჩანაწერები შეიძლება იყოს უმოდროდ არა უმეტესი 10 დღისა, რის შემდეგ თანხები გადარიცხული უნდა იქნას სათანადო ანგარიშებზე, ვინაიდან ანგარიში 1181 წარმოადგენს საცნობრო ხასიათის ანგარიშს, ვიდრე დაზუსტდებოდეს თუ ვის ეკუთვნის ეს თანხები;

ბ) 1451 ანგარიშში აღრიცხება სხვადასხვა ოლქების ფულბარათების საკონტროლო ბიუროების ანგარიშსწორება სააღრიცხვო რეესტრების მიხედვით;

გ) 1452 ანგარიშში აღრიცხება ფულბარათების საკონტროლო ბიუროსა და კავშირგაბმულობის კონტროლის ქვეშ მყოფი კანტორებს შორის ანგარიშსწორება.

8. 2200, 2211, 2212, 1600, 1406 ანგარიშები წარმოებს საერთო აღრიცხვის ცალკე ბარათებში (ეს ბარათი იმავე დროს ემსახურება დეტალურ აღრიცხვასაც). ტექსტში მოცემული უნდა იყოს შესაძლებელი ახსნა-განმარტებანი.

9. 1090 ანგარიშში აღრიცხება შემნახველ სალაროებთან ურთიერთ ანგარიშსწორება. ვინაიდან ყოველი კანტორა აწარმოებს ამ ანგარიშსწორებას ერთ მეზობელ შემნახველ სალაროსთან, კანტორაში იხსნება ერთი ბარათი.

10. 2180 და 2190 ანგარიშები წარმოადგენს წმინდა ადგილობრივი ხასიათის ანგარიშებს, რომლებშიც აღრიცხება პენსიებისა და დახმარებათა ფულბარათები იმ პენსიონერთა სახელზე, რომლებიც მოცემულ რაიონში ცხოვრობენ. მაშასადამე, 2180 ანგარიშის კრედიტის დეტალური აღრიცხვა ხორციელდება ოპერატიული გზით (დავთარი № 7-ა და სხვ.), ხოლო 2190 ანგარიშის დებეტისა—ფორმა № 10 რეესტრით.

11. 1170 ანგარიში წარმოებს ცალკეულ ბარათებში ყოველი დებიტორისა და კრედიტორისათვის ცალ-ცალკე. ყოველთვიურად ბალანსის შედგენისას აუცილებლად საჭიროა გამოვლინებული იქნას ყოველ დებიტორთან და კრედიტორთან ანგარიშსწორების მდგომარეობა, რომ დებიტორული დავალიანების თანხა ბალანსში მოხვდეს აქტივში, ხოლო კრედიტორული დავალიანების თანხა — პასივში.

1170 ანგარიშში აღირიცხება აგრეთვე კავშირგაბმულობის განყოფილებებში გამოცემებისათვის მიღებული თანხები, ფულბარათები, მიღებული გამომცემლობის მისამართზე, აგრეთვე ბანკის მიერ ანგარიშსწორების ანგარიშში № 3-ზე არასწორად ჩარიცხული თანხები.

12. ბალანსში არის ანგარიში „სახბანკის მიერ არაავიზებული ფულბარათების“ სახელწოდებით. თვის უკანასკნელ დღეს (30 ან 31 რიცხვს) კავშირგაბმულობის ორგანოებს ბანკის საღამოს საღაროში შეაქვთ ფული ანგარიშსწორების ანგარიშზე № 3. კავშირგაბმულობის კანტორა ამ შემთხვევაში აღებუტებს არაავიზებული თანხების ანგარიშს, ვინაიდან სახბანკი აკრედიტებს ანგარიშსწორებებს ანგარიშს მხოლოდ მომდევნო თვის პირველი რიცხვით. ამგვარად, ბანკისა და კანტორის საბალანსო მანქანებლებს შორის არაავითარი სხვაობა არ არის. ამიტომ კავშირგაბმულობის ორგანოები ბალანსის წარდგენისას არდგენენ ბანკის ცნობას ამის შესახებ შემდეგი ფორმის მიხედვით:

ც ნ ო ბ ა

სახბანკის მიერ არაავიზებული თანხების შესახებ, რომლებიც აღნიშნულია . . .
 კავშირგაბმულობის კანტორის მიერ 195 წ. თვის
 ფულბარათის ანგარიშების მიხედვით.

1120 ანგარიშით

კავშირგაბმულობის კანტორაში გატარების თარიღი	ოპერაციების მოკლე შინაარსი	ჯამი		სახბანკის გარარების თარიღი	სახბანკის აღნიშვნა სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში
		დებეტი	კრედიტი		
	სულ				

კავშირგაბმულობის .

სახბანკის განყოფილებების

კანტორის უფროსი

მმართველი

უფრ. ბუღალტერი

უფრ. ბუღალტერი

წელი, თვე, რიცხვი

წელი, თვე, რიცხვი

13. 2800 ანგარიში, რომელიც გვიჩვენებს საანგარიშგებო თვის განმავლობაში ზარალსა და მოგებას წარმოებს ერთ ბარათზე, რომელშიც დღის განმავლობაში დაწვრილებით შეაქვთ ყველა ზარალი, ხოლო კრედიტში კი ყველა მოგება.

რაც შეეხება ბალანსგარეშე ანგარიშებს, ფულბარათის ბალანსზე არის:

ა) ანგარიში 315, რომელშიც აღირიცხება მკაცრი აღრიცხვის ბლანკები—რეეულები № 5 ფორნით;

ბ) ანგარიში 319, რომელშიც აღირიცხება საკონტროლოდ გამოგზავნილი განაღდებული ფულბარათების ბლანკები ნომინალური თანხით;

გ) ანგარიში 321, რომელშიც აღირიცხება შესანახად არსებული გაუნაღდებელი ფულბარათები (ფულბარათები, რომლითაც დადგენილი დროის განმავლობაში არც ადრესატს, არც ფულბარათის შემომტანს თანხა არ ჩაბარდა);

დ) ანგარიში 328, რომელშიც აღირიცხება პირველი იანვრისათვის ინვენტარიზებული და გაუნაღდებელი საერთო ფულბარათები;

ე) ანგარიში 323, რომელშიც აღინიშნება ნაკლული გამოსაღები ფულბარათების გადაგზავნისათვის.

ფულბარათების ოპერაციების დარგში კავშირგაბმულობის საწარმოების საანგარიშო აპარატის ნორმალური მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ყოველდღიური გულდასმითი კონტროლი ფულადი სახსრების ყოველგვარ მოძრაობაზე (ნამეტი, მაშველი თანხები). გარდა ამისა, მხოლოდ ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ყველა მოთხოვნისათა შესრულების სისტემატური კონტროლი გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე, შეცდომებზე, დარღვევებზე და ბოროტ-მოქმედებებზე, აგრეთვე ყველა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დროულად თავიდან აცილებას შეუძლია უზრუნველყოფის კავშირგაბმულობის კანტორებისა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროების ფულბარათების ოპერაციების ბალანსებში სწორი მაჩვენებლები.

4. ქაშვირგაბმულობის კანტორებისა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროების ანგარიშგება ფულ- ბარათების ოპერაციის დარგში

კავშირგაბმულობის საწარმოს საქმიანობა ფულბარათების ოპერაციის დარგში აისახება ამ საწარმოების მიერ შედგენილ და წარმოდგენილ პერიოდულ (თვიური) და წლიურ ანგარიშგებაში. პრაქტი-

კულად კავშირგაბმულობის კანტორები ცალკე არ აღგენენ ფულბარათების ოპერაციის წლიურ ანგარიშს. ისინი აღგენენ დეკემბრის ანგარიშს, სადაც შეაქვთ ყველა დასკვნითი ბრუნვა. ასეთი ანგარიშგება სცვლის წლიურ ანგარიშგებას.

კავშირგაბმულობის კანტორისა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ანგარიშგება შედგება:

ბალანსისაგან, ხოლო წლიურ ანგარიშგებაში დასკვნითი ბალანსისაგან;

ცხრილისაგან, რომელიც ახასიათებს დანარიცხების მოძრაობას (ორმაგ განაღდებას, გადახარჯვებს, ნაკლულ შემოსავალს, გაფლანგვებს და სხვ.), აგრეთვე დავალიანების ძღვომაჩეობას წლის ბოლოსათვის; ანგარიშგებისაგან, მოგება-ზარალის შესახებ.

წლიური ანგარიშგება შედგენილი უნდა იქნეს როგორც კავშირგაბმულობის, ისე ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ბალანსის ყველა მუხლის ინვენტარიზაციის საფუძველზე.

ინვენტარიზაციის ამოცანას წარმოადგენს ბალანსის ყველა საინვენტარიზაციო მუხლის სისწორისა და რეალურობის დადგენა და სოციალისტური საკუთრების დაცვა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ინვენტარიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გაუნაღლებელი ფულბარათების ნატურით შეპოწმება. ჩვენ უკვე განვიხილეთ საკითხი გაუნაღლებელი ფულბარათების ინვენტარიზაციის შესახებ; მიუხედავად ამისა, აქ ერთხელ კიდევ პრაქტიკულად გავეცნოთ გაუნაღლებელი ფულბარათების ინვენტარიზაციის საწარმოო პროცესს.

ძირითადად ინვენტარიზაცია ხდება იმ ფულბარათებისა, რომლებიც აღირიცხება ანგარიშებზე 2200, 2211, 2212 და ანგარიშებზე 2180 და 2190 და რომლებიც არსებობენ განაღდების ადგილზე კავშირგაბმულობის საწარმოში და რომლებიც შემოტანილია მომავალი წლის პირველ იანვრამდე და დარჩენილია გაუნაღლებლად საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრის შემდეგ. ამასთან ერთად თანდათან ინვენტარიზაციაში უნდა გატარდეს პირველ იანვრამდე მიღებული ფულის ყველა ბარათი, რომლებიც კავშირგაბმულობის საწარმოებში დანიშნულ ადგილას მიიღება გასანაღლებლად მხოლოდ პირველი იანვრის შემდეგ.

ვინაიდან სასურველია, რომ ინვენტარიზაციის დროს იყოს რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის გაუნაღლებელი ფულბარათები, მიზანშეწონილია დეკემბრის უკანასკნელ დღეებში უფრო აქტიურად ჩაერთაოთ ფულბარათების განაღდების ოპერაცია. ასევე სასარგებლოა

მოველაპარაკოთ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს იმის შესახებ, რომ პენსიონერებისათვის დეკემბრის ფულბარათები გადმოგზავნონ არა უგვიანეს 25 დეკემბრისა, რათა პირველ იანვრამდე მოესწროს მათი ჩაბარება ადრესატებისათვის.

იმისათვის, რომ ინვენტარიზაციის დროს არ დაეუშვათ შეცდომა და ერთი და იგივე ფულბარათი ორჯერ არ გავატაროთ ინვენტარიზაციაში, ყოველ გატარებულ ფულის ბლანკზე უნდა დავსვათ ტვიფრი „ინვენტარიზებულია“.

31 დეკემბერს, ოპერაციის დამთავრების შემდეგ, ფულის ანგარიშგებისა და რეესტრის № 10 შედგენის შემდეგ, კავშირგაბმულობის სააგენტოები, განყოფილებები და კანტორები ადგენენ როგორც ფოსტით, ისე ტელეგრაფით მიღებულ გაუნაღლებელ ფულბარათების სიას შემდეგი ფორმის მიხედვით:

ფორმა № 1

ს ი ა

პირველი იანვრისათვის _____
_____ (ოლქის, მხარის, რესპუბლიკის სააგენტოს _____
_____ განყოფილების, კანტორის მიერ) გაუნაღლებელი ფულბარათების

ფულბარათების ნომრები	ფულბარათების მიღების თარიღი	ფულბარათების ნომრები რვეული ფ. № 5 მიხედვით	ფულბარათების ჯამი		შენიშვნა
	წელი, თვე		მან.	კაპ.	

ბეჭდის ადგილი
სიის შედგენის წელი, თვე, რიცხვი

(კავშირგაბმულობის საწარმოს უფროსის ხელის მოწერა)

კავშირგაბმულობის კანტორები თავის მხრით ამოვე ფორმით აერთიანებენ ყველა მათზე დაქვემდებარებულ სააგენტოებისა და განყოფილებების სიებს, თვით კანტორის სიასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგენენ შეჯამებულ სიას მთელი რაიონის მიხედვით შემდეგი ფორმით:

ფორმა № 2

კრებსი _____ კანტორის მიერ _____ წ. პირველ იანვრისათვის გაუნაღდე-
ბელი ფულბარათების სიებისა

ნომრები რიგზე	საწარმოს დასახელება	გაუნაღდებელი ფულბარათების რაოდენობა	ფულბარათების ჯამი	
			მან.	კაპ.

კანტორაზე დაქვემდებარებული ყველა საწარმოს სიებთან ერთად
კავშირგაბმულობის კანტორა აგზავნის ფორმა № 2 ფულბარათების
საკონტროლო ბიუროში.

ვინაიდან ფულბარათების საკონტროლო ბიუროში შენახულია
გაუნაღდებელი ფულბარათების ბლანკები—ამ ბლანკებსაც ასევე ინვენტა-
რიზაციისათვის ატარებენ პირველი იანვრისათვის და შეაქვთ აღწერაში
ფორმა № 3 მიხედვით.

ფორმა № 3

ცნობები _____ ფულბარათების საკონტროლო ბიუროსი
_____ ოლქში პირველი იანვრისათვის შენახული გაუნაღდებელი ფულ-
ბარათების შესახებ

ნომრები რიგზე	ფულბარათის მიღების წელი	ფულბარათის რაოდენობა	ჯ ა მ ი	
			მან.	კაპ.

ფულბარათების საკონტროლო ბიუროს უფროსი (ხელის მოწერა)
მთავარი ბუღალტერი (ხელის მოწერა)

ცნობის შედგენის წელი, თვე და რიცხვი.

კავშირგაბმულობის ყველა დაქვემდებარებული კანტორის აღწერის
მიღებისას ფორმა № 1 და 2 ფულბარათების საკონტროლო ბიურო
აღგენს მთელი ოლქის მასშტაბით ნაკრებ უწყისის ფორმა № 4 მიხე-
დვით.

ფულბარათების საკონტროლო ბიუროს ცნობები გაუნაღდებელი ფულბარათების შესახებ _____ ოლქის მიხედვით _____ წლის პირველი იანვრისათვის

ნომრები რიგზე	კავშირგაბმულობის კანტორის დასახელება	ფულბარათების რაოდენობა	ჯ ა მ ი	
			მან.	კაბ.

ფულბარათების საკონტროლო ბიუროს უფროსი

(ბელის მოწერა)

მთავარი ბუღალტერი

(ბელის მოწერა)

დოკუმენტის შედგენის წელი, თვე და რიცხვი

საანგარიშო წლის შენჯეგ იანვრის, თებერვლის, მარტის განმავლობაში შემოსულ ისეთ ფულბარათებს, რომლებიც მიღებულია პირველ იანვრამდე, ე. ი. პირველ იანვარს გზაში მყოფ ფულბარათებს განაღდების ადგილას კავშირგაბმულობის საწარმოები წერენ დაშატებით სიაში ფორმა № 1. ყველა დაქვემდებარებულ საფოსტო სააგენტოდან და განყოფილებიდან დამატებით შეგროვილ ამ სიებს კანტორები თავიანთ სიებთან ერთად ყოველ დეკადაში აგზავნიან ფულბარათების საკონტროლო ბიუროებში და ამას აკეთებენ მანამდე, ვიდრე ინვენტარიზაციის პროცესი არ დამთავრდება. სამი თვის განმავლობაში (იანვარი—მარტი) სსრ კავშირის ყოველი ადგილიდან უნდა მივიდეს ყოველ აღნიშნულ მისამართზე და განაღდებული უნდა იქნას ის. თუკი რომელიმე ფულბარათის განაღდება გადასცილდა 31 მარტს, ამის შესახებ ცალკე უნდა ეცნობოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ინვენტარიზაციის დასახუსტებლად. ინვენტარიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში, ე. ი. პირველი იანვრიდან პირველ აპრილამდე, იანვრამდე მიღებულ ფულბარათებს განაღდებისას წერენ ცალკე რეესტრში ფ. №10. ამით ახდენენ ფულბარათების ოპერაციების ბალანსში 2211 ანგარიშის რეგულირებას.

წლიურ ანგარიშებზე დართულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ახსნა-განმარტებითი ბარათი. მან უნდა მოგვცეს, ჯერ ერთი, ბალანსის მთელი ციფრულ მასალის გაშიფვრა, რომელზეც დამატებებში არ არის სპეციალური ცხრილები. გარდა ამისა, ახსნა-განმარტებითმა ბარათმა დაწვრილებით უნდა გააშუქოს საწარმოს მთე-

ლი საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და მოგვეცეს იმ საბალანსო მაჩვენებლების ეკონომიური ანალიზი, რომელიც ახასიათებს მეურნეობის ფინანსურ მდგომარეობას.

აუცილებლად საჭიროა ახსნა-განმარტებით ბარათში გაშუქდეს ასეთი საკითხები:

როგორ იცავდნენ საწარმოები დაწესებულ სალაროს ლიმიტებს; იყო თუ არა სალაროებში თანხა დაწესებულ ლიმიტზე გადაშეტებით და მიზეზებით;

როგორი მეთვალყურეობას უწევდნენ ანგარიშვალდებული კანტორები და ფულბარათების საკონტროლო ბიუროები თანხების მოძრაობას გზაში, ხომ არ იყო ფულის გზაში დაკარგვის ან დატაცების შემთხვევა; როგორ იყო უზრუნველყოფილი ფულის გადატანა გზაში ყოველგვარი შემთხვევითი მოვლენის თავიდან ასაცილებლად;

როგორ იყო უზრუნველყოფილი დავალიანების ამოღება ყოველგვარი დანარიცხების მიხედვით, კანტორებისა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროების მიერ რა ზომებია მიღებული ამ საკითხზე, კონტროლის რა ზომები იყო მიღებული, იმისათვის რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ორმაგი განაღდება, ნაკლული შემოსავალი, გადახარჯვები და სხვ;

არის თუ არა სადებიტორო დავალიანებაში ხანგრძლივი ან ისეთი, როგლის მიხედვით ვადა უკვე გასულია, და ვისი მიზეზით;

თუ არსებობს ანგარიშსწორება ძირითადი საქმიანობის ბალანსთან, რა მიზეზით არ ჩატარებულა ანგარიშსწორება თავის დროზე;

როგორ იყო უზრუნველყოფილი გაუნაღდებელი ფულბარათების ზუსტი ინვენტარიზაციის მუშაობა, რომ დაშვებული არ იქნას შეცდომები და სხვ;

როგორ უკეთდებოდა რევიზია კავშირგაბმულობის ანგარიშვალდებულ კანკორებს, თავის მხრით კანტორები რამდენად ხშირად უწევდნენ რევიზიას მათ წინაშე ანგარიშვალდებულ განყოფილებებსა და სააგენტოებს; რა გამოვლინდა რევიზიის დროს, თავიდან აცილებულია თუ არა რევიზიის მიერ გამოვლინებული დარღვევები და სხვ.;

თუ ბალანსში აღგილი აქვს მოგებასა და ზარალს, მაშინ განვმარტოთ, რა თანხებია ეს, რატომ შეიქმნა ისინი და რა ზომებია მიღებული, რომ ეს არ გამეორდეს.

ანგარიშგება ყველა თავისი დამატებებით ხელმოწერილი უნდა იქნას საწარმოს უფროსისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ.

IV. პრესის ბაერხელები და ქესპელირების ოპერაციების ბელეზგული პერიხხე

საფოსტო და საელექტრონო კავშირის შეუფერხებლად მუშაობას. ფულბარათების მიღებისა და განაღდების, აგრეთვე სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად კავშირგაბმულობის მეურნეობის ამოცანას წარმოადგენს პერიოდული და არაპერიოდული პრესის გავრცელება და ექსპედირებაც. ამ მუშაობას ასრულებენ როგორც კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოები (კავშირგაბმულობის სააგენტოები, განყოფილებები და კანტორები), ისე კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალიზებული საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ პრესის გავრცელებისა და ექსპედირების ფუნქციებს.

კავშირგაბმულობის მეურნეობის, ის ნაწილი, რომელიც ასრულებს პრესის გავრცელებისა და ექსპედირების ფუნქციებს, სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, მას აქვს საკუთარი ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, უფლება აქვს დაკრედიტებლ იქნას სახბანკში საქონელბრუნვით, ის ცალკე ბალანსზე აწარმოებს აღრიცხვას და, დაქვემდებარების მიხედვით, საექსპლოატაციო საქმიანობიდან გამოყოფილად ცალკე ანგარიშებას ადგენს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელებისა და ექსპედირების ცენტრალურ სამმართველოში (ЦУПТ).

ამ განყოფში ჩვენ განვიხილავთ იმ ძირითადი ოპერაციების აღრიცხვის წესებს, რომლებიც სპეციფიკური არიან მხოლოდ პრესის გავრცელებისა და ექსპედირების საწარმოათვის: ხელმოწერის ოპერაციებს, ხელმოწერის მიხედვით გამომცემლობებთან ანგარიშსწორებას, საქონლის რეალიზაციას, ხარჯებს პრესის გავრცელებისათვის და ზოგიერთ სხვა ოპერაციის წესებს. ყველა სხვა დანარჩენი ოპერაცია აღირიცხება ისევე, როგორც ეს ჩვენ განვიხილეთ II განყოფში.

1. ხელმოწერის ოპერაციები

პერიოდულ გამოცემებზე, ქურნალ-გაზეთებზე, ხელმოწერის ოპერაციები, ე. ი. ცალკეული პირებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ფულის აღება პერიოდული გამოცემების მიღების უფლების მოსაპოვებლად ფორმდება ხელმოწერლებზე დაწესებული ფორმის ქეითრის

გაცემით, ხელმოწერაზე შეკვეთის შედგენით, შეკვეთისა და ფულის გაგზავნით ან უშუალოდ რაიონული, საოლქო და ცენტრალური გამომცემლობისათვის, ანდა პრესის გამავრცელებელი ცენტრალური სამმართველოს საოლქო და ცენტრალური ორგანიზაციების მეშვეობით.

ინისიად ხელმოწერის მიღება აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე შეკვეთის გაგზავნა ხელმოწერის შესრულებაზე, თუ იმავდროულად სათანადო ფული არ იქნება გადაგზავნილი.

კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში ხელმოწერისას ფულს რიცხვგენ ფულბარათების თანხაში, ე. ი. იყენებენ მათ ფულბარათების გასანაღებლად, შემდეგ კი, ხუთ დღეში ერთხელ, ურიცხვგენ მას კავშირგაბმულობის შემდგომ განყოფილებებს (საგაზეთო კვანძებს) ან კავშირგაბმულობის კანტორას.

საგაზეთო კვანძები, რომლებსაც პერიოდულ გამოცემებზე შეკვეთის გაგზავნის უფლება აქვთ, ხელმოწერის თანხას შეკვეთასთან ერთად აგზავნიან დანიშნულებისამებრ.

ხელმოწერის ოპერაციაში შემოსავლად ითვლება დათმობა (საკომისიო), რომელსაც იღებენ გამომცემლობიდან პრესის გავრცელებისათვის ამა თუ იმ სახის პრესაზე ხელმოწერით შემოსული თანხიდან მტკიცედ განსაზღვრული პროცენტის მიხედვით.

მიღებული ხელმოწერის თანხისა და მის შესასრულებლად ჩაბარებული თანხების გამოსავლინებლად განკუთვნილია ორი ცალკე ანგარიში: პასიური ანგარიში 222 მიღებული ხელმოწერა და აქტიური ანგარიში 225 შესასრულებლად ჩაბარებული ხელმოწერა.

ანგარიშს 222 მიღებულ ხელმოწერას აკრედიტებენ ნიხრით (ნომინალით) მიღებული ხელმოწერის თანხით, ხოლო აღებეტებენ ანგარიშს 088 სალარო.

შესასრულებლად ჩაბარებულ ხელმოწერის ანგარიშს 225 აღებეტებენ ხელმოწერის შესასრულებლად ჩაბარებული თანხით (ნომინალით), და იმავდროულად აკრედიტებენ ანგარიშს 126-2 ანგარიშსწორებანი გამომცემლობებთან ხელმოწერით, რომელშიც საერთოდ აისახება გამომცემლობებთან ანგარიშსწორებანი ხელმოწერით.

ხელმოწერით მიღებული თანხების ბრუნვასა და ხელმოწერის შესასრულებლად ჩაბარების თანხების ბრუნვას შორის სხვაობა განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შესასრულებლად გერკიდევ ჩაუბარებელი ხელმოწერის მოცულობას.

სწორედ ამიტომ შესასრულებლად გადაცემული ხელმოწერა ანგარიში 225 თითქოს წარმოადგენს მიღებული ხელმოწერის ანგარიშის (222) სადებეტო მხარეს. ამ ანგარიშში ჩაწერას აწარმოებენ წლის ბოლომდე მზარდი თანხებით.

შესასრულებლად ჩაბარებული ხელმოწერის დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ პრესის სახეობათა და მათი შესრულების ვადების მიხედვით.

შესასრულებელი ხელმოწერის საერთო თანხა, რომელიც უნდა შესრულებულიყო წლის განმავლობაში, წლის ბოლოს გადააქვთ მიღებული ხელმოწერის 222 ანგარიშის დებეტში. ხელმომწერებიდან ხელმოწერის საფასურას მიღება არსებითად საკომისიო ოპერაციას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ამა თუ იმ პერიოდული გამომცემლობათა ხარჯზე, მათთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

ხელმომწერებიდან შეგროვილი ხელმოწერის თანხები, საკომისიოს გამოკლებით, ძალიანად უნდა ჩაბარდეს გამომცემლობებს. გამომცემლობებთან ანგარიშსწორებას აღრიცხავენ 126-2 გამომცემლობებთან ანგარიშსწორების ანგარიშში. ამ ანგარიშს აკრედიტებენ გამომცემლობებისათვის გადასახდელი კუთვნილი თანხით და ადებეტებენ გამომცემლობებისაგან კუთვნილი საკომისიო ანაზღაურებითა და გამომცემლობისათვის ფაქტიურად გადახდილი თანხით.

მოგვეყვას მაგალითი, თუ როგორ აისახება ბუღალტერიაში ხელმოწერის მიღების, ხელმოწერის შესასრულებლად ჩაბარებისა და გამომცემლობებთან ანგარიშსწორების ოპერაციები.

საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ სამეურნეო ოპერაციებს:

- | | |
|---|-------------|
| 1. შემოვიდა საღაროში საოქო გახეთხე ხელმოწერისათვის, რომელიც შესრულებული უნდა იქნას საანგარიშო წლის განმავლობაში | 10 000 მან. |
| 2. იგივე, დეკემბერში—უნდა შესრულდეს მომავალ წელს | 30 000 „ |
| 3. ხელმოწერის შეკვეთები ჩაბარდა გამომცემლობებს | 40 000 „ |
| 4. გამომცემლობებიდან გვერგება საკომისიო (7,5%, 40 000 მანეთიდან) | 3 000 |
| 5. სახბანკის ანგარიშსწორების ანგარიშიდან გამომცემლობას გადაერიცხა ხელმოწერისათვის მიღებული თანხა საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით | 37 000 |
| 6. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი ხელმოწერის საკომისიო თანხა გადარიცხულია მოგებაში (კვაოტალურად) | 750 „ |
| 7. მიმდინარე წელს შესრულებული ხელმოწერის თანხა წლის ბოლოს აკლდება მიღებული ხელმოწერის თანხას | 10 000 „ |
- ბალანსის ანგარიშებში ეს ოპერაციები ასე გატარდება:

ანბარიში 222 მიღებული
ხელმოწერა

დებეტი	კრედიტი
(7) 10 000	(1) 10 000
	(2) 30 000

ანბარიში 088 სალარო

დებეტი	კრედიტი
(1) 10 000	
(2) 30 000	

ანბარიში 093 ანბარიშსწო-
რება სახბანაში

დებეტი	კრედიტი
	(5) 37 000

ანბარიში 225 ჩაბარებული
ხელმოწერა

დებეტი	კრედიტი
(3) 40 000	(7) 10 000

ანბარიში 126-2 ანბარიშსწო-
რებანი გამომცემლობებთან
ხელმოწერით

დებეტი	კრედიტი
(4) 3 000	(3) 40 000
(-) 37 000	

ანბარიში 278 მომავალი სა-
ანბარიშგებო კერიოღების
უმოსავალი

დებეტი	კრედიტი
(6) 750	(4) 3 000

ანბარიში 280 მოგება და ზარალი
დებეტი კრედიტი

	(6) 750
--	---------

2. საცალო ოპერაციები

კავშირგაბმულობის საწარმოებს საცალო რეალიზაციისათვის გაზე-
თებით, წიგნებით, მასობრივი ლიტერატურით და სხვ. საქონლით ამარა-
გებენ პრესის გაერცელების საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკური) გან-
ყოფილებები და პრესის გაერცელების და ექსპედიციების ცენტრალური
სამმართველოს ცენტრალური საცალო კანტორა.

თავის ნხრივ ეს უკანასკნელები ამ საქონელს ღებულობენ მიმწოდებლებისა და გამომცემლობებისაგან.

კავშირგაბმულობის საწარმოში რაიონის გაზეთები საცალო რეალიზაციისათვის შემოდის უშუალოდ რაიონული გაზეთებს რედაქციებიდან.

საქონლის რეალიზაცია ხდება როგორც კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო, ისე სპეციალიზებული ქსელის (კიოსკების) მეშვეობით დაწესებულ ფასებში; პრესა ნომინალური ფასებით, ხოლო სხვა საქონელი გასაყიდი ფასებით.

მიმწოდებლები და გაზეთის გამომცემლობები კავშირგაბმულობის საწარმოებს საქონლის საცალო რეალიზაციისათვის აძლევენ შეღავათს, რომელიც წარმოადგენს კავშირგაბმულობის საწარმოს შემოსავალს. მიმწოდებლებისა და გამომცემლობებისაგან დადგენილი ოდენობის კუთვნილი დათმობის თანხას წინასწარ ატარებენ პასიურ ანგარიშში 212-3 მიღებული დათმობა და ამით ამცირებენ მიღებული საქონლისათვის გამომცემლობებსა და მიმწოდებლებთან თავიანთი დავალიანების თანხას. საქონლის რეალიზაციისას კი რეალიზებული საქონლის კუთვნილ დათმობის თანხას თანდათანობით, ე. ი. რეალიზაციის მიხედვით გადარიცხავენ 280 მოგება-ზარალის ანგარიშში, ამ ანგარიშში გამოირკვევა პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების საერთო შემოსავლის თანხა.

საცალო ოპერაციები აღირიცხება შემდეგ ანგარიშებში:

070 საქონელი საწყობებში,

076 საქონელი კიოსკებში,

079 საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოებში,

114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამოგებული თანხით,

117 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები,

120 მიმწოდებლები,

122 მიმწოდებლები დაუფაქტურებელი მიწოდებებით,

126-2 ანგარიშსწორებანი გამომცემლობებთან,

141-2 ზინაანგარიშსწორებანი,

212-3 მიღებული დათმობანი,

255 გასაღების ხარჯები,

264-1 საქონლის რეალიზაცია.

მოცემული საწარმოს საწყობში სარეალიზაციოდ შემოსული საქონლის აღირიცხავს აწარმოებენ გასაყიდი ღირებულებით ანგარიშში 070 საქონელი საწყობში.

კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში, აგრეთვე კიოსკებში საცალოდ გასაყიდად გაგზავნილი საქონლის გასაყიდი ღირებულება ჩამოაწერება ანგარიშიდან 070 საქონელი საწყობში 079 საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოებში ანგარიშის დებეტში და 076 საქონელი კიოსკებში ანგარიშის დებეტში.

ყველა შეთხვევაში საქონლის რეალიზაციას უჩვენებენ პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ბალანსზე შემდეგი ანგარიშების კორესპონდენციით:

ფულის შემოსვლა სალაროში:

დებეტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამოგებული თანხით.

კრედიტი ანგარიში 264 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია.

იმავდროულად რეალიზებული საქონლის გასაყიდ ღირებულებას ჩამოწერენ 264-ანგარიშის დებეტში საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, ხოლო რეალიზებული საქონლის ღირებულებიდან კუთვნილ დათმობას 212-3 ანგარიშიდან მიღებული დათმობანი გადაარიცხავენ 280 მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტში (ცალკობით რეალიზებული საქონლის საერთო შემოსავალი).

საკომისიო გასამრჯელო, რომელიც ეძლევა ფოსტის მუშაკებს ბრუნვის თანხიდან განსაზღვრული პროცენტის ოდენობით და ფულბარათების ხარჯები, ჩამოიწერება ანგარიშში 255 გასაღების ხარჯები.

მეკიოსკებთან ანგარიშსწორებანი, მათ მიერ რეალიზებული საქონლის მიხედვით, აღირიცხება 114 ანგარიშში ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით. ამ ანგარიშს მეკიოსკების მიერ წარდგენილ ანგარიშგებათა საფუძველზე ადებეტებენ რეალიზებული საქონლის გასაყიდი ღირებულებით და აკრედიტებენ მეკიოსკის მიერ ფაქტიურად ჩაბარებული თანხით.

მოვიყვანოთ კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სპეციალურ კიოსკებში საქონლის რეალიზაციის მავალითი.

1. „სოიუზბეჩატის“ რაიონული განყოფილების მიერ კავშირგაბმულობის განყოფილებაზე მიცემულია საქონელი 300 მან., მეკიოსკებზე—700 მან.
2. თ-ნაშად ანგარიშგებისა კავშირგაბმულობის განყოფილების მიერ რეალიზებულია 200 მან, მეკიოსკის მიერ—660 მან.
3. ერთსა და იმავე დროს ეს თანხა მიეკუთვნება 264 ანგარიშის დებეტს საქონლის რეალიზაცია და მომსახურება 860 მან.
4. მეკიოსკესაგან სალაროში შემოვიდა თანხა 600 „
5. კავშირგაბმულობის განყოფილებიდან ანგარიშსწორების ანგარიშზე შემოვიდა ფული 186 „

6. ჩამოიწერა ხარჯები ფულის გადაგზავნისა და საკომისიო ჯრილდო საქონლის რეალიზაციის ჩამტარებელ მუშაკების 14 მან.

ეს ოპერაციები ანგარიშებში გატარდება ასე:

1. დებეტი ანგარიში 076 საქონელი კიოსკებში	700	„
დებეტი ანგარიში 079 საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოებში	300	„
კრედიტი ანგარიში 070 საქონელი საწყობში	1000	„
2. დებეტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით (მეკიოსკე)	660	
დებეტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით (კავშირგაბმულობის განყოფილება)	200	„
კრედიტი ანგარიში 264 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	860	„
3. დებეტი ანგარიში 264 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	860	„
კრედიტი ანგარიში 076 საქონელი კიოსკებში	660	„
კრედიტი ანგარიში 079 საქონელი კავშირგაბმულობის საწარმოში (კავშირგაბმულობის განყოფილება)	200	„
4. დებეტი ანგარიში 088 საღარო		
კრედიტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით	600	„
5. დებეტი ანგარიში 093 ანგარიშსწორების ანგარიში სახბანკში	186	„
კრედიტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით (კავშირგაბმულობის განყოფილება)	186	„
6. დებეტი ანგარიში 255 გასაღების ხარჯები 10 მან. საკომისიო (ფოსტის აპარატს—5% საქონლის რეალიზაციის თანხიდან 200 მან. და 4 მან. ფულის გადაგზავნისათვის)		
კრედიტი ანგარიში 114 ანგარიშსწორებანი მეკიოსკებთან ამონაგები თანხით (კავშირგაბმულობის განყოფილება)	14	„

სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებში ჩანაწერთა შეჯამების შემდეგ ჩვენ დავეინახეთ, რომ კავშირგაბმულობის განყოფილებამ საქონლის მთლიანი რეალიზაცია ვერ მოახდინა (ნაშთი 100 მან.), ხოლო რეალიზებული საქონლის თანხა მთლიანად შემოვიდა საკომისიო გასამრჯელოს და ფულის გადაგზავნის ღირებულების გამოკლებით.

მეკიოსკებზე დარჩა არარეალიზებული საქონლის ღირებულება 40 მან.; გარდა ამისა, მან გაყიდული საქონლიდან შემოსული ფული მთლიანად არ ჩააბარა: ნაცვლად 660 მან. ჩაბარებულია 600 მან.

3. მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯები და შემოსავალი

პრესის გამავრცელებელ და ექსპედიციების საწარმოებში მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებისა და შემოსავლის რიცხვს, რომლის აღრიცხვა ხდება ერთი და იგივე სახელწოდების ანგარიშებზე 150 და 278, აკუთვნებენ იმ პროცენტულ გასამრჯელოს, რომელიც ეძლევათ ფოსტის მუშაებს ხელმოწერისა და ცალობრივი გაყიდვის ბრუნვის თანხიდან. ყოველთვიურად მიმდინარე თვეში შესრულებული ხელმოწერის თანხის პროპორციულად ამ ხარჯების ნაწილს მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებს 150 ანგარიშიდან გადარიცხავენ 255 გასაღების ხარჯების ანგარიშის დებეტში.

საოლქო მნიშვნელობის საწარმოებში 150 ანგარიშში მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში აღრიცხავენ საქვეანგარიშო საწარმოებისათვის ქვითრის წიგნაკებისა და საექსპლოატაციო ბლანკების დანაღების ხარჯებს.

თავის საწარმოებში ბლანკებისა და ქვითრების დაგზავნის მიხედვით, მათი ღირებულება გადაეცემა საწარმოებს 141 შინაანგარიშსწორებანის ანგარიშით. ამ ხარჯებს საწარმოები მიაკუთვნებენ გასაღებზე გაწეულ ხარჯებს და იმავე დროს ქვითრებს ატარებენ შემოსავალში ბალანსგარეშე ანგარიშით.

მომავალ საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალთა რიცხვს (ანგარიში 278) მიეკუთვნება პერიოდულ გამოცემებზე მიღებული საკომისიო. ყოველკვარტალურად მიმდინარე კვარტალში შესრულებული ხელმოწერის თანხების პროპორციულად საკომისიოს ნაწილი, ანგარიშიდან 278 მომავალ საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლიდან გადააქვთ 280 მოგება-ზარალის ანგარიშის კრედიტში.

4. ხარჯები და შინაანგარიშები

პრესის უშუალოდ მიმღები, დამმუშავებელი, ექსპედიციებისა და ცალობით გამყიდველი საწარმოების შენახვის ყველა ხარჯს აღრიცხავენ აქტიურ ანგარიშში 255 გავრცელების ხარჯები.

პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური განყოფილებების, აგრეთვე პრესის გავრცელების ცენტრალური სამმართველოს შენახვის ხარჯებს აღრიცხავენ ცალკე ანგარიშში

256 საერთო ადმინისტრაციული ხარჯები. ორივე ანგარიშს აწარმოებენ ხარჯების დაწესებული ნომენკლატურით. ამ ხარჯების საერთო ჯამი ყოველკვარტალურად გადააქვთ 280 მოგება-ზარალის ანგარიშის დებეტში. ამ ანგარიშში თავმოყრილია გეგმით გათვალისწინებული ყველა ხარჯი და შემოსავალი, აგრეთვე დაუგეგმავი ზარალი და მოგება. ამ ანგარიშის ნაშთი გვიჩვენებს როგორც თვით საწარმოს, ისე პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრალური სამმართველოს მუშაობის წმინდა შედეგებს მთლიანად.

5. ა ნ გ ა რ ი შ გ მ ბ ა

პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების საწარმოსათვის, ისევე როგორც საექსპლოატაციო საწარმოებისათვის დაწესებულია თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშგება.

ამ ანგარიშგების მაჩვენებლებით, გარდა საერთოდ დაწესებული მაჩვენებლებისა, ხასიათდება აგრეთვე მიღებული და შესრულებული ხელმოწერის ოდენობა; საქონლის ცალობით ოჯალიზაციის ბრუნვის ოდენობა; პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების, საქონლის ცალობით გავრცელებისა და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯების გეგმის შესრულების ოდენობა, გარდა ამისა, პრესის გავრცელებისა და ექსპედიციებზე კავშირგაბმულობის საწარმოებისათვის დაწესებულ ანგარიშგებათაგან განსხვავებით ცხრილში „ზარალი და მოგება“ გამოავლენენ საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ე. ი. მოგების ჯანს.

V. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უინანსიკაბული დაწესებულებათა ოპერაციების გულაღრული აღრიცხვა

1. დაფინანსების წესი

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ დაწესებულებებს ეკუთვნიან კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოები (სამხარეო, საოლქო და რესპუბლიკური), სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, საპროექტო ორგანიზაციები, აგრეთვე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულებათა ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა თავმოყრილია ცალკე ბალანსზე, რომელსაც ეწოდება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების ბალანსი. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციების ბალანსს აქვს ერთგვარი თავისებურებანი კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებისა, პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ოპერაციების ბალანსთან შედარებით. ეს დაკავშირებულია საბიუჯეტო დაწესებულებების წინაშე დასწულ ამოცანებსა და მათი დაფინანსების წესებთან.

კავშირგაბმულობის სამინისტროზე დაქვემდებარებულ საბიუჯეტო დაწესებულებების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ხელმძღვანელობა გაუწიოს კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობას, კადრების მომზადებას და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას კავშირგაბმულობის დარგში. საბიუჯეტო დაწესებულებების ამოცანაში არ შედის კავშირგაბმულობის მომსახურების უშუალო გაწევა, ან საქონლის დამზადება და მისი რეალიზაცია; გარდა ამისა, ისინი უშუალოდ არ აწარმოებენ კავშირგაბმულობის საშუალებათა შენახვის ხარჯებს; ამიტომ საბიუჯეტო დაწესებულებებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ არც საექსპლოატაციო შემოსავალი, არც საექსპლოატაციო ხარჯები.

აქედან ცხადია, რომ მათ არ სჭირდებათ საექსპლოატაციო ხარჯების თანხები; აგრეთვე არ სჭირდებათ არც საბრუნავი თანხები, რომლებიც ყოველთვის უნდა ჰქონდეთ კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებს.

საბიუჯეტო დაწესებულებათა ძირითად ხარჯებს წარმოადგენს სამმართველოს შენახვის ხარჯები, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით, მათ შორის კაპიტალური რემონტის და კაპიტალური დაბანდებათა (შეძენა) ხარჯებიც. ამიტომ საბიუჯეტო დაწესებულებათა ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მიზნობრივი დანიშნულებისათვის მიღებული თანხების ხარჯვაზე განახორციელოს ყოველდღიური, მტკიცე კონტროლი.

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დაწესებულია მათი დაფინანსების შემდეგი წესი:

დაწესებულების შესანახ სახსრებს აძლევენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

კავშირგაბმულობის სამინისტროს საბიუჯეტო დაწესებულებათა შესანახ სახსრებს მთლიანად ამტკიცებს მთავრობა;

კავშირგაბმულობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ყოველი დაწესებულების ხარჯების ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს კავშირგაბმულობის სამინისტრო;

კავშირგაბმულობის სამინისტროს სსრ კავშირის სახბანკში საგასაგლო ცხრილის საფუძველზე ეხსნება საბიუჯეტო ანგარიში, ე. ი. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში უფლება ეძლევა სახსრები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს (საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის საბიუჯეტო ანგარიშიდან ფულის მიღების უფლების მინიჭებას ეწოდება სახსრების გახსნა ბიუჯეტით);

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო მიღებულ კრედიტებს ანაწილებს დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე, კვარტალურად უგზავნის მათ საბიუჯეტო დავალებებს, რაც წარმოადგენს სახბანკის ადგილობრივ ფილიალში მათთვის კრედიტის გახსნის საფუძველს;

კაპიტალური რემონტისა და შეძენის დაფინანსება ხორციელდება უშუალოდ ბიუჯეტიდან; ძირითად საშუალებათა ღირებულებიდან საამორტიზაციო ანარეცხვები არ წარმოებს და არც საამორტიზაციო ფონდი იქმნება, ისევე როგორც არ იქმნება სხვა სპეციალური ფონდები;

უვარჯისი ინვენტარისა და მასალების გაყიდვისაგან შენოსული თანხები ბარდება ბიუჯეტს;

ძირითად საშუალებად ითვლებიან ისეთი ქონებრივი ფასეულობანი, რომელთა ერთეულის ღირებულება აღემატება 20 მანეთს;

გახსნილი კრედიტებისა და ხარჯთაღრიცხვის მოქმედება წყდება 31 დეკემბერს; ამ დღისათვის გამოუყენებელი ყველა თანხა, რომელიც ირიცხება სალაროში, ბანკში სხვადასხვა ანგარიშზე (მაგალითად, აკრედიტივები და განსაკუთრებული ანგარიშები), ან საქვეანგარიშო პირებზე, ბარდება საბიუჯეტო ანგარიშში სახბანკში კრედიტის აღსადგენად.

ფინანსირების წესისა და საბიუჯეტო ოპერაციების ფუნქციების შესაბამისად საბიუჯეტო დაწესებულებათა ანგარიშთა გეგმაში არის შემდეგი სპეციალიზირებული ანგარიშები:

- 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები,
- 230 დაფინანსება ბიუჯეტით,
- 200 ხარჯები ბიუჯეტით,
- 300 თანხები, რომლებიც უნდა ჩაბარდეს ბიუჯეტის შემოსავალს.

ანგარიში 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტებზე — აქტიურია, ხოლო ანგარიში 230 დაფინანსება ბიუჯეტით — პასიური.

ხარჯების ცხრილის ან საბიუჯეტო დავალების მიღების დროს ადებეტებენ ანგარიშს 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები და აკრედიტებენ ანგარიშს 230 დაფინანსება ბიუჯეტით.

ბანკიდან (საბიუჯეტო ანგარიშიდან) სალაროში სახსრების ჩეკით მიღების ან სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მიმწოდებლებისათვის მათ მიერ ჩატარებული ზუსაობის, ან მოწოდებული მასალებისა და სხვ. ასანაზღაურებლად სახსრების გადარიცხვის დროს ანგარიშს 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები აკრედიტებენ. ეს ანგარიში თავისი დანიშნულების მიხედვით ჰგავს ანგარიშს 092 ანგარიშსწორების ანგარიში № 1 სახბანკში, რომელიც მოცემულია კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოების ბალანსში. როგორც ერთი, ისე მეორე ანგარიშიც განკუთვნილია ფულადი სახსრების აღრიცხვისათვის. სახსრების შემოსვლისას ამ ანგარიშებს ადებეტებენ, ხოლო ამ ანგარიშებიდან სახსრების გახარჯვისას — აკრედიტებენ. მათი ნაშთი ნიშნავს ჯერ კიდევ გაუხარჯავი კრედიტების ან ფულადი სახსრების ნაშთს (კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოებში).

ანალიზური აღრიცხვა ანგარიშისა 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები სწარმოებს ხარჯთაღრიცხვის ყოველი ქვედანაყოფის მიხედვით. წლის ბოლოს გამოუყენებელი კრედიტების ნაშთს ხურავენ და ის გადააქვთ ანგარიშში 230 დაფინანსება ბიუჯეტით.

ანგარიში 090 ბიუჯეტით გახსნილი კრედიტების კრედიტის ჩანაწერების ჯამი ნიშნავს სახბანკიდან ფაქტიურად ამოკრეფილი სახსრების ჯამს. ამ ჯამს ეწოდება სალაროს ხარჯების ჯამი.

მოვიყვანოთ მაგალითი.

ბანკიდან ჩეკით სალაროში მიღებულია 5000 მან., მიწოდების მიერ საწყობებში შემოტანილი მასალებისათვის ბანკმა გადაიხადა 3000 მან.

ამ მაგალითით სალაროს ხარჯების ჯამი უდრის 8000 მან.

ცნება „სალაროს ხარჯი“ უნდა განეასხვავოთ ცნებიდან „ფაქტიური ხარჯი“.

ფაქტიურ ხარჯებად თვლიან ისეთ ფულად და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯებს, რომელიც ხარჯთაღრიცხვაშია გათვალისწინებული.

მაგალითად, საწყობში შემოსული 3000 მან. მასალებიდან შენობის რემონტზე დახარჯულია 2000 მან. ბანკის საშუალებით ელსადგურს განათებისათვის გადაერიცხა 500 მან. ბანკის საშუალებით სოციალურ უზრუნველყოფისათვის გადაერიცხულია 1000 მან.

ამ მაგალითის მიხედვით ფაქტიური ხარჯების ჯამი შეადგენს 3500 მან., ხოლო სალაროს ხარჯი კი უდრის 1500 მან.

ფაქტიურად გაწეული ხარჯების აღრიცხვას ახორციელებენ აქტიურ ანგარიშში 200 ხარჯები ბიუჯეტით.

დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ ხარჯთაღრიცხვის პარაგრაფების, მუხლების და ლიტერების მიხედვით.

წლის ბოლოს ფაქტიურად გაწეული ხარჯების საერთო ჯამი გადააქვთ 230 დაფინანსება ბიუჯეტით ანგარიშის დებეტში. ვინაიდან 230 დაფინანსება ბიუჯეტით ანგარიშის დებეტში წლის ბოლოს გადააქვთ გამოუყენებელი კრედიტების ნაშთებიც, მისი ნაშთი მაჩვენებელია ბალანსის აქტივში დარჩენილ საშუალებათა დაფინანსების წყაროსი.

თითო ცალი 20 მანეთზე მეტად ღირებული ქონებრივ საშუალებათა შეძენის ყველა შემთხვევაში, მათ ღირებულებას ჩაწერენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებში და იმავდროულად ამ ქონებრივ ფასეულობათა საფასურს შემოსავალში გაატარებენ შემდეგი ჩანაწერით:

დებეტი ანგარიში 000 - 030 ძირითადი საშუალებანი.

კრედიტი ანგარიში 220 ფონდი ძირითად საშუალებებში.

მოვიყვანოთ საბიუჯეტო დაწესებულებათა სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ გატარებათა მაგალითები.

დაფუჟავთ, რომ აღგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

1. კვარტალში გახსნილია კრედიტი	60 000 მან.
2. სახბანკის საბიუჯეტო ანგარიშიდან ჩეკით სალაროში მიღებულია	10 000 „
3. ეკუთვნის ხელფასი	8 000 „
4. სალაროდან გაცემულია ხელფასი	7 000 „
5. გაცემულია საქვეანგარიშოდ	500 „
6. ერგება მიმწოდებელს მასალისათვის	6 000 „
7. გადახდილია მიმწოდებლის ანგარიშის მიხედვით სახბანკის სა- ბიუჯეტო ანგარიშიდან მასალებისათვის	6 000 „
8. შენობის რემონტზე დახარჯულია მასალები	1 500 „

ამ ოპერაციების გასატარებლად შედგება შემდეგი საანგარიშო მუხლები:

1. დებეტი ანგარიში 090 გახსნილი კრედიტები ბიუჯეტით კრედიტი ანგარიში 230 ბიუჯეტით დაფინანსება	60 000 მან.
2. დებეტი ანგარიში 120 სალარო კრედიტი ანგარიში 090 გახსნილი კრედიტები	10 000 „
3. დებეტი ანგარიში 200 ხარჯები ბიუჯეტით კრედიტი ანგარიში 250 მუშა-მოსამსახურენი ხელფასით	8 000 „
4. დებეტი ანგარიში 250 მუშა-მოსამსახურენი ხელფასით კრედიტი ანგარიში 120 სალარო	7 000 „
5. დებეტი ანგარიში 160 ანგარიშვალდებული პირნი კრედიტი ანგარიში 120 სალარო	500 „
6. დებეტი ანგარიში 06 მასალები კრედიტი ანგარიში 290 კრედიტორები	6 000 „
7. დებეტი ანგარიში 290 კრედიტორები კრედიტი ანგარიში 090 გახსნილი კრედიტები ბიუჯეტით	6 000 „
8. დებეტი ანგარიში 200 ხარჯები ბიუჯეტით კრედიტი ანგარიში 06 მასალები	1 500 „

შევაჯამებთ რა ბრუნვებს და გამოვარკვევთ რა ანგარიშებში ნაშ-
თებს, შევადგენთ საბიუჯეტო დაწესებულების ბალანსს (დაწყებითი ნა-
შთები და ოპერაციების ჩანაწერები, რომელთაც საერთო ხასიათი აქვთ,
ჩვენს მიერ გამოტოვებულია).

ბალანსი 1950 წ. 1 სექტემბრისათვის

აქტივი

პასივი

	ჯამი		ჯამი
1. სალარო	2500	1. დაფინანსება ბიუჯეტით .	60000
2. ანგარიშვალდებული პირნი	500	2. მუშა-მოსამსახურენი	
3. მასალები	4500	ხელფასით	1000
4. გახსნილი კრედიტები	44000		
5. ხარჯები ბიუჯეტით	9500		
<hr/>		<hr/>	
ბალანსი	61000	ბალანსი	61000

ამ ოპერაციებით სალაროს გასავალი შეადგენს 16000 მან. (10000 + 6000) მაშინ, როცა ფაქტიური ხარჯები შეადგენს მხოლოდ 9500 მან. (8000 + 1500), დანარჩენი საშუალებანი 6500 მან., თუმცა საბიუჯეტო ანგარიშიდან კი არის წამოღებული, მაგრამ ჯერ კიდევ დახარჯული არ არის და განაწილებულია ბალანსის სხვადასხვა მუხლებში (2500 + 500 + 4500) - 1000 = 6500).

2. ანგარიშგება

საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის დაწესებულია კვარტალური და წლიური ანგარიშგება.

ბალანსთან ერთად წლიური ანგარიშგება ძირითადად შეიცავს ცხრილებსაც, რომლებიც ახასიათებენ საგასავლო ხარჯთაღრიცხვის შესრულებას ბიუჯეტის მიხედვით, სახელდობრ:

1. საგასავლო ხარჯთაღრიცხვის შესრულება ბიუჯეტის მიხედვით.
2. კრედიტების მოძრაობა.
3. თანხების მოძრაობა ანგარიშით—დაფინანსება ბიუჯეტით.
4. ბიუჯეტის შემოსავალში ჩაბარებული თანხების მოძრაობა.

გარდა ამისა, ანგარიშგების შედგენილობაში შედის ცხრილები, რომლებიც გვიჩვენებენ ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა არსებობას და მოძრაობას.

1. ცნება კავიტალურ დაბანდებათა შმსახვა

სსრ კავშირის ახალი ძირითადი ფონდების ასაგებად, 1941—1945 წლებში ომის დროს დანგრეული და დაზიანებულის აღსადგენად, აგრეთვე მოქმედი საწარმოების შემდგომი გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის საერთო საკავშირო სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ასიგნებულ სახსრებს ეწოდება კავიტალური დაბანდებანი ან მოკლედ—კაპდაბანდებანი.

კაპდაბანდებებისათვის გამოყოფილი უდიდესი სახსრების სწორად გამოყენებაზე ყოველდღიური, გულდასმითი კონტროლის დაწესების მიზნით, ჯერ კიდევ პირველი ხუთწლიდის განხორციელების დღიდან ამ სახსრების აღრიცხვა თავდაპირველად წარმოებდა საწარმოს საერთო ბალანსის განსაკუთრებულ ანგარიშებში, რომლებშიც აღირიცხებოდა კაპდაბანდებათა დაფინანსება და კაპდაბანდებათა ხარჯები, ხოლო შემდეგ კი, 1934 წლიდან ამ სახსრების აღრიცხვისათვის შემოღებულ იქნა დამოუკიდებელი ბალანსი.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ბალანსების შესახებ სსრ კავშირის სახ. კომისართა 1936 წ. დადგენილებით დაკანონებული იყო კავიტალურ დაბანდებებში დამოუკიდებელი ბალანსის შემოღება.

კავიტალური დაბანდებათა კლასიფიკაცია წარმოებს რამდენიმე მიზნის მიხედვით:

1. შესაქმნელი ძირითადი ფონდების ხასიათის მიხედვით: ახალი მშენებლობა, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია და გაფართოება, შექმნა გამზადებული ძირითადი ფონდებისა (ისეთი მოწყობილობებისა, რომლებსაც არ კირდება აწყობა, ტრანსპორტი, ინვენტარი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი და სხვ.).

2: კავიტალური დაბანდებების სახეობათა მიხედვით: სამშენებლო სამუშაოები, სამონტაჟო სამუშაოები, შექმნა დაბანდებანი, რომლებიც არ აღიღებენ ძირითად საშუალებებს (ფონდებს).

3. ძირითადი ფონდების დანიშნულებების მიხედვით: საბინაო მშენებლობა, განათლება, ჯანდაცვა, საწარმოო საწარმოები, აღმინისტრაციული შენობები და სხვ.

4. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მიხედვით: ზელიმიტური და ქველიმიტური მშენებლობა.

ზელიმიტურ მშენებლობას მიეკუთვნება ისეთი მშენებლობა, რომლის წარმოება შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის 1949 წ. 5 ნოემბრის ბრძანება № 666).

კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში მშენებლობათა სიაში (სატიტულო სიებში) შეიტანება შემდეგი მშენებლობანი, რომლებსაც სახელდებით ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მშენებლობის ადგილის, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, კაპიტალის დაბანდებათა ოდენობის, დასაგეგმავ წელიწადს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სინძლაერის და ძირითადი ფონდების ამოქმედების ოდენობისა და ვადების ჩვენებით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება აღნიშნულ ლიმიტებზე ნაკლები არაა (მილ. მან. 1949 წ. ფასების მიხედვით):

- ა) ელექტროკავშირის საკაბელო დანადგარები 5
- ბ) ელექტროკავშირის საპაერო სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზები 2
- გ) ელექტროკავშირების მაგისტრალების შემშიდროება მაღალხარისხოვანი აპარატურით 2
- დ) კავშირგაბმულობის საქალაქაშორისო სატელეფონო სადგურები, ტელეგრაფები, კავშირგაბმულობის სახლები, „პოჩტამტები“ და რადიოსახლები 2
- ე) კავშირგაბმულობის სხვადასხვა საწარმოები 2
- ვ) კომუნალური, საბინაო, კულტსაყოფაცხოვრებო მშენებლობა, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სასწავლო დაწესებულებათა მშენებლობა 3
- ზ) აღმინისტრაციული შენობები 2
- თ) რადიომაუწყებლობის ახალი სადგურები და ტელევიზების ცენტრები, დამოუკიდებლად მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა, ავტომატური სატელეფონო სადგურები

(ატს) 1000 ნომრის ძალოვანებით და ზემოთ, რადიო-ცენტრები, ელექტროკავშირები 15 და უფრო მეტი კილოვატის ძალოვანებისა.

ცალკეული ობიექტების და დანადგარების მშენებლობის დროს მოქმედ საწარმოებში, სადაც არ ტარდება მთელი საწარმოს საერთო რეკონსტრუქცია და სადაც გენერალური ხარჯთაღრიცხვის ნაცვლად დგება პროექტები და ხარჯთაღრიცხვები ახლად ასაშენებელი და რეკონსტრუქციის ჩასატარებელ ობიექტებისა (სამრეწველო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის ინსტრუქციის § 40 შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბქოს 1936 წ. დადგენილებით) ლიმიტგარეშე მშენებლობათა სატიტულო სიებში შეტანილი უნდა იქნას მხოლოდ ის ობიექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არის არანაკლები ზემოაღნიშნული ლიმიტებისა.

ყველა სხვა მშენებლობანი, რომელთა ღირებულება არ აღემატება ზემოაღნიშნული ლიმიტების თანხებს, მიეკუთვნებიან ქველიმიტურ მშენებლობას და შეიძლება წარმოებულ იქნას სამინისტროს განკარგულებით.

გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების გადიდებასთან, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სახსრებიდან წარმოებს აგრეთვე ზოგიერთი ხარჯი, რომლებიც არ იწვევს ძირითადი საშუალებების ღირებულების გადიდებას, მაგალითად:

ა) გეოლოგიურ-საძიებელი და საკვლევეო სამუშაო, რომელიც დაკავშირებული არაა მშენებლობის განსაზღვრულ ობიექტებთან, მაგრამ რომელიც წარმოებს მომავალი წლების მშენებლობისათვის; მომავალი მშენებლობათა ნიმუშებისა და მაკეტების დამზადება, თუ მათი კონსტრუქციისა და დანიშნულების მიხედვით ამ ნიმუშებისა და მაკეტების ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში ჩარიცხვა შეუძლებელია; იმ საწარმოს ღირებულების შენახვის ხარჯები, რომელიც შენდება; უკვე მშენებლობაში მყოფი საწარმოებისათვის საექსპლოატაციო კაღრების მომზადება და სხვ.

ბ) სხვა ორგანიზაციების კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება, რომელიც შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ერთი ორგანიზაცია მონაწილეობს მშენებლობაში, რომელსაც აწარმოებს მეორე ორგანიზაცია და ეს მონაწილეობა თუ გამოიხატება, მხოლოდ გეგმით განსაზღვრული თანხების შეტანით საზიარო მონაწილეობის წესით. ასეთ

შემთხვევებში თანხების შეტანა წარმოებს მშენებლობაში მყოფი ობიექტის დამთავრების შემდეგ, მისი ერთად გამოყენების შესახებ ურთიერთ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. კაპიტალური მშენებლობის დაპროექტება

სახალხო მეურნეობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო შემადგენლობაში უმთავრესი ხვედრითი წონა აქვს კაპიტალურ მშენებლობას, ე. ი. ახალ საწარმოების მშენებლობასა და უკვე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოებს.

კაპიტალურ მშენებლობათა შემადგენლობაში შეიძინა: სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები (რომლებიც ატარებენ საერთო სახელწოდებას „კაპიტალური სამუშაოები“), მოწყობილობანი, რომლებიც დადგმული უნდა იქნას მშენებლობაში მყოფ საწარმოებში, სხვადასხვა სახის ინვენტარი და მომავალი საწარმოსათვის აუცილებელი სატრანსპორტო საშუალებანი, და სხვადასხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მოცემულ მშენებლობასთან.

ვიდრე რომელიმე ახალი შენობებისა და ნაგებობათა მშენებლობას დაეიწყებდეთ აუცილებელია შევადგინოთ განზრახული მშენებლობის ან საწარმოს რეკონსტრუქციისა და გაფართოების დაწერილებითი ტექნიკური პროექტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე (სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის 1950 წ. 19/V ბრძანება № 378 და 18/V ბრძანება № 380) 1950 წ. 1-ლ ივლისიდან მშენებლობის საკვლეო და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის ხარჯები მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში არ შეიტანება.

საკავშირო დაქვემდებარების დამაპროექტებელი ორგანიზაციების შენახვა წარმოებს საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის დამაპროექტებელი ორგანიზაციებისა ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტების ხარჯზე.

მშენებლები (შემკვეთლები) ვალდებული არიან თავის დროზე აცნობონ დამაპროექტებელ ორგანიზაციებს შეკვეთები და დავალებები მათ წლიურ სამუშაო გეგმაში საპროექტო და საკვლეო სამუშაოთა მოცულობის შესატანად, აცნობონ აგრეთვე ცალკეული მნიშვნელოვანი მშენებლობანი მათი ღირებულების ფულადი გამოხატულებით და ამ სამუშაოთა ხასიათის ჩვენებით კაპიტალურ მშენებლობის გეგმის ფარგლებში.

შემკვეთი მოვალეა თვალყური ადევნოს დაპროექტების მსგელო-ბას, დამპროექტებელი ორგანიზაციებიდან მიიღოს საპროექტო სა-ხარჯთაღრიცხვო მასალები, შეამოწმოს მათი ხარისხიანობა და დამტკი-ცებულ დავალებასთან მათი შესაბამისობა, აგრეთვე პროექტები და ხარჯთაღრიცხვები წარადგინოს სათანადო ორგანიზაციებში დასამტკი-ცებლად.

დაპროექტებელი ორგანიზაციების მიერ საკვლევო და საპროექტო სამუშაოების ჩატარებისათვის მშენებლები (შემკვეთლები) ამ ორგანიზა-ციებს არავითარ სახლადურს არ უხდიან.

საპროექტო დავალებანი და სახარჯთაღრიცხვო ფინანსური გაანგა-რიშებანი კავშირგაბმულობის ობიექტებისა, რომელთა ღირებულება 10 მილ. მანეთს აღემატება და 5 მილ. მანეთზე მეტი ღირებულები საბი-ნაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვ. ობიექტების მშენებლობა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობათა საქმეების კომიტეტის წინასწარი განხილვისა და დასკვნის ნიციემის შემდეგ.

მშენებლობის საპროექტო დავალებანი და მათი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებანი, აგრეთვე ტექნიკური პროექტები ხარჯთაღრიცხვიანად, რომლებიც შედგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიცემუ-ლი საპროექტო დავალებათა და სახარჯთაღრიცხვო-ფინანსური გაანგა-რიშებათა შესაბამისად, მტკიცდება მინისტრების მიერ, თუ მშენებლო-ბის ღირებულება არ აღემატება ზემოაღნიშნულ ღირებულებას, გარდა სიით მიცემული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობათა ტექნი-კური პროექტებისა და გენერალური ხარჯთაღრიცხვებისა, რომლებსაც არდგენს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობათა სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს აგრეთვე მრეწველო-ბის ახალი დარგების მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთ-აღრიცხვებს, დამოუკიდებლად მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა.

მინისტრებს ნება ეძლევათ დაავალონ დამტკიცება საკავშირო და-ქვემდებარების იმ მშენებლობათა საპროექტო დავალებების, ტექნიკური პროექტების და გენერალური ხარჯთაღრიცხვებისა, რომელთა ღირებუ-ლება აღწევს 500 ათას მან., მთავარი სამმართველოების ხელმძღვანე-ლებს, ხოლო ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს კი დაავა-ლონ 300 ათას მანეთამდე ღირებულების მშენებლობათა პროექტების დამტკიცება.

უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობათა წარმოების ლიკვიდაციის მიზნით 1951 წლიდან სსრ კავშირის საგეგმო კომისიასა და სამინისტროებს აკრძალული აქვთ მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად წარსადგენ გეგმაში შეიტანონ მშენებლობათა ისეთი კაპიტალური სამუშაოები, რომელთა საპროექტო დავალება და სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებანი სათანადო წესით არ არის დამტკიცებული.

დადგენილი წესით დამტკიცებული ყველა საპროექტო დავალებანი, ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობათა სახელმწიფო კომიტეტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგისტრაციის დებულების შესაბამისად. კაპიტალური მშენებლობის დაპროექტება ხორციელდება სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს მიერ 1938 წ. დამტკიცებული წესების საფუძველზე და წარმოებს სტადიების მიხედვით: ა) საპროექტო დავალება. ბ) ტექნიკური პროექტი, ისინი ხარჯთაღრიცხვა და გ) სამუშაო ნახაზები.

1. საპროექტო დავალების მიზანია: გამოავლინოს ტექნიკური შესაძლებლობა და ეკონომიური მიზანშეწონილობა მოცემულ ადგილზე და დასახულ დროში ნაკარაუდები მშენებლობისა, უზრუნველყოს მშენებლობის ფართობის სწორად შერჩევა, გამოარკვიოს მშენებლობის ძირითადი ნედლეულით, წყლითა და ენერჯით მომარაგების წყარო.

საპროექტო დავალების შედგენისას ჩატარებული უნდა იქნას ეკონომიური და ტექნიკური შემოწმებანი და გამოკვლევანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაპროექტებისათვის აუცილებლად საჭირო მონაცემების მიღებას. საპროექტო დავალებაში განსაზღვრავენ აგრეთვე მთელი მშენებლობის საორიენტაციო (დაახლოვებით) ღირებულებას, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში კი — მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის ღირებულებას.

დამტკიცებულ დავალებათა საფუძველზე და ტიტულის არსებობის შემთხვევაში მოცემულ წლისათვის კაპიტალური მშენებლობის გეგმაში ნებადართულია შეტანილ იქნას მშენებლობის პირველი რიგის მოსაწადებელი სამუშაოები: მისასვლელი გზების, კარიერების, დამხმარე საწარმოთა და ბინების მოწყობა ცალკეულ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის (სალარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების) მიხედვით.

2. დამტკიცებული საპროექტო დავალების საფუძველზე მუშავდება მშენებლობის ტექნიკური პროექტი, რომელიც ყოველი მშენე-

ბლობისათვის წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც წყდება დაპროექტებულ საწარმოს ძირითადი ტექნიკური საკითხები, დადგინდება დაპროექტებულ საწარმოს ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები და განისაზღვრება ღირებულება. მშენებლობის ღირებულება განისაზღვრება ტექნიკური პროექტის ხარჯთაღრიცხვით და წარმოადგენს ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. 11/II დადგენილებით დაწესებულია, რომ „მშენებლობის ღირებულების განორკვევის ერთადერთ დოკუმენტს წარმოადგენს ტექნიკურ პროექტთან დართული ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გამოანგარიშებულია ასაშენებელი საწარმოს პროექტის შედგენის წლის ფასებისა და ნორმების მიხედვით“. სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ „მშენებლობებზე მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვაზე ყოველდღიური, სისტემატური კონტროლის გაწევისათვის დადგინდეს, რომ მშენებლობაზე საბუღალტრო აღრიცხვამ და ანგარიშებამ უნდა ასახოს მშენებლობაზე გაწეული ყველა ხარჯი იმ ღირებულებასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია ტექნიკურ პროექტთან დართული ხარჯთაღრიცხვით“.

ტექნიკურ პროექტთან დართულ ხარჯთაღრიცხვას ადგენენ მშენებლობის მთელს მოცულობაზე. თუ მშენებლობას აწარმოებენ რიგრიგობით, მაშინ ხარჯთაღრიცხვას ადგენენ მშენებლობის შესასრულებელი რიგის მიხედვით. მომდევნო რიგის მშენებლობათა ღირებულებას განსაზღვრავენ საორიენტაციო გაანგარიშებებით ანალოგიური (ამგვარი) საწარმოებისა და გამსხვილებული საზომების ხარჯების გამოცდილებათა მიხედვით.

მშენებლობაში მყოფი საწარმოს პროექტთან დართული ხარჯთაღრიცხვები დგება სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1938 წ. დადგენილებით დამტკიცებული წესების მიხედვით, და შედგება:

მთლიანად, მთელს მშენებლობაზე შედგენილი ტექნიკური პროექტის ხარჯთაღრიცხვისაგან, რომელსაც ეწოდება გენერალური ხარჯთაღრიცხვა;

მშენებლობის ცალკეული ობიექტების, თუ ის შედგება არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა ობიექტისაგან (საწარმოო შენობები, ადმინისტრაციული შენობები, საცხოვრებელი სახლები და სხვ.) ხარჯთაღრიცხვებისა და ფინანსური გაანგარიშებისაგან;

ცალკეული სამუშაოებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვისა და ფინანსური გაანგარიშებისაგან მშენებლობის ყოველი ობიექტის (ან დაბანდებათა მუხლების) მიხედვით (სააღმშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები, მოწყობილობა, სანიტარულ-ტექნიკური დანადგარები, კეთილმოწყობა და სხვ.).

მშენებლობის გენერალური ხარჯთ-აღრიცხვა დგება დადგენილი ფორმის მიხედვით და სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში გამოიანგარიშება მთელი მშენებლობის საინვენტარო ღირებულება მასზე გაწეული ცალკეული ხარჯების მიხედვით (მშენებლობის ტერიტორიის მომზადება, მშენებლობის ცალკე ნაწილების ღირებულება—ძირითად საწარმოო დანიშნულების ობიექტები, დამხმარე საწარმოს ობიექტები, ენერგეტიკული მეურნეობის ობიექტები, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები და სხვა).

ხარჯთაღრიცხვის მეორე ნაწილი შეიცავს ხარჯებს, რომლებიც მშენებლობის საინვენტარო ღირებულებაში არ შედის, მაგრამ რომლებსაც მოცემული მშენებლობისათვის დაშვებული სახსრებიდან ხარჯავენ; ასეთ ხარჯებს ეკუთვნის მშენებლობაში მყოფი საწარმოს დირექციის შესანახი ხარჯები, ტექნიკური ზედამხედველობისა და მოცემული მშენებლობისათვის აუცილებელი საექსპლოატაციო კადრების მომზადებისათვის საჭირო ხარჯების ჩათვლით. ამ ხარჯებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ზელიმიტურ მშენებლობათა გენერალურ ხარჯთაღრიცხვაში.

გენერალური ხარჯთაღრიცხვის მესამე ნაწილში გამოიანგარიშება მშენებლობის დროს მშენებლობისათვის საჭირო საშუალებანი, როგორცაა: დროებითი შენობებისა და საბინაო ნაგებობათა მშენებლობა, მშენებლობის მუშაობისასახურეთა კულტ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება; აუცილებელი სამშენებლო მასალებისა და მანქანების შეძენა, სატრანსპორტო საშუალებანი, სამშენებლო ინვენტარისა და ქონების შეძენა; მშენებლობის საწარმოო საჭიროებისათვის აუცილებელი დროებითი შენობებისა და ნაგებობათა (დამხმარე სახელოსნოები, კანტორა, საწყობები, გარაჟები და სხვ.) მშენებლობა.

კაპიტალური მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება უნდა იყოს მშენებლობაზე მასალების, მუშახელის, სატრანსპორტო საშუალებათა და სხვა სამუშაოთა ხარჯებისათვის დაწესებული ტექნიკური ნორმების კონტროლის საშუალება, და ის უნდა გამოიხატებოდეს იმ ფულად ღირებულებაში, რომელიც მთლიანად წარმოადგენს მშენებლობის ღირებულებას.

კაპიტალური მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორად და მიზანშეწონილად იხარჯება სახელმწიფო სახსრები მშენებლობაზე. მისი ფაქტიური ღირებულების გადამეტება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე ნიშნავს გადახარჯვას ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით. და პირიქით, ფაქტიური ღირებულების შემცირება წინააღმდეგ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა—სახსრების ეკონომიას.

განვიხილოთ, თუ როგორ გამოიანგარიშება ტექნიკურად კაპიტალური სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

ყოველი შენობა ან ნაგებობა შედგება ცალკეული, ეგრეთწოდებული კონსტრუქციული ელემენტებისაგან (ნაწილებისაგან). დავუშვათ, რომ სახლის მშენებლობის დროს კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენენ: საძირკველი, კედლები, სახურავი, ფანჯრები, კარები, კიბეები, სატიხრო სამუშაოები, სამღებრო სამუშაოები, გათბობა, განათება, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია და სხვ.

ყოველი კონსტრუქციული ელემენტის შენება მოითხოვს განსაზღვრული რაოდენობის მასალის დახარჯვას და სათანადო კვალიფიკაციის (გამოცდილებისა და ტექნიკური ჩვევების მქონე) განსაზღვრული რაოდენობის მუშახელს.

ამიტომ აუცილებელია მოცემული მშენებლობისათვის გამოვიანგარიშოთ საჭირო მასალების რაოდენობა, მათი სახეებისა და ხარისხის მიხედვით, აგრეთვე საჭირო მუშახელის რაოდენობა მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ეს მოთხოვნილება, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დავაზუსტოთ შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობა ყოველი კონსტრუქციული ელემენტის მიხედვით. მხოლოდ მაშინ, როცა გვეცოდინება სამუშაოთა რაოდენობა, შეგვიძლია გავიანგარიშოთ, რამდენი და რა სახის მასალები და რამდენი მუშახელია საჭირო ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობას ეწოდება სამუშაოს მოცულობა და გამოიანგარიშება ზომის იმ ერთეულებით, რომლებიც შეეფარდებიან განსაზღვრული სახის სამუშაოებს.

შენობის საძირკვლის მშენებლობისას საჭიროა ამოვიღოთ თხრილი (ორმო), მაშასადამე უნდა ვიცოდეთ, თუ რა ოდენობის მიწა უნდა იქნას ამოღებული. ეს ოდენობა გამოიანგარიშება კუბმეტრებში (მ³). მიწის ამოთხრის სამუშაო არ მოითხოვს რაიმე სახის მასალის ხარჯვას. ამ სამუშაოებისათვის საჭიროა მხოლოდ მუშახელი, მსხვილ მშენებლო-

ბებზე კი—მექანიზმი (ექსკავატორები, ტრანსპორტიორები და სხვ.) და ტრანსპორტი მიწის გადასაზიდად. დადგენილი ტექნიკური ნორმების საფუძველზე ცნობილია, რამდენი და რა კვალიფიკაციის მუშახელია საჭირო, როგორი და რამდენი მექანიზმი და სატრანსპორტო საშუალებაა საჭირო 1 კუბმეტრი მიწის ამოღების და ტრანსპორტირებისათვის. ვიცით რა ამოსაღები და გასაზიდი კუბმეტრი მიწის საერთო რაოდენობა, ადვილი გამოსაანგარიშებელია მთელი სამუშაოსათვის საჭირო მუშახელის საერთო რაოდენობის, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოანგარიშება.

მუშახელის, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების არსებულ მოქმედ ღირებულებათა გაანგარიშების საფუძველზე უკვე ძნელი არაა გამოვიანგარიშოთ თხრილის აპოლენიასთვის გასაწვევი ყველა სამუშაოთა საერთო ღირებულება.

ასეთივე წესით არკვევენ ყოველი კონსტრუქციული ელემენტის ან ყოველი სახის სამუშაოს ღირებულებას.

ყველა კონსტრუქციული ელემენტისა და ყველა სახის სამუშაოთა შეჯამების გზით დადგინდება მშენებლობაზე ყველა პირდაპირი ხარჯის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ე. ი. ისეთისა, რომლებიც უშუალოდ შეადგენენ მშენებლობის ღირებულებას. მაგრამ მხოლოდ ამ პირდაპირი ხარჯებით მშენებლობის ღირებულება არ განისაზღვრება.

გარდა პირდაპირი ხარჯებისა, ყოველ მშენებლობაზე არის მათელი რიგი საერთო ხასიათის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნება არა ცალკეულ კონსტრუქციულ ელემენტებს ან სამუშაოთა სახეებს, არამედ მთლიანად მთელს მშენებლობას.

ამ საერთო ხასიათის ხარჯებს უწოდებენ ზედნადებ ხარჯებს. ზედნადებ ხარჯებს მიეკუთვნებიან: მშენებლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები, მუშა-მოსამსახურეების დამატებითი ხელფასი (შვებულების, სახელწიფოებრივი დავალების, ატმოსფერული მოვლენების გამო გაცდენების, შევებულების ნაცვლად კომპენსაციის ანაზღაურება), სოცდაზღვევა, დამატებითი სამედიცინო დახმარება, კომუნალური ხარჯები, სამშენებლო მოედნის კეთილმოწყობა, მასალების ანალიზი და გამოცდა, სამუშაოს ჩაბარების ხარჯები და სხვ.

მშენებლობის ზედნადები ხარჯების სრული ნომენკლატურა მოცემულია განყოფიში „ზედნადები ხარჯების აღრიცხვა“ (გვ. 335).

მშენებლობის ზედნადები ხარჯები გამოიანგარიშება მშენებლობაზე პირდაპირი ხარჯების საერთო თანხისა და სამონტაჟო სამუშაოებზე მომუშავე საწარმოო მუშათა ძირითადი ხელფასის პროცენტული შეფარდების მიხედვით.

ზედნადები ხარჯების ოდენობას ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის სხვადასხვაგვარად. ამჟამად კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებლობისათვის დადგენილია ზედნადები ხარჯების შემდეგი ნორმები (სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის 1949 წ. 16/VII ბრძანება № 420):

სამშენებლო სამუშაოებზე—16,5%, მათ შორის 5,5% ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის:

სამონტაჟო სამუშაოებზე—სამონტაჟო მოწყობილობათა მიხედვით — 110-დან 140%-დე, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის 40-დან 60%-დე.

გარდა ზედნადები ხარჯებისა ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იქნას ეგრეთწოდებული გეგმური დაგროვებანი მშენებლობაზე პირდაპირი ხარჯებისა და ზედნადების ხარჯების საერთო ჯამის 2,7% რაოდენობით.

ამრიგად, მშენებლობის საერთო ღირებულება შედგება სამი ნაწილისაგან: ა) პირდაპირი ხარჯები, ბ) ზედნადები ხარჯები და გ) გეგმური დაგროვებანი განკუთვნილია მხოლოდ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციებისათვის გასაცემად. იგი შედის შესრულებულ საერთო სამუშაოთა საერთო ღირებულების ჯამში, მშენებელ მოიჯარე ორგანიზაციების საგარანტიო მოგების სახით.

თუ მშენებლობა შედგება არა ერთი, არამედ ორი და უფრო მეტი სხვადასხვა ობიექტისაგან, მაშინ ჯერ ხარჯთაღრიცხვა უნდა შედგეს ყოველ ობიექტზე ცალკე, მერე კი—მთელი მშენებლობის საერთო (გენერალური) ხარჯთაღრიცხვა.

ყოველ ხარჯთაღრიცხვას თან უნდა დაერთოს მთელი რიგი დანართი, რომლებიც ანვითარებენ ან შიფრავენ ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ მუხლებს. ასეთი დანართებია: ა) ერთეულის შეფასება, რომლის მიხედვითაც გაიანგარიშება ამა თუ იმ კონსტრუქციული ელემენტის ერთეულის ან სამუშაოს სახეობის გამსხვილებული საზომით (სიგრძივი მეტრის, მ², მ³, კილომეტრის, ცალისა და სხვ.) ღირებულება; ბ) მოწყობილობის ხარჯთაღრიცხვა; გ) უფრო მნიშვნელოვანი მასალების, მათი ტრანსპორტირებისა და მოზიდვის კალკულაცია.

ამ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების ფორმები მოცემულია „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1938 წ. დადგენილების მე-2 დანართში.

საკვლევი და საპროექტო სამუშაოები, როგორც წესი, ხორციელდება სპეციალური საპროექტო ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც თავიანთ გეგმაში შეაქვთ შემკვეთლების განაცხადები.

კავშირგაბმულობის სამინისტროში ასეთ ორგანიზაციებს წარმოადგენენ ტრესტი „სვიაზპროექტი“ და მისი განყოფილებები ლენინგრადში და კიევიში. მაგრამ ეს საპროექტო ტრესტები ჩვეულებრივად აწარმოებენ უფრო მნიშვნელოვან და ტექნიკურად რთულ მშენებლობათა დაპროექტებას.

ნაკლებ მნიშვნელოვან და ნაკლებ რთულ მშენებლობებს (კავშირგაბმულობის კანტორებს, მცირე საცხოვრებელ სახლებს, საწყობებს, შიგასაოლქო და შიგასაარაიონო სატელეფონო ხაზებს, რადიოკვანძებს და სხვ.) აპროექტებენ ან ადგილობრივი საპროექტო (სამოქალაქო მშენებლობათა) ორგანიზაციები, ან უშუალოდ ტიტულის ექონენი—კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოები (კავშირგაბმულობის საშუალებათა—სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზების, რადიოკვანძებისა და სხვ. მშენებლნი).

3. დამტკიცებული ტექნიკური პროექტისა და მიღებული დაკვეთილი მოწყობილობათა ტექნიკური მონაცემების საფუძველზე ამუშავებენ სამუშაო ნახაზებს, რომელთა შედგენის დროს აკრძალულია გადაუხვიოთ დამტკიცებულ ტექნიკურ პროექტს.

ს ა მ უ შ ა ო ნ ა ხ ა ზ ე ბ მ ა უ ნ და უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ნ :

ა) წარმოების გენერალური გეგმის დამხმარე დანიშნულების ყველა საამქროს, დანადგარებისა და ობიექტებთან საბოლოო დაკავშირება, აგრეთვე მათი შვეული აღნიშვნების დაზუსტება;

ბ) საწარმოო შენობების და დანადგარების საძირკვლების დაკავშირება ხმება ჰიდროგეოლოგიურ და გეოტექნიკურ გამოკვლევებთან;

გ) სამშენებლო ნახაზების მოწყობილობათა ნახაზებისა და ყოველგვარი კომუნიკაციებთან, სანიტ-ტექნიკურ მოწყობილობებსა, ენერგეტიკასა და სხვ. საბოლოო დაკავშირება.

3. კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და დაფინანსება

კაპიტალური დაბანდებანი შეიძლება გახორციელდეს მხოლოდ შემდეგ პირობებში:

ა) თუ კაპიტალური დაბანდება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის გეგმით;

ბ) თუ მათ აქვთ გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და მათი ხარჯთაღრიცხვა;

გ) თუ კაპიტალურ დაბანდებას დადგენილი წესით გახსნილი აქვს დაფინანსება სსრ კავშირის სამრეწველო ბანკში, ვინაიდან კავშირგაბმულობის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება წარმოებს მხოლოდ ამ ბანკის საშუალებით, გარდა არაცენტრალიზებული (ლიმიტგარეშე) კაპიტალური დაბანდებისა, რომელიც 1935 წლის 19/IX-ის კანონით ხორციელდება ძირითადი საქმიანობის სახსრებიდან და რომელიც ფინანსდება სახბანკის მეშვეობით.

კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმა დგება ფულად გამოსახულებაში კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ ლიმიტის ფარგლებში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ყოველწლიურად წესდება ყოველი უწყებისათვის.

კავშირგაბმულობის სამინისტრო გეგმის დამუშავებისას ხელმძღვანელობს პირველ რიგში მთავრობის განკარგულებით დასაგეგმავ წელს უფრო იმ მნიშვნელოვანი და მსხვილი (ლიმიტგარეშე) ობიექტების მშენებლობათა დაგეგმვის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომ ზრდას სახალხო მეურნეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის ინტერესებისათვის.

წლიური კაპიტალური დაბანდების ლიმიტის თავისუფალი თანხა, რომელიც დარჩა გეგმაში ზელიმიტურ მშენებლობათა შეტანის შემდეგ, კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ უშუალოდ ნაწილდება ქველიმიტურ მშენებლობებზე სხვადასხვაგვარი ძირითადი საშუალების მზასახით შესაძენად და სხვა რეთი ხარჯებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალური დაბანდების განხორციელებასთან დაგეგმილი წლის განმავლობაში.

ლიმიტს ანაწილებენ ქველიმიტურ მშენებლობაზე და შეიქნაზე მიმდინარე მოთხოვნილებათა შესაბამისად როგორც კავშირგაბმულობის სამმართველოებსა და საწარმოების განცხადების, ისე იმ მასალების

საფუძველზე, რომელიც იმყოფება კავშირგაბმულობის ცენტრალურ სამმართველოებში და თვით კავშირგაბმულობის სამინისტროს განყოფილებებში.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმაში უწინარეს ყოვლისა შეაქვთ გარდამავალი მშენებლობა, ე. ი. მშენებლობანი, რომლებიც წინა წლების გეგმებში უკვე შეტანილი იყო, მაგრამ რომლებიც ამა თუ იმ მიზეზების გამო დასაგეგმავი წლის დასაწყისისათვის არ იყო დამთავრებული.

კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმის შედგენისათვის პირველდაწყებით მონაცემებს ამუშავენ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური დარგობლივი სამმართველოები, ყოველი მათგანი თავისი დარგის მიხედვით. ამის შემდეგ ისინი თავიანთ გეგმას უგზავნიან სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს, რომელიც ამ გეგმებს ამოწმებს სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტსა და მთავრობის დადგენილებასთან ხელიმითურ მშენებლობათა საერთო წლიურ ლიმიტთან შეთანხმებულობის თვალსაზრისით. ამ შემოწმებისა და საგეგმო დავალებათა დაზუსტების შემდეგ საგეგმო-საფინანსო სამმართველო ადგენს კაპიტალურ დაბანდებათა გაერთიანებულ წლიურ გეგმას წლიური საგეგმო დავალებების კვარტალურად დაყოფით.

ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელებულ მშენებლობის წლიურ გეგმაში შეაქვთ მისი ის ნაწილი, რომელიც შესრულებული უნდა იქნას დასაგეგმავ წელს. მაშასადამე, ასეთი მშენებლობანი შეიძლება იყოს ორ და უფრო მეტი წლის გეგმაში.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა დგება მათი სახარჯთაღრიცხვო შეფასებით, რაც გამოხატავს იმ მშენებლობისა და შექმნის ღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მიმდინარე წელს. ვინაიდან ეს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ემყარება შესასრულებელ კაპიტალურ დაბანდებათა ან შექმნის რაოდენობას, რომლებიც შეფასებულია ამ სამუშაოთა ან შექმნათა სახარჯთაღრიცხვო ფასებში, ამიტომ გეგმაში ნაჩვენები კაპიტალურ დაბანდებათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება წარმოადგენს ფულად გამოხატულებაში გამაერთიანებელ მაჩვენებელს ამა თუ იმ კაპიტალურ სამუშაოთა ან შექმნათა რაოდენობისას ან, როგორც მას უწოდებენ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისას, წარმოადგენს ამ სამუშაოთა ან შექმნათა მოცულობას.

საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მიერ შედგენილი და კავშირგაბმულობის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული კაპიტალურ და-

ბანდებათა წლიური გეგმა წარედგინება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს სამინისტროს გეგმას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნის ეხედველობაში მიღებით.

დამტკიცებული გეგმის საფუძველზე სამინისტრო თავის სამმართველოებს და საწარმოებს უგზავნის იმ მშენებლობათა და ხარჯების სიას, რომლებიც მათ უნდა განახორციელონ დასაგეგმავ წელს. ამ სიას ეწოდება სატიტულო, ხოლო სატიტულო სიის (მშენებლობის ან ამა თუ იმ სახის ხარჯებს) ყოველ ცალკე მუხლს ეწოდება ტიტული. სატიტულო სიები დგება გვ. 281 მოყვანილი ფორმის მიხედვით.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შედგება კავშირგაბმულობის სამინისტროს მეურნეობის ცალკეულ ქვეგანაყოფთა მიხედვით მისი სტრუქტურის შესაბამისად, სახელდობრ:

- | | |
|--|--|
| 1. ტელეგრაფები: | — სატელეგრაფო კავშირის ცენტრალური სამმართველო (ЦУТС) |
| 2. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი და გამაძლიერებელი პუნქტები | — საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრალური სამმართველო (ЦУМТС) |
| 3. ყველა სახის რადიოსადგური | — რადიოკავშირის მთავარი სამმართველო (ГУРС) |
| 4. რადიომალწყებლობათა სადგურები | — რადიომალწყებლობათა სადგურების მთავარი სამმართველო (ГУРБС) |

სამინისტრო .

მთავარი სამმართველო

ტრესტი

მშენებლობა

სახალხო-სამეურნეო გეგმის
დამტკიცების ერთი თვის
შემდეგ უნდა წარედგინოს
სამრეწველო ბ.ნკის დამფი-
ნანსებელ ფილიალს

1. მშენებლობის საერთო სა-
ხარჯთაღრიცხვო ღირებუ-
ლება
2. მშენებლობაზე წლის დასა-
წყისამდე შესრულებულია სულ
სამუშაო

ივსება მხოლოდ იმ მშე-
ნებლობებზე, რომლებსაც
აქვთ გენერალური ხარჯთ-
აღრიცხვა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე :

(ხელაწერა)

(თარიღი)

კაპიტალურ სამუშაოთა წლიური სატიტულო სია

19 _____ წლისათვის ცალკეული ობიექტებისა და ხარჯების მიხედვით (ათას მან.)

ობიექტებისა და ხარჯების დასახელება	შესრულებულია წლის დასაწყის			წლიური გეგმა			ამოქმედება		
	სრული სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულება	სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულება	ფაქტიური ღირებულებით	მათ შორის			ამოქმედებული ძირითადი ფონდი	ამოქმედების დაწყების ვადა	
				ს	უ	ლ			
A	1	2	3	4	5	6	7	8	9

სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა საერთო ჯამიდან განზრახულია სა-
იჯარო წესით შესრულებულ ოქნას ათას მანეთებში.

გენერალური ხარჯთაღრიცხვის მქონე მშენებლობების სატიტულო სია
დგება გენერალური ხარჯთაღრიცხვის ნომენკლატურით.

ცალკეული ობიექტების ხარჯთაღრიცხვით დაფინანსებული მშენებლობების
სატიტულო სიაში გამოიყოფა ყველა ობიექტი, რომელზედაც არსებობს ცალკე
სახარჯთაღრიცხვო ფინანსური გაანგარიშებანი.

მშენებლობაში მყოფი (მოქმედი) საწარმოს დირექტორი

(ხელმოწერა)

- | | |
|---|---|
| 5. საპაერო და საკაბელო სატელეფონო-სატელეგრაფო მაგისტრალები | — სახაზო - საკაბელო მეურნეობის ცენტრ. სამმართველო (ЦУЛКХ) |
| 6. საქალაქო სატელეფონო ქსელები | — ცენტრალური სატელეფონო სამმართველო (ЦТУ) |
| 7. რკინიგზის საფოსტო განყოფილებები, ცხენები ცხენის ფოსტის სადგურებისათვის და სხვ. | — მთავარი საფოსტო სამმართველო (ГРУС) |
| 8. საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაგები | — საბინაო განყოფილება (ЖО) |
| 9. კავშირგაბმულობის სახლები და საწყობები | — კაპიტალური მშენებლობათა განყოფილება (ОКС) |
| 10. ქარხნები, ფაბრიკები, სახელოსნოები | — სამრეწველო საწარმოთა სამმართველოები (УИИ) |
| 11. ინსტიტუტები, ტექნიკუმები | — სასწავლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველო (ГРУЗ) |
| 12. ავტოტრანსპორტი, კატერები, გარაჟები, ველოსიპედები, სადგურები და სხვ. | — სატრანსპორტო განყოფილება |
| 13. სამშენებლო მექანიზმები, მანქანები და ხელსაწყოები მშენებლობისათვის | — მთავარი სამშენებლო სამმართველო |
| 14. ხანძრის საწინააღმდეგო მოწყობილობანი | — გასამხედრებული დაცვის ცენტრალური სამმართველო (ЦУБОХР) |

ასეთი დაყოფით წარედგინება კაპიტალურ დაბანდებათა მთელი ანგარიშგება როგორც ოპერატიული, ისე ბუღალტრული.

კაპიტალურ დაბანდებათა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად დგება მათი დაფინანსების გეგმაც. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება წარმოებს შემდეგი წყაროების ერთობლიობით:

საერთო სახელმწიფო საკავშირო ბიუჯეტის ანგარიშზე, კავშირგაბმულობის სამინისტროს შემოსავლის ანგარიშზე, მშენებლობის შიგარესურსების მობილიზაციის ანგარიშზე,

სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ საწარმოების მოგების ხარჯზე,

საწარმოს ამორტიზაციის დაგროვებათა ხარჯზე,

კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე აღრიცხულ მოგებათა ანგარიშზე,

ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ იმ მშენებლობათა გეგმურ დაგროვებათა ხარჯზე, რომელთა განხორციელება ნავარაუდევია სამეურნეო წესით და მშენებლობის ღირებულების შემცირების ანგარიშზე.

თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კავშირგაბმულობის სამინისტროს შემოსავლიდან, კავშირგაბმულობის სამინისტროს მოგებიდან და საამორტიზაციო თანხებიდან თავს იყრიან სამინისტროს ცენტრალიზებულ ანგარიშზე სამრეწველო ბანკის გააგეობაში და შემდეგ ამ უკანასკნელის მიერ ნაწილდება მის ფილიალებს შორის, იმ სამმართველოების და სამინისტროს საწარმოთა დაფინანსების გეგმის მიხედვით, რომლებსაც დავალებული აქვთ კაპიტალურ დაბანდებათა ამა თუ იმ ნაწილების (ტრეტულების) შესრულება.

შიგარესურსების მობილიზაცია ნიშნავს იმ მოწყობილობის და მასალების გამოყენებასა და რეალიზაციას, აგრეთვე იმ სადებიტორო ან სხვ. სახის დავალიანებათა რეალიზაციას, რომლებიც დასაგეგმაი წლის დასაწყისისათვის ნაშთბად ირიცხებიან კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე. ასეთი ფასეულობებისა და ანგარიშსწორებათა ღირებულება ნაანგარიშევი უნდა იქნას მომავალი წლის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშში იმ ოდენობით, რომლითაც იგი შეიძლება რეალურად გამოყენებულ იქნას ამა თუ იმ ფორმით (მოწყობილობანი და მასალები გამოყენებულია მშენებლობაში ან რეალიზებულია, დებიტორების ვალი ამოღებულია ან ჩათვლილია გადასახდელი კრედიტორული დავალიანების ანგარიშში და სხვ.). ამიტომ ამ თანხების ჯამით შემცირებული უნდა იქნას დაფინანსება სახბიუჯეტიდან.

შიგარესურსების ნობილიზაცია ევალება და ამის გამო პასუხისმგებელი არიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც მიცემული აქვთ ეს უფლება კაპიტალის დაბანდებათა ფინანსურ გეგმაში. ამ დავალების შეუსრულებლობა, ბუნებრივად საფრთხის წინაშე დააყენებს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში აღვიღებთ გეგმის შესრულებისათვის საჭირო თანხების ნაკლებობას.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

- 1. კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე წლის დასაწყისში არის მოწყობილობისა და მასალების ნაშთი ღირებული 100.000 მან.
- 2. კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობა მომავალი წლისათვის დადენილია გეგმით. 500.000 .
- 3 წლის დასაწყისისათვის დარჩენილი მოწყობილობებისა და მასალებიდან მშენებლობაზე მოცემული გეგმით შეიძლება გამოყენებულ იქნას (შიგარესურსების მობილიზაცია) 75.000 .

მაშასადამე, წლის განმ ვლობაში შესრულებელი-500 000 მან მოცულობის სამუშაოს დაფინანსება საჭიროა მხოლოდ 425000 მან. თანხით, რომელიც გაცემული უნდა იქნას სამრეწველო ბანკიდან.

ამგვარად. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, ე. ი. კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით შესასრულებელი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეიძლება არ დაემთხვეს მის დაფინანსების იმ თანხას, რომელიც საჭიროა მშენებლობის განსახორციელებლად, ე. ი. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეიძლება არ დაემთხვეს დაფინანსების გეგმას, რომელიც მოცულობით შეიძლება იყოს ან გეგმაზე ნაკლები (თუ გეგმა მოცემულია შიგარესურსების მობილიზაციით) ან ამ გეგმაზე მეტი, თუ დავალებით მოცემულია თანხების იმობილიზება¹, ან, ბოლოს, კაპიტალური დაბანდებათა გეგმა როგორც მოცულობით, ისე მისი დაფინანსებით შეიძლება უდრიდეს ერთმანეთს, თუკი არც შიგარესურსების მობილიზაცია და არც საშუალებათა იმობილიზება საჭირო არ იქნება.

კაპიტალურ დაბანდებათა გაანგარიშება მოცემულია ლიმიტების განსაკუთრებულ უწყისში (ფორმა № 5).

დაფინანსების ლიმიტების ნაკრებ უწყისს ადგენს კავშირგაბმულობის საგეგმო-საფინანსო სამმართველო კაპიტალურ დაბანდებათა ტიტულების მიხედვით, მერე კი სათანადო ტიტულების მქონეებს, ე. ი. კავშირგაბმულობის სამმართველოებსა და საწარმოებს, რომელნიც ვალდებული არიან შეასრულონ გეგმის ესა თუ ის ტიტული, ეცნობება იმავე ფორმის ლიმიტის უწყისით ამ ტიტულების დაფინანსების წყაროები.

იმავედროულად ლიმიტის უწყისი წარედგინება სამრეწველო ბანკის იმ ფილიალებს, რომლებიც დააფინანსებენ სათანადო ტიტულის მქონეებს.

¹ თანხების იმობილიზაცია ეწოდება გეგმით მოცემულ კაპიტალურ დაბანდებათა დავალებისათვის გეგმის ზევით თანხების გაცემას კრედიტორული დავალიანების დასაფარავად იმ შესრულებულ, მაგრამ დასაგეგმავი წლის დასაწყისამდე გაუნაღდებელ სამუშაოსათვის, რომელიც ჩატარებულა მომდევნო წლების დანიშნულ მოწყობილობათა და მასალების დასაზადებლად და სხვ.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა, ისე როგორც ყოველი გეგმა არ არის უძრავი და უცვლელი. სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებთან დამოკიდებულებით წლის განმავლობაში მთავრობის განსაკუთრებული განკარგულებით გეგმა შეიძლება შეიცვალოს. გეგმის ზოგი ობიექტის მიხედვით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობა შეიძლება შემცირდეს, ზოგის მოცულობა კი, პირიქით, შეიძლება გადიდდეს, ზოგი ობიექტი შეიძლება სულ გამორიცხულ იქნას გეგმიდან,—ზოგი კი, პირიქით, ხელახლა იქნას შეტანილი.

ასე, მაგალითად, პიტლერულ გერმანიასთან ომის დაწყებით 1941 წ. საჭირო შეიქნა საბჭოთა სახელმწიფოს მთელი რესურსების თავდაცვის საჭიროებისათვის გადაყვანა. ამიტომ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმები ყველა უწყებისა, კავშირგაბმულობის სამინისტროს ჩათვლით, 1941 წლისათვის საგრძნობლად შემცირდა საერთო თანხის მიხედვით, და თავდაცვის საჭიროებათა შესაბამისად შეიცვალა მისი შინაგანი შინაარსითაც.

ომისშემდგომ პერიოდში კაპიტალურ დაბანდებათა შინაარსმა სხვა ხასიათი მიიღო. მასში თავიანთ გამოსახულებას პოულობს, ერთი მხრით, ჩვენი ქვეყნის იმ ძირითადი ფონდების აღდგენის საჭიროება, რომელიც მტრის მიერ განადგურდა ან დაზიანდა, მეორე მხრით კი — მათი შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესება და რაოდენობრივი გადიდება.

მაგალითად, თუ კავშირგაბმულობის სამინისტროს 1948 წ. პირველდაწყებით კაპიტალური დაბანდების გეგმას ნივთიერება 100%, წლის განმავლობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამატებითი განკარგულების საფუძველზე მან 118% მიაღწია.

ყველა ცვლილება გეგმაში მისი ცალკე ტიტულების მიხედვით ფორმდება კავშირგაბმულობის სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველოს მიერ და ამის შესახებ იგი აცნობებს ყველა ტიტულის მქონეებსა და სამრეწველო ბანკის ფილიალებს.

დასაგეგმავი წლის კაპიტალის დაბანდებათა და მისი დაფინანსების გეგმებთან ერთად დგება დასაგეგმავ წლის კავშირგაბმულობის სამინისტროს ძირითადი გეგმის შემადგენლობაში გადასაცემი კაპიტალის დაბანდებათა ამოქმედების გეგმაც.

დამთავრებული ობიექტების ამოქმედების გეგმაში უჩვენებენ ყველა ობიექტს, რომელიც ამოქმედებული უნდა იქნას, აღინიშნება აგრეთვე ექსპლოატაციაში გადაცემის დრო, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

და სიმძლავრე (სახაზო მოწყობილობათა მანძილი, შენობის კუბატურა, რადიოსადგურის და რადიოკვანძების სიმძლავრე, საცხოვრებელი სახლების საცხოვრებელი ფართობი და სხვ.).

ზელიმიტურ მშენებლობათა ამოქმედების ვადას ადგენს მთავრობა, ქველიმიტურ კაპიტალურ დაბანდებათა მშენებლობებისას კი — კავშირგაბმულობის სამინისტრო. ტიტულის მქონეებს კი ეცნობებათ სათანადო ობიექტების ამუშავების ვადა, რაც გათვალისწინებულია გეგმით.

კაპიტალური დაბანდება, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშზე, იგეგმება ისევე, როგორც ის კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხორციელდება საკავშირო ბიუჯეტის ანგარიშზე, ნხოლოდ იმ ცვლილებით, რომ რადიოსადგურებისა და ტელეფონიზაციის მშენებლობის გეგმას კავშირგაბმულობის სამმართველოები (რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქში) წინასწარ აზუსტებენ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან (მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან) ერთად. ამის შემდეგ ურდგენენ კავშირგაბმულობის სამინისტროს, სადაც მათ ამოწმებენ, აზუსტებენ, მთავრობის დაყალბათა შესაბამისად და უერთებენ სსრ კავშირის საერთო გეგმას.

გეგმით გათვალისწინებული თანხები რესპუბლიკების მინისტრთა ადგილობრივ საბჭოებს და საოლქო აღმასკომებს შეაქვთ რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების ბიუჯეტებში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1941 წ. დადგენილების საფუძველზე და მისივე შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კონისარიატის 1941 წ. 21/II № 127/29 წერილისა და სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის 1941 წ. 27/II № ც-19 ცირკულარისა კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება უნდა წარმოებდეს სამრეწველო ბანკის საშუალებით, მათი დაფინანსება სახბანკოდან დაუშვებელია.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის სამრეწველო ბანკის ფილიალებმა კავშირგაბმულობის სამმართველოებს უნდა გაუხსნან განსაკუთრებული კონტოკორენტული ანგარიშები, რომელზეც ადგილობრივი ფინორგანოები რიცხავენ ადგილობრივი ბიუჯეტებით ამ მიზნისათვის განკუთვნილ თანხებს.

სატიტულო სიები და ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ლიმიტების უწყისები წარედგინება სამრეწველო ბანკის ფილიალებს, უშუალოდ კავშირგაბმულობის სამმართველოების ამ კაპიტალურ დაბანდებათა ტიტულების მქონეების მიერ.

რადიოფიკაციისა და ტელეფონიზაციის ობიექტების ტექნიკური პროექტების, მათი ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაო ნახაზების შედგენის წესი იგივეა, რაც საკავშირო ბიუჯეტით ჩასატარებელი ობიექტების მშენებლობისა.

4. კაპიტალურ დაბანდობათა გეგმის შესრულების ორგანიზება

დამტკიცებული სატიტულო სიისა და დაფინანსების ლიმიტის უწყისის საფუძველზე ტიტულას ყოველი მქონე ვალდებულია სამრეწველო ბანკის იმ ფილიალში, რომელშიც იგი წილებს დაფინანსებას, წარადგინოს ცნობა არსებული სატიტულო სიებში გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტების პროექტები და ხარჯთაღრიცხვა. ამ ცნობას შემდეგი ფორმა აქვს:

1. სამინისტრო
2. მთავარი სამმართველო
3. ტრესტი
4. საწარმოს დასახელება
5. საწარმოს ადგილსამყოფელი .

წარედგინება სამრეწველო ბანკის
დამფინანსებელ ფილიალს

სამრეწველო ბანკის

_____ ში
(კანტორა, განყოფილება)

ც ნ ო ბ ა

I. დამტკიცებულია მშენებლობის შემდეგი ობიექტებისა და ხარჯების ტექნიკური პროექტო

ობიექტებისა და ხარჯების დასახელება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დამთავრება	ტექ. პროექტის დამტკიცების თარიღი	ტექპროექტის დაბმ-ტკიცებულნი ორგანო	დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვებზე
1	2	3	4	5	6
1	_____	_____	_____	_____	_____
2	_____	_____	_____	_____	_____
3	_____	_____	_____	_____	_____
4	_____	_____	_____	_____	_____

II. საპროექტო დავალება და მისი გენერალური გეგმა დამტკიცებულია
რიცხვი _____ თვე 195 ____ წ.

_____ 195 წ.
(ცნობის წარდგენის თარიღი)

საწარმოს დირექტორის ხელმოწერა _____

სამრეწველო ბანკის ფილიალებს უფლება აქვთ მოითხოვონ ცნობაში ნაჩვენები პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების წარდგენა იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქიროდ დაინახავენ მათ შემოწმებას როგორც ფორმალურის მხრით, ისე არსებითად, ე. ი. შედგენილი პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მშენებლობის მოქმედ ნორმატივებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე სამრეწველო ბანკის ფილიალი ტიტულის მქონეებს უხსნის კონტოკორენტულ ანგარიშს. კონტოკორენტული ანგარიში არ უნდა აეუროთ ანგარიშსწორების ჩვეულებრივ ანგარიშში ბანკში.

ანგარიშსწორების ანგარიშები იხსნება ბანკებში სახალხო მეურნეობის იმ დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, რომლებსაც ბანკში შეაქვთ განსაზღვრული ფულადი სახსრები, შემდეგ კი დაწესებულ წესით საქიროების მიხედვით იყენებენ მათ. ამ ანგარიშსწორებათა ანგარიშებში შედის თანხები სხვა დაწესებულებებისა და საწარმოებიდანაც (მყიდველებისაგან საქონლის საფასური, სხვადასხვა დებიტორებისაგან მათთან ანგარიშსწორების მიხედვით და სხვ.). ანგარიშსწორების ანგარიშებზე მყოფი თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ამ ანგარიშებზე არსებული ნაშთების ოდენობის მიხედვით.

კონტოკორენტულ ანგარიშებს სხვა ხასიათი აქვთ. მშენებელ-ტიტულისმქონეებს ამ ანგარიშზე არავითარი თანხა არ შეაქვთ. მათ უფლება ეძლევათ გამოიყენონ მხოლოდ გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებისათვის მიცემული თანხები დაფინანსების ლიმიტის უწყისების ოდენობით. ამიტომ მშენებელი-ტიტულისმქონენი თავიანთ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე აღრიცხავენ მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებათა შესრულებისათვის ფაქტიურად მათ მიერ დახარჯულ (სამრეწველო ბანკის კონტოკორენტულ ანგარიშიდან ამოკრეფილ) თანხებს. მათთვის გახსნილი დაფინანსების ლიმიტს (ზღვარი, რომლის მიხედვით უფლება ეძლევათ ხარჯონ) აღრიცხავენ სისტემის გარეშე, ბუღალტრულ გატარებათა გარეშე და კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში ასახვის გარეშე.

სწორედ ამიტომ აღნიშნული მიზნებისათვის ფაქტიურად გამოყენებულ თანხებს, ე. ი. სამრეწველო ბანკიდან ამოკრეფილ თანხებს უჩვენებენ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსის პასივში, მაშინ როცა ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკებში ყოველთვის წარმოადგენს აქტიურ ანგარიშებს, ვინაიდან ისინი უჩვენებენ ამ ანგარიშსწორების ანგარიშების მეპატრონეთა თანხებს.

კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც წარმოადგენენ მზა სახით ძირითადი საშუალებების (სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა, რომელიც არ საჭიროებს მონტაჟს, ინსტრუმენტები, ინვენტარი და სხვ.) შექმნას, ნაზღაურდება კონტოკორენტული ანგარიშებიდან მიწოდებულთა ანგარიშთაქტურის საფუძველზე, და მოქმედ საწარმოებში მათი მიღების უმაღლესი ძირითად საშუალებათა ღირებულებას რიცხავენ საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსში დამოუკიდებლად იმისა, ეს საშუალებანი ფაქტიურად გადაცემულია საექსპლოატაციოდ, თუ ჯერ კიდევ საწყობშია.

ახალ მშენებლობებში შექმნილ მზა საგნებს რიცხავენ ძირითად საშუალებებში მშენებლობის ამუშავებასთან ერთად, ხოლო ამ მომენტამდე მას აღრიცხავენ დაუმთავრებელ მშენებლობის შემადგენლობაში.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების შექმნა არ შეიძლება კაპიტალურ დაბანდებისათვის ასიგნებული თანხებით, ამიტომ მოქმედ საწარმოებში მათ იძენენ საწარმოს საერთო საბრუნავი (საექსპლოატაციო) სახსრებიდან.

ახალ მშენებლობებზე მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების შექმნა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ამ მშენებლობათა ხარჯზე. ასეთ შემთხვევებში ამ საგნებს იძენენ მშენებლობის დაფინანსების სახსრებით და მათ ღირებულებას ითვალისწინებენ მშენებლობის საერთო ღირებულებაში.

ასეთია საერთო ხასიათი იმ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებისა, რომელიც წარმოადგენს მზა სახით ძირითადი საშუალებების უბრალო შექმნას.

გაცილებით უფრო რთულია და ძნელი კაპიტალურ დაბანდებათა შესრულება კაპიტალურ მშენებლობის დარგში. კაპიტალური მშენებლობა შეიძლება შესრულებულ იქნას სხვადასხვაგვარი წესით.

უფრო გავრცელებულ და უფრო მიზანშეწონილს წარმოადგენს მუშაობის საიჯარო წესი. ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ ტიტულისმქონე — შემკვეთი ღდებს ხელშეკრულებას სპეციალურ მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციასთან, მოიჯარესთან, რომელიც კისრულობს ყველა სამშენებლო და სამონტაჟო (თუ ისინი შესასრულებელია) სამუშაოებს.

მოიჯარე თავისი ძალებითა და სახსრებით ახორციელებს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს, გარდა იმ მოწყობილობათა შექმნისა, რომლებსაც სჭირდება

მონტაჟი (დადგმა), რადგან მოწყობილობათა შექმნა ევალება შემკვეთს— ტიტულისმქონეს. მოიჯარე ახორციელებს მშენებლობას ამ მშენებლობის ტექნიკური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. მოიჯარეს პროექტისა და ხარჯთაღრიცხვიდან რაიმე სახის გადახვევის უფლება არა აქვს. თუ ასეთი გადახვევები საჭირო იქნება მშენებლობის მსვლელობის მიხედვით, ის შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ შემკვეთის თანხმობით, ისიც სათანადო დოკუმენტების (დამატებით სამუშაოების განრიგით, ტექნიკური პროექტისა და მისი ხარჯთაღრიცხვის ხელახლა შედგენით და სხვ.) გაფორმებით.

შემკვეთლებსა და მოიჯარეთა შორის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოზე ხელშეკრულებათა და ურთიერთდამოკიდებულებათა დადების წესი დაწესებულია სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1938 წლის დადგენილებით.

უფრო დიდი და რთული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში არსებობს მთელი რიგი სპეციალიზებული საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები— ტრესტები, რომლებიც გაერთიანებული არიან სამინისტროს მთავარ მხედველ მთავარ სამმართველოში. სამშენებლო-სამონტაჟო სამშენებლო და სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს, უმთავრესად რადიოკვანძებისა და შიგასარაიონო სატელეფონო კავშირის მშენებლობას აწარმოებენ კავშირგაბმულობის ძირითადი საქმიანობის საწარმოები — კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები (PKC), სახაზო-ტექნიკური კვანძები (ЛТУ), რადიოსატრანსლაციო ქსელის ღირეკციები (ДРТС) და გამოყოფილი რადიოკვანძები. ამ მშენებლობის საუკეთესოდ ორგანიზების უზრუნველყოფისათვის შესრულებულ სამუშაოთა ხარისხიანობის საქმეში უფრო მეტი პასუხისმგებლობისათვის აღნიშნული მშენებლობა ხორციელდება კავშირგაბმულობის რაიონული კანტორებისა და სხვ. მიერ სამუშაოთა წარმოების ე. წ. შიგასაიჯარო წესით.

ასეთი მშენებლობის არსი მდგომარეობს შემდეგში:

იმის გამო, რომ ზემდგომ ორგანიზაციას არ შეუძლია თანაბარ უფლებიანი ხელშეკრულება დადოს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან, ხელშეკრულებების მაგიერ კავშირგაბმულობის სამმართველოები ავალებენ თავის რაიონულ კანტორებს და სახაზო ტექნიკურ კვანძებს ამა თუ იმ კაპიტალურ სამუშაოთა შესრულებას, რომლებსაც აფორმებენ განწეს-შეკვეთით.

ამ განწეს-შეკვეთაში სამმართველო აჩვენებს: 1) ვის და როდის მიეცა ის, 2) რა სამუშაოები და რომელი ობიექტების მიხედვით უნდა იქნას შესრულებული, 3) სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, 4) შემსრულებელთა მისაღებითა და მოწყობილობებით მომარაგების წესი, 5) შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, 6) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორების წესი, 7) დამთავრებული ობიექტების მიღების დრო მათი სამოქმედო გადასაცემად.

განწეს-შეკვეთებს აუცილებლად თან უერთავენ ყველა იმ დოკუმენტს, რომლებიც საჭირო მშენებლობის შესრულებისათვის, როგორცაა, მაგალითად: ტექნიკური პროექტი, მისი ხარჯთ-აღრიცხვა, სამუშაო ნახაზები. კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები და სახაზო-ტექნიკური კვანძები ამ დოკუმენტების საფუძველზე თავიანთი ძალებითა და სახსრებით ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მშენებლობას, მასზე გაწეულ ყველა ხარჯს აღრიცხავენ თავიანთ ძირითადი საქმიანობის ბალანსებზე, ისე, თითქოს სხვისი სამუშაო იყოს შესრულებული (057 ანგარიშში).

კავშირგაბმულობის რაიონული კანტორებისა და სხვ. მიერ შესრულებულ სამუშაოებს კავშირგაბმულობის სამმართველოები, გარდა მშენებლობის ხარჯთ-აღრიცხვებში გათვალისწინებულ გეგმური დაგროვების პროცენტისა, ანაღდებს სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულებით. შესრულებული სამუშაოს ფაქტიური და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას შორის შესაძლებელი სხვაობა რჩება კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებისა და სახაზო-ტექნიკური კვანძების ძირითადი საქმიანობის ბალანსზე.

კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები და სხვ. ვალდებული არიან შესრულებული სამუშაოები ჩააბარონ კავშირგაბმულობის სამმართველოებს ყოველთვიურად სამუშაოთა მიღების აქტების საფუძველზე (ფორმა № 2, დანართი 1), კავშირგაბმულობის სამმართველოსა და კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის წარმომადგენლის ან სხვა საწარმოს წარმომადგენლის ხელმოწერით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის და სხვ. მიერ შესრულებული სამუშაოები მიეკუთვნებიან იჯარის წესით შესრულებულ სამუშაოებს და ამის შესაბამისად აღრიცხავენ შემკვეთლები — კავშირგაბმულობის სამმართველოები — თავიანთ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში და აისახება მათ ანგარიშგებაში.

კაპიტალური სამუშაოები შეიძლება შესრულებულ იქნას სამეურნეო წესითაც. ამ წესით მუშაობისას ტიტულისმქონენი სამუშაოებს ასრულებენ საკუთარი ძალებითა და სახსრებით. სამუშაოებს ასრულებენ ტიტულისმქონეების კაპიტალურ მშენებლობათა განყოფილებანი ან სპეციალურად ჩამოყალიბებული სამშენებლო უბნები (დიდი თუ მცირე მშენებლობებისათვის).

მუშაობის სამეურნეო წესით წარმოებისას ტიტულისმქონენი ვალდებული არიან თვითონ დაამზადონ მასალები მშენებლობებისათვის, უზრუნველყონ ისინი მუშახელით, უხელმძღვანელონ მშენებლობას, შეასრულონ სამუშაოები ტექნიკური პროექტისა და მისი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, სრული პასუხისმგებელი იყვნენ მშენებლობის ვადებისა და ხარისხიანობის შესახებ.

სამუშაოთა წარმოების ტიტულისმქონე-მშენებლები ვალდებული არიან აწარმოონ აღრიცხვა: ა) მშენებლობაზე გაწეული ხარჯებისა, მისი ღირებულების ელემენტებით (მასალები, მუშათა ძირითადი ხელფასი, ტრანსპორტი და მომსახურება, ზედნადები ხარჯები მათი მუხლების მიხედვით), ბ) მუშათა რიცხვი და მათ მიერ გამოიმუშავებული კაც-დღეების რაოდენობა, გ) მათი შრომის ნაყოფიერება, დ) ხელფასის ფონდი და სხვ., მაშინ, როცა საიჯარო წესის დროს ყველა ამ ფუნქციას ასრულებს მოიჯარე, ხოლო შემკვეთის მოვალეობას შეადგენს შესრულებულ სამუშაოებზე მხოლოდ ტექნიკური ზედამხედველობა და მათი მიღება მოიჯარისაგან.

აქედან თავისთავად ცხადია, რომ ტიტულისმქონე მშენებლისათვის, რომელსაც არა აქვს მუდმივი მშენებლობა და არც შეუძლია ჰქონდეს საორგანიზაციო გამოცდილება, ჩევები, პირობები და ჰყავდეს საჭირო კვალიფიკაციის მშენებელ-მუშათა მუდმივი მუშათა შტატი,— კაპიტალური სამუშაოების წარმოების სამეურნეო წესი წარმოადგენს მეტად რთულ საქმეს და უმთავრეს შემთხვევებში იწვევს სახარჯთაღრიცხვო თანხის გადახარჯვას. ანიტომ როგორც კავშირგაბმულობის სამინისტროს, ისე სამრეწველო ბანკის მიერ რეკომენდებულია კაპიტალურ სამუშაოთა შესრულება უპირატესად ხდებოდეს საიჯარო წესით.

სამეურნეო წესის გამოყენება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალურ სამუშაოთა საიჯარო წესით შესრულების საშუალება არ არის.

ბოლოს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მუშაობის მესამე წესი—
შერეული, როცა კაპიტალურ სამუშაოთა ნაწილი სრულდება სამე-
ურნეო წესით (მაგ., სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობა), ხოლო
ნაწილი კი—საიჯარო წესით (მაგ., სამონტაჟო სამუშაოები).

5. კაპიტალურ დაბანდობათა აღრიცხვის ორგანიზაცია

საერთო საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან კაპიტალური
დაბანდებისათვის გამოყოფილი მსხვილი თანხები შოთხოვენ მათი
დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე მუდმივსა და გულდასმითს კონტროლს.

მთავრობის არსებული განკარგულებებით სასტიკად აკრძალულია
კაპიტალურ დაბანდებისათვის დაშვებული თანხების რაიმე სხვა და-
ნიშნულებით ხარჯვა, მაგალითად, ტიტულისმქონე მშენებლის ძირითადი
საქმიანობის საჭიროების, ან რაინე სხვა სახის მიზნებისათვის. ამ კონ-
ტროლის პრაქტიკულად განხორციელება გამოიხატება იმაში, რომ კა-
პიტალურ დაბანდობათა აღრიცხვა გამოყოფილია ცალკე ბალანსით,
ტიტულისმქონე მშენებლის ძირითადი საქმიანობის აღრიცხვისაგან გა-
მოცალკეებით. კაპიტალურ დაბანდობათა დამოუკიდებელ ბალანსზე აღ-
რიცხვის ასეთი წესი სავალდებულოა კავშირგაბმულობის სამინისტროს
ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომლებიც სამინისტროს გვემის მი-
ხედვით ახორციელებენ კაპდაბანდებებს (ტიტულისმქონენი), როგორც
საერთო საკავშირო ბიუჯეტის, ისე საოლქო; (სამხარეო, რესპუბლიკურ)
ბიუჯეტების ანგარიშში.

კაპიტალურ დაბანდობათა ბალანსი გვიჩვენებს ტიტულისმქონის მე-
ურნეობის ფინანსურ მდგომარეობას დროის განსაზღვრულ მომენტისა-
თვის (წლის, კვარტალის დასაწყისისათვის), სახელდობრ: დამთავრებულ
და დაუმთავრებელ კაპიტალურ დაბანდებებზე დახარჯულ თანხებს, და-
სადგმელ მოწყობილობებისა და მასალების მარაგს, ანგარიშსწორე-
ბებს კაპიტალურ დაბანდობათა ხაზით დებიტორებსა და კრედიტორებ-
თან, საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან კაპიტალურ მშენე-
ბლობისათვის ფაქტიურად გამოყენებულ თანხებს.

ბალანსი დგება სსრ კავშირის ყველა სამინისტროსა და უწყებისა-
თვის სავალდებულო ფორმით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის
ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არ-
სებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ.

კაპიტალურ დაბანდებათა ოპერაციების მიმდინარე აღრიცხვა წარმოებს განსაკუთრებულ ანგარიშთა გეგმის საფუძველზე (მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით), რომელიც წარმოადგენს ტიპურს და სავალდებულოს სსრ კავშირის ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის.

ამ ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებულია ცალკეული საერთო (სინთეზური) ანგარიშები, რომლებშიაც აღირიცხება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის განხორციელების პროცესის დროს თავისი ხასიათითა და დანიშნულებით სხვადასხვაგვარი ოპერაციები.

ყოველი ამ საერთო ანგარიშის ვასავითარებლად შემოღებულია დეტალური (ანალიზური) ანგარიშები (ბარათები), რომლებშიაც აღირიცხება: ცალკეულ ორგანიზაციებსა და პირებთან (დებიტორებსა და კრედიტორებთან) ანგარიშსწორება, კაპიტალურ დაბანდებების ხარჯების ცალკეული სახეები, მათი დაფინანსება, მოწყობილობანი და მასალები მათი სახელწოდებით, ხარისხის, მარკის ჩვენებით და სხვ.

კაპიტალურ დაბანდებათა ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ამა თუ იმ ტიტულის (ობიექტის) ტიტულისმქონე მშენებლის კაპიტალური დაბანდების გეგმით და წარმოებს კაპიტალური მშენებლობის შესრულების—საიჯარო ან სამეურნეო წესის შესაბამისად.

განსაკუთრებული ხარჯთ-აღრიცხვით ან სახარჯთაღრიცხვო საფინანსო გაანგარიშებით გათვალისწინებული ყოველი ობიექტის, ან ყოველი სახის დაბანდება, წარმოებს ცალკე (განსაკუთრებულ ბარათებზე) ობიექტების ან დაბანდებათა სახის ფაქტიური ღირებულების სწორად განსაზღვრის მიზნით.

კაპიტალური დაბანდებათა ფაქტიური ხარჯების აღრიცხვა უნდა წარმოებდეს იმგვარად, რომ სააღრიცხვო ბარათით ყოველთვის შეიძლებოდეს ამ ხარჯებისა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ურთიერთშედარება. ეს შედარება აუცილებელია კაპიტალურ დაბანდების ხარჯებზე მუდმივი კონტროლის გაწევის მიზნითა და იმისათვის, რომ დაშვებული არ იქნას გადახარჯვა, ე. ი. უფრო მეტის დახარჯვა, ვიდრე ეს ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული.

6. საიჯარო წესით წარმოებულ კაპიტალურ სამუშაოთა აღრიცხვა

საიჯარო წესით წარმოებულ კაპიტალურ სამუშაოთა აღრიცხვა წარმოებს შემდეგი სახით:

მოიჯარესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და სამრეწველო ბანკში სათანადო წესით მშენებლობის დაფინანსების გაფორმე-

ბის შემთხვევაში (იხ. § 3 „კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და დაფინანსება“) შემკვეთი მოიჯარე აძლევს ავანსს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

მუშაობის დაწყებისას ავანსი გამიზნულია მოიჯარის მიერ საშენი მასალის დასამზადებლად და ის ერიცხება სამრეწველო ბანკის მიერ მოიჯარეს განსაკუთრებულ ანგარიშსწორების ანგარიშზე. ანგარიშსწორების ამ ანგარიშიდან სამრეწველო ბანკი ანაღლებს მოიჯარის შეკვეთით დამზადებული მასალის ღირებულებას სათანადო ანგარიშების სათუძველზე.

მშენებლობათა დაფინანსების წესების მე-11 მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო ავანსი არ შეიძლება აღემატებოდეს მოცემული წლისათვის დადგენილ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების 15%. დაეუშვათ, თუ ხელშეკრულებით ნაგარაუდვეი წლიური სამუშაოს ღირებულება შეადგენს 1 მილ. მანეთს, მაშინ ავანსის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 150.000 მან. შემკვეთლისა და მოიჯარის ურთიერთ შეთანხმებით ავანსი ხელშეკრულებით შეიძლება უფრო მცირე ოდენობითაც განისაზღვროს.

მოიჯარის კუთვნილი ავანსის თანხა ირიცხება შემკვეთლის კონტრაქტული ანგარიშიდან სამრეწველო ბანკში მოიჯარის განსაკუთრებულ ანგარიშსწორების ანგარიშზე, მისი სამყოფელი ადგილის მიხედვით. მოიჯარეს ამ გადარიცხული თანხიდან შეუძლია ხარჯოს თანხები მხოლოდ მიმწოდებლების მიერ მშენებლობისათვის დამზადებული მასალების საფასური, აგრეთვე მათი ტრანსპორტირებისა და მიზიდვისათვის (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1942 წ. 11/IV № 15-198 მითითებანი).

სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის ინსტრუქციის 21-ე მუხლის საფუძველზე შემკვეთლების მიერ მოიჯარე სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციებზე ავანსების გაცემის კონტრაქტის გაწვევის წესის შესახებ (1950 წ. 25 თებერვალი № 1), როგორც წესი, დადგენილია ავანსის დაფარვის ან შეცვლის შემდეგი წესი:

ა) იმ მშენებლობაზე, რომელიც არ გადადის კალენდარული წლის იქით, ავანსი იფარება მთლიანად სამუშაოთა დასრულების მომენტისათვის. ავანსის დაფარვა იწყება სამუშაოს მოცულობის 50% შესრულების შემდეგ წლიური ხელშეკრულების მიხედვით მოიჯარე ორგანიზაციის ანგარიშებიდან თანაბრად დაკავების გზით;

ბ) იმ მშენებლობაზე, რომელიც გადადის კალენდარული წლის იქით, იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილი სამუშაო გენერალური ხელშე-

კრულების მიხედვით უდრის ან მეტია მიმდინარე წლის სამუშაოს მოცულობაზე, გაცემული ავანსი ინახება ხელშეკრულების მომდევნო წელს სანუშაოთა მოცულობის დაზუსტებამდე. მომდევნო წლის სამუშაოთა მოცულობის დაზუსტების შემდეგ ავანსი იცვლება:

ახალ წელს სამუშაოს შემცირების შემთხვევაში გასული და ახალი წლის ავანსის სხვაობა ითარება თანაბარი წილით, არაუგვიანეს ახალი წლის 1 კვარტალისა;

ახალ წელს სამუშაოთა მოცულობის გადიდების შემთხვევაში ავანსი დიდდება 1 კვარტალის განმავლობაში ახალი წლის ხელშეკრულების თანხის ოდენობამდე;

ბ) თუ გენერალური ხელშეკრულების მიხედვით მთელი დარჩენილი სამუშაო ნაკლებია მიმდინარე წლის სამუშაოზე, მაშინ მომდევნო წლის სამუშაოს მოცულობის დაზუსტებამდე ავანსი ინახება მხოლოდ ამ დარჩენილი სამუშაოს ოდენობის შესაბამისად. ავანსის დანარჩენი ნაწილი დაფარული უნდა იქნას მიმდინარე წლის უკანასკნელი კვარტალის განმავლობაში იმ ვადებში და იმ თანხების ოდენობით, რაზედაც შეთანხმდებიან მხარეები, ხოლო შემდეგ კი ზუსტდება ისე, როგორც ეს ნათქვამია „ბ“ მუხლში.

გარდა ავანსისა შემკვეთი ხელშეკრულებით ვალდებულია მოიჯარეს უხადოს მის მიერ დამზადებული და მშენებლობის მოედანზე მოზიდული კონსტრუქციისა და დეტალების ღირებულება. ოღონდ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნულ ფასეულობათა იმ ღირებულებას, რაც დააკმაყოფილებს მშენებლობის სამი თვის მოთხოვნილებას (ფინანსირების წესების მე 9 მუხლი).

კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემისათვის კონსტრუქციისა და დეტალებთან გათანაბრებულია შემდეგი მასალები: ყველა ნარკის კაბელი; სპილენძის, ბილითონისა და რკინის სატელეგრაფო-სატელეფონო მავთული; ბოძები სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზებისათვის; ტრავერსები; ბეტონის ბლოკები (ნიღბი) ტელეფონის კანალიზაციისათვის (სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოსთან არსებული ექთს 1938 წ. 29/VII დადგენილება № 5(—900-1).

შემკვეთლების მიერ ანაზღაურებული და მოიჯარეების მიერ გამოყენებული კონსტრუქციებისა და დეტალების მიხედვით შემკვეთლები ქვითავენ მათს ღირებულებას იმ თანხიდან, რომელიც ერგებათ მოიჯარეებს შესრულებული სამუშაოსათვის თვიური ანგარიშების მიხედვით. თუ სამი თვის განმავლობაში მოიჯარე არ შეასრულა სამუშაოთა

ის მოცულობა, რომელიც აუცილებელია შემკვეთლის მიერ განაღდებული კონსტრუქციისა და დეტალების სრული გააოყენებისათვის, მაშინ შემკვეთმა მოიჯარეს უნდა დაუთავოს კონსტრუქციებისა და დეტალების მთელი ღირებულება დამოუკიდებლად იმისა, რომ კონსტრუქციებისა და დეტალების ნაწილი ჯერაც არ არის გამოყენებული მშენებლობაზე.

ყოველი თვის პირველ და მეორე დეკადაში შესრულებული სამუშაოებისათვის მოიჯარეებს უფლება აქვთ შემკვეთლებს წარუდგინონ ამ სამუშაოთა ღირებულების ეგრეთწოდებული შუალედი ანგარიშები საშუალოთა მიღების აქტის დაურთველად. შემკვეთლები ვალდებული არიან გაანადღონ ეს ანგარიშები და გაეცმული თანხა ჩაწერონ განსაკუთრებულ აქტიურ ანგარიშში 087—მოიჯარენი განაღდებული შუალედი ანგარიშებით.

მიღების აქტებით დადასტურებული შესრულებული მუშაობისათვის მოიჯარეების მიერ თვითონ ანგარიშების წარდგენისას, შემკვეთლები მოიჯარეებს ასანაწლადურებელი თანხებიდან უკავებენ მთელ თანხებს, რომლებიც განაღდებული იყო მოცემული თვის პირველი და მეორე დეკადის მუშაობისათვის.

თვის დასრულებისას შემკვეთლები ვალდებული არიან მოიჯარეებისაგან ჩაიბარონ გასული თვის განმავლობაში წარმოებული სამუშაო. სამუშაოს ჩაბარება წარმოებს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად ცალკე ობიექტების სახეებისა ან კონსტრუქციული ელემენტების ფაქტიურად აწოფითა და განოთვლით.

სამუშაოთა ჩაბარების შედეგებს წყენ მიღების აქტში (ფორმა № 2, დანართი 1). ამ აქტებში უჩვენებენ შესრულებული სამუშაოების ყოველ დამთავრებულ სახეს ან კონსტრუქციულ ელემენტს, მათს რაოდენობას სათანადო საზომებში (კუბური, კვადრატული, ან გრძივი მეტრი, ცალები, კილომეტრები), ნასალების სახელწოდებასა და მარკებს, მოწყობილობებსა და სხვ., საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, სამუშაოს ერთეულთა ღირებულებას ტექნიკური პროექტის ხარჯთაღრიცხვის შეფასებათა მიხედვით.

კონსტრუქციული ელემენტების დამთავრებელი ნაწილები ან სამუშაოთა სახეები, რკინაბეტონის სამუშაოთა გამოკლებით არ შეაქვთ აქტში, რომლის მიხედვით განაღდება შეიძლება ვაწარმოოთ ცალკე არმატურის, შეფიკურისა და ბეტონისათვის.

დამთავრებულ კონსტრუქციულ ელემენტს ან სამუშაოთა სახეებს წარმოადგენს გამსხვილებული სახარჯთაღრიცხვო ნორმების (СУНС) მოქმედი ცნობარის სათანადო მუხლებით გათვალისწინებული სამუშაოს მთელი შედგენილობა.

მიღების აქტები ხელმოწერილი უნდა იყოს შემკვეთლისა და მოიჯარის რწმუნებულების ნიერ. რომელიმე ამ მხარეთა მიერ ხელმოწერულ აქტებს ძალა არა აქვთ. ჩაბარების აქტების საფუძველზე მოიჯარენი შემკვეთლებს ურდგენენ საანგარიშო თვეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიშებს, ამ ანგარიშებს თან ურთავენ ჩაბარების ერთ ეგზემპლარს (აქტის მეორე ეგზემპლარი რჩება მოიჯარეს).

მოიჯარისაგან მიღებული თვიური ანგარიშების საფუძველზე შემკვეთლებმა უნდა გაანაღდონ ეს ანგარიშები, ე. ი. უნდა დაადგინონ მეიჯარეებისათვის გადასახდელი თანხების ოდენობა. როგორც წესი, მოიჯარეები თვითონ არიან ვალდებული თავიანთ თვიურ ანგარიშებში აჩვენონ, ჩაბარების აქტის თანახმად, თვის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა მთელი ღირებულებიდან დასაკავებელი ყველა სხვადასხვა სახის საავანსო თანხების ჯამი.

ასეთ სავალდებულო დაკავებებს წარმოადგენს:

სახელშეკრულებო ავანსის სათანადო ნაწილი, იმ ავანსისა, რომლის დაფარვისა ან შეტანის ვადა უკვე დამდგარი;

შუალედი ანგარიშებით გადახდილი მთლიანი თანხა იმ თვის პირველ და მეორე დეკადისა, რომლის განმავლობაში სრულდებოდა თვიური ანგარიშებით გასანაღდბელი სამუშაო;

ფაქტიურად საქმეში გამოყენებული (დახარჯული) კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულება ერთ თვეში, რომლის განმავლობაში წარმოებს სამუშაოთა ანაზღაურება, აგრეთვე მოიჯარის მიერ საქმეში ჯერ კიდევ განოუყენებელი, მაგრამ განაღდებული კონსტრუქციებისა და დეტალების ღირებულება, იმ შემთხვევებში, როცა მოიჯარის მიერ მათი განაღდების შემდეგ საში თვე უკვე გავიდა.

სხვადასხვა დაკავებები მოიჯარესთან ანგარიშსწორებათა მიხედვით, თუ ასეთებს აღვილი აქვთ (ზედმეტის გაცემა წინანდელი ანგარიშებით, დამკვეთის მიერ მოიჯარის მიწართ გაწეული მომსახურებისა და სხვ.).

შემკვეთლები ვალდებული არიან გულდასმით კარგად შეამოწმონ მოიჯარეებისაგან დასაკავებელი და მათთვის გადასახდელი იმ თანხების სისწორე და სისრულე, რომლებიც მოიჯარეებისაგან ნაჩვენებია ანგარიშებში. თუკი აღმოჩნდება, რომ მოიჯარემ წარმოადგენილ ანგარიშებში არ მათგან დასაკავებელი თანხა, ან აჩვენა შემცირებული თანხა, მაშინ აჩვენადამკვეთი ანგარიშებში შეიტანს სათანადო შესწორებას და ამის შესახებ აცნობებს მოიჯარეს. მოიჯარეების ანგარიშების შემოწმებისა და

დაზუსტების შემდეგ შემკვეთლები მოიჯარეებს არიცხავენ აქტის თანახმად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას, აკრედიტებენ ანგარიშს 163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებით და იმავე თანხით ადებეტებენ დაუმთავრებელ კაპდაბანდებათა სათანადო ანგარიშებს: გეგმურს (საკავშირო ბიუჯეტის 010 ანგარიშზე) ან ლიმიტგარეშს (ადგილობრივი ბიუჯეტის 012 ანგარიშზე).

კაპიტალურ სამუშაოთა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებად დაყოფის, ე. ი. მოწყობილობათა აპარატურისა და სხვ. დადგმის (მონტირებაში მყოფი საგნების ღირებულებათა გარეშე) შესაბამისად წარმოებს მათი მიმდინარე აღრიცხვა. სამშენებლო სამუშაოთა აღრიცხვისათვის შემოღებულია ქვეანგარიში 0100, ხოლო სამონტაჟო სამუშაოთა აღრიცხვისათვის კი გეგმური კაპდაბანდებათა მიხედვით — ქვეანგარიში 0101, ხოლო ლიმიტგარეშე სამუშაოთა მიხედვით (ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშში) შესაბამისად გამოყენებულია ქვეანგარიშები 0120 და 0121.

კაპიტალურ სამუშაოთა ხარჯები და ამ სამუშაოთა მიხედვით დავალიანება მოიჯარეთა მიმართ შემკვეთლების მიერ მოიჯარეებს ერიცხებათ თვიური ანგარიშებით აუცილებლად იმ თვეებში, რომელთა განმავლობაში აქტებით მიღებული იყო სამუშაოები, დამოუკიდებლად იქნისა, რომ მიღების ანგარიშები და აქტები შემკვეთლების მიერ წარედგინება მომდევნო თვეში. ამ მიზნით აწესებენ მოიჯარის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიღების თვიური ანგარიშებისა და აქტების წარდგენის ისეთ ვადას, რომელიც უზრუნველყოფს ან დოკუმენტების აღრიცხვის შესაძლებლობას ისე, რომ საანგარიშო პერიოდის კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშგების დაწესებულ ვადაში წარდგენა არ შეფერხდეს.

მოიჯარეებს დაერიცხებათ, ანგარიშებისა და მიღების აქტების თანახმად, შესრულებულ სამუშაოთა მთელი ღირებულება.

მოიჯარეებზე თვის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების დარიცხვის დროსვე შემკვეთი ვალდებულია დარიცხული თანხიდან, უწინარეს ყოვლისა მოიჯარეს დაუკავოს გაცემული სააგანსო თანხები. ეს დაფარვა წარმოებს ბუღალტრული გატარებით (იმავე თარიღით, რა თარიღითაც დარიცხული იყო სამუშაოების შესრულების ღირებულება თვიური ანგარიშის საფუძველზე): კრედიტი—მოიჯარეთა სააგანსო ანგარიშები (087, 090, 091) და დებეტი—ანგარიში 163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებით.

ამრიგად, როგორც წესი, შემკვეთის ბალანსით ყოველი მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის მოიჯარის ანგარიშზე (163) უნდა დარჩეს მათ წინაშე დავალიანების მხოლოდ ის თანხა, რომელიც გადა-რიცხული უნდა იქნას შემკვეთის კონტოკორენტული ანგარიშიდან მათს ანგარიშსწორების ანგარიშზე. თუ ანგარიშსწორება თავის დროზე მოხდება ამ დავალიანებამ არ უნდა გადააქარბოს მოიჯარის მიერ წინამავალი თვის მესამე დეკადაში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას.

კაპიტალურ მშენებლობათა დაფინანსებისა, პირობებისა და თვის განმავლობაში წარმოებული სამუშაოს ჩაბარების თვით გაფორმების პროცესის მიხედვით, წინა თვეში შესრულებული სამუშაოს საბოლოო ანგარიშსწორებას, ე. ი. ამ სამუშაოთა ღირებულების ნაშთის განადღებ-ბას, რომელიც საავანსო თანხების ჩათვლის შემდეგ ირიცხება 163 ანგარიშზე, — აწარმოებენ მხოლოდ მომდევნო თვეში.

ამ წესით აღრიცხავენ კაპიტალურ სამუშაოებსა და მოიჯარე-ებთან ანგარიშსწორებას მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

თუ მშენებლობა მიმდინარე წელს დამთავრებული არ არის და მოქდევნო წელში გადადის, მაშინ ის გარდამავალი მშენებლობაა. ასეთ მშენებლობათა ყველა ხარჯები, რომლებიც აღრიცხულია ანგა-რიშებში: 010—გეგმური კაპიტალბანდებიანი, ან 012—კაპიტალბანდებიანი აღ-გილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ასევე მომდევნო წელში გადადიან. ამ-რიგად, ხარჯების ჯამი გროვდება 010 და 012 ანგარიშებში მშენებლო-ბის მთელი დროის განმავლობაში, მის სრულ დამთავრებამდე.

მოიჯარე ორგანიზაციები, როგორც წესი ასრულებენ მხოლოდ მშენებლობასთან დაკავშირებულ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს. ეს ძირითადი სამუშაოები, ისინი უფრო შრომატევადნი არიან და დიდი წრომის დახარჯვას მოითხოვენ, მიუხედავად ამისა, უმთავრეს შემ-თხვევაში მშენებლობა ამ სამუშაოებით როდი კმაყოფილდება.

იზისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მშენებლობის დაწყება, რო-გორც ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულია, ყოველი სამუშაოს დაწყებამდე, აუცილებლად საჭიროა მთელ რიგ მოსაძინადებელ ღონისძიებათა ჩა-ტარება, როგორცაა, მაგალითად: ნავარაუდები მშენებლობისათვის წი-ნასწარი საძიებო მუშაობის ჩატარება (ტრასის დადგენა, საჰაერო და საკაბელო მაგისტრალების მიმართულებათა მიცემა, მშენებლობისათვის ფართობის არჩევა და მისი ვარჯისიანობის შემოწმება ამ მიზნისათვის და სხვ.), ძიებათა შედეგებისა და ტექნიკურ დავალებათა საფუძველზე

მშენებლობის ტექნიკური პროექტის შექმნა და ამ პროექტისათვის ხარჯთაღრიცხვისა და აგრეთვე სამუშაო ნახაზების შედგენა, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს მშენებლობა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ამ სამუშაოთა ხარჯები მშენებლობის ღირებულებაში არ შედის.

ამ მოსამზადებელი სამუშაოს გარდა, თითქმის ყოველი მშენებლობისათვის საჭიროა სხვადასხვა მოწყობილობა და აპარატურა. ამ მოწყობილობის ნაწილი უნდა გაიწიოს, ე. ი. უნდა შეიკრიბოს ცალკე კვანძებისა და დეტალებისაგან ადგილზე დასადგენლად, ხოლო ნაწილი კი არაერთად სამუშაოს არ მოითხოვს შესაკრებად და დასადგენლად.

მშენებლობაში მყოფი ობიექტისათვის აუცილებლად საჭირო და მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული ყოველგვარ მოწყობილობათა, აგრეთვე ინვენტარისა და სხვა საგნების შექმნა და განადგობა ევალდება უშუალოდ მშენებელ ტიტულისშემკრებებს.

მიმწოდებლების მიერ მშენებელ ტიტულისშემკრებისათვის გადაგზავნილი მასალების ანგარიშების საფუძველზე, ეს უკანასკნელები (ტიტულისშემკრები) ამ საგნების შემოსავალს აჩვენებენ თავიანთ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში და ვალს არიცხავენ მიმწოდებლებს.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მშენებლობისათვის მოწყობილობა შეიძლება იყოს ორგვარი სახისა: მოწყობილობა, რომლის აწყობა და სათანადო ადგილას დადგმა განსაკუთრებულ მუშაობას (დამონტაჟებას) მოითხოვს და, მოწყობილობა, რომელიც არ მოითხოვს ასეთ მუშაობას. მოწყობილობა, რომელიც მოითხოვს დამონტაჟებას, შეტანილ უნდა იქნას მშენებლობის შესრულებულ სამუშაოში, ე. ი. ითვლება კაპიტალურ დაბანდებად მხოლოდ მონტაჟში მისი ფაქტიურად გადაცემის შემდეგ. ეს მოწყობილობა მისი დასამონტაჟებლად გადაცემის მომენტამდე, ე. ი. ჯერ კიდევ საწყობში მყოფი, შედის ნატერიალურ ფასეულობაში და აღირიცხება, როგორც ფასეულობა განსაკუთრებულ ანგარიშზე 024— მოწყობილობა დასადგენლად, მოწყობილობათა მხოლოდ დასამონტაჟებლად გადაცემის შემდეგ მის ღირებულებას რიცხავენ დასადგენლ მოწყობილობათა ანგარიშიდან 024 — შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა ქვეანგარიშებში: 0102— მოწყობილობა გვეგურ კაპდაბანდები და დასამონტაჟებლად ჩაბარებული და 0122 — მოწყობილობანი სამონტაჟოდ ჩაბარებული ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე კაპიტალური დაბანდებით.

თუ მოწყობილობას ამონტაჟებენ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციები, მაშინ მას გადასცემენ განსაკუთრებული მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მოწყობილობათა ღირებულება საწყობიდან გადაირიცხოს შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშში.

თუ მოწყობილობას ამონტაჟებენ სამეურნეო წესით, ე. ი. მშენებელ ტიტულისმქონეთა ძალებითა და სახსრებით, მაშინ მოწყობილობებს საწყობიდან სამონტაჟოდ გადასცემენ იმავე წესით, რა წესითაც აწარმოებენ მასალების გაცემას, ე. ი. მოთხოვნილებებით, რომლებიც წარმოადგენენ მისი ჩამოწერის საფუძველს შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშში.

მოწყობილობა, რომელიც არ მოითხოვს დამონტაჟებას, აგრეთვე ყოველგვარ ინვენტარს მათი შემოსვლის დროს შემოსავალში ატარებენ უშუალოდ კაპიტალურ დაბანდებათა ქვეანგარიშში 0103—გეგმური შეძენა ან 0123 ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე შეძენა დამოუკიდებლად იმისა, დაუყოვნებლივ აბარებენ თუ არა მას ექსპლუატაციაში, თუ ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში მყოფ ობიექტის საწყობში ინახება. იმავედროულად აღებუტებენ ანგარიშს 164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით.

თუ უკვე მოქმედ ტიტულისმქონე საწარმოსათვის კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებიდან იძენენ არადასამონტაჟებელ მოწყობილობას და ინვენტარს, მაშინ ამ საგნების ღირებულება ზემონაჩვენებ გატარებასთან ერთად, რიცხავენ 0103 გეგმური შეძენის ქვეანგარიშიდან—ანგარიშში 001—დამთავრებული გეგმური კაპიტალური დაბანდებიანი ან 0123 ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე შეძენის ქვეანგარიშიდან—ანგარიშში 002—დამთავრებული კაპდაბანდებიანი ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე, რაც ნიშნავს მიღებული საგნების მოცემული საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსზე გადაცემას.

ამიტომ ძირითადი საქმიანობის ბალანსზე გადაცემულ საგნებს დაუყოვნებლივ რიცხავენ ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შემდეგი გატარებით: დებეტი ანგარიში 001 ძირითადი საშუალებები და კრედიტი ანგარიში 200 ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ფონდი. კაპდაბანდებებს მიეკუთვნებიან მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომელთა თანხა შეიტანება ახალი ძირითადი საშუალებების ღირებულებაში, მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში არ შეიტანება, აღირიცხება როგორც მატერიალური

უასესულობანი და მოქმედ საწარმოებში შეიძინება საწარმოთა საერთო საბრუნავი საშუალებებიდან და არა კაპიტალბანდებითა დაფინანსების სახსრებიდან. მიუხედავად ამისა, ახალმშენებლობებზე მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების თავდაპირველი შეძენა შეიძლება გათვალისწინებული იქნას ამ მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვებით. ამ შემთხვევებში აღნიშნულ საგნებს იძენენ მშენებლობათა დაფინანსების ანგარიშზე, მშენებლობის საერთო ღირებულებაში ითვალისწინებენ და გადასცემენ (ქვემონაჩვენები წესით) უკვე ამოქმედებულ ახალმშენებლობის ძირითადი საქმიანობის ბალანსს ძირითად საშუალებებში. ამრიგად, აღნიშნულ საგანთა ღირებულება ჯერ შევა ახალ ამოქმედებულ საწარმოს საერთო ღირებულების შემადგენლობაში, მაგრამ ამ საგნების ღირებულებას ძირითადი საქმიანობის ბალანსში ძირითადი საშუალებებიდან დაუყოვნებლივ რიცხავენ და გადააქვთ იმავე ბალანსზე მცირეფასიან და სწრაფცვეთარი საგნების ანგარიშში შეპდგვი ბუღალტრული გატარებებით:

ღებეტი ანგარიში 200 ძირითად და საბრუნავ საშუალებათა ფონდი
კრედიტი ანგარიში 001 ძირითადი საშუალებანი

და იმავდროულად

ღებეტი ანგარიში 016 მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნები
კრედიტი ანგარიში 143 ანგარიშსწორებანი საქსპლოატაციო ხარჯებისა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსებით.

ამრიგად, მშენებლობის საერთო ფაქტიური ღირებულება (ისე როგორც სახარჯთაღრიცხვო) შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:
სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება (ქვეანგარიში 0100 ან 0120);
სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება (ქვეანგარიში 0101 ან 0121);
ღირებულება მოწყობილობისა, რომელიც საჭიროებს დამონტაჟებას (ქვეანგარიში 0102 ან 0122);

ღირებულება მოწყობილობისა, რომელიც არ საჭიროებს დამონტაჟებას (ქვეანგარიში 0103 ან 0123);

ღირებულება სხვადასხვა საგნებისა (ინვენტარის და სხვ.), რომლებიც აუცილებელია ობიექტებისათვის და რომლებიც გათვალისწინებულია მათი ხარჯთაღრიცხვით (ქვეანგარიში 0103 ან 0123);

010 და 012 ანგარიშებთან ერთად აწარმოებენ დეტალური აღრიცხვის ბარათებს მშენებლობისას რომელიც ხორციელდება მუშაობის საიჯარო ან შივასაიჯარო წესით.

ბარათები იხსნება ყოველ საშენ ობიექტზე, რომელსაც აქვს ცალკე ხარჯთაღრიცხვა.

ამიტომ, თუ ერთი სამშენებლო მოედანზე (ან ტრასაზე) წარმოებს მუშაობა ერთი გენერალური ხარჯთაღრიცხვით, რომელთა განსავითარებლად არსებობს მთელი რიგი კერძო (ცალკეული) ხარჯთაღრიცხვები ცალკე დავალებებზე, ან მოწყობილობანი, დეტალური (ანალიზური) აღრიცხვა აუცილებლად უნდა წარმოებდეს ყოველი ცალკე შენობებისა და ნაგებობის მიხედვით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კონტროლი გაეწიოს ყოველ ცალკე ხარჯთაღრიცხვის შესრულებასა და ყოველი ცალკე შენობისა და ნაგებობის ფაქტიურ ღირებულებას.

ასეთია კაპიტალურ დაბანდებათა აღრიცხვის მეთოდები იმ მშენებლობისა, რომელიც ხორციელდება მშენებელ ტიტულისშქონებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საიჯარო ხელშეკრულებით.

კაპიტალური მშენებლობა, რომელიც წარმოებს შიგასაიჯარო წესით, ე. ი. კავშირგაბმულობის კანტორების, სახაზო-ტექნიკური კვანძების (ИТУ), რადიოსატრანსლაციო ღირექციის (ДРТС) და გამოყოფილი რადიოკვანძების მიერ კავშირგაბმულობის სამმართველოს დავალებებით აღირიცხება იმავე წესით, რა წესითაც აღირიცხება მშენებელ საიჯარო ორგანიზაციების მიერ წარმოებული მშენებლობანი.

მიუხედავად ამისა, მშენებლობათა ურთიერთდამოკიდებულებასა და შიგასაიჯარო წესის მიხედვით მშენებლობის ანგარიშსწორებას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება:

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კავშირგაბმულობის სამმართველოებს, როგორც ზემდგომ ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ საიჯარო ხელშეკრულებები დასდონ მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებთან, ვინაიდან ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ ერთიმეორისაღმე დაუქვემდებარებელ მხარეთა შორის.

მეორე, კავშირგაბმულობის კანტორები, სახაზო-ტექნიკური კვანძები (ИТУ), რადიოსატრანსლაციო ქსელის ღირექციები (ДРТС), და გამოყოფილი რადიოკვანძები, როგორც წესი, ასრულებენ წვრილ ობიექტების მშენებლობას, რომელიც გრძელდება არა უმეტეს 3 თვისა და ყოველი ამ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 50—75 ათას მანეთს.

ასეთი მშენებლობების სამუშაოთა დაწყებისას, დაფინანსებათა წესების თანახმად, ავანსები არ გაიცემა.

მესამე, კავშირგაბმულობის კანტორებსა და სახაზო-ტექნიკურ კვანძებთან, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორებანი წარმოებს ისევე, როგორც სამუშაოთა საიჯარო წესით წარმოების დროს, ე. ი. ყოველთვიურად ჩაბარების აქტის № 2 ფორმის (დანართი 1) საფუძველზე, ნაგრამ იმ ცვლილებით, რომ მათ არ უნაღლებენ გეგმურ დაგროვებას (რომელიც შედის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაში მათი შეჯგინის მოქმედ წესების თანახმად), რომელიც ეძლევათ გარეშე მოიჯარეებს.

გარდა ამისა, ყოველწლიურად სახალხო მეურნეობის გეგნით ყოველი სამინისტროსა და უწყებისათვის დგინდება მშენებლობის ღირებულების აუცილებელი შემცირება განსაზღვრული პროცენტის რაოდენობით.

კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის 1950 წელს ასეთი შემცირება დადგენილია ფაქტიურად შესრულებულ საწმენკლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 6,5% ოდენობით.

მუშაობის საიჯარო წესით შესრულების დროს მშენებლობის თვით ღირებულების გეგმის შესრულება ევალება მოიჯარეებს.

კავშირგაბმულობის კანტორების, სახაზო-ტექნიკური კვანძების (მ.ტ.უ.), რადიოსატრანსლაციო ღირებულების (მ.ტ.უ.) და სხვ. მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, რომელთათვის ანგარიშსწორება წარმოებს საიჯარო წესით, მშენებლობის ღირებულების გეგმის შემცირების დაება უნდა შეასრულონ კავშირგაბმულობის სამმართველოებმა.

ამიტომ ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან, გეგმური დაგროვების პროცენტის გარდა, მშენებლობას დაუკავონ აგრეთვე მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის მიცემული პროცენტაც, შესრულებული და აქტი ფორმა 2-ით უკვე ჩაბარებული სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან.

ამიტომ მიღების თვიური აქტები დგება სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით, ე. ი. გეგმური დაგროვებათა სათანადო წილის შეტანით, ნაგრამ ბილების აქტით ამ სამუშაოთა საფასურის განაღდებისას დაგროვებათა წილი შემსრულებელთ არ ეძლევათ.

მაშასადამე, შიგასაიჯარო წესით შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა ფაქტიური ღირებულება, რომელიც აღრიცხულია კავშირგაბმულობის სამმართველოს (ტიტულისმქირნი) კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე ნაკლები უნდა იყოს იმავე სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით გაუნაღდებელ გეგმურ დაგროვებათა თანხით და იმ თანხით, რომელიც დაკავებულია მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის მიცემული პროცენტის შესასრულებლად.

გეგმური დაგროვების და მშენებლობის ღირებულების შემცირების ეს დაკავებული თანხები რჩება საკავშირო ან ადგილობრივ ბიუჯეტში, როგორც ნაშენებლობისათვის გამოუყენებელი დაფინანსება.

ასეთია იმ კაპიტალურ მშენებლობათა თავისებურებანი, რომლებიც შიგასაიჯარო წესით წარმოებს და რომელიც აღირიცხება კავშირგაბმულობის სამმართველოს—ტიტულისმქონეს კაპიტალურ მშენებლობის ბალანსზე.

კავშირგაბმულობის კანტორებსა და სახაზო-ტექნიკური კვანძების (JTY) ძირითადი საქმიანობის ბალანსზე ამ მშენებლობის აღრიცხვას აწარმოებენ 057 ანგარიშში, რომელშიც ასახავენ მშენებლობის ყველა ფაქტიურ ხარჯს.

კავშირგაბმულობის კანტორები და სახაზო-ტექნიკური კვანძები (JTY) თავიანთ სამმართველოებთან ანგარიშსწორებას აწარმოებენ ანგარიშით 117—დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები, რომელსაც ადებეტებენ კავშირგაბმულობის სამმართველოდან კუთვნილი თანხით, ხოლო აკრედიტებენ მისგან მიღებული მთელი თანხით. თუ სამმართველო კავშირგაბმულობის კანტორებსა და სახაზო-ტექნიკურ კვანძებს (JTY) აძლევს მის მიერ დამზადებულ მასალებს, მაშინ ამ მასალების ღირებულებას აღრიცხავენ, როგორც სამუშაოს საფასურად სამმართველოდან მიღებულ ავანსს. ეს ავანსი დაკავებული უნდა იქნას კავშირგაბმულობის კანტორებისა და სახაზო-ტექნიკურ კვანძების (JTY) მიერ შესრულებულ სამუშაოსათვის გადასახდელი თანხიდან.

მატერიალური ავანსი უკავდება ყოველთვიურად მუშაობის წარმოების იმ თვის განმავლობაში დახარჯული მასალების ღირებულების ოდენობით, რომელ თვეშიაც ჩატარებულია ეს სამუშაო.

კავშირგაბმულობის კანტორებისა და სახაზო-ტექნიკური კვანძების (JTY) მიერ განწეს-შეკვეთის შედეგები ელინდება ქვეანგარიშში 2642 ძირითადი საქმიანობის ბალანსის საბუშაოებისა და მომსახურების რეალიზაცია, რომელიც ყოველთვიურად დებეტდება ანგარიშიდან 057 დამხმარე საწარმოები და მეურნეობანი თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ფაქტიური ღირებულება და კრედიტდება ანგარიშის დებეტით 117 დანარჩენი დებიტორები და კრედიტორები იმავე სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით, თანახმად მიღების აქტის ფორმა № 2-ისა (დანართი 1) მისგან გეგმურ დაგროვებათა იმ წილის გამორიცხვით, რაც მოდის შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებაზე.

მოგება (ეკონომია) ან ზარალი (გადახარჯვა), რომელიც მიღებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შედეგად კავშირგაბმულობის ყველა საწარმოში, რომლებმაც ეს სამუშაოები შეასრულეს კავშირგაბმულობის სამმართველოს შეკვეთა-განაწესით, აქუთვნებენ ანგარიშს 280 ძირითადი საქმიანობის ბალანსის მოგება და ზარალი.

დამთავრებული ობიექტების ჩაბარება და საექსპლოატაციოდ მიღება და მათი ამუშავების აღრიცხვა კაპიტალურ დაბანდებათა და ძირითადი საქმიანობის ბალანსით წარმოებს სწორედ ისევე, როგორც იმ ობიექტებისა, რომელთა მშენებლობა წარმოებდა საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ.

საიჯარო და შიგასაიჯარო წესით კაპიტალურ მშენებლობათა სამუშაოების უფრო ნათლად გაგებისა და კაპიტალურ მშენებლობათა ბალანსზე მისი ასახვის მიზნით ქვემოთ ვიძლევით ამ აღრიცხვის პრაქტიკულ მაგალითს. უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ მუშაობის საიჯარო წესი.

	ჯამი	საანგარიშო გეგმის ანგარიშთა ნომერი და სახელწოდება	
		დებეტი	კრედიტი
1. ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	580 000	—	
2. დადებულია ხელშეკრულება „გრაფ-დახეილსტროისვიხის“ ტრესტთან საცხოვრებელი ბინის აშენებაზე			
სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ხელშეკრულებით შეადგეის:	540 000		
ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს ავანსი—12%	—	—	—
მშენებლობის ვადა 8 თვე			
.3. მიეცა ტრესტს ავანსი ხელშეკრულებით	64 800	090 მოიჯარენი ავანსებით	130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დ-ფინანსება

	ჯამი	სანგარიშო გეგმის ნომერი და სახელწოდება	
		დებეტი	კრედიტი
4. მოიჯარემ წარმოადგინა ანგარიშში საცხვოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მის მიერ შექმნილ კონსტრუქციებისა და დეტალებისა (კარები, ფანჯრის ჩარჩოები, ტიხრები, რადიატორები, მილები და სხვ.) მათი სამი თვის მოთხოვნის ოდენობით	30 000	091 მოიჯარენი ფასგადახდილი კონსტრუქციებითა და დეტალებით	130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება
5. მოიჯარემ წარმოადგინა 20 შუალედო დეკადური ანგარიში (ყოველთვიურად 1-ლ და მე-2 დეკადისა)	320 000	087 მოიჯარენი შუალედო ანგარიშებით შესრულებული სამუშაოებისათვის	130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება
6. მიმწოდებლისაგან მიღებულია ანგარიში სახლის ცენტრალურ გათბობის მოწყობილობათა და სხვ., რომლებიც შემოსულია საწყობში	40 000	0241 დასადგმელი მოწყობილობის საწყობში	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით
7. განადგობულია მიმწოდებლის ანგარიში	40 000	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით	130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება
8. მოწყობილობა დასამონტაჟებლად გადაეცა მოიჯარეს	40 000	0102 მოწყობილობა ჩაბარებული დასამონტაჟებლად	0241 დასადგმელი მოწყობილობა საწყობში
9. მოიჯარემ წარმოადგინა 8 თვიური ანგარიში მიღების აქტებიან დ ფ 2 მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე (გატარება ხდება ყოველთვიურად ყოველი ანგარიშის მიხედვით) მათ შორის:	530 000	0100 სამშენებლო სამუშაოები	163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებით
ა) სამშენებლო სამუშაოზე	10 000	0101 სამონტაჟო სამუშაოები	რევე
ბ) სამონტაჟო სამუშაოები	64 800	163 მოიჯარენი შესრულებულ სამუშაოებისათვის ანგარიშსწორ.	090 მოიჯარენი ავანსებით

	ჯამი	საანგარიშო გეგმის ნომერი და სახელწოდება	
		დებეტი	კრედიტი
ბ) კონსტრუქციებისა და დეტალუბისათვის (10 000 მ. სამართკის განმავლობაში მოიჯარისათვის მათი გადახდის დღიდან)	30 000	163 მოიჯარენი შესრულებული ს მუშაოებისათვის ანგარიშსწორებით	091 მოიჯარენი ანახლ-ურებულ კონსტრუქციებით და დეტალუბათ
გ) გ დასახადი შუალედი ანგარიშებით (სოფელთიერი გაყემა 1—2 დეკადებისათვის)	320 000	163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებით	087 მოიჯარენი შუალედი ანგარიშებით შესრულებული სამუშაოებისათვის
11. მოიჯარეთა თიერი ანგარიშები განღებულია დღების აქტი ფ. 2 თანახმად (კოფელთიერიდან 60 000 მ სადნოს გადასახადის გამოკლებით სათანადო ოდენობით)	125 200	163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებით	130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება
12. დ მთავრებული ობიექტი ჩაბარებულია სექსპლოატაციის საფუძვლზე მიმღები კომისიის აქტის საფუძვლზე	530 000 10 000 40 000 580 000	001 დამთავრებული გეგმური კაპიტალური დაბანდებიანი	ანგარიშების დასახელება ზემოთ
		001	0100
		001	0101
		001	0102

ასეთივე წესით აღირიცხება კაპიტალური მშენებლობა, რომელიც წარმოებს სამუშაოთა შიგასაიჯარო წესით, მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომ როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებსა და სახაზო-ტექნიკურ კვანძებს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული გეგმური დაგროვებანი არ დაეხატებათ და მათ არც უნაღღებებთ, გარდა ამისა არც სახელშეკრულებო ავანსები ეძლევათ.

როგორც ამ სქემიდან ჩანს, მშენებლობის დასრულებისას ყველა ანგარიში დახურული აღმოჩნდა ორას გამოკლებით:

ანგარიში 001 გვიჩვენებს დამთავრებულ და საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი სახლის სრულ ფაქტიურ ღირებულებას, რომელიც, როგორც ანგარიშიდან ჩანს, შეადგენს 580 000 მან., რაც ზუსტად ეთანბრება მშენებლობის ტექნიკური პროექტის ხარჯთაღრიცხვას.

სქემატურად საანგარიშო გეგმის ანგარიშებში ეს თაერაციები შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სახით:

163 მოიჯარენი შესრულებული სამუშაოებისათვის ანგარიშსწორებით

დებეტი		კრედიტი	
(10 ა) 64 800	11 ა) 53 000		
(10 ბ) 30 000	11 ბ) 10 000		
(10 გ) 320 000			
(11) 125 200			

090 მოიჯარენი ავანსებით

დებეტი		კრედიტი	
(3) 64 800	(10) 64 800		
0	0		

130 გეგმურ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება სამრეწველო ბანკის საშუალებებით

დებეტი	კრედიტი
	(3) 64 800
	(4) 30 000
	(5) 320 000
	(7) 40 000
	(10) 125 200
	580 000

091 მოიჯარენი ბანკადგებული კონსტრუქციებითა და დეტალებით

დებეტი	კრედიტი
(4) 30 000	(10 ბ) 30 000
0	0

087 მოიჯარენი უშალედი ანგარიშებით შესრულებული სამუშაოებისათვის

დებეტი	კრედიტი
(5) 320 000	(10 გ) 320 000
0	0

0241 დასადგმელი მოწყობილობანი საწყობში

დებეტი	კრედიტი
(6) 40 000	(8) 40 000
0	0

164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით

დებეტი	კრედიტი
(7) 40 000	(6) 40 000
0	0

0102 სამონტაჟოდ ჩაბარებული მოწყობილობანი

დებეტი	კრედიტი
(8) 40 000	(12) 40 000
0	0

0100 საშენობლო სამუშაოები		0101 სამონტაჟო სამუშაოები		001 დამთავრებული გეგმური კაპიტალ- დაბანი	
დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
(9 ა) 530 000	(12) 530 000	(9 ბ) 10 000	(12) 10 000	(12) 580 000	
0	0	0	0		

ანგარიში 130 გეიჩვენებს, რომ ამ მშენებლობისათვის საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული იყო 580 000 მან., რომელიც მთლიანად დახარჯულია მშენებლობაზე.

ამრიგად, მშენებლობის დამთავრების დღისათვის კაპიტალური დაბანდების ბალანსს ასეთი სახე ექნება:

აქტივი			პასივი		
ანგარიში		ჯამი	ანგარიში		ჯამი
001	დამთავრებული კაპიტალური დაბანდები	580 000	130	გეგმურ კაპიტალურ დაბანდებთან დაფინანსება	580 000

კაპიტალურ დაბანდებთან დაფინანსება როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმოებს დაუბრუნებელი წესით სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1934 წ. დადგენილებით.

ამიტომ ბალანსის აქტივსა და პასივში დარჩენილი 580 000 მან. ერთმანეთს ფარავენ, ე. ი. დამთავრებულ კაპიტალურ დაბანდებთან ღირებულებას 001 ანგარიშიდან რიცხავენ 130 ანგარიშში და ამგვარად ორივე ეს ანგარიში იხურება, ხოლო კაპიტალურ დაბანდებთან ბალანსს ლიკვიდაცია უკეთდება. ამაში მდგომარეობს კაპიტალურ დაბანდებთან ბალანსის ერთ-ერთი თავისებურება: ამ ბალანსს მოქმედ საწარმოებში დროებითი ხასიათი აქვს, — მისი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ეს საწარმოები ასრულებენ კავშირგაბმულობის

სამინისტროს კაპიტალურ დაბანდების გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებას, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სამრეწველო ბანკის საშუალებით საკავშირო ან ადგილობრივი ბიუჯეტით.

თუ საწარმოებს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა არა აქვთ ან თუ არსებული გეგმა მათ მიერ შესრულებულია და მისი ყოველგვარი ანგარიშსწორება დამთავრებულია, მაშინ მათ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსიც არ შეიძლება ჰქონდეთ.

ცალკეულ შემთხვევებში კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსის საკიროება შეიძლება აღმოცენდეს, ხოლო შუა წელს ეს არ იყოს საკირო. ეს შეიძლება მოხდეს, თუ მიმდინარე წლის განმავლობაში საწარმოს მრეცენა გეგმური დაკალება (სატიტულო სია) ამა თუ იმ კაპიტალურ დაბანდებათა შესასრულებლად; ამ მიზნისათვის საკირო სახსრები საარეწველო ბანკის საშუალებით მიეცემა და ამასთანავე დავალება იქნება ისეთი, რომ იგი შეიძლება შესრულდეს მიმდინარე წლის 2, 3, 4 თვის განმავლობაში (ძირითადი სახსრების მზა სახით ამა თუ იმ საგნების შექმნა, რომელიმე არც ისე დიდი და რთული შენობის ან საწარმოს აგება, მაგალითად, რადიოკვანძისა და სხვ.).

კაპიტალურ დაბანდებათა დეტალური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ინგვაოდ, რომ ეს ყოველდღიურად იძლეოდეს შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა ფაქტიური ღირებულებისა და იმავე დაბანდებათა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ურთიერთთან შედარების საშუალებას. ასეთი შედარება აუცილებელია იმისათვის, რომ სამრეწველო ბანკი კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯებს ანაღლებს მხოლოდ მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ფარგლებში. მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე გადამეტებით რაიმე სახის ფაქტიური ხარჯების გაწევა (გადახარჯვა) არ უნდა იქნას დაშვებული. ამ გადახარჯებმა შეიძლება თავი იჩინონ მშენებლობაზე მშენებელ-ტიტულისმქონეთა ძირითადი საქმიანობის სახსრების ან მასალების გამოყენების შედეგად. ამავე დროს, საწარმეწველო ბანკის საშუალებით მშენებლობის დაფინანსების წესის მე-40 მუხლის თანახმად „იმ შემთხვევებში, როცა მოქმედი საწარმო თავის საბრუნავ სახსრებიდან კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს გასწევს, სამრეწველო ბანკი ამ ხარჯებს არ ანაღლებს და ამ თანხით ამცირებს იმ სახსრებს, რომლებიც მან ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა გასცეს სათანადო მშენებლობას“.

აქედან ცხადია, რომ მშენებლობაზე არ შეიძლება დაიხარჯოს როგორც ფულადი სახსრები, ისე მატერიალური ფასეულობანი ძირითადი საქმიანობის ფონდებიდან, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სეწარმოს საბრუნავი სახსრების შემადგენელ ნაწილს. ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავენი სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიეცემიან რსფრ სისხლის სამართლის კოდექსის 109 ან 112 მუხლებით (სსრ კავშირის პროკურატურის 1935 წ. 13/XI ცირკულარი № 101 (8)).

ასეთია კაპიტალურ დაპანდებათა საიჯარო ან შიგასაიჯარო წესით აღრიცხვა, რომელიც აისახება მშენებლების (შემკვეთლების) — ტიტულისმქონეების კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე.

7. სამეურნეო წესით წარმოებაში კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვა

სამეურნეო წესით წარმოებული კაპიტალური მშენებლობის დახასიათება აოცემულია ზემოთ (ნე-ნ განყოფში „კაპიტალურ დაბანდებათა აღრიცხვის მოწყობა“).

ამ დახასიათებაში ნაჩვენებია იყო, რომ სამეურნეო წესით წარმოებულ მშენებლობაში, აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ამ მშენებლობის ღირებულების ელემენტების მიხედვით, როგორცაა მაგალითად: ძირითადი მასალები, წარმოების მუშების ხელფასი, სამშენებლო მექანიზმების ექსპლუატაცია, სატრანსპორტო ხარჯები და როგორც თავისი დამხმარე წარმოებათა მიერ გაწეული, ისევე გარეშე ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებანი, ზედნადები ხარჯები.

ამიტომ აუცილებელია განხილულ იქნას მშენებლობის ღირებულების ყოველი ამ ელემენტის აღრიცხვის წესი.

მასალების აღრიცხვა

მშენებლობათა საერთო ღირებულებაში მასალების ღირებულება შეადგენს 45-დან 60%-მდე, ე. ი. მშენებლობის მთელი ღირებულების დაახლოებით ნახევარს, გარდა ამისა, მათი მრავალრიცხვიანობისა და სხვადასხვაობის გამო მასალების აღრიცხვა ხდება უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული და მრომატევედ სამუშაოდ მშენებლობის აღრიცხვაში.

სამუშაოთა სამეურნეო წესით წარმოებისას ყველა მასალა მზადდება უშუალოდ მშენებლის — ტიტულისმქონეს მიერ, რომელიც მშენე-

ბლობისათვის აუცილებლად საჭირო მასალების შეკვეთას აძლევს სათანადო მიმწოდებლებს.

მშენებლობისათვის მასალები შექმნილი უნდა იქნას იმ რაოდენობითა და იმ ფასებში, როგორც ეს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვითაა გათვალისწინებული. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ფასებზე გადამეტებით შექმნილი მასალების ღირებულებას სამრეწველო ბანკი არ ანაღლებს და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ფასების წინააღმდეგ გადახარჯვა არავითარი დამატებითი დაფინანსებით არ დაიფარება.

ამიტომ მასალების (ბოძების, ხეტყისა და სხვ.) დამოუკიდებლად დამზადებისას ან ადგილობრივი ორგანიზაციებიდან მათი შესყიდვისას აუცილებელია ყოველთვის თვალყური ვადევნოთ იმას, რომ თვითდამზადებას ან ადგილობრივი მიმწოდებლების ფასი არასოდეს არ აქარბებდეს ამ წესით დამზადებულ მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასებს.

მასალების დამზადება ყოველთვის დაკავშირებულია მათი ტრანსპორტირების, მოზიდვისა და მშენებლობის ადგილზე მათი შენახვის მთელ რიგ ხარჯებთან. მასალების დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის გამარტივებისა და უზრუნველყოფის მიზნით მათი აღრიცხვა წარმოებს შემდეგი წესით. როგორც შემოსავლის, ისე ხარჯის მხრით მასალებს აღრიცხავენ მათი საფაქტურო ღირებულების მიხედვით, ე. ი. მიმწოდებლების ფასებით, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს მრეწველობის საბითუმო (გასაშვებ) ფასებს.

მასალების ზედნადები ხარჯები, როგორიცაა რკინიგზის ტარიფი ან მასალების გადაზიდვისათვის საზღვაო-სამდინარეო ფრახტი, დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები, გამსაღებელი ორგანიზაციების დანარიცხები, აგრეთვე საწყობის ხარჯები (საწყობის პერსონალის, საწყობების, შენახვის, დაცვის ხარჯები და სხვ.) აღირიცხება ცალკე, ე. ი. მასალის საფაქტურო ღირებულებიდან გამოყოფით.

მასალებს აღრიცხავენ: ანგარიშებში 026—ძირითადი მასალები და 028—დამხმარე მასალები.

ზედნადები ხარჯები აღირიცხება ანგარიშში 040 დამზადებისა და საწყობის ხარჯები.

მასალებს შემოსავალში ატარებენ საწყობში ჩაბარების აქტებისა და მიმწოდებელთა ანგარიშების საფუძველზე.

მიმწოდებლის მიერ გაცემული მასალების საფაქტურო ღირებულების ანგარიშების შესაბამისად აღებებებენ ქვეანგარიშს 0261 ძირითადი

მასალები საწყობში ან 0281 დამხმარე მასალები საწყობში და აკრედიტებენ ანგარიშს 164 მიწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით.

ანალიზურ აღრიცხვას აწარმოებენ ტიპიური ფორმის ბარათებში ყოველი სახელწოდების, მარკის, ხარისხისა და ზონის მიხედვით ცალ-ცალკე.

თუ მიმწოდებლის ანგარიში და მასალების გადმოგზავნის საბუთები მიღებულია, მაგრამ თვით მასალები საწყობში ჯერ არ არის მიღებული, მაშინ ეს მასალები დაუყოვნებლივ ტარდება შემოსავალში როგორც გზაში მყოფი, რისთვისაც აღებებენ სათანადო ქვეანგარიშებს 0260 და 0280 მასალები გზაში და აკრედიტებენ ანგარიშს 164 მიწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით.

გზაში მყოფი მასალების დეტალურ აღრიცხვას აწარმოებენ ცალკე ბარათებში ტვირთის მიმღებთა და მასალების გადმოგზავნის ადგილების სახელწოდებით.

პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როცა საწყობებში მასალებს მიიღებენ, ხოლო მიმწოდებელთა ანგარიშები ჯერ არაა მიღებული.

ასეთ შემთხვევებში მასალები მიღებული უნდა იქნას საწყობში საერთო წესით, ე. ი. მიღების აქტით, მაგრამ იმის აღნიშვნით, რომ არ არის მიმწოდებლის ანგარიშები და სხვა საბუთები. დაუფაქტურებელი მასალები შემოსავალში უნდა გატარდეს მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ფასებით, და თუ ხელშეკრულება არაა დადებული. მაშინ დადგენილი საბითუმო ფასებით. ასეთ შემთხვევებში აკრედიტებენ არა ანგარიშს 164, არამედ ანგარიშს 166 მიმწოდებლები დაუფაქტურებელი მიწოდებებით. მასალების მიღებისთანავე საჭიროა მიმწოდებელს დაუყოვნებლივ მოეთხოვოს ამ მასალების ანგარიშები და სხვა საბუთები (სპეციფიკაციები და სხვ.).

საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან უსასყიდლოდ შემოსული მასალები (კერძოდ: ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის) აუცილებლად შეფასებული უნდა იქნას იმ მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ფასებით, რისთვისაც ის არის მიღებული და ნაჩვენებია კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში. ვინაიდან ამ მასალების საფასური არავის არ აუნაზღაურდება, მათი ღირებულება განხილული უნდა იქნას, როგორც კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება „დანარჩენი წყაროებიდან“.

ამიტომ ასეთი მასალების ღირებულებით აკრედიტებენ არა ანგარიშს 164 მიმწოდებლები, არამედ ანგარიშს 133 კაპიტალურ დაბანდება დაუინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან.

უსასყიდლოდ მიღებული მასალების ღირებულების აღრიცხვისათვის, ისე როგორც სხვა მომსახურებისათვის (მუშახელი, ტრანსპორტი) 133 ანგარიშთან ერთად წარმოებული უნდა იქნას დეტალური ბარათები, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება დავინახოთ, თუ რა მშენებლობებისათვის, რა მასალები, რა სახის მომსახურება და რა ღირებულების არის მიღებული უსასყიდლოდ.

მშენებლობაში მასალებს იძენენ იმისათვის, რომ ისინი გამოყენებულ იქნეს ამ მშენებლობაზე. ამიტომ მათი რეალიზაცია განზე ან სხვა მიზნით (ძირითადი საქმიანობის ან სხვ. საქმიანობისათვის) კატეგორიულად აკრძალულია. როცა ესა თუ ის მასალა აღმოჩნდება ზედმეტი ან მშენებლობისათვის უსარგებლო, მხოლოდ მაშინ შეიძლება მათი რეალიზაცია (გაყიდვა). მასალების უსასყიდლოდ გადაცემა ვინმეზე, ვინც უნდა იცოდა იგი, მათ შორის თავისი ძირითადი საქმიანობის რესურსების გაძლიერებისათვისაც, დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი უსასყიდლო გადაცემა ნებადართულია მთავრობის მიერ.

მშენებლობაზე მასალის გადაცემა წარმოებს საერთოდ დადგენილი წესით, ე. ი. სამუშაოთა მწარმოებლის მიერ გამოწერილი მოთხოვნილებათა საფუძველზე. მოთხოვნილებაში აუცილებლად ნაჩვენებია უნდა იქნას: 1) გასოწერის დრო, 2) მოთხოვნილების ნომერი, 3) რომელი მშენებლობისათვის მოითხოვენ მასალას, 4) ვის აქვს მინდობილი მათი მიღება, 5) იმ შესასრულებელ სამუშაოთა განრიგის ნომერი, რომლისთვისაც საქირთა ეს მასალა, 6) მათი სახელწოდება, 7) რაოდენობა. მეკუქნავემ მოთხოვნილებაში უნდა აღნიშნოს მის მიერ ფაქტიურად გადაცეული მასალის რაოდენობა, მოთხოვნილებაზე მიიღოს ხელწერილი იმ პირისგან, რომელსაც დავალებული აქვს მიღება და მოთხოვნილებაზე ხელის მოწერა.

ნებადართულია გამოწერილი იქნას მხოლოდ ის მასალები და ისიც მხოლოდ იმ რაოდენობით, რომლებიც აუცილებელია ამ სამუშაოების შესასრულებლად გადაცემული სამუშაო განრიგებით სამუშაო ერთეულებზე მასალების ხარჯვის ნორმების თანახმად.

მოთხოვნილების ერთ ცალს უბრუნებენ მასალების მიმღებს, ხოლო საწყობში დარჩენილ ეგზემპლარებზე მეკუქნავე ვალდებულია ყოველდღიურად ჩააბაროს მშენებლობის ბუღალტერიას.

მეკუქნავეისაგან მოთხოვნილებათა მიღებისას ბუღალტერია უწინარეს ყოვლისა ამოწმებს მათი გაფორმების სისწორეს და ჰიმღებთა ხელისმოწერის შემდეგ აწარმოებს მიღებული მასალების შეფასებას.

შეფასება წარმოებს იმ ფასების მიხედვით, რომლებითაც მასალები აღირიცხება ბუღალტერიაში ანალიზური აღრიცხვის ბარათებში, ე. ი. მიმწოდებლის საფაქტურო ფასების მიხედვით. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება, რომ ერთ და იგივე მასალას ვიღებთ სხვადასხვა მიმწოდებლისაგან სხვადასხვა ფასებში. ამიტომ მასალები სააღრიცხვო ბარათებში გატარებული იქნება სხვადასხვა ფასებით მიმწოდებელთა ანგარიშების თანახმად. ასეთ შემთხვევებში გაცემული მასალების შეფასებას აწარმოებენ საშუალო შეწონილი ფასების მიხედვით, როგორცაც განსაზღვრავენ შემდგენიარად: დავუშვათ, რომ თვის განმავლობაში რომელიმე მასალა შემოვიდა და გატარებულია ასეთი ფასებით:

პირველად	10	ერთეული	თითო	60 მან. = 600 მან.
მეორედ	20	"	"	64 " = 1280 "
მესამედ	10	"	"	56 " = 560 "

სულ თვის განმავლობაში შემოვიდა 40 ერთეული 2440 მან. ღირებული.

ამ მასალის საშუალოშეწონილი ფასები შეადგენს 2440 მ. : 40 = 61 მ. თვის ბოლოს ამ ფასებით უნდა ჩამოიწეროს მასალები ხარჯებში.

თუ დავუწიებთ, რომ თვის განმავლობაში დახარჯულია 30 ერთეულის მასალა 61 მან. თითოეული, ნაშინ ნათ. ღირებულება შეადგენს 1830 მ. მაშასადამე, 10 ერთეულის ნაშთი იქნება 2440—1830=610 მან., ე. ი. იმავე ფასით 61 მან. ერთეულზე. მომდევნო თვის დასაწყისისათვის მასალების ნაშთი შეფასებული უნდა იქნას ფასებით წინა თვის ბოლოსათვის დადგენილი საშუ.ლოშეწონილი ფასებით.

მთელი თვის განმავლობაში მასალების გაცემის მოთხოვნილებანი ჯგუფდება მასალების დასახელების მიხედვით, ხოლო მასალათა ყოველი სახელწოდების ფარგლებში—სამუშაოთა ან ხარჯების ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

მოთხოვნილებათა ყოველი ცალკეული ჯგუფის მიხედვით აჯანებენ ამა თუ იმ სახის სამუშაოთა ან დაბანდებისათვის გაცემულ მასალების რაოდენობას. თუ თვის განმავლობაში მოთხოვნილებათა რაოდენობა

მნიშვნელოვანია, მაშინ ყოველი სახის სახელწოდების მასალის შეჯამება უნდა წარმოებდეს ხუთდღიურში ან დეკადაში ერთხელ, რათა თვის ბოლოსათვის ბევრი სამუშაო არ დაგროვდეს.

მასალების ხარჯვის გამოთვლა აუცილებლად უნდა წარმოებდეს იმ საზომებით (გრძივი მეტრით, მ², მ³, ცალობით, კილოგრამებით და სხვ.), რომლებშიც ეს მასალები იყო გატარებული დეტალური აღრიცხვის საბუღალტრო ბარათებში. თუ მასალების გაცემა წარმოებდა არა იმ საზონებით, რომლითაც ისინი იყო გატარებული შემოსავალში, მაშინ ვიდრე რაოდენობის დათვლას დავიწყებდეთ, საჭიროა ისინი გადავიყვანოთ იმ საზომებზე, რომლითაც ისინი იყო გატარებული.

თვის ბოლოს დახარჯული თითოეული დასახელების მასალების საერთო რაოდენობა, რომელიც ჩამოთვლილია სამუშაოების სახეობათა, ან დაბანდებათა მიხედვით, იწერება მასალების ხარჯვის უწყისში, რომელიც შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ფორმით:

მასალების დასახელება	ზომის ერთეული	სამუშაო ან დაბანდებათა სახეობა				საშუალო-შეწონილი ფასი	საერთო ღირებულება

ხარჯების უწყისში მასალებს წერენ იმ ჯგუფების მიხედვით, რომლებიც დადგენილია მათი საბუღალტრო აღრიცხვისათვის.

ძირითად და დამხმარე მასალებზე აღგენენ ცალკე გასავლის ნუსხებს. ამ უწყისების საფუძველზე აწარმოებენ საბუღალტრო გატარებებს (კონტრირებებს) მასალების გასავალში ჩამოსაწერად, რისთვისაც აღებუტებენ კაპიტალურ დაბანდებათა (010, 012) ან ზედნაღები ხარჯების (050, 051) სათანადო ანგარიშებს და აკრედიტებენ ძირითადი მასალების (026) ან დამხმარე მასალების ანგარიშებს (028).

თუ მასალები იყიდება საწარმოს გარეთ ან მიეყიდება საწარმოს ძირითადი საქმიანობის მეურნეობას (იმ შემთხვევებში, რომლებიც ნაჩვენებია გვ. 316), მაშინ აღებუტებენ დებიტორების სათანადო ანგარიშებს ან ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებებს და აკრედიტებენ ანგარიშს 185 მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაცია გარეთ.

მასალები, რომლებიც სამუშაოთა მწარმოებლებს საქვეანგარიშოდ ეძლევათ, გადაირიცხება ქვეანგარიშიდან მასალები საწყობში (0261 ან 0281) ქვეანგარიშზე მასალები საქვეანგარიშოდ (0262 ან 0282). საქვეანგარიშოდ გაცემულ მასალებს გასავალში წერენ ნხოლოდ ანგარიშვალდებულ პირებისაგან მასალების დახარჯვაზე ანგარიშგების მიღებისას, რაც დასაბუთებული უნდა იქნას სათანადო საბუთებით.

საწყობში მასალების აღრიცხვას აწარმოებს მეკუქნავე ნხოლოდ რაოდენობრივად, მათი შეფასების გარეშე. ყოველი დასახელების მასალას მათი ხარისხისა და ზომის მიხედვით აღრიცხავენ ცალკე ბარათში. მასალებს შემოსავალში წერენ მათი მიღების აქტების, გასავალში კი მასალების გაცემის შესახებ მოთხოვნის საფუძველზე. საბუღალტრო აღრიცხვისაგან განსხვავებით საწყობის სააღრიცხვო ბარათებში მასალებს წერენ ყოველი მოთხოვნილების მიხედვით ცალ-ცალკე. მოთხოვნილებათა დაჯგუფება საწყობის აღრიცხვაში დაუსვებელია.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ მასალების მოძრაობასთან დაკავშირებული ისეთი ოპერაციები, რომლებიც პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება და რომელთა ასახვა წარმოებს კაპიტალურ დაბანდებათა საანგარიშო გეგმით გათვალისწინებულ ანგარიშებში. ამასთანავე ერთად წარმოვიდგინოთ, რომ მასალებს ანზადებენ და იყენებენ იმ მშენებლობისათვის, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე.

ოპერაციები	ჯამი	შიფრი და ანგარიშების ან ქვეანგარიშების დასახელება	
		დებეტი	კრედიტი
1. მიმწოდებლისაგან მიღებულია ძირითადი მასალები საფაქტურო ღირებულებით თანახმად მათი ანგარიშებისა. მასალები საწყობში შემოვიდა მიღების აქტების საფუძველზე	15 000	0261 ძირითადი მასალები საწყობში	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით
2. იგივე, დამხმარე მასალები	3 000	028 დამხმარე მასალები საწყობში	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით
3. მიმწოდებლისაგან შემოვიდა ანგარიშები და გადმოგზავნის საბუთები ძის მიერ ძირითადი მასალების გადმოგზავნის შესახებ	5 000	02ა0 ძირითადი მასალები გზაში	164 იგივე

ოპერაციები	ჯამი	შიფრი და ანგარიშების ან ქვეანგარიშების დასახელება	
		დებეტი	კრედიტი
4. საწყობში მიღებულია ძირითადი მასალები, ე. გ. ამ მიმწოდებლის ანგარიშები არ არის. შემოსავალში ტარდება აქტივით	2 000	0261 ძირითადი მასალები საწყობში	166 მიმწოდებლები დაუთქურებელი მასალების მიწოდებით
5. გზაში ნელფი მასალები მიღებულია საწყობში (ოპერაცია 3)	5 000	0261 ძირითადი მასალები საწყობში	0260 ძირითადი მასალები გზაში
6. მიღებულია მიწოდებლის ანგარიში მასალებზე (ოპერაცია 4)	2 000	166 მიმწოდებლები დაუთქურებელი მიწოდებით	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით
7. ადგილობრივი ორგანიზაციებიდან უსასყიდლოდ შენოსებულია მასალები, რომლებიც შეფასებულია მშენებლობის ხაჯთაღრიცხვის ფასების მიხედვით	1 000	0261 ძირითადი მასალები საწყობში	133 დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან
8. მიმწოდებლებისაგან შემოსული მასალები ჩანადრებულია სამრეწველო ბანკის საშუალებით (ოპერაცია 1, 2, 4 და 6)	25 000	164 მიმწოდებლები წარმოდგენილი ანგარიშებით	133 დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე
9. გაცემულია ძირითადი მასალები მშენებლობისათვის თანახმად მოთხოვნილები მასალები შეფასებულია საშუალო ნეწონილი ფასებით	18 000	0120 სამშენებლო საშუალებები	0261 ძირითადი მასალები საწყობში
10. რელიზაცია ზედმეტი მასალებისა საფუჭურთა (გასაშვებ) ფასებით	2 000	133 დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე	185 მატერიალურ ფასეულობათა რელიზაცია
11. ან მასალების (მუხ. 10) საშუალოშეწონილი ფასებითა	1 800	185 მატერიალურ ფასეულობათა რელიზაცია	0261 ძირითადი მასალები საწყობში
12. მოგება რელიზაციიდან	200	185 მატერიალურ ფასეულობათა რელიზაცია	190 მოგება და ხარალი

წარმოვიდგინოთ ეს ოპერაციები სქემატურად საანგარიშო გეგმის ანგარიშებით (ოპერაციების მიხედვით):

0261 ძირითადი მასალები
საწყობში

დებეტი		კრედიტი	
(1) 15 000		(9) 18 000	
(4) 2 000		(11) 1 500	
(5) 5 000			
(7) 1 000			
<hr/>		<hr/>	
23 000		19 500	
საღდა		3 200	

0281 დამხმარე მასალები
საწყობში

დებეტი		კრედიტი	
(1) 8 000			

166 მიწოდებლები დაუფაქ-
ტურებელი მიწოდებებით

დებეტი		კრედიტი	
(6) 2 000		(4) 2 000	
<hr/>		<hr/>	
0		0	

0120 საშენებლო საშუ-
ალოები

დებეტი		კრედიტი	
(9) 18 000			

164 მიწოდებლები წარმო-
დებენილი ანგარიშებით

დებეტი		კრედიტი	
(8) 25 000		(1) 15 000	
		(2) 3 000	
		(3) 5 000	
		(6) 2 000	
<hr/>		<hr/>	
25 000		25 000	

0260 ძირითადი მასალები
ბაზაში

დებეტი		კრედიტი	
(8) 5 000		(5) 5 000	
<hr/>		<hr/>	
0		0	

133 დაფინანსება აღბილო-
ბრივი ბიუჯეტის ხარჯზე

დებეტი		კრედიტი	
(10) 2 000		(7) 1 000	
		(8) 25 000	
<hr/>		<hr/>	
2 000		26 000	
ნაშთი 24 000			

185 მატერიალურ ფასეულთა
ბათა რეალიზაცია

დებეტი		კრედიტი	
(11) 1 800		(10) 2 000	
(13) 200			
<hr/>		<hr/>	
2 000		2 000	

190 მოგება და ზარალი	
დებეტი	კრედიტი
	(12) 200

შეადგინოთ ბრუნვათა ბალანსი (ანგარიშებისა და ქვეანგარიშების ნომრების მიხედვით)

ანგარიშების ან ქვეანგარიშების ნომრები	ბ რ უ ნ ვ ა		ნ ა შ თ ი	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
0120	18 000	—	18 000	—
0260	5 000	5 000	—	—
0261	28 000	19 800	8 200	—
0281	3 000	—	3 000	—
138	2 000	26 000	—	24 000
164	25 000	25 000	—	—
166	2 000	2 000	—	—
185	2 000	2 000	—	—
180	—	200	—	200
ჯ ა მ ი	80 000	80 000	24 200	24 200

ამ ბრუნვათა ბალანსიდან ჩანს, რომ მშენებლობაში გამოყენებულია 18 000 მანეთის მასალები და საწყობში დარჩა მასალები—ძირითადი 3 200 მან და დამხმარე—3 000 მან. ამ მასალების ღირებულება იფარება იმ დაფინანსებით, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღება 24 000 მანეთისა და მასალების რეალიზაციის მოგებიდან 200 მან. ოდენობით.

თავისთავად ცხადია, რომ მასალების საერთო (სინთეზურ) აღრიცხვასთან ერთად ყოველ ქვეანგარიშის მიხედვით უნდა წარმოებდეს მასალების დეტალური (ანალიზური) აღრიცხვა.

ყოველი თვის ბოლოს საბუღალტრო დეტალური აღრიცხვის ბარათების მიხედვით დარჩენილი მასალების რაოდენობას აუცილებლად აღარებენ საწყობში მასალების აღრიცხვის ბარათებს. ნაშთებში სხვაობათა აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოირკვეს აღმოჩენილ სხვაობათა მიზეზი და ჩანაწერები შესწორდეს სათანადოდ ბუღალტერიის ან საწყობის ბარათებში.

წელიწადში ორჯერ მაინც აწარმოებენ მასალების ინვენტარიზაციას, ე. ი. მათ აღწერას ნატურალურ სახომ ერთეულებში.

ინვენტარიზაციით დადგენილი მასალების რაოდენობას ადარებენ ინვენტარიზაციის ჩატარების დღისათვის საბუღალტრო ბარათებში რიცხული მასალების რაოდენობას. ამ მიზნით ადგენენ განსაკუთრებულ, ეგრეთწოდებულ შესადაკებელ უწყისს, რომელშიც ნაჩვენები უნდა იქნას: მასალების დასახელება, მათი ზომის ერთეული, საშუალო შეწონილი ფასი, შემოწმებისას აღმოჩენილი რაოდენობა, ბარათებში რიცხული მასალების საერთო ღირებულება, სააღრიცხვო ბარათების წინააღმდეგ სახეზე არსებული ზედმეტი მასალის საერთო ღირებულება რაოდენობისა და თანხის მიხედვით; იგივე — დანაკლისის შემთხვევაში, ზედმეტისა და დანაკლისის მიზეზების ახსნა-განმარტება.

სამეურნეო წესით წარმოებულ მშენებლობაზე დაუშვებელია ზედმეტი მასალა და დანაკლისი მიეკუთვნოთ მოგებას ან ზარალს.

ზედმეტი მასალა შეიძლება იყოს საწყობში ფაქტიურად შემოსული მასალის ბუღალტრულ აღრიცხვაში გაუტარებლობის შედეგად. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა დაზუსტდეს ვისგან, როდის და სახელდობრ რა მასალები შემოვიდა და ისინი გატარდეს შემოსავალში: ანგარიშის 0261 ან 0281 დებეტში და ანგარიშის 164 კრედიტში (თუ მიმწოდებლის ანგარიში არ არის) ან ანგარიშის 133 კრედიტში, თუკი მასალები შემოსულია უსასყიდლოდ მშენებლობაში მოსახლეობის ნებაყოფლობით მონაწილეობის წესით.

გარდა ამისა, ზედმეტი მასალები შეიძლება აღმოჩნდეს მათი არაზუსტად გაზომვის ან აწონვის შედეგად მშენებლობისათვის მათი მოთხოვნილების დროს.

ამ შემთხვევაში ზედმეტის ღირებულებით აღებეტებენ ქვეანგარიშებს 0261 ან 0281 და აკრედიტებენ ანგარიშებს 010 ან 012 მშენებლობის დაფინანსების ამა თუ იმ წყაროს შესაბამისად.

არის მასალების დანაკლისის ორგვარი სახე, ერთია მასალების დანაკლისი ბუნებრივ ფორმებში (შეშრობა, დაღვრა და სხვ.), რომელიც ჩამოიწერება მშენებლობის ანგარიშში. ამ შემთხვევაში აღებეტებენ 010 ან 012 ანგარიშებს და აკრედიტებენ 0261 ან 0281 ქვეანგარიშებს. მეორე სახის დანაკლისია, როდესაც იგი (დანაკლისი) აღემატება ბუნებრივ დანაკლისის ნორმის ფარგლებს და რომელიც უნდა დაეწეროს დანაკლისისათვის დამნაშავე პირებს. ამიტომ ასეთი დანაკლისის ღირებულებით აღებეტებენ ანგარიშს 096 დანარჩენი დებიტორები და მიიღებენ ზომებს სათანადო თანხების ასანაზღაურებლად.

მასალების მთელი ზედნადები ხარჯები აღირიცხება ცალკე ანგარიშში 040 დამზადება-სასაწყობო ხარჯები. ამიტომ ასეთი ხარჯებით აღებეტებენ ანგარიშს 040 და აკრედიტებენ სათანადო ანგარიშებს: მიმწოდებლების ანგარიშებში შეტანილი ხარჯებით — ანგარიშს 164; უშუალოდ მიედვლის მიერ გაწეული ხარჯებით (ტარიფი, გადაზიდვა, მიტანა და სხვ.) სალაროდან — 078 ანგარიშს, საქვეანგარიშო თანხებიდან გაწეული ხარჯებით — 093 ანგარიშს, კონტოკორენტული ანგარიშებიდან სამრეწველო ბანკში გაწეული ხარჯებით — 130 (ან 133) ანგარიშებს.

მასალებზე ზედნადები ხარჯების სწორად გადანაწილების მიზნით, ამ ხარჯების დეტალური აღრიცხვა წარმოებს ცალკე ბარათებში მასალების ჯგუფების მიხედვით: სილიკატური (აგური, ცემენტი, ქვიშა, ღორღი, ყორე და სხვ.), ხე-ტყის, შავი ლითონები, ფერადი ლითონები, კაბელი, ელექტრო-ტექნიკური, სანიტარულ-ტექნიკური და სხვ. ყოველი ჯგუფის ფარგლებში ხარჯები მათი სახეების მიხედვით აღირიცხება.

მასალების ხარჯებში ჩამოწერასთან ერთდროულად იმავე ანგარიშებზე, რომლებზედაც ჩამოწერილია მასალები, ყოველთვიურად გადაირიცხება ის ნაწილი ზედნადები ხარჯებისა, რომლებიც მოდის ამ მასალებზე. ამ მიზნით ყოველი თვის ბოლოს განსაზღვრავენ ყოველათვიური ზედნადები ხარჯების თანხის პროცენტულ შეფარდებას იმ მასალების საერთო ღირებულებასთან, რომლებიც იმავე თვეს არის შემოსული.

წარმოვიდგინოთ, რომ თვის განმავლობაში:

- | | |
|--|---|
| 1. შემოსული მასალის ღირებულება ფაქტურულ ფასით შეადგენს | 26 000 მან. |
| 2. ზედნადები ხარჯები ამ მასალაზე, რომელიც აღრიცხულია ანგარიშში 040, გამოიხატება | 2 600 |
| 3. მაშასადამე, ზედნადები ხარჯები მასალის ღირებულებასთან შეფარდებით შეადგენს | |
| | $\frac{2\ 600 \cdot 100}{26\ 000} = 10\%$ |
| 4. დახარჯულია მასალები მშენებლობაზე | 18 000 მან. |
| 5. ამრიგად, მასალების ამ ღირებულებას უნდა მიემატოს ზედნადები ხარჯების 10%, ე. ი. | 1 800 " |
| 6. ნაშთი შემდეგი თვის დასაწყისისათვის: | |
| ა) მასალები | 8 000 " |
| ბ) ზედნადები ხარჯები (10%) | 800 " |

შემდეგ თვეში ჩარიცხულ უნდა იქნეს ზედნადები ხარჯების ახალი პროცენტი გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებით თვის დასაწყისისათვის მაგალითი:

1. შემოსული მასალა	24 000 მან.
2. ზედნადები ხარჯები ამ მასალაზე შეადგენს	2 880 „
3. მაშასადამე, შემდეგი თვის ბოლოსათვის მასალების ღირებულება იქნება (ნაშთი 8 000 მან. + ახალი შემოსული 24 000)	32 000 „
4. მათი ზედნადები ხარჯები (ნაშთი 800 + ახალი 2 880 მან.)	3 680 „
ე. ი. ზედნადები ხარჯები შეადგენენ	
$\left(\frac{3\ 680 \cdot 100}{32\ 000} \right)$	11,5%
5. მასალების გასავალი თვის განმავლობაში	20 000 „
6. 11,5% ზედნადები ხარჯები ამ მასალებზე	2 300 „
7. ნაშთი შემდეგი თვისათვის:	
ა) მასალები (32 000—20 000)	12 000 „
ბ) 11,5% ზედნადები ხარჯები (3 680 — 2 300)	1 380 „

ამ წესით ყოველთვიურად გამოჰყავთ დამზადებული მასალების ღირებულების ზედნადები ხარჯების პროცენტი ამ ხარჯების იმ ნაწილის გამოსაანგარიშებლად, რაც დამატებით უნდა მიეკუთვნოს სააღრიცხვო თვეში მშენებლობაზე დახარჯული მასალების ღირებულებას.

მასალების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით ზედნადები ხარჯების ოდენობა, გადაზიდვის სხვადასხვა ტარიფების გამო, მეტად სხვადასხვაგვარია, ამიტომ ზედნადები ხარჯების პროცენტები ასევე ცალკე უნდა გამოვიანგარიშოთ მასალების ყოველი ჯგუფის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი წესის მიხედვით მასალები გაიყიდება განზე ან მოხმარდება თავისი ძირითადი საქმიანობის საწარმოს, მაშინ ამ მასალებზე გამოწერილ ანგარიშებში შეიტანება მათი სრული ფაქტიური ღირებულება, ე. ი. გასაშვები (საფაქტურო) ფასები პლუს ამ მასალების ზედნადები ხარჯების სათანადო ნაწილი. ამასთან, ზედნადები ხარჯების ხვედრი თანხა გამოვიანგარიშება იმ პროცენტის მიხედვით, რომელიც დადგენილია იმ თვის დასაწყისისათვის, რომელშიც მასალები გაიყიდა.

შრომისა და ხელფასის აღრიცხვა მშენებლობაში

მშენებლობაში შრომისა და ხელფასის გეგმას ადკენენ ყოველწლიურად მოცემული კაპიტალური სამუშაოს მოცულობის მიხედვით

წლიური გეგმის ყოველი მაჩვენებლის კვარტალურად დაყოფით, ამასთან ეს გეგმა დგება იმ ფორმით, რომელიც ნაჩვენებია გვ. 326—327.

გეგმა ითვალისწინებს, თუ როგორი უნდა იყოს მუშათა შრომის ნაყოფიერება, რომელიც განისაზღვრება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე ერთი მუშის საშუალო დღიური გამომუშავებით; გეგმაში მოცემულია ერთი მუშის საშუალო დღიური გამომუშავების თანხის ოდენობა, მშენებლობაზე მუშათა რიცხვი და მათ მიერ გამოსამუშავებელი კაცდღეების რაოდენობა და სხვ. გეგმური დავალებიდან ფაქტიური მონაცემებიდან გადახვევები განმარტებული უნდა იქნას დაწვრილებით.

ძირითადი მშენებელ მუშათა ხელფასის ანაზღაურება წარმოებს შესრულებული სამუშაოს ერთეულზე დაწესებული ფასების მიხედვით.

კაპიტალური სამუშაოების აღრიცხვა მათი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, აგრეთვე ამ სამუშაოზე დახარჯული დროის აღრიცხვა, წარმოებს სამუშაოების განრიგების საფუძველზე. სამუშაოს განრიგს აძლევენ სამუშაოს დაწყებამდე, ყოველ ცალკე მუშას ან მუშათა ჯგუფს (ბრიგადას, რგოლს) სამუშაოს ხასიათის მიხედვით, ვინაიდან მშენებლობაზე ხშირად უხდებათ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება არა ერთს, არამედ ორსა და უფრო მეტ მუშაკს.

განრიგს წერს მშენებლობის სამუშაოს მწარმოებელი ან ათისთავი მუშაობის დაწყების წინა დღით, ამასთან განრიგი იწერება დადგენილი ფორმის (დანართი 2) მიხედვით. განრიგში აუცილებლად წერენ: 1) მშენებლობის დასახელებას, 2) განრიგის გაცემის დროს, 3) მის რიგით ნომერს, 4) მუშის ან მუშების ბრიგადირის გვარს, 5) მუშაობის დაწყების ან დამთავრების დროს, 6) განრიგით მოცემულ სამუშაოთა.

	წლიური გეგმა	მათ შორის კვარტალე- ბის მიხედვით			
		I	II	III	IV
კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა					
მათ შორის: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა					

	წლიური გეგმა	მათ შორის კვარტალების მიხედვით			
		I	II	III	IV
სიაში რიცხული ერთი მუშის საშუალო გამოუმუშავება					
ერთი მუშის საშუალო დღიური გამოუმუშავება					
მშენებლობაზე მყოფი მუშათა რაოდენობა სულ					
მშენებლობის სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოზე მყოფი პერსონალის რაოდენობა — სულ					
მათ შორის: მუშების ინჟ. ტექ. მუშაკნი მოსამსახურენი					
საშუალო ხელფასი: მუშების ინჟ. ტექ. მუშაკების მოსამსახურეების					
ხელფასის ფონდი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე					
მათ შორის: მუშების ინჟ. ტექ. მუშაკების მოსამსახურეების					
დანარჩენი მეურნეობანი: რიცხოობრიობა ს. შუალო ხელფასი ხელფასის ფონდი					
შრომის ლიმიტის გაანგარიშებისას მიღებულია					
გამოსულის რაოდენობა					
გამოსამუშავებელი კაცდღე					

დაწვრილებით აღწერას, 7) მუშაობის 2^ა, 2^ბ, ცალს და სხვ.), 8) სამუშაოს წესით დადგენილ ფასს.

ზომის ერთეულს (გრძივ მეტრს, ერთეულისათვის დამტკიცებული

განრიგს ხელს აწერს მშენებლობის მწარმოებელი და აბარებს მუ-
შას ან მუშათა ბრიგადირს შესასრულებლად, რის დასტურად განრიგზე
ხელს აწერს მუშა ან ბრიგადირი.

გაცემული განრიგები აუცილებლივ უნდა ჩაიწეროს განსაკუთრე-
ბულ რეესტრში. ეს აუცილებელია განრიგების შესრულებისათვის მე-
თვალყურე კონტროლიორისათვის.

რეესტრს შეიძლება ჰქონდეს ასეთი ფორმა:

განრიგის გაცემის დრო	ნომრები რეგზე	ვის სახელზეა გაცემული (მუშის ან ბრიგა- დირის გვარი)	სამუშაოთა მოკლე დასახე- ლება	სამუშაო- თა რაოდენობა განრიგის მიხედვით	სამუშაოს დამთავრე- ბისა და აკ- ტით ჩაბა- რების დრო

რაგორც წესი განრიგს აძლევენ ისეთი მოცულობის სამუშაოზე,
რომელიც შეიძლება შესრულებულ იქნას არა უგვიანეს იმ თვის უკა-
ნასკნელი რიცხვისა, რომელშიც გამოწერილია ის. მიუხედავად ამისა,
თუ თვის ბოლოსათვის დარჩება ასეთი განრიგები, რომელთა მიხედვით
მოცემული სამუშაოები შესრულებული არ იქნება, მაშინ ამ განრიგის
მიხედვით მიღებული უნდა იქნას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები
და განრიგი დაიხუროს, ე. ი. ჩამოერთვას მუშებს. ასეთი განრიგით
შეუსრულებელი სამუშაოების ნაშთზე გამოწერილი უნდა იქნას ახალი
განრიგი მომდევნო თვეს.

ყოველი განრიგის მიხედვით დამთავრებულ სამუშაოს მუშებისაგან
ლებულობს მშენებლობის მწარმოებელი. სამუშაოს ლებულობენ გა-
ზომვის ან შესრულებულ სამუშაოების დათვლით. იმავე დროს ამოწ-
მებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხსაც.

სამუშაოთა მიღების. შედეგებს სწერენ განრიგებში, რომლებშიაც
ამ მიზნისათვის არის განსაკუთრებული სვეტები.

დამთავრებულ განრიგს გადასცემენ ბუღალტერიას შესრულებულ
მუშაობისათვის მუშების ხელფასის გამოსაანგარიშებლად. მუშების ხელ-
ფასს ანგარიშობენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობის, ამ
სამუშაოებისათვის დაწესებული ფასებისა და მუშების კვალიფიკაციის
შესაბამისად.

მშენებელი მუშების ხელფასის ანაზღაურებისათვის არსებობს სატარიფო ცხრილი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1945 წ. 5/Ⅳ დადგენილებების შესასრულებლად და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1946 წ. 18/Ⅸ № 647 ინსტრუქციის გასაფართოებლად კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1948 წლის 24 იანვარს დაამტკიცა შემდეგი სატარიფო ცხრილი.

თ ა ნ რ ი გ ი	I	II	III	IV	V	VI	VII
კოეფიციენტი	1	1,12	1,27	1,45	1,65	2,01	2,48
საანგარიშსწორებო დღიური განაკვეთი მან. და კაპ.							
მ ე ნ ა რ დ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მშენებლები	10.33	11.53	13.03	14.83	16.84	20.44	25.14
დამმონტაჟებლები	10.73	12.01	13.61	15.53	17.70	21.51	26.58

სატარიფო ცხრილის განაკვეთი ახასიათებს მუშის კვალიფიკაციას, ე. ი. მის საწარმოო ცოდნას, განოცდილებას, ჩვევას, რომელთა შესაბამისადაც განისაზღვრება მისი ხელფასი დღეში, ან საათში.

ამიტომ ვიცით რა განრიგდნან შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა და თანრიგი იმ მუშებისა, რომლებმაც შეასრულეს სამუშაო, ძნელი არ არის გამოვიანგარიშოთ მათი ხელფასი.

ამ მიზნით საპირაოა ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა გაეყოთ მათი გამომუშავების ნორმაზე. ე. ი. იმ სამუშაოთა რაოდენობაზე, რომელიც ვალდებულია შეასრულოს მუშამ საათის, ან დღის განმავლობაში და ამრიგად გაეგოთ დრო, რომელიც მუშას უნდა დაეხარჯა მის მიერ განრიგის მიხედვით შესრულებულ სამუშაოზე. შედეგს ამრავლებენ სათანადო თანრიგის მუშის თითო საათის, ან დღის ხელფასზე და ამით განსაზღვრავენ მის ხელფასს.

მაგალითი:

- | | |
|--|-------------|
| 1. ხუთი კაცის გან შემდგარ მუშათა ბრიკადას მიეკავანრიგირებოდა მუშების მიხედვითაც უნდა შესრულდეს . | 100 ერთეული |
| 2. დღეში გამომუშავების ნორმა დადგინილია . . . | 10 |
| 3. მასასადამე, საქმეო შესრულებული უნდა იქნას . | 10 დღეში |

4. სამუშაოს ამ მოცულობაზე ნორმით უნდა დაი-
ბარჯოს (100 : 10) × 5 50 კაცდღე
5. 10 დღის განმავლობაში ბრიგადამ ფაქტიურად
შეასრულა 110 ერთეული
6. დაწესებული ნორმით ამ მოცულობის სამუშაოსა-
თვის უნდა დახარჯულიყო (110 : 10) × 5 55 კაცდღე
7. ამრიგად, განრიგის მიხედვით დავალება ბრიგადის
მიერ შესრულებულია $\left(\frac{110 \cdot 100}{100} \right)$ 110%
8. მაშასადამე, ბრიგადამ გვემა გადააჭარბა . . . 10%

მოყვანილი მაგალითიდან ცხადია, რომ მოცემული სამუშაოსათვის ნორმით საჭირო იყო 10 დღე. მუშებს შეუძლიათ ეს სამუშაო შეასრუ-
ლონ ან განრიგით დადგენილ ვადაში, ე. ი. 10 დღეში, ან ვადაზე ადრე,
დავუშვათ, 9 დღეში, ან ვადაზე გადამეტებით, დავუშვათ 11 დღეში.

ბოლოს, მუშებს შეუძლიათ ნორმით დადგენილ ვადაში (10
დღეში) შეასრულონ უფრო მეტი მოცულობის სამუშაო, ვიდრე ნორ-
მითაა გათვალისწინებული (ჩვენს მაგალითში 110 ერთეულია. ნაცვლად
100 ერთეულისა, ე. ი. 11 დღის ნორმა 10 დღეში).

ნორმის გადამეტებით შესრულებისათვის პროდუქციის იმ ნა-
წილში, რომელიც წარმოადგენს გადაჭარბებას, მუშებს, მთავრობის დად-
გენილების თანახმად, ეძლევათ გადიდებული ხელფასი, მაგალითად, და-
წესებულ ძირითად შეფასებას ემატება:

10%-მდე გადამეტებით გამომუშავებისათვის—	15%
20%-მდე " " "	-- 30%
50%-მდე " " "	— 60%
50% ზევით " " "	— 100%

სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოსა და საკ. კ პ (ბ) ცენტრალური
კომიტეტის 1936 წ. 11/II დადგენილება).

ვინაიდან თვის განმავლობაში მუშას შეიძლება ჰქონდეს შრომის
სხვადასხვა ნაყოფიერება, ნორმის ზედმეტი გადამუშავებისათვის გადი-
დებული ანაზღაურება წარმოებს მთელი თვის განმავლობაში შესრუ-
ლებულ ყველა სამუშაოთა ერთობლიობის მიხედვით.

აქედან ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა მხედველობაში მი-
ვიღოთ არა მარტო დრო, რომელიც ნორმის მიხედვით საჭიროა ამა თუ იმ
სამუშაოების შესრულებისათვის, არამედ ამ სამუშაოებისათვის მუშის
მიერ ფაქტიურად დახარჯული დროც.

მშენებლობაში ბევრ სამუშაოს ასრულებს არა მარტო ერთი, არამედ ორი და უფრო მეტი მუშა. ამიტომ გამომუშაების ნორმასაც და სამუშაოს ერთეულის ფასსაც აწესებენ ამ სამუშაოთა ხასიათის შესაბამისად. თუ ნორმები და ფასები ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებსაც ერთდროულად ასრულებს ორი და უფრო მეტი მუშა (რგოლი, ბრიგადა), ისმება საკითხი ამ სამუშაოებზე რგოლის, ან ბრიგადის წევრთა შორის ხელფასის განაწილების წესის შესახებ, ვინაიდან ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა კვალიფიკაციისა, სპეციალობისა და მუშაობდნენ სხვადასხვა დროს. ამისთვის საჭიროა აღვრიცხოთ ყოველი მუშისათვის განრიგის მიხედვით სამუშაოდ მიცემული დრო.

დროის აღრიცხვას აწარმოებს უფროსი მუშა ან ბრიგადირი, რომელიც მშენებლობის კანტორას ან სამუშაოს მწარმოებელს ყოველდღიურად აძლევს წერილობით ცნობას ყოველი მუშის მიერ გამო-მუშავებული საათების რაოდენობის შესახებ.

თვის განმავლობაში ერთი და იგივე მუშები შეიძლება მუშაობდნენ სხვადასხვა სამუშაოზე და სხვადასხვა განრიგით. ამიტომ ასანაზღაურებელი პერიოდის (თვის) განმავლობაში მათი ხელფასის გამოსაანგარიშებლად საჭიროა დაჯგუფდეს ყოველი რგოლის, ან ბრიგადის მიერ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შესრულებული განრიგები. განრიგების დაჯგუფებას აწარმოებენ განრიგებისა და შესრულებულ სამუშაოთა ჩაწერით განსაკუთრებულ ტაბელ-გაანგარიშებაში (დანართი 3). აღნიშნული ტაბელ-გაანგარიშება წარმოებს ყოველთვიურად თითოეული რგოლისა ან ბრიგადისათვის ცალ-ცალკე.

ამავე ტაბელ-გაანგარიშებაში არის განსაკუთრებული სვეტები ბრიგადის ან რგოლის წევრის ჩასაწერად და ყოველი წევრის მიერ გამო-მუშავებული საათების ჩასაწერად. თვის დამთავრებისას ანგარიშობენ თვის განმავლობაში ბრიგადის (რგოლის) ხელფასის საერთო ჯამს, ტაბელში კი გამომუშავებულ დროს—ყოველი მუშის მიერ გამომუშავებული დროის საერთო რაოდენობას. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ხელფასის განაწილება ცალკეულ მუშათა შორის.

ყველაზე უფრო უბრალო და პრაქტიკულად მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენს ხელფასის განაწილება გამომუშავებული საათების 1 თანრიგზე დაყვანის მეთოდით. ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მუშის—ბრიგადის, რგოლის წევრის მიერ ფაქტიურად გამო-მუშავებული დღეების (ან საათების) რიცხვს დაიყვანენ იმ დღეთა (საათების) რაოდენობამდე, რომელიც საჭიროა 1 თანრიგის მუშის მიერ მოცე-მული სამუშაოს შესრულებისათვის.

სატარიფო ცხრილიდან (გვ. 329) ჩანს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშების თანრიგის შეფარდება. პირველი თანრიგის მუშისათვის უაღრეს-ნილია კოეფიციენტი 1,0, მეშვიდე თანრიგისათვის კი —2,48.

თუ პირველი თანრიგის მუშამ იმუშავა ერთი დღე, ეს შეეთანხმება მისი თანრიგის კოეფიციენტს. თუ მეშვიდე თანრიგის მუშამ იმუშავა ერთი დღე, ეს უდრის 1 თანრიგის მუშის მუშაობის 2, 48 დღეს.

განვიხილოთ მაგალითი:

1. მშენებელთა ბრიგადამ 3 კაცის შემადგენლობით განრიგით შესასრულა 1032 მან. სამუშაო.

იმავე დროს: VI თანრიგის ივანოვი მუშაობდა 20 დღე

IV თანრიგის პეტროვი „ 20 „

II თანრიგის სოროკინი „ 15 „

2. გადავიყვანოთ გამომუშავებული დღეები 1 თანრიგზე:

	თანრიგი	დღეების რიცხვი	სატარიფო კოეფიციენტი	შეადგენს 1 თანრიგის დღეების რიცხვს
1	2	3	4	(3 × 4)
ივანოვი	VI	20	2, 01	40, 20
პეტროვი	IV	20	1, 45	29, 00
სოროკინი	II	15	1, 12	16, 80

სულ 1 თანრიგამდე დაყვანილი დღეები . 86, 00

3. გაუგოთ რამდენია 1 თანრიგის დღის ხელფასი, ე. ი. განრიგების მიხედვით ხელფასის საერთო ჯამი გავყოთ 1 თანრიგის დღეების საერთო რიცხვზე, მივიღებთ

$$1032 : 86 = 12 \text{ მან. დღეში}$$

4. ახლა ძნელი არაა ყოველი მუშის ხელფასის ჯამის გამორკვევა. ამისათვის საჭიროა მხოლოდ 1 თანრიგის ერთი დღის ხელფასი გავამრავლოთ ყოველი მუშის 1 თანრიგად გადაქცეულ დღეების რიცხვზე, ე. ი.

	1 თანრიგის დღეების რიცხვი	1 თანრიგის მუშის ერთი დღის ხელფასი	ხელფასის საერთო ჯამი
1. ივანოვი	40, 20	12. 00	482. 40
2. პეტროვი	29, 00	12. 00	348. 00
3. სოროკინი	16, 80	12. 00	201. 60
		ჯამი . .	1032. 00

ტაბელ-გაანგარიშების ფორმაში არის განსაკუთრებული სვეტი ყოველი ბრიგადის წევრის მიერ ზემოთ მოყვანილი 1 თანრიგის წესით გამომუშავებული დღეების გამოსაანგარიშებლად.

ერთი და იმავე მუშის მიერ განრიგებით შესრულებულ სამუშაოთა 1 თანრიგამდე დაყვანა ცხადია საჭირო არაა, ვინაიდან ამ სამუშაოს ხელფასი მთლიანად გრგება მხოლოდ თანრიგებში აღნიშნულ მუშას.

შეფასებული თანრიგების საფუძველზე წარმოებს გამოთვლა და მუშების ხელფასის საერთო ჯამის განაწილება ცალკეულ სამუშაოებისა და ხარჯებს შორის (სანშენებლო სამუშაო, სამონტაჟო სამუშაოები, ზედნადები ხარჯების ესა თუ ის მუხლები და სხვ.).

ყოველი თვის ბოლოს მუშებს ეძლევათ ხელფასი. ამ მიზნით ადგენენ დადგენილი ფორმის ხელფასის საანგარიშსწორებო-გადახდის უწყისს, რომელშიც უჩვენებენ, ერთის მხრით იმ თანხებს, რომელიც ერგებათ მუშებს განრიგის მიხედვით მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსათვის, აგრეთვე ყოველგვარი სხვა სახის დამატებით ხელფასს (ზედმეტ საათებში მუშაობისათვის, ღამის საათებში მუშაობისათვის, ავანსი თვის პირველ ნახევარში და სხვ.), მეორე მხრით კი იმ თანხებს, რომლებიც ხელფასიდან უნდა დაუკავდეთ (ავანსი თვის პირველ ნახევარში, სამემოსავლო და სხვა გადასახადი, სახელმწიფო სესხებზე ხელის მოწოდის თანხების დასათარავი, ფორმის ტანისამოსის საფასური და სხვ.) და მუშებისთვის ხელზე გასაცემი.

სამუშაოსათვის სრულ ანგარიშს მუშებს უსწორებენ ყოველი თვის ბოლოს. ამიტომ თვის პირველ ნახევრისათვის მუშებს აძლევენ ავანსს ხელფასის ანგარიშში თვის პირველ ნახევარში გამომუშავებული დღეების მიხედვით, რომელიც გამრავლებული უნდა იქნას სათანადო თანრიგის მუშების დღიურ სატარიფო ხელფასზე. ამ ავანსს მთლიანად უკავებენ მუშებისათვის თვიური ხელფასის გაცემის დროს.

მუშებზე გაცემულ ავანსებს მიაკუთვნებენ ანგარიშს 167 მუშები და მოსამსახურენი, ე. ი. ამ ანგარიშს ადებებტებენ, ხოლო ანგარიშს 078 სალარო აკრედიტებენ.

ხელფასის საანგარიშსწორებო გადახდის უწყისების საფუძველზე აწარმოებენ თვიური ხელფასის დარიცხვას, ე. ი. ხელფასის თანხით აკრედიტებენ ანგარიშს 167 და ადებებტებენ იმ ანგარიშებს, რომლებსაც უნდა მიეკუთვნოს ხელფასი, მაგალითად, იმ ხელფასის თანხით, რომელიც ერგება:

- | | |
|---|-------------|
| 1) საამშენებლო სამუშაოებისათვის | 0100 (0120) |
| 2) სამონტაჟო სამუშაოებისათვის . . . | 0101 (0121) |
| 3) ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს . | 050 |
| 4) ზედნადებ ხარჯებზე მისაკუთვნიებელ სამუშაოები-
სათვის | 051 |

და სხვ.

ხელფასის დარიცხვას აწარმოებენ აუცილებლად იმ თვის უკანასკნელ დღეს, რომელშიც წარმოებდა გასანაღებელი სამუშაო.

ანგარიშთა გეგმის სათანადო ანგარიშთა შორის ხელფასის სწორად განაწილების მიზნით აუცილებლად საჭიროა წინასწარ შევადგინოთ ხელფასის განაწილების უწყისი. ამისათვის საჭიროა განრიგები დავაჯგუფოთ სამუშაოთა და დანახარჯების ცალკე სახეობათა მიხედვით, მერე კი განრიგების ყოველი ცალკე ჯგუფის მიხედვით გამოვიანგარიშოთ იმ ხელფასის ჯამი, რომელიც უნდა მივაკუთვნოთ ამა თუ იმ სახის სამუშაოსა და ხარჯებს.

ასეთი უწყისი შეიძლება შედგენილ იქნას, შემდეგი ფორმით:

სამუშაოს და ხარჯების დასახელება	განრიგებით ძირითადი გამოწვევების თანხა	ზედნადებ საათში ნაშანაზღაურება	ნორმის გადაკარბებისათვის ანაზღაურება	სულ

ხელფასის დარიცხვისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მისი ისეთი სახეები, როგორცაა ატმოსფერული პირობების გამო ვაცდენების ანაზღაურება, ანაზღაურება სახელმწიფოებრივი ხასიათის მოვალეობის შესრულებისას, საშვებულებო გამოსასვლელი დახმარება, და გამოუყენებელი შევებულების კომპენსაცია მშენებლობაში მიეკუთვნება ზედნადებ ხარჯებს. ამიტომ ამ სახის ხელფასის თანხებით დებეტდება მხოლოდ ანგარიში 051, მაგრამ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ამ სახის ხელფასი მშენებლობაში მიეკუთვნება არა ანგარიშს 051, არამედ ანგარიშს 050 ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებს, იმიტომ რომ ეს ხარჯები ლიმიტდება განსაკუთრებით და მათი გაერთიანება არ შეიძლება მშენებლობის სხვა ზედნადები ხარჯებთან.

მუშებისა და მოსამსახურეების ანგარიშის 169 ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ბარათებში, თითოეულ მუშას და მოსამსახურეს ეხსნება ცალკე ბარათი ტიპიური ფორმით.

ზედნადები ხარჯების აღრიცხვა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მშენებლობაში ზედნადები ხარჯების ტექნიკურ პროექტთან დართულ ხარჯთაღრიცხვაში ანგარიშობენ პროცენტული შეფარდებით: 1) სამშენებლო სამუშაოების მიხედვით—პირდაპირი ხარჯების მიმართ (მუშების ხელფასი, ძირითადი მასალები, შინააღმშენებლო ტრანსპორტი და მშენებლობის დამხმარე საწარმოებისა და გარედან მიღებული ნომსახურებანი), 2) მოწყობილობათა დამონტაჟებაში—მწარმოებელი მუშების ძირითადი ხელფასის მიმართ.

მშენებლობის ზედნადები ხარჯების შემადგენლობაში შედის შემდეგი ხარჯები:

საშვებულებო, გამოსასვლელი დახმარებანი, გამოუყენებელი შევებულების კომპენსაციები;

სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულების დროს მუშების ხელფასის ანაზღაურება;

ატმოსფერული პირობების გამო გაცდენების ანაზღაურება;

სამშენებლო მოედნიდან საცხოვრებელი ბინის დაშორებით მდებარეობის შემთხვევაში სამუშაო ადგილამდე მუშების მგზავრობის ხარჯები;

ანარიცხები სოციალური დაზღვევის გადასახდელების შესატანად;

შრომის დაცვა და უშიშროების ტექნიკა;

კომუნალური მომსახურებანი;

დამატებითი საექიმო დახმარება;

მუშახელის ორგანიზებულ შეკრება;

წერილი (ტიტულსგარეშე) ნაგებობის და ხელსაწყოების გაცვეთა, მცირეფასიანი და სწრაფცვეთარი საგნების გაცვეთა;

სახანძრო, გასამხედროებულ და საგუშაგო დაცვა;

შრომის რაციონალიზაციისა და ნორმირების სამუშაოები;

მოწყობილობათა კონსტრუქციების, მასალებისა და ნაწილების გამოცდა;

სამუშაოს ჩაბარების ხარჯები;

სამშენებლო მოედნის კეთილმოწყობა;

ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი წვრილმანი საწარმოო ხარჯები;

დამატებითი ანაზღაურება ბრიგადების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

ადმინისტრაციულ სამეურნეო ხარჯები.

აქ ჩამოთვლილ ყველა ხარჯებს, გარდა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისა, აღრიცხავენ ანგარიშში 051. ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების აღრიცხვისათვის, ამ ხარჯების ოდენობის გამორკვევისა და კონტროლის მიზნით იყენებენ ცალკე ანგარიშს 050. რამდენადაც ამ ხარჯების დადგენა (დალიმიტება) ხდება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მშენებლობის პირდაპირი ხარჯების ღირებულებებს განსაკუთრებული პროცენტების ოდენობით, ან სამონტაჟო სამუშაოებზე მომუშავე მწარმოებელ მუშების ძირითადი ხელფასის მიმართ განსაზღვრული პროცენტის ოდენობით, ამდენად ამ ხარჯების კონტროლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზედნადები ხარჯები შედგება საერთო ხასიათის ხარჯებისაგან, როგორცაა: ყველა სახის ხელფასი, მასალები, გადასახდელები სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, საშვილინებო ხარჯების ანაზღაურება, შენობის შენახვა და დაქირავება, საკონტროლო და საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები და სხვ. ყველა ამ ხარჯების დოკუმენტირება და გაფორმება ხდება საერთოდ დადგენილი წესით.

მშენებლობაში ზედნადები ხარჯები მტკიცედ განისაზღვრება (ლიმიტდება) განსაზღვრული ოდენობით.

ამჟამად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წ. 3/VI № 2951 დადგენილებით და კავშირგაბმულობის მინისტრის 1949 წ. 16/VI № 420 ბრძანებით სამშენებლო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ნორმა (ლიმიტი) დადგენილია 16,5% ოდენობით, მათ შორის 5,5% ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით გამოანგარიშებული პირდაპირი ხარჯების თანხიდან.

მოწყობილობათა დამონტაჟების სამუშაოებზე მოქმედებს შემდეგი ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია კავშირგაბმულობის საბაზო კომისართა საბჭოს 1941 წ. 10/VII № 484 ბრძანებით.

მოწყობილობათა დამონტაჟების ზედნადები ხარჯების ნორმები დაწესებულია მწარმოებელი მუშების ძირითადი ხელფასის თანხიდან, რომელიც გამოანგარიშებულია მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით.

სამონტაჟო სამუშაოთა სახეები	საერთო პროცენტი		ДБК-სთვის	
	№	მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები	№	მათ შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები
1. საკაბელო მაგისტრალების გაყვანა და დამონტაჟება	134	60	220,7	98 6
2. ელექტროტექნიკური, ხელისა და საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურების მოწყობილობების, ტელეგრაფის, რადიოსადგურის, ქალაქის სატელეფონო და ს.მომწველო განათების ქსელის ნაგებობათა და მოწყობილობათა დამონტაჟება	124	50	201,5	82,3

თუ მშენებლობა საიჯარო წესით წარმოებს, მაშინ დამკვეთი (მშენებელი) ზედნადები ხარჯების ანგარიშზე არაერთარ ხარჯებს არ ეწევა, ვინაიდან ის მოიჯარეს უხდის სამუშაოს სრულ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, რომლის შემადგენლობაში შედის ზედნადები ხარჯებიც.

თუ მშენებლობა წარმოებს სამეურნეო წესით, მაშინ მშენებელს შეუძლია გასწიოს ზედნადები ხარჯები, მაგრამ არა დადგენილი ნორმების გადამეტებით.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემადგენლობაში შედის:

- 1) მშენებლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მმართველობის აპარატის (მშენებლობის უფროსის, ინჟინრების, ტექნიკოსების, ათისთავების, საგეგმო და საბუღალტრო პერსონალის, დამლაგებლების, მეეზოვნების და სხვ.) შენახვა, 2) მშენებლობის კანტორისა და შენობის შენახვა, 3) მიმოსვლა და მივლინებანი, 4) საკანცელარიო და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები და სხვ.

საერთო ზედნადები ხარჯებისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ყოველი მუხლის მიხედვით წარმოებს დეტალური ბარათები 050 და 051 ანგარიშების გასაფიქსირებლად.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, წარმოებს მშენებლობის ზედნადები ხარჯების ნორმირება. ამიტომ საჭიროა ყოველთვის თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ფაქტობრივი ზედნადები ხარჯები დადგენილ ნორმას არ აღემატებოდეს. ამისათვის აუცილებელია ყოველთვის გადავსაზღვროთ

იმავე თვეში ფაქტიურად ჩატარებულ კაპიტალური სამუშაოს სახარჯთ-
აღრიცხვო ღირებულებაათან შეფარდებით ზედნადები ხარჯების ფაქტი-
ური პროცენტის ოდენობა და ეს პროცენტი შევადაროთ დადგენილი
ნორმის პროცენტს.

მოვიყვანოთ მაგალითი:

1. მშენებლობის წლიური გეგმა განსაზღვრულია ნათ შობის პირობაში იხი ხარჯები	349 500 მან.
და 16,5% ხელნადები ხარჯები	30 000 "
2. სამუშაოებზე უდა სთვლდებოდა ყოველთვიურად თანაბარწილად. ე. ი. პირობა იხი ხარჯები იქნება, მანადამე ზედნადები ხარჯები უნდა შეადგენდენ (10,5%)	25 0 0 4 125
3. იანვარში გაწეულია პირდაპირი ხარჯები	28 000
ამ თვის ზედნადები ხარჯები (16,5%) იქნება	4 620
ზედნადები ხარჯები ფაქტიურად შედგენს	4 940
ე. ი. ნორმაზე აღდამეტებით 120 მან. რაც ნიშნავს ძარჯთაღრიცხვით დათვლისწინაბეულ ღირებულებ- ის წინააღმდეგ გაძვირებს	27 000
ღირებულები გაწეულია პირდაპირი ხარჯები	
ამ თანხის ზედნადები ხარჯების ნორმა შეადგენს (10,5%)	4 455 "
ფაქტიურად ზედნადები ხარჯები გამოხატა	3 935 "
ე. ი. ნორმაზე ნაკლები	470 "
5. თუ თვის მუშაობის განმავლობაში გაწეულია პირ- დაპირი ხარჯები თანხით (28 000 + 27 000)	55 000 "
ე. ი. გეგმის 100 მან. შევარდებით (15 000 მან. ყოველ თვეში) ისინი შეადგენენ 110%	
6. ზედნადები ხარჯების ნორმა გამოიხატება (1620 + + 4125)	9 075 "
7. თანადამე თუ თვის განმავლობაში შესრულებუ- ლი სამუშაო პროცენტი დროულდება	64 075 "
8. ფაქტიური ზედნადები ხარჯები იმავე თვის განმავლობაში გამოიხატა (4940 + 3985)	8 925
ე. ი. ნორმაზე 110 მან. ხაკლები.	

ამ მაგალითიდან ჩანს, თუ როგორი სერიოზული მნიშვნელობა აქვს
მშენებლობაში ყოველთვიურად ზედნადები ხარჯების ნორმის შესრულე-
ბის კონტროლს. ნათლოდ ასეთი კონტროლის დროს შეიძლება თავის
დროზე იქნას მიღებული აუცილებელი ზომები გადახარჯვის დასაფარა-
ვად მომდევნო თვეში, თუ წინა თვეში ასეთი გადახარჯვა აღმოჩნდება
ზედნადები ხარჯებში.

ფაქტიურად ყოველი თვის ზედნადები ხარჯების ჯამი 050 და 052
ანგარიშებიდან გადაირიცხება 010 ან 012 ანგარიშებში. თუ ეს ხარჯები
მიეკუთვნება მშენებლობის პროცესში მყოფ ერთ ობიექტს, მაშინ მას

პოლიანად წერენ ამ ანგარიშში. თუ სამშენებლო მოედანზე წარმოებს ორი, ან უფრო მეტი ობიექტის მშენებლობა, მაშინ ამ ობიექტებს შორის ზედნადებ ხარჯებს ანაწილებენ ყოველ ცალკე ობიექტზე საანგარიშო თვის განმავლობაში სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით პირდაპირი ხარჯების პროპორციულად.

სააღმშენებლო წარმოების აღრიცხვა

მშენებლობის ღირებულების აღრიცხვას აწარმოებენ საკავშირო ბიუჯეტით 010 ანგარიშში და ადგილობრივი ბიუჯეტით 012 ანგარიშში, ხოლო თითოეული ამ ანგარიშის თარგლებში აღრიცხვა წარმოებს კაპიტალურ სამუშაოთა სახეცბია მიხედვით (სააშენებლო, სამონტაჟო, დაპროექტება და სხვ.).

ყოველი ობიექტისათვის, რომელიც სამეურნეო წესით შენდება, აწარმოებენ განსაკუთრებული ფორმის დეტალურ ბარათებს, რომლებშიც მშენებლობის ყველა ხარჯი აღირიცხება მათი ელემენტებისა (მასალები, ხელფასი, ზედნადები ხარჯები) და სხვა სახეთა მიხედვით.

დეტალურ ბარათებს აწარმოებენ ყოველი ობიექტის მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მათ არ ხუზავენ მშენებლობის დამთავრებამდე. დეტალურ ბარათებში ჩაწერას აწარმოებენ პირველადი, ან ნაკრები საბუთების მიხედვით (მასალების მოთხოვნილებანი, ხელფასის განაწილებისა და ზედნადები ხარჯების უწყისები და სხვ.), რომელთა გაჯორმბა წარმოებს ზემოთ მოცემულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ბარათებში ყოველთვიურად ცალკე სექტებს მიხედვით აჯამებენ გაწეულ ხარჯებს და ამ ჯამთა საჯუქველზე აღგენენ ბრუნვათა უწყისებს, რომელთა მონაცემება უღარებენ საერთო 0:0 და 012 ანგარიშების ჩანაწერებს.

8. დამთავრებულ კავდაბანდებათა ამოძმედების აღრიცხვა

როცა ამა თუ იმ კავდაბანდებათა მშენებლობა დამთავრებულია და ამ მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი მის ბალანსზე აღრიცხულია და გამოკლინებული, ამ ობიექტს გადასცევენ საექსპლოატაციოდ („ამოქმედებენ“).

დამთავრებულ ობიექტებს საექსპლოატაციოდ იბარებენ განსაკუთრებული მიმღები კომისიები. ეს მიმღები კომისიები ამოწმებენ დამთავრე-

ბულ ობიექტის ტექნიკურ პროექტთან შესაბამისობას, ობიექტის ყველანაწილის მზადყოფნას მათი ნორმალური ექსპლოატაციისათვის, ჩატარებული მუშაობის ხარისხს, ავლენენ დაშვებულ შეცდომებს, რომლებიც მოითხოვენ გადაკეთებას, განსაზღვრავენ ამ ახალი ობიექტის სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიურ ღირებულებას.

დამთავრებული ობიექტის ღირებულებაში შეიტანება ამ ობიექტზე გაწეული ყველა ხარჯი, როგორცაა: საკვლევეო და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ხარჯები, კაპიტალურ სამუშაოთა ხარჯები, დადგენულ მოწყობილობათა ღირებულება, ყოველგვარი მოწყობილობა, რომელიც არ მოითხოვს დამონტაჟებას, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ახალი ობიექტისათვის შექმნილი სატრანსპორტო საშუალებებისა და ინვენტარის ღირებულება.

დამთავრებული ობიექტის საექსპლოატაციოდ მიღების შედეგებს წერენ აქტში, რომელსაც ხელს აწერს მიმღები კომისიის ყველა წევრი და ობიექტის მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მიმღები კომისიის აქტის საფუძველზე მშენებლის (დამკვეთის) კაბდებანდებათა ბალანსში მიღებული ობიექტის ფაქტიურ ღირებულებას დაუმთავრებელ კაბდებანდებათა შემადგენლობიდან, რომელიც აღრიცხულია ანგარიშში 010 ან 012 გადარიცხავენ დამთავრებულ კაბდებანდებათა შემადგენლობაში — საკავშირო ბიუჯეტით 001 ანგარიშში ან ადგილობრივი ბიუჯეტით 002-ა ანგარიშში.

მაშასადამე, დგება საბუღალტრო გატარება:

ღებეტი ანგარიში 001 (002) დამთავრებული გეგმური კაპიტალური

დაბანდებანი (ან ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშში)

კრედიტი ანგარიში 010 (012) დაუმთავრებელი გეგმური კაპიტალური

დაბანდებანი (ან ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშში).

იმავდროულად — ახალი ობიექტის იმავე ღირებულებით უნდა გედიდდეს ძირითადი საშუალებანი იმ საწარმოსი, რომლის განკარგულებაშიც გადადის ეს ობიექტი. ამიტომ საწარმოსი ძირითადი საქმიანობის ბალანსში დგება საბუღალტრო გატარება:

ღებეტი ანგარიში 001 ძირითადი საშუალებანი.

კრედიტი ანგარიში 200 — ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ფონდი.

ამრიგად, კაბდებანდებათა ბალანსში ნაჩვენები და ძირითადი საქმიანობის ბალანსში ნაჩვენები გატარებანი ერთმანეთს აკონტროლებენ: კაპიტალურ დაბანდების ბალანსში გატარება ნიშნავს მშენებლობაში მყოფი ობიექტის დამთავრებას და მის ამოქმედებას, ხოლო ძირითადი საქმიანობის

ბალანსში გატარება კი ნიშნავს კავშირგაბმულობის ძირითად მოქმედ საშუალებებში ახალი ობიექტის შეტანას. ამაში მდგომარეობს კაპიტალბანდებათა ბალანსის ორგანული კავშირი იმ საწარმოს ძირითადი.საქმიანობის ბალანსთან, რომელსაც ეკუთვნის ორივე ეს ბალანსი.

იქ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მშენებლობის ხარჯთ-ალრიცხვის ანგარიშში თვით მშენებლობის საკიროებისათვის იძენენ ძირითად საშუალებებს (გენერალური ხარჯთ-ალრიცხვის III ნაწილის ანგარიშში), მაგალითად: საალმშენებლო მექანიზმებსა და მანქანებს, სატრანსპორტო საშუალებებს, 200 მან. მეტი ლირებულების ხელსაწყოებსა და ინვენტარს, როველთა გამძლეობა ერთ წელზე მეტია, მაშინ ეს ძირითადი საშუალებანი მათი შეძენის მომენტში (და არა მშენებლობის დამთავრების შემდეგ) გადაირიცხება 010 (012 ანგარიშიდან 001 (002 ა) ანგარიშში. საიჯარო წესით სამუშაოთა წარმოებისას ეს ძირითადი საშუალებანი აუცილებლად უნდა გადაეცეს მშენებლობის მწარმოებელ მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციის ბალანსს. ძირითადი საშუალების გადაცემა წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ამ აქტში დაწვრილებით ჩამოითვლება გაცემული საგნები და მათი ლირებულება. ეს აქტი წარმოადგენს საბუღალტრო საბუთს, რომლითაც აღნიშნული საგნების ლირებულება კაპიტალური დაბანდების ბალანსში 010 (012) ანგარიშიდან ჩამოიწერება 001 (002-ა) ანგარიშში.

თუ მშენებლობა წარმოებს სამეურნეო წესით, მაშინ მისი საკიროებისათვის შეძენილი ძირითადი საშუალებანი რჩება მშენებლის კაპიტალური დაბანდებათა ბალანსზე და აღირიცხება ამ ბალანსის ანგარიშში 018 მშენებლობის ძირითადი საშუალებანი.

ამ მიზნით შეძენილ ძირითად საშუალებათა ლირებულების 001 (002-ა) ანგარიშში გადარიცხვასთან ერთად დგება მეორე მუხლი კაპიტალური დაბანდებათა ბალანსში ამ საგნების მიღებაზე ძირითად საშუალებათა შედგენილობაში:

ღებეტი ანგარიში 018 მშენებლობის ძირითადი საშუალებანი
კრედიტი ანგარიში 116 ძირითადი ფონდი.

ძირითადი საშუალებანი გამოყენების პროცესში ყოველთვის ცვდება, ამიტომ ისინი ჰკარგავენ თავიანთ პირვანდელ ლირებულებას. ამიტომაც ძირითადი საშუალებების გაცვეთილი ნაწილის ლირებულება უნდა დააკლდეს მათ პირვანდელ ლირებულებას. ეს დაკლება ბალანსში ბუღალტრულად ასე გატარდება:

ღებეტი ანგარიში 116 ძირითადი ფონდი.

კრედიტი ანგარიში 152 ძირითადი საშუალებების გაცვეთა.

იმავე დროს აუცილებლად საჭიროა აგრეთვე ბალანსში განოხატულ იქნას ძირითადი საშუალებების გაცვეთილი ნაწილის ღირებულების ჩართვა იმ მშენებლობის ღირებულებაში, სადაც გამოყენებული იყო ძირითადი საშუალება. ეს პროცესი ფორმდება ბუღალტრული გატარებით:

დებეტი ანგარიში 010 გეგმური დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი ან ანგარიში 012 კაპიტალური დაბანდებანი აღვლობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე

კრედიტი ანგარიში 117 საამორტიზაციო ანარიცხები.

კაპიტალურ დაბანდებებზე დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხები წარმოადგენენ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ერთ ერთ წყაროს, ამიტომ ის არ უნდა იქნას შეტანილი სამრეწველო ბანკში.

კაპიტალურ დაბანდებათა სახით მოქმედი საწარმოებისათვის შეძენილი სხვადასხვაგვარი მოწყობილობა, რომლებსაც არ სჭირდებათ დამონტაჟება, ინვენტარი და სხვ., დაუყოვნებლივ გადაირიცხება 010 ან 012 ანგარიშიდან დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი 001 ან 002-ა ანგარიშში — დამთავრებულ კაპიტალურ დაბანდებებში და იმავედროულად საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსში შეძენილი საგნები შემოსავალში აიღება შემდეგი გატარებით:

დებეტი ანგარიში 001 ძირითადი საშუალებანი.

კრედიტი ანგარიში 200 ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ფონდი.

ასეთია დამთავრებულ კაპიტალურ დაბანდებათა ამოქმედების აღრიცხვის წესი.

9. ბალანსთაშორისო ანგარიშსწორების აღრიცხვა

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის განხორციელების პროცესში შეიძლება თავი იჩინოს ურთიერთანგარიშსწორებამ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსსა და იმ საწარმოს ძირითადი საქმიანობის ბალანსს შორის, რომელიც ანხორციელებს კაპიტალურ დაბანდებს. ეს ურთიერთი ანგარიშსწორებანი გამოიხატება იმაში, რომ ძირითადი საქმიანობის საწარმოს მეურნეობამ შეიძლება თავის კაპიტალურ დაბანდებს სხვადასხვაგვარი მომსახურება გაუწიოს, როგორცაა, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდება, თავის სახელოსნოებში მშენებლობისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის საგნების დამზადება და სხვ. კაპიტალურ მშენებლობას, თავის მხრივ, შეუძლია სხვადასხვაგვარი მომსახურება გაუ-

წიოს თავის საწარმოს ძირითადი საქმიანობის მეურნეობას. ასეთი სახის ყველა მომსახურება უნდა ანაზღაურდეს. ეს ანაზღაურება წარმოებს სათანადო ანგარიშების საფუძველზე ბანკის საშუალებით. ერთმა მეურნეობამ მეორეს არავითარი უფასო მომსახურება არ უნდა გაუწიოს.

ძირითადი საქმიანობის მეურნეობის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებით კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში ადებეტებენ სათანადო ხარჯების ანგარიშებს და აკრედიტებენ ანგარიშს 180 — ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი ძირითად საქმიანობასთან.

თუ კაპიტალურ დაბანდებამ ძირითადი საქმიანობის მეურნეობას გაუწია მომსახურება, მაშინ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსში ადებეტებენ ანგარიშს 180 და აკრედიტებენ იმ ანგარიშებს, რომელთა მიხედვით აღრიცხავენ გაწეულ ხარჯებს, გაწეულ მომსახურებისათვის ფულის შემოსვლისას ადებეტებენ 130 (133) ანგარიშს და აკრედიტებენ 180 ანგარიშს.

გაწეული მომსახურებისათვის ფულის გადახდისას ადებეტებენ 180 ანგარიშს და აკრედიტებენ 130 (133) ანგარიშს, დაფინანსების იმ წყაროს შესაბამისად, რომლის ანგარიშზე მოხდა თულის მიღება ან მისი ვაცემა. როგორც წესი ბალანსთაშორისო ანგარიშსწორების დავალიანება უნდა დაიფაროს ამა თუ იმ მხარის მიერ მომსახურების გაწევისთანავე. ამრიგად, ასეთი დავალიანება კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე შეიძლება ვიქონიოთ არა უმეტესი ვიდრე იმ დროისა, რაც აუცილებლად საჭიროა ბანკის მეშვეობით ანგარიშის გასწორებისათვის.

10. კავდაბანდებითა ანგარიშებზე

კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშგების მოცულობასა და ფორმებს აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ასეთი წესით დადგენილი მოცულობა და ფორმები სავალდებულოა სსრ კავშირის ყველა სამინისტროსა და სსრ კავშირის უწყებებისათვის, მათ შორის სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსთვისაც, რომელსაც ამის გამო კაპიტალურ დაბანდებათა არავითარი საკუთარი ანგარიშგება არა აქვს.

კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშგება შეიძლება იყოს თვიური, კვარტალური და წლიური.

თვიური ანგარიშგება ოპერატიული ხასიათისაა და ორი ფორმისაგან შედგება:

1) სასწრაფო ცნობის მიცემა ტელეგრაფით კაპიტალურ დაბანდების გეგმის შესრულებისა და მუშა-მოსამსახურეთა რიცხოზრევობის გეგმის შესრულებაზე წინასწარი ცნობების შესახებ, რომელიც ეცნობება საანგარიშგებო თვის შემდგომი თვის ორ რიცხვში, და

2) მოკლე ანგარიშგება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულების შესახებ (ფ. 23-კც), რომელსაც აგზავნიან მშენებლობის კანტორები და განყოფილებები მომდევნო თვის 7 რიცხვში, ხოლო კავშირგაბმულობის სამმართველოები — 12 რიცხვში.

კვარტალური გეგმის ანგარიშგებაში, გარდა თვიური ანგარიშგებისა, შედის:

1) კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსი (ფ. 35-კც);

2) ანგარიშგება მშენებლობის თვითღირებულების შესახებ (ფ. 20-კც).

წლიური ანგარიშგება გაცილებით უფრო სრულია, ვიდრე თვიური და კვარტალური ანგარიშგებანი და შედგება შემდეგი ფორმებისაგან:

1) წლის ბოლოსათვის დასკვნითი ბალანსი (ფ. 35-კც);

2) ბალანსის 1-ლი დანართი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ სხვადასხვა სახის საანგარიშგებო მონაცემებს, როგორცაა: მშენებლობის მუშაკთა რიცხოზრევობისა და მათი ხელფასის ფონდის შესახებ, მუშათა შრომის ნაყოფიერების, ხელფასის სახეების, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების, მშენებლობის ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ;

3) ანგარიშგება კაპიტალურ დაბანდებათა გეგმისა და მათი ამოქმედების გეგმის შესრულების შესახებ საანგარიშგებო წლის განმავლობაში (ფ. 6-ა);

4) ანგარიშგება მშენებლობის თვითღირებულების შესახებ (ფ. 28-კც);

5) ანგარიშგება სამშენებლო მასალის ხარჯვის შესახებ (ფ. 27).

კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშგებას ადგენენ და მის ფორმებს აქსებენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიერ დამტკიცებულ მითითებათა საფუძველზე კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ დამუშავებული ინსტრუქციის თანახმად.

დანართი 2
პირი

გშენებლობა _____ პროგრესული სანარდო სისტემით
ნახლავდება _____
არ ნახლავდება _____
სამუშაოთა შესრულების ელდა

გ ა ნ რ ი მ ი № _____ 19 _____ წ.
ობიექტის დასახელება _____ შიფრი _____
ბოგადა - (პროფესია) _____ ბრიგადირი, მერგოლერი, გუმა _____
რგოლი _____
ტაბ. № _____

§	სამუშაოთა აღწერა და წარმოების პირობები	დაგეგმვა									
		მთლიანი	1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მთლიანი ნორმებისა და ფასებისა	მთლიანი	1	2	3	4	5	6	7	8	9
		მთლიანი	1	2	3	4	5	6	7	8	9
		მთლიანი	1	2	3	4	5	6	7	8	9

დაცვლება მის(სა) _____ სამუშაოთა ინარჩონებელი
ბრიგადირი, მერგოლერი
დამკვეთის (ათის თავი) _____
გუმა _____
შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შეფასება _____

შესრულებული სამუშაო მიიღო მსაბამი
(ათისთავმა) _____
ხაბარა _____
საქმის (ხელმოწერა) _____
(ხელმოწერა) _____
19 _____ წ.

დაცვლება მიიღო ბრიგადირი, მერგოლერი
გუმა _____
19 _____ წ. ნორმადირი
განოგს და გასანადგურებად თანხის
გამტკიცებ 19 _____ წ.
სამუშაოს მწარმოებელი
ჩაწერილია ტახელ-განგაზიშებაში № _____
შეამოწმა გულადტკირმა _____

მერგე გვერდი

2 გვერდი

სატაბულო №	გვარი, სახელი, მამის სახელი	ბუღალსი თანრიგი	პროფესია, თანამდებობა	თ ვ ი ს							
				1	2	3	4	5	6	7	
				16	17	18	19	20	21	22	

3 გვერდი

რიცხვები											გამომუშაებულთა					
8	9	10	11	12	13	14	15	საბუღალსო ცენტრი			საათები		ძღვლები			
23	24	25	26	27	28	29	30	31	25%	50%	სულ	დრითი	ნარდღ	ნარდღ დაფინანსებული 1 თანრიგთან	აღნიშნისათვის	

შეტაბულე . . .

4 გვერდი

პირობითი აღნიშვნები

გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები .	B
კანონით ნებადართული სხვადასხვა გამოუცხადებლობანი (სახელმწიფოებრივი ვალდებულებათა შესრულება და სხვ.) .	Γ
მივლინება	K
მორიგი შევებულება	O
აუადმყოფობა . .	B
შვებულება მშობიარობასთან დაკავშირებით	P
ძეძუს მაწოვებელი კალენბისათვის საშელავეათო საათები . . .	M
საშელავეათო საათები მოხარდებს 16 წლამდე	A
სახეგანაკვეთო მუშაობის საათები	C
მთელი ცულის გაცდენა	U
ნაწილობრივი გაცდენა .	Y
გაცდენა (დაგვიანებისა და ადრე წასვლის გამო)	Π



1. ფინანსური რევიზიის დანიშნულება. ფინანსური კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის განვითარების მოკლე ისტორიული ცნობები

ფინანსური კონტროლი, როგორც თვით მისი სახელწოდება გვიჩვენებს, განკუთვნილია სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების, აგრეთვე კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური ოპერაციების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის, ფულადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის კანონიერების, მათი შენახვისა და აღრიცხვის, აგრეთვე ფინანსური და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის შემოწმების განხორციელებისათვის.

ანასთან ერთად საფინანსო კონტროლის ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ და ბოროტმოქმედებათა ჩადენისა და უკანონო ხარჯვის გაწვევის აღსაკვეთად ღონისძიებათა გატარება, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად სათანადო ღონისძიებათა გატარება.

ანხორციელებს რა სახელმწიფოს საკუთრების დაცვას, ფინანსური კონტროლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოსათვის, მთელი ხალხისათვის, ყველა ჩვენგანისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 131 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება უნდა დაცულ იქნას და მტკიცდებოდეს, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელუხლებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყოველი ნუმრომელის შეძლებელი და კულტურული ცხოვრების წყარო. ის პირნი, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას არიან ხალხის მტრები.

„... ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებით და საშუალებით, რომელსაც გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები,—პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს“ (ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 602).

ფინანსურ კონტროლს სხვადასხვაგვარ ფორმებში აწარმოებენ მრავალი სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, ორგანიზაციები და პირები. სახელმწიფო სელისუფლების ორგანოები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები და მშრონელთა დეპუტატების საბჭოები ამტკიცებენ სახელმწიფოებრივ ბიუჯეტებს. იგივე ორგანოები ამტკიცებენ ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას, მას შენდევ, რაც ეს უკანასკნელი განიხილება საბიუჯეტო კომისიების მიერ. ანით აღნიშნული საბჭოები ახორციელებენ უმაღლეს კონტროლს ბიუჯეტსა და ფინანსურ მეურნეობაზე.

ფულადი სახსრების მიღებას, აგრეთვე ხარჯებს დასახელაწიფოებრივ ორგანიზაციებს ან საწარმოებს შორის ანგარიშწორების კონტროლს აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის (სახბანკი), სამრეწველო ბანკის და სხვა სპეციალიზებული ბანკების ორგანოები.

სახბანკია უნდა უზრუნველყოს «სახალხო მეურნეობის განხორციელებულ სექტორში ნაწდელი ყოველდღიური კონტროლი მანეთით წარმოებისა და საქონელბრუნვის შეაუღების, აგოფევე საფინანსო გეგმების შესრულებასა და დაგროვებათა ნიშნარგობაზე» (სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1951 წ. დადგენილება).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო საკონტროლო სარევიზიო სამმართველოსა და ადგილობრივ ორგანოების სახით ანაორციელებს კონტროლს ადგილობრივი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებაზე; დაწესებულ შტატებსა, თანამდებობითი ხელფასებსა და ხელფასის ფონდებზე; სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის წინაწე თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე; სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების გამოყენებაზე; ამ ამოცნების შესრულებისათვის სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფლება აქვს აწარმოოს დოკუმენტალური რევიზია.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო და 1940 წლიდან შექმნილი საკავშირო რესპუბლიკების სახელმწიფო კონტროლის სამინისტროები წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი კონტროლის ძირითად ორგანოებს და ისინი ვალდებული არიან განახორციელონ: ა) სახელმწიფოებრივი სახსრებისა და სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული და სხვ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა, დაცვასა და ხარჯვაზე

ყოველდღიური, როგორც წინასწარი ისე შემდგომი კონტროლი; ბ) აწარმოოს, როგორც გეგმური, ისე მოულოდნელი სახელმწიფოებრივი რევიზიები; გ) შეამოწმოს მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება.

გარდა ჩამოთვლილი ორგანოებისა, რომლებიც ამა თუ იმ ნაწილში აწარმოებენ ფინანსურ კონტროლს, ყოველ სამინისტროს და სსრ კავშირის სხვა ცენტრალურ ორგანოებს, მათს მთავარსა და ადგილობრივ სამმართველოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს აქვთ თავიანთი შინა-საუწყებო სარევიზიო ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან განხორციელონ ფინანსური კონტროლი და დოკუმენტალური რევიზიები.

დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც განაგებენ კრედიტებს, და ამ ორგანოების მთავარი (უფროსი) ბუღალტრები ყოველდღიურად აწარმოებენ რა ხხვადასხვა სამეურნეო ოპერაციებს, იძლევიან და ხელს აწერენ რა ფულადი, მატერიალური, ქონებრივი, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ხასიათის დოკუმენტებს, ვალდებული არიან შეამოწმონ ამ ოპერაციების კანონიერი ხასიათი და მათი სისწორე, მუდმივი, ფაქტიური კონტროლი გაუწიონ ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, დაწესებულ შტატებს, თანამდებობით ხელფასს, საბიუჯეტო და საფინანსო დისციპლინის დაცვას.

საბუღალტრო აღრიცხვა ყველა სამეურნეო ოპერაციას ატარებს რა რეგისტრაციაში, დროულად და სწორად თავს უყრის რა მათ საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსში, ამით ის კონტროლს უწევს გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვის შესრულებას.

შემდგომი ორგანოების მიერ პერიოდულ საბუღალტრო ანგარიშგებათა შემოწმებას თან ახლავს ფინანსური კონტროლის ელემენტებიც.

საფინანსო-საკონტროლო ორგანოების ამოცანების და კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიის დარჯში მათი მუშაობის ორგანიზებისა და განხორციელების წესების განხილვა იქნება წინამდებარე სახელმძღვანელოს ამ განყოფის საგანი. იმავე დროს აქ გადმოცემულია მხოლოდ შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის ძირითადი დებულებანი, მოკლე ცნობები მისი განვითარების შესახებ და უფრო დაწვრილებითი მითითებანი კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოების მთავარ სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტალური რევიზიის მეთოდებისა და წესის შესახებ. კავშირგაბმულობის სამინისტროს დარგებისა და მეურნეობის ოპერაციების მრავალსახეობა არ იძლევა სამეურნეო საქმიანობის ყველა უბნის: „სოიუზ-

პეჩატის“, ფულბარათების საკონტროლო ბიუროს (БКП) სამრეწველო საწარმოების, სახაზო ტექნიკური კვანძების (ЛТУ) რადიოსატრანსლაციო ქსელების (АРТС) და სატრანსპორტო ორგანიზაციების), რევიზიის თავისებურებების შესახებ მითითებათა მიცემის საშუალებას.

კავშირგაბმულობის ორგანოებში „სოიუზპეჩატის“ ოპერაციების რევიზიისათვის არსებობს სპეციალური „სახელმძღვანელო“ გამოცემული 1949 წ. „სვიაზიზდატის“ მიერ, ხოლო ფულბარათების ოპერაციების რევიზიისათვის — „ინსტრუქცია“ გამოცემული 1946 წ. „სვიაზიზდატის“ მიერ.

ფინანსური კონტროლი ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის მთელი ფინანსური მეურნეობის და სახელმწიფოებრივი კონტროლის ორგანოების ფუნქციების ცვალებადობასთან ერთად. ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ტარდებოდა ფინანსური კონტროლი, კერძოდ კავშირგაბმულობის მეურნეობაში.

რევოლუციამდელ რუსეთში XIX საუკუნის სამოციან წლებიდან არსებობდა სახელმწიფო კონტროლის ცალკე უწყება, რომლის შემადგენლობაში იყო საფინანსო-საკონტროლო დაწესებულებები — საგუბერნიო საკონტროლო პალატები. ყველა სახელმწიფო დაწესებულება, მათ შორის ფოსტა-ტელეგრაფისა, საგუბერნიო საკონტროლო პალატაში კონტროლისათვის აგზავნიდა თავიანთ ანგარიშგებას და ყველა საშემოსავლო და საგასავლო ფულად დოკუმენტებს, მაგალითად: ხელფასის გაცემის უწყისებს, ამა თუ იმ თანხების დახარჯვის შესახებ სააგანსო ანგარიშებს, დეპეშების მიღების საქვეითო წიგნაკებს ფულბარათების მიღების შესახებ, ფულბარათების მიღების ჩამბარებელთა წიგნებს, გაცემული ფულბარათების ბლანკებს და სხვ. ამ დოკუმენტებს იქ ამოწმებდნენ და იქვე რჩებოდა.

რევოლუციამდელ რუსეთში არ იყო შინასაუწყებო საფინანსო კონტროლი და საფინანსო კონტროლიორ-რევიზორების სპეციალური აპარატი.

საკონტროლო პალატები ძირითადად მხოლოდ შემდგომ დოკუმენტალურ კონტროლს აწარმოებდნენ; წინასწარ კონტროლს ისინი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში მიმართავდნენ — რკინიგზების მშენებლობასა და სხვ. მსხვილი ოპერაციების დროს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო კონტროლმა სულ სხვა პრინციპული დანიშნულება მიიღო, ბურჟუაზიის იარაღიდან ის გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების იარაღად, მთელი ხალხის იარაღად.

რუსეთის კ პ (В) VIII ყრილობის შემდეგ სახელმწიფო კონტროლის

სახალხო კომისრად დამტკიცებული იყო ამხანაგი სტალინი, რომელმაც დაიწყო ფაქტიურად ნამდვილი სოციალისტური ხასიათის კონტროლის შექმნა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასის ჩაბმით. „სახელმწიფო კონტროლის რეორგანიზაციის ძირითად იდეას წარმოადგენს მისი დემოკრატიზაცია და მუშათა და გლეხთა მასებთან დაახლოება“ (ი. ბ. სტალინი, თხზულებათა მე-4 ტომი, გვ. 275, ქართ. გამოც.).

სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, უფრო გვიან მუშათა და გლეხთა ინსპექციებს (მუშგლეხინი) 1919 წ. 9/1V დეკრეტით, აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის 1920 წ. 20 მარტის დებულებით დიდი უფლებები ჰქონდა მიცემული: ფინანსური კონტროლის გარდა მათ უფლება ჰქონდათ ჩაეტარებინათ წინასწარი და ფაქტიური რევიზია, ე. ი. შეემოწმებინათ არა მარტო მიღებული დოკუმენტები, არამედ გაეწიათ ფაქტიური კონტროლიც ადგილებზე მოულოდნელი რევიზიების ჩატარებით. 1921 წ. მუშათა და გლეხთა ინსპექციების ორგანოები განთავისუფლებულ იქნენ წინასწარი ფინანსური კონტროლისაგან.

ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და მეურნეობის ფულადი ფორმის შემოღებასთან დაკავშირებით ფინანსური კონტროლის დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციების მოვალეობანი დოკუმენტალური ფინანსური კონტროლის დარგში კვლავ გაგრძელებულ იქნა.

1923 წ. 6/IX დებულების თანახმად მუშგლეხინი კვლავ განთავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ორგანოების ფულად და ქონებრივ ფასეულობებზე მთლიანი კონტროლის გაწევისაგან. სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1923 წ. დადგენილებით საფინანსო კონტროლი და დოკუმენტალური რევიზია დაეკისრა ფინანსთა სახალხო კომისსარიატს—ახლად ჩამოყალიბებულ საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს, რომელიც ვალდებული იყო ეწარმოებინა საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების შემდგომი დოკუმენტალური შემოწმება და სახელმწიფო დაწესებულებების სალაროებში ფულადი და მატერიალური ფასეულობების ბრუნვათა შემოწმება. ფინანსთა სახალხო კომისსარიატის საფინანსო კონტროლის ძირითადი ღონისძიებანი მიმართული იყო უმთავრესად ბიუჯეტის შესრულების რევიზიისაკენ.

1923 წლიდან მოყოლებული ერთხანს სახელმწიფო დაწესებულებები და საწარმოები ფულად ანგარიშგებებსა და დოკუმენტებს საკონტროლოდ ურდგენდნენ ფინანსთა სახალხო კომისსარიატის ორგანოებს.

1923—1924 წლებში კავშირგაბმულობის მეურნეობის სისტემაში გზავნილებათა ოპერაციების კონტროლისათვის ჩამოყალიბდა და დღემდე

მოქმედებენ შინასაუწყებო საკონტროლო ორგანოები, ეგრეთწოდებული ფულბარათების კონტროლის ბიუროები. მანამდე კი ამ ოპერაციების კონტროლს, როგორც უკვე ვთქვით, ასრულებდნენ სახელმწიფო კონტროლის, მუშალებინისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოები.

ყველა სხვა საშემოსავლო და საგასავლო ოპერაციის სპეციალური სარევიზიო-საკონტროლო ორგანოები არც კავშირგაბმულობის საბ. კომისარიატსა და არც მის მთავარსა და ადგილობრივ სამმართველოებს 1936 წლამდე არ ჰქონდათ.

სსრ კავშირის სახ. კომისარიატსა და სსრ 1926 წ. დადგენილებით ფინანსთა სახ. კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს ფუნქციები არსებითად მეტად შეიცვალა, ჯერძოდ კი—შემდგომი მთლიანი საფინანსო კონტროლი და კონტროლის ქვეშ მყოფი დაწესებულებების მიერ გასამართლებელი საბუთების წარდგენა გაუქმებულ იქნა.

1926 წ. და 1936 წ. შუა პეროდში კავშირგაბმულობის ორგანოებში როგორც ფინანსთა სახ. კომისარიატის, ისე შინასაუწყებო საფინანსო კონტროლი მეტად სუსტად ხორციელდებოდა და თუ რაიმე კონტროლი ტარდებოდა, ისიც არა დოკუმენტალური რევიზიის, არამედ ინსტრუქტირებისა და ინსპექტირების წესით. რა თქმა უნდა, ეს ქნინდა ხელსაყრელ ნიადაგს საფინანსო, საბიუჯეტო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის შესუსტებისათვის.

2. შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის ამოცანები

დაწესებულებების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და მშენებლობების შინასაუწყებო საფინანსო-კონტროლი და დოკუმენტალური რევიზია დაწესებულია სსრ კავშირის სახ. კომისარიატსა და სსრ 1936 წ. დადგენილებით, რომელიც მიღებულ იქნა სსრ კავშირის ცენტ. აღმასრ. კომიტეტის მე-7 მოწვევის მეორე სესიის დადგენილებათა შესაბამისად. სსრ კავშირის ცენტ. აღმ. კომიტეტის სესია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ფულის როლის გაძლიერებისა და საბჭოთა მანეთის განმტკიცების პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთელი საბიუჯეტო სამუშაოების შემდგომ მოწესრიგებას, ბიუჯეტით გათვალისწინებულ შემოსავალთა სრულ განხორციელებას, ბიუჯეტით დაშვებული თანხების მიზნისამებრ მტკიცედ გამოყენებას, სამეურნეო ორგანოების მიერ ყველა იმ დავალებათა დროულად და მთლიანად შესრულებას, რომლებიც მათ ეტებათ ბიუჯეტის დარგში, სა-

ბიუჯეტო დისციპლინისა და კანონით დადგენილ საბიუჯეტო თანხების ხარჯვის წესების მტკიცედ დაცვას.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტ. აღმასრ. კომიტეტის სესიამ მიიღო დადგენილება საბიუჯეტო და შინასაუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერების შესახებ.

შინასაუწყებო კონტროლისა და დოკუმენტური რევიზიის ძირითადი ამოცანები, აგრეთვე ის, თუ რომელმა ორგანოებმა უნდა ჩატარონ რევიზიები, მათი პერიოდულობა და გაფორმების წესები ნაჩვენებია სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1936 წ. დადგენილებაში.

თანახმად ამ დადგენილებისა ყველა სამინისტროები და სსრ კავშირის სხვა ცენტრალური ორგანოები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან დააწესონ ფინანსური კონტროლი და წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარონ ყველა დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და მშენებლობათა დოკუმენტალური რევიზია¹.

დოკუმენტალური რევიზია ინიშნება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელის განკარგულებით და ტარდება ამავე ორგანოს ბუღალტერიის მიერ რევიზორების საშუალებით.

დოკუმენტალური რევიზიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

მოცემული დაწესებულების, სამეურნეო ორგანიზაციების საწარმოსა და მშენებლობის მიერ ჩატარებული ოპერაციების კანონიერებისა და მათ მიერ ფინანსური და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის შემოწმება;

ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დამტაცებლის წინააღმდეგ, დამტაცების და სახსრების და მასალების უკანონოდ ხარჯვის შემთხვევების გამოვლინება;

საბუღალტრო აღრიცხვიანობის დაყენების სისწორე, ცალკეული ოპერაციების გაფორმებული დოკუმენტების კეთილხარისხიანობა და საბუღალტრო ჩანაწერების სისწორე;

სასაწყობო მეურნეობის მასალების აღრიცხვის სისწორის შემოწმება.

¹ სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭომ თავის 1946 წ. დადგენილებით კვლავ დაავალა სამინისტროებსა, სსრ კავშირის ცენტრალურ დაწესებულებებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს უზრუნველყონ დაქვემდებარებული საწარმოების დოკუმენტალური რევიზიების ჩატარება შინასაუწყებო კონტროლის ძალებით, არა ნაკლებ, ვიდრე წელიწადში ერთი რევიზიისა.

დოკუმენტალური რევიზიის შედეგები ფორმდება განსაკუთრებული აქტით, რომელსაც ხელს აწერს რევიზორი, იმ დაწესებულების, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის, ან მშენებლობის ხელმძღვანელი და ბუღალტერი, რომელშიაც ჩატარდა დოკუმენტალური რევიზია.

იმ შემთხვევაში, როცა რევიზია ჩატარებულ დაწესებულების, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის ან მშენებლობის ხელმძღვანელი, ან შთავარი ბუღალტერი პრეტენზიებს აცხადებენ შედგენილ აქტში აღნიშნული ფაქტების წინააღმდეგ, ისინი ვალდებული არიან აქტზე ხელის მოწერასთან ერთად მას დაურთონ წერილობითი ახსნაგანმარტებანი თავიანთი პრეტენზიების შესახებ.

დოკუმენტალური რევიზიის აქტის საფუძველზე ზემდგომი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს დოკუმენტალური რევიზიის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად საჭირო ზომების მიღება.

დოკუმენტალური რევიზია მიმართული უნდა იყოს კავშირგაბმულობის ხელმძღვანელ საბუღალტრო და სხვ. მუშაკთა შორის ფინანსური დისციპლინის განმტკიცებისაკენ.

ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, სააღრიცხვო მონაცემებისა და პირველადი დოკუმენტების შემოწმებისას, დოკუმენტალურ რევიზიას გარდა ბოროტმოქმედებებისა და სამეურნეო უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლისა, შეუძლია და ევალემა კიდევ გამოავლინოს ჩამორჩენილობა მუშაობის ცალკეულ უბნებზე; გამოავლინოს დამატებითი რეზერვები და რესურსები, აგრეთვე ყოველგვარი შესაძლებლობანი დანაკარგების შესამცირებლად, შრომის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად. ამ ფუნქციების შესრულებით საფინანსო კონტროლი უნდა გახდეს სამეურნეო უყაირათობისა და მფლანგველების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი და სოციალისტური საქუთრების დაცვის იარაღი.

3. ფინანსური კონტროლის ორგანიზება კავშირგაბმულობის ორგანოებში

ფინანსური კონტროლი და დოკუმენტალური რევიზიები კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში ორგანიზებულია შემდეგნაირად: კავშირგაბმულობის სამინისტრო ახორციელებს ფინანსურ კონტროლს და აწარმოებს დოკუმენტალურ რევიზიებს მოკავშირე რესპუბლი-

კების მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებში და კავშირგაბმულობის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სამმართველოებში¹. რევიზიებს ატარებს აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ მთავარ და ცენტრალურ სამმართველოებსა, საწარმოებსა, სამეურნეო ორგანიზაციებსა და მშენებლობებში.

კავშირგაბმულობის სამინისტროს შემადგენლობაში არის რამდენიმე მთავარი და ცენტრალური სამმართველო, რომლებსაც აქვთ თავიანთი საქვეანგარიშგებო და დაქვემდებარებული საწარმო და დაწესებულება, რომელთა სამეურნეო და საფინანსო მუშაობა ქვემოდან თვით ზემო საფეხურებამდე აღირიცხება ცალკეულ დამოუკიდებელ ბალანსზე, მაგალითად:

პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრალური სამმართველოს (ЦУРП) რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში აქვს თავისი განყოფილებები (ОРЕП), რომელთა ანგარიშგება არ შედის კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოების საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ნაერთ ბალანსში, არამედ ისინი თვითონ ადგენენ მას პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრალურ სამმართველოში, სადაც მას ამოწმებენ და შეაქვთ პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ნაერთ ბალანსში. ეს ბალანსი კი თავის მხრით წარედგინება კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალურ ბუღალტერიასა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს;

მთავარ საფოსტო სამმართველოს თავის გამგებლობაში ასეთივე სქემით აქვს საოლქო, სანხარეო, რესპუბლიკური ფულბარათების საკონტროლო ბიუროები (БКП) და მათგან ლეზულობს ფულბარათების ოპერაციების ანგარიშგებებს;

სპეციალურ კავშირგაბმულობის სამმართველოს აქვს თავისი ადგილობრივი განყოფილებები;

გასამხედროებელი დაცვის განყოფილებებს (ОВОХР) აქვს თავის რაზმები;

სამოსწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს (ГУУЗ)—სასწავლებლები;

სამრეწველო საწარმოთა სამმართველოს (УПП)—ქარხნები და ფაბრიკები;

¹ ავტონომიურ რესპუბლიკების.

მატერიალური მომარაგების მთავარ სამმართველოს (გლავსნაბ) — მომარაგების ადგილობრივი კანტორები და სხვ.

სამინისტროს ყოველ ამ მთავარ (ცენტრალურ) სამმართველოს ბუღალტერიის შემადგენლობაში ჰყავს რევიზორები და აწარმოებს მასზე დაქვემდებარებულ ორგანოების რევიზიას.

სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერია ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკების, საოლქო (სამხარეო) კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოებისა და სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დირექციების, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციების (ცენტრალური ტელეგრაფი, მოსკოვისა და ლენინგრადის ფოჩტამატები, მოსკოვის რადიომაუწყებლობის დირექციის (МРБД), რადიოკავშირის მოსკოვის დირექციის (МДРС) და სხვ., აგრეთვე სამინისტროს მთავარ სამმართველოების (პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრალური სამმართველოს (ЦУПН), სამრეწველო საწარმოების სამმართველოს (УПП), მთავარ საფოსტო სამმართველოს, „გლავსნაბის“, „გლავსტროისვიზის“ და სხვ.), ფინანსურ კონტროლსა და დოკუმენტალურ რევიზიას. ამ ამოცანების შესასრულებლად ცენტრალური ბუღალტერიის შემადგენლობაში არის ფინანსური კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის სექტორი.

„გლავსტროისვიზი“ ახორციელებს ფინანსურ კონტროლს და რევიზიას უკეთებს მასზე დაქვემდებარებულ სამშენებლო ცენტრებს და სამშენებლო კანტორებს.

მთავარი საფოსტო სამმართველო ახორციელებს ფულბარათების საკონტროლო ბიუროების კონტროლსა და რევიზიას.

პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრალური სამმართველო (ЦУПН), სამოსწავლო სასწავლებელთა მთავარი სამმართველო (ГУУЗ), „გლავსნაბი“, სამრეწველო საწარმოთა სამმართველო (УПП), გასამხედროებული დაცვის განყოფილება (ОБХОР) და სხვ. ახორციელებენ მათზე უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანოების კონტროლსა და რევიზიას.

კავშირგაბმულობის სამინისტროს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ამავე პრინციპით ატარებენ ყოველ მათგანზე დაქვემდებარებულ ორგანოს კონტროლსა და რევიზიას; მგავალითადა:

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოები რევიზიას უწევენ მოცემულ რესპუბლი-

კაში უშუალოდ შემავეალ კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველოსა და უშუალოდ მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მშენებლობებს (კავშირგაბმულობის რაიონულ და საქალაქო კანტორებს, სახაზო-ტექნიკურ კვანძებს (АТУ), რადიო დირექციებს, რადიო ცენტრებსა და სხვ.).

კავშირგაბმულობის საოლქო და სამხარეო სამმართველოები რევიზიას უწევენ მათზე დაქვემდებარებულ კავშირგაბმულობის კანტორებსა და კავშირგაბმულობის სხვა საწარმოებს, დაწესებულებებს.

სამშენებლო ტრესტები ახორციელებენ მათზე დაქვემდებარებულ მშენებლობათა ფინანსურ კონტროლსა და დოკუმენტალურ რევიზიას.

პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების ცენტრული სამმართველოს (ЦУПН) საოლქო განყოფილებები კონტროლს უწევენ მათზე დაქვემდებარებულ „სოიუზპეჩატის“ ორგანოებს.

ფულბარათების საოლქო საკონტროლო ბიუროები კონტროლს უწევენ და რევიზიას უკეთებენ საწარმოების ფულბარათების ოპერაციებს.

ყველა აღნიშნულ სამმართველოს, დირექციას და ორგანიზაციას, რომელნიც ვალდებული არიან დოკუმენტალური რევიზია აწარმოონ მათზე დაქვემდებარებული ორგანოებისა, ფაქტობრივ ბუღალტერიაში აქვთ რევიზორების სექტორი ან ჯგუფი, ხოლო იმ ორგანიზაციებში, რომელთა დაქვემდებარებული საწარმოების რიცხვი მცირეა, ჰყავთ ერთი რევიზორი. რევიზორის უყოლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მთავარი ბუღალტერი.

საფინანსო კონტროლი და დოკუმენტალური რევიზიები აგებულია საბუღალტრო ანგარიშვალდებულებების მტკიცე პრინციპის მიხედვით: ვისაც მოცემული საწარმო თავის ანგარიშგებას ურდგენს, რევიზიის მხრივაც მასვე ექვემდებარება.

ასეთი ორგანიზაციის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ცალკე დარგის (ცალკე აღსარიცხავი საქმიანობის უბნის) დოკუმენტალური რევიზიაც და საბუღალტრო ანგარიშგებათა შემოწმებაც ტარდება ერთი და იგივე ბუღალტერიის აპარატის მიერ. ამრიგად, კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის ფულბარათების ოპერაციებს ამოწმებენ ფულბარათების საკონტროლო ბიუროებში, იგივე ბიურო ატარებს ამ ოპერაციების დოკუმენტალურ რევიზიას; ანგარიშგებასა და ძირითადი საქმიანობის დოკუმენტალურ რევიზიას ამოწმებს კავშირგაბმულობის სამმართველოს ბუღალტერია, იგივე აწარმოებს

დოკუმენტალურ რევიზიასაც და სხვ. ამით მიღწეულია კონტროლისა და მასზე პასუხისმგებლობის ერთგვარი სისრულე, ვინაიდან, სხვა ამოცანებთან ერთად, პერიოდულ ანგარიშგებათა შემოწმება მოიცავს საფინანსო კონტროლის ელემენტებსაც. მეორე მხრით, დოკუმენტალური რევიზია აუცილებლად გამოიწვევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სისწორეს. რაც ავალბებს რევიზიის ჩამტარებელს შესამოწმებელი უბნის ოპერაციების არსისა და აღრიცხვის წესის ცოდნას,—ამ ამოცანის შესრულება, შრომის განაწილების არსებულ პირობებში, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია ფულბარათების ოპერაციით—ფულბარათების საკონტროლო ბიუროს რევიზორ-ბუღალტრისათვის, „სოიუზპეჩატიკა“ მხრით—პრესის რეალიზაციისა და ექსპედიციების განყოფილების (ОРЕП) რევიზორ-ბუღალტრისათვის და ა. შ.

მაგრამ კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორაში მრავალრიცხოვანი ცალკეული ბალანსების არსებობის პირობებში საჩვევო აპარატის არსებულ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეებიც აქვს: საოლქო ცენტრიდან ყოველ რაიონულ კანტორაში დოკუმენტალური რევიზიისათვის უნდა წავიდნენ კავშირგაბმულობის სამმართველოს რევიზორ-ბუღალტერი, ფულბარათების საკონტროლო ბიუროების რევიზორი და პრესის გავრცელებისა და ექსპედიციების განყოფილების (ОРЕП) რევიზორი, რაც იწვევს დიდი რაოდენობით სამივილინებო თანხის ხარჯვას; გარდა ამისა, ცალკეულ უბნებზე სხვადასხვა დროს ჩატარებული რევიზიების მასალა არ იძლევა კანტორის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ მთლიან სურათს და, რაც მთავარია, კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის ერთი ბალანსის დოკუმენტების რევიზიისას, შეიძლება იხედველობიდან გამოჩნეს მეურნეობის სერიოზული ნაკლოვანებანი, თუ ერთსა და იმავე დროს არ შემოწმდა მოცემული კანტორის სხვა ბალანსების მთელი რიგი დოკუმენტებიც. ამიტომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის 1949 წ. 28/II № 100 ბრძანებით მოცემულია წინადადება, რომლის მიხედვით კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის რევიზია უნდა ჩატარდეს ყველა ბალანსის მიხედვით ერთდროულად.

რევიზიების ჩატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულთა სამმართველოსათვის ძალიან სასარგებლოა კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველოების დოკუმენტალურ რევიზიასთან ერთად რევიზია გაუწიონ ამ სამმართველოებზე დაქვემდებარებულ რამდენიმე საწარმოს, რათა გამოავლინონ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც თავიანთი რევიზორები ზოგჯერ უყურადღებოდ სტოვებენ.

4. ცნება წინასწარი და შემდგომი საწინასწარ კონტროლის შესახებ

საწინასწარ კონტროლი მის ჩატარების დროს შეიძლება ორგვარად დაიყოს: წინასწარ და შემდგომ კონტროლად.

წინასწარი კონტროლი არის ხარჯების შემოწმება მათ გაწევამდე;

შემდგომი კონტროლი — ხარჯების შემოწმება მის შემდეგ, როცა ის უკვე გაწეულია.

სსრ კავშირში, წინასწარი კონტროლი, როგორც სახელმწიფოებრივი კონტროლი, ხორციელდებოდა რსფსრ სახ. კომ. საბჭოს 1918 წ. დადგენილების თანახმად — სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ, უფრო გვიან კი — ნუშგლეხინის მიერ. ამ კონტროლით გათვალისწინებული იყო: ა) პროექტების, ხარჯთაღრიცხვებისა და ხელშეკრულებების განხილვა; ბ) ასიგნობათა და სხვა გადახდის დოკუმენტების შემოწმება, მათ განაღდებად; გ) საჯარო ვაჭრობის მოსაწყობად, ქონების, მასალების, სურსათის შესამოწმებლად, მუშახელის შესამოწმებლად და სამუშაოს დასათვალისწინებლად კომისიებში მონაწილეობის მისაღებად თავისი წარმომადგენლების გაგზავნა. ამრიგად, წინასწარი კონტროლი იძლეოდა საწარმოსა და უწყების სამეურნეო საქმიანობის შეფასებას. სახელმწიფო ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის შენახვისა და ხარჯვის წინასწარი კონტროლი ამჟამად წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1940 წ. დადგენილებით დამტკიცებულ დებულების თანახმად წინასწარ კონტროლს ატარებენ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს კონტროლიორები საწარმოებში, საწყობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხარჯთ-აღრიცხვების, საგასავლო დოკუმენტებისა და მატერიალურ ფასეულობებზე განაცხადებისა და განრიგების შემოწმების გზით. იმავე დროს სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს კონტროლიორებს უფლება ეძლევათ ხარჯები აკრძალონ მთლიანად ან ნაწილობრივად.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და უკანონო ხარჯების აცილების, ფინანსური დისციპლინის დარღვევისა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგობის აღკვეთის უზრუნველყოფის თვალსაზრისით წინასწარ კონტროლს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს წინასწარ საწინასწარ კონტროლს, რომელიც მოწოდე-

ბული და ვალდებული არიან თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განახორციელონ ყველა საწარმოს, დაწესებულების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და მშენებლობათა მთავარმა (უფროსმა) ბუღალტრებმა.

სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივი დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წ. დადგენილებით დამტკიცებული დებულებით შემოღებულია მათი (მთ. ბუღალტრების) შემდეგი საპასუხისმგებლო და უმნიშვნელოვანესი მოვალეობანი და უფლებები წინასწარი საფინანსო კონტროლის დარღვი:

1) ფულადი, მატერიალური, ქონებრივი, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ხსიათის ყველა დოკუმენტს, რომლებიც კი წარმოადგენენ საფუძველს ფულის, სასაქონლო-მატერიალური, ქონებრივი და სხვა ფასეულობათა მიღებ-ჩაბარებისათვის, აგრეთვე, რომლებიც სხვა დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან სკვლიან საკრედიტო და საანგარიშსწორებო პირობებს, ხელს აწერენ დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები ან მათი რწმუნებულები. მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ან მისი რწმუნებულის ხელმოწერადად ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ითვლება არაკანონიერად და მოლარემ, საწყობის გამგემ, ან სხვა მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა არ უნდა მიიღონ შესასრულებლად (დებულების პუნქტი 14).

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა გაცენის, სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურეობის ყველა ხელწეკრულება და შეთანხმებანი, აგრეთვე თანამდებობრივი და პერსონალური ხელფასების დაწესების ყველა ბრძანება წინასწარ ვიზირებულ უნდა იქნას მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ. დოკუმენტების ხელის მოწერის ასეთი წესი აწესებს მთლიან წინასწარ კონტროლს ყველა საფინანსო-სამეურნეო ოპერაციაზე მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მხრით.

2) მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ხელმოსაწერი დოკუმენტების შემოწმებისას, აღრიცხვის მოწყობისას, დოკუმენტების ბრუნვისას, ანგარიშგებათა ანალიზის დროს და საერთოდ თავის საქმიანობაში ვალდებულია აწარმოოს კონტროლი.

ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვის, დაწესებული შტატების, თანამდებობითი ხელფასების, აღმინისტრაციულ-სმეურნეო და სხვა ხარჯების დაცვის, აგრეთვე საბიუჯეტო, საგადასახადო და ფინანსურ დისციპლინის დაცვისა. აწარმოოს კონტროლი აგრეთვე:

მზანაწარმის, საქონლის, ნედლეულის, მასალების, სათბობის და სხვა ფასეულობათა რეალიზაციისა და გაცემისა.

ნედლეულის, მასალების, საქონლისა და სათბობის მიღებისა და გაცემის სწორად და დროულად გაფორმების. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ვალდებულია აგრეთვე გაუწიოს კონტროლი დანაკლისის, წუნისა და დაჯგომლექტებლობის შემთხვევებში მიმწოდებლებისადმი პრეტენზიების დროულად წარდგენას;

დებიტორული დავალიანების დროულად გადახდევინებისა და კრედიტორული დავალიანების დროულად დაფარვას (დებულების პუნქტი 8).

3) მთავარმა (უფროსმა) ბუღალტერმა არ უნდა მიიღოს შესასრულებლად და გასაფორმებლად დოკუმენტები იმ ოპერაციებისა, რომლებიც არღვევენ მთავრობის კანონებს, დადგენილებებსა და განკარგულებებს და ფულადი სახსრების, მოწყობილობათა, ინვენტარის, სასაქონლო-მატერიალური და სხვა ფასეულობათა მიღების, გატარების, შენახვისა და ხარჯვის შესახებ დადგენილ წესებს. კანონის, მთავრობის დადგენილებათა, ან საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების საწინააღმდეგო განკარგულების მიღების შემთხვევაში მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ვალდებულია მის შესრულებამდე წერილობით მიაქციოს ამ უკანასკნელის უკანონობას განკარგულების გამცემის ყურადღება.

უფროსისაგან, მის მიერ გაცემული განკარგულების შესრულების შესახებ წერილობითი დასტურის მიღებისას მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ასრულებს მას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს ან სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს (იმ შემთხვევაში, თუ მოცემული დაწესებულება, საწარმო, ან ორგანიზაცია—რესპუბლიკური, ან ადგილობრივი დაქვემდებარებისა).

იმ შემთხვევაში, როცა მთავარი (უფროსი) ბუღალტერი ღებულობს ისეთ განკარგულებას, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით, იგი ვალდებულია ასეთი განკარგულება არ შეასრულოს, ამასთან დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ზემდგომ ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს ან სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსა და აუცილებლობის შემთხვევაში საფინანსო ორგანოებს. მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, რომელმაც სახელმწიფო კონტროლის სამინისტროსა და ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ აცნობა თავისი ხელმძღვანელის უკანონო განკარგულების შესახებ პასუხს აგებს მათ შესრულებაზე იმ ხელმძღვანელის თანაბრად, რომელმაც ეს უკანონო განკარგულება გასცა (დებულების პუნქტი 15).

იქ, სადაც მთავარი (უფროსი) ბუღალტერი მთლიანად და საქმის სრული ცოდნით ასრულებს წინასწარ და მიმდინარე საფინანსო კონტროლის ზემომოყვანილ მოვალეობას—უკანონო ხარჯების გაწევა, საფინანსო დისციპლინის დარღვევა და ბოროტმოქმედებანი მხოლოდ შემთხვევითი, იშვიათი მოვლენაა.

5. დოკუმენტალური რევიზიის სახეები და მეთოდები

დოკუმენტალური რევიზია წარმოადგენს აუცილებელ შემდგომ საფინანსო კონტროლს, რომელიც ტარდება გასული დროის დოკუმენტების შემოწმების გზით.

კავშირგაბმულობის ყოველ საწარმოს, დაწესებულებას, ნაწილობრივად და სრულიად წელიწადში ერთხელ მაინც ზემდგომმა ორგანომ გაუკეთოს რევიზია. რევიზიის დროს შემოწმებული უნდა იქნას ხარჯები, შემოსავალი, საანგარიშსწორებო და სხვა საბუღალტრო დოკუმენტები, მოყვლებული წინა რევიზიიდან მთელი ხნის განმავლობაში.

იღებენ რა მხედველობაში ამ მოთხოვნილებებს, სამინისტრო, მისი მთავარი, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო სამმართველოები, ტრესტები და დირექციები ადგენენ დოკუმენტალური რევიზიების წლიურ გეგმებს და მათ საფუძველზე კი—კვარტალურსა და თვიურ გეგმებს, რომლებიც უნდა შეასრულოს ამ ორგანოების ბუღალტერმა.

გარდა ამისა, დოკუმენტალური რევიზიები ტარდება გეგმის გარეშე განსაკუთრებული დავალებებით.

დოკუმენტალური რევიზიები შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეებად: შესამოწმებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით—სრული და ნაწილობრივი.

სრულს წარმოადგენს რევიზია, რომელიც ამოწმებს საწარმოს საფინანსო-სამეურნეო და სააღრიცხვო მუშაობის ყველა უბანს; ასეთი უნდა იყოს გეგმური, მორიგი რევიზია.

ნაწილობრივი რევიზია განისაზღვრება მუშაობის ერთი ან რამდენიმე ცალკეული უბნის შემოწმებით, მაგალითად, შემოწმდება საკლიენტო დავალიანება, მასალების დამზადება, ხელფასის ფონდის ხარჯვა, მათი აღრიცხვისა და ანგარისწორებათა მდგომარეობა და ა. შ.

შესამოწმებელი დოკუმენტების რაოდენობის მიხედვით—მთლიანი და შერჩევითი.

მთლიანი რევიზია ამოწმებს თანმიმდევრობით განურჩევლად ყველა საბუღალტრო დოკუმენტს შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო შერჩევითი რევიზიის მიერ მოწმდება დოკუმენტების ნაწილი. რევიზიის ამოცანებისა და იმ ვადის მიხედვით, რომელშიაც ის უნდა ჩატარდეს. შესამოწმებელი დოკუმენტების რაოდენობის მიხედვით რევიზია შეიძლება ერთგვარი არ იყოს ყველა დოკუმენტის მიმართ. მაგალითად, სალაროსა და ბანკის დოკუმენტების შემოწმება ხდება მთლიანად, დანარჩენები ეგრეთწოდებული მემორიალური დოკუმენტების შემოწმება კი—შერჩევითი წესით, ან 2—3 თვის ყველა დოკუმენტის შემოწმება ხდება მთლიანი წესით, დანარჩენი კი—შერჩევით. უკეთესს, უფრო სარწმუნო შედეგებს რა თქმა უნდა იძლევა სრული, მთლიანი დოკუმენტალური რევიზია.

გარდა ამისა რევიზია შეიძლება იყოს გეგმური და გეგმის გარეშე.

6. რევიზიის უზღავდა-მოვალეობანი

რევიზიის ჩატარება შეიძლება დაევალოს მხოლოდ ისეთ პირებს, რომლებიც იცნობენ სარევიზიო საწარმოს მუშაობის არსს, მთავრობის მოქმედ კანონებს, კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ ბრძანებებს, წესებს, ინსტრუქციებსა და განკარგულებებს, რომლებიც შეეხება კავშირგაბმულობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, ე. ი. პირებს, რომლებსაც შეუძლიათ გაერკვნენ—კანონიერია, თუ უკანონო, მიზანშეწონილია თუ არა შესამოწმებელი საწარმოს სხვადასხვაგვარი ოპერაცია. გარდა ამისა, რევიზიის ჩამტარებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს საბუღალტრო აღრიცხვა, ვინაიდან დოკუმენტალური რევიზიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს შესამოწმოს საბუღალტრო აღრიცხვის, საბუღალტრო ოპერაციების გამაფორმებელი დოკუმენტებისა და ჩანაწერების სისწორის ხარისხიანობა. აქ საბუღალტრო ჩანაწერების სისწორეც გაგებულ უნდა იქნას არა მარტო დოკუმენტების შედგენის, ბარათების, უწყისების, დაეთრების შევსებისა და ანგარიშგებათა შედგენის წესები, არამედ აუცილებლად საჭიროა შემოწმდეს ჩატარებული ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვაში ასახვის სისწორე, ე. ი. შემოწმდეს, რამდენად სწორად მიეკუთვნა ოპერაციის თანხა ამა თუ იმ ანგარიშს. ასეთი შემოწმების გარეშე შეიძლება შეუქმნეველი დარჩეს შეცდომები როგორც აღრიცხვაში, ისე წინასწარი მოსაზრებით ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და უკანონო მოქმედებანიც.

მოვიყვანოთ მაგალითი: ანგარიშქვეშ სალაროდან გაცემული თანხა სალაროს ანგარიშიდან ჩამოწერილია და დაეწერა ანგარიშს 050 ხარჯები, ნაცვლად იმისა, რომ ის დაწეროდა ანგარიშს 115 ანგარიშვალდებული პირები. აქ ბუღალტერს შეეძლო დაეშვა არასისწორე გაცემული თანხის მითვისების მიზნით, ვინაიდან თანხა ხარჯებში უსაფუძვლოდ არის გაწერილი. ანდა ბანკიდან ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიღებული ნაღდი თანხა, ნაცვლად იმისა, რომ სალაროს ანგარიშში ჩაეწერა, წინასწარი განზრახვით, არასწორად ჩამოწერილია ხარჯების ანგარიშში, ან რომელიმე დებიტორის (მოვალის) ანგარიშში, ხოლო უფრო გვიან ჩამოწერილია მოუთხოვნელი ვადაგასული კრედიტორული დავალიანების ანგარიშში, ფაქტიურად კი მითვისებულია. თუ რევიზიის ჩამტარებელი ვერ შენიშნავს ან მას არ შეუძლია დაადგინოს ეს უსწორო მოქმედება, ბოროტ-მოქმედებანი გაუხსნელი დარჩება.

რევიზორი, რომელიც ოპერაციების ასეთ უსწორო ასახვას ვერ შენიშნავს თვითონ მიეცემა პასუხისგებაში გულგრილობისათვის ან როგორც ბოროტმოქმედების დამფარავი.

ამიტომ, როგორც წესი, დოკუმენტალურ რევიზიებს ატარებენ სპეციალური რევიზორ-ბუღალტრები. ზოგჯერ, როცა რევიზორები არ ჰყოფნიან, რევიზიის ჩატარებას ავალებენ კავშირგაბმულობის (საწარმოს) სამმართველოს მთავარ (უფროს) ბუღალტრებს¹.

დოკუმენტალური რევიზიის ჩამტარებელს, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი იქნება ის თუ რევიზორი, უფლება აქვს:

დაათვალიეროს ის შენობები, საწყობები და სანახები, სადაც მოთავსებულია ფულადი, ქონებრივ-მატერიალური და სხვა ფასეულობანი; ჩაატაროს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შემოწმება.

შეამოწმოს ფულადი სახსრები სალაროებში და ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭირო იქნება დასახული ამოცანის შესრულებისათვის, როგორცაა: ყველა პირველადი საბუღალტრო დოკუმენტი, საწარმოო და საფინანსო გეგმები, ბალანსები, ანგარიშგებანი, საერთო და დეტალური აღრიცხვის ბარათები, ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები, რევიზიებისა და შემოწმებათა აქტები, ხელშეკრულებები, სარევიზიო საწარმოს ხელმძღვანელობის ბრძანებები და განკარგულებანი;

¹ საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობის ცალკეულ უბნებს შეუძლიათ რევიზია გაუკეთონ იმ პირებმაც, რომლებმაც არ იციან საბუღალტრო აღრიცხვა (სალაროს შემოწმება, დებიტორული დავალიანების მდგომარეობა, საწყობის მეურნეობა, შემოსავლის მიღების სისრულე და სხვ.).

სარევიზიო საწარმოს ხელმძღვანელებსა და მუშაკებისაგან მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი ახსნა-განმარტება, აგრეთვე შესამოწმებელ ოპერაციებთან დაკავშირებული ცნობები;

შეეკითხოს სხვა საწარმოებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან შემოწმოს სინამდვილე იმ დოკუმენტებისა (ანგარიში, ქვითარი, ავიზო, ფულბარათებით ფოლის მიღების შესახებ ხელწერილი და სხვ.), რომლებიც ექვს იწვევენ.

ამოიღონ ნამდვილი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ გამოვლენილ ბოროტმოქმედებას, ყალბი ან საექვო (თანამდებობის პირის მიერ წინასწარ მოფიქრებით ყალბი ან არასწორი ცნობებით შედგენილი, იმავე დროს გადაშლილ-გადმოშლილი, შესწორებული და სხვ.), აგრეთვე უკანონო განკარგულების გაცემის დოკუმენტები. ასეთი დოკუმენტები ამოღებული უნდა იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის! შეიძლება გადამალონ დაინტერესებულმა პირებმა. გარდა ამისა, მხოლოდ ნამდვილი დოკუმენტები წარმოადგენენ რევიზიის მიერ აღმოჩენილ დანაშაულებრივ ან გულგრილი მოქმედების უდაოდ დამამტკიცებელ საბუთს. ნამდვილი დოკუმენტების ნაცვლად სტოვებენ რევიზორისა და შესამოწმებელი საწარმოს მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიერ შემოწკებული ასლს.

სისხლის სამართლის ხასიათის, უდაო ბოროტმოქმედებათა გამოვლინებისას, მასალები გადასცეს სასამართლო—საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავე პირთა სისხლის სამართლისა და მატერიალურ პასუხის-გებაში გადასაცემად¹.

¹ კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაკების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა საქმეების გამო რევიზორები ან სხვა თანამდებობის პირები აწარმოებენ საუწყებო გამოკვლევებს ასეთი შემოწმებისას ეს პირები არ სარგებლობენ საგამომძიებლო ორგანოების მუშაკთა უფლებებით და არ ასრულებენ პროცესუალურ საგამომძიებლო ფუნქციებს; არამედ მხოლოდ გამოავლენენ ბოროტმოქმედებათა ფაქტს, ადასტურებენ ამას დოკუმენტებითა და ახსნა-განმარტებით ამ საქმესთან მონაწილე პირთა შესახებ გამზადებულ მასალებს გადასცემენ პროკურატურის ორგანოებს გამოძიებისა და ბოროტმოქმედების ჩაღწაში დამნაშავეთა სისხლის სამართლისა და მატერიალურ პასუხისგებაში გადასაცემად.

თუ აუცილებელია დაუყვანებლივ ჩატარებულ იქნას საგამომძიებლო ხასიათის ღონისძიების (ჩხრეკის, ძებნის, დაკავების. კავშირგაბმულობის ორგანოების გარეშე მომხმარებელი პირთა დაკითხვის, ქონებაზე ყადაღის დადების და სხვ.) ჩატარება, რისი უფლებაც რევიზორს არა აქვს, მაშინ რევიზორის განკარგულებაში აისებული მასალები, რომლებიც ბოროტმოქმედების ჩადენის ფაქტს ადასტურებენ, დაუყვანებლივ უნდა გადაეცეს პროკურორს.

თუ საჭირო იქნება უნდა დაიხმაროს სარევიზიო ან სხვა ქვემდებარე საწარმოს მუშაკები, აგრეთვე სპეციალისტები და ექსპერტები.

რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულია:

ჩაატაროს დოკუმენტალური რევიზია და სარევიზიო საწარმოში გამოავლინოს ყველა უკანონო ოპერაცია, დარღვევები, ბოროტმოქმედებანი და სხვა მოუწესრიგებლობანი;

რევიზიის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საბჭოთა მთავრობის არსებული კანონებით, ბრძანებულებებით, დებულებებითა და კავშირგაბმულობის სამინისტროს იმ ინსტრუქციებითა და მითითებებით, რომლებიც გადმოგზავნილია რევიზიის დამნიშნავი პირთა მიერ; ცხადია, რევიზორი უნდა იცნობდეს ამ კანონებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებს და თვალყურად ადევნოს მათ ცვლილებებსა და დამატებებს. იმისათვის, რომ სწორად გაეგებოდეს და გამოიყენოს კანონები და ბრძანებები, აგრეთვე სწორად ესწოდეს სარევიზიო საწარმოს საქმეთა ვითარება, რევიზორი, გარდა ამისა, ვალდებულია განუწყვეტლივ მუშაობდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის;

სარევიზიოდ გამგზავრებამდე იგი უნდა გაეცნოს სათანადო საწარმოს წინანდელი რევიზიის აქტს და ამ უკანასკნელის მიხედვით მიცემულ მითითებებს, აგრეთვე დამტკიცებულ გეგმას, ნორმატივებსა და ანგარიშგებებს;

მიიღოს ზომები აღრიცხვაში აღმოჩენილი არეულ-დარეულობისა და ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ;

რევიზიის შედეგები გააფორმოს აქტით (შედგენის წესი ნაჩვენებია ზემოთ), იმავე დროს აქტში შეტანილი ფაქტები—ნაკლოვანებების, დანაკლისებისა, მტაცებლობისა და დარღვევების შესახებ დასაბუთებული უნდა იქნას საბუღალტრო დოკუმენტებითა და ფაქტიური მონაცემებით.

რევიზორი ვალდებულია ბოლშევიკური სიჯიბილით თვალყური ადევნოს სახელმწიფო ფასეულობათა დაცვას; არ დაფაროს გამოვლინებულ დარღვევანი და ბოროტმოქმედებანი; არც ერთი უხარისხო საბუთი არ უნდა დატოვოს ყურადღების გარეშე, დააყენოს ის ექვის ქვეშ და შეისწავლოს ბოლომდე; თავის მუშაობაში უნდა იყოს შეურიგებელი საფინანსო დისციპლინის უკანონო ოპერაციებისა და დარღვევებისადმი.

რევიზორი ვალდებულია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდეს მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით—„არ ზოგაედეს ცალკეულ პირებს, რა მდგომარეობაც უნდა ეყავოთ მათ, ზოგაედეს მხოლოდ საქმეს, მხოლოდ საქმის ინტერესებს“ (ი. ბ. სტალინი, თხუზულებანი, ტ. IV, გვ. 40!).

24. საბუღალტრო აღრიცხვა

რევიზორი პასუხს აგებს:

მიცემული დაკალების დროზე შეუსრულებლობისა და მის მიერ ჩატარებული რევიზიის არასაკმაო სისრულისათვის;

საქმის ნამდვილი მდგომარეობის არასწორად გაშუქებისათვის აქტში, ფაქტების გადამაზინჯებისა და გამოყვანილი დასკვნების არაობიექტურობისათვის;

მის მიერ გამოვლინებულ დარღვევების, დანაკლისისა და ბოროტმოქმედებათა დაფარვისათვის;

მისი უფლებებსა და მოვალეობისაგან გამოპდინარე ზომების მიუღებლობისათვის.

სამმართველოებისა და დაწესებულებების ის ხელმძღვანელები, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში ჰყავთ რევიზორთა შემადგენლობა, ვალდებული არიან:

ჩამოაყალიბონ და წარმართონ რევიზორების მუშაობა;

უზრუნველყონ რევიზიის გეგმის შესრულება;

რევიზორები გამოიყენონ მხოლოდ მათი პირდაპირი დანიშნულები-სამებრ და ინსტრუქტაჟი გაუკეთონ მათ;

რევიზიების ჩატარების შედეგების მიხედვით დროულად გააკეთონ ორგანიზაციული დასკვნები დარღვევათა და ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად და მათ აღსაკვეთად;

სისტემატური კონტროლი გაუწიონ რევიზიების მიხედვით მიცემული მითითებების შესრულებას;

შეუქმნან რევიზორებს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ფინანსური დისციპლინისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შესახებ სებქოთა კანონებისა და წესების დაცვაში.

7. რევიზიის ჩატარების თანმიმდევრობა

რეკომენდებულია მუშაობის ასეთი თანმიმდევრობა:

1. დოკუმენტალური რევიზიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფულადი საშუალებების შემოწმება. რევიზიების ჩატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ადგილი აქვს ფულის გაფლანგვასა და დატაცებას, დამნაშავეები ყოველთვის ცდილობენ ფულის დანაკლისი დამალონ, აგრეთვე რევიზიის წინ ან თვით ამ რევიზიის დროს დანაკლისი დაფარონ გარეშე წყაროების ხარჯზე. იმისათვის, რომ ეს არ იქნას დაშვებული, საჭიროა სალაროს უეცარი, მოულოდნელი შემოწმება, რომ სარევიზიო საწარმოს არც ერთმა მუშაკმა არაფერი იცოდეს

მომავალი რევიზიის შესახებ. ამისათვის სალაროს შემოწმება საქირთა მოეწყოს უცბად, სარევიზიო ორგანიზაციაში მისვლისთანავე, ე. ო. საწარმოს ხელმძღვანელს წარედგინოს დოკუმენტები რევიზიის ჩატარების უფლების შესახებ და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შემოწმდეს სალარო (წესი ნაჩვენებია ქვემოთ).

2. სალაროს შემოწმების შემდეგ საქირთა საწარმოს დებულების (წესდების), დოკუმენტების, ხელმძღვანელთა დანიშვნის გაფორმების დოკუმენტების, გეგმებისა და უკანასკნელ საბუღალტრო ანგარიშების გაცნობა (თუ ეს არ იყო გაკეთებული რევიზიის ადგილას გამგზავრებამდე).

3. საორგანიზაციო სტრუქტურის, მისი ძირითადი ფუნქციების, სამსახურის განლაგების, მუშაკთა სიების და საწარმოს პასუხისმგებელ მუშაკებთან პირადად გაცნობა.

4. საქმიანი კავშირის დამყარება საწარმოს ხელმძღვანელთაზან პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და მათი საშუალებით აცნობს საწარმოს ყველა მუშაკს რევიზიის ჩატარების შესახებ იმ მიზნით, რომ ნაკლოვანებების შესახებ მათ მიმართონ რევიზორებს შეკითხვებით, საჩივრებითა და ნითითებებით.

5. შემდგომი სარევიზიო მუშაობის ჩატარებისათვის გეგმა-გრაფიკის შედგენა, მასში შემდეგი განაყოფების აღნიშვნით:

ს ა ხ ე მ წ ი ფ ო გ ე გ მ ე ბ ი ს (შეკოსაველების, ხარჯების, კაპიტალურ დაბანდებთა) შესრულების შემოწმება. აქ აუკილებლად საქირთა გამოვლინებულ იქნას უფრო ჩამორჩენილი და ცუდი მაჩვენებლების მქონე უბნები, რომ მერე განსაკუთრებული ყურადღებით შემოწმდეს ამ უბნების დოკუმენტები, არასასურველი მდგომარეობის ნამდვილი მიზეზების შესწავლისათვის.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა (ყოველი ბალანსისა ცალ-ცალკე);
ს ა წ ყ ო ბ ე ბ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობა.

ს ო ც ი ა ლ ის ტ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს და ც ვ ის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ის შ ე მ ო წ მ ე ბ ა (სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ძირითადი საშუალებათა შენახვისათვის პასუხისმგებელ პირთა სახეზე მყოფობა. გაფლანგვის შემთხვევების, დატაცების და სხვ. ანალიზი).

ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო - ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი და შეფასება, როგორიცაა: დებიტორები, კრედიტორები, ზარალი, მოგება, ნორშირებული სახსრები, ფონდები, დამხმარე მურნეობანი და სხვ.

საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზებისა და მისი მდგომარეობის შემოწმება.

შესამოწმებელ მეურნეობაში მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ სარევიზიო საქმის შემოწმება.

წინათ ჩატარებული რევიზიის წინადადებათა შესრულების შემოწმება.

მუშაობა უნდა დამთავრდეს სარევიზიო აქტის შედგენით.

8. დოკუმენტაციის შემოწმების მეთოდები

მთლიანი რევიზიის დროს (იხ. 5. „დოკუმენტალური რევიზიის სახეები და მეთოდები“) ამოწმებენ ყველა დოკუმენტს იმ წესით, როგორც ისინი ჩაკერებულია საქმეებში, ე. ი. შეურჩევლად, გამოუყოფლად, მაგალითად, თავდაპირველად ხელფასის დოკუმენტებს, მერე დოკუმენტებს ფოსტის გადაზიდვის ხარჯების შესახებ, კაპიტალური რემონტისა და სხვ. შესახებ.

ყველა დოკუმენტს სინჯავენ რიგრიგობით და ყოველ დოკუმენტს ამოწმებენ როგორც ჩატარებული სამეურნეო სამუშაოს ოპერაციების სისწორის, ისე აღრიცხვაში გაფორმების და ასახვის სისწორის მხრივაც. შემოწმების პროცესის დროს წამოჭრილი შენიშვნები უნდა დაჯგუფდეს. ასეთ მეთოდს შეიძლება ეწოდოს შემოწმება — დოკუმენტებიდან აღრიცხვისა და აქენ. ასეთი მეთოდის დროს ამა თუ იმ ხასიათის მუშაობის ცალკეული უბნის ან ხარჯის (კაპიტალური რემონტი, ფოსტის გადაზიდვა, ხელფასის ფონდი, საკლიენტო დავალიანება და სხვ.) დახასიათებისა და სააღრიცხვო მაჩვენებლების დაზუსტებისა, ან ახსნა-განმარტების დახასიათებისათვის, რევიზიის ჩამტარებელს უხდება შერჩევით გადასინჯოს და გამოიყენოს საჭირო დოკუმენტები (მათ შორის დეტალური აღრიცხვის ბარათები, ბრუნვათა უწყისები და სხვ.).

შერჩევითი რევიზიის დროს იყენებენ დოკუმენტების შემოწმების მეორე მეთოდს — აღრიცხვის მაჩვენებლებიდან დოკუმენტების აქენ; ამ შემთხვევაში ჯერ სინჯავენ საბუღალტრო აღრიცხვის მაჩვენებლებს საერთო და დეტალური აღრიცხვის უწყისებისა და ბარათების მიხედვით, იქედან იღებენ ამა თუ იმ ცნობებს, ამოიწერენ იმ გატარების ნომრებს, რომელთა არსის შემოწმება პირველად დოკუმენტების მიხედვით აუცილებლად მიაჩნია რევიზიის ჩამტარებელს, რის შემდეგ ამოწმებენ ცალკეულ დოკუმენტებს.

დოკუმენტების რაოდენობას, ოპერაციების მოცულობასა და სარევიზიო ობიექტის თავისებურებასთან დაკავშირებით რევიზორს ზოგჯერ ეძლევა დავალება მთლიანი წესით რევიზია გაუკეთოს.

წლის რამდენიმე თვეს, ხოლო დროის დანარჩენ მონაკვეთზე შერჩევითი რეეიზია ჩატაროს. უმცირესი შრომის დახარჯვით საუკეთესო შედეგებს აღწევენ ის რეეიზორები, რომლებიც, თავდაპირველად მთლიანი წესით ამოწმებენ 2—3 თვის დოკუმენტებს, ამავე წესით გამოავლენენ სახელდობრ იმასაც, თუ რომელ უბნებშია ჩადენილი ბოროტმოქმედება, სად არის დარღვევა ან უსწორობა, და ამ მონაცემების საფუძველზე, შემდგომში შერჩევითი წესით (დეტალური აღრიცხვის ბარათებიდან დოკუმენტებისაკენ) ამოწმებს მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან რეეიზორისათვის საინტერესო უბნებს.

თუ წინანდელი რეეიზია მოიცავდა დროს, დაეუშვათ, 1949 წ. 1-ლ იანვრიდან 1950 წ. 15 იანვრამდე ჩათვლით, მაშინ ახალი რეეიზიის დროს დოკუმენტები უნდა შემოწმდეს 1-ლ იანვრიდან და არა 1950 წ. 16 იანვრიდან, და არავითარ შემთხვევაში 1-ლ თებერვლიდან.

9. რეეიზიის მიერ გამოვლინებულ დაკლვებათა კლასიფიკაცია და რეეიზორებისა

რეეიზიის მსვლელობაში ვლინდება დარღვევები და სხვადასხვა ხასიათის არასწორი მოქმედებანი. იმისათვის, რომ ისინი არ გამოგვეპაროს, აღინიშნოს აქტში, დასაბუთდეს აქტის ჩანაწერები, რეეიზორი ვალდებულია უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები ჩაწეროს. თუ ეს უსისტემოდ ვაკეთდა, ჩანაწერების დამუშავებისათვის მათი განზოგადებისა და აქტის შედგენისათვის ძალიან დიდი დრო დასჭირდება. მუშაობის შემსუბუქებისათვის საჭიროა ეს დარღვევები ჩაეწეროს ამ მიზნისათვის წინასწარ განზადებულ უწყის-ნუსხაში შემდეგი სახით:

ნუსხა-დანაკლისების, გაფლანგვების, სიყალბის, მითვისებისა, უკანონო და უყარათო ოპერაციებისა და ხარჯებისა, საფინანსო, სახარჯთაღრიცხვო, საშტატო დისციპლინის დარღვევისა,

არასწორად გაფორმებული დოკუმენტებისა, აღრიცხვასა და ანგარიშგებებში არასწორად ნაჩვენები ოპერაციებისა.

ნუსხებში ჩაწერა წარმოებს თანმიმდევრობითი წესით, ქვემოთ მოყვანილი ფორმითა და ყოველი ბალანსის მიხედვით ცალკე. დარღვევათა დიდი რაოდენობის შემთხვევაში სასურველია შენიშვნები დაჯგუფდეს

დარღვევათა ერთგვარი ხასიათის მიხედვით. ყოველი ჩანაწერი დასტურდება იმთ, რომ აღინიშნება დრო და ნომერი ბუღალტრული გატარებისა..

№ პირობები	საბუღალტრო ჩანაწერი	დარღვევის	დოკუმენტი	ვისი განკარგულებით, ან ვისი მიხედვით არის დაშვებული დარღვევა	შენიშვნა
	გატარების წელი, თვე და ნომერი	მოკლე შინაარსი	რის თანხა		
1.		I. ექსპლუატაციის ბალანსით			
2					
3	და ა. შ.				
1.		II. ფულბარათების ბალანსით			
2					
3	და ა. შ.				

როდესაც აღნიშული წესით ატარებს მუშაობას, მაშინ შემოწმების დამთავრებისთანავე რევიზორს უკვე აქვს გამზადებული დანართი აქტისათვის დაწერილებითი ფაქტიური მასალით, რომლიდან საჭიროა მხოლოდ გაკეთდეს და ჩაიწეროს საქმის დამახასიათებელი განზოგადოებული დასკვნები, ისე რომ ტექსტში არ ჩამოეთვალოთ სიაში აღნიშნული ფაქტები და შენიშვნები.

ვსარგებლობთ რა, 1947 წ. გამოცემული კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციით ფინანსური კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ და აგრეთვე 1947 წ. დამტკიცებული დებულებით მთავარი (უფროსი) ბუღალტრის შესახებ, მოგვეყვას აქ მოკლე უკანონო ხარჯებისა და დარღვევების უფრო ტიპური მაჩვენებლები.

უკანონო და უყაიხათო ოპერაციებსა და ხარჯებს ეკუთვნის:

მოცემული საწარმოს ან ორგანიზაციის დებულებით გაუთვალისწინებელი ოპერაციები და ხარჯები, მაგალითად, მგზავრების გადაყვანა კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორის ფოსტასთან ერთად;

საწარმოს თინანსური გეგმით გაუთვალისწინებელი ოპერაციები და ხარჯები, მაგალითად, კაპიტალური დაბანდება საექსპლოატაციო სახსრებიდან ან შემოსავლიდან;

სასარჩეო ვადის გამოტოვების გამო ვალების ჩამოწერა; ზარალი საბინაო კომუნალური მეურნეობის დარგში, ზარალი მისაღებისა და საქონლის რეალიზაციის დარგში;

მოწყობილობების, მისაღების, ხელსაწყოების გაფუჭება ექსპლოატაციასა და წარაგში ცუდად შენახვის ან მათ თიწართ დაუღვევრად მოპყრობის გამო;

ოთახის ან საწარმოს ქონების პირადი სარგებლობისათვის უფასოდ გამოყენება;

აუცილებელი დოკუმენტების გარეშე საქვეანგარიშო თანხების ან სხვა მისაღების დაუსაბუთებლად ჩამოწერა ხარჯებში;

დახმარებების, საგზურების, პრემიებისა და სხვა თანხების გაცემა დაფინანსების სათანადო წყაროს არსებობის გარეშე ან აღნ-შნული მიზნებისათვის თანხების გაცემა დაწესებული ნორმების გადამეტებით, პრემირება საამისო ბრძანების გარეშე;

დაუსაბუთებლად ფულადი და მატერიალური სახსრების ხარჯვა;

საშემოსავლო სახსრების საბრუნავ სახსრებად გადაქცევა;

სახსრების გამოკენება არაპირდაპირი დანიშნულებით (მაშინაც კი, როცა ამას დროებითი გასესხების ხასიათი აქვს);

აფანსების გაცემა ხელფასის ანგარიშში;

მისაღების შექენა მალაზიის ანგარიშის გარეშე;

საცხოვრებელი სახლის შექენა სადაზღვევო უფასების გადამეტებით;

კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი თანხის არაპირდაპირი დანიშნულებით ხარჯვა;

კერძო პირებისათვის პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვის დანუშავების გადაცემა;

უფრო მეტი ხელფასის გაცემა, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული საშტატო განრიგით (თუნდაც ეს იყოს დაუკომპლექტებელი შტატის ხარჯზე);

სახელმწიფო დაწესებულებების, ან კერძო პირების ნაღდი ფულით აფანსირება;

გადასაყვანი თანხის გაცემა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 19/X ბრძანებულებით, ინვინრების, ტექნიკოსებისა და ხელოსნების ერთი წარმოება-დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის წესის შესახებ, თუ გადაყვანის ბრძანება არ ემყარება ამ ბრძანებულებას;

დაწესებული გადასახადების დაუკავებლობა;

ძირითადი საშუალებების, მასალებისა და სხვ. გაყიდვა;

უმრავლესობა ამ აღნიშნულ უკანონო ოპერაციებიდან უშუალო ზარალს აყენებენ სახელმწიფოს (ბინით უფასო სარგებლობა, პრემიებისა და დახმარების გაცემა სათანადო სახსრების უქონლობის შემთხვევაში, გადიდებული განაკვეთით ხელფასის გაცემა, გადასახადების დაუკავებლობა და სხვ.); მიყენებული ზარალის თანხა უნდა აღინიშნოს აქტის სიასა და ტექსტში.

საფინანსო, სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის დარღვევებს მიეკუთვნება:

გადახარჯვები ხარჯთაღრიცხვით;

ფინანსთა სამინისტროსა და სახბანკის წესებით დადგენილ ნორმებზე გადამეტებით ნაღდი ფულის გადახდა;

უფრო მეტი მუშაკების ყოლა და შენახვა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია შტატით;

ლინიტზე გადამეტებით ფულადი ნაშთების გაჩერება სალაროში;

ბანკიდან ნაღდად მიღებული თანხების არა თავისი დანიშნულების მიხედვით ხარჯვა;

გამოუყენებელი ნაღდი ფულის ბანკში დაბრუნების დაგვიანება;

საქვეანგარიშო თანხის გაცემისა და დაბრუნების წესის დარღვევა;

საბრუნავი თანხების ნორმატივების დარღვევა;

მუშაკებისაგან დაკავებული გადასახადებისა და სესხიდან შემოსული თანხების ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში არადროულად გარიცხვა;

საშემოსავლო თანხების არადროულად ჩაბარება სახბანკის ნულანგარიშზე და სხვ.

10. სალაროსა და სალაროს (ფულადი) ოპერაციების ჩვენი

სალაროს რევიზიის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ნდობით აღჭურვილი პირი ან დაწესებულება დარწმუნდეს ფულად და სხვა ფასეულობათა ხელუხლებლობაში.

სალაროს რევიზია წარმოებს შოლარის და სარევიზიო საწარმოს წარმომადგენლის—უფროსის ან მთავარი (უფროსი) ბუღალტრის (ან მისი მოადგილის) დასწრებით.

თუ საწარმოში არსებობს რამდენიმე სალარო, რევიზია ტარდება ყველა სალაროში ერთდროულად, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, იმ შემ-

თხვევებში რევიზიის დაწყებამდე სალაროები ილუქება, რათა აღკვეთილ იქნას ფულის (ფასეულობათა) გადანაცვლება ერთიდან მეორე სალაროში, დანაკლისის კვალის დაფარვის მიზნით.

კავშირგაბმულობის იმ საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ საფოსტო ოპერაციებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ აწარმოებს რევიზიას, — კავშირგაბმულობის ბუღალტერიის წარმომადგენლები, ფულბარათების საკონტროლო ბიურო, სარევიზიო-საინსპექტორო განყოფილება ან სხვა ვინმე, — სალაროს რევიზიამ უნდა მოიცვას საწარმოს მთელი თანხა: საფულბარათო, საექსპლოატაციო (შემოსავალი და ხარჯების თანხები), პერიოდული გამოცემების და წიგნებისა და გაზეთების ცალკობით გაყიდვისაგან მიმოსული თანხები, აგრეთვე საფოსტო გადასახადების ნიშნებიც.

აუცილებლად უნდა გამოირკვეს, მოლარე მომსახურებას ხომ არ უწევს სხვა დაწესებულებებს, კერძოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და შესანოწმებელ სალაროში ხომ არ ინახება მათი თანხები; ასეთ შემთხვევაში ეს გარემოება მხედველობიდან არ უნდა გაიშვას. იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც მოლარე მომსახურებას უწევს, მიღებული უნდა იქნას სალაროს წიგნები ან ცნობა ფუქვადი ნაშთის შესახებ.

სალაროს რევიზია მდგომარეობს ნაღდი ფულის და სხვა პირობით ფასეულობათა (საფოსტო გადასახადების ნიშნები, ბლანკები, მარკიანი კონვერტები, აგრეთვე სახელწიფიუო სესხების ობლიგაციები და სხვ. ფასიანი ქაღალდები) ნაშთების მოხანაში (გადაანგარიშებაში) და მათი დაქვიურა ღირებულების სალაროს დავთარში (სალაროს დავთრების) ჩანაწერებასა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებთან შედარებაში. შეუამოწმებელი თვეების განაჯვლობაში საბუღალტრო დავთრებში აღრიცხვის უქონლობამ სალაროს ნაღდი ფულის შემოწმება არ უნდა შეაფერხოს.

თელიან და წერენ ფულსა და სხვა ნაღდ ფასეულობებს, აგრეთვე სალაროში აღმოჩენილ და ჯერ კიდევ სალაროს დავთარში აღმოჩენილ ყველა სწორად გაფორმებულ ხარჯებსა და შემოსავლის დოკუმენტებს.

კრედიტების განკარგულებელსა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელის მოწერით გაფორმებული ფულის მიღების კერძო ხელწერილები, კანონიერ გასამართლებელ საბუთად არ ითვლება; ამ ხელწერილებით გაცემული თანხები ითვლება დანაკლისად (მიუხედავად ამისა აქტში უნდა აღინიშნოს ამ დანაკლისის ხასიათი).

ნაღდი ფულის დათვლისა და საფოსტო გადასახადის ნიშნების დათვლისას ყველა ბანდეროლიანი შეკვრები უნდა გაიხსნას.

სახელწიფო სესხების ობლიგაციებს, ყოველ ცალკე სესხის თანხის გარდა ამოწმებენ ნომრების მიხედვით მათ სახეზეყოფობას.

რევიზიის ჩამტარებელმა პირადად უნდა შეამოწმოს ყველაფერი. რაც კი არის სასალარო სანახები—ფულის კარადები, ყუთები, ზანდუკები, სეიფები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი რევიზორი ამოწმებს სალაროს, აღმოჩენილ ფულსა და ღირებულებას ადარებს სალაროს დაეიარში (სალაროს დავთრებს) ჩანაწერების შემოწმების დღისათვის, ხოლო სალაროს დოკუმენტებს მიმდინარე თვის 1-ლ რიცხვიდან არ ამოწმებენ. მაგალითად: რევიზია დაიწყო 1950 წ. 20 იანვარს, სალაროს ნაშთი შედარებულია კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორის სალაროს დავთრებთან 1950 წ. 20 იანვრისათვის, ხოლო დოკუმენტები მოწმდება 1949 წ. 1-ლ იანვრიდან 31 დეკემბრამდე. დოკუმენტები 1-დან 20 იანვრამდე არ მოწმდება. ასე არ უნდა გაეკეთათ. აუცილებლად საჭიროა, სავალდებულო წესით, სალაროს შეიწმენების შემდეგ პიოველ რიგში შემოწმდეს მიმდინარე თვის ყველა პირველადი სალაროს დოკუმენტი, განსაკუთრებით გულდასმით კი რევიზიის ჩატარების წინა დღეებისა, ჩვენ მიერ აქ მოყვანილ შემთხვევაში 1-დან 20 იანვრამდე ჩათვლით; აუცილებლად საჭიროა ამ დღეების ყველა ანგარიშის ამონაწერების მიღება ბანკიდან. აგრეთვე ამ დღეების ჩანაწერების, ჯამების და სალაროს დავთრებში ნაშთების გადაჯანის შემოწმება იმ ვარაუდით, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ რევიზიის წინა დღეებში ადგილი არ ჰქონია ბანკიდან მიღებული ფულის გაუტარებლობას, კავშირგაბმულობის განყოფილებიდან მიღებული ფულბარათების თანხების გატარების დაკლების ან იიღებულ ფულბარათებისათვის სხვადასხვა გადასახადთა გაჯაოების ჩაწერის შემცირებას, ან პირიქით, დოკუმენტებით დაუსაბუთებელი ხარჯების გადიდებულად ჩამოწერას სალაროს დავთრებში.

ფოსტამტების, კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებისა და სხვ. საფოსტო საწარმოებში რევიზიის ჩატარებისას აღნიშნული შემოწმება უნდა ჩატაროს რევიზიის მწარმოებელმა ფულბარათების ოპერაციების ნაწილშიც სალაროს დავთრის ჩანაწერების ფორმა № 5 რეეულის ჩანაწერებთან და № 10 რეესტრთან შედარების გზით, ხოლო უკანასკნელების მონაცემთა სისწორე უნდა გამოარკვიოს ნიღბულ და განაღდებულ ფულბარათებთან შედარებით (თუ ყველა მიღებული ფულბარათი გადაგზავნილია, მაშინ შედარება წარმოებს იმ რეესტრების ასლებთან, რომლებთან ერთად ფულბარათები გადაგზავნილია უკანასკნელ დღეებში);

მან უნდა შეამოწმოს რეესტრების დღიური ჯამები;

არის თუ არა ყველა განაღდებული ფულბარათის უწყებები;

ადრესატებთან მისვლის, თუ მათი გამოძახების საშუალებით შეამოწმოს ხელწერილების სინანდელი ფულის ჩაბარების დასადასტურებლად განადღებული ფულბარათების მიხედვით (უფრო დიდი რაოდენობის თანხები და ადგილობრივი ფულბარათები);

შემოწმოს ადრესატებისათვის შინ მისატანად ფოსტალიონებზე, რიცხული თანხების რეალურობა;

რევიზორი უნდა დარწმუნდეს, რომ ფულის მიღებისა და გაცემის ყველა ჩანაწერი სწორია სალაროს დაეთრებში და სალაროს საბუთებში.

განსაკუთრებული დაკვირვებით უნდა შემოწმდეს ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ბანკიდან და ქვემდებარე განყოფილებებიდან მიღებული ფულის სწორ და დროულად გატარებას შემოსავალში; ასევე გულდასმით უნდა შემოწმდეს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ფულის ბანკში ჩაბარებისა და მათი კავშირგაბმულობის განყოფილებებში გაგზავნის რეალურობას (მაშველ და ნამეტ ფულბარათების და სხვ. თანხებისა).

საფოსტო გადასახადთა ნიშნების, რომელიც სალაროს შემოწმებისას ფულადი ნიშნების თანაბარია, მდგომარეობის სწორად გამორკვევისათვის რევიზიის ჩამტარებელმა ადგილზე გამგზავრებისას მარკების ბაზიდან თან უნდა წაიღოს ცნობები ამ ბაზის მიერ გადაგზავნილი ნიშნების გადაგზავნის დროის, რაოდენობისა და მათი ღირებულების შესახებ, ხოლო ადგილზე კი უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ყველა ისინი თავის დროზე გატარებული შემოსავალში. რევიზორმა უნდა შეადაროს აგრეთვე სახეზეყოფი გადასახადების ნიშნები და ბლანკები და ამ ნიშნებისა და ბლანკების გაყიდვიდან შემოსული ფული საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებთან (ბალანსგარეშე ანგარიში—საფოსტო გადასახადთა ნიშნები და საბალანსო ანგარიში—საექსპლოატაციო შემოსავალი § 1. მუხ. 4—საგადასახადო ნიშნების საფასური).

თუ ფაქტიურად აღმოჩენილი ნაღდი ფულისა და ფასეულბაიან ნაშთების შედარება დაეთრებში გამოყვანილ ნაშთთან გვაჩვენებს ამა თუ იმ მხრივ სხვაობას, მაშინ რევიზიის ჩამტარებელი დაკვირვებული შეკომების შემდეგ მატერიალურად პასუხისმგებელი პირისაგან მოითხოვს წერილობით ახსნა-განმარტებას. სახეზე არსებულზე გადამეტებით აღმოჩენილი თანხები ტარდება შემოსავალში, ხოლო დანაკლისი კი ჩამოიწერება დამნაშავეის ანგარიშზე. დანაკლისის გამოვლინების შემთხვევაში იღებენ ზომებს მათი დაუყოვნებლივ ანაზღაურებისათვის; თუ დანაკლისი მნიშვნე-

ლოვანია, მაშინ დამნაშავე მოლარე (ან სხვა პირი) იხსნება თანამდებობიდან და საქმე გადაეცემა საგამომძიებლო ორგანოებს.

გარდა იმისა, რომ მოწმდება ფულისა და სხვა ფასეულობების პირდაპირი ხელუხლებლობა და დაცვა, ამოწმებენ აგრეთვე მათი ხელუხლებლობის პირობებსაც, ამ მხრივ შეისწავლიან:

უზრუნველყოფილია თუ არა ფულის შენახვა სალაროში (საკუქნაოს მოწყობილობა, ცეცხლგამძლე კარადა, დალუქვა, მეორე გასაღების შენახვა, იზოლირებულია თუ არა სალაროს შენობა, დაცვა არასამუშაო დროს და სხვ.);

უზრუნველყოფილია თუ არა ფულის დაცვა გზაში კავშირგაბმულობის საწარმოსა და ბანკს შორის, დაქვემდებარებულ განყოფილებებში გადაგზავნისა და უკან გადმოგზავნის დროს;

ყოველდღიურად წარმოებს თუ არა კავშირგაბმულობის სალაროს შემოწმება;

სალაროში ნაღდად არსებული ფულის ნაშთი შეესაბამება თუ არა დადგენილ ლიმიტსა და მათზე მოთხოვნილებებს. დადგენილ ლიმიტზე გადაშეტებით სალაროში ფული შეიძლება იყოს მხოლოდ ხელფასისა და სტაჰენდიების დასარიგებლად. ამ შემთხვევაშიც სალაროში თანხის გაჩერება შეიძლება მხოლოდ მისი ბანკიდან მიღების დღიდან სამი დღის განმავლობაში;

თავის დროზე აბარებენ თუ არა შემოსავალსა და ამონაგებ ფულს საწარმოს სალაროსა და საბბანკს სათანადო ანგარიშზე;

აქვს თუ არა მოლარეს მითითება იმის შესახებ, თუ ვის აქვს უფლება ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, აქვს თუ არა მას კრედიტების განმკარგულებლის, წთვარი (უფროსი) ბუღალტრის ხელის მოწერა, აქვს თუ არა მოლარეს თანამდებობითი ინსტრუქცია და როგორ სრულდება ეს ნითიეებები.

მოლარის თანამდებობას ხომ არ ასრულებს ბუღალტერიის მუშაკი, რომელსაც უულება აქვს ხელი მოაწეროს სალაროს დოკუმენტებს (ეს აკრძალულია სალაროს დებულებით); იქ, სადაც ეს უკანონოდ დაშვებული იყო, ყველა სალაროს ოპერაცია და საბუთი განსაკუთრებული გულდასნით უნდა გაისინჯოს.

სალაროს რევიზიის შესახებ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერს რევიზორი, მოლარე და საწარმოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი. აქტს დაახლოებით ამ ფორმით ადგენენ:

აძტი

კავშირგაბმულობის ორლოვის ოლქის ივანოვისკის კანტონის სალაროს რევიზიისა, რომელიც ჩატარებულია 1950 წ. 15 აგვისტოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოს რევიზორის ი. ვ. პეტროვის მიერ მოლარე ნ. ნ. ფეოდოროვის და უფროსი ბუღალტრის ვ. ს. კრასნოვის თანდასწრებით.

აღმოჩენილია:

ნაღდი ფული	10 530 მან. — კაპ.
აქციატებული ჩევიბი ს ა მ ი	5500 მან. — კაპ.
სალაროს დაუთარში გაუტარებელი ბარჯების დოკუმენტები № 101-დან № 107-მდე ჩათვლით	140 მან. 50 კაპ.
ფულბარათების საგასავლო ბალანსით ხუთი განაღდებული ფულბარათი	2300 მან. — კაპ.

სულ ფული და საგასავლო საბუთები 18 470 მან. 50 კაპ.

ნაშთი საექსპლოატაციო ბალანსის სალაროს დავთარში	1500 მან. — კაპ.
ნაშთი ფულბარათების ბალანსის სალაროს დავთარში	2500 მან. — კაპ.
საექსპლოატაციო ბალანსის სალაროს დავთარში გაუტარებელი შემოსავლის დოკუმენტები № 45-დან № 48-მდე ჩათვლით	3090 მან. 50 კაპ.
მიღებული ფულბარათები შვიდი	11 380 მან. — კაპ.

სულ ნაშთი სალაროს დავთრებისა გაუტარებელ დოკუმენტებიანად 18 470 მან. 50 კაპ.

ხაფოხტა გადახახადების ნიშნები

ა რ ი ს ა ხ ე ხ ე	აღრიცხვის მიხედვით უნდა იყოს
მარკები 25 375 მან. — კაპ.	25 375 მან. — კაპ.
ღია ბარათები . 1 225 " "	1 225 " "
ბლანკები 360 " "	380 " "
სულ 26 960 მან.	26 980 მან.

ამგვარად, სალაროში სახეზე არსებული თანხა უდრის სალაროს დავთრებისა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს*.

* თუ გამოირკვევა, რომ არ შეეძლება, მაშინ აქტის ამ ადგილს ემატება: „სა-
ნამეტი“
ლაროში არის — დანაკლისი — და აღინიშნება ნაშეტის ან დანაკლისის ჯამი. სიტყვა.
რომელიც საჭირო არაა, უნდა წაიშალოს.

რევიზიის ჩატარების წინა სამი დღის პირველად დოკუმენტების შემოწმებით დადასტურებულია, რომ სალაროს ჩანაწერები ეთანხმება ამ დოკუმენტებს.

ან—სალაროს რევიზიის დროს პირველადი დოკუმენტების შემოწმებისას, დადგენილია სალაროს დავთოებში არასწორი ჩაწერის შემთხვევები, რის შესახებ დაწერილებილია აღნიშნული რევიზიის საერთო აქტის განაყოფი: „გაფლანგვები და დატაცებანი“.

ამასთან ერთად რევიზია აღნიშნავს:

1) სალაროს შემოწმება წარმოეცა ყოველ დღე (ან რამდენიმეჯერ თვეში),

2) ფულადი სახსრების სწორად შენახვა უზრუნველყოფილია,

3) სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქცია მოლარეს აქვს
არა აქვს.

მატერიალური პასუხისმგებლობის ვალდებულება მოლარისაგან ჩამორთმეულია. სხვადასხვა შენიშვნები.

ხელის მოწერა	{	რევიზორი	(პეტროვი)
		ფფრ. ბულალტერი	(კრასნოვი)
		მოლარე	(ფეოდოროვი)

კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში, ისე როგორც სხვა სახელმწიფოებრივი საწარმონი და დაწესებულებები თავიანთ ფულად სახსრებს ინახავენ სახბანკის ანგარიშსწორების ანგარიშებზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კი კომუნალურ ბანკში. ანგარიშსწორების ანგარიშებიდან წარმოებს ხარჯები და ანაღდებენ ვალდებულებებს. საწარმოებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ თავიანთ სალაროებში იქონიონ ნაღდი ფული მხოლოდ ისეთი ხარჯების გასაწევად, რომელთა წარმოება უნაღდო ანგარიშსწორების, ე. ი. ბანკის მეშვეობით არ შეიძლება.

კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოებში სალაროს ოპერაციებს აღდი ადგილი უქირავთ. ეს ოპერაციები მეტად სხვადასხვა სახისაა, მასში მრავალი მუშაკი მონაწილეობს. მიმდინარე ხარჯებისათვის ბანკიდან მიღებული თანხის გარდა (ხელოფასი, ავანსები ანგარიშვალდებულ პირობებს და სხვ.). სალაროში გაივლის კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის შემოსული გადასახდელი, თულის ბარათების თანხები, ხელის მოწერის თანხები და წიგნებისა და გაზეთების ცალობით გაყიდვიდან შემოსული თანხებიც. შემოსული და დახარჯული თანხების ბრუნვა მეტად დიდია, ძალზე დიდია სალაროს დოკუმენტების რიცხვიც. ამიტომ დოკუმენტალური რევიზიის დროს სალაროს დოკუმენტების შემოწმება წარმოადგენს რევიზორის მუშაობის ერთ-ერთ მეტად ძნელსა და საპასუხისმგებლო უბანს.

როგორც ჩვენს მიერ უკვე დადგენილია, სალაროს შემოწმებისას, კონტროლის ქვეშ ტარდება მხოლოდ რამდენიმე მახლობელი დღის დოკუმენტები, ეს იმიტომ, რომ დავრწმუნდეთ რევიზიის დღეს მოლაპესთან დარჩენილი ფულადი სახსრის ნაშთის სისწორეში. მთელი საჩვევბიო პერიოდის სალაროს პირველადი დოკუმენტების შეკოწმება რევიზორისაგან დიდ დროს მოითხოვს. იქ, სადაც სხვა დოკუმენტებისაგან გამოცალკევებით აპუშავებენ და კინძავენ სალარო დოკუმენტებს, რევიზორს საშუალება ეძლევა სალაროს რევიზიის ჩატარების უმაღლვე შეუდგეს სალაროს ყველა ოპერაციისა და დოკუმენტების კონტროლს და რამდენიმე დღის განმავლობაში შეამოწმოს ისინი. სხვა საწარმოებში, სადაც სალაროსა და შემორიალურ დოკუმენტებს ამუშავებენ და ერთად აჯგუფებენ (ერთ საერთო საბუღალტრო გატარებასა და საერთო საქმეში), დოკუმენტების თანმინდევრობითი წესით შემოწმებასთან ერთად რევიზორს უხდება, სხვა ოპერაციებთან ერთად გზადა-გზა სალაროს ოპერაციის შემოწმებაც რევიზიის მთელი ხნის განმავლობაში. დოკუმენტების აკინძკის ეს წესი რევიზორისათვის მოხერხებული არ არის.

სალაროს ყოველი პირველადი გასაკლისა და შემოსავლის დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული გატარების საფუძველს, რევიზორი ანალიზს უკეთებს როგორც კანონიერებისა და ოპერაციის მიზანშეწონილობას, ისე დოკუმენტის ხარისხის (ძისი ნამდვილობისა და არითმეტიკული გამოანგარიშების სიწორის, ისე გაუორგების მხრივაც) და საბუღალტრო აღრიცხვაში სწორად ასახვის თვალსაზრისითაც.

სალაროს დოკუმენტების შემოწმებისას რევიზორი ამოწმებს მათ შესაბამისობას იმ მოთხოვნებებთან, რომელიც ნითითებულია 1 განაცხადში, მათგან გადახევა იძლევა ნიშანს შესაძლებელი ბოროტნიოქედების შესახებ და, იმიტომ ასეთ გადახევას გულდასმითი ანალიზი უნდა გაუკეთდეს.

რევიზორები უნდა ებრძოდნენ ისეთ უწესრიგობას სალაროს საქმეში, როგორიცაა: გასანალდებელ უწესიოთა და სხვ. ფულის გაცემას არა მოლარის, არამედ ბუღალტრის, სამუშაოთა მწარმიებლის, უბნის უფროსის, სახაზო-ტექნიკური უბნის უფროსის მიერ, ე. ი. იმ პირების მიერ, რომლებსაც კავშირი აქვთ განრიგების, გაანგარიშების განალდების დოკუმენტების შედგენის საქმესთან. რევიზორები უნდა ებრძოდნენ აგრეთვე ხელფასის გაცემასა და სხვა დოკუმენტების განალდებას საოპერაციო სალაროებიდან (საგადარიცხვო, საშემოსავლო და სხვა. სალა-

როდან). უმთავრეს შემთხვევაში ბოროტმოქმედება თავს იჩენს ხოლმე სალაროს სამსახურის ამგვარი ხასიათის დარღვევების დროს.

გარდა ამისა, სალაროს ოპერაციებისა და სალაროს დოკუმენტების რევიზიამ უნდა გამოავლინოს:

ხომ არ აძლევენ ფულს დადგენილი მინდობილობის და მიღებაზე ხელწერილის ჩამორთმევის გარეშე;

ხომ არ წარმოებს ნაღდი ფულის გადახდა ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ოპერაციებისათვის ან საკრედიტო რეფორმის დარღვევით;

შესამოწმებელი ორგანიზაციის პრაქტიკაში ხომ არა აქვს ადგილი ნაღდი ფულის გადაგზავნას საფოსტო (სატელეგრაფო) ფულბარათებით და თუ აქვს, რის საფუძველზე და რა დანიშნულებისათვის;

სწორად იცავენ თუ არა ნორმებს, შეფასებებს, გაანგარიშებებს შტატგარეშე (სიის გარეშე) მუშაკებზე ხელფასის გაცემისას;

ბანკიდან შიღებული თანხები არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ხომ არ იხარჯება;

შეაქვთ თუ არა ბანკში მასალების, ფორმის ტანსაცმლითა და სხვადასხვა ოპერაციებიდან შემოსული თანხები;

ხომ არ იხარჯება ის ბანკთან შეუთანხმებლად სამეურნეო საკურობებისათვის;

ადგილი ხომ არა აქვს ფულბარათების თანხების გამოყენებას საექსპლოატაციო ხარჯების ან კაპიტალური დაბანდებებისათვის;

სწორად წარმოებს თუ არა გადასახადების დაკავება და დროულად შეაქვთ თუ არა ეს დაკავებული თანხები ფინანსთა სამინისტროს ორგანოებში;

სწორად არის თუ არა გაფორმებული სალაროს დავთარი ფორმა № 15—6 და სწორად აწარმოებენ თუ არა მას;

ყოველდღე ბარდება თუ არა სალაროს ანგარიშები შემოსავალ-გასავლის ორდერებიანად ბუღალტერიას, და იქ დროულად ამოწმებენ თუ არა მას;

მოლარის ანგარიშგება ეთანხმება თუ არა სალაროს დავთარს;

ინახება თუ არა (მოთელია თუ არა) შესამოწმებელი საწარმოს წარსული დროის სალაროს ყველა დავთარი.

შემოწმებული უნდა იყოს აგრეთვე ყველა იმ საქვეთიარო წიგნის მდგომარეობა, რომელთა მიხედვით სალაროში აბარებენ საწარმოს საღაროებიდან შემოსულ ფულს: ხომ არ არის იქ წაშლილი, შესწორებული,

რით არის ის გამოწვეული. გამართლებულია თუ არა ისინი პირველადი დოკუმენტებით; სწორად არის თუ არა მათში ნაანგარიშევი ყოველდღიური ან ცვლის ჯამი, აღრიცხულია თუ არა ყველა საქვეთრო წიგნი ბალანსგარეშე.

11. ხაბანკო ოპერაციების რევიზია

კავშირგაბმულობის ორგანოების ფულადი საშუალებები ინახება ანგარიშებზე ბანკში. ყველა საშემოსავლო სახსრები—გადასახდელი მომსახურებისათვის, ფულბარათების ნამეტი თანხა და სხვა თანხები ბარდება სახბანკში სათანადო ანგარიშებზე. ფულად სახსრებს, რომლებიც აუცილებელია საექსპლოატაციო ხარჯებისათვის, აგრეთვე ფულბარათების განაღდებისათვის მისაშველებლად, იღებენ სახბანკიდან, კაპიტალურ დაბანდებისათვის—სამრეწველო ბანკიდან. მყიდველებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარებთან და სხვ. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების გზით ბანკებში გახსნილი ანგარიშებიდან. ამიტომ საბანკო დოკუმენტებისა და ოპერაციების შემოწმება, სალაროს დოკუმენტების შემოწმებასთან ერთად, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო უბანს დოკუმენტალური რევიზიის დროს.

საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ დოკუმენტების შემოწმების ძირითად მიზანს წარმოადგენს დაახუსტოს ბანკის მიერ გაცემული ყველა თანხა გატარებულია თუ არა შესამოწმებელ საწარმოში, დროულად არის თუ არა ეს გაკეთებული, ბანკში შეტანილად აღნიშნული ყველა თანხა ჩარიცხულია თუ არა ბანკის მიერ სათანადო ანგარიშებში. ხომ არ არის უკანონოდ ან უსაფუძვლოდ უნაღლო ანგარიშსწორების თანხების გადარიცხვები ბანკის საშუალებით, აკრედიტივებთან ბოროტმოქმედებას ხომ არა აქვს ადგილი.

ისეთი ბოროტმოქმედებანი, როგორცაა ბანკიდან მიღებულის გაუტარებლობა შემოსავალში, ან თანხების ბანკში ჩაუბარებლობა, ადვილად მელაენდება ბანკის ამონაწერის სალაროს დაეთართან და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებთან შედარების გზით. იმისათვის, რომ გააძნელონ მითვისებული თანხის აღმოჩენა, ბოროტმოქმედნი მიმართავენ შესწორებებს სახბანკის ამონაწერებში ან ნამდვილი საბანკო ამონაწერის ყალბი ამონაწერით შეცვლას. ეს მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში, ამიტომ რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულია:

შეამოწმოს სახეზე არის თუ არა ბანკების ყველა ამონაწერი, დაჯგუფებული ყველა ანგარიშსწორების ანაგრიშის მიხედვით; გამო-

არკვიოს, თუ რა ანგარიშები აქვს ბანკში საწარმოს, მოითხოვოს ბანკის ამონაწერები ყველა ამ ანგარიშების მიხედვით, ნაშთების ჯამის მიხედვით შეამოწმოს მათი თანმიმდევრობა;

დარწმუნდეს ბანკის ამონაწერების სინამდვილეში რისთვისაც ამონაწერში ყველა საექვო ციფრის, დასვრილი ადგილების და შესწორებების გულდასმით შესწავლასთან ერთად რევიზორმა ამონაწერების ნაწილი უშუალოდ თვითონ უნდა შეამოწმოს ბანკში. ფულბარათების თანხების მხრით არსებულ ამონაწერების შემოწმებასთან ერთად რევიზიის ჩამტარებელმა ბანკიდან პირადად უნდა მიიღოს ორი ხელმოწერით (რომელთაგან ერთი უნდა იყოს ბანკის მთავარი ბუღალტრის) შემოწმებული და ბანკის საღებრო ბეჭდით შემოწმებული ცალკე ცნობა ანგარიშის მდგომარეობის შესახებ.

ბანკის ოპერაციებით ბოროტმოქმედებანი შეიძლება ჩადენილი იყოს ბუღალტერიის უშუალო მონაწილეობით ან მაშინ, როცა ბუღალტერია გულგრილად ასრულებს თავის ელემენტარულ მოვალეობას აღრიცხვისა და კონტროლის გაწევის საქმეში. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია გამორკვეულ იქნას, საანგარიშო მუშაკები ხომ არ ლებულობენ ფულს ბანკიდან, ხომ არ არის შენობებული წარმომდგენზე ჩეკების გამოწერის პრაქტიკა (კავშირგაბმულობის სამინისტროს მეურნეობის სისტემაში ეს აკრძალულია); ასეთ შემთხვევებში ბანკის ამონაწერები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს შემოწმებული.

ღრმა რევიზიისათვის საკმარისი არაა შევადაროთ მხოლოდ იმ თანხების ნაშთი (საღდო), რომელიც ნაჩვენებია ამონაწერებში შესამოწმებელ საწარმოს აღრიცხვაზე რიცხულ ნაშთებთან ერთად. აუცილებლად საჭიროა დავრწმუნდეთ კიდევ, რომ საბანკო ამონაწერის ყველა ჩანაწერი ეთანბრება დეტალური აღრიცხვის ჩანაწერებს. ნაღდი ფულის გაცემის ყველა შემთხვევა (საბანკო შიფრი „18“) შემოწმებული უნდა იქნას საღაროს დავთართან შედარებით (საღაროს ანგარიშებთან), ეს თანხები მთლიანად გატარებულია თუ არა შემოსავალში ბანკიდან გაცემის დღეს. აღმოჩენილი შეუთანხმებლობის ყოველ შემთხვევაში უნდა გამოირკვეს მიზეზები და დამნაშავენი.

გარდა ამისა რევიზორმა უნდა შეამოწმოს:

ანგარიშსწორების დროულობა და სისწორე შემოსავლის ანგარიშის (№ 0 სახბანკში) გამოსასვლელი ნაშთისა, საფუძვლიანობა და კანონიერება ერთი ანგარიშსწორების ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე თანხების გადარიცხვისა;

ხომ არ არის გადარიცხვა ფულბარათის ანგარიშიდან საექსპლო-

ატაციო ანგარიშზე, ან პირიქით, და ხომ არა აქვს ადგილი ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელს გადარიცხვა მიმწოდებლებისათვის;

საშუალებათა გადარიცხვის ყველა შემთხვევა ფულბარათის ანგარიშზე როგორც აქცეპტებული ჩეკებით, ისე ადგილობრივი დავალებებით; ამასთან გულდასმით უნდა გამოვლინდეს ამ ოპერაციების მიზანი, არსი და კანონიერება;

ხომ არ აქვს ადგილი ბანკის საშუალებით უსაქონლო (ფაქტიურად შეუსრულებელი მიწოდების ან სამუშაოს ჩაუტარებლად) ანგარიშსწორებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით გადახდის თანხების ხელოვნურად დაწვრილების შემთხვევებს საბანკო ოპერაციების გვერდის ავლის მიზნით;

ბანკის საშუალებით ხომ არ წარმოებს კაპიტალურ დაბანდებათა თანხების გადარიცხვა საექსპლუატაციო თანხებიდან, ან პირიქით;

საფუძვლიანად იყენებენ თუ არა აკრედიტივებით ანგარიშსწორების ფორმას (აკრედიტივების წამოყენება), ანგარიშსწორების (საქვეანგარიშო თანხების ნაცვლად) ამ ფორმით ბოროტმოქმედებას ხომ არ ჩადიან;

საფუძვლიანად რიცხავენ თუ არა შემნახველ სალაროში ფულად თანხებს და საფუძვლიანად წარმოებს თუ არა გზავნილებანი ბანკის საშუალებით, განსაკუთრებით ცალკე პირების სახელზე (ცალკეულ შემთხვევებში საჭიროა გაისინჯოს ასეთი თანხების მოძრაობა ფულის მიმღებამდე);

სწორად წარმოებს თუ არა ჩეკების გამოყენება და ჩეკების დაცვა (კრედიტების გამკარგულებლები ხელს ხომ არ აწერენ შეუვსებელ ჩეკებზე, გაცემული ჩეკების აღრიცხვა, საჩიკო წიგნაკების შენახვა);

უნდა შემოწმდეს საბანკო ოპერაციებში ყველა საბუღალტრო გატარებათა შემასწორებელი მუხლების სისწორე.

ეძლევა რა უდიდესი მნიშვნელობა სალაროს და საბანკო ოპერაციების შემოწმებას, გაფრთხილებული უნდა იქნან რევიზიის ჩამტარებელი პირები, რათა დოკუმენტალური რევიზიის აქტში აუცილებლად შეიტანონ ამ უბნის შემოწმების შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მიზეზის გამო სალარო ან საბანკო ამონაწერები აღნიშნული რევიზიის დროს არ შემოწმებულა (ბუღალტერისა და მოლარის არ ყოფნის ან საბუთების უქონლობის გამო), ასეთი რევიზია უხარისხოდ უნდა ჩაითვალოს და შემოწმება განმეორებით უნდა დაინიშნოს.

ანგარიშსწორების ანგარიშებზე თანხების ნაშთების შესახებ ცნობების გარდა, რევიზიის აქტში აუცილებლად უნდა აჩვენონ საბანკო ამონაწერებისა და მათი ოპერაციების შედეგები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ადგილი არა აქვს არასისწორეს; ჩაწერა უნდა გაკეთდეს, მაგალი-

თად, ამგვარად: ყველა საბანკო ოპერაცია შემოწმებულია და აღმოჩნდა ყველა ოპერაცია აღრიცხვაში გატარებული. თანხების გაუტარებლობას ან გატარების დაგვიანებას ადგილი არა აქვს, საბუღალტრო ჩანაწერები ეთანხმება საბანკო ამონაწერებს“.

კავშირგაბმულობის იმ საწარმოებში, სადაც ანგარიშსწორება შემოღებულია ლიმიტებული ჩეკებით, აუცილებლად საჭიროა ყველა ამ ჩეკებით ხარჯის დოკუმენტის საფუძვლიანობა; განაღდებულ ლიმიტებულ ჩეკებს ხომ არ იყენებენ სალაროდან ფულის ჩამოსაწერ დოკუმენტებად.

12. სამშენებლო თანხების დოკუმენტების რევიზია

საწარმოები საქვეანგარიშო თანხებს ნაღდად ავანსის სახით აძლევს თავის მუშაკებს იმ ხარჯებისათვის, რომელთა მიხედვით პირდაპირი კრედიტორების (ფულის მიმღებთა) გამოცხადება საწარმოს სალაროში ან სახბანკოში შეუძლებელია, ან საძნელოა. საქვეანგარიშო თანხები ეძლევათ მივლინებებისა და გადანაცვლების, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების, სარემონტო-სამშენებლო და საოპერაციო ხარჯებისათვის.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქვეანგარიშოდ გაცემული თანხები ყოველთვის უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულ პირს ფულად ან გასამართლებელი საბუთებით. თანხმად სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1929 წ. მუშა-მოსამსახურეებისაგან დაუხარჯავი (ხარჯების გასამართლებელი დოკუმენტების არმქონე) და თავის დროზე დაუბრუნებელი ავანსები შეიძლება დაკავებულ იქნას ანგარიშვალდებულ პირის ხელფასიდან, დამოუკიდებლად იმისა, თუ ხელფასის რა ნაწილი რჩება თავისუფლად (თუკი მუშაკი წინააღმდეგი არაა დაკავების საფუძვლისა ან დაკავების ოდენობისა).

კონტროლის თვალსაზრისით საქვეანგარიშო თანხა შეიძლება განხილულ იქნას როგორც თანხა, რომელიც იმყოფება დროებითი მოლარის—ანგარიშვალდებულის სალაროში.

ამიტომ, მაგალითად, როცა ანგარიშვალდებულ პირის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ სამეურნეო ხარჯებისათვის მისთვის მიცემული ფულის წარმოდგენა არ შეუძლია—ფულით და არც გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებით—რევიზორს უფლება აქვს ასეთი შემთხვევა განიხილოს როგორც ფულის გაფლანგვა, აქედან გამომდინარე ყველა სათანადო შედეგებით.

რევიზიის პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა გაფლანგვები შენიღბულია, ვითომ საქვეანგარიშოდაა გაცემული თანხა. ამიტომ რევიზიის ჩამტარებელს ევალება უთუოდ შეამოწმოს ანგარიშვალდებულ პი-

რებზე რიცხული თანხები, განსაკუთრებით დიდი ოდენობისა და ვადაგადაცილებული.

ასეთ შემთხვევაში შემოწმების შესახებ დგება განსაკუთრებული აქტი.

საქვეანგარიშო თანხების დოკუმენტებში ხშირად მელავნდება ხოლმე სერიოზული დარღვევები როგორც ანგარიშვალდებული პირების, ისე საავანსო ანგარიშების შემოწმებულ საანგარიშო მუშაკების მხრივაც.

აღნიშნული დოკუმენტების რევიზიას მიზნად აქვს შეამოწმოს საქვეანგარიშო თანხების შესახებ არსებული ინსტრუქციის გამოყენების სისწორე (სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ 1930 წ. 2/XII წესები და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქცია „საქვეანგარიშო თანხების აღრიცხვის შესახებ“, გამოც., 1947 წ.) და ამასთანავე ერთად გამოავლინოს, თუ რამდენად კარგად არიან ანგარიშვალდებული პირები ინსტრუქტირებულნი ბუღალტერიის მიერ და რამდენად მომთხოვნია მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

საქვეანგარიშო თანხების მოძრაობას, ავანსების ნაშთებსა და ანგარიშგებათა დროზე წარმოდგენას რევიზორი ავლენს ბრუნვათა უწყისითა და ანგარიშვალდებული პირების პირადი ბარათებით. რევიზია შეეხება ანგარიშვალდებულ პირთა ყველა საავანსო ანგარიშგებებსა და მათთან დართულ ყველა საგასავლო დოკუმენტებს.

ამასთანავე ერთად რევიზორი ამოწმებს:

წარმოებისადმი ბრძანებით გამოყოფილი არიან თუ არა ის პირნი, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ ავანსი სამეურნეო ხარჯებისა, შესყიდვის წარმოებისა და სამუშაოთა წარმოებისათვის;

გაცემული ავანსების ოდენობა ხომ არ აქარბებს დამტკიცებულ ნორმებს (საოპერაციო და აღნიშნულსტრუქციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის ის არ უნდა აღემატებოდეს ორი დღის მოთხოვნილებას და გასაწარმოებელი საბუთების წარდგენის ვადის მხრით გაცემიდან სამ დღეს, თუ ეს ხარჯები გაწეული უნდა იქნას საწარმოს ადგილსამყოფელზე; თუ ამ ხარჯების გაწევა ხდება საწარმოს ადგილმდებარეობის გარეთ, მაშინ თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10—14 დღის ხარჯს, საბუთების წარდგენის ვადა კი—15 დღეს; სამიველინებო თანხა განისაზღვრება მივლინებაში გამწვები დაწესებულების მიერ დაწესებული ოდენობით, მივლინების ვადის ხანგრძლიობის, სიშორისა და მისი განსაკუთრებული პირობების მიხედვით);

დროზე ხდება თუ არა საავანსო ანგარიშების წარმოდგენა და თვალყურს ადევნებს თუ არა ამას ბუღალტერია (სამეურნეო და ოპერა-

ციული ხარჯების ავანსების ანგარიშგებანი წარმოდგენილი უნდა იქნას ავანსის მიღების არა უგვიანეს ვიდრე 10 დღისა; სამივლინებო ავანსებზე კი—არა უგვიანეს 3 დღისა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ. სამუშაოთა მწარმოებლები საავანსო ანგარიშებს ადგენენ თვეში ორჯერ მინც);

ხომ არ არის ისეთი შემთხვევა, როცა მომდევნო ავანსის გაცემა ხდება წინათ გაცემულ ავანსზე ანგარიშგების წარმოდგენამდე;

ხომ არ არის კერძო პირებზე ავანსის გაცემის შემთხვევა;

ხომ არ არის შემთხვევა მუშაკებზე ხელფასის ანგარიშში ავანსის სახით თანხის გაცემისა და დაუბრუნებელ თანხებს ხომ არ უთვლიან ხელფასის ანგარიშში;

ხომ არ არის შემთხვევა საავანსო თანხის გაუხარჯავად დაბრუნებისა; ამ შემთხვევაში ვლინდება ამ თანხების გაცემის მიზანი;

ყველა საავანსო ანგარიშგება დამტკიცებულია თუ არა კრედიტების განმკარგულებელი პირის მიერ;

როგორ არის დაყენებული საავანსო ანგარიშგება ბუღალტერიაში; ამოწმებენ თუ არა მათ არა მარტო არითმეტიკულად, არამედ არსებითადაც; ამოწმებენ თუ არა დახარჯული თანხის მიზანშეწონილობას და ბუღალტერია იძლევა თუ არა ამ საკითხზე თავის შენიშვნებს; საავანსო ანგარიშგებებზე ხელი მოწერილი აქვს თუ არა მთავარ (უფროს) ბუღალტერს ან მის თანაშემწეს, ეს საკითხი მეორე ხარისხიდან მუშაკებს ხომ არა აქვთ მინდობილი;

სათანადოდ გაფორმებულია თუ არა ანგარიშვალდებულებული პირის მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებაზე დართული დოკუმენტები (აღნიშნულია თუ არა შედგენის თარიღი, დაწესებულების დასახელება, ან გვარი, სახელი და მამის სახელი იმ კერძო პირებისა, რომლებზეც გაცემულია ფული, მათი მისამართი, პასპორტის ნომერი, ვის მიერ არის გაცემული პასპორტი, რისთვის მიეცა მას ფული, რა ფასშია ნაყიდი, ან როგორი შეფასებების მიხედვით ჩატარდა სამუშაო, არსებობს თუ არა შესასრულებელი სამუშაოების უწყისი, მისი შეფასების ჩვენებითა და სამუშაოების მიღების აქტი, გადახდილი თანხა ნაჩვენებია თუ არა ციფრებითა და დაწერილი სიტყვებით, არის თუ არა ფულის მიმღების ხელის მოწერა); მატერიალურ ფასეულობათა შეძენის შემთხვევაში ანგარიშგებებს თან უნდა ერთვოდეს მიღების აქტები ან მათი შენახვისათვის პასუხისმგებელი პირის ხელწერილი;

ხომ არ არის ისეთი შემთხვევები, როცა ანგარიშვალდებულებული პირი იმავე დროს წარმოდგენს მატერიალურად პასუხისმგებელ პირსაც (თვითონ ყიდულობს და ამ ნაყიდ ფასეულობას თითონვე ღებულობს შესანახად);

ხომ არ არის საექვო დოკუმენტები, ქალაქის ნახევებზე უბრალო ფანქრით შეესებული, წაშლილ-შესწორებული ან ხელმოწერა და ხელწერილები უნდობლობას ხომ არ იწვევენ. ამ შემთხვევებში, და აგრეთვე მაშინ, როცა სხვა მიზეზებითაც საექვოა (კერძო პირისაგან მასალების შესყიდვის დოკუმენტები ან დოკუმენტები სამუშაოს შესრულებისათვის კერძო პირთა მომატებული ღირებულებით გადახდის შესახებ), მიზანშეწონილია დოკუმენტები შემოწმდეს შემხვედრი წესითაც, ე. ი. სამუშაოს წარმოების ადგილზე ან გამყიდველთან—ანგარიშვალდებული პირებისაგან ფულის მიმღებთან მისვლით, ან მათი გამოძახებით და დაკითხვით.

უხალხო ფონდის ხარჯზე განაღდება შემთხვევაში შემოწმებული უნდა იქნას დაკავებულია თუ არა გადასახადი ნელფაიდან.

უნდა შემოწმდეს გეორგეერ გადახდის თავიდან აცილების მიზნით კეთდება თუ არა აღნიშნები დოკუმენტების განაღდების შესახებ და იმის შესახებაც, რომ დოკუმენტი მიღებულია გასანაღდებლად ამა და ამ საავანსო ანგარიშგებასთან ერთად. სამივლინებო ანგარიშგებათა შემოწმებისას, აღნიშნულის გარდა ამოწმებენ:

სამივლინებო მოწმობებზე არის თუ არა როგორც მივლინების პუნქტებზე ჩასვლის და იქიდან დაბრუნების დღის, ისე მუდმივ სამუშაო ადგილზე საწარმოში დაბრუნების აღნიშვნა; მოწმობაზე აღნიშნულია თუ არა მივლინების ვადა და შესრულებულია თუ არა ის, ხოლო საწარმოს უფროსის სხვა რაიონში მივლინების შემთხვევაში—არის თუ არა ამაზე ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვა;

ხომ არ არის სამივლინებო მოწმობით გაუფორმებელი მივლინება;

სამივლინებო ანგარიშსწორება წარმოებს თუ არა სსრ კავშირის სახალხო კომ. საბჭოს 1940 წ. დადგენილების სრული შესაბამისობით;

ასევე ხდება სხვა ადგილებზე გადაყვანისას სსრ კავშირის ცენტრ. აღმას. კომიტ. და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დადგენილებათა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10/X ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები 1940 წ. № 42);

ასევე ხდება მასობრივ სამეურნეო კამპანიების ჩასატარებლად მივლინებისას მინისტრთა საბჭოს 1948 წ. დადგენილების შესაბამისად (სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის 1948 წ. 1/VI ბრძანება № 435);

დაცულია თუ არა მივლინებულის ხარჯების განაღდების წესები, რომელთა მიხედვით აკრძალულია გზაწილის გადაზიდვის საფასურის, ქალაქში მოგზაურობისა და ტვირთშიდავებისათვის მიცემული თანხების ანაზღაურება;

უთავდებათ თუ არა სადაზღვევო გადასახადები მგზავრებს უბედური შემთხვევებისაგან სავალდებულო დაზღვევის ხაზით თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

რევიზორის მიერ გამოვლინებული უსწორო მოქმედება სამივლინებო თანხების განაღდებასა და საქვეანგარიშო თანხების ჩამოწერისას (გადაყოლება, ან ნაკლების გაცემა) მოითხოვს ხელახლა გადაანგარიშებას. უკანონოდ ზედმეტად გაცემული ყველა თანხა უნდა გადახდეს დამნაშავეს.

13. შემოსავალ-გასავლის გეგმის შესრულების შემოწმება

შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის შესახებ გეგმების შესრულების შემოწმება არ შედის რევიზიის ამოცანების რიცხვში. მიუხედავად ამისა, იქ არის მითითება იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა შემოწმდეს თუ როგორ არის დაცული საფინანსო და სახარჯთ-აღრიცხვო დისციპლინა და როგორ წარმოებს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ. ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია სახელმწიფო გეგმების შესრულების შემოწმების გარეშე, ეკონომიის, რენტაბელობისა და სოციალისტური დაგროვების შემოწმების გარეშე.

იმ რევიზორებისათვის, რომლებიც ამოწმებენ სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწარმო, ან სამშენებლო გეგმისა და თვითღირებულების შემცირების ხაზით მიცემულ დავალებათა შემოწმება.

კავშირგაბმულობის მეურნეობაში საფინანსო კონტროლისათვის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქსელის განვითარების გეგმის შესრულებითა და ცვლის გეგმის შესრულებით შეპირობებული შემოსავლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და საფინანსო გეგმით ხარჯებისათვის დანიშნული თანხების სწორად გამოყენების შემოწმება.

შემოსავალ-გასავლის გეგმის შესრულების მაჩვენებლები შეიძლება დაეინახოთ პერიოდულ საბუღალტრო ანგარიშგებებიდან და ფორმა № 32 ოპერატიული ცნობებიდან, რომელთა დაწვრილებით ანალიზს აწარმოებენ კავშირგაბმულობის სამინისტროს საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკური) სამმართველოები. რევიზიის დროს ყოვლად შეუძლებელია განესაზღვროთ ისეთი შემოწმებით, როგორც შეიძლება გაკეთებულ იქნას კავშირგაბმულობის სამმართველოში ან სამინისტროში წარდგენილი ანგარიშგებებით. რევიზიის ჩამტარებელი სარგებლობს რა პირველადი დოკუმენტებით, პირველადი ოპერატიული აღრიცხვითა და შესამოწმებელი საწარმოს მუშაკების ახსნა-განმარტებით, უნდა დააზუსტოს:

მოცემული საწარმო სწორად ადგენს თუ არა გეგმების შესრულების ანგარიშგებებს;

განყოფილებები, განაყოფები, მომსახურება და ცალკეული მუშაკები იცნობენ თუ არა გეგმურ დავალებებს;

საწარმოს ხელმძღვანელობა და კოლექტივი როგორ იბრძვის გეგმების შესრულებისა და გადაშეცებით შესრულებისათვის;

გეგმებიდან გადახვევების არსებობის შემთხვევაში საჭიროა გამოვლინებულ იქნას მათი ნამდვილი მიზეზები, რათა რევიზიოს შესაძლებლობა ჰქონდეს საქმის გამოსასწორებლად წინადადების წამოყენებისა.

შემოსავალთა გეგმის შესრულების რევიზიის დროს, რევიზორი ვალდებულია შეამოწმოს აგრეთვე სრულად შემოდის თუ არა შენოსავალი, ე. ი. შემოსული შემოსავალი ეთანხმება თუ არა გაწეულ მომსახურებასა და მის ხასიათს.

14. ბაგმის შესრულებისა და შემოსავალთა ხრულად შემოსავლის შემოწმების მეთოდები

კავშირგაბმულობის საწარმოების შემოსავალს შეადგენს საფოსტო ნიშნების საფასური, ფულბათობებისა და ამანათების გაგზავნისათვის ნაღდი შემოსავალი, გადასახდელი ფასდადებითი საფოსტო გზავნილებისათვის, დეპეშებისა და საქალაქთაშორისო სატელეფონო დალაპარაკებისათვის, ტელეფონისა და რადიოწერტების სააბონემენტო გადასახდელი და სხვ.

ყველა ამ გადასახდელთა მეტწილი ნაღდ ფულად შემოდის; დიდ ქალაქებში მხოლოდ ტელეფონებისა და რადიოწერტების სააბონემენტო გადასახდელს და სახელმწიფო საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი დეპეშებისა და საქალაქთაშორისო სატელეფონო დალაპარაკების ავანსების ნაწილს რიცხავენ კავშირგაბმულობის საწარმოს ანგარიშსწორების № 0 ანგარიშზე სახბანკში.

შემოსავალთა კონტროლის თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ კავშირგაბმულობის საწარმოების ბუღალტერიაში მრავალი სახის შემოსავლის შესახებ არ არსებობს პირველადი დოკუმენტი, რომელიც გამოდგება თანხების დარიცხვისა და შემოსავალში გატარებისათვის. მაგალითად, შემოსავალი დეპეშებიდან: აქ ნამდვილ პირველად დოკუმენტს წარმოადგენს კლიენტისაგან მიღებული გასაგზავნი დეპეშა, საიდანაც ნათლად ჩანს სიტყვების რაოდენობა, დეპეშის თანრიგი ან მისი განსა-

კუთრებული ხასიათი, მაშასადამე, ფაქტიურად მისთვის კუთვნილი გადასახადიც. გადაცემის შედეგ ამ დეპეშების ბლანკები, როგორც საექსპლოატაციო დოკუმენტები, ტელეგრაფის საკონტროლო-საცნობარო განყოფილებაში 3—4 თვის განმავლობაში ინახება, მერე ისპობა. ბულალტერიას კი გადასახადის გასატარებლად ეძლევა ორდერები (ცნობა) საოპერაციო სალაროში დღის განმავლობაში შემოსული შემოსავლის შესახებ, რომელიც შედგენილია საქვეთარო წიგნების ძირებზე აღნიშნული ჩანაწერების საფუძველზე; აქ ბულალტერია თავის მიმდინარე მუშაობაში არ ემყარება პირველად დოკუმენტებს და არც ორდერებს ადარებს მიწოდებულ დეპეშებთან.

ამ პირობებში დეპეშების ტარიფიკაციის მიმდინარე კონტროლს და ქვიტრის წიგნში დეპეშების ჩაწერის სისწორეს, წინასწარ ფასგადახდილი პასუხისათვის ფულის ნაცვლად ქვიტრების მიღების საფუძველიანობასა და სხვ. აწარმოებს კავშირგაბმულობის საწარმოს აღმინისტრაცია.

ასეთივე მდგომარეობაა საქალაქთაშორისო სატელეფონო დალაპარაკების პირველად დოკუმენტებთანაც (სალაროს იარლიყები დალაპარაკებისათვის მიღებული და ფასგადახდილი, და საკომუტატორო დარბაზის დოკუმენტები ფაქტიურად მომხდარი დალაპარაკებისათვის).

იგივე მდგომარეობაა მიღებულ გზავნილებათა, ფასიანი წერილების, გაცემული ფასდადებითი წერილებისა, გზავნილებათა შენახვისა და დაბრუნებისათვის ბულალტერიის მიერ საფოსტო გადასახადების შემოსავალში გატარებისა; ბულალტერია ისევე მიღებულ შემოსავალს შემოსავალში ატარებს ორდერებით, რომელსაც მოლარეები ადგენენ იმ საქვეთარო წიგნების № 1 ძირედების, ფორმა № 11 რეესტრების და სხვ. საფოსტო საექსპლოატაციო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც არქივში რჩება. ორდერების სწორად შედგენისა და №№ 1 და 9 საქვეთარო წიგნებში სწორად ჩაწერის კონტროლს აწარმოებს საექსპლოატაციო შტატი.

აღმინისტრაცია და საექსპლოატაციო შტატი ნამდვილად აწარმოებენ თუ არა ამ ყველაზე აუცილებელ კონტროლს, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის შემოსავალს გაბნევისა და მითვისებისაგან, — ეს ევალება რევიზორს.

გეგმის შესრულებისა და შემოსავალთა სრულად შემოსვლის რევიზია უნდა წარმოებდეს შემდეგი წესით:

შემოსავალთა გეგმის შესრულებას ამოწმებენ საექსპლოატაციო შემოსავალთა თანხების შედარებით დარგობლივ გეგმებთან, არსებული

ნომენკლატურის პარაგრაფისა და მუხლების მიხედვით. შემოსავალს უპირისპირებენ ფასიანი ცვლის გეგმის შესრულების სათანადო მაჩვენებლებს, გამოიანგარიშებენ ფაქტიურ საშუალო ნიხრს და აღარებენ მათ გეგმებს. დაგეგმილისაგან საშუალო ფაქტიური ნიხრის მკვეთრად განსხვავების შემთხვევაში—გამოავლენენ ხოლმე ამის მიზეზს. რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულია სავსებით არ ერწმუნოს სარევიზიო საწარმოს აღმინისტრაციის წარმომადგენლების ახსნა-განმარტებებს ცვლის საქმეში მომხდარ ამა თუ იმ ცვლილებათა შესახებ, არამედ თვითონვე გააკეთოს ანალიზი ადგილზე არსებული მონაცემების საფუძველზე, კერძოდ, შეამოწმოს ცვლის ოპერატული აღრიცხვის სისწორე და ისიც, თუ როგორაა დაყენებული ეს აღრიცხვა.

ამის შემდეგ ამოწმებენ ყველა შემოსავალი გატარებულია თუ არა საქსპლოატაციო შემოსავლის ანგარიშში, თავის დროზე და მთლიანად არის თუ არა ჩაბარებული ბანკში, ადგილი ხომ არ აქვს მათ საწარმოს სალაროში დაკავებასა და მათს გამოყენებას რაიმე სახის სხვა ხარჯებისათვის, რაც კატეგორიულად აკრძალულია.

უნდა გამოირკვეს, ხომ არ არის შეუთანხმებლობა (და მათი მიზეზები) საბუღალტრო ანგარიშგებასა და შემოსავლის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შორის.

უნდა შემოწმდეს ტელეგრაფის მუშაკების ცოდნა ფოსტის ყოველგვარი მომსახურების დარგში, პრაქტიკაში მათი გამოყენების სისწორე და ეთანხმება თუ არა შემოსავალში გატარებული საშემოსავლო თანხების ოდენობა ფაქტიურად გაწეულ მომსახურების ოდენობას, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესრულებულ სამუშაოთა ოდენობას (ადგილი ხომ არა აქვს შემოსავალთა გაბნევისა და შითვისებას). კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობის სხვადასხვა უბანზე რევიზიის ჩატარებისას ამ შემოწმებებს შემდეგი მეთოდებით ატარებენ (მითითებანი მოცემულია მხოლოდ გზავნილებათა რამდენიმე სახის მიხედვით).

საფოსტო კავშირის ხაზით

წერილობით კორესპონდენციას მასობრივი ხასიათი აქვს (სსრ კავშირის საფოსტო საწარმოებში ყოველდღიურად დაახლოებით რამდენიმე მილიონი წერილი შემოდის). ამ სახის შემოსავლის თუნდაც 1% გაბნევა კავშირგაბმულობის მეურნეობისათვის წელიწადში რამდენიმე მილ. მანეთ ზარალს შეადგენს. ამ უბანზე გაბნევის შეიძლება ადგილი ჰქონდეს: როცა წერილებს გზავნიან ნახევრად ფასგადახდილად ან სრულიად ფასგა-

დაუხდელად, როცა ნახმარ მარკას იყენებენ, როცა მარკებს არ ჰფარავენ და ისინი შეიძლება გამოიყენონ ხელმეორედ, როცა ცუდად აღრიცხავენ ხოლმე ფასდადებით წერილებს.

რევიზიის ჩამტარებელმა იციის რა ეს—იგი უწინარეს ყოვლისა ამოწმებს—მოწესრიგებულია თუ არა ყველა გასული და შემოსული წერილების ღია ბარათებისა და ბანდეროლებისათვის გადასახდლებების მთლიანი შემოწმება (ამის გაკეთებას მოითხოვს საფოსტო წესები მუხლები 2122—2124). რევიზიის ჩამტარებელი პირისთვის მიზანშეწონილია ეს გაკეთდეს შემდეგნაირად:

გამავალი კორესპონდენციის მხრით—გადახედოს თუნდაც იმ უბრალო წერილებს მაინც, რომლებიც მზად არის გადასაგზავნად ან ჩასაწყობად და რომლებსაც გავლილი აქვთ კონტროლის ყველა სტადია. თუ მათ შორის აღმოჩნდება ფასგადაუხდელი წერილები, ან ისეთები, რომლებზედაც ფასდადების შტემპელები, ანდა საჭირო ოდენობის მარკები არ ექნება დაკრული, —ეს ნიშნავს იმას, რომ კონტროლი მუშაობს სუსტად;

რაც შეეხება შემოსულ უბრალო წერილების კორესპონდენციას—რევიზიის ჩამტარებელმა უნდა გასინჯოს სწორად არის თუ არა გადახდილი ფასი, როდისაა წერილები მომზადებული მოსატანად, ან საქალაქო განყოფილებაზე და სააგენტოებში გადასაგზავნად, ე. ი. აქაც უმჯობესია შევამოწმოთ ისეთ ეტაპზე, როცა წერილებმა კონტროლის ყველა სტადია გაიარეს, რათა მათ მუშაკებს (რომელთა მუშაობაც მოწმდება) არ ჰქონდეთ იმისი თქმის უფლება, რომ ჩვენ მათ შემოწმების დროს გავასწორებდითო. სავალდებულოა გულდასმით შევამოწმოთ ან მისატანად, ან გადასაგზავნად მომზადებულ კორესპონდენციაში (ფოსტალიონების ჩანთებში, პოსტაპაკეტებში, ტომრებში) ხომ არ არის ფასგადაუხდელი, ან არასრულად ფასგადახდილი წერილი, რომელზედაც არაა დასმული ფასდადებითი შტემპელი, ე. ი. ისეთი წერილი, რომელიც აღურიცხავია, როგორც ფასდადებული და, რომელიც შესაძლოა აღრესატს ჩაბარდეს გადასახადის აუნაზღაურებლად, ან შესაძლოა ანაზღაურებულ იქნას, მაგრამ სათანადო თანხა სალაროში არ შემოვიდეს. რევიზორს ევალება აგრეთვე შეამოწმოს აღრესატებზე დასარიგებელ წერილებში ხომ არ არის საჭირო ოდენობის მარკებით შეუვსებელი წერილები.

ამ მუშაობის თვალსაჩინოდ დაყენებისა და შემოსავლის სისრული-სათვის ბრძოლის სულისკვეთებით ყველა მუშაკის აღზრდის მიზნით, სასარგებლოა ასეთი რევიზიის შედეგები ჩაიწეროს აქტში, სადაც მიღებული შედეგები ილუსტრირებული უნდა იქნას შემდეგნაირად:

„დასარაგებლად მომზადებული, შემოწმებული 500 უბრალო წერილობითი გზავნილებაში აღმოჩნდა 8 ფასგადაუხდელი წერილი დამატებითი ფასდადების შტემპელის გარეშე და არასაკმაო ოდენობის მარკებიანი 4 წერილი. ეს ნიშნავს წერილების დამუშავების საქმეში 2;4% წუნს.

ვლებულობთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კავშირგაბმულობის კანტორა კვარტალის განმავლობაში დაახლოებით 80.000 შემოსულ უბრალო წერილს ლებულობს, ასეთი უხარისხო კონტროლის გაწევის დროს აღნიშნულ კანტორას კვარტალში შეუძლია დაკარგოს დაახლოებით 1300 მან. ფასდადებითი წერილების შემოსავლიდან და 200 მანეთამდე საფოსტო ნიშნების გაყიდვის შემოსავლიდან“.

ფასდადებითი ხასიათის შემოსავლის სისრულის შექოწმებისათვის, გარდა ამისა, უნდა გამოვარკვიოთ: ორგანიზებულა თუ არა მიღებული უბრალო კორესპონდენციიდან ფასგადაუხდელი წერილების ამორჩევა; რეესტრებთან შემოსული ყველა ფასდადებით წერილებს ატარებენ თუ არა ფორმა № 9 და 23 წიგნებში; ყოველ დღე სწორად გამოყავთ თუ არა ფასდადებითი წერილების ნაშთები; ეთანაბრება თუ არა მათი ფაქტიური ნაშთი ფორმა № 9 და 23 წიგნებში აღნიშნულს; გაცემულ ფასდადებითი წერილების მთელი შემოსავალი გატარებულია თუ არა ბუღალტერიაში; ფორმა № 9 და 23 წიგნებში ნაჩვენები დამატებითი გადაგზავნილი და უკან დაბრუნებულ ფასდადებით წერილებზე არის თუ არა დამატებით გადაგზავნისა და უკან დაბრუნების რეესტრების ასლი; დოკუმენტებით გამართლებულია თუ არა ფასდადებითი წერილების გასაფალში ჩამოწერა, როგორც შემდგომ შესანახავად გადაცემული წერილებისა და აგრეთვე სამხედრო ნაწილში ჯარისკაცებზე გაცემული შემოსავლის გადაუხდელად. საქირთა გაისინჯოს რაოდენობა იმ ფასდადებით წერილებისა, რომელნიც გადაგზავნილია, დაბრუნებულია, გაცემულია სამხედრო ნაწილში და გადაცემულია შესანახად საფოსტო საწარმოებში და ნაწილებში, სადაც ეს წერილები ითვლება გადაგზავნილად.

კლიენტებისაგან ნაღდ ფულად გადახდევინებისა და მისი გატარების სისწორის შემოწმება ხდება წარმომდგენთა წიგნებში ფორმა №1, 5 და 5-ა (ტარიფიკაცია, ღირს განმავლობაში შემოსავლის შეჯამება-ჩამოთვლა, ბუღალტერიაში მათი გატარების სისრულე) წარმოებული ჩანაწერების მიხედვით. აქ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამანათები, ფასიანი წერილება, ფულბარათები, რომლებზედაც შემოწმების დროს ახდევინებენ გადასახდელს, როგორც წესი, შესაძლოა

სახეზე იყოს მხოლოდ ერთი დღით (შემოწმების დღეს); ამიტომ აღნიშნულ მიმწოდებელთა წიგნების ქვითრების ძირედებში გადასახადთა სწორად ჩაწერის გამოსარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ეს მაჩვენებლები შევადაროთ თვით ამ გზავნილებათა წონასა და მათზე დადებულ ფასს, თუნდაც შემოწმების დღეებში მაინც (ხოლო წინააღმდეგობისათვის აღნიშნული მაჩვენებლები შეედრება იმ საკვანძო პუნქტის დოკუმენტებს, რომლის საშუალებით იგზავნება შესამოწმებელი საწარმოს ფოსტა).

საფოსტო ამანათების მიხედვით ამოწმებენ მათი შენახვისათვის გადასახდელის აღებისა და შემოსავალში გატარების სისწორეს.

გარდა ამისა ამოწმებენ:

ხომ არ ახდევინებენ გადასახდელს არასწორად გაფორმებულ სამხედრო კორესპონდენციაზე (სამხედრო ნაწილის შტამპის უქონლობისას), როგორც ფასდადებითი კორესპონდენციისათვის;

სასამართლოს უწყებებზე ხომ არ ახდევინებენ, როგორც უბრალო გზავნილებისათვის (ესენი ანაზღაურებული უნდა იქნან, როგორც დაზღვეული კორესპონდენციები);

პრესის გადაგზავნისა და მოტანის დროს ხდება თუ არა ყოველი გამოცემის ტირაჟისა და წონის შეზღუდვა გადასახადის სრულად აღების მიზნით;

დაწესებულია თუ არა კონტროლი ხელის მოწერის თანხების გადაგზავნისათვის გადასახადების შემოსვლაზე, აგრეთვე რკინიგზით გადაზიდვისათვის;

წარმოებს თუ არა კონტროლი იმაზე, რომ სოფლის საბჭოების მიერ საკოლმეურნეო წერილის დამტარებლების საშუალებით კორესპონდენციის უფასოდ გადაგზავნა არ იქნას დაშვებული;

ახდევინებენ თუ არა კუთვნილ გადასახდელს სააბონემენტო ყუთებისათვის.

ტელეგრაფის ხაზით

რევიზია აზუსტებს, საწარმოს ადმინისტრაცია აწარმოებს თუ არა სისტემატურ კონტროლს შემოსავალთა სრულად შემოსვლაზე, ე. ი. აწარმოებს თუ არა ის ტარიფიკაციის აუცილებელ, ყოველდღიურ კონტროლს და საგასავლო დეპეშების პირს აღარებს თუ არა საქვეთიარო წიგნების ძირედებში ჩანაწერებს. რევიზია ამას ავლენს არა გამოკითხვით, არამედ ყველა კავშირგაბმულობის განყოფილებაში არა ნაკლები 15—20

დღის განმავლობაში საგასავლო ფასიანი ღებებების მთლიანად შემოწმებით, ხოლო უფრო მსხვილ საწარმოებში ამოწმებენ 4—5 დღის ღებებებს. რევიზიის ჩამტარებელი პირი ღებებების ბლანკების მიხედვით თვითონ არკვევს მათი ტარიფიკაციის სისწორეს და ყოველი ღებების მაჩვენებლებს ადარებს სათანადო საქვითრო რვეულის (ან უწყისების) ძირედებს; არის თუ არა რვეულში სწორად ჩაწერილი ღებების განრიგი, სიტყვათა რაოდენობა და აღებული გადასახადის ჯამი (ხომ არ არის შემთხვევა, როცა ღებება „ელვა“ ან „სასწრაფოდ“ ჩაწერილია რვეულში, როგორც უბრალო; ან 55 სიტყვიანი ღებება ჩაწერილია, როგორც 15 სიტყვიანი ღებება; ე. ი. ადგილი ხომ არა აქვს ფაქტიურად გადახდევინებული თანხის არასრულად გადახდას). ასეთი შემთხვევების გამოვლინებისას აუცილებლად საჭიროა შემოწმებულ იქნას ღებებები, შემოსული იმ მუშაკის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელმაც განზრახ, თუ შეცდომით აწარმოა ეს არასწორი ჩაწერები, უნდა გამოირკვეს მთელი მითვისებული თანხა (დანაკლისი), უზრუნველყოფილ იქნას მათი გადახდევინება, ხოლო დამნაშავენი მიეცნენ პასუხისგებაში.

სასურველია აგრეთვე პერიოდულად შემოწმდეს: გადასახდელთა შემოსავალში გატარების გარეშე ხომ არ იგზავნება ღებებები, რისთვისაც ცნობები აღებული უნდა იქნას შესამოწმებელ საწარმოდან გამოსულ და ტელეგრაფის საშუალებო პუნქტების საშუალებით გაგზავნილ ღებებებზე.

გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს:

საქვითრო წიგნებში გადასახდელთა ჯამის ჩამოთვლის სისწორე და ყველა გადასახდელი მთლიანად ტარდება თუ არა აღრიცხვაში;

გატარებულთა თუ არა რეგისტრაციაში ტელეგრაფის ყველა პირობითი და „შემოკლებული მისამართი, იხდიან თუ არა გადასახდელს სახელმწიფო, საზოგადო და კოოპერაციული ორგანიზაციები.

სატარიფო ღებებების რვეულიდან გამოკალკევებით ღებებების საქვითრო რვეულში წერენ თუ არა ავანსირებით მიღებულ (არა ნაღდი ანგარიშით) ღებებებს, დროულად და მთლიანად შემოდის თუ არა ამ ღებებების ნუსხა ბუღალტერიაში მათი შემომტანი ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების მიზნით, აგრეთვე ღებებების მიმღებ მოლარეებს აცნობებენ თუ არა ავანსის ამოწურვისა და ღებებების ნისიად მიღების შეწყვეტას;

სატელეგრაფო დენით სარგებლობისათვის ურდგენენ თუ არა ანგარიშებს და ახდენენებენ თუ არა ფულს;

ბულალტერია ბალანსგარეთ აღრიცხავს თუ არა დეპეშების მისაღებ საქვითრო წიგნებსა და საპასუხო კვითრებს, როგორც მკაცრი ანგარიშგების ბლანკებს;

საქიროა გულდასმით შემოწმდეს კავშირგაბმულობის სატელეგრაფო გადასახდელები იმ საქალაქო განყოფილებებისა, რომლებიც დეპეშებს ტელეგრაფში ცოცხალი კავშირის საშუალებით აგზავნიან. კავშირგაბმულობის მრავალ საქალაქო განყოფილებაში, დეპეშების მიმღები პირები, დაქვემდებარებული არიან საფოსტო კანტორაზე (ფოსტამტებზე) და დეპეშები გადაცემის შემდეგ რჩება ტელეგრაფში; ამ შემთხვევაში დეპეშების ჩანაწერებს საქვითრო რვეულთან ბევრ ადგილას არ ადარებენ, რაც აუცილებლად უნდა გამოვლინდეს და თავიდან აცილებულ იქნას.

საქალაქთაშორისო და შინახატელეფონო დალაპარაკება

რევიზორები ამოწმებენ:

ყველა დალაპარაკებას უკლებლივ ატარებენ თუ არა რეგისტრაციით;

რამდენად სწორად უფარდებენ ტარიფს და ახდენენებენ გადასახდელს, მთელ აღებულ თანხას ატარებენ თუ არა შემოსავალში;

არსებული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს თუ არა მთელი შემოსავლის შეტანას საწარმოს სალაროში; მოლარეების მიერ ჩაბარებულ იარკლიკებს ადარებენ თუ არა საკომუტატორო დაფორის ჩანაწერებს; ამ საქმის მდგომარეობის გამორკვევისათვის ზედიზედ რამდენიმე დღის ასეთი დოკუმენტი რევიზორმა პირადად უნდა შეადაროს;

კონტროლს უწევენ თუ არა ბინებისა და დაწესებულებათა ტელეფონებით საქალაქთაშორისო დალაპარაკებისათვის, გადასახდელთა აკრებას.

კავშირგაბმულობის განყოფილებების მიერ მოწყობილი სატელეფონო დალაპარაკებისათვის გადასახდელთა სწორად შემოსელის გამოსარკვევად, საქიროა რევიზიის ჩატარების წინ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის კომუტატორს დავაკვირდეთ, ჩავიწეროთ განყოფილების მიერ დროის რომელიმე განსაზღვრული მონაკვეთისათვის დაკვეთილი დალაპარაკებათა რაოდენობა და მათი ხანგრძლიობა, ხოლო განყოფილების რევიზიის დროს ეს ჩანაწერები შევადაროთ განყოფილებების მონაცემებსა და დავაზუსტოთ ამისთვის გადასახდელი თანხის შემოსავლის სისწორე.

ამავ ე მიზნით სასარგებლოა კავშირგაბმულობის განყოფილებებში 7—10 დღის განმავლობაში ზედიზედ ჩატარდეს დალაპარაკების ნაშდვილი მოცულობის და შემოსავლის ფაქტიური კონტროლი, შეუდარდეს დაკვირვების შედეგები წინა მაჩვენებლებს და ჩატარებული დაკვირვების შედეგების წინააღმდეგ განყოფილების მიერ შემოსავლის ზკვეთარად შემციირების შემთხვევაში გაკეთდეს სათანადო დასკვნები.

კარგ შედეგებს იძლევა შემოსულ დალაპარაკებებზე საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურების ჩანაწერებისა და კავშირგაბმულობის რაიონული კანტორების გამავალ დალაპარაკებების ჩანაწერების ერთმანეთთან შედარება.

საბალაძო საბელეფონო სადგურების ხაზით

აქ რევიზორის ძირითად ამოცანას წარმოადგინს— დააზუსტოს ფაქტიურად არსებულ ყველა აბონენტისაგან შემოდის თუ არა კუთვნილი თანხა და მთლიანად ტარდება თუ არა ის შემოსაკალში. ამას ამოწმებენ აბონემენტების რაოდენობასა და შემადგენლობის შესახებ ოპერატორული აღრიცხვის ზონაცემებისა და აბონემენტების პირადი ანგარიშების მიხედვით ანგარიშსწორების საბუღალტრო აღრიცხვის ერთმანეთთან შედარებით. მიზნშეწონილია აგრეთვე, თუნდაც უახლოეს ვასულ თვეში გადასახდელთა შემოსული თანხები, რომლებიც ირიცხება აბონემენტთა ანგარიშაწორების დეტალურ აღრიცხვაში, შევადაროთ თვის განმავლობაში შემოსულ სააბონემენტო გადასახდელის საერთო თანხას.

გარდა ამისა, შემოწმებული უნდა იქნას:

ყველა აბონენტს, რომელიც საჩგებლობს უფასო ტელეფონით, ნამდვილად აქვს თუ არა ამისი უფლება (კავშირგაბმულობის მინისტრის 1948 წ. 20/111 ბრძანებით № 564 — სასამსახურო ტელეფონით საჩგებლობის მოწესრიგების შესახებ);

ახდევინებენ თუ არა აბონენტს გადასახდელს კილომეტრების მიხედვით სადგურიდან ან ქვესადგურიდან 3 კმ მანძილს ზევით;

სწორად იყენებენ თუ არა ქსელების კლასებსა და აბონენტების კატეგორიებს;

ახდევინებენ თუ არა გადასახდელს შეერთებისა და ადგილობრივ კომუტატორებზე შეერთებულ ადგილობრივი აპარატებისათვის.

საკმაო კონტროლს უწევენ თუ არა ავტომატებისა და ტაქსოფონების ტექნიკურ მდგომარეობასა და მათი საჩგებლობისათვის ფულის აკრეფას;

მთლიანად შემოდის თუ არა გადასახდელი ახალ დადგმული ტელეფონების ან გადანაცვლებისათვის.

კადიოხატრანსლაციო ძახლის დირექციისა და კადიოკვანძის ხაზით

აუცილებელია შემოწმდეს:

წარმოებს თუ არა რადიოკვანძების აღრიცხვა და ამქლაენებენ თუ არა რადიოსატრანსლაციო ქსელის რეგისტრაციის გარეშე აბონენტებს; დაწესებულია თუ არა კონტროლი რადიომოსმენისათვის აბონენტებისაგან ყველა გადასახადის აკრეფისა და შემოსავალში გატარების; სწორად იყენებენ თუ არა სატარიფო კატეგორიებს;

•ახდენენ თუ არა ფულს: წერტების შეერთებისა და გადატანის, ქუჩის რეპროდუქტორების მუშაობისა, სიტყვის გაძლიერების, აპარატის რემონტის, ტექნიკური კონტროლის აკუმულატორების დამუხტვისათვის.

რევიზიის ჩამტარებელმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს საბუღალტრო აღრიცხვა აბონენტებთან ანგარიშსწორებათა შესახებ, ეთანხმება თუ არა ოპეოატიულ აღრიცხვით მიცემულ აბონენტთა რაოდენობას.

რადიოკვანძებში, სადაც სააბონენტო გადასახადის აკრეფა დავალებული აქვს ისეთ პირებს, რომლებიც სპეციალურად იგზავნიებიან სახლებში აბონენტებთან, უნდა შემოწმდეს საქვითარო წიგნების აღრიცხვა და შეკრეფილი ფულის მთლიანად ჩაბარება სალაროში.

კადიოცენტრებისა და კადიოხადგუზრების ხაზით, რომლებიც კადიოგადაცემებს იქლებიან სხვადასხვა ოკვანძისა ხაზით

აქ ამოწმებენ, თუ როგორ არის დაყენებული რადიოგადამცემი აპარატების გამოყენების დროის აღრიცხვის საქმე, გადასახადის დარიცხვის სისწორე და მთლიანად შემოდის თუ არა გადასახადი საწარმოს სალაროში, ან № 0 ანგარიშზე სახბანკში.

15. სამხსალტატაციო ხარჯების გვამის შახტულებისა და ხახტების ხარჯების კანონიერების შემოწმება

ამ განყოფის მიხედვით რევიზორის წინაშე ისმება საკითხი — შეამოწმოს და დააზუსტოს:

რამდენად კანონიერია ყველა გაწეული ხარჯი;

გეგმასთან შედარებით გადახარჯვებს აქვს თუ არა ადგილი;

არის თუ არა გეგმით გაუთვალისწინებელი ხარჯები;

შომკვირნეობით წარმოებს თუ არა ფულადი სახსრებისა და მასალების ხარჯვა;

კანონიერი დოკუმენტებით დასაბუთებულია თუ არა გასაავალში გაწერილი ყველა თანხა და მატერიალური ფასეულობანი;

ფაქტიური ხარჯები ბუღალტერიის მიერ სწორად არის თუ არა მიკუთვნებული ალრიცხვაში სათანადო ანგარიშებზე, პარაგრაფებზე და მუხლებზე გაწეული ხარჯების რაობისა, და არა დაფინანსებათა წყაროების მიხედვით, მაგალითად, მივლინებათა ხარჯების უქონლობისას მივლინებათა ხარჯები ალრიცხვაში მიკუთვნებულია მუხლზე „ხელფასი“, სადაც ადგილი ჰქონდა ეკონომიას; ეს გაკეთებულია არასწორად, ასეთი ხარჯები ალრიცხვაში უნდა მიეკუთვნოს იმუხლს „მივლინებები“ და არა „ხელფასი“.

ხარჯების გეგმის შესრულების საერთო მდგომარეობის გამორკვევა ხდება ცალკეული პარაგრაფებისა და ნომენკლატურის მუხლების მიხედვით ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და გეგმით გათვალისწინებული თანხების ურთიერთთან შედარებითა და გეგმიდან გადახრების გამოვლენით.

თვით ანგარიშგებათა მაჩვენებლების სისწორე ხარჯების შესახებ, გაწეული ხარჯების კანონიერებასა და გასაავალში გაწერილი თანხების დასაბუთებას აზუსტებენ ხარჯების ყველა საბუღალტრო დოკუმენტის შემოწმების პროცესში. ხარჯების კანონიერების ან გადახარჯების შესახებ დასკვნის გამოყვანა—ხარჯების დოკუმენტების შემოწმებლად, ე. ი. მხოლოდ საწარმოს ანგარიშგებათა მიხედვით არ უნდა კეთდებოდეს. არ შეიძლება აგრეთვე ეკონომიად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა გეგმით დანიშნული თანხა სრულად არ არის დახარჯული, თუ არსებულ საბუღალტრო დოკუმენტებით, აგრეთვე საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშგებებითა და დოკუმენტებით არ იქნება გამოვლინებული, შეესაბამება თუ არა გაწეული ხარჯები შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხს.

ამის გამოსარკვევად რევიზორი ვალდებულია:

ჯერ ერთი, ხარჯების მაჩვენებლები შეადაროს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, მაგალითად, ასეთი ფორმით:

ბარჯების დასახელება	ფულადი ბარჯ. ათას მან.		შესრულ. სამუშ. მოცულობა				
	გეგმით	ფაქტი.	%	ზომის ერთ.	გეგმით	ფაქტ.	%
ფოსტის გადახიდა . .							
ავტოტრანსპორტი .	14,0	13,3	95	კმ გა- რბენის	10.000	7.000	70
სატვირთო ტრანსპორტი							

ასეთი შედარება საუკეთესო შედეგებს იძლევა. მაგალითად, კვარტალის განმავლობაში ავტოტრანსპორტით ფოსტის გადაზიდვისათვის დახარჯულია ფულადი სახსრები გეგმის 95%⁰; გადახარჯვას ადგილი არა აქვს და ერთი შეხედვით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი რიგზეა; ფოსტის გადაზიდვის გეგმის შესრულების მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებისას კი ირკვევა, რომ გარბენის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 70%⁰; ეს გვიჩვენებს იმას, რომ დარღვეულია ფოსტის მოძრაობის სიხშირე (ხარისხი დაწეულია) და რომ 1 კმ გარბენის ღირებულება—ნაცვლად 1 მან. 40 კაპ. გამოიხატა—1 მან. 90 კაპ. გეგმით (სახალხო სახსრების არაეკონომიურად ხარჯვა, საფ. დისციპლინის დარღვევა).

მეორე, შეამოწმოს ფაქტიურად გაწეული ყველა ხარჯი დროულად ჩაწერილთა თუ არა საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში; სშირია შემთხვევა, როცა სამეურნეო მუშაკები და ბუღალტერია აგვიანებენ დახარჯულ მასალების, საწვავის, სათბობის გაფორმებასა და ჩამოწერას ან კუთვნილი გადასახადების დარიცხვასა და განაღდებას (კოლმეურნეებს ფოსტის გადაზიდვისათვის და სხვ.).

მესამე, დადგენილ იქნას გადახარჯვის ნამდვილი მიზეზები.

ხარჯების ანალიზის დროს ადგილზე ყოფნისას რევიზორს მნიშვნელოვანი უპირატესობანი აქვს კავშირგაბმულობის სანმართველოს იმ მუშაკებთან შედარებით, რომლებიც ანალიზს უკეთებენ ანგარიშგებებს: შას (რევიზორს) ამისათვის ხელთ აქვს ყველა პირველადი დოკუმენტი, მაშინ, როცა სამმართველო უნდა დაეყრდნოს ქვემდებარე საწარმოების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებას.

ანგარიშგებებთან დართულ ახსნა-განმარტებაში გადახარჯვებს ჩვეულებრივად განმარტავენ ამა თუ იმ „ობიექტური“ მიზეზებით, იმავე დროს ადგილებზე ხშირად არკვევენ, ამ გადახარჯვებში უყიარათობას, ზოგჯერ ბოროტმოქმედებასაც კი. ფოსტის გადაზიდვის აღნიშნულ მაგალითზე გადახარჯვებს ხშირად ხსნიან საკვების გაძვირებით, ავტომანქანების რემონტის ხარჯებითა და სხვ. ადგილებზე ხარჯების დოკუმენტებისა და საგზური ქალაქდების შემოწმება ნათელს ჰფენს საქმის ნამდვილ ვითარებას: თურმე ზოგჯერ ტრანსპორტის მთელ ხარჯებს ფოსტის გადაზიდვას აკუთვნებენ, მაშინ, როცა ტრანსპორტი 30—40% გამოყენებულია სულ სხვა დანიშნულებისათვის (მგზავრობა, —სათბობის გადაზიდვა, მშენებლობაზე მასალების მიზიდვა, სამმართველოს საქიროებისათვის წასვლა, ზოგჯერ კერძო საქმეებზედაც სიარული), რომ არასწორად არის შედგენილი თვით განაცხადებიც ფოსტის გადაზიდვის შესახებ, არასწორად ივსება საგზურის ფურცლები და სხვ.

ზოგჯერ სახაზო მოწყობილობათა რემონტისათვის გათვალისწინებული თანხა სრული 100% იხარჯება, ხოლო რემონტის მოკულობის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 50%. აქ საფინანსო ანგარიშგების საქმეში თითქოს კარგი მდგომარეობაა, სინამდვილეში კი ადგილი აქვს სამუშაოთა ღირებულების ორჯერ გაძვირებას.

გეგმასთან შედარებით თანხების არასრულად დახარჯვა, თუ ის ადვანსურებს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას, აგრეთვე უნდა იქცევდეს რევიზორის ყურადღებას, რომელსაც ადვილზე ყოფნის დროს შეუძლია დაადგინოს ნამდვილი მიზეზები და დამნაშავენი გეგმის შეუსრულებლობაში.

გეგმური დანიშნულებიდან ფაქტიური ხარჯების ყოველგვარი ცოტად თუ ბევრად გადახრის დროს, შესრულებულ სამუშაოების მიხედვით ხარჯების უთანაბრობის დროს (სამუშაოთა ერთეულის გაძვირება) უნდა ჩატარდეს განსაკუთრებით სერიოზული შემოწმება ამ არანორმალური მოვლენების მიზეზებისა და დამნაშავე პირთა გამოვლინების მიზნით. ამ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დოკუმენტი უნდა შემოწმდეს მათი დასაბუთებისა და ხარისხიანობის თვალსაზრისით.

საერთოდ, ხარჯების ანგარიშის რევიზია საჭიროა მოეწყოს და ჩატარდეს ამგვარად: რევიზიის ჩამტარებელი საცხებით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყველა თანხა, რომელიც აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დახარჯულად ითვლება, სინამდვილეში მთლიანად და კანონიერად არის დახარჯული. ამისათვის, გარდა დოკუმენტის შემოწმებისა, ყოველი-

მათგანის კანონიერებისა და სისწორის თვალსაზრისით აუცილებლად საჭიროა: შემოწმდეს მათი კონტრიგება, განაწილება. ანალიზური აღრიცხვის ბარათების შეჯამების სისწორე, ამ რიცხვის მაჩვენებლების შესაბამისობა საკონტროლო უწყისთან, საკონტროლო უწყისის შეჯამების სისწორე, ამ ჯამების შესაბამისობა საერთო სინთეზურ ანგარიშებთან (ბრუნვათა ბალანსი) და ანგარიშგებათა მაჩვენებლებთან. ან პირიქით, შევამოწმოთ უკანასკნელ საბუღალტრო ანგარიშგების ანგარიშების მაჩვენებლების შესაბამისობა — ბრუნვათა ბალანსის, საკონტროლო უწყისის, დეტალური აღრიცხვის საშუალებით — პირველადი ხარჯების დოკუმენტების ჯამთან.

აღნიშნული მეთოდით ბალანსის მაჩვენებლების სისწორის შემოწმების მოთხოვნა ეხება სალაროს ანგარიშსაც, ანგარიშსწორების ანგარიშებს ბანკში და ბალანსის სხვა ანგარიშებსაც.

იმ შემთხვევაში, როცა რევიზორს დრო არა აქვს ყველა დოკუმენტის მთლიანი ღრმა შემოწმების ჩასატარებლად საექსპლოატაციო ხარჯების რევიზიის დარგში რეკომენდებულია მეთოდი „აღრიცხვიდან დოკუმენტებისაკენ“, ე. ი. საექსპლოატაციო ხარჯების № 050 ანგარიშის ბარათებიდან ამოიკრიფოს რევიზორისათვის სინტერესო ოპერაციები და მათი თანხები, ამ ოპერაციების საბუღალტრო გატარებათა ნომრები და შემოწმდეს ის დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გატარებათა მიხედვით თანხების გასაველში გაწერას.

განსაკუთრებით გულდასმით უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციულ-მართველობითი ხასიათის ხარჯები, აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო სხვადასხვა თანხების დაკარგულად, ზარალად და დახარჯულად მიჩნევასა და მათს გასაველში გაწერას.

ისეთი ორგანიზაციის რევიზიის დროს, რომელსაც დაქვემდებარებული ჰყავს ცალკე ბალანსზე მყოფი ანგარიშვალდებული საწარმოები, მაგალითად კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველოები და სხვ. აუცილებლად საჭიროა შემოწიებულ იქნას მათ შორის ანგარიშსწორება 143 ანგარიშის მიხედვით; კერძოდ, დაქვემდებარებული საწარმოების მიერ ყველა ავიზებული თანხების სათანადო პირებზე მიკუთვნების სისწორე დასაბუთება და ავიზოებში ნაჩვენები ოპერაციების არსებობის დამადასტურებელი საბუთები.

ცალკეული სახის ხარჯების (ხელფასი, სამეურნეო, სამივლინებო, მასალების და კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯები) რევიზიის უფრო დაწვრილებითი ცნობები ნაჩვენებია ქვემოთ სათანადო განაყოფებში.

გასაელის გეგმის შემოწმებისას რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულა, თუნდაც თითო-ოროლა სახის ხარჯების მიხედვით მაინც, შეანოწმოს თუ როგორაა დაყენებული პირველადი აღრიცხვა და საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშგებათა მაჩვენებლების სისწორე. მაგალითად, რევიზიის ჩატარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხაზის რეკონტის, ფოსტის გარბენის გეგმის შესრულების ხაზითა და სხვ., ზოგჯერ შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობას ფაქტიურად ჩატარებულზე გადამეტებით გვიჩვენებენ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ადგილზე დავრწმუნდეთ ანგარიშგებათა საფუძვლიანობაში, ამისათვის კი საჭიროა გამოყენებულ იქნას პირველადი ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

16. შრომისა და ხელფასის დოკუმენტების რევიზია

კავშირგაბმულობის მეურნეობაში ხელფასის ხარჯები წინადაცნს საექსპლუატაციო ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს. გარდა ამისა, ხელფასის ხარჯებთან მკიდროდ დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: შრომის ნაყოფიერების, სოციალისტური შეჯიბრების, თვითღირებულების შემცირების, შრომითი და საშტატო ერთეულების საკითხები. ამიტომ ხელფასის ფონდის ხარჯვაზე კონტროლის გაწევა სარევიზიო მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაოს წარმოადგენს.

რევიზორმა უნდა შეამოწმოს და დაადგინოს:

შესამოწმებელ საწარმოში ხელფასის ფონდს სწორად და მთლიანად აკუთვნებენ თუ არა შრომისათვის გადახდილ ყველა თანხას, რომელიც დაერიცხა როგორც სიობრივი შემადგენლობის მუშაკებს, ისე იმ პირებს, რომლებიც შტატში არ ირიცხებიან. ხელფასის ფონდს სწორად მიაკუთვნეს თუ არა აგრეთვე, გეგმით გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გადახდილი თანხები.

აღრიცხვის პრაქტიკაში ადგილი ხომ არა აქვს ამა თუ იმ სამუშაოსათვის საღაროდან ან საქვენგარიშო თანხებიდან გადახდილი თანხების უშუალოდ საექსპლუატაციო საწარმოო ხარჯებისათვის, იმ გვარად, რომ გვერდს უვლიდნენ ხელფასის საერთო ფონდს. ადგილი ხომ არა აქვს ხელფასის არადანიშნულებისამებრ ხარჯვას, მაგალითად, კადრებს მოსამზადებლად, მასალების დასამზადებლად და სხვ.

ფაქტიურად გადახდილი ხელფასის საერთო თანხის დაზუსტების შემდეგ, ამ თანხას ადარებენ გეგმურ ფონდს. ავლენენ გადახარჯვის მიზნებსა და დამნაშავეებს. ამავე დროს მხედველობაში უნდა ექონიოს,

რომ თანახმად სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1939 წ. დადგენილების და სსრ კავშირის პრაქტურატურის 1938 წლის 27/II № 197 ბრძანებისა და 1938 წ. 21/III № 18/24 ბრძანებისა ხელფასის ფონდის გადახარჯვისა და გადიდებული განაკვეთებით ხელფასის გაცემისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული სისხლის სამართლის წესით.

ხელფასის ფონდის გადახარჯვის მიზეზები შეიძლება იყოს:

შტატებთან შედარებით მუშაკთა მეტი რაოდენობა,

ხელფასის გადიდებული განაკვეთები,

ძირითად საშტატო განაკვეთებზე ხელფასის უკანონო დამატებანი,

შეფასების არასწორი ნორმები,

ბოროტმოქმედებანი.

წარმოებს აგრეთვე ხელფასის ფონდის ხარჯვის მონაცემების დაპირისპირება შესრულებულ სამუშაოს მოცულობასთან (კავშირგაბმულობის დარგების, ან რამდენიმე ერთი და იგივე ტიპის საწარმოსი, ან სხვადასხვა-საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით). ასეთი დაპირისპირების გზით აზუსტებენ საქმის ნამდვილ ვითარებას; ხელფასის მთლიანად გამოუყენებლობა სამუშაოს მოცულობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ნიშნავს არაეკონომიას, არამედ ხელფასის გადახარჯვას.

შემდეგ ამოწმებენ:

არის თუ არა საწარმოში ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული დოკუმენტი საშტატო კონტინგენტისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების შესახებ;

ფინანსთა სამინისტროს ორგანოების რეგისტრაციაში გატარებულია თუ არა შტატები და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები;

ეთანხმება თუ არა შემოღებული ხელფასის განაკვეთები საშტატო ცხრილებსა და კავშირგაბმულობის 1944 წ. 6/I № 5 ბრძანებას—კავშირგაბმულობის მუშაკების ხელფასის შესახებ; ადგილი ხომ არა აქვს მათს გადიდებას ან შემცირებას. სწორად ანგარიშობენ თუ არა კავშირგაბმულობის მუშაკების მიერ ნამსახური წლებისათვის დამატებებს (არსებობს თუ არა დამატებების დამადასტურებელი დოკუმენტები).

ხომ არ არის საშტატო დისციპლინის სხვა დარღვევები ხელფასის ფონდის გადიდების მიზნით; შტატში ხომ არ რიცხავენ კვალიფიკაციისათვის შეუფერებულ მუშაკებს; მოცემულ საწარმოში ხომ არ მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც შტატში ირიცხებიან და ხელფასს დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში ლეგულობენ (შტატის ფარული ჯაღიღება); აღნიშნული დარღვევების გამოსაწვინებლად საშტატო სიას ადარებენ

ფაქტიურად სახეზე არსებულ მუშაკთა შტატს და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებს;

სწორად ხდება თუ არა ხელფასის დარიცხვა შრომის დროითი სისტემით ანაზღაურებისას, როგორ არის დაყენებული გამომუშავებული დროის (სამუშაოზე გამოცხადება, სამუშაოდან წასვლა, დროის აღრიცხვა დასვენება), ხდება თუ არა სამუშაო დროის გაცდენა (გამოუცხადებლობა, სამუშაო დროის არარაციონალურად გამოყენება); რა დოკუმენტები გამოიყენება ხელფასის დარიცხვის საფუძვლად, ვის მიერ, და სწორად დგება თუ არა ხელფასის ანაზღაურების უწყისები, ვინ ამოწმებს მათი შედგენის სისწორეს, ხელს აწერენ თუ არა მის საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი. ხელფასის უწყისში ხომ არ არიან „მკვდარი სულები“, უმთავრესად დაქვემდებარებულ კავშირგაბმულობის განყოფილებებში, სააგენტოებში, სასწავლებლებში, მშენებლობებზე, ხელფასის უწყისებში სწორად გამოპყავთ თუ არა გასაცემი თანხების ჯამი; ხელფასის ანაზღაურების უწყისების შედგენის სისწორე და ჯამები საჭიროა შემოწმდეს ყოველ რევიზიის დროს, მინიმალურად—ყველა უწყისი უკანასკნელი სამი თვისა; ჯამის გადიდების გამოვლინების ერთ შემთხვევაშიაც კი სექტში „უნდა გაიცეს“, ე. ი. გასაქალში მეტი თანხის ჩამოწერისას, ვიდრე უნდა გაცემულიყო, მოლარის ან მოლარესთან ერთად უწყისის შემდგენლის სხვა ბოროტმოქმედებისას, — ასეთი ხელფასის ანაზღაურებას უწყისები უნდა შემოწმებულ იქნეს იმ დროის მანძილზე, რა დროსაც მუშაობდნენ სახელმწიფო ქონების მიმთვისებელი პირები.

იძლევა თუ არა აღრიცხვის არსებული წესი და ხელფასის გაცემის ტექნიკა იმის გარანტიას, რომ აღგალი არ ექნება არადანიშნულებისა-სებრ თანხების გაცემას ხელფასის ხელმეორედ გადახდას და მინაწერებს უკანონო გაცემის ნიშნით;

სწორად ხდება თუ არა ხელფასის დარიცხვა და მუშაკებთან ანგარიშსწორება სანარდო სამუშაოთა შესრულების დროს, ვის მიერ და როდის არის დამტკიცებული გამომუშავების გამოყენებული ნორმები და ფასები, აღვილი ხომ არა აქვს უკანონო მინაწერებს; ადარებს თუ არა ბუღალტერია პროდუქციის რაოდენობას, რომლისათვისაც გაცემულია ხელფასი, შემოსავალში გატარებულ პროდუქციის რაოდენობას;

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას შემოწმებული ხელფასის გაცემის დოკუმენტები იმ საწარმოებში, სადაც მოლარის მოვალეობას (ხელფასის გაცემა) უკანონოდ აკისრებენ სამუშაოთა ნწარმოებლებს, ან საანგარიშო დარგის იმ მუშაკებს, რომლებიც მონაწილეობენ გასანაღლებელი დოკუმენტების შედგენასა და მათს საბუღალტრო დამუშავებაში.

შრომის ხელფასის პრემიალური სისტემის დროს რევიზორი ამოწმებს: პრემიის სახით აღგილი ხომ არა აქვს ხელფასის მალულად გადღობას.

აქვს თუ არა გაძარტლება გამოყენებულ პრემიალურ სისტემას და კონკრეტულ შემთხვევაში იწვევს თუ არა ის შრომის ნაყოფიერების ზრდას;

საწარმოს ხელმძღვანელობა აწარმოებს თუ არა შრომის ნაყოფიერების ანალიზსა და შრომის ნაყოფიერების შემცირების დროს—ამ შემცირების მიზეზების შესწავლას;

აქვთ თუ არა შრომის ნაყოფიერების გადღობის ღონისძიებათა გეგმა და როგორ ხორციელდება ეს ღონისძიებანი;

ხდება თუ არა შესწავლა საშულო ხელფასის დინამიკისა შრომის ნაყოფიერებასთან და სამუშაოთა ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;

რა მდგომარეობაშია სტახანოვური მოძრაობის განვითარება;

ხდება თუ არა ხელფასის ფონდის დაგეგმვა შტატის გარეშე (უპიროდნო ფონდი) მუშაკებისათვის, ხდება თუ არა მისი ხარჯვა დამტკიცებული გეგმის მტკიცედ შესაბამისად, ხომ არ ხდება ამ ფონდის გამოყენება საშტატო მუშაკების მიერ შესრულებულ იმ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, რომელთა შესრულებაც მათ ევალებათ;

ხომ არ ხდება ხელფასისათვის განკუთვნილი თანხების გამოყენება არაღანიშნულებისამებრ და ამ საქმეში დამნაშავეებს აძლევენ თუ არა პასუხისგებაში (სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1940 წ. 26/III № 407 დადგენილება).

გარდა ზემოაღნიშნულისა, რევიზიის ჩამტარებელი აუცილებლად ამოწმებს:

სწორად არის თუ არა დარიცხული გადასახადი და თავის დროზე შეაქვთ თუ არა სახბანკში მუშაკებისაგან დაკავებული გადასახადები და გამოსაღებები;

სახბანკში წარსადგენ ცნობებში სწორად უჩვენებენ თუ არა ფაქტიურად სახეზე არსებულ მუშაკთა რაოდენობას და ხელფასის დარიცხვებს (ბანკში წინასწარ მოფიქრებით არასწორი ცნობების წარდგენისათვის დამნაშავეები პასუხისგებაში უნდა იქნან ნიცემულნი რსფსრ სსხ. სამ. კოდექსის 109 მუხლით);

ხომ არ არღვევენ მთავრობისა და საკ. პოფკავშირთა ცენტ. საბჭოს დადგენილებებს ზედმეტ საათებში შესრულებულ სამუშაოების ანაზ-

ლაურების შესახებ (საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბქოს 1934 წ. 29/VII განმარტება), შეთავსების შესახებ (სსრ კავშირის სახ. კომ. საბქოს 1933 წ. დადგენილება) და შევბულების დროის ანაზღაურების შესახებ (სსრ კავშირის სახ. კომ. საბქოს 1935 წ. დადგენილება და საკ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბქოს 1935 წ. 9/IX და 1936 წ. 2/II დადგენილება);

როგორ არის დაყენებული დეპონენტების თანხების აღრიცხვისა და დეპონენტებთან ანგარიშსწორების საქმე—მათ საფარქვეშ ხომ არ იმალება უსაფუძვლოდ დარიცხული ხელფასის თანხები, ადგილი ხომ არა აქვს დეპონენტების თანხების მინდობილობით გაცემას.

აუცილებელია აგრეთვე შემოწმდეს:

შრომის დისციპლინის მდგომარეობა—წარმოებს თუ არა წრომის დისციპლინის დარღვევა და საწარმოს ხელმძღვანელი ლებულობს თუ არა ზომებს დაწესებულ კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ.

კავშირგაბმულობის გეურნეობაში ფულადი ოპერაციების წარმოებაში, აგრეთვე ფასეულობათა ნიღებასა, გადაჯზავნის საქმეში დიდძალი მუშაკები მონაწილეობენ. სოციალისტური ქონების დაცვის მიზნით რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულია ბრძანებებისა და პირადი საქმეების მიხედვით შეანოწმოს, სწორად ლებულობენ და ითხოვენ თუ არა მუშაკებს; ყოველ მუშაკს აქვს თუ არა შრომის წიგნაკი, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, იციან თუ არა (ჩაწერილია თუ არა) მუშაკების მისამართები და პასპორტის ნომრები; რიცხავენ თუ არა შტატში მშენებლობაზე დროებით მუშაკებს.

17. მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და შენახვის რევიზია

საკ. კ 3 (ბ) მე-18 პარტკონფერენციამ თავის რეზოლუციაში ხაზი გაუსვა მოწყობილობის და მასალების აღრიცხვის სწორად დაყენებას, მოწყობილობისა და ინსტრუმენტების სწორად გამოყენებას; კონფერენციამ ხაზი გაუსვა აგრეთვე ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერჯიის ყაირათიანად ხაზჯვის აუცილებლობას, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა დაცვისა და კარგ მდგომარეობაში შენახვის აუცილებლობას.

მუშაობის ამ უბანზე მიზნად ისახავს რა პარტიის მითითებათა უზრუნველყოფას, რევიზიამ უნდა შეამოწმოს:

მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის მდგომარეობა ბუღალტერიასა და საწყობში (საკუქნაოში);

საწყობის მეურნეობა და მათი დაცვის პირობები;

მოწყობილობათა სწორად გამოყენების, მასალების, ხელსაწყოებისა და მიზანშეწონილად ხარჯვის წესი და მათზე კონტროლის წარმოება.

იმ მატერიალურ ფასეულობათა საბუღალტრო აღრიცხვის რეევიზიის დროს, რომლის შემადგენლობაში შედის მასალები, მცირეფასიანი საგნები და სათადარიგო ნაწილები, ამოწმებენ:

საბუღალტრო აღრიცხვა აგებულია თუ არა კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის გეგმისა და ინსტრუქციის თანახმად;

აღრიცხვის არსებული კონტროლი უზრუნველყოფს თუ არა ფასეულობათა კონტროლსა და ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის მოწოდებას! ყოველდღიურად საქმის მდგომარეობისა და მისი მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ.

თავის დროზე და სწორად აფორმებენ თუ არა ყველა საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტებს (ზედნადებებს, ბრძანებებს, აქტებს, მოიხიონილებებს);

თავის დროზე ან როგორი დაგვიანებით ამუშავებენ დოკუმენტებს და გადააქვთ ის დეტალური აღრიცხვის ბარათებში;

ადგენენ თუ არა მასალების ბრუნვათა უწყისებს; სწორად აწესებენ თუ არა მასალების შემოსავლისა და გასავლის ფასებს;

საწარმოში არსებობს თუ არა დამუშავებული ინსტრუქცია მასალების შემოსვლისა და გაცემის, აგრეთვე მასალების მოძრაობისა და აღრიცხვის დოკუმენტების ბრუნვის შესახებ;

კერძოდ, საწარმოს მომარაგების განყოფილებაში წარმოებს თუ არა ყველა ზემენილი ან გადაგზავნილი მასალების (რკინიგზის ზედნადებების, ანგარიშებისა და სხვ.) დოკუმენტების რეგისტრაცია მიღებული ტვირთის რეგისტრაციის ეურნალში“;

ყველა მუშაკი, რომელც მონაწილეობას იღებს მასალების მიღების, გაცემის, შენახვის და აღრიცხვის ოპერაციების გაფორმებაში, იცნობს თუ არა არსებულ ინსტრუქციას და როგორ ასრულებენ ისინი მათ;

შემოღებულია თუ არა ცალკე ბარათები საწყობში მასალების შეღებვის ნომენკლატურაზე;

აღრიცხება თუ არა საწყობში მასალების შემოსვლისა და გასვლის ოპერაციები ამ ოპერაციების ჩატარების დღეს;

ბარათებში გამოჰყავთ თუ არა მასალების ნაშთები ყოველი ოპერაციის შემდეგ;

ბრძანებით გამოყოფილია თუ არა საწარმოში ის პირნი, რომლებსაც უფლება აქვთ ხელი მოაწერონ მასალების მიღებასა და გაცემას;

ხომ არა აქვს ადგილი გაუფორმებელი დოკუმენტებით, ან ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე მასალების გაცემას;

სწორად აღფორმებენ თუ არა საწყობში მასალების მიღებას, არ დაგენენ თუ არა საკირო დოკუმენტებს, შექმნილ მასალებს შემოსავალში გატარების უმაღლეს ანოწმებენ თუ არა მათ წონას, წესრიგში მყოფობასა და ხარისხს, ადგენენ თუ არა აუცილებელ კომერციულ აქტს შეფუთვის მოუწესრიგებლობის, წონაში, ან რაოდენობაში დანაკლისის, აგრეთვე ნაკლებხარისხიანობის შემთხვევაში;

გზაში ტვირთის დაცვის წესის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლებს თავის დროზე ურდგენენ თუ არა რეკლამაციას და რეინგზას კი პრეტენზიებს; ამ შემთხვევაში სრულდება თუ არა სსრ კავშირის სახ. კოპ. საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრის ინსტრუქცია, რეინგზების წესდება, კავშირგაბმულობის მინისტრის 1947 წ. 2/ VII ბრძანება № 256 და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის 1948 წ. 18. IX ცირკულიარი № 17730.

საბუღალტრო აღრიცხვისა და საწყობის აღრიცხვის რაოდენობით მაჩვენებლებში სრული თანაბრობა უნდა იყოს. საწარმოს ბუღალტერია ვალდებულია სისტემატიურად, უშუალოდ საწყობში (საკუქნაოში) შეამოწმოს საწყობის აღრიცხვის ბარათებში მასალების დროულად, მთლიანად და სწორად ჩაწერა და თვეში ერთხელ მაინც შეადაროს საწყობის ბარათები ბუღალტერიის აღრიცხვის ბარათებს.

რევიზია უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ასეთი შედარება ნაძღვილად კეთდება. ამისათვის ყველაზე უკეთესია რევიზიის ჩამტარებელმა მატერიალურ ფასეულობათა ცალკეული სახეების მიხედვით საბუღალტრო აღრიცხვის მაჩვენებლები პირადად თვითონ შეადაროს საწყობისას, აგრეთვე შეადაროს აღრიცხვის მონაცემები სახეზე არსებულ მასალებს (არჩევით 10—15 ნომენკლატურა, გარდა ამისა ძვირფასი მასალებიც). თუ ერთ საწყობში ინახავენ სხვადასხვა ბალანსში (ძირითადი საქმიანობის, კაპიტალური დაბანდების) რიცხულ მასალებს, მაშინ შემოწმება ყოველი ბალანსის მიხედვით ცალკე უნდა ჩატარდეს.

მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად მოწყობილ საწყობის მეურნეობას, ძალთა ზუსტად განაწილებას, ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა—მასალებს, შტორეფასიან და სწრაფუკეთადი საგნების (ინვენტარი, ავტომანქანების

კანერები და საბურავები, ხელსაწყოები, სპეცტანსაცმელი და სხვ.) შესა-
ნახავ ყოველ ადგილზე თანამდებობითი პირის მიმაგრებას.

არის თუ არა მასალების შესანახად სპეციალურად მოწყობილი
სასაწყობო შენობები, სადგომები, უზრუნველყოფენ თუ არა ეს შენობები
ნასალების ნორმალურ პირობებში დაცვასა და შენახვას;

შექმნილია თუ არა საჭირო პირობები ყოველი სახის მასალის (სა-
წვავი, გოგირდმეხა, ფეთქადი ნივთიერებანი და ისეთი საგნები, რომ-
ლებიც ზამთარში მოითხოვენ გამთბარ შენობაში შენახვას, ნივთები, რომ-
ლებიც მოითხოვენ მშრალ შენობაში შენახვას, და პირიქით, საგნები,
რომელთათვის საჭიროა ნესტი და სხვ.) გაფუჭების, ხანძრის გაჩენის
და დაუანგვის თავიდან აცილებისათვის;

საწყობის შენობა მოწყობილია თუ არა სასწორით, საზომი ტარითა
და გასაზომი ხელსაწყოებით;

არიან თუ არა მატერიალური ფასეულობებისათვის პასუხისმგებე-
ლი პირები რსფსრ ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს 1930 წ. დადგენილე-
ბის შესაბამისად „სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულებებისა
და საწარმოების მუშაკების ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ მათ-
თვის ანგარიშქვეშ გადაცემული სასაქონლო ფასეულობათა დანაკლისზე“
და სსრ კავშირის ვაქრობის სახ. კომ. 1932 წ. 1/VI ინსტრუქცია № 26
„ძუშაკთა ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საწარმოს იმ ქონებისა
და მასალებზე, რომლებიც მოსახმარად გადაეცათ მათ“ (სსრ კავშირის
ვაქრობის სახ. კომ. უწყებები 1932 წ. №17—18).

კერძოდ, ჩანს თუ არა აღრიცხვიდან, რომელი პირები არიან მატე-
რიალურად პასუხისმგებელნი საწარმოს მასალებზე, ხელსაწყოებზე, სპეც-
ტანსაცმელზე;

როგორ ფორმდება მატერიალურ ფასეულობათა მიღება-ჩაბარება
ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე, მათი შეცვ-
ლის დროს (საწყობის გამგე, მეკუქნავე), ასეთ შემთხვევაში ტარდება თუ
არა მასალების ნაშთის აუცილებელი ინვენტარიზაცია;

მატერიალურად პასუხისმგებელი პირის სამსახურში მიღების დროს
იცავენ თუ არა აუცილებელ სიფიზულეს (ხომ არ ღებულობენ ისეთ პი-
რებს, რომლებიც უკვე გასამართლებული იყვნენ დატაცებისა და გაფ-
ლანგვისათვის, ან ისეთებს, რომლებსაც მინდობილი საქმისადმი გულ-
გრილი დამოკიდებულებისათვის მიღებული აქვთ საყვედური და სხვ.);

მასალების შემოსავლის, გასავლის, განაღდების, ზარალში გაწერის
ყოველგვარი ოპერაციების დოკუმენტები ჩვეულებრივ უნდა აიკი

საბუღალტრო და სალაროს დოკუმენტებთან ერთად საერთო შემათი შემოწმებისას აუცილებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს

მასალებს მონატრებულ ფასებში ხომ არ ყიდულობენ კერძბისაგან ან მალაზიებში ანგარიშის გარეშე, კავშირგაბმულობისრის 1948 წ. 17/II № 72 ბრძანების და კავშირგაბმულობის საროს 1950 წ. 15/IV ცირკულარის № 6867 დარღვევით;

მასალებს ხომ არ ჰყიდიან საწარმოს გარეთ, ადგილი ხომ ა მასალის გაცვლის ოპერაციებს;

მასალების მიღებისა და გაცემის დროს იცავენ თუ არა გ წესს და მინდობილობათა მოთხოვნას, აწარმოებენ თუ არა გა მინდობილობათა ადრიცხვას. რაც გათვალისწინებულია მინდობი თა შესახებ კავშირგაბმულობის მინისტრის 1944 წ. 23/V II ბრძანებით.

მუშაკების მიერ საწარმოს ინვენტარით (მაგიდები, კარადები, ლები და სხვ.), ბინებში დროებითი სარგებლობისათვის ახდევ თუ არა დადგენილ საამორტიზაციო გადასახდელს (საბალანსო რი ლების 10% წლიურად);

ხარჯავენ თუ არა მასალებს ხარჯვისათვის დადგენილი ნორ მიხედვით და თავის დროზე ხდება თუ არა მათი ჩამოწერა სათი ანგარიშებში;

თვალყურს ადევნებენ თუ არა იმას, რომ ჰასუხისმგებელმა კ მა, რომლებზედაც მასალები ანგარიშქვეშ ირიცხება, არ გააჩერო გარიშების წარმოდგენა. თვალყურს ადევნებენ თუ არა საკვებს, სა და სათბობს, რომლებსაც ზოგჯერ უყაირათოდ, უზომოდ იძლევი წერენ გასაეალში ერთბაშად მთელი თვის, ან მთელი კვარტალისას ; დოკუმენტი; აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ, რომ ხარჯვის ნორ ამტკიცებდნენ და იცავდნენ, აგოეთვე გამოყონ ჰასუხისმგებელი ჰ რომელსაც დაეკისრება მასალებს სწორად ხარჯვაზე მეთვალყურე

არაჩაკლებად მნიშვნელოვანია შევამოწმოთ შემოსაეალში ყველა; მთლიანად გატარებულია თუ არა. შევამოწმოთ გატარების სისწორე, გ კუთრებით ისეთი მასალებისა, როგორიცაა, მოცემული საწარმოს და; რე მეურნეობის საკვები, ან სამეურნეო წესით დამზადებული შეშა. გ შემოწმდეს აგრეთვე, რამდენად დასაბუთებულად არის ჩამოწერ მატერიალური ფასეულობა, ან მათი ღირებულების ნაწილი დანაკლი გაფუქების ან ხარისხის გაუარესების შედეგად. აქ მხედველობაში გ ვიქონიოთ, რომ დაუდევრად, ან შენახვის საქმის უკონდინარობით გ

წვეული დანაკარგების შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება უნდა დაეკისროს ამ საქმეში დამნაშავე პირს იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე პირი არაა (ე. ი. დანაკლისის ღირებულება არ აწერია დამნაშავეს როგორც დებიტორს) დანაკლისის თანხის ბალანსიდან ჩამოწერა შეიძლება მხოლოდ კავშირგაბმულობის მინისტრის, ან მისი მოადგილის წერილობითი ნებართვით.

თუ მასალები ჩამოწერილია ბუნებრივი ზარალის გამო (დაზნევა, დამტვრევა, დაფანტვა და სხვ.), უნდა შევამოწმოთ, კანონიერად არის თუ არა ეს გაკეთებული და ვის მიერ არის დამტკიცებული ნორმები.

საწარმოს რევიზიის დროს ძნელია მატერიალურ ფასეულობათა სრული ინვენტარიზაციის ჩატარება (კომისიის მიერ გამორკვეული, ე. ი. სახეზე მყოფი ნაშთების დაპირისპირება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებთან შესადარებელ უწყისებში), მაგრამ აუცილებლად საჭიროა შემოწმებულ იქნას შესამოწმებელი საწარმოს ხელშეწყობის მიერ ჩატარებული უკანასკნელი ინვენტარიზაციის ხარისხი (ყოველი საწარმოს ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს წლიური საბუღალტრო ანგარიშგების შედეგის წინ). ამავდროს უნდა შემოწმდეს:

კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ტარდება თუ არა ინვენტარიზაცია;

არსებობს თუ არა აქტები და სწორად არის თუ არა გაფორმებული ისინი;

მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო მაჩვენებლები ეთანხმება თუ არა ინვენტარიზაციის აქტებს;

გამოვლინებულია თუ არა აღრიცხვის მაჩვენებლებსა და სახეზე მყოფს შორის—ნამეტი და დანაკლისი;

გატარებულია თუ არა ნამეტი და რით არის ის გამოწვეული (ხომ არ არის ამაში დამალული ზედმეტად აღმოჩენილი მასალების შემოსავალში გაუტარებლობის შემთხვევა);

დაზუსტებულია თუ არა დანაკლისის მიზეზები და ამ დანაკლისისათვის დამნაშავენი მიცემული არიან თუ არა პასუხისგებაში;

სწორად არის თუ არა ინვენტარიზაციის შედეგები ასახული ბუღალტერიაში, კერძოდ, დანაკლისები დაეწერათ თუ არა დამნაშავეებს.

ხომ არ არის შემთხვევა, როცა დანაკლისი დაფარულია ნამეტის ანგარიშზე (გადაფარვა ღირებულებაში), ან ადგილი ხომ არა აქვს ჩამოწერას დახარისხების საფარქვეშ (დანაკლისის დაფარვა ნამეტის ანგარიშზე შეიძლება ერთი და იგივე სახელწოდების საგნების ფარგლებში, ერთ და იგივე საანგარიშგებო პერიოდში და ერთსა და იმავე მატერიალურ პასუხისმგებელ პირთან);

მასალების, ინვენტარის, საქონლისა და სხვადასხვა უვარგისი მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის შემთხვევების შემოწმებისას, სასარგებლოა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ეს საგნები მოსპობილია (ან გადასამუშავებულადაა გადაცემული), ხომ არ არის შემთხვევა თავის დროზე მოუსპობელი მასალების ხელახლა გამოყენებისა;

თუ საწარმოებს აქვთ მასალების, მცირეფასიანი საგნებისა და სათადარიგო ნაწილების დაწესებულ ნორმაზე მეტი მარაგი, ეს მაჩვენებელია საბრუნავი თანხების ნელი ბრუნვის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოს საფინანსო მეურნეობაზე.

რევიზიამ ადგილზე უნდა დააზუსტოს ჩაწოლის მიზეზები და დაეხმაროს ზედმეტი მასალების ლიკვიდაციის საქმეში. ზედმეტის მიზეზები შეიძლება იყოს: გადიდებული განაცხადები, ისეთი საქონლის არსებობა, რომელსაც გასავალი არა აქვს, უკომპლექტობა, სწორი აღრიცხვა, სწორი დაგეგმვა. კავშირგაბმულობის მეტი წილი საექსპლუატაციო საწარმოებისათვის მასალების ნორმალური (ნორმატივების მიხედვით) მარაგი 2—3 თვის საჭირო ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს. რევიზიის ჩამტარებელმა იცის რა ეს, ამა თუ იმ მასალის ფაქტიური ხარჯის შედარებით მარაგში დარჩენილთან უნდა გამოავლინოს, ნამდვილად რა მასალები, რა როდენობით, რა ღირებულებისა არ არის საჭირო მოცემული საწარმოსათვის, და რით არის გამოწვეული მათი დაგროვება. მაგალითად, მასალების ანგარიშის ბრუნვათა უწყისით ჩანს, რომ სატელეგრაფო ლენტის გასავალი თვიდან თვემდე შეადგენს 100—120 შულოს, საწყობში კი 1000 შულოა: ლენტის მარაგი 8—9 თვეს ეყოფა, ე. ი. მოცემულ საწარმოში ზედმეტია დაახლოებით 600 შულო.

გამოვლინებული ნამეტის შესახებ უნდა აღინიშნოს აქტში და მიღებულ იქნას ზომები მარაგის ნორმამდე დასაყვანად (ნამეტების რეალიზაცია, დამზადების შემცირება).

მასალების აღრიცხვისა და მათი მოძრაობის რევიზია არასრული იქნება, თუ დადგენილი არაა მატერიალური სახსრების ბრუნვა. ეს უნდა გაკეთდეს წლის განმავლობაში დახარჯული მასალების ფაქტიური თანხის დადგენილი ნორმატივის თანხასთან დაპირისპირებით. რევიზორმა ყოველივე ზომა უნდა მიიღოს ბრუნვის დასაჩქარებლად.

ისეთი დაწესებულებების, საწყობის ოპერაციების რევიზიის დროს, როგორცაა კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველოები, მომარაგების კანტორა, სამშენებლო ტრესტი, რომელთა საწყობებიდანაც წარმოება მათი ქვემდებარე ორგანიზაციებისათვის საჭირო მასალების გაცემა, უნდა გამოვარკვიოთ:

27. საბუღალტრო აღრიცხვა

საწყობის შენახვაზე გაწეული ხარჯების ოდენობა;
არსებობს თუ არა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ამაზე;
ეს ხარჯები ხომ არ აქარბებენ საწყობიდან გაცემული მასალების
ღირებულების დადგენილ პროცენტს;
მყიდველების ანგარიშებში სწორად შეაქვთ თუ არა საწყობის და-
რიცხვები და სხვა ზედნადები ხარჯები (დატვირთვა, გადმოტვირთვა,
შეთუთა, სატრანსპორტო ხარჯები).

18. ძირითადი საშუალებების ჩამოწმის

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისა და დაცვის სისწორე (კავშირ-
გაბმულობის შენობა, დანადგარები, მოწყობილობანი, ტრანსპორტი და
სხვ.) შემოწმებული უნდა იქნას ყოველი დოკუმენტალური რევიზიის დროს,
განსაკუთრებით მაშინ, როცა სარევიზიო პერიოდის განმავლობაში მოხდა
მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ შემადგენლობაში. აქ უნდა შემოწმდეს:
აღრიცხვაში ჯგუფების მიხედვით მეორე რიგის ანგარიშებით სწო-
რად არის თუ არა დაჯგუფებული ძირითადი საშუალებები;

მოწყობილობებს აქვთ თუ არა პასპორტები;

სააღრიცხვო დოკუმენტებში არის თუ არა ცნობები იმის შესახებ,
თუ სად არის (ექსპლოატაციის ადგილი) მოწყობილობა და ინვენტარი;

ბევრია თუ არა სახეზე არსებული უმოქმედო ძირითადი სახსრები
(მოწყობილობანი და ინვენტარი საწყობში), რით არის გამოწვეული მათი
არსებობა მარაგში; რევიზიის ჩამტარებელმა, შერჩევით ძირითადი საშუა-
ლებების ფაქტიურა ნაშთი უნდა შეადაროს საბუღალტრო აღრიცხვის
მონაცემებს; ასეთი შემოწმება ხელს უწყობს გამოავლინოს აღრიცხვაზე
წყოფი იმ მოწყობილობების ან ინვენტარის მდგონარეობა, რომლებიც
რაიმე მიზეზით რამდენიმე წლის განმავლობაში არ არის, ან პირიქით,
სახეზე აღმოჩნდება საექსპლოატაციო ხარჯების ანგარიშზე უკანონოდ
შეძენილი შენობები ან მოწყობილობანი.

ძირითად საშუალებებში შეცდომით ხომ არ ირიცხება მცირეფასი-
ანი საგნები, ან პირიქით;

სწორად არის თუ არა გაფორმებული და აღრიცხვაში გატარებუ-
ლი მოცემულ საწარმოში უსასყიდლოდ შემოსული ძირითადი საშუა-
ლებები;

ადგილი ხომ არა აქვს კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსიდან საექ-
სპლოატაციო ბალანსზე ობიექტების დაუმთავრებლად და მიღების აქტის
გარეშე საექსპლოატაციოდ გაცემის შემთხვევებს;

ამოწმებენ თუ არა ნატურაში ძირითად საშუალებებს მათი დაუზიანებლად შენახვისათვის პასუხისმგებელი პირების გამოცვლის დროს;

სრულდება თუ არა კავშირგაბმულობის სამინისტროს მითითებები (1948 წ. 9/VI № 348 ბრძანება და 1948 წ. 16/VIII ცირკულარი IIБ—32) „ლიკვიდაციისა და ბალანსიდან ძირითადი საშუალებების ჩამოწერის წესის შესახებ“, არსებობს თუ არა ამაზე სათანადო ინსტანციების ნებართვა;

ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ყველა შემთხვევა გაფორმებულია თუ არა აქტებით, ხმარებიდან გასული ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის ანგარიშში გატარებულია თუ არა ლიკვიდაციის სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯები და გათვალისწინებულია თუ არა ლიკვიდაციიდან მიღებული მატერიალური ფასეულობანი;

ვარგის, თუნდაც ზედმეტ და არა საჭირო ძირითად საშუალებებს ხომ არ ყიდიან საწარმოს გარეთ (ეს აკრძალულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 10/II ბრძანებულებით);

სწორად არიციხავენ თუ არა საამორტიზაციო თანხებს ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან (კავშირგაბმულობის სამინისტროს საექსპლუატაციო მეურნეობაში ეს კეთდება მხოლოდ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი საშუალებების მიხედვით).

19. ანგარიშსწორებათა ოპერაციების ჩაწიზი

სადებიტორო და საკრედიტორო ანგარიშებში აღრიცხავენ მოცემულ საწარმოს ანგარიშსწორების ოპერაციებს კლიენტებთან, მასალების მიწოდებლებთან, კავშირგაბმულობის სხვ. ორგანიზაციებთან, მუშა-მოსამსახურეებთან, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან და ცალკე მოქალაქეებთან.

ანგარიშსწორებათა დროულ და სწორ აღრიცხვას, ანგარიშსწორებათა შეძომებას, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების თავის დროზე აღებასა და დაფარვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისათვის.

როცა საფინანსო-საანგარიშსწორებო მუშაობას კონტროლს არ უწევენ, ამ უბანზე შეიძლება დაშვებულ იქნას ანგარიშსწორების დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რასაც ხშირად მოჰყვება ხოლმე ზარალი და ბოროტმოქმედებანი.

საანგარიშსწორებო ოპერაციების შესამოწმებლად იყენებენ ბრუნვათა უწყისებს და ანგარიშსწორების დეტალური აღრიცხვის ბარათებს, აგრეთვე ამ ოპერაციებზე არსებულ დოკუმენტებსა და მიმოწერებს.

ამა თუ იმ უბნის რევიზიის ძირითადი ამოცანაა — გამოავლინოს დებიტორული დავალიანების მდგომარეობა, მისი წარმოშობის ხასიათი და კანონიერება, ანგარიშსწორებათა დროულობა და დავალიანების რეალურობა. კერძოდ, საჭიროა დაზუსტდეს:

ასრულებენ თუ არა სახბანკის ინსტრუქციის მოთხოვნილებებს მოცემული საწარმოს ანგარიშსწორების წესის შესახებ სხვა სამეურნეო ორგანოებთან სხვაქალაქთაშორისო და შინასაქალაქო ბრუნვათა მიხედვით;

ხომ არ არის ისეთი დავალიანება, რომლის წარმოშობა აკრძალულია;

ხომ არა აქვს ადგილი ნისიად მასალების (საქონლის) მიღებას, ან გაცემას და აგრეთვე, ხომ არ არის მომსახურების ნისიად გაწევის შემთხვევა; ეს კანონით აკრძალულია, გარდა კაპიტალური მშენებლობისათვის მტკიცედ რეგლამენტებული ავანსებისა და კავშირგაბმულობის ორგანოებში კლიენტების მიერ შეტანილი ავანსებისა;

ხომ არ ირღვევა კანონის მოთხოვნილებები შინასაქალაქო ანგარიშსწორების წარმოების შესახებ 100 მანეთზე მეტი თანხის უნაღდო ანგარიშსწორებისას.

ხომ არ წარმოებს ურთიერთ ანგარიშსწორება ბანკის გვერდის ავლით;

კლებულობს თუ იზრდება დავალიანება ყოველი ანგარიშის მიხედვით (როგორც წესი, დავალიანების ზრდა იძლევა ნიშანს საფინანსო-სა-ანგარიშსწორებო დისციპლინის დარღვევის შესახებ, ამიტომ დავალიანების გადიდების შემთხვევაში საჭიროა გამოვლინებულ იქნას მისი მიზეზები და ამ მოვლენისათვის დამნაშავენი).

მიზანშეწონილია გამოყოფილ იქნას დავალიანების ან ხანგრძლივი ვალის წარმოშობის ცალკე შემთხვევები და ანის მაგალითებზე გამოვავლინოთ წარმოებს თუ არა მუშაობა დავალიანების ამოსაღებად და თუ წარმოებს, უნდა გამოიჩვენოს რაზღენად წარმატებითა ეს მუშაობა. უნდა შემოწმდეს აგრეთვე თავის დროზე წარმოებს თუ არა ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორებანი.

განსაკუთრებით მკაცრად შემოწმებას მოითხოვს იმ დებიტორული დავალიანების გადიდების ან არსებობის ფაქტები, რომლებიც აღრიცხულია ანგარიშებში: კლიენტები კავშირგაბმულობის მომსახურებით, ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაებათან მოტაცებული კორესპონდენციის, გაფლანგვებისა და დატაცებათა მიხედვით და დანარჩენი

დებიტორები გაფლანგვებითა და დანაკლისებით. საკლიენტო დავალიანების მხრით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კავშირგაბმულობის მიერ მომსახურების ნისიად გაწევა აკრძალულია (კავშირგაბმულობის სახ. კომისიის 1940 წ. 30/VIII ბრძანება № 629), მაშასადამე, ამ ანგარიშში ნორმალურად უნდა იყოს მხოლოდ კრედიტული დავალიანება— კლიენტების მიერ შეტანილი ავანსები და დებიტორული დავალიანების უზნიშვნელო თანხა ოთახებიდან საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკებისათვის.

დიდი დებიტორული საკლიენტო დავალიანების არსებობა განხილული უნდა იქნას, როგორც სერიოზული ნაკლი მუშაობაში, რაც გამოწვეულია ამ საქმეზე ხელმძღვანელისა და ბუღალტრის მხრით კონტროლის გაუწევლობით, ან საბუღალტრო აღრიცხვის არასწორად დაყენებით.

კლიენტების პირადი ბარათებისა და დებიტორული დავალიანებების ბრუნვათა უწყისების შემოწმებით უნდა დაეაზუსტოთ, ანგარიშგებებში ხოც არ მალავენ დებიტორული დავალიანების ნამდვილ თანხას ანგარიშის სალდირების გზით (ერთ დებიტორის სადებეტო ნაშთების მეორე ორგანიზაციის ან პირის საკრედიტო ნაშთებით გადაფარვა).

იმ ანგარიშების მიხედვით, რომელიც აღრიცხავს დაკარგული კორესპონდენციებისათვის, დანაკლისისა და გაფლანგვისათვის ანგარიშსწორებას, ამოწმებენ— მიყენებული ზარალი სრული თანხის ოდენობით არის თუ არა ნაჩვენები დავალიანების აღრიცხვაში, ამავე დროს ურიგო არაა შემოწმდეს რევიზიისა და გზავნილებათა კონტროლის ბიუროს მიერ გამოვლინებული ყველა გაფლანგვა და დანაკლისი ასახულია თუ არა აღრიცხვაში, თავის დროზე ახდევინებენ თუ არა დავალიანებას, როგორ არის მოწყობილი და როგორ ხორციელდება კონტროლი გაფლანგვებისა და დატაცებათა გამო სასარჩელო საქმეების მოძრაობაზე; შემოწმდება აგრეთვე, როგორ არის მოწყობილი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საუქმულოზე მიღებული აღმასრულებელი ფურცლების რეალიზაციის კონტროლი.

გაფლანგვებსა და დატაცებებთან ბრძოლის მიზნით ყოველი ახალი, წინათ შეუმოწმებელი შემთხვევა შესწავლილი უნდა იქნას გულდასმით; განოვლინდეს დატაცების ხელისშეწყობი მიზეზები და პირობები. ასეთ მიზეზებად ხშირად შეიძლება დაეასახელოთ:

მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა არასერიოზულად შერჩევა და მათ ყოველდღიურ მუშაობაზე კონტროლის გაუწევლობა;

გულგრილობის გამოჩენა საწარმოს ხელმძღვანელობის მხრით (ყოველდღიურად არ ამოწმებენ სალაროს, სალაროში ზედმეტ თანხებს

ინახავენ, საკუქნაოებს არ იცავენ, ან ცუდად არის იგი დაცული, მოდუნებულია სიფხიზლე და სხვ.);

სოციალისტური ქონების დამტაცებლების მიმართ თავის დროზე კანონიერი ზონების არ მიღება.

აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ:

საწარმოების ხელმძღვანელებმა იციან თუ არა დატაცების კონკრეტული შემთხვევების მიზეზები და მათ მიერ გატარებულია თუ არა ყველა ის ღონისძიება, რომელიც საჭიროა მომავალში ასეთი ბოროტმოქმედებათა ჩადენის წინასწარ აღკვეთის უზრუნველსაყოფად.

დამტაცებლების მიმართ იყენებენ თუ არა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 4/VI ბრძანებულებას „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელთაც, ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დადგენილია სასტიკი სასჯელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის:

ასევე შემოწმებული უნდა იქნას:

აღრიცხვასა და ანგარიშგებაში სწორად არის თუ არა აღნიშნული ანგარიშსწორებათა ოპერაციები ბალანსის სათანადო ანგარიშების მიხედვით;

რეალურია თუ არა მთელი რიცხული დავალიანება; ხომ არ არის ისეთი დავალიანებები, რომელთა მიხედვით სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გავიდა—1,5 წელი სახელმწიფო საწარმოთა შორის ურთიერთობისას, 3 წელიწადი—კერძო პირებთან ურთიერთობისას და ნ თვე პროდუქციის ხარისხის გამო, პრეტენზიების, ჯარიმების, საურავისა და საპირგამტეხლო თანხების გადასდევინების შესახებ, აგრეთვე სატრანსპორტო ორგანიზაციების მიწარტ პრეტენზიების და კავშირგაბმულობის ორგანოების მიმართ კლიენტების მოთხოვნილებათა წაყენებისათვის. შერეულ სარკინიგზო-საწყლო და სარკინიგზო-საწყლო-საჰაერო გადაზიდვებისათვის ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება—1 წლით.

ჩატარებულია თუ არა მინდინარე წლის პირველი იანვრისათვის ყველა დებიტორებსა და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაცია (კონტოკორენტული ამონაწერების გაცვლა-გამოცვლა), კერძოდ, მინწოდებლებთან დაუფაქტურებელი მიწოდების მიხედვით, ყველა ანგარიშსწორება შეთანხმებულია თუ არა მათთან, შედგენილია თუ არა ინვენტარიზაციის აქტი;

რეგულარულად ადარებენ თუ არა ურთიერთ და ბალანსთაშორისა ანგარიშსწორებებს, თუ ადგილი აქვს შეუთანხმებლობას, მაშინ რაში გამომიხატება ის;

ხომ არ ხდება გამოურკვეველი სხვაობის ჩამოწერა შედეგების ანგარიშებში;

დებიტორული დავალიანების ზარალში ჩანოწერის, ხოლო კრედიტორული დავალიანების მოგებაში გადარიცხვის შემთხვევაში ამოწმებენ ამ ჩამოწერების სისწორესა და საფუძვლიანობას, სახელდობრ: ამასთანავე ერთად ასრულებენ თუ არა საბუღალტრო ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ არსებული იმ დებულებების მოთხოვნილებებს, რომლებშიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1936 წ. დეკრეტით, სსრ კავშირის ფინანსთა სახ. კომ. 1943 წ. 18/Δ წერილი № 676 (СФХ—1943 წ. № 11—12) და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციას „ანგარიშვალდებულ პირთა თანხები ალრიცხვისა და დებიტორული დავალიანების გადახდევინების შესახებ“ 1947 წ. გამოცემა;

ადგილი ხომ არა აქვს დებიტორულ დავალიანებათა არასწორ (შემტკიცების მიზნით) ჩამოწერას სხვა ანგარიშებში (ქასალები გზაში და სხვ.);

ან პირიქით, ადგილი ხომ არა აქვს სხვადასხვა რეპიტორის ანგარიშში ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშიდან თანხების ჩამოწერას;

კრედიტორულ დავალიანებათა მდგომარეობისა და მოძრაობის შემოწმება დიდი ყურადღების ღირსია, ვინაიდან გადახდის დისციპლინის დარღვევა ჰქვნიან დაპატებით, გვერით გაუაჯალისწინებელ დაფინანსებათა შესაძლებლობას და შექმლია გამოიწვიოს გადახარჯვები და ბოროტმოქმედებაც კი.

რევიზიამ უნდა დაადგინოს:

რამდენად წესიერად—დროულად აწარმოებენ კრედიტორებთან ანგარიშების გასწორებას (გადახდის ხანგრძლივად გაკვიანურება და მოთხოვნილი კრედიტორული დავალიანების დიდი თანხები მაჩვენებელია ალრიცხვის ცუდი მდგომარეობისა და ეს ფაქტი განიღწეული უნდა იქნას, როგორც ანახალურებათა დისციპლინის დარღვევა);

კანონიერია თუ არა კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა;

სწორად აწარმოებენ თუ არა ანგარიშსწორებას, და ეთანხმება თუ არა ის მიმწოდებლებთან და სხვა კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებს;

დოკუმენტებით დასაბუთებულია თუ არა კრედიტორული დავალიანების წარმოშობა;

ადგილი ხომ არა აქვს კრედიტორული დავალიანების დასაფარავლად თანხების არაპირდაპირი დანიშნულებით გადარიცხვას (გადაგზავნას ადახდას);

განსაკუთრებულ მკაცრ შემოწმებას მოითხოვს იმ ვადაგასული კრედიტორული დავალიანების გადახდა, რომელიც შესრულებულია საწარმოს სალაროდან. ცალკე შემთხვევებში, რევიზორის შეხედულებისამებრ, სასარგებლოა სისწორე და სინამდვილე განაღდებული დოკუმენტებისა შემოწმდეს მათი შედგენის ადგილზე (იმ კრედიტორის ბუღალტერიაში, რომლის ანგარიში ან სხვა საბუთი განაღდება).

ანგარიშსწორებათა ოპერაციების ხაზით საწარმოები ზოგჯერ მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან იმით, რომ გადასახდელთა არაწესიერად გადახდისათვისა და აგრეთვე საბუთების ბრუნვის წესების დარღვევისათვის იხდიან ჯარიმებს. რევიზიამ ადგილზე უნდა გამოაგლინოს ამ ზარალის მიზეზები და დამნაშავეები. ასეთი ხასიათის ზარალისა და აგრეთვე მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების ანალიზის დროს ზოგჯერ ელინდება ხოლმე ისეთი მოქმედებანი, როგორცაა: უსაქონლო გადახდის მოთხოვნის წარდგენა ან გაგზავნა და აგრეთვე მუიდველისათვის ანგარიშ-ფაქტურის გაგზავნის განზრახ შეფერხება იმ მიზნით, რომ ვიდრე მუიდველი უარს იტყოდეს აქცეპტზე, მისი ანგარიშიდან მას ბანკმა ჩამოაწეროს ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული თანხა. ყველა ასეთი მოვლენა უნდა აღინიშნოს აქტში და ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნას გადაპყრელი ზომები.

20. კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალურ დაბანდებათა ოპერაციების რევიზია

კავშირგაბმულობის მეურნეობის სისტემაში არის სპეციალური მოიჯარე ორგანიზაციები—ტრესტები და მათი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები (СМУ), სამშენებლო კანტორები და სამშენებლო უბნები. მშენებლობას სამეურნეო წესით აწარმოებენ კავშირგაბმულობის საწარმოებიც. ამა თუ იმ ოდენობით სხვადასხვაგვარ მოწყობილობას (აპარატურას, ძრავებს, ტრანსპორტს, საზომ ხელაწყოებსა და სხვ.) იძენს კავშირგაბმულობის თითქმის ყოველი საწარმო. ასეთ შეძენას აწარმოებენ ან იმ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის მიხედვით, რომელიც აღირიცხება დამოუკიდებელ კაპიტალურ დაბანდებათა ბალანსზე ან არა-ცენტრალიზებულად, ლიმიტგარეშე—სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1935 წ. დადგენილების შესაბამისად იმ საექსპლოატაციო ხარჯების საშუალებებიდან, რომელიც აღირიცხება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე.

ფულად საშუალებებს, ანგარიშსწორებათა ოპერაციებს, ხელფასს, საქვეანგარიშო თანხებს, მატერიალურ ფასეულებებს ამოწმებენ მშენებლობისა და კაპიტალურ დაბანდებათა რევიზიის დროს იმავე წესით, რაც ნაჩვენებია წინა განყოფებში. აქ მოკლედ განვიხილავთ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯების რევიზიის თავისებურებას.

რევიზიამ უნდა გამოავლინოს:

1) არის თუ არა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა, რომლის დაფინანსება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, და ცალკე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა, რომლის დაფინანსება წარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ეს გეგმები დამტკიცებულა თუ არა სათანადო ინსტანციების მიერ (ხელმძღვანელი—მთავრობის მიერ, ლიმიტგარეშე გეგმები კი—ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ) და შეტანილია თუ არა მიმდინარე წლის გეგმაში.

2) მშენებლობის ყოველი ობიექტისათვის აქვთ თუ არა დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (სახარჯთაღრიცხვოსათვის ანგარიშგება) უპროექტო და უხარჯთაღრიცხვო მშენებლობა აკრძალულია კანონით; ასეთი მშენებლობა აქტში აღინიშნება როგორც ამჟამად უკანონო ოპერაცია; გეგმით გაუთვალისწინებელი მშენებლობის წარმოება განიხილება, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ქმედობა, რაც ძირს უხზრის სახელმწიფოს გეგმურ ბუღალტერობას;

3) დაფინანსების სათანადო წყაროების არსებობა. იმ შემთხვევებში, როცა კაპიტალური სამუშაოები ან შექმნა წარმოებს დაფინანსების სათანადო კანონიერი წყაროების გარეშე, ან დაფინანსების გეგმის ზევით, გამორკვეული უნდა იქნას, თუ რა სახსრებიდან წარმოებს ეს დაბანდებანი;

4) როგორ ასრულებენ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმას მოკულობისა და ვადების მხრით, ე. ი. ასრულებენ თუ არა მშენებლობას მოცემულ ვადაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები შეფარდება თუ არა გეგმით დამტკიცებულ სამუშაოებს, სარევიზიო საწარმოები თავიანთ ანგარიშგებაში სწორად უჩვენებენ თუ არა გეგმის შესრულების პროცენტს (ამაში უნდა დაჯერდეთ ძირითადი ანუ დედანი დოკუმენტებით—სამუშაოთა ჩაბარებას აქტებით, უკანონო მშენებლობის აქტით, აგრეთვე სამშენებლო მოედანზე ან საშენებლო ხაზზე სამუშაოების პირადად დათვალიერებით). სამშენებლო მოედანზე სამუშაოთა მდგომარეობის შემოწმება და გეგმის შესრულებლობის მიზეზების გამოვ-

ლინება უკვე სცილდება დოკუმენტების შემოწმების ფარგლებს და ის სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. თუ რევიზიის ჩამტარებელს თვითონ უშუალოდ არ შეუძლია სამუშაოს ამა თუ იმ უბნის შემოწმება, მას უფლება აქვს ამ საქმეში ჩააბას სათანადო სპეციალისტი (ინჟინერი, მეგეგმავი, ტექნიკოს-ნორმადარი და სხვ.).

გეგმის შესრულების ჩამორჩენილობის დროს, რომელიც წინასწარ საზღვრავს ობიექტის საექსპლოატაციოდ არადროულად ჩაბარებას, აუცილებლად საკიროა დავაზუსტოთ ჩამორჩენის მიზეზები. მასალების ნაკლებობის დროს, რევიზიის ჩამტარებელმა უნდა გამოაეღინოს: სახელდობრ რა მასალები აკლია და რატომ, სწორად ხარჯავდნენ თუ არა მასალებს, იღებდნენ თუ არა ზომებს როგორც გეგმის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, ისე ამ საქმეში დამნაშავეთა წინაღმდეგ. მუშახელით არა საქმად უზრუნველყოფის შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ, სახელდობრ, როგორი, რა პროფესიის და რამდენი მუშახელი არ ყოფნიდათ, რა ზომები იყო მიღებული ამ ნაკლოვანებათა შესავსებად, მუშახელის როგორი დენადობა იყო და რა იწვევდა მას; ღებულობდნენ თუ არა ზომებს შრომის მექანიზმებისათვის და სხვ. რევიზორები არკვევენ აგრეთვე ჩამორჩენილობის მიზეზს ხომ არ წარმოადგენს გაცდენები (მათი რაოდენობა და ხასიათი) და მოწყობილობათა და ტრანსპორტის სიმცარე, ან მათი არარაციონალური გამოყენება;

5) სრულდება თუ არა დავალება თვითღირებულების შესამცილებლად და წარმოებს თუ არა ბრძოლა თვითღირებულების ზეგეგმური შემცირებისათვის. გეგმასთან შედარებით ამა თუ იმ მუხლის მისეღვით თვითღირებულების გაძვირების შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოიკვეს რა ზომითაა გაძვირებული პროდუქცია, ნაწდელი მიზეზები გაძვირებისა და ამ გაძვირებისათვის დამნაშავენი;

თუ აღვილი აქვს მასალების გადახარჯვას, მაშინ უნდა გამოვლინდეს:

უმთავრესი მასალების მისეღვით ხარჯვის ნორმებიდან გადახარების ოდენობა;

სწორად წარმოებს თუ არა საწყობიდან მასალების გაცემა;

მასალების ხარჯვისა და აღრიცხვის არსებული კონტროლი, რამდენად უზრუნველყოფს მათ დაცვას და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

მასალების ღირებულება გადიდებული ხომ არ არის დანაკარგების, დანაკლისის, დამზადებისა და სასაწყობო ხარჯების გადიდების გამო;

თუ გაძვირება წარმოადგენს ხელფასის ფონდის გადახარჯვის შედეგს, საქიროა გულდასმით გაუკეთდეს (თუნდაც შერჩევითი წესით) ანალიზი:

ხელფასის სანარდო ან აკორდული ანაზღაურების დროს ბრიგადირებისათვის განრიგების მიცემის სისტემას;

გამოყენებული გამომუშავეების ნორმებისა და შეფასების სისწორეს; რამდენად შეესაბამება განრიგების მიხედვით შესრულებული ანაზღაურებული სამუშაოების მოცულობა, მიღების აქტებით ჩაბარებულ სამუშაოთა მოცულობას; ხომ არ არის „მიწერილი“ სამუშაოები.

მუშათა ფაქტიური რიცხვი კატეგორიებისა და საჯარო განაკვეთების მიხედვით, რამდენად ეთანხმება გეგმით გათვალისწინებულ მუშათა რიცხვს;

რამდენად ეთანხმება გადასახადის უწყისის მონაცემები ტაბელ-გაანგარიშებათა ცნობებს;

აქტებით გაფორმებულია თუ არა გაცდენები;

არსებული აღრიცხვა საშუალებას იძლევა თუ არა მუშის ფაქტიური საშუალო დღიური ხელფასის ოდენობის გამორკვევისას და რამდენად ეთანხმება იგი საგეგმო ხელფასს;

გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს: მშენებლობაზე იგეგმება თუ არა, და ამავე დროს აღირიცხება თუ არა შრომის ნაყოფიერება; არსებობს თუ არა კონტროლი მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მშენებლობის ფაქტიური თვითღირებულების შესამცირებლად. იმ შემთხვევებში, როცა სამუშაოს ასრულებენ სამუშაოთა ანგარიშვალდებული მწარმოებლები, საქიროა შემოწმებულ იქნას მასალებისა და ფულად საშუალებათა ანგარიშეიქმნება გაცემის წესები, ანგარიშგებათა თავის დროზე მიღება, რამდენად გულდასმით ამოწმებს ბუღალტერია ანგარიშგებებს, და თანხებსა და მასალებს თავის დროზე ატარებენ თუ არა აღრიცხვაში მშენებლობის სათანადო ობიექტების მიხედვით. ანალოგიურად წარმოებს გამორკვევა იმ მიზეზებისა, რომლებმაც გამოიწვიეს პირდაპირი და ზედნადები ხარჯების ყველა დანარჩენი მუხლების მიხედვით (მათ შორის აღმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებიც) სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებიდან მნიშვნელოვანი გადახრები;

6) ბუღალტერია სწორად რიცხავს თუ არა „დამთავრებულ კაპიტალურ დაბანდებათა“ განაყოფი მხოლოდ იმ სამშენებლო ობიექტებს, რომლებსაც ექსპლუატაციაში გადაცემენ; ეს სამუშაოები მართლა მთლი-

ანად დამთავრებულია თუ არა და ამაზე არსებობს თუ არა მთავრობის ან საუწყებო კომისიის მიღებ-ჩაბარების აქტები;

7) განრიგებში უჩვენებენ თუ არა სამშენებლო სამუშაოებსა და რემონტზე საეგზებით გარკვეულ მაჩვენებლებს სამუშაოთა ხასიათის, ადგილისა და მოცულობის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია შემოწმდეს, რომ ასეთი სამუშაოები მართლა ჩატარდა, არსებობს თუ არა მიღების აქტი; ასეთი აქტების უქონლობა და ამ დარგში მოთხოვნილების წამოწყენებლობა ხელს უწყობს ბოროტმოქმედების ჩადენას;

8) სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე ადგილი ხომ არა აქვს ერთი და იგივე სამუშაოს ორჯერ ანაზღაურებას (ერთხელ მიღების აქტით გადარიცხვის გზით, მეორეჯერ აქტის მეორე ეგზემპლარით—ნაღდად ანაზღაურებით).

კაპიტალის დაბანდებათა ოპერაციების რევიზიის დროს რევიზიის ჩამტარებელს ევალება კავშირი იქონიოს სამრეწველო ბანკის ფილიალთან, რომელთანაც სარევიზიო საწარმოებს აქვს საკონტეკორენტო ანგარიშები და რომელიც ვალდებულია სისტემატური კონტროლი გაუწიოს მშენებლობის მსვლელობასა და სახსრების ხარჯვას.

რაც შეეხება არაკენტრალიზებულ, ლიმიტგარეშე კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებიც წარმოებს სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1935 წ. დადგენილების საფუძველზე და რომელიც აღირიცხება ძირითადი საქმიანობის ბალანსზე, რევიზიის დროს ამოწმებენ: კაპიტალურ დაბანდებს აწარმოებენ თუ არა გეგმით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, კაპიტალურ დაბანდებაზე ადგილი ხომ არა აქვს საბრუნავი თანხების უკანონოდ გამოყენებას, არაკენტრალიზებულ, ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილ თანხებს ხომ არ ხარჯავენ იმ კაპიტალურ სამუშაოთა ჩასატარებლად, ან ძირითადი საშუალებების ზედხანზე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი 1935 წ. 19/IX დადგენილებით; ასე, მაგალითად: თუ ამ თანხებით გათვალისწინებულია ჯიხრების აშენება—თითოეულის 2000 მანეთამდე ღირებულებისა და გათვალისწინებულია აგრეთვე მოწყობა საჯინბოსის, გარაჟის, ფარდულის, რომელთა საერთო ღირებულება ერთი საწარმოსათვის წელიწადში არ აღემატება 5000 მან., მაშინ, ცხადია, არ შეიძლება ამ სახსრებით ააშენონ ან შეიძინონ, საცხოვრებელი სახლი, ან გარაჟი, რომელთა ღირებულება (თითოეულის) აღემატება 5000 მანეთს. ასევე, მაგალითად, თუ ავტობარათულია წუნდებული ან მეურნეობიდან გასული მუშა-პირუტყვის მაგიერ მუშა-პირუტყვის შეძენა, მაშინ არ შეიძლება უკვე არსებულ მუშა-პირუტყვის დამატებით ახლის შეძენა და სხვ.

21. კავშირგაბმულობის განყოფილებაში და სააგენტოების კამპიზიის თაშინებურებაში

კავშირგაბმულობის განყოფილებასა და სააგენტოებს არა აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და საბუღალტრო აღრიცხვა (ისინი მარტივ აღრიცხვას აწარმოებენ). ფულადი და სამეურნეო ოპერაციების ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტების განყოფილებები და სააგენტოები უგზავნიან კავშირგაბმულობის სათანადო კანტორებს, რომლებიც ამოწმებენ ამ დოკუმენტებს და ატარებენ მათ თავიანთ საბუღალტრო აღრიცხვაში. მაშასადამე, კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და სააგენტოებში დოკუმენტალური რევიზიის ჩატარება საკირო არაა; მათი ოპერაციების შედეგში კონტროლი ხორციელდება საბუღალტრო აღრიცხვით და დოკუმენტებით კავშირგაბმულობის კანტორების რევიზიის დროს.

იმ კავშირგაბმულობის კანტორების (ფოსტამტების) რევიზიის დროს, რომლებსაც აქვთ დაქვემდებარებული განყოფილებები და სააგენტოები, შემოწმებული უნდა იქნას, თუ რამდენად რეალურია განყოფილებასა და სააგენტოზე რიცხული თანხები, განსაკუთრებით საკიროა იმ თანხების შემოწმება, რომლებიც გადარიცხვების ბალანსით ირიცხება ანგარაშტებში—სალარო განყოფილებებში და თანხები გზაში.

მაგრამ განყოფილებისა და სააგენტოს ფინანსური კონტროლისათვის შეუძლებელია მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტალური რევიზიით დაკმაყოფილება, ვინაიდან ეს რევიზიები ძალიან იშვიათად ტარდება (როგორც წესი წელიწადში ერთხელ), იმავე დროს ისინი განისაზღვრებიან მუშაობის მხოლოდ ანგარიშგებებისა და დოკუმენტების მიხედვით შემოწმებით, და არა ადგილზე რევიზიის ჩატარებით.

განყოფილებები და სააგენტოები ძალიან ბევრია. ყველა მათი მუშაობის მონაწილეობს ფულად ოპერაციებში; განყოფილებები და სააგენტოები მეტწილად ძალიან დამორბეული არიან კავშირგაბმულობის კანტორებს და ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელობას საშუალება არა აქვს მუდმივად, ყოველდღიურად კონტროლი გაუწიოს მათ, როგორც ეს შეიძლება გაეწიოს თვით კანტორის განყოფილებებსა და სალაროებს. ამიტომ კავშირგაბმულობის სამინისტროს ინსტრუქციებში გათვალისწინებულია, რომ განყოფილებებისა და სააგენტოების მუშაობას უნდა ამოწმებდნენ კავშირგაბმულობის კანტორების წარმომადგენლები კვარტალში არა ნაკლები ერთი ჯერისა. ამ შემოწმების დროს, გარდა თანხებისა და საფოსტო გზავნილებათა მთლიანობისა, ამოწმებენ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელე-

ჯონისა და სხვ. საწარმოო საქმიანობას. ამ ამოცანების შესაბამისად გააყოფილებებსა და სააგენტოების რევიზიის უკეთებენ (ამოწმებენ) კანტორების უფროსები, მათი მოადგილეები, ან კავშირგაბმულობის სხვ. მუშაკები, რომლებსაც თავიანთი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით შეუძლიათ თავი გაართვან საწარმოო და ფულად ოპერაციების შემოწმებას.

კავშირგაბმულობის კანტორების ეკონომისტები და ბუღალტრები შეიძლება გაიგზავნონ განყოფილებებისა და სააგენტოების რევიზიისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საკმაოდ იცნობენ კავშირგაბმულობის საწარმოების საექსპლოატაციო მუშაობას, ვინაიდან განყოფილებებსა და სააგენტოების მთელი დოკუმენტაცია, აღრიცხვა და ანგარიშგება შედგება საექსპლოატაციო დოკუმენტებიდან.

მოკლედ მოვიყვანოთ შემოწმების წესები განყოფილებებსა და სააგენტოებში სამუშაოთა ყველა იმ უბნისა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ფულად ოპერაციებსა და სოციალისტური ქონების დაცვასთან.

დამოუკიდებლად იმისა, ტარდება სრული თუ ნაწილობრივი რევიზია, აუცილებლად შემოწმებული უნდა იქნას განყოფილების (სააგენტოს) სალარო იმავე საერთო საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ზემოთ (-10 სალაროსა და სალაროს (ფულადი) ოპერაციების რევიზია“ შემდგომი დამატებათა გათვალისწინებით.

განყოფილების სალაროს შემოწმებისათვის საჭიროა კავშირგაბმულობის განყოფილების სალაროდან ავილოთ ცნობა: თანხების ნაშთებისა და საფოსტო გადასახადების ნიშნების განსაზღვრული რაოდენობის შესახებ, რვეულების ფორმა № 5, 5-ა, 1, 3 და სხვ. საჭიროა წიგნების ნაშთების, აგრეთვე გზაში მყოფი თანხებისა და საფოსტო გადასახადების ნიშნების შესახებ. შემოწმებელისათვის უმჯობესია ასეთი ცნობები ამოკრიფოს აღრიცხვის ბარათებიდან ან ბუღალტერიაში აილოს ცნობები ყველა დაქვემდებარებული განყოფილებების შესახებ და იქიდან ამოიღოს რაც საჭიროა. ასეთი ხერხი უზრუნველყოფს მოულოდნელ რევიზიას.

კავშირგაბმულობის ბევრ განყოფილებაში არსებობს შემნახველი სალაროები: განყოფილებებში აწარმოებენ აგრეთვე ხელის მოწერას პრესაზე და წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ცალკობით გაყიდვაზე. ამიტომ საჭიროა მივიღოთ ზომები ამ ოპერაციების შესახებ ცნობების მისაღებად (აგრეთვე შემნახველ სალაროში გადმოგზავნილი თანხების შესახებ; განყოფილებებზე რიცხული თანხებისა და ცალკობით გასაყიდი საქონლის შესახებ; ხელის მოწერას მიღების საჭივითარო რვეულების შესახებ).

იმისათვის, რომ შემოწმებულ იქნას მთელი საფოსტო შემოსავალი, ურიგო არაა კანტორაში ავიღოთ ცნობები: განყოფილებიდან კანტორაში გავლილ გზავნილებათა და ფასიანი წერილების ნომრების, ფაქტიური წონისა და გამოცხადებული ღირებულების შესახებ; განყოფილების მიერ იმ გადაგზავნილი პოსტპაკეტების რაოდენობისა და მათი დანიშნულების შესახებ, რომლებიც განყოფილებაში შედარებული უნდა იქნას შენობთანაა წიგნებში გაკეთებულ ჩანაწერებთან; უკანასკნელ 7—10 დღის განმავლობაში განყოფილების მიერ მიღებული დეპეშების (ნომრები, თარიღები, სიტყვათა რაოდენობა, კატეგორია) შესახებ, განყოფილების მიერ დაკვეთილი სატელეფონო დალაპარაკების რაოდენობისა და ხანგრძლიობის შესახებ.

სალაროს შემოწმება

სალაროს ანოწმებენ განყოფილებაში მისვლის უმაღლე. ნაღდი ფული და სხვა ფასეულობანი უნდა დაითვალოს იმ თანამდებობითი პირის (განყოფილების უფროსი, მოლარე) თანდასწრებით, რომლას განკარგულებაში ისინი იწყობება. სახეზე აღმოჩენილ თანხას და ფასეულობებს ადარებენ საალრიცხვო და სალაროს საანგარიშგებო დოკუმენტებს (წიგნები ფორმა № 5 და 5-ა; რეგისტრები ფორმა № 10; მიღებული და გადაგზავნილი ფულბარათების ბლანკები, შემოსავალ-გასავლის დღიური და სხვ.).

ამ დოკუმენტებით გამოჰყავთ ფულადი ნაშთები შეოწმების დღისათვის, მათ უმატებენ მიღებულ ფულბარათების თანხებს და მიმდინარე დღის შემოსავალს და აკლებენ იმავე დღის განმავლობაში გადახდილ ფულბარათების თანხებს.

მოვიყვანოთ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გამოვიყვანოთ დავთრის ნაშთი, რომელიც შედარებული უნდა იქნას სახეზე აღმოჩენილ ნაღდი ფულის ჯამთან (შემნახველ სალაროს გამოკლებით).

დავუშვათ, რომ რვეიზიის ჩამტარებელი ჩამოვიდა განყოფილებაში და შეოწმება დაიწყო 1950 წ. 15/III—დღისით. სახეზე არსებული ფულის ნაშთის დათვლის შემდეგ აუცილებლად საჭიროა დახუსტებულ იქნას, თუ რა ნაშთი უნდა იყოს დაზღვეული შემოწმების მომენტში.

ფულბარათების თანხებით. კავშირგაბმულობის რაიკანტორის ცნობით 14/III განყოფილებაში ჯრებოდა ფულბარათის თანხა 750 მან.
 იგვე თანხა ირიცხება განყოფილების ფულადი ანგარიშგების ნაშთში 14/III-სათვის.

14/III მიღებულია ფულის ბარათი რვეულით ფორმა № 5	5 250 „
15/III იგივე	3.500 „

სულ შემოსავალი 9.500 მან.

14/III განადგებულა 7 ფულბარათი	2.100
15/III განადგებულა 5 ფულბარათი	1000
15/III ფოსტის დამტარებელს ივანოვს მიეცა შინ მისატანად 4 ფულბარათი	450 „
15/III ფოსტი გაგზავნილია კავშირგაბმულობის რეკონსტრუქციის ფულბარათის ნაშეტი თანხა	2.900 „

სულ გასავალი 6.450 მან.

ფულბარათის თანხას ნაშთი უნდა იყოს 3.050 მან.

ს ა ე კ ს კ ლ ო ა ტ ა ც ი ო (ს ა შ ე მ ო ს ა ე ლ ო) თ ა ნ ხ ე ბ ი თ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის 14/III ცნობით განყოფილებაში არ იყო ამ თანხის ნაშთი, გარდა საფოსტო გადასახდელთა ავანსისა და ბლანკების ღირებულებით 1000 მან.

14 და 15/III რვეული ფორმა № 5-ია მიხედვით შემოვიდა საფოსტო შემოსავალი ფულბარათების გადაგზავნისათვის ნაღდად 180

ამავე დროის განმავლობაში ფორმა № 1 რვეულით ფასიანი წერილების გადაგზავნისათვის შემოვიდა 8

იმავე რვეულით გზავნილებათა გადაგზავნისათვის 22

14/III შემოვიდა სატელეგრაფო შემოსავალი ქვითრების წიგნით 120

15/III შემოვიდა გასული დეპეშების № 21-დან № 26-მდე ჩათვლით 25 „

სულ შემოსავალი 355 მან.

საფოსტო გადასანადის ნიშნების ავანსთან ერთად ნაშთი უნდა იყოს 1355 მან.

ფ ა ს დ ა დ ე ბ ი თ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ 11/III განყოფილებაზე რჩებოდა გაუცემელი ფასდადებითი წერილები (ფორმა № 9 რვეულის მიხედვით) 6 ცალი 6 მან.

11, 12, 13, 14 და 15 მარტს ფოსტასთან ერთად № 11 რეესტრის მიხედვით შემოვიდა 24 ფასგადაუხდელი წერილი 24

იმავე ხნის განმავლობაში უბრალო კორექციონდენციის რეცხვში რეესტრში ჩაუწერავად შემოვიდა 16 წერილის და 5 ლია ბარათი 18 „

სულ შემოსავალი ნაშთიანად 48 მან.

შემოწმების დღეს არის 12 გაუცემელი ფასდადებითი წერილი 12 მან.

მაგასადავებ, 39 ფასდადებითი წერილისათვის შემოსავალი უნდა იყოს 36 „

პრესის ცალკობით გაყიდვისაგან 11—15 მარტამდე შემოვიდა	50	„
სულ ფულადი თანხა უნდა იყოს:		
ფულბარათების	3050	„
შემოსავალი გადასახადის ნიშნების ავანსიანად	1355	„
შემოსავალი ფასდადებითი წერილებისაგან	36	„
ცალკობით გაყიდვისაგან	50	„
<hr/>		
სულ	4491	მან.

დავეუშვათ, რომ ნაღდი ფულადი საშუალებების დათვლისას აღ-
მოჩნდა:

ფული	3950	მან.
საფოსტო გადასახადის ნიშნები	408	„
<hr/>		
სულ	4358	მან.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ გვაკლია 133 მან.: მაშასადამე, საჭიროა მიღებულ იქნას ზომები დანაკლისი თანხის დაუყოვნებლივ შესავსებად.

იმავე დროს, გამოირკვევა რა დანაკლისის გამონწვევი მიზეზიც (ვინ-მესთვის ფულის უკანონოდ სესხება, გადაყოლება ოპერაციის ჩატარებისას, შეცდომების დაშვება დოკუმენტებში ან გამოანგარიშების დროს და სხვ.), მიღებული უნდა იქნას სათანადო ზომები.

გარდა სალაროს შემოწმებისა, არკვევენ დაეთრება და დოკუმენტებში ჩაწერისა და ჩამოთვლა-შეჯამების სისწორეს. სალაროს შემოწმებისათვის მოყვანილ მაგალითში 15/III წარმოდგენილია განალღებულ ფულბარათების რეესტრი № 10. იმისათვის, რომ გამოგვეყვანა ნაშთი, ჩვენ ამ რეესტრიდან ავიღეთ 14/III 2000 მან. და 15/III 1000 მან. განალღებულ ფულბარათების ჯამი. საჭიროა შემოწმებულ იქნას რეესტრში ვაკეთებული ჩანაწერის სისწორე, შევადაროთ ის განალღებულ ფულბარათების ბლანკებს, აგრეთვე შემოწმებული უნდა იქნას დღე და ღამის განმავლობაში განალღებულ თანხების ჯამი რამდენად სწორად არის ჩამოთვლილი.

№ 5 რვეული მიხედვით უნდა შემოწმდეს ჯამის ჩამოთვლის სისწორე და შერჩევით 5—10 დღის განმავლობაში ფორმა № 11-ა რეესტრის ასლები ვაგზავნილი ფულბარათებისა ეთანხმება თუ არა ფორმა № 5 რვეულის ჩანაწერებს.

ასევე ამოწმებენ ფულად ანგარიშგებებში შემოსავლის თანხების ჩაწერის სისწორეს; ფასიანი წერილებისა და ამანათებისათვის—წიგნი № 1 ძირედების მიხედვით, ფულბარათებისათვის—№ 5 ფორმის რვეულში ჩანაწერების მიხედვით, ფასდადებითი წერილებისათვის—ფორმა № 9 წიგნის მიხედვით და სხვ.

28. საბუღალტრო აღრიცხვა

გარდა ამისა, აუცილებლად შემოწმებული უნდა იქნას განადგობული ფულბარათების მიწვები 10—20 ადრესატის ბლანკებზე ხელის მოწერის სისწორე. ამისათვის საჭიროა ვინახულოთ მიმღებნი—ამ ფულბარათების ადრესატები. საექვო ბლანკებს, ცუდად გაფორმებული უწყებები, მინდობილობები, მიცემული სიგნალები და საჩივრები ფულის მიუღებლობის გამო) ასეთი წესით ამოწმებენ. აუცილებლად ამოწმებენ „თანები გზაში“. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ნაჩვენებია, რომ 15/III განყოფილებიდან გადაგზავნილია კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორაში ფულბარათების ნამეტი თანხა 2900 მანეთი. საჭიროა, ტელეფონით ან ტელეგრაფით შემოწმებულ იქნას მართალია თუ არა ეს. თუ ელექტრონული კავშირი არ არის, უნდა გავსინჯოთ, ზედნადების ასლში აღნიშნულია თუ არა გაგზავნილ ფოსტაში ამ თანხის ფასიანი წერილი. კანტორაში დაბრუნებისას იქ უნდა შემოწმდეს, ჩაწერილია თუ არა ეს თანხა შემოსავალში.

ზემოთ ჩვენ ვიძლეოდით რჩევას ყოველ განყოფილებაში შესამოწმებლად გაგზავრებისას კანტორის ბუღალტერიიდან აუცილებლად წავველო ცნობა იმის შესახებ, თუ რა თანხები ირიცხება გზაში და როდის არის ისინი გაგზავნილი. განყოფილებაში ყოფნისას, შემოწმებული უნდა იქნას, თუ რატომ ირიცხება ეს თანხა დიდხანს გზაში. ანგარიშში „თანხები გზაში“ გადაგზავნილი თანხები შეიძლება ირიცხებოდეს ფოსტის გაგზავნის დღიდან უკან მობრუნებული პირველი ფოსტით უწყების მიღებამდე, რომ განყოფილების მიერ მაშველი თანხები მიღებულია. ამის შემდეგ ანგარიშიდან „თანხები გზაში“ ჩამოიწერება გადაგზავნილი თანხები და გატარდება განყოფილების სალაროს ანგარიშში, ხოლო განყოფილების მიერ ნამეტის თანხების გადაგზავნის დროს თანხებს ატარებენ.—კავშირგაბმულობის კანტორის სალაროს ანგარიშში.

აგრეთვე განყოფილებებში ამოწმებენ, ქვემდებარე (მიმაგრებული) სააგენტოებიდან გამოგზავნილი ყველა თანხა და შემოსავალი მთლიანად არის თუ არა გატარებული.

აუცილებლად საჭიროა გამოირკვეს განყოფილების უფროსი დღიური ოპერაციების დამთავრების შემდეგ ამოწმებს თუ არა სალაროს. ეს მან ყოველდღე უნდა აკეთოს. საჭიროა ისე ავლხარდოთ საწარმოს ყველა უფროსი, რომ სალაროს ყოველდღიური შემოწმება სისტემატურად წარმოებდეს.

კავშირგაბმულობის ზოგიერთი სასოფლო განყოფილება აწარმოებს კოლმეურნეობების სალაროების მომსახურებას. ასეთ განყოფილებაში საჭიროა შემოწმებულ იქნას, სრულდება თუ არა კავშირგაბმულობის

სახ. კომ. და სახბანკის № 64 ინსტრუქციაში მიცემული მითითებანი (1944 წლის აგვისტო).

კონტროლი უნდა გაეწიოს აუცილებლად აგრეთვე ხელის მოწერისა და ცალობით ვაჭრობიდან შემოსული ფულადი თანხების დროულად ჩაბარებასა და შემოსავალში გატარებას.

საფოსტო გზავნილებათა შემოწმება

კავშირგაბმულობის განყოფილებები და სააგენტოები ამუშავებენ დიდი რაოდენობის საფოსტო გზავნილებებს, რომელთა შენახვის კონტროლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისევე, როგორც ფულადი საშუალებების შენახვის კონტროლია უზრუნველყოფილი. ამანათებზე დადებულ ღირებულებასა და ფასიან წერილების დაქარგვისათვის გამოცხადებული ღირებულების თანხის ოდენობით მატერიალურ (ფულად) პასუხისმგებლობას კისრულობს კავშირგაბმულობის მეურნეობა.

არანაკლებად მნიშვნელოვანია ყველა დანარჩენი საფოსტო გზავნილებათა — უბრალო წერალებისა და გაზეთების შენახვა-დაცვა. ამიტომ განყოფილებებისა და სააგენტოების რევიზიის დროს უნდა შემოწმდეს: სრულდება თუ არა საფოსტო წესებში აღნიშნული ყველა მითითება საწარმოსა და გზაში ფოსტის დაცვის შესახებ.

როგორ არის ორგანიზებული ფულადი საშუალებების ფასეულობათა და საფოსტო გზავნილებათა დაცვა, აგრეთვე ოპერაციის მიმდინარეობისა და არასამუშაო დროს საწარმოს ქონების დაცვა;

როგორ არის ორგანიზებული საფოსტო გზავნილებზე მეთვალყურეობა ფოსტის შეკვრისა და გახსნის დროს;

არის თუ არა მოწყობილი საკუქნაო, რკინის ცეცხლგამძლე კარადა, ზანდუკი, ყუთი, უჯრედებიანი მაგიდა; უზრუნველყოფილია თუ არა გზავნილებათა დაცვა გაფუქებისაგან (სინესტე, მღრნელები და სხვ.).

წესრიგშია თუ არა შეიარაღება საწარმოსა და გზაში ფოსტის დასაცავად, მკველებმა იციან თუ არა იარაღის ხმარება;

როგორ ტარდება ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი;

სრულდება თუ არა კავშირგაბმულობის სამინისტროს მითითებანი იმაზე, რომ ფოსტის გამყოლებმა არ უნდა იცოდნენ გადაგზავნილ და მისაღებ ფასეულობათა რაოდენობის შესახებ, გადაგზავნილ და მისაღებ ფასეულობებზე მუშაკთა შორის ცნობების ვაჯრცელების აკრძალვისა და იმის შესახებ, რომ ეს შეიძლება იცოდეს მხოლოდ ორმა პირმა (უფროსმა და ნლობით აღქურვილმა მეორე პირმა); აგრეთვე, იმის შესახებ

რომ ნამეტის (მაშველ) გზავნილებათა თანხების გამზადება უნდა წარმოებდეს პირადად განყოფილების უფროსის მიერ ფასიან წერილებში, პოსტპაკეტში, ტომარაში და რომ ასეთი ფასიანი წერილები ფორმა № 1 რეგულში უნდა იწერებოდეს;

ხომ არ აგზავნიან დიდი ღირებულების (3000 მან. ზევით) ფოსტას განყოფილებიდან კანტორაში და სააგენტოში მზიდავის (შოფრის) საშუალებით გამყოლი პირების გარეშე, სააგენტოს გამგის გამომძახების გარეშე, სასოფლო ფოსტალიონებს გზავნილებათა გასანაღდებლად ხომ არ აძლევენ 2000 მან. მეტ თანხას.

იცავენ თუ არა კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის მიერ დადგენილ და საბბანკის ორგანოებთან შეთანხმებულ ფულადი საშუალებების ნაშთების ნორმებს;

დავთრებში გამოყვანილი ნაშთი ეთანხმება თუ არა ფულის ბარათების ნაღდ რაოდენობას; არის თუ არა სრულ წესრიგში სახეზე აღმოჩენილი ყველა საფოსტო ფულის ბარათები;

ფასდადებითი ფულბარათების გაგზავნისათვის აღებული თანხა მთლიანად, დროზე და დაუყოვნებლივ გადაგზავნილია თუ არა დანიშნულებისამებრ; ამ ფულის ბარათებზე უწყებებთან ერთად არის თუ არა ქვითრები № 5 წიგნიდან და ნამდვილია თუ არა ისინი.

22. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის რევიზია

ცალკეული ოპერაციებისა და საბუღალტრო ჩანაწერების გაფორმების დოკუმენტების ხარისხიანობის შემოწმება წარმოადგენს დოკუმენტალური რევიზიის წინაშე მთავრობის მიერ დასმულ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. მხოლოდ სწორად დაყენებულ და თავის დროზე განხორციელებულ აღრიცხვასა და რეალურ ბალანსს შეუძლია გავლენა იქონიოს გეგმის შესრულების მსვლელობაზე, წინასწარ აღკვეთოს გარღვევები და ხელი შეუწყოს სოციალისტური საკუთრების დაცვას.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა მხედველობიდან არ უნდა გაუშვას რევიზიის ჩამტარებელმა რევიზიის მიმდინარეობის მთელი ხნის განმავლობაში.

რევიზიამ უნდა გამოავლინოს და რევიზორი ვალდებულია აღნიშნოს აქტში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდეგი მხარეები: სწორად არის თუ არა მოწყობილი აღრიცხვა, ე. ი. საესვებით ეთან-

ხმება თუ არა ანგარიშთა გეგმასა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის ინსტრუქციას;

სწორად ასახავენ თუ არა ოპერაციებს ბალანსის სათანადო ანგარიშგებებში;

დანაშაულის კვლის დასაფარავად აღგილი ხომ არა აქვს შემოსავალ-გასავლის არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ მიკუთვნებას;

რამდენად მოხერხებული და მიზანშეწონილია არსებული დოკუმენტების ბრუნვა, უზრუნველყოფს თუ არა ის ოპერაციების კონტროლსა და დოკუმენტების თავის დროზე დამუშავებასა და სათანადო ანგარიშგებზე მიკუთვნებას.

დამუშავების რომელიმე ეტაპზე აღგილი ხომ არა აქვს დოკუმენტების დაგროვებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების დროზე შედგენაზე (მაგალითად, დიდი ხნით ხომ არ აკავებენ საწყობებსა და განყოფილებებში მასალების შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებს და სხვ.).

ბარათების, პირადი ანგარიშების, სარეგისტრაციო ჟურნალების, დავთრების, ბრუნვათა უწყისების წარმოების ხარისხი;

ბევრი ხომ არ არის გასწორებელი ჩანაწერები და რით არის ის გამოწვეული;

დგება თუ არა ბრუნვათა უწყისები ბალანსის ყველა ანგარიშის მიხედვით, ყველა დებიტორებზე, კრედიტორებზე, მასალების სრულ ნომენკლატურაზე;

რეალურია თუ არა ბალანსი, ე. ი. სწორად გამოსახავს თუ არა ის საქმის ნამდვილ ვითარებას;

ანგარიშგებას ხომ არ ადგენენ ბრუნვათა უწყისების მონაცემებთან შეუდარებლად; რევიზიის ჩამტარებელი ვალდებულია პირადად თვითონ შეამოწმოს (ამორჩევით მაინც) ბალანსის უმნიშვნელოვანესი ანგარიშების მაჩვენებლები ეთანხმება თუ არა ბრუნვათა უწყისების მაჩვენებლებს და ეს უკანასკნელი კი—აღრიცხვის მონაცემებს.

ანგარიშგების შედგენის დროს ბალანსთაშორისო ანგარიშსწორება შედარებულია თუ არა სხვა ბალანსებთან; ეგუება თუ არა შინაანგარიშსწორებანი ანგარიშით 143 საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსება და ანგარიში 142 ანგარიშსწორებანი საექსპლოატაციო მოგებით.

ინვენტარიზაციის შედეგები აღრიცხვაში სათანადო ანგარიშებზე გამოვლინდა თუ არა.

გამოვლინებულია და ნაჩვენებია თუ არა ყველა შემოსავალი და ზარალი.

მთლიანად აღრიცხულია თუ არა შემოსავალი და ხარჯები.

დროზე წარმოებს თუ არა ანგარიშგების შედგენა და წარდგენა და თუ არა, რამდენი აგვიანდება. ანგარიშგების თავის დროზე წარმოდგენა დ მისი რეალურობა, როგორც წესი, შეიძლება მხოლოდ ისეთ საწარმოებში, სადაც კარგად არის ორგანიზებული და ყოველდღიურად სწორად წარმოებს საანგარიშო მუშაობა, სადაც პერსონალთა შორის სწორად არის განაწილებული მოვალეობა და სადაც მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მხრით მოწესრიგებულია და წარმოებს მუდმივი კონტროლი ყოველგვარ საანგარიშო საქმიანობაზე.

ამიტომ ჩვენს მიერ ნათქვამის გარდა რევიზიის დროს აუცილებლად საჭიროა გამორკვეულ იქნას და აქტში აღინიშნოს:

რამდენად სწორად არის განაწილებული მუშაობა საანგარიშო მუშაკთა შორის;

აქვთ თუ არა ყოველი მუშაკისათვის თანამდებობითი ინსტრუქციები; ყოველმა მუშაკმა იცის თუ არა თავისი მოვალეობა და ინსტრუქცია აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში.

სარევიზიო საწარმოს მთავარი (უფროსი) ბუღალტერი აწარმოებს თუ არა სააღრიცხვო მუშაობის ყოველდღიურ, მიმდინარე კონტროლს (საერთო და დეტალური აღრიცხვის ჩანაწერის ყოველდღიურ შედარებას, ბრუნვათა ჯამებისა და დებუტებისა და კრედიტების ნაშთების შედარებას და სხვ.);

წარმოებს თუ არა მუშაობა მონგარიშეთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ტარდება თუ არა საწარმოო თათბირები;

მუშაობის გასაუმჯობესებლად იყენებენ თუ არა სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებს;

შემოწმების მიმდინარეობის დროს საბუღალტრო მუშაობის სუსტი მხარეების აღნიშვნისას, საჭიროა აღნიშნულ იქნას, სახელდობრ, რაში მდგომარეობს ის და როგორ უნდა გამოვასწოროთ;

გარდა ყველა თქმულისა, რევიზიის ჩამტარებელმა უნდა შეამოწმოს: წესრიგშია თუ არა არქივში საბუღალტრო დოკუმენტები და რამდენად სრულდება ის მოთხოვნილებანი, რომელიც სსრ კავშირის ფინანსთა სააკ. კომისარიატის მიერ 1946 წ. 25/I დამტკიცებული № 60 „საბუღალტრო აღრიცხვაში დოკუმენტებისა და ჩანაწერების შესახებ დებულებების“ მეოთხე განაყოფშია მოცემული.

23. დაქვემდებარებული საჯაროების (ფილიალების) კავშირის გადგომის შესახებ შემოწმება

კავშირგაბმულობის ისეთი ორგანოების რევიზიის დროს, რომლებსაც დაქვემდებარებული აქვთ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმოები, ამოწმებენ დოკუმენტალური რევიზიის გეგმის შესრულებასა და სარევიზიო მუშაობის ხარისხს; ამოწმებენ აგრეთვე რევიზიის ჩამტარებელი ასრულებს თუ არა კავშირგაბმულობის ორგანოებში დოკუმენტალური რევიზიის ჩატარების ინსტრუქციას და რევიზიის აქტების მიხედვით ატარებენ თუ არა დროულ და აუცილებელ ღონისძიებებს.

კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებში ამოწმებენ თუ არა მათი ხელმძღვანელები დაქვემდებარებულ განყოფილებებსა და ატარებენ თუ არა სააგენტოების ყოველკვარტლურ რევიზიას.

24. დოკუმენტალური კავშირის შემდგომი აქტების შედგენა

ყოველი დოკუმენტალური რევიზიის შედეგებს განსაკუთრებული აქტით აფორმებენ სამი ხელმოწერით: რევიზორის, რევიზია ჩატარებული საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ხელმოწერით.

კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერ რეკომენდებულია აქტის შემდეგი სანიმუშო სქემა:

ქ 19 წ “
ა ბ ტ ი

კავშირგაბმულობის თქვის კანტორის
. დოკუმენტალური რევიზიისა, რომელიც ჩატარებულია კავშირგაბმულობის
სამინისტროს სამმართველოს რევიზორის ან 19 წ.

„ მუშაობის საფუძველზე.
რევიზია ჩატარებულია 19 წ
. დე მთლიანი წესით შემოწმებულია
ბალანსის დოკუმენტები 19 წ თვეებისა და
შერჩევით 19 წ თვეებისა.

შემოწმებული პერიოდისათვის პასუხისმგებელი არიან:
კანტორის უფროსი ან (გვარი და ინიციალები)
მთავარი (უფროსი) ბუღალტერი (გვარი და ინიციალები).

რ ე ვ ი ზ ი ი თ გ ა მ ო რ კ ე ვ ე უ ლ ი ა :

(მერე იწერება აქტის ტექსტი შემდეგი განყოფილების მიხედვით)

განაშროვი I

სალარას რევიზია. ფასეულობათა შენახვის უზრუნველყოფა.

განაშროვი II

ანგარიშსწორებათა ანგარიშების რევიზია საბბანკში. ბანკის ამონაწერის საბუღალტრო აღრიცხვასთან შედარების შედეგები (მათ შორის აუცილებლად ფულბარათების ოპერაციების მიხედვითაც).

განაშროვი III

შემოსავლის გეგმის შესრულება. შემოსავლის მიღების სისრულის კონტროლის საქმის მდგომარეობა. გასავლის გეგმის შესრულება. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება.

განაშროვი IV

დოკუმენტების შემოწმების შედეგები (ძირითადი საკმარისობის ბალანსისა და ფულბარათების ოპერაციების ბალანსის მიხედვით). გაფლანგვები და დატაცებანი. უკანონო და უჭირათო ხარჯები. საფინანსო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვა.

განაშროვი V

ხელფასის ფონდის გეგმის შესრულება. ფონდის გამოყენების სისწორე. საშტატო და შრომითი დისციპლინა.

განაშროვი VI

ანგარიშსწორებათა ოპერაციები. დეპიტორების, კრედიტორების, ანგარიშვალდებული პირების, ბალანსთაშორისო და შინაანგარიშსწორების მდგომარეობა.

განაშროვი VII

მასალებისა და ძირითად საშუალებათა აღრიცხვის მდგომარეობა. საწყობის შეჯონება. მასალების შენახვის უზრუნველყოფა. საკონლის ჩაწოლის ანალიზი. ინვენტარიზაცია, მისი ბარისნი და შედეგები.

განაშროვი VIII

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ორგანიზება და მდგომარეობა.

განაშროვი IX

დაქვემდებარებული საწარმოების რევიზიის სამუშაოთა მდგომარეობა. შესამოწმებელი საწარმოს მთავარი (უფლოსი) ბუღალტრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულება საფინანსო კონტროლის დარგში.

განაშროვი X

წინათ ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიის მიერ მიცემული მითითებებისა და წინადადებთა შესრულება.

განაყოფი XI

სპეციალური დაჯილდების (თუ ასეთი ჰქონდა მიცემული რევიზორს) შესრულების შემოწმება.

აქტზე დანართის ჩამოთვლა (სალაროს შემოწმების აქტი, გამოვლინებულ დარღვევათა ჩამოთვლა და სხვ).

ხელმოწერა:

რევიზიის აქტი თავისი შინაარსისა და გადმოცემის მხრით უნდა უპასუხებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. აქტი ყოველმხრივად უნდა გამოსახავდეს სარევიზიო საწარმოს მოქმედებას და იმავე დროს შეძლებისდაგვარად მოკლევით იყოს.

ის უნდა შეიცავდეს საქმის გამოვლინებული მდგომარეობის შესახებ სქემას ყველა განაყოფის მიხედვით, აშუქებდეს ყველა საკითხს, რომლებიც ნაჩვენებია წინამდებარე სახელმძღვანელოს სათანადო განაყოფებში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაფაროს არცერთი გამოვლინებული სერიოზული დარღვევა, მით უფრო ბოროტმოქმედებანი.

აქტში ზედმეტი წვრილმანების შეტანა საჭირო არ არის;

მაგალითად, აქტში განაყოფის „შემოსავლის გეგმის შესრულების“ მიხედვით, ხშირად მოჰყავთ წლის განმავლობაში გეგმის შესრულების ყველა მაჩვენებელი და მათი ახსნა-განმარტებანი, აღებული წლიური ანგარიშიდან. ეს არ უნდა გაკეთდეს, ვინაიდან ყველაფერი ის, რაც ანგარიშგებაშია, რევიზიის გარეშეც ცნობილია. თუ რევიზიამ ვერ გამოავლინა ვერავითარი ფაქტები, რომლებიც წინს დასდებენ ანგარიშგების მაჩვენებლებს, მაშინ აქტში ან განაყოფის მიხედვით მხოლოდ მოკლედ უჩვენებენ გეგმის შესრულების შედეგებს და დასძენენ, რომ შესრულების ან შეუსრულებლობის მიზეზები სწორად არის ნაჩვენები საწარმოს ანგარიშგებაზე დართულ ახსნა-განმარტებაში.

აქტში ზოგჯერ არაფერია ნაჩვენები წარმოებს თუ არა ბრძოლა შემოსავლის დაკარგვასთან და რა შედეგები გამოიღო რევიზორის მიერ ამ უბნის შემოწმებამ. ამის შესახებ არაფრის თქმა, აქტში შეიძლება გაგებულ იქნას იმ გვარად, რომ რევიზორმა ამ ნაწილში ყველაფერი რიგზე აღმოაჩინა და ამიტომ არაფერი ჩაწერა, ან რევიზორი სულაც არ დაინტერესებულა ამ საკითხით.

მეორე მაგალითი. სრულიად არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, მაგრამ რევიზორი მაინც 2—3 გვერდის მანძილზე აწერს სწორად ორგანიზებულ სალაროსა და საბანკო ოპერაციების შესრულებისა და გაფორმების ყველა პროცესს, ნაცვლად იმისა, რომ მოკლედ უჩვენოს, რომ

სალაროს ოპერაციები წარმოებს და ფორმდება არსებული ინსტრუქციების სრული შესაბამისობით. იმავე დროს აქტიდან ზოგჯერ არ ჩანს, ამოწმებენ თუ არა ისეთ პირველხარისხოვან საკითხს, როგორცაა ისეთი თანხების შემოსავალში გატარება, რომლებიც ამონაწერების მიხედვით ბანკიდან ნაღდად გამოტანილად ჩანს, კერძოდ კი, ხდებოდა თუ არა ფულბარათების ბალანსის მიხედვით ბანკის ამონაწერების შემოწმება. ასეთი სერიოზული საკითხების გამო რევიზორისაგან აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ აქტში დაახლოებით შემდეგი ჩანაწერები: „ამა და ამ ანგარიშის მიხედვით სარევიზიო პერიოდის განმავლობაში ბანკის ყველა ამონაწერი შემოწმებულია და ანგარიშგებაში სწორად აღნიშნული აღმოჩნდა. თანხების გაუტარებლობისა, ან გატარების დაგვიანების შემთხვევები არ გაჩოვლინდა“.

აქტის შედგენის სამუშაოს შესაკვეცად და აქტების ჩანაწერების დასასაბუთებლად რეკომენდებული იყო რევიზიის მსვლელობაში ეწარმოებინათ გამოვლინებული ფაქტების ჩანაწერები რამდენიმე ცალკე ნუსხაში (უკანონო და უყარაათო ხარჯების, საფინანსო და საშტატო დისციპლინების დარღვევა და სხვ.). როცა ასეთი სიები თან ერთვის რევიზიის აქტს, საქერო არ არის ჩამოვთვალთ აქტში ყველაფერი, ზოგჯერ დარღვევათა მრავალრიცხოვანი შემთხვევები; ეს აქტს ძალიან ზრდის და რევიზორისაგან დიდ დროს მოითხოვს; მიუხედავად ამისა, არ შეიძლება დაგკნაყოფილდეთ მხოლოდ დანართის ჩიენებით აქტში. აუცილებლად საქიროა ჩანაწერში ჩამოთვლილი ყველა ფაქტის მთავარ (უფროს) ბუღალტერთან ერთად შემოწმების შემდეგ, ყოველ ჩანაწერს ანალიზი გაუკეთდეს და აქტის განაყოფში „დოკუმენტების შემოწმების შედეგები“ ჩაწეროთ საქმის ვითარების მთლიანად განმარჯავადობელი დახასიათება ყოველი სიის მიხედვით, დარღვევათა შეჯამებული თანხების ან მიყენებული ზარალის ჩვენებით. მაგალითად, სათაჯრის „სალაროსა და საფინანსო დისციპლინის დარღვევების“ ქვეშ აქტში უნდა ჩაიწეროს:

„სალაროს დისციპლინა უხეშად ირღვეოდა: გზავნილი თანხების ფულადი ნაშთები სალაროში სისტემატურად აღემატება დადგენილ ლიმიტს, ბევრ შემთხვევაში ის აღწევს 20—30 ათას მანეთს, ნაცვლად 5 ათასი მანეთის ლიმიტისა.

ბანკიდან მიღებული ნაღდი ფული ხშირად არადანიშნულებისამებრ იხარჯებოდა; უკანასკნელ ნახევარ წელიწადში დარღვევების ასეთი შემთხვევა იყო 17-ჯერ, სულ 20000 მან.

დაშვებული იყო ცალკეული შემთხვევები, როცა ბანკში არ შექონდათ ფორმის ტანსაცმლისათვის შემოტანილი თანხები; ეს თანხები,

ბანკის კონტროლის გარეშე იხარჯებოდა სარემონტო და სხვ. ხასიათის სამეურნეო სამუშაოებისათვის. სარევიზიო პერიოდის განმავლობაში დაკავებულია ასეთი თანხები 15 ათას მანეთზე მეტი (იხ. დანართი სია № 3, მუხლები 5, 10, 11 და სხვ.)⁴

ან სათაურის „უკანონო და უყაირათო ხარჯების“ ქვეშ შეიძლება ჩაიწეროს აქტში:

„წინააღმდეგ სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1920 წ. 30/I დადგენილებისა, ძალიან ხშირად იცემოდა ავანსები ხელფასის ანგარიშში 2—3 თვის ვადით. წლის დასაწყისიდან გამორკვეულია 14.700 მან. ასეთი უკანონო გაცემათა შემთხვევები (იხ. დანართი სია 2, მუხლები 2, 5, 10) და სხვ. გაცემები წარმოებდა კანტორის უფროსის მითითებით, უფროსი ბუღალტრის მხრით წინააღმდეგობის გაუწევლად.

კაპიტალური რემონტისათვის განკუთვნილი თანხების ანგარიშში უკანონოდ აშენებულია გარაეი, რაზედაც დახარჯულია 18.545 მან. ეს კეთდებოდა KH ამხ.

YH3 . განცხადებით ამხ. სიტყვიერი თანხმობით. დახარჯული თანხები აღრიცხვაში ჩამოწერილია გასაფალში; გარაეი ძირითად საშუალებებში არ არის ჩაირიცხული (იხ. დანართი 2, მუხლი 1, 3, 8). მთავარი ბუღალტერი ამხ. ამ უკანონო ოპერაციის წინააღმდეგი არ იყო“ და სხვ.

2. აქტი უნდა შეიცავდეს სრულიად ობიექტურსა და დასაბუთებულ ჩანაწერებს, ე. ი. მასში უნდა ჩაიწეროს მხოლოდ შემოწმებული და დოკუმენტებზე დაყრდნობით გაგრძელებული ფაქტები და ცნობები. იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები შესრულდეს, რევიზორს მოეთხოვება:

რევიზიის დროს ყველა დოკუმენტის შემოწმება და ანალიზი გააკეთოს პირადად დასკვნების გამოყვანისა და აქტში მათი ჩაწერის ძირითად საფუძვლად უნდა იყოს რევიზიის მიერ შემოწმებული დოკუმენტები და არა სარევიზიო საწარმოს მუშაკების მიერ შედგენილი ტაბულენი და სხვადასხვა ცნობები; ასეთი ცნობები, თუ ისინი საჭიროებას წარმოადგენენ, უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ, როგორც დამხმარე მასალა;

აქტში არ უნდა იწერებოდეს ყურმოკრულად გაგონილი ამბავი და ზეპირი განცხადებანი. ასეთი ამბის ან განცხადების შეტანა აქტში შეიძლება მხოლოდ მათი ყოველმხრივი შესწავლისა და დოკუმენტებით დასაბუთების შემდეგ¹.

¹) ყურადსაღებ სიგანალებსა და წინადადებებს, თუ მათი გამორკვევა ვერ მოხერხდა რევიზიის დროს, რევიზორი იწერს ცალკე, შემდგომში შესაწმენდად.

რევიზიის პროცესში მყისვე უნდა ჩაიწეროს გამოვლინებული უწყესობანი სათანადო სიეზში იმ დოკუმენტის ჩვენებით, რომელიც ამტკიცებს ჩაწერილ ფაქტს (ანგარიში, ზედნადები, სალაროს ორდერი, თვე, საბუღალტრო გატარების ნომერი, გვერდის ნომერი) და ამ დაუდევრობათა ჩამდენი პირების გვარის ჩვენებით. ეს ჩანაწერები ყოველ დღე უნდა შეუთანხმდეს სარევიზიო საწარმოს მთავარ (უფროს) ბუღალტერს, საქმის დროზე ხელახლა შემოწმებისათვის, ჩანაწერის დაზუსტებისა და აუცილებელი ზომების მიღებისათვის.

საქიროების დროს აქტს თან ურთავენ ამა თუ იმ დოკუმენტის ასლს. ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში (სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულის) დროს საწარმოს საქმეებიდან იღებენ დოკუმენტებს.

თუ მიუხედავად რევიზორის მტკიცე რწმენისა აქტის სისწორისა და საფუძვლიანობის შესახებ, სარევიზიო საწარმოს ხელმძღვანელი, ან მთავარი (უფროსი) ბუღალტერი დავობს ამა თუ იმ ჩანაწერის სისწორეზე, ისინი ვალდებული არიან აქტზე ხელი მოაწერონ, ოღონდ თავიანთი შეხედულებანი წერილობითი სახით თან დაურთონ მას.

3. აქტში ჩანაწერი უნდა იყოს მკაფიო და ნათელი, რომელიც გამორიცხავს მის სხვადასხვაგვარად გაგებას. მაგალითად, არ შეიძლება ჩაიწეროს: „წერენ სახელობითს და წარდგენით ჩეკებს“, ვინაიდან იმ პირებმა, რომლებიც არ იცნობენ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალურ მითითებებს შეუძლიათ ეს გაიგონ არა როგორც შენიშვნა არასწორ მოქმედებაზე, არამედ, როგორც ჩეკების გამოწერის არსებული წესის აღწერა. იმისათვის რომ ნათელი იყოს, თუ რა უნდოდა ამ შემთხვევაში იღენიშნა რევიზორს, უნდა ჩაწერილაყა: „წინააღმდეგ კავშირგაბმულობის სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მითითებისა ადგილი აქვს წარდგენითი ჩეკების გამოწერას“.

იმევე მოსაზრებით არ შეიძლება დაიწეროს: „თავიანთი ცხენებით მომუშავე მეეტლებს საშემოსავლო გადასახადს უკავენენ იმ განაკვეთით, რაც დაწესებულია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დაბეგვისათვის“, არამედ ეს ასე უნდა დაიწეროს: „მეეტლებს გადასახადს არასწორად უკავენენ მუშა-მოსამსახურეთა განაკვეთის მიხედვით, ნაცვლად მისთვის გაცემული ხელფასის თანხის 25%-სა, ამ გულგრილობის (უცოდინარობის) შედეგად სარევიზიო პერიოდის განმავლობაში გადახდილი არ არის და ბიუჯეტში ჩაუბარებელია

მან, (ამაში დამ-

)“.

4. აქტი უნდა იყოს ნამდვილი დოკუმენტი, ე. ი. გარდა განორკვეულ დარღვევათა და უწყესობათა უბრალო ჩამოთვლისა, მან მობილიზაცია უნდა გაუქუთოს სარევიზიო საწარმოს ადმინისტრაციასა და მუშაკებს ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისა და საქმის გამოსწორებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, გარდა საწარმოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების რევიზიის შედეგებთან გაცნობისა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, კავშირგაბმულობის საინინსტროს სისტემაში რევიზორი ვალდებულია აქტივით მოგვეცეს თავისი კონკრეტული წინადადებები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩატარდეს აქტის ყველა მთავარი შენიშვნების მიხედვით. ცხადია, რევიზორმა უნდა მოგვეცეს მხოლოდ ის წინადადებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონსა და არსებულ ინსტრუქციებს. რევიზორმა წინადადება უნდა შემოიტანოს იმ საკითხებზე, რომლებიც მისთვის ნათელია. რევიზორის ისეთი წინადადებები, რომლებსაც არ ეწინააღმდეგება სარევიზიო საწარმოს ხელმძღვანელობა, დაუყოვნებლივ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში.

გარდა იმ დარღვევებისა, რომლებიც ჩვეულებრივად შეადგენენ აქტის შინაარსს, ამ აქტების სათანადო განაყოფებში აღინიშნება აგრეთვე მუშაობის დადებითი მხარეები, უმთავრესად, ისეთები, რომლებიც რევიზორის აზრით, გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასარგებლოა რეკომენდებულ იქნას სხვა საწარმოებისათვისაც. მიზანშეწონილია აღინიშნოს წინა წელთან შედარებით არსებული მიღწევები, რაც მოპოვებულაა სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების შედეგად და სხვ.

რევიზიის აქტში საჭიროა ცალკე მუხლებად შეტანილ იქნას:

საწარმოს მთავარი ბუღალტერი იბრძვის თუ არა უკანონო ხარჯებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ, ასრულებს თუ არა იგი სახელმწიფო კონტროლის მოვალეობას, რომელიც მას დაკისრებული აქვს მთავარი (უფროსი) ბუღალტრის დებულების მე-15 მუხლით; აცნობა თუ არა, და რამდენჯერ ზემდგომ ინსტანციასა და სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს, მიუხედავად მიცემული გაფრთხილებისა საწარმოს ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული უკანონო ოპერაციების შესახებ.

როგორ არის შესრულებული წინა დოკუმენტალური რევიზიის მიერ წამოყენებული წინადადებები და საბალანსო კომისიის მითითებები. რევიზიის დამთავრების შემდეგ მისი შედეგები აუცილებლად განხილული უნდა იქნას საწარმოს მუშაკთა თათბირზე ადმინისტრაციის, პარტიული კომიტეტისა და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც რევიზორმა დამსწრეთა ყურადღება უნდა

მიაქციოს საწარმოს მუშაობაში გამოვლენილ არანორმალურობასა და ნაკლოვანებებს და მათ გამომწვევე მიზეზებს, მიუთითოს, იმაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ესა თუ ის ნაკლი; მობილიზაცია გაუკეთოს კოლექტივის მუშაეებს შემჩნეულ უწყსრიგობათა თავიდან აცილებისათვის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახალხო თანხების მოპყირნობით ხარჯვისათვის საბრძოლველად.

25. დოკუმენტალკი რევიზიის მიხედვით ჩატარებული ლონისქიბანი

დოკუმენტალური რევიზიის ყოველი აქტის მიხედვით რევიზიის ჩამტარებელი ზემდგომ ორგანოს ხელმძღვანელობა ვალდებულია უმოკლეს ვადაში (არა უგვიანეს 5 დღისა აქტის მიღებიდან) უზრუნველყოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად საჭირო ღონისძიებათა ჩატარება.

რევიზიის აქტს დეტალურად უნდა გაეცნოს რევიზიის ჩამტარებელი ორგანოს მთავარი ბუღალტერი, რომელმაც აქტისა და რევიზიის მოხსენების შედეგად უნდა მოამზადოს ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა პროექტი დახმარების აღმოჩენის, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად და სხვ. მათი შესრულების ზუსტი ვადების ჩვენებით. თუ საჭიროება მოითხოვს აღმინისტრაციული სასჯელის დადებას, ან წახალისებას, მაშინ რევიზიის შედეგების მიხედვით იცემა ბრძანება; ეს მიზანშეწონილია მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა საქმის გასაუმჯობესებლად ამ რევიზიის მასალების ცოდნა სასარგებლოა ყველა დაქვემდებარებულ საწარმოსათვის. სხვა შემთხვევებში, რევიზიის შედეგად მითითებებს აძლევენ შემოწმებულ საწარმოს ხელმძღვანელის მიმართ სადირექტივო წერილის სახით.

ღონისძიებანი, რომლებიც რევიზიის ჩამტარებელი ორგანოს ბუღალტერიის გარდა კიდევ სხვა განყოფილებებსაც ეხება, უნდა შეუთანხმდეს მათ.

რევიზიის შედეგების მიხედვით მითითებათა დამუშავებისას ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რევიზია, წინათ გამოვლინებულ უწყსრიგობათა რეგისტრირებისა და მათ წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების გარდა, ხალხს უნდა ასწავლიდეს მუშაობის გაუმჯობესებას. კონკრეტულ მაგალითებზე უნდა ზრდიდეს აღამიანებს; რევიზიამ მუშაკებს უნდა ასწავლოს ღონისძიებანი, რომლითაც მომავალში წინასწარ თავიდან იქნება აცილებული უწყსრიგობა და დარღვევები.

ამიტომ, დატაცების, გაფლანგვის, უკანონო ხარჯების არც ერთ შემთხვევა არ უნდა დარჩეს დაუსჯელი; რევიზიის მიერ აღმოჩენილ ყველა გაფლანგვა, დანაკლისი აღრიცხული უნდა იქნეს, უნდა მიღიოთო. აგრეთვე იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას (დამნაშავეებზე სისხლსა და სხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად მათ უნდა წარედგინოს სამოქალაქო სარჩელიც). მეორე მხრით, მუშაობაში ყველა მიღწევა უნდა წახალისდეს და დაინერგოს დანარჩენ წარმოებებში.

რევიზიის მასალებს ბრძანების პროექტთან ერთად (წე რიგები) მთავარი ბუღალტერი მოასხენებს რევიზიის ჩამტარებელ ორგანოებს, რომელიც იღებს დადგენილებას და ამტკიცებს მითითებებს.

რევიზიის მიერ მიცემული მითითებებისა და წინადადების შესრულებას აუცილებლად კონტროლი უნდა გაუწიოს რევიზიის ჩამტარებელი ორგანიზაციის ბუღალტერიამ. რევიზიის ამოცანა შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც არსებული ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახული ყველა ღონისძიება გატარდება ხოლო სახელმწიფო საშუალებათა მითვისებისათვის დამნაშავენი პასუხისმგებამი იქნებიან მიცემულნი, ამასთან ერთად რევიზიის მასალებიდან მიღებული იქნება სათანადო გაკვეთილები,

ამხანაგი სტალინი დავალებათა შესრულების კონტროლის შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წ. 5/III, თავის საბოლოო სიტყვაში ანბობდა: «რას ნიშნავს — მუშაკთა შემოწმება, დავალებათა შესრულების შემოწმება?»

მუშაკთა შემოწმება, ეს ნიშნავს მათ შემოწმებას არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

დავალებათა შესრულების შემოწმება, ეს ნიშნავს მათ შემოწმებას არა მარტო კანცელარიაში და არა მარტო ფორმალური ანგარიშების მიხედვით, არამედ უწინარეს ყოვლისა მათ შემოწმებას მუშაობის ადგილას შესრულების ფაქტიური შედეგების მიხედვით.

საკვიროა თუ არა საერთოდ ასეთი შემოწმება? უსათუოდ, საკვიროა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება გვაძლევს საშუალებას გამოვიცნოთ მუშაკი, გამოვარკვიოთ მისი ნამდვილი თვისებები.

ბანი. მეორე—საქირა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ შემსრულებელი აპარატების ღირსებანი და ნაკლოვანებანი. მესამე—საქირა იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი შემოწმება იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ თვითონ დაეალებათა ღირსებანი და ნაკლოვანებანი“¹.

.

¹ ი. სტალინი, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ დასხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე, საქ. კ პ (ბ) ცენტრ. კომიტეტის პარტგამომცემლობა, გვ. 51—52, 1937 წ.

შინაარსი

წინასიტყვაობა

83-
3

I. საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები

1. სამეურნეო აღრიცხვის მნიშვნელობა და მისი ამოცანები	5
სამეურნეო აღრიცხვის ცნება	5
აღრიცხვა მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის დროს	5
სამეურნეო აღრიცხვის ამოცანები	8
2. საბუღალტრო აღრიცხვის საგანი და მეთოდი	10
3. მეურნეობის საშუალებანი და მათი წარმოქმნის წყაროები	11
4. სოციალისტური საწარმოს ბალანსი	15
ბალანსის ცნება	15
ცვლილებანი საშუალებებსა და წყაროების შემადგენლობაში სამეურნეო ოპერაციების გავლენით	20
5. მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები	25
6. ანგარიშთა შორის ურთიერთდამოკიდებულება	30
7. საერთო და დეტალური ანგარიშები	35
8. ანგარიშებში სანიმუშო ჩანაწერები და ბუნებათა უწყისის შედგენა	37
9. საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშების კლასიფიკაცია	47
10. საბუღალტრო აღრიცხვის ტექნიკა	56
სააღრიცხვო დოკუმენტაცია	55
მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშების გეგმის აგება	73
ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები	75
სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაციის ტექნიკა	79
შეცდომათა ვასწორების ხერხები	96
პერიოდული და წლიური ანგარიშების შედგენა	99

II. ძირითადი საქმიანობის ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა

1. კავშირგაბმულობის საექსპლოატაციო საწარმოთა სტრუქტურა	102
2. კავშირგაბმულობის საწარმოთა დაფინანსების წესი	104
3. საექსპლოატაციო ხარჯების დაფინანსებისა და საშუქოსავლო საშუალებების ანგარიშსწორებათა აღრიცხვა	110
4. ფულადი ოპერაციების აღრიცხვა	114
5. აღრიცხვა კავშირგაბმულობის სააგენტოებსა და განყოფილებებში	125

29. საბუღალტრო აღრიცხვა

6. მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა	129
7. ანგარიშსწორებათა აღრიცხვა	138
ანგარიშსწორებანი კლიენტებთან კავშირგაბმულობის მომსახურებისათვის	143
ანგარიშსწორებანი დაკარგული და დატაცებული კორესპონდენციისათვის, მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების მოტაცებისა და გაფლანგვისათვის	145
ანგარიშსწორებანი კავშირგაბმულობის მუშაებთან გაცემული ფორმის ტანსაცმელისათვის	148
ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან	149
ანგარიშსწორებანი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხებით	152
ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან	153
ბალანსთაშორისი და შინაანგარიშსწორებანი	156
ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან	160
8. ხელფასისა და მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორებათა აღრიცხვა	162
9. საექსპლოატაციო შემოსავლისა და ხარჯების აღრიცხვა	175
საექსპლოატაციო შემოსავლის აღრიცხვა	175
საექსპლოატაციო ხარჯების აღრიცხვა	178
10. მიზნობრივი დანიშნულების სახსრებისა და სპეციალური ფონდების აღრიცხვა	181
11. ძირითად საშუალებათა აღრიცხვა	190
12. არაცენტრალიზებულ (ლიმიტგარეშე) კაპიტალურ დაბანდებათა, კაპიტალური რემონტისა და მათი დაფინანსების აღრიცხვა	202
13. ზარალისა და მოგების აღრიცხვა	208
14. ბალანსგარეშე მუხლები	210
15. კავშირგაბმულობის საწარმოთა ანგარიშგება ძირითადი საქმიანობის მიხედვით	211

III. ფულბარათების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა

1. ფულბარათების ოპერაციების შინაარსი	216
2. დოკუმენტაციის გაფორმება ფულბარათების ოპერაციების მიხედვით	220
3. ფულბარათების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვა	224
საერთო (სინთეზური) აღრიცხვა	224
დეტალური (ანალიზური) აღრიცხვა	239
4. კავშირგაბმულობის კანტორებისა და ფულბარათების საკონტროლო ბიუროების ანგარიშგება ფულბარათების ოპერაციის დარგში	245

IV. პრების გავრცელებისა და ექსპედიციების ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა

1. ხელმოწერის ოპერაციები	251
2. საცალო ოპერაციები	254
3. მომავალი საანგარიშგებო პერიოდის ხარჯები და შემოსავალი	258
4. ხარჯები და ფინანსური შედეგები	258
5. ანგარიშგება	259

V. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირებული დაწესებულებათა ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა

1. დაფინანსების წესი	260
2. ანგარიშება	265

VI. კაპიტალურ დაბანდებათა ბუღალტრული აღრიცხვა

1. ცნება კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ	266
2. კაპიტალური მშენებლობის დაპროექტება	269
3. კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვა და დაფინანსება	278
4. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულების ორგანიზაცია	287
5. კაპიტალურ დაბანდებათა აღრიცხვის ორგანიზაცია	293
6. საიჯარო წესით წარმოებულ კაპიტალურ სამუშაოთა აღრიცხვა	294
7. სამუშურნო წესით წარმოებელი კაპიტალური მშენებლობის აღრიცხვა	313
მასალების აღრიცხვა	313
შრომისა და ხელფასის აღრიცხვა მშენებლობაში	325
ზედნაღები ხარჯების აღრიცხვა	335
საღმშენებლო წარმოების აღრიცხვა	339
8. დამთავრებულ კაპიტალურ დაბანდებათა ამოწმების აღრიცხვა	339
9. ბალანსთაშორისო ანგარიშსწორების აღრიცხვა	342
10. კაპიტალურ დაბანდებათა ანგარიშება	343

VII. ფინანსური კონტროლი და დოკუმენტალური რევიზია

1. ფინანსური რევიზიის დანიშნულება, ფინანსური კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის განვითარების მოკლე ისტორიული ცნობები	350
2. შინასაუწყებო საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის ამოცანები	355
3. ფინანსური კონტროლის ორგანიზება კავშირგაბმულობის ორგანოებში	357
4. ცნება წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლის შესახებ	362
5. დოკუმენტალური რევიზიის სახეები და მეთოდები	365
6. რევიზორების უფლება-მოვალეობანი	366
7. რევიზიის ჩატარების თანმიმდევრობა	370
8. დოკუმენტების შემოწმების მეთოდები	372
9. რევიზიის მიერ გამოვლინებულ დარღვევათა კლასიფიკაცია და რეგისტრირება	373
10. სალაროსა და სალაროს (ფულადი) ოპერაციების რევიზია	376
11. საბანკო ოპერაციების რევიზია	385
12. საქვეანგარიშო თანხების დოკუმენტების რევიზია	388
13. შემოსავალ-გასავლის გეგმის შესრულების შემოწმება	392
14. გეგმის შესრულებისა და შემოსავალთა სრულად შემოსვლის შემოწმების მეთოდები	393
საფოსტო კავშირის ხაზით	395
ტელეგრაფის ხაზით	398

საქალაქთაშორისო და შინასატელეფონო დალაპარაკება	400
საქალაქო სატელეფონო სადგურების ხაზით	401
რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციისა და რადიოკვანძის ხაზით	402
რადიოცენტრებისა და რადიო სადგურების ხაზით, რომლებიც რადიოგადაცემებს იძლევიან სხვადასხვა ორგანიზაციის საქიროებისათვის	402
15. საექსპლოატაციო ხარჯების გეგმის შესრულებისა და სახსრების ხარჯვის კანონიერების შემოწმება	402
16. შრომისა და ხელფასის დოკუმენტების რევიზია	407
17. მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და შენახვის რევიზია	411
18. ძირითადი საშუალებების რევიზია	418
19. ანგარიშსწორებათა ოპერაციების რევიზია	419
20. კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალურ დაბანდებთა ოპერაციების რევიზია	424
21. კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და სააგენტოების რევიზიის თავისებურებანი	429
სალაროს შემოწმება	431
საფოსტო გზავნილებათა შემოწმება	435
22. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის რევიზია	436
23. დაქვემდებარებული საწარმოების (ფილიალების) რევიზიის გეგმის შესრულების შემოწმება	439
24. დოკუმენტალური რევიზიის შედეგებზე აქტების შედგენა	439
25. დოკუმენტალური რევიზიის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებანი	446

რედაქტორი ლ. შამისაშვილი

კორექტორი ვ. ლაბარტაძე

გადაეცა წარმოებას 9/VII 1951 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/III 1952 წ. უფ 01782. ქაღალდი 60 x 92¹/₁₆ ქაღალდის ფურცელი 14¹/₈. სასტამბო თაბახი 28¹/₈. სააღრიცხვო-საგამომცემლო—26,545. ტირაჟი 2000. გამომცემლობის შეკვეთა № 37. სტამბის შეკვეთა № 327.

სტალინის სახელობის თბ ღისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქუჩა, 1